

# რევაზ

# მიშველაძე

## ჩვეული თხზულებანი

ოცდახუთი ტომიცა



## ლიტერატურა და თანამედროვეობა

ტომი  
XIX



ბამონცემლობა „საქართველოს მაცნე“

თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, რევაზ მიშველაძის შემოქმედება კარგანანია მსოფლიო ლიტერატურის ორგანულ ნაწილად იქცა.

„საქართველოს მაცნე“ გამოსცემს პროზის დიდოსტატის რევაზ მიშველაძის ჩვეულ თხზულებათა ოცდახუთტომეულს.

მკითხველი ამ ტომების წაკითხვისას ადვილად დარწმუნდება, რომ მწერლის ჟანრულად უაღრესად მდიდარ ნაწერებში ჩანს არა მარტო საქართველოს პრობლემები, არამედ ქართული სარკმლიდან დანახული მსოფლიოც.

ISBN 978-9941-16-228-2 (ოცდახუთივე ტომი)  
ISBN 978-9941-16-355-5 (XIX ტომი)

## ენა და მწერალი

მიხეილ ჯავახიშვილი წერდა: „ენა მწერლობის ბალავარია, მისი უმთავრესი იარაღია. ენის უცოდინარი მწერალი სამფეხა ცხენსა ჰგავს: გენიოსიც რომ იყოს, ვერც გაიქცევა და ვერც დაიძვრება“.

უფრო ლამაზად ვერ იტყვის კაცი.

მწერლობა მოკლედ, ლამაზად და საინტერესოდ წერაა – სხვა არაფერი.

მოკლედ და ლამაზად წერა მხოლოდ და მხოლოდ ენას უკავშირდება.

ვერც საინტერესოდ დანერ, თუ ენის წიაღში, როგორც იტყვიან, ყელამდე არ ხარ ჩაფლული.

ათასი ვარიანტიდან ერთი-ყველაზე ზუსტი ფრაზა უნდა მოძებნო მოვლენის დასასურათხატებლად. ამას ტიტანური შრომა სჭირდება. მოკლედ და ლამაზად თქმა, იცით, რა არის? მაგალითად, კაცი რომ ცხენზე შეჯდა, ცხენს დეზი ჰკრა, დასჭყვივლა, გაქუსლა მერანი, მტერს ერთ უტევანზე რომ მიუახლოვდა, ხმალი წინ გაიშვირა და წაგრძელებული ეძგერა მტერს – ამას ზოგიერთი მწერალი, იქნებ, სამ გვერდზეც გაჭიმავდა, რუსთაველმა კი ერთ სტრიქონში ჩაატია: „ერთსა წავსწვდი უტევანსა, წავგრძელდი და წავე გრძელად“.

ესაა ენის ზედმინეფნითი ცოდნის მაგალითი.

ენის ფენომენის ფლობით შეუდარებელია შოთა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია ბევრს ეცადა, რუსთაველის ენა დაემახინჯებინა (მაგ. „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბალნაროსა“, ასე გადააკეთა: „იგი წარჰხდების, სხვა მოვა ტურფასა საბალნაროსა“), მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მოახერხა.

„ვეფხისტყაოსანს“ რომ ვკითხულობ, შიში მიპყრობს და წერის ხალისი მეკარგება. მრცხვენია, რომ მწერლად „ვიხსენიები“.

რუსთაველი ენობრივი თვალსაზრისითაც ვირტუოზია.

ბრწყინვალედ ფლობენ ქართულს სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე...

ამჟამად, საერთოდ, მკითხველის ინტერესი მინელდა მწერლობისადმი.

რედაქტორი

**მერაბ ცაგარეიშვილი**

კომპიუტერული  
უზრუნველყოფა

**მავრა ბანცური**  
**ციალა ძიმისტარიშვილი**

© რევაზ მიშველაძე, **რჩეული თხზულებანი ოცდახუთი ტომად**

© **გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“**, თბილისი, 2013

მისამართი: თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. №27

რაც შეეხება მწერალს, ჭეშმარიტი მწერალი არ შეიძლება „სალიტერატურო ენისადმი ინტერესს“ ანელებდეს. ენა მისი უპირველესი იარაღია და ნიადაგ იმის ცდაში უნდა იყოს, როგორ გააფხავოს ეს იარაღი.

მე თვით ვარ მონმე, როგორ წვალობდა კონსტანტინე ლორთქიფანიძე სტილის დახვეწაზე. განუწყვეტლივ ეძებდა „იმ ერთადერთს“, გიჟდებოდა ერთი პროზაიკოსის სტილზე; ეს ოჯახაშენებელი ერთი სიტყვის მაგივრად ოც სიტყვას წერსო.

ახალგაზრდა რომ ვიყავი, ერთ წერილში გატკბილებულად, გრძლად, მოსაწყენად წერის „ხელოვნება“ გავაკრიტიკე. ერთი მწერლის ასეთი ფრაზა მოვიტანე: „სასადილოში ადამიანები აქა-იქ შემოსხდომოდნენ მაგიდებს და თავთავიანთ კერძებს შეექცეოდნენ“. მწერალი ასე არ უნდა წერდეს-მეთქი, სასადილოში მაგიდებს მხოლოდ ადამიანები უსხედან და სწორედ რომ თავიანთ (და არა სხვის) კერძებს შეექცევიან-მეთქი. ასე რომ, ეს გრძელი წინადადება სამი სიტყვით უნდა დაწერილიყო – „სასადილოში ხალვათობა იყო“-მეთქი.

ჭეშმარიტი მწერალი თვით ჰქმნის თავის ენობრივ სტილს და აქედან გამომდინარე, მისი წერის მანერაც და ლექსიკაც სწორედ რომ მისეულია. დღეს პოლიგლოტებისა და სიტყვათა საშიში სესხება-გასესხების, თუ მეცნიერულ-ტექნიკური რევიოლუციის გამო უამრავი ნეოლოგიზმის გაჩენის ეპოქაში, რა თქმა უნდა, აუცილებელია, დასხდნენ ჭკუადაძვდარი მეცნიერები და ენის ნორმა-წესები დაადგინონ. ოღონდ, ეს უნდა გაკეთდეს უაღრესად ფაქიზად და დელიკატურად. ენა ძალდატანებას, ტლანქ დამოკიდებულებას ვერ იტანს. დღეს, მაგალითად, მკაცრი „სტილისტი“ იმერიზმად მიიჩნევს სიტყვას „გამოსულარიან“, ესაო კუთხურ-პროვინციალურია და უფრო სწორია „გამოსულანო“, განა „გამოსულ არიან“ უძველესი ქართული „გამოსრულ არიან“ არ არის და „გამოსულან“ სწორედ მისგან არ წარმოსდგა? უნაპირო „ენობრივი თავისუფლების“ წინააღმდეგი ვარ. რაც იუპიტერს ეპატიება, ხარს არ შეშვების. ვაჟას ჰქონდა უფლება, ფშავერი დიალექტი უხვად შემოეშვა თავის სწორუპოვარ შემოქმედებაში, სხვამ კეთილი უნდა ინებოს და სალიტერატურო ქართულის ნორმები შეძლებისდაგვარად დაიცვას.

ენის ბატონ-პატრონი ერია, ენის მეზარაზტრე და რჯულმდებელი მწერალია, ხოლო ენის კანონების მჩხრეკელ-დამდგენელი – მეცნიერი. რუსთაველი, ილია და გამსახურდია ენის რეფორმატორები არიან. მერე მოდის მეცნიერი და ამბობს: ამ სულკურთხეულებმა ენის რეფორმა მოახდინესო.

არ დავმაღავ, ჩემთვის მიუღებელია ოთარ ჩხეიძის, ეთერ თათარაიძის და გურამ დოჩანაშვილის ენობრივი პოზიცია (ამ უკანასკნელმა „სტილის ძიების“ გზაზე ერთ დროს ძალიან „გაუტია“, მაგრამ მალე მოეგო გონს, თუმცა ამ ბოლო დროს მაინც ნაკლები პასუხისმგებლობით ეკიდება ენას).

ქართული სალიტერატურო ენის მოვლა-პატრონობაში მწერალი უმთავრეს როლს ასრულებს. მე ჩემს უმრწემეს მეგობრებს ყოველთვის მოუწოდებ – მეტი იმუშაონ ფრაზაზე, ფასი დასდონ, „კბილი გაუსინჯონ“ ყოველ სიტყვას.

მე იმერელი გახლავართ, მაგრამ ვინმემ „ქუთაისელი მწერალი“ რომ მიწოდოს, ქვას ვესვრი. თუ წაგიკითხავთ ჩემი ნოველები, შეამჩნევთ, რომ ჩემი პერსონაჟები კახურადაც უქცევენ, ქართლურადაც... და, თქვენ წარმოიდგინეთ, ფერეიდნულ ან ინგილოურ კილოზეც. მაგიდაზე მიდევს დიალექტთა ლექსიკონები – ისინი ჩემი სამაგიდო წიგნებია.

მარტო ლექსიკონებზე როდი გახლავართ მიჯაჭვული. სადაც უნდა ვიყო, ჩემი მოსაუბრის ლექსიკას ვაკვირდები და, თუ რასმე საგულისხმოს მოვკარი ყური, მაშინვე უბის წიგნაკში ვიწერ, გარდა ამისა, მე თვითონვე ვქმნი კომპოზიტებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ახალ სიტყვებსაც. არ ვიცი, რამდენად გაიკაფავენ ისინი გზას. ახლახან პროფესორმა თენგიზ სანიკიძემ გამოსცა ჩემთვის უაღრესად სასიხარულო წიგნი „რევაზ მიშველაძის ენის ლექსიკა“. ბ-ნ თენგიზს ჩემს ნაწერებში 2000 (ორი ათასი) ისეთი სიტყვა აღმოუჩენია, „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ (რვატომეული) რომ არ არის შეტანილი.

კ. გამსახურდია წერდა: „ჩვენი კრიტიკა უგულვებელყოფს ხშირად არა მარტო სტილისტურსა და ენობრივ მომენტებს მწერლის შემოქმედებისას, იგი თვით იმის განსჯაში არ შედის, თუ რამდენად არღვევს ესა თუ ის მწერალი ქართული ენის ელემენტარულ ნორმებსა და სწორ წერას“.

ვთვლი, რომ კლასიკოსის პრეტენზია კრიტიკის მიმართ სწორია, ოღონდ კრიტიკა მარტო ენობრივ „დარღვევებზე“ კი არ უნდა მიგვითითებდეს, იმასაც უნდა აღნიშნავდეს, რა სიახლე შეიტანა ამა თუ იმ მწერალმა ენის განვითარებაში.

დღეს ძალიან უჭირს ჩვენი ჟურნალისტიკის ენას. გაზეთების სტილი თითქმის აუტანელია. შთაბეჭდილება მრჩება, რომ კორექტორები, სტილისტები ამ უაღრესად კეთილშობილი სამსახურის წარმომადგენლები, საერთოდ, გაჰქრნენ რედაქციებიდან.

თუ ვინმე რყვნის ახლა ქართულს, სწორედ რომ გაზეთები ჰრყვნიან (რა თქმა უნდა, ყველა გაზეთზე არ მოგახსენებთ).

იარსებებს თუ არა ქართველი ერი, უპირველესად იმაზეა დამოკიდებული, იარსებებს თუ არა ქართული ენა.

დღეს მსოფლიოში 15 ათასამდე ენაა, როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, ყოველ 50 წელიწადში საშუალოდ თითო ენა ქრება. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ენაზე მოლაპარაკე ერი სტოვებს ისტორიის ასპარეზს; ან გადაშენდება, ან სხვა ერს შეერწყმება, ანუ სხვა ერში გაითქვიფება.

უღმობელი ურბანისტური ეპოქა და გლობალიზაციის მსახვრალი ხელი უპირველესად მცირერიცხოვან ერებს გასწირავს ხოლმე სასიკვდილოდ.

ჩვენ მცირერიცხოვანი, მაგრამ უძველესი კულტურის მქონე, უაღრესად თვითმყოფადი ერი ვართ.

მსოფლიო ისტორიის ყველაზე დიდი უსამართლობა იქნება, შოთა რუსთაველის დამბადებელ ერს, „ვეფხისტყაოსნის“ ენას რომ გაქრობის საფრთხე დაემუქროს.

ყველანი, ერიცა და ბერიც, დავირაზმით ქართული ენის დასაცავად. შეურყევლად დავდგეთ ქართული ენის საგუშაგოზე.

## პოეზიის ეკლიან სარეცელზე

გასული საუკუნის სამოციანი წლები ლიტერატურის ისტორიაში ორი ნიშნით დამკვიდრდა: ჯერ ერთი, მოვიდა ახალი, თვითმყოფადი თაობა, რომელმაც თან მოიტანა ორიგინალური მსოფლხედვა, მეორეც, თითქოს წუთისოფლის ზარმა დარეკაო, რიგრიგობით გაიკრიფნენ სააქაოდან საუკუნის ლიტერატურული მამები: გალაკტიონი, შალვა დადიანი, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე... მოგვიანებით კონსტანტინე გამსახურდია.

სიცოცხლის მიმწუხრს წითელი ხელისუფლების მიერ „დაუთოვებული“ ეს გამოჩენილი მწერლები დამცხრალის, ცხოვრებასთან შეგუებულის შთაბეჭდილებას სტოვებდნენ.

სალიტერატურო კრიტიკა თითო-ოროლა კონიუნქტურული თხზულების საპარადო აფრიალებით დაუზოგავად აცხადებდა ზემოთ ჩამოთვლილთ საბჭოთა პოეზიის, პროზის თუ დრამატურგიის პიონერებად, კომუნისტური წყობილების მომღერლებად, ახალი ადამიანის სულის გამომჭედელ-გამომჩარხველებად.

სინამდვილეში ჭეშმარიტ ქართველ მწერალთა განვლილ გზაზე დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა ახალი დროის მიერ უხვად მოტ-

ანილ „სისხლსა და ცხედრებს“, ურვა-კვნესას თავისუფლებანართმეული სამშობლოს გამო, ათასი ლიტერატურული სკოლაიზმის გამოგონებას, რათა საბჭოური ესთეტიკის პროკრუსტეს სარეცელს როგორმე არიდებოდნენ.

დღეს, როცა გარდასულთა ლიტერატურულ არქივებში თავისუფლად ვიქექებით და აღარც მეოცე საუკუნის ლიტერატურული პანორამის შეცვლა-შელამაზებას გვავალებს ვინმე, დიამეტრალურად სანინალმდეგო სურათს ვღებულობთ იმისას, რაც ტენდენციურ საბჭოურ ლიტერატურათმცოდნეობაში თითქმის დაკანონებული იყო.

სათითაოდ და ყველა ერთად, ვისაც ბოლშევიკთა პარპაშის დროს სამწერლო ტვირთის ტარება არგუნა ბუნებამ, ფარული თუ აშკარა დისიდენტი იყო. წერდა და თავის ლიტერატურულ სკივრში ალაგებდა კომუნისტური რეჟიმისადმი აშკარა პროტესტით დამუხტულ სტრიქონებს.

და, რაც მთავარია, ქართული ლიტერატურის ისტორიულ ხაზს ერთგულებდა იმ უმთავრეს საკითხში, რასაც დამპყრობლისადმი დაუმორჩილებლობა და სამშობლოს გათავისუფლებისთვის დაუცხრომელი ბრძოლა ჰქვია.

ამ წერილში იოსებ გრიშაშვილის სიცოცხლეში გამოუქვეყნებელ ლექსებს შევეხებით. ეს ლექსები არქივში მოიძია და 1992 წელს ცალკე წიგნად გამოსცა ნოდარ გრიგორაშვილმა.

„დაუბეჭდავი ლექსების“ (გამომც. „ნობათი“, რედ. ზ. კალანდაძე) ნაკითხვა ერთხელ კიდევ გვარწმუნებს საბჭოთა ცენზურის და საგამომცემლო სისტემის სისასტიკეში. სოციალისტური ეპოქის დროს წიგნის ბაზარზე გამოსული პოეტური კრებულები იოსებ გრიშაშვილისა, ისეა „მონესრიგებული“, რომ არათუ არსებულით უკმაყოფილების, სინამდვილისადმი თუნდაც მცირეოდენი შენიშვნის კვალიც არ ეტყობა და ეს მაშინ, როცა „თბილისის ტრუბადური“ უჯრაში ინახავდა თავისი სულის ჭეშმარიტ ლირიკულ ანარეკლს, დამპყრობელთადმი ზიზლით გამსჭვალულ, მრისხანე პოეზიას.

1919 წელია. საქართველომ ერთი წელია, რაც დამოუკიდებლობის ქარტია ააფრიალა და მსოფლიოს სუვერენულ სახელმწიფოთა რიგში ჩადგომის სურვილი გამოთქვა. მართალია, საქართველოს გზებზე ხშირად შეხედებით მოკლემარვლიან და პლანტატორისქედოსან უცხოელ მისიონერებს და ქვეყანას მსოფლიოს საინვესტიციო ბანკები აშენებას ჰპირდებიან, მაგრამ არ სძინავს მოდერნიზებულ იმპერიას. ახლა უკვე „წითელი რუსეთი“ უპირებს საქართველოს ჩაყლაპვას და ასწვიდმეტნლოვანი მონობით განამებულ ჩვენს სამშობლოს დასაპყრობად ეღირება.

დღეს ჩვენს ირგვლივ ბნელმა ძალამ  
დარაზმა და დაამზადა  
ყველა რჯულის მოლაღატი,  
ვერაგი და არამზადა.  
ყველა მეთქი! ვისაც გულში  
არ უღვივის წმინდა გრძნობა,  
ვინც საკუთარ ტვინის ბოგირს  
ვერასოდეს დაეყრდნობა,  
და უნდათ, რომ საქართველო –  
ეს პატარა ნატვრისთვალი,  
კვლავ გახადონ სხვისი მონა,  
მორჩილი და შენამკრთალი...

ამ ლექსის სათაური გახლავთ „საქართველოს მტრებს“ და თარიღად სწორედ 1919 წელი უზის. ავი წინათგრძნობა სტანჯავს პოეტს და მისი საიმედორო განწყობილებაც მებრძოლურია:

არასოდეს! ვიდრე ზეცა  
აქ არ შეწყვეტს მზის ჩანჩქერებს,  
ვიდრე მტკვარი თავის ბუტბუტს  
არ მოსპობს და შეაჩერებს.  
ვიდრე ერთი ქართველიც კი  
სამშობლოსთვის ასე ზრუნავს,  
არ მოჰკვდება საქართველო,  
მაინც ბრუნავს... მაინც ბრუნავს...

(„საქართველოს მტრებს“)

დემოკრატიული საქართველოს არსებობას მძიმე ჟამი უდგას. ლენინი საქართველოს „გათავებდა“ ლაპარაკობს. მენშევიკური ხელისუფლება-სოციალ-დემოკრატიული იდეებით ძუძუნანოვი, გუშინ რომ ურუსეთოდ სიცოცხლე ვერ წარმოედგინა, დღეს კარგად ხედავს ვერაგი ჩრდილოელის „ძღვეამოსილ სვლას“ სამხრეთისაკენ. ისტორიის საათი ავისმომასწავლებლად გუგუნებს. საქართველოს მთავრობა ცდილობს, ბოლშევიკური ფასკუნჯის მადა ხან საკუთარი სხეულიდან მოჭრილი ტერიტორია-ლუკმებით დააცხროს, ხან ურთიერთთავდაუხსნებლობის (!) ხელშეკრულებით დრო გაიყვანოს. იქნებ მსოფლიოს ასპარეზზე ახალი „მაშველი“ ძალა გაჩნდეს, ან საქართველოს გადასარჩენად იმპერიის სათავეში მყოფმა „ქართველმა ბიჭებმა“ გამოიდონ თავი.

მაგრამ ჯერჯერობით ხსნა არსაიდან ჩანს, ხოლო 7 მაისის პაქტი ბენჯზე ჰკიდა, რაკი თავისა და კატის დაზავებას წააგავს.

ამ უთანასწორო დიპლომატიურ დემარშს, პოლიტიკურ ფარდად რომ ააფარა ხელისუფლებამ რუსეთ-საქართველოს დაძაბულ ვითარებას, იოსებ გრიშაშვილი მენშევიკურ მთავრობას ღალატად უთვლის:

რა გიჭირთ! ყველგან კარი გელემათ,  
რომ გაიმარჯვებთ ღალატით ჩვენზე!  
ნაიღებთ ახლა, რაც წაგელემათ,  
რომ კრამიტს არც კი დასტოვებთ სხვენზე.  
თქვენ ჯარს ვერ შეჰქმნით ამგვარ ბანდიდან,  
უმეთაუროდ, უწინამძღოლოდ.  
დღეს ყაზბეგამდე დარუბანდიდან  
თქვენდამი ზიზღი გუგუნებს მხოლოდ.  
...მაგრამ არ ვაქებ ხანას სასტიკსა,  
ვიტყვი ილიას ამ სიტყვებს მეცა,  
„რაც კარგი სურდეს რუსისა შტიკსა,  
ღმერთმა იმ რუსსვე მისცეს ასკეცად“.

(„რა გიჭირთ“, 20.VI.1920 წ.)

საბედისწერო ჟამმაც არ დაიგვიანა. რუსულმა ხიშტმა თავისი ქნა, თხუთმეტ თებერვალს ომის გამოუცხადებლად, 7 მაისის ხელშეკრულების ყველა პუნქტის აბსოლუტური იგნორირებით ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველოს თავისი სისასტიკით ცნობილი მეთერთმეტე არმია შემოუსია.

...იყო მთავრობის მიერ რუსეთის ამ ნაბიჯის აგრესიად გამოცხადება და მსოფლიოსთვის დროულად შეტყობინება სუვერენული სახელმწიფოს ხელყოფაზე (რაც არ გააკეთა საქართველოს ხელისუფლებამ, როცა 1993 წლის აგვისტო-სექტემბერში რუსეთის არმია XX საუკუნეში მეორედ დაესხა თავს საქართველოს და ამჯერად აფხაზეთ-სამაჩაბლო ნაჰგვარა).

...იყო ქვეყნის საომარი მობილიზება და ქართული მხედრობის თავგანწირული კვთება სამშობლოს დასაცავად.

...იყო იუნკრების სისხლით წითლად შეღებილი კოჯრის თოვლი და ძმათა საშველად მოფრენილი, ძმათა შორისვე მტრის ტყვიით განგმირული უნაზესი თეთრი გედი – მარო მაყაშვილი.

...იყო დაცემული თბილისი და დედაქალაქის გადასარჩენად მტრის ლაშქარს თეთრი ცხენით შეგებებული, სირცხვილისაგან წელში გამწყდარი „ცისფერყანწელთა“ მისია.

იყო ცხენის ფლოქვით გათელილი ქართული ეროვნული დროშები და თბილისის დამცველთა გვამებზე გადავლილი XI არმია, რომელსაც თბილისში რუსეთის ყოფილ ელჩთან პირნავარდნილ შოვინისტ კიროვთან ერთად ყაბალახიანი და განკეპილულვაშიანი, სამშობლოს გამყიდველი „იმერელი ბიჭი“ – სერგო ორჯონიკიძე მოუძღოდა.

ნითელი ფარშევანგებით გავსებულ, პირქვედამხობილ თბილისში სწორედ იმ დღეს, 1921 წლის 25 თებერვალს, როცა XI არმია თბილისში შემოვიდა და სერგო ორჯონიკიძემ ლენინ-სტალინს დეპუტით აცნობა, „თბილისის თავზე საბჭოთა ხელისუფლების დროშა ფრიალებსო“, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტი, იოსებ გრიშაშვილი, ყუმბარისებურ ლექსს სტყორცნის „ახალ ხელისუფლებას“. რაკილა ეს ლექსი ზემოთ ხსენებული კრებულის გარდა პოეტის არც ერთ სხვა ნიგნში არ შესულა, თავს ნებას მივცემ, იგი მთლიანად წარმოგიდგინოთ, როგორც ქართული პოეზიის მოქალაქეობრივი გაბედულების ბრწყინვალე ნიმუში:

მართალია, დღეს ეს ლექსი  
ბევრ კომუნისტს გააჯავრებს,  
მაგრამ მაინც თამამ სიტყვას  
მოვახსენებ ახალ მთავრებს.  
...თქვენ ამბობდით: საქართველომ  
რაც გინდ ბევრი გაიბრძოლოს,  
დიდ რუსეთის პროვინციად  
გადიქცევა მაინც ბოლოს!  
ჰა, აღსრულდა! თქვენ მოხვედით,  
ჩვენც მიგიღეთ ცრემლით ცხელით,  
მაგრამ ხალხი არ შეგინდობთ,  
რუსის ხიშტით შემოხვედით.  
განა ჩვენ აქ გვექონდა ტახტი,  
ან ზედ დავსვით ვინმე მეფედ,  
რომ ქართველთა წმინდა სისხლი  
დაღვარეთ და ააშხეფეთ?!  
განა ჩვენი არწივები  
გაურბოდნენ დროშას ნითელს,  
რომ დღეს ჩვენზე ახარხარებთ  
ყველა ბილწს და ყველა სკვითელს.  
ო, ჩვენ ისე შევეჩვიეთ  
ჩვენს მინა-წყალს, ჩვენს ერს, ჩვენს ხმას,

რომ ვერასდროს ვერ ავიტანთ  
გამარჯვებულ რუსის ჩექმას.  
ზეინაბად გადვიქცევით,  
გულს ჩავიკლავთ ალექმას შმაგურს  
და უსისხლოდ მტერს არ მივცემთ  
არც ერთ კუთხეს, არც ერთ აგურს.  
...მაგრამ თქვენში თუ ვიპოვით  
ჩვენზე კარგს და ჩვენზე ძლიერს,  
უანგარო მამულიშვილს,  
სასახელო ივერიელს;  
თუ დაიცავთ ჩვენი ერის  
სილამაზეს, ენას, დოვლათს,  
თუ ჩვენ ცხელ მზეს არ გარდაქმნით  
ჩრდილოეთის მსუსხავ თოვლად,  
თუ აღადგენთ საქართველოს  
ისტორიულ მთლიან ხაზად,  
მაშინ ჩვენს გულს, სულს, სიყვარულს  
ქვეშ დაგიფენთ ფიანდაზად.  
მაგრამ ვინმემ თუ გაბედა,  
რომ მოგვსპოს და გადაგვთელოს –  
ვიტყვი: მოკვდა საქართველო –  
გაუმარჯოს საქართველოს!

„ცხელ გულზე“ დანერილ ამ ლექსით ჭეშმარიტ მამულიშვილთა ურვა, ერის ჯანსაღი ნაწილის განწყობილებაა გამოთქმული. პოეტი ხაზს უსვამს ბოლშევიკთა „წინასწარმეტყველების“ სავალალო ახდომას, იგი სასტიკი და კატეგორიულია „რუსის ხიშტით“ შემოსული ხელისუფლების მიმართ და ლაპარაკობს იმ ხალხის სახელით, რომელიც ვერასოდეს აიტანს „გამარჯვებულ რუსის ჩექმას“. არის ამ ლექსში დროებით გამარჯვებულისადმი პირობისა თუ დავალების (გნებავთ, ულტიმატუმის) მიცემაც („თუ დაიცავთ ჩვენი ერის სილამაზეს, ენას, დოვლათს, თუ ჩვენს ცხელ მზეს არ გარდაქმნით ჩრდილოეთის მსუსხავ თოვლად ...“), მაგრამ ყველაზე ძლიერი სტრიქონებში ჩადებული შეურიგებლობის მუხბტია, ასე რომ სჭირდებოდა მაშინ თვისტომთა ლალაბით და „გაიძვერა მოყვრის“ ვერაგობით შეძრწუნებული ქართველის გულსა და გონებას:

...და უსისხლოდ მტერს არ მივცემთ  
არც ერთ კუთხეს, არც ერთ აგურს.

ბოლშევიკებმა სამშობლოს ყადრი არ იცოდნენ, თორემ ძალაუფლების მიტაცების და დრაკონული ხერხებით მისი შენარჩუნების ხელისუფლება ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი, გაგებულნი ჰქონდათ, რომ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე უნდა დათრგუნო და ალიკაპი ამოსდო მასათა განწყობილებაზე ზემოქმედების ყველაზე ქმედით საშუალებას – ლიტერატურას.

...და, ბუნებრივია, ახალი ხელისუფლება იოსებ გრიშაშვილს ამ მამხილებელი პათოსით გაჟღენთილ, სატევარივით გაშიშვლებულ ლექსს არ აპატიებდა. პოეტი დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს.

სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ პოეტებს მეტეხი ბედისწერად ექცათ. მეტეხის ციხეში ისხდნენ გულდამწვარი ოცდათორმეტიანელები, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეთქმული და იასე ფალავანდიშვილის ხელით უღვთოდ გაყიდული პოეტები ... მეტეხის ციხეში მიაბრძანეს „ხუმარას“ მოხუცი გამომცემელი, საქართველოს ბულბული – აკაკი წერეთელი, მეტეხის ხეხვა ხვდა წილად თავისი გმირი წინაპრების კვალზე მავალ „ხარფუხელ ფირუზას“ – იოსებ გრიშაშვილს, და, თუ არ ვცდები, სამიოდე წლის შემდეგ მეტეხშივე გაათევეინებენ ღამეს მგზნებარე გალაკტიონს; 1924 წლის შეთქმულებაზე დაწერილი პოემისათვის „მოგონებანი იმ დღეებისა, როცა იელვა“ (ეს პოემა „მნათობში“ დაიბეჭდა და „ფიზიკელმა“ ბოლშევიკებმა ჟურნალის მთელი ტირაჟი გაანადგურეს).

რკინის გისოსებზე ჩამოიმარცვლნენ ტანჯვის დღეები და საათები. ნუთუ ასე დარჩება საქართველო დაპყრობილი და დაჩოქებული, ნუთუ მსოფლიო შეეგუება წითელი ვეშაპის დაუოკებელ დგაფუნს კავკასიურ ოკეანეში? – ეს ფიქრები არ ასვენებს პოეტს და 1922 წლის 9 სექტემბერს ციხის საკანში იწერება სევდით და იმედით გამსჭვალული სტრიქონები:

იმღერეს დიდება! ლალები, ფარჩები,  
დარკინულ სარკმელზე იღვრება სამფერად.  
რა ვუყოთ, თუ ჩრდილოს ხორშაკმა დაჰბერა?  
ო, ჩემო ქვეყანავ, ასე არ დარჩები!  
სად მიჰყავთ ამდენი ჭაბუკი ნარჩევი?  
მალნარი აივსო ეკლით და ხნარცვითა,  
ახ, უცხო ყინულმა ჩვენი მზე გასცვითა,  
იყუჩე... იყუჩე... ასე არ დარჩები!  
ო, ჩემო ტფილისო, არც კვდები, არც რჩები.  
და გდინარ უძრავად საფლავის ლოდივით.

აჯანყდა სხეული ამდენი ლოდინით  
– იყუჩე, პოეტო, ასე არ დარჩები!  
და ვინც კი დახვრიტეთ, იცოდეთ, ის ტყვია  
ქართველებს გულებში სახსოვრად გვინყვია.

გაილია სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი ...დეკემბერი ინურება. ხსნა არსით არის. მეტეხის ბებერი კედლები, ციხის სარკმლიდან დანახული ნარიყალაღა ქცეულა პოეტის სამზერის არე – მასშტაბად, ხოლო ღამლამობით პატიმრის ყურს წვდება თავისუფლებანართმეული, პირქვედამხობილი ქვეყნის გმინვა. ხელისუფლებასთან ერთად ეროვნული ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა კარგა ხანია გაღმა გაცურა. პარიზის ქუჩებში დააბიჯებენ გულგასენილი ემიგრანტები და სალამობით შინდაბრუნებულნი თავიანთ უკიდევანო მწუხარებას სევდიანი ლექსებით გამოთქვამენ. საქართველოს ისტორიულ განძს გულმოდგინედ ფუთავს და ცერბერივით დარაჯობს ექვთიმე თაყაიშვილი, ხოლო დევნილი ხელისუფლების წარმომადგენლები საათობით სხედან ევროპელ მინისტრთა თუ პრემიერ-მინისტრთა მოსაცდელეებში, რათა ოფიციალურად განუცხადონ საქართველოში ბოლშევიკთა მიერ ჩადენილი ვანდალიზმის, კანონიერი ხელისუფლების დამხობის შესახებ. ევროპა-ამერიკაში ყველაფერი მშვენივრად იციან, მაგრამ ნოე ჟორდანიას მხოლოდ თანაგრძნობის ღიმბილს აგებებენ ისე, როგორც ღარიბ ნათესავს. ქმედითი დახმარების ხელს დასავლეთი არ გამოიღებს. ათი თავი არავისა აქვს. განითლებული რუსეთი ვერაგია და დაუნდობელი. მისი გაღიზიანება არ შეიძლება. ადრე თუ გვიან იგი დასავლეთისთვისაც მოიცლის (აკი მოიცალა კიდევ ორმოციანი წლების პარმალზე). უპორტფელო მინისტრები, უჯარო გენერლები, უმრევლო მთავრობა თვეში ორჯერ იკრიბება და „საქმიან“ სხდომებს ატარებს. სხდომებს ნოე ჟორდანიას გულშიჩამწვდომი, იმედია სიტყვით აგვირგვინებს, თუმცა ამ ოპტიმიზმისა არც თვით სჯერა და არც მისი მთავრობის წევრებს.

რაკილა ოცნება თავისუფლებაზე საზღვრებს მიღმა დარჩა, რაკილა ემიგრაციაშიღა შეიძლება შენს ფიქრებს უკალაპოტო, ცენზურის მარწუხებს არიდებული სადინარი მისცე, მეტეხის პატიმარსაც ქვეყნიდან გაქცევის სურვილი დაეუფლა.

აქ რა მინდა! აქ ყველაფერს  
პირუკუღმა სთხრიან, ჰყრიან...  
აქ მე ტირილს მიკრძალავენ,  
აქ მე სიტყვებს მიკორტნიან.

აქ რა მინდა, აქ როდესაც  
ჩამოინგრა ბურჯი ხიდის,  
აქ რასაც ვნერ, მეგობრებო,  
კალმის იქით ველარ მიდის.  
...ნავალ! ნავალ უცხო მხარეს,  
ამ სიტლანქეს დაუჩვევი,  
გამარჯვებას თუ ვერ ვნახავ,  
დამარცხებას გადვურჩები.  
აქ რა მინდა! აქ უაზროდ  
მინას ვტკეპნი, ჰაერს ვნაყავ,  
თავისუფალ საქართველოს  
უცხოეთში დავინახავ!

(„ნავალ, ნავალ“...)

მაგრამ ვით საქართველოს გათავისუფლებას რუსის მათრახ-ისაგან, არც ამ ოცნებას ეწერა ახდომა. პოეტმა თავის სამშობლოს უცხოეთიდან ვერ შემოხედა. 1923 წლის დასაწყისში გაათავისუფლეს იგი მეტეხის ციხიდან და შინიდან გაუსვლელიობის ხელწერილი ჩამო-ართვეს. ამასთანავე პირობა დაადებინეს, რომ ამიერიდან პოლიტი-კაში აღარ გაერეოდა და არა მარტო ხელისუფლების საწინააღმდეგო, საერთოდ, ცრემლგარეულ ლექსებსაც აღარ დაწერდა. შემოქმედების თემატიკაც მკაცრად განუსაზღვრეს – სოციალისტური აღმშენებ-ლობა და ბოლშევიკური სინამდვილის ხოტბა... და რაკილა პოეზია სატრფიალო მოტივის გარეშე წარმოუდგენელია, დიდსულოვნად დართეს ნება, შიგადაშიგ სასიყვარულო ლექსებიც ეწერა.

მიუხედავად ამ ზომებისა, ხელისუფლებამ იოსებ გრიშაშვილის პოეტური კასტრაცია ვერა და ვერ მოახერხა. იოსებ გრიშაშვილმა მეტეხის ციხე დატოვა, როგორც მეზრძოლმა და მოქალაქემ:

ძმათა საფლავზე ვიყავ პარასკევს,  
სადაც ისვენებს მოღლილი ჯარი.  
აი, გნერ მკვდართა ნალაპარაკევს;  
„დავკეცეთ დროშა, გავტეხეთ ჯვარი!“  
ბაგრატიონი და ფეიქრები?!  
არ მინდა ერი სხვა ერს მოებას,  
დახეულ ქუდით მოდის ფეიქრები,  
ოცნება საზღვრავს უსაზღვროებას.  
ძმაო, არ მინდა შენც დამაობლო –  
ჩემი ლექსები სხვის კარზე ჰქროდეს.

თუ პოეზიას არ აქვს სამშობლო  
პოეტს სამშობლო ხომ უნდა ჰქონდეს.

როცა გემი იძირება, კაპიტანი უკანასკნელ წერილს წერს და ბოთლს ატანს. ვინძლო, ოდესმე ვინმემ იპოვოს და წაიკითხოს. ლექსების ციკლს, რომელშიც ზემოთ მოტანილი სტრიქონებია, „წერი-ილები ბოთლში“ ჰქვია. იგი პირდაპირი პასუხია ერთა ათქვეფისა და პოეზიის უნაპირობის ბოლშევიკურ თეორიაზე, დილიდან სალა-მომდე რომ ყურს უხედნიდა ლიტერატურის მუშაკებს.

მოვიდა სახელოვანი 1924. საქართველომ დაიქუხა და რუსის აპურისაგან თავის დასაღწევად თავგანწირულად გაიბრძოლა. რა ერთსულოვანი იყო მაშინ ქვეყანა. საქართველოს ყოველ კუთხე-კუნჭულში იფეთქა აჯანყებამ და რომ არა გამცემთა სულნამცე-ცობა, ყველაფერი ერისთვის სასურველად წარიმართებოდა, მაგრამ შეთქმულება სავალალო შედეგით დამთავრდა. საქართველოს თავზე კიდევ ერთხელ დატრიალდა ცეცხლის კვერი, რუსმა კიდევ ერთი სისხლის კალო მოაწყო. დაუნდობლად გაჟლიტეს თავისუფლების მსურველნი. ციხეები პატიმრებს ველარ იტევდა, ყვირილას წითლად ლებავდა შორაპანთან ვაგონებში დახვრეტილთა სისხლი. სასწაუ-ლებრივად გადარჩენილმა მოთავეებმა კვლავ უცხოეთს მიაშურეს, ხოლო თავისი რაზმით ტყეებში დარბოდა და შეფიცულთა რიგებს ახალი წევრებით ავსებდა ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

იოსებ გრიშაშვილი 1924 წლის სექტემბერში საფლავთა შორის დადის სიბრაზისაგან ტუჩებგათეთრებული, საყელოანეული, გაოგ-ნებული და სასონარკვეთილი...

ო, ეს ცოდვა ვინა ზიდა?  
რა გინდოდათ, შორი გზიდან  
განა მისთვის ჩამოხვედით,  
რომ დაგვტანჯოთ რკინის ლვედით?  
რომ გასწყვიტოთ ხალხი ... ხალხი ...  
და ჩააცვათ მშობელს თაღბი?!  
ვინ ჩაგითვლით მოსაწონად.  
მინა ჰქონდეს ხალხს საწოლად ...“

მართალია, მინა ყველაფერს ფარავს, მაგრამ ერის მეხსიერება მტვრით არასოდეს იბინდება. 1924 წელს ჯალათთა მიერ დაღვრი-ლი სისხლი გადარეცხა წვიმამ, ქვეყანაში თითქოსდა მყუდროებამ დაისადგურა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ კეტიტ დამყარე-



ბული „მშვიდობა“, ხალხი თავისუფლების დაკარგვას ერთი დღითაც არ შეგუებია, სოციალისტური ეპოქისგან სისხლგამშრალი იოსებ გრიშაშვილი წერდა:

წურბელით სარგებლობას  
კარაბადინით მიხსნი...  
ძმაო, სადა მაქვს, მითხარ,  
გამოსაშვები სისხლი?  
დღეს გული აღარ გულობს,  
დღეს თვალი აღარ გიშრობს,  
მე ეს დროება, ძმაო,  
სისხლს უწურბელოდ მიშრობს.  
(„კოტოში“, 1926 წ.)

„გასაბჭოების“ შემდეგ საქართველოში დამკვიდრებულ ყოფას, ერის გარინდებას, ლიტერატურისთვის ცენზურის აპეურის ამოღებას და თავისუფალი თქმის ნების უფლების „წართმევის“ დრამატიზმს გამოხატავს 1927 წელს დაწერილი ლექსი „მე ისევ ის ვარ“:

მე ისევ ის ვარ! ლექსი კი – ტყვეა!  
არ გაგიგია? არ შეგიტყვია?  
არ ვიცი ახლა რა უნდა მერქვას,  
მე – ნედლ მასალას, მე – ცოცხალ მერქანს.  
კაცს გული ჰქონდეს ცის მაღლით სველი,  
იხილოს სივრცე დაუმწყემსველი,  
იყოს ჯანსაღი, იყოს ფხიანი,  
იცოდეს სიტყვა ვენახიანი,  
და არა ჰქონდეს ამის თქმის ნება!  
ამაზედ დიდი ტანჯვა იქნება?  
თავისუფლებავ! მითხარ, სადა ხარ?  
ფიქრსაც დაადვეს მძიმე ყადაღა.  
და აღარ არის არვის დანდობა,  
სიტყვის შენახვა, სულის განდობა.  
აღარ მასვენებს ხმა სამარიდან:  
„რად დაგვივიწყეთ? რამ გაგარინდათ?“  
ეს ცეცხლი გულში როგორ დავიქრო“ –  
ვფიქრობ და ვფიქრობ, ვფიქრობ და ვფიქრობ.  
რამდენჯერ უნდა დამარტყან ტყვია?  
მე ისევ ის ვარ! ლექსი კი – ტყვეა.

ქვეყანა გამოიცვალა. „ხელმსუბუქი“ პოეტები ბოლშევიკების სამსახურში ჩადგნენ. ხელისუფლება ცდილობს, „დაბნეულ მწერლებს“ და „თანამგზავრებს“ მარქსისტული ქურქი ჩამოაცვას და ყველა ერთად მწერალთა ახლებურ ოჯახში შერეკოს. ამ ნიშნით ტარდება ქართველ მწერალთა პირველი და მეორე ყრილობები, სახელოვანი სამოციანელები აღარ არიან ცოცხალთა შორის. სახელოვანი, ეროვნული მწერლები: დავით კლდიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, ვასილ ბარნოვი, შიო არაგვისპირელი... რუსის ხიშტით მოსულ ხელისუფლებას ბოიკოტს უცხადებენ და თითქმის აღარაფერს სწერენ. კონსტანტინე გამსახურდია გადასახლებულია და სოლოვკის კუნძულებზე იხდის სასჯელს. თითქოსდა ხალხი დაღალა რევოლუციებმა. ერი უიმედობამ, აპათიამ შეიპყრო. პოეტს ასეთ ვითარებაში სრულიად ბუნებრივი მარტოობის განცდა ეუფლება:

მე კი არვინ მყავს! დავდივარ მარტო,  
შეცვქერი თბილისს ცრემლებით ნამულს  
და არვინ იცის, თუ როგორ ვნატრობ;  
თავისუფლებას, ლექსსა და მამულს.  
(„კრწანისის ალაყაფიდან“)

იოსებ გრიშაშვილის ლირიკული გმირი უცხოეთში გადახვეწილ თანამებრძოლებსაც ხშირად იგონებს და ეხმიანება:

... და არც მართლები! არც მტყუანები!  
გაჩნდა სხვა ხალხი რაღაც სავენებო,  
პოლიტიკური დონყუანები,  
სწყვეტენ ერის ბედს, ძვირფასო ძმებო!  
ნუთუ ასეა ქართლის ბუნება,  
ნუთუ მონა ვართ, ყმა და ფარეში,  
ნუთუ ტფილისში დაუბრუნებლად  
დაიხოცებით უცხო მხარეში?!

როდესაც რკინის ხელისუფლება მწერლებს საბჭოური იდეები-სადმი ერთგულებაზე ძალით აფიცებდა, როდესაც გუშინდელი „პროლეტარი-მანანალა“ მაქსიმ გორკი ქართველ მწერლებს „მპყრობელივით დასცქეროდა“ იმ ქვეყნებში, სადაც მისი ლიტერატურული აკვანი დაირწა, როდესაც საიდუმლო სამსახურები თავისუფალი ფიქრის უფლებასაც არ იძლეოდნენ, იოსებ გრიშაშვილი წერდა:

მნამს საქართველოს შავზნელი ღამე  
წინ დაგვიხვდება თეთრად ნანათი,  
ვინ დაგვაძინებს წითელი შხამით  
და ბოლშევიკურ იავნანათი?

(1932 წ.)

ხაზგასასმელი სწორედ ის არის, რომ პოეტის ამგვარი განწყობილება ეპიზოდური როდი გახლავთ. იგი ათწლეულების მანძილზე გრძელდება და ზოგჯერ ასეთ მუამბოხურ-ოპტიმისტურ სტრიქონებად ჩამოიქნება:

უნდა გაირღვეს ეს ჯვები, მალე, სულ მალე  
უნდა ველოდოთ დიად ტალღას, მოვარდნილ ტალღას.  
თან გაიყოლებს დაჩირქებულ შხამსა და ბალღამს  
და გულს მონყდება სიმძიმისი და სივალღაღე.  
უკვე ლექსს ისხამს წარბშეკრული ჩემი კრებულის,  
უკვე ყისმათმა ჩარხი ჩვენსკენ შეატრიაღა,  
უკვე დამწიფდა საქართველოს ტანზე იარა,  
როგორც ეს თუთა დასაბერტყად გამზადებული.  
(„ლექსი თუთის ხის ქვეშ“)

\* \* \*

საოცარია ადამიანის ბედი საერთოდ და განსაკუთრებით შემოქმედისა.

სამოციან წლებში იოსებ გრიშაშვილს სოციალისტური აღმშენებლობის მომღერალს, თბილისის მგოსანს და სიყვარულის ტრუბადურს ეძახდნენ.

ნაცრისფერშლაპიანი, აკადემიკოსისნიშნოსანი, მაკენტოჟისპლაშიანი, ხელნიგნიანი პოეტი მეც ხშირად შემხვედრია რუსთაველზე და „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქციაში.

„ძია სოსოს“ სწორედ მაშინ მიაკითხავდნენ, როცა გაზეთს „იდეური“ ლექსი დაჭირდებოდა, ან სახალხო პოეტს ოპერის თეატრში „ლექსი უნდა ეტყორცნა“ რომელიმე კომუნისტი ფუნქციონერისთვის.

კომკავშირლები საპატიო კომკავშირლად თვლიდნენ, ხშირად პიონერთა სასახლეში ინვედნენ პატარა ბოლშევიკები და წითელ ყელსახვევს უკეთებდნენ.

... და ძალიან ცოტამ თუ იცოდა მაშინ საქართველოში, რომ ჭეშმარიტი პოეტის უჯრაში სწორედ ის ფეთქებადი ლექსები ინახებოდა, რომელ ლექსებზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

... რომ პოეტს ჭირივით სძულდა წითელი ხელისუფლება და ის ავადსახსენებელი წყობა, მისი სამშობლო, სულ მცირე, სამოცდაათი წლით მაინც რომ დააჩოქა.

## პრიგოლ რობაქიძის პოეზია

კომუნისტური ტირანიის დროს, განსაკუთრებით ორმოციან, ორმოცდაათიან წლებში, ფანჯრის დარაბებს რომ მივკეტავდი და უცხო ტალღის მოსასმენად რადიოს შემოვუსხდებოდი, საბჭოური ხმის ჩახშობის ბრდღენვა-ღრჭიაღში ზოგჯერ გამოაღწევდა ხოლმე „თავისუფლების“ დიქტორის ნათქვამი: „დღეს ჩვენი სტუმარია გრიგოლ რობაქიძე!“ შიშითა და მოკრძაღებით გავირინდგავისუსებოდი. შიშით იმიტომ, რომ გრიგოლ რობაქიძის სახელის ხსენებაც კი აკრძაღული გვექონდა, მოკრძაღებით – იმიტომ, რომ მისი მხოლოდ და მხოლოდ „გველის პერანგი“ ნაგვეკითხა მალულად, ყვეღაზე საიმედო კაცის ხელით მონვდილი, გაზეთშემოხვეული, გაცრეცილი, ყვითელი წიგნი. მეტი არაფერი ვიცოდი გრიგოლ რობაქიძისა და იგი ჩვენს თვალში საიდუმლოებით მოცული, ლეგენდარული კაცი იყო, „საბჭოთა სამოთხიდან“ გაქცეული და თავისი სამშობლოსთვის ნიადაგ მლოცველი.

რადიორეპროდუქტორში გაისმოდა გრიგოლ რობაქიძის მომწუსხველი, ბოხი ხმა. იგი აკაკი ხორავას ხმას ნაავავდა და „ოტელოს“ ინტონაციებსაც კი ვიჭერდით ტრაგიკული ქართველის ოკეანისმიღმურ დაძახიღში – „ქართველნო!“

რა ერქვა გრიგოლ რობაქიძის რადიომიმართვებს? „რა უნდა აგონდებოღეს ქართველს“, „მიმართვა ახალგაზრდობისადმი“, „მიმართვა ქართველ ხალხს“, „სულის დაშღა“, „მიმართვა ქართველ მწერლებს“...

რაზე ნუხდა, რაზე ჰგოდებდა, რას მოუნოდებდა მშობლიურ ერს საქართველოს ეს დაღვრემიღი ჭირისუფაღი?

ბოლშევიზმის დემონურ ძაღას ქედი არ მოუხაროთო, „ადამიანი მხოლოდ მაშინაა ადამიანი, როცა თავის უფაღიაო“, ვიცი, „საბჭოეთში კაცს შიშის გამო მოსვენებით ვერ დაუძინია“, მაგრამ ქართული ამაყი ჯიშის ყვიღს, ქართულ გენს გაუფრთხიღდით, მსოფლიოში ქართული კულტურის დიდი წვლიღი გაითავისეთ და როგორმე გასძეღითო. ქართველო მწერლებო, თავი ანებეთ პარტიის კარნახით წერასო, არ ეკადრებათ გამსახურდიას და ლეონიძეს ბეღადის ხოტბა

და ვერც გრიშაშვილს მოვუნონებ ბერიაზე ლექსის გამანშალებასო.

შენყებოდა ნახევარსაათიანი ქართული სიტყვა რადიოთავისუფლებისა და შეთქმულებივით გამოვდიოდით ქუჩაში. თითქოსდა, დიდს რასმე საიდუმლოს ვატარებდით გულით. გრიგოლ რობაქიძემ ჩვენ მოგვმართა – ქართველ ახალგაზრდებს, ჩვენ დაგვმოძღვრა. ჩვენ უკვე საიდუმლო გვექონდა. ერთმანეთსაც არ ვუშხვლდით, რომ სხვებსაც მოესმინა მიუხეხიდან გრიგოლ რობაქიძის მთრთოლვარე სიტყვა.

დრო გადიოდა. იმპერია ცვდებოდა. ჰაერში საქართველოს თავისუფლების სუნი ტრიალებდა და დღითიდღე უფრო და უფრო ახლოს მოდიოდა ჩვენთან ტანჯული ემიგრაციის სახელოვან შვილთა საქმე და სახელი: გრიგოლ რობაქიძე, ვიქტორ ნოზაძე, მისაკო წერეთელი, გიორგი გამყრელიძე, ილია კუჭუხიძე, პაპავები, კარლო ინასარიძე, გიორგი ყიფიანი, შალვა ამირეჯიბი, სალიები.

იმპერიის ნაწილობრივ დაშლას გრიგოლ რობაქიძე ვერ მოესწრო.

1962 წლის 19 ნოემბერს გარდაიცვალა იგი ყენევაში ლამის უპატრონოდ, მარტოხელა, ბედისაგან დევნილი, მოხუცი, მაგრამ ამაყი და ქედმოუხრელი ბოლომდე.

მერე, როცა კვლავ გვეღირსა მეოცე საუკუნეში სამწლიანი დამოუკიდებლობა, გრიგოლ რობაქიძე მთელი სისრულით წარმოსდგა ქართული ლიტერატურის კაბადონზე.

ხელახლა დაიბეჭდა მისი თხზულებანი, ითარგმნა გერმანულ ენაზე დაწერილი ნაწარმოებებიც.

რასაკვირველია, „აკრძალული ხილის“ სინდრომმა თავისი ჰქმნა. ნებადართული გრიგოლ რობაქიძე აკრძალულ გრიგოლ რობაქიძესთან შედარებით რამდენადმე სხვა თვალთ დავინახეთ, რაკილა რეალური პროფილით მოგვევლინა. მოლოდინის ეიფორიამ გაგვიარა და ახლა საშუალება გვაქვს, ეს მშვენიერი ქართველი მწერალი ლიტერატურისმცოდნის საზომებით „ახლოით განვჩხრიკოთ“ და თავისი ადგილი მივუჩინოთ ქართული მწერლობის ისტორიაში.

რა განაპირობებს გრიგოლ რობაქიძის ორიგინალურ, განუმეორებელ როლს ჩვენი კულტურის წიაღში?

უპირველეს ყოვლისა, მოვლენებისადმი არტისტიკული, რომანტიკული დამოკიდებულება, განუწყვეტელი ჭიდილი ქართულ სიტყვასთან, თითოეული სიტყვის სუნის და გემოს გასინჯვასთან ერთად მისი ფონეტიკური დანაწევრებაც, ფუძის ძიება სემანტიკურ-ისტორიულ ფესვთა აღმოსაჩენად, განსაცვიფრებელი ეროვნული სიამაყე, რომელსაც მე სრულიად ვეთანხმები, მაგრამ „რაფინირე-

ბულ“ ევროპელს შეიძლება, ზოგჯერ პიროვნულად მოეჩვენოს, და გაუბზარავი, შეუცვლელი რწმენა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პატრიოტისა.

გრიგოლ რობაქიძემ და მისმა რაზმმა ირწმუნეს, რომ ბოლო ორი საუკუნის მანძილზე საქართველოს ყველაზე დიდი მტერი, მისი დამონებელ-დამპყრობელი რუსეთია და საქართველოს რუსეთისაგან ხსნის ისტორიულ გზაზე ყოველგვარი კომპრომისი დაუშვებელია.

გრიგოლ რობაქიძე წერდა რომანებს, მოთხრობებს, ლექსებს, პიესებს, ნარკვევებს, ესეებს, ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს და მეოცე საუკუნის ათიანი წლებიდან მოკიდებული, სანამ „სამშობლოს მოლაღატედ“ და „ხალხის მტრად“ გამოაცხადებდნენ, ქართული მწერლობის ავანგარდში იდგა. მის შემოქმედებაში საოცრად შენივთდა-შედუღაბდა და მონოლითურ ლიტერატურულ ფენომენად ჩამოყალიბდა ნაციონალიზმით ლიბოგამაგრებული მოდერნიზმი. ლიტერატურული მოდა ფორმაში, ხოლო შინაარსში კი – ილია ჭავჭავაძის ხაზის ერთგულება, ქართველი მწერლის ტრადიციული სათქმელის გამოხატვა.

„გველის პერანგის“ ავტორის ლიტერატურული დებიუტი ლექსით შედგა და ჩვენც ყენეველი მწირის შემოქმედების ურთულეს ლაბირინთში შეღწევა მის ლექსებზე საუბრით დავინწყით.

გრიგოლ რობაქიძის ლექსები ათიან-ოციანი წლების ლიტერატურულ პერიოდიკაში და ოცდაათიანი წლებიდან ქართულ ემიგრანტულ გამოცემებშია მიმოხეული. როგორც ჩანს, ლექსს ეს საკმაოდ ხელხვაიანი მწერალი იშვიათად მიმართავდა. ქართულად გრიგოლ რობაქიძის ლექსები ორ ათეულს ძლივს აღემატება, რამდენიმე ლექსი გერმანულადაც დაუნერია (მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა „ჰაინე და ორფეოსი“, „მომაკვდავი არწივი“, „ჟანა დარკი“, „ელვანაკრავი“ ...). ეს არის სულ.

ამ დროს უკვე ქართველი მკითხველის გონებას ლამის ერთბაშად იპყრობს და მეოცე საუკუნის მოქალაქის სულის კვლევაში სასწაულებს აღწევს გალაკტიონ ტაბიძე, ამ დროს კვლავ მძლავრად გაისმის ვაჟასა და აკაკის ომახიანი პოეზიის ექო და მაინც კრიტიკოსები გრიგოლ რობაქიძეს იშვიათად როდი ახსენებენ, ქართველი სიმბოლისტები მას თავიანთი „ცისფერი ორდენის“ წევრად თვლიან და ჟურნალ „ცისფერი ყანების“ პირველსავე ნომერში კარს ფართოდ უღებენ. მოგვიანებით გრიგოლ რობაქიძე დაწერს: „მე ვიყავ ყანწელებთან“ მხოლოდ, როგორც მეგობარი უფროსი, დამხმარე და წამახალისებელი. ხაზს ვუსვამ „მხოლოდ“ რისთვის? რათა აღვნიშნო,

რომ ჩემს შემოქმედებაში იყო გულგებულ „სიმბოლოსთან“ ერთად „მითოსიც“.

„სიმბოლოს“ და „მითოსს“ გრიგოლ რობაქიძე არა მარტო თავისი პოეზიის, საერთოდ, თავისი შემოქმედების უმთავრეს ნიშნად მიიჩნევს და წერილში, „სათავენი ჩემი შემოქმედებისა“, გარკვევით აცხადებს: „ვისაც „სიმბოლო“ და „მითოსი“ არ ესმის, იგი ჩემს შემოქმედებას ვერ გაიგებს. იქვე გარკვევისათვის დასძენს: ჩვენში დღემდე ვერ განუხსნავებიათ „სიმბოლური“ „სიმბოლისტურისაგან“, – სამწუხაროდ. პოეზია სიმბოლურია იმთავითვე. არასიმბოლური პოეზია ქვეყანაზე არ ყოფილა და არც იქნება“.

„წმინდა ნინოს“ – ასე ჰქვია გრიგოლ რობაქიძის ერთ ფრიად გახმაურებულ ლექსს, რომელშიც არა მარტო პოეტის მსოფლგანცდაა გამოხატული, მისი პოეტური ხელნერის ტიპური თვისებებიც ლამის სრულად შეიცნობა. „წმინდა ნინოს“ 1923 წელსაა დაწერილი. ახალგადავლილია 1921 წლის ომის გრიგალი. საქართველო ოკუპირებულია ვერაგი დამპყრობელის მიერ. ჭეშმარიტი ქართველი ბოლშის ცრემლს ყლაპავს და თან საყოველთაო ეროვნული ამბოხებისთვის ემზადება. გრიგოლ რობაქიძე წმინდა ნინოს სახით საქართველოს იმედს ესაუბრება:

იცი – შენი ჯვარი ლხინია ლერწების,  
ტოტებს აიყრიან მეტი გახელებით,  
როცა გადასხლავენ სასტიკი სასხლავით,  
ქალწულო ნინო, ათასჯერ გვენახე,  
შენ გაალერსება დედული ვენახი.

რატომ მოისმის ამ, ერთი შეხედვით, რელიგიურ ლექსში ასე აშკარად ეროვნული რეკვიემი? რატომ უსვამს პოეტი ხაზს წმინდა ნინოსადმი მიძღვნილ, გარეგნულად უხმაურო ლექსში იმ გარემოებას, რომ ქართული ვაზი, ნინოს ჯვარი „მეტი გახელებით“ სწორედ მაშინ აიყრის ყლორტებს, „როცა გადასხლავენ სასტიკი სასხლავით?“ ამის ახსნა ძნელი არ გახლავთ „გრაალის მცველის“ ავტორის იმდროინდელი განწყობილებიდან გამომდინარე.

ლექსში სხვა ადგილზეც გამოსჭვივის საქართველოს ვერდაჩოქების პოეტისეული პოზიცია:

შორითგან გიყურებს, ავს რომ აგამოროს,  
ხმალამოლებული მზევაჟი ლაშარი.

ის არის ივერის მცველი და მზვერაგი  
და ჯვარსა ვაზისას ნაართმევს ვერავინ.

ლექსი ლოცვით მთავრდება:

დაო და დედაო,  
ღვთისშობლის დობილო,  
ვართ შენზე დანდობილი  
და შენი შენდობით  
არ გადავშენდებით.

მაღალგემოვნებიან მკითხველს, შეიძლება, ყური მოჰქრას ლექსის ფინალის მხატვრულმა უხერხულობამ („შენდობით“, „არ გადავშენდებით“, ორი ზმნის მუსიკალურმა ახლოს ყოფნამ), მაგრამ სხვა მხრივ ლექსი მოქალაქეობრივი გაბედულების ნიმუშია. „წმინდა ნინოს“ რელიგიურ-ეროვნულ იერსახეს პოეტი გაძღვების სიმბოლოდ სახავს და მტარვალთა ზრახვებს უპირისპირებს. „სხვა როგორ ვიგულვოთ აქ შენი ნაცვალი!“ – მიმართავს პოეტი ვაზის ჯვრით საქართველოში შემოსულ წმინდანს და ეს სტრიქონი ლაიტმოტივად გასდევს მთელ ლექსს.

ვაზის ჯვარში ხედავს გრიგოლ რობაქიძე ქრისტიანობისა და ქართული ფენომენის ერთიანობას და სხვა, უცხო, თუნდაც ჯვრით მოსული, მის გულს არ ეკარება:

„არ გვინდა, დედაო, სხვა ჯვარი ბერწების,  
არ გვინდა სხვა მიწა და სხვა ნასახლევნი!“

ვიმეორებ, „წმინდა ნინოს“ იმ დროს დაინერა, როცა ბოლშევიკი ავაზაკები დიდ რუს ძმასთან საქართველოს ხელახლა ჩახუტების საზიზღარ სპექტაკლს თამაშობდნენ. ჩეკა გამადიდებელი შუშით უცქეროდა ლიტერატურას, ხომ არ ღვივისო სადმე ნაციონალიზმის ნაპერწკალი. ასეთ ვითარებაში ეროვნული თავისუფლების ღვთიურ ფიქრს არ სძინავს: გრიგოლ რობაქიძე წერს „წმინდა ნინოს“ იოსებ გრიშაშვილი, ერთი შეხედვით, პოლიტიკის გარეშე მდგარი, ჰამაკისა და გედის ყელის ტრუბადური იოსებ გრიშაშვილიც კი ისვრის ოკუპანტებისკენ მრისხანე ყუმბარას ლექსით „ახალ ხელისუფლებას“. ამას ჰქვია ერის გვერდით დგომა და არა იმას, ჟურნალისტს სურვილი რომ გაუჩნდება, ამ ძნელ დროში ხალხის საყვარელი პოეტი

გადაგარჩინოს. ეროვნული დაქუცმაცების პროტესტს რომ მოგიძებნის ადრეულ ლექსებში და შენ საქვეყნოდ რომ ხელს გაასავსავებ – ასეთი რამ ფიქრადაც არ მომსვლია და ნუ შემანუხებთო.

იმპერიათა ჭიდილში არამკითხველად განვეული, თავის საბრძოლო სამიზნეს, თავის კერას მოცილებული ქართველი კაცის გამოსარჩლება გრიგოლ რობაქიძის „ქართველი დედის წერილი ომში გაყვანილ შვილისადმი“.

„ეგება გცივა, შვილო, უცხო მხარეში  
ყინვებია, თურმე, მანდ ნამეტნავი.  
რომ ვიცოდე, თუა კიდევ, ნეტავი,  
ცხრათვალა მზე საქართველოს გარეშე“.

მოთქვამს ლექსის ლირიკული გმირი – ქართველი დედა, და ათასობით მის ბედში მყოფის, ძუძუგამშრალი, ლოდინით თვალებამოღამებული ქალის ურვას ეხმინება:

„ცრემლის დენით დაშრეტილი დედები  
ვეფინებით თმაგაშლილი ტყე-ველთა.  
საქართველოს მიწის საკურთხეველთან  
მიგვაქვს ურვა ძუძუდამშრალ მკერდებით“.

პატრიოტული ლირიკის ბრწყინვალე ნიმუშია გრიგოლ რობაქიძის ერთ-ერთი უკანასკნელი ლექსი „მშობელი მიწის მიმართ“. ეს ლექსი, ბუნებრივია, ემიგრაციაშია დაწერილი და ერთგვარი აღსარებაა თავისი შორეული სამშობლოს გასაგონად თქმული, პოეტის სულის ამონაკენესია, ნოსტალგიით შეპყრობილი სულისა.

აი, როგორ წარმოუდგენია ლექსის ლირიულ გმირს უცხოეთში თავისი მიუსაფარი ყოფნა:

დათუთქულ ლოცვას ძლივს იკავებს ობობას ქსელი.  
ღამურას შრიალს მოაქვს ჩუმიად დუმილი მწირის,  
ვხედავ კრეტსაბმელს: ლოკოკინა მილოღავს სველი  
და მეც ვით იგი გამომძვრალი ქურქიდან მცირე  
მოვთქვამ და ვტირი.

ამ ლექსით პოეტმა, თითქოსდა იწინასწარმეტყველა თავისი ეული აღსასრული სამშობლოს გარეთ და ღვთიურ წარმოსახვაში ის ქართველი ქალიც დალანდა, ობოლ ცრემლს რომ გაუყინავს თვალში პოეტის გახსენების კაემანი.

„შენ იცი მხოლოდ, მშობელი მიწავ, თუ რისთვის ვენთე“ – ამ სიტყვებით მიანდობს მშობელ მიწაზე მლოცველი ემიგრანტი მისი წვის დანახვა-შეფასებას მშობლიურ მიწას და შთამომავლობას. ინტიმურ-მედიტაციური ლექსი „მშობელი მიწის მიმართ“ დინამიურია, განწყობილების უშუალობა, ემიგრანტის სულის ტკივილთან დაკავშირებული – მას შინაგანი დრამატიზმით ტვირთავს და სულ-მოუთქმელად გაკითხებთ.

კარლო ინასარიძეს, რომელმაც 1984 წელს მიუნხენში გამოსცა გრიგოლ რობაქიძის ლექსებისა და წერილების მეტნაკლებად სრული კრებული, თავის წინასიტყვაობაში მოაქვს ერთი სტროფი პოეტის ზემოთ ხსენებული ლექსისა:

„მიდამო, მკვდარი, გარუჯული ლანდების კუთხე,  
ძველი საჯვარე, სურნელება დამწნარი დაფნის.  
სამარის სევდა, მოდუნება მლაშე და წუთხე,  
ობოლ ხატის წინ აცრემლილი სანთელი თაფლის“.

და ასეთ კომენტარს უკეთებს:

„აქ ყოველი სიტყვა, ყოველი წინადადება გარეგან-შინაგანი რიტმითა და ჰარმონიულობითაა გაჟღენთილი, ლაკონურად და ძუნწად ჩამოსხმული, რაც, თითქოს, მითიურ-რეალისტური სურათთა რიგია, რომელშიც ფორმის ფორმალური შინაარსი და შინაარსის შინაარსობრივი ფორმა ისე ორგანულადაა შესისხლხორცებული, რომ მკითხველი, თითქოს „დამწნარი დაფნის“ სურნელებასაც კი ყნოსავს, აქ სიტყვა უკვე სურათია, მისი პირველადი ფორმა; სხვა სიტყვებით: აქ საქმე გვაქვს არა „დაწერილ“, არამედ „ნათქვამ“, „მეტყველებით“, „სურათადქცეულ სიტყვასთან“.

გამორჩეული ადგილი უჭირავს გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში ორ ლექსს – „აქლემი“ და „ვასაკა“.

ათიანი წლების ბოლოს (1918-19) დაწერილ ამ ლექსებს ამკარად ეტყობა მოდერნისტული პოეზიის სუნთქვა. ქართული ლექსის ტრადიციულ თხრობითობას და მეტაფორულობას აქ ენაცვლება ექსპრესიონისტული დეპეშურობა და ზედსართავ-მიმღეობების ჩამოთვლით პორტრეტის შექმნა. პოეტს ამ შემთხვევაში მხოლოდ მოვლენის ხატი აინტერესებს. აღწერით, შტრიხებით ქმნის იგი სიმბოლურ სურათს იმისას, რაც პოეტური ხედვის ფოკუსში მოქცეულა ეს სურათი კი საოცრად მსუყე და შთამბეჭდავია. მაგალითად:

„აყუდებული, აყროყვილი, ორკუზიანი,  
ცხუნე სივრცეთა კომმარების უგვანო ბუში.  
ზაისასავით გამომწვარი ზანგელა ბურში,  
უცხო, უთვისო, მატანტალა შორიგზიანი.  
ამპარტავანი, ნელი, დინჯი, თავაზიანი,  
მოდუნებული მეოცნებე შორეთის მურში,  
მორცხვი კეკელა, მოალერსე, მუსუსი, მრუში,  
გახუნებული, მაგრამ მაინც მარად მზიანი...“

(„აქლემი“)

რა ფერებია, რა ზუსტი ბგერწერაა და საერთოს, აბსტრაქტულის გამორჩევის რა მაღალი მწერლის ნიჭი ჩანს. უნებლიედ მაგონდება ჩინგიზ აიტმატოვის მიერ დახატული აქლემი ამ რამდენიმე წლის წინათ გამოცემულ მის გახმაურებულ რომანში – „და დღე იყო უფრო დიდი წუთისოფელზე“.

ახლა ვნახოთ ბაყაყს – ვასაკას, როგორ ხატავს პოეტი:

უკარებელი, ზაფრიანი, ტანგატრუნული,  
ხავსისფერ კანზე მზის ხაოთი სქლად მონვეთილი.  
სოველში ცოცვით მკერდზე თეთრად გადაცვეთილი.  
რუმი, გვერდულა, ალმაცერა, ცქერაქურდული.  
თავისიანებს თავიძულვით ჩამონყვეტილი  
მუხისა წყლიან ფულუროში გადაბურდული.  
ქოსა, თვალკუსა, ლორწიანი, ცხვირგასუდრული,  
სოფლის ავიზნით ცხარე ტვინში ხშირად წყვეტილი.

(„ვასაკა“)

მხატვრული სახეებით მდიდარ, კომპოზიციურად მტკიცე ამ ლექსებში ახალი, არაორდინალური პოეზიის სიო ქრის და თუ ხედვის მანერას, ხატვის ფორმალურ მხარეს ჩავეძიებით, უსათუოდ მივალთ იქამდე, რატომაც თვლიდნენ გრიგოლ რობაქიძეს ავანგარდიზმისა და სიმბოლიზმის პირველ მერცხლად საქართველოში.

პოეტური ინტუიციის, წინასწარჭვრეტის ნიმუშია გრიგოლ რობაქიძის ლექსი „გერა (პაოლო იამვილის დოგის მოგონება მაისში)“.

ლექსი პაოლო იამვილის სიცოცხლეშია შექმნილი. ავტორი აღწერს თავისი სულიერი ძმის (პაოლოს „ძმას“ უწოდებს“, რ. მ.), ძაღლის, სავალალო ხვედრს და ლექსის დასასრულს უეცრად სიუჟეტს ამგვარი სენტენციით შემოატრიალებს:

„ლამაზო გერა! ვიცი, ძაღლის წაილე წყენა.  
ცრემლს ნუ მიჩვენებ, თუ გიყვარდე, ამასა გვედრი.  
ვინ იცის, ეგებ შენი თრევა – მიყვილოს ენამ!  
იყოს აგრეთვე მოშხამული ჩემი ძმის ხვედრი.  
მიტოვებული, დავარდნილი ღვთის ანაბარად,  
ეგებ შენსავით იგი ერთხელ ჩაიქცეს ღრუში.  
დაიტვირთებ შენს პაოლოს კოლხეთის ბარად  
ჟუჟუნა წვიმა ჩვენი ყანის და რბილი ხრეში ...“

რა იყო ეს? მოახლოებული ოცდაჩვიდმეტის შორეული გუგუნი? პოეტური გუმანით ნაგრძნობი ხვალისდელი დღე? ის, რაზეც ცოტა ხნის შემდეგ პოეტი იტყვის – „ჩვენ ახლა სხვა დრო წამოგვეწია, ჩვენც, ალბათ, სადმე, ჩაგვაძაღლებენ“.

გრიგოლ რობაქიძე ქართველ სიმბოლისტთა ლიტერატურულ პრესაში სწორედ ლექსებითაა წარმოდგენილი. „ცისფერი ყანების“ პირველ ნომერში (1916 წ.) დაბეჭდილია პოეტის ერთი ლექსი – „სირენას სიმღერა“ („რვეულიდან „ლალი და ზურმუხტი“), ხოლო ამავე ჟურნალის მეორე ნომერში – ორი „სონეტი ლოცვის“ და „ვერის ხიდზე“.

„სირენას სიმღერა“ მუსიკალურ-რომანტიკული ლექსია. ზღვისა და მზის ჰარმონიით ვნებამორეული მითიური ქალის სიმღერა – მონოლოგია ასეთი მეტაფორული სიმბოლოებით დატვირთული:

„ვერთვი თვლემას, –  
ნელინელ თვალს ენისლება სიზმარეთი,  
აღარ მახსოვს თუ ვინა ვარ, ზღვის თვალი თუ მზის ნაკვეთი“.

ასეთივე ეიფორიული, დინამიური, მკვეთრად გამოკვეთილი სიმბოლისტური ლექსია „ვერის ხიდზე“. ლექსის მაჟორული გამმა წუთისოფლის გიჟური სრბოლის ასოციაციას აღძრავს:

„ვერის ხიდზე ქარი გიჟი დავლურს უვლის, სტვენს და ჰკივის,  
ჭინკა ჭინკას მისდევს ცეკვით, კუდიანი ხტის და ჰყივის“.

თემატიკით და ინტონაციით ამ ლექსთაგან განსხვავებულია „ცისფერი ყანების“ №2-ში დაბეჭდილი „სონეტი ლოცვის“, რომელსაც გრიგოლ რობაქიძე უძღვნის „ახალ მხედართ: ვ. გაფრინდაშვილს, პ. იამვილს. გ. ტაბიძეს, გ. ტაბიძეს“.

ამ ლექსში გრ. რობაქიძის ხელწერისათვის დამახასიათებელი პოეტური შტრიხების თანამიმდევრული დალაგების პრინციპი, ე. წ.

დეპეშური პოეტური სტილი სევდიან განწყობილებას, რელიგიურ-მისტიკურ მელოდიას ჰქმნის:

„უძირო სევდა, ნელი სევდა, ვით ძილი ქვისა,  
ფიცხელი ფიქრის, მწვავე ფიქრის, ნითელი გზნება,  
უნისლო ტევრი, ხშირი ტევრი უსიტყვო თქმისა,  
დამწვარი თვლენა: მყუდრო, მკრთალი, დამწვარი ვნება“...

გრიგოლ რობაქიძის პოეზიაზე სხვადასხვა დროს თავიანთი შეხედულებები გამოუთქვამთ კიტა აბაშიძეს, იპოლიტე ვართაგავას, ვახტანგ კოტეტიშვილს, კონსტანტინე გამსახურდიას, კონსტანტინე ჭიჭინაძეს, კარლო ინასარიძეს, გიორგი გამყრელიძეს, კალისტრატე სალიას და სხვებს. წერილებში საუბარია გრიგოლ რობაქიძის თითო-ოროლა ლექსზე და ავტორთა უმეტესობა „აქლემის“ ავტორს ქართული მოდერნიზმის მამამთავრად ასახელებს.

ლამის დაუჯერებლობის ზღვარზეა ცნობილი გერმანელი მწერლების გამონათქვამები გრიგოლ რობაქიძის ლექსებზე, რომელთაც გერმანელები ხელნაწერებში გაეცვენენ.

„განცვიფრებული ვდგავარ – ნერდა გრიგოლს პოეტი ფრანკ მარაუნ – საოცარი შეთვისების წინაშე, რომლითაც თქვენ გერმანული ენა და მისი პოეტური გამოთქმის შესაძლებლობანი ჯერ მიუღწევველ, არნახულ დონეზე აიყვანეთ. ჩემი გულწრფელი რწმენაა, რომ რილკეს შემდეგ ასე სრულყოფილად არაფერი გამოსულა გერმანულ ენაზე“.

ასევე აღფრთოვანებულია გრიგოლ რობაქიძის ლექსებით ცნობილი გერმანელი პოეტი და მთარგმნელი, ჰომეროსის განთქმული მკვლევარი ტასილიო ფონ შეფერ: „ძვირფასო მაესტრო! რა შესანიშნავია თქვენი შაირი „მომაკვდავი არწივი“. როგორ შესძელით თქვენ, უცხოელმა, ჩვენი ძნელი გერმანული ენის ისე გაშლა და ამალღება, როგორც ამას ვერ შეძლებდა თვით გერმანელი? შინაარსიდან რა ვიგრძენი, ამას თქვენ მიხვდებით, როგორც დიდი პოეტი. ხოლო ამ შინაარსის ასეთ გამოთქმებში განფენა რომ შესძელით, ეს არის მეტი, ვინემ მადლი. მე შემშურდებოდა თქვენი გენიისა, რომ რაიმე მიდრეკილება მქონდეს შურიანობისა, მაგრამ რადგან ეს არა მაქვს, დამრჩენია მხოლოდ, აღფრთოვანებული ვიყო თქვენით“ (გერმანელ ავტორთა ორივე ციტატა ამოღებულია კალისტრატე სალიას წერილიდან). მართალია, გოეთეს ერის წარმომადგენელთა ეს შეფასებანი მხოლოდ პირად ბარათებს, ეპისტოლარულ სფეროს განეკუთვნება და ამ სტრიქონების ავტორს ერჩივნა, ეს აზრები მათი ავტორების

მიერ დაბეჭდილი ეხილა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ სხვათა შეფასებაში ძუნწი გერმანელები ეპითეტებს ჰაიჰარად არ ისვრიან, უნდა ვირწმუნოთ ამ შეფასებათა გულწრფელობა.

გრიგოლ რობაქიძეს, როგორც პოეტს და მოაზროვნეს, არაერთი ლექსი უძღვნეს ქართველმა პოეტებმა. იმ ლექსების განხილვა ამჟამად ჩვენს ამოცანას არ შეადგენს, მაგრამ პარნასზე ახლად-მოვლენილი, სულ გამოქვეყნებული სამი-ოთხი ლექსის ავტორის – გრიგოლ რობაქიძისადმი მიძღვნილი ტიცციან ტაბიძის ლექსიდან ერთ ნაწყვეტს ამოვწერ:

ხარ მეორეჯერ მონათლული დანტეს ემბაზში,  
იყავი მეფე – ზეცას გინერს ბედის მწერალი,  
დაცემის ორმო და აღდგომის თეთრი მწვერვალი  
დიდების ცეცხლი მარად გინთებს სამეფო კარავს,  
გამარჯვების მზეს უბედობა ველარ დაფარავს.  
პოეტს, მეგობარს მამაყებ მეღეჟსეთ ბაში.

რა ხდება? გალაკტიონის პირველი წიგნი შვიდი წლის გამოსულია და რა „მეფობაზე“, „დანტეს ემბაზზე“, „დიდების ცეცხლზე“ ელაპარაკება ტიცციან ტაბიძე გრიგოლ რობაქიძეს? ამას უსათუოდ ახსნა სჭირდება და, ჩემი აზრით, ახსნა სწორედ ის გახლავთ, რომ გრიგოლ რობაქიძემ ლიტერატურაში ახალი სკოლის შექმნით ჭეშმარიტად ახალი და სწორედ თავისი სიახლით უცნაური, უჩვეულო ლექსი მოიტანა. რასაცა ჰქვია ავანგარდიზმი, მოდერნიზმი საერთოდ და სიმბოლიზმი კონკრეტულად, სწორედ რომ ათიანი წლების მეორე ნახევარში გრიგოლ რობაქიძემ დაამკვიდრა და ამით ჩვენს მწერლობაში ევროპული მოდური სკოლების გავრცელებას ლიბო გაუმაგრა.

## „ვეფხისტყაოსნის“ იუმორი

რუსთაველამდელ ქართულ კლასიკურ მწერლობაში სატირისა და იუმორის ნიშნებს ან სრულებითაც ვერ ვხვდებით, ან აქა-იქ გაკრთება ძლივსმზჟუტავი სატირული პასაჟი.

ჰაგიოგრაფიულ მწერლობას მკაცრად განსაზღვრული, მწუხარებითა და ტრაგიზმით სავსე ჟანრული ხასიათის გამო (რაც წმინდანთა ცხოვრებისა და წამების გადმოცემაში გამოიხატებოდა) სიცილ-

ისათვის არ ეცალა. ამასთან ერთად, ქრისტიანული ეკლესია სიცილს ცდუნების ერთ-ერთ სახედ თვლიდა. XI საუკუნეში გრიგოლ ხარბიტონ-წმინდელის მიერ პალავრაში გადანერვილ კრებულში ვკითხულობთ: „პირველი მონაზონისა სულისა ოხრებაი სიცილი და განცხრომაი არს. ჰოი მონაზონო, ოდეს იხილო ესევეთარი რაიმე სულსა შენსა დადგრომილი, გულისხმა ჰყავ, ვითარმედ დია ჰხლებულხარ შენ სიღრმესა წარსანყმედელისასა... სიცილმან და განცხრომამან წარწყმედის სული მონაზონისაი, სიცილმან... შთააგდის სული მონაზონისაი ვნებათა მწინკულევანსა, არა ხოლო თუ ოდენ ჭაბუკი, არამედ მოხუცებულიცა... სიცილ უხმარ არს და უსარგებლო“ (ციტირებულია ლ. კეკელიძის ნიგნიდან „სატირა და იუმორი მე-17, მე-18 სს. ქართულ მწერლობაში“, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1964, გვ. 7.).

იუმორის კვალი არც მეხოტბეთა (შავთელი, ჩახრუხაძე) შემოქმედებაში ჩანს და საერთოდ შუასაუკუნური სამიჯნურო-სარაინდო პოემები სიცილ-ლიმილს გაუზიან. ცხოვრებასთან სარაინდო რომანების გმირთა ირონიასმოკლებული, რომანტიკულ-სერიოზული დამოკიდებულებისა გამო დასცინა ასე უმონყალოდ მათ სერვანტესმა „დონკიხოტ ლამანჩელის თავგადასავლით“.

რუსთაველი იმითაც არის გენიალური რეფორმატორი და ნოვატორი, რომ მან პირველმა გაარღვია სარაინდო-სამიჯნურო ლიტერატურაში დამკვიდრებული კრძალულობა სიცილის მიმართ და „ვეფხისტყაოსანში“ ზომიერად შემოიტანა ადამიანის განუყრელი თვისება – სიცილი, პიროვნების ინტელექტუალობისა და შინაგანი თავისუფლების ერთ-ერთი მკაფიო ნიშანი – იუმორის გრძნობა.

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები, მიუხედავად მათი უმეტესობის ტრაგიკული ბედისა, ხშირად ლალობენ, იცინიან, ეხუმრებიან-ექილიკებიან კიდევ ერთმანეთს, თითქოსდა ასე არ გაუზოდნენ ხუმრობა-ლიმილს მწუხარე სახის მაცხოვრის – უფალ იესოს ცხოვრების აღმწერნი – ოთხივე სახარების ავტორები და თითქოს პალავრის ქრისტიანული ხელნაწერი ყურში არ ჩაგვძახოდეს: „სიცილი უხმარ არს და უსარგებლო“.

რუსთაველმა არა მარტო თავის გმირებს მიჰმადლა იუმორის ნიჭი, ლიტერატურის ჟანრულ სისტემაშიც მოუძებნა ადგილი სალალობო ნაწარმოებებს:

„მესამე ლექსი კარგია სანადიმოდ, სამღერელად,  
სააშიკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სათრეველად“.

სატირული პასაჟი რუსთაველმა თავის „არს პოეტიკაში“-ც შეი-

ტანა. ირონიის პირველი სუსხი პოეტებს მოხვდა. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორმა განდიდების მანიით შეპყრობილი, თითო-ოროლა „უმსგავსო და შორი-შორი“ ლექსების ავტორები გააკრიტიკა:

მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი, ორი,  
თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი,  
განაღა თქვა ერთი, ორი: უმსგავსო და შორი-შორი,  
მაგრამ იტყვის: „ჩემი სჯობსო“, უცილობლობს, ვითა ჯორი.

თავის კოლეგებთან ეს პოლემიკა ქართულ მწერლობაში ლიტერატურული კრიტიკის ჩასახვის სიმპტომია ისე, როგორც შესავლის ლიტერატურათმცოდნეობითი ნაწილი („შაირობა პირველადე“) ქართული ლიტერატურათმცოდნეობის დასაბამი.

სიტუაციური იუმორის პირველი ნაპერწკალი პოემის პირველსავე თავში გამოკრთა: თინათინის მეფედ კურთხევის ნადიმზე როსტევან მეფემ უეცრად მოიწყინა. ავთანდილმა უპირველეს ვეზირს – სოგრატს შესთავაზა – მეფეს რაიმე სალალბო ვუთხრათ, იქნებ გავამხიარულოთო, აავსეს ჭიქები და მეფეს „წინა მოუსხდეს“. სოგრატმა ჰკადრა:

„დაგიღრეჯია, მეფეო, აღარ გიცინის პიროო,  
მართალ ხარ: ნახდა საჭურჭლე თქვენი მძიმე და ძვირიო,  
ყველასა გასცემს ასული თქვენი, საბოძვარ-ხშირიო:  
ყოლამცა მეფედ ნუ დასვი! თავსა რად უგდე ჭირიო“.

ესე იგი მეფესთან შეთამამებულმა დიდებულებმა როსტევანის მოწყენა მისი ასულის მიერ განძეულის უხვად გაცემას დააბრალებს, თუმცა კარგად იცოდნენ, რომ მეფე ძუნწი სრულიადაც არ იყო. ამით უნდოდათ, მისი მოწყენის განქარვება. მეფეს მართლაც გაეცინა – „ჩემი ზრახვა სიძუნწისა, ტყუის, ვინცა დაიყბედნაო!“

მიუხედავად ყმისთვის დამახასიათებელი არაჩვეულებრივი რიდისა მეფის წინაშე (მოიგონეთ, პოემის ფინალი, როცა ავთანდილს ვერ გაუბედნია როსტევანის წინაშე წარდგომა, რაკილა ტარიელის საძებნელად გაიპარა), ავთანდილი თავის გამზრდელს ხშირად ეხუმრებდა. სიცილი მათი ბედნიერი ცხოვრების განუყრელი თანამგზავრია, როცა ავთანდილმა მსცოვან მეფესთან მშვილდოსნობაში გაჯიბრება გადაწყვიტა, გამზრდელ-გაზრდილნი:



...იციოდეს, ყმანვილობდეს, საყვარლად და კარგად ზმიდეს, ნაძლევიცა გაიჩინეს, ამა პირსა დაასკვნიდეს:  
„ვინცა იყოს უარესი, თავ-შიშველი სამ დღე ვლიდეს!“

ხოლო როცა ნადირობა გასრულდა და მონები ნანადირევის დათვლას შეუდგნენ, როსტევეანი და ავთანდილი.

„ერთმანეთსა თუ „მე გჯობო“, სიცილით ეუბნებოდეს, ამხანაგობდეს, ლალობდეს, იქით და აქით დგებოდეს...“

რუსთაველისეული, მაღალი იუმორის ნიმუშს წარმოადგენს იგავი ჭაში ჩავარდნილი კაცის შესახებ.

როცა ავთანდილმა ასმათისგან ტარიელის ვინაობის გამჟღავნებაზე სასტიკი უარი მიიღო, ცრემლი მოერია და გაკერპებულ ქალს ამცნო – მიჯნური ვარ, იმ მოყმის ამბის გაგება „ჩემმა მზემ“ დამავალაო. მიჯნურობის ხსენებამ ასმათს გული მოუღობო: „ან რაცა გითხრა, თუ ამა საქმესა დამორჩილდები, რასაცა ეძებ, მიხვდები უცილოდ, არ ასცილდებიო“.

სხვა რა გზა ჰქონდა ავთანდილს:

„ყმამან უთხრა: „ეგე საქმე ამას ჰგავსო, არა სხვასა. ორნი კაცნი მიდიოდეს სადაურნი სადმე გზასა, უკანამან წინა ნახა ჩავარდნილი შიგან ჭასა, ზედ მიადგა, ჩაჰყიოდა, ტირს, იძახის ვაგლახ-ვასა.

ეგრე უთხრა: „ამხანაგო, იყავ მანდა, მომიცდიდე, ნავალ თოკთა მოსასხმელად, მნადსო, თუცა ამოგზიდე. მას ქვეშეთსა გაეცინნეს, გაუკვირდა მეტად კიდე, ამოჰყივლა: „არ გელოდე, სად გაგექცე, სად ნავიდე“.

ეს იგავი არა მარტო იუმორში გახვეული სიბრძნითაა ბრწყინვალე, არამედ ორიგინალურობითაც. მოგეხსენებათ, იგავთა დიდი ნაწილი ეზოპეს იგავთა რემინესცენციითაა ნასაზრდოვები. რუსთაველი ერთადერთი იგავის ავტორია და ამ იგავს ანალოგია არ მოუპოვება სხვა (რა თქმა უნდა რუსთაველამდე) ავტორთა შემოქმედებაში.

იუმორის გრძნობა ოდენ „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს კი არა, მეორეხარისხოვან პერსონაჟებსაც არ სტოვებს.

როცა ავთანდილმა ტარიელის დასახმარებლად წასვლის განზ-

რახვა ჩაიღო გულში, კარგად უწყოდა, რომ როსტევეან მეფე სპასპეტის ხელმეორედ წასვლას არ შეურიგდებოდა, ამიტომაც ეშმაკობას მიმართა. სოგრატი ვაზირს ქრთამად „ასი ათასი წითელი“ მიათვავა და სთხოვა, დაერწმუნებინა, შეემზადებინა მეფე ავთანდილის წასვლის აუცილებლობისათვის.

„ვაზირმან უთხრა სიცილით: „ქრთამი შენ გქონდეს შენია“, შენგან კმა ჩემად წყალობა, რომე გზა გაგიჩენია. მაგას რა ვჰკადრებ მეფესა, რაცა ან თქვენგან მსმენია, ვიცი, უცილოდ ამავსებს, შოება არ-სანყენია!“

დამეთანხმებით, რომ ვაზირის პასუხი ქილიკითა და ირონიითაა სავსე; ქრთამი შენვე გქონდესო, ჩემთვის ისიც საკმარისია, რომ „გზა გაგიჩენიაო“. ესეც არ იყოს, ამ (სასიხარულო!) ამბავს რომ ვეტყვი, მეფემ ხომ თვითონვე დამასაჩუქრებსო („ვიცი უცილოდ ამავსებს“). წამის შემდეგ სოგრატი-ვეზირი მეფის ნამდვილ რეაქციას ამცნობს ავთანდილს, მაგრამ ირონიის ნიღაბს მაინც არ იცილებს:

„თავმან მისმან, მუნვე მომკლავს, ვეჭვ, წამიცა არ წამაროს! შენი ოქრო შენვე დაგრჩეს, მე, გლახ მიწა მესამაროს“.

ამ ბოლო ფრაზით წელანდელი სიცილის მიზეზი აუხსნა, ქრთამს იმიტომ არ გართმევ, რომ ვიცი, მეფე მომკლავს და შენი ოქრო ისედაც შენ დაგრჩებაო. სოგრატი იუმორის გრძნობა არც მას შემდეგ ღალატობს, რაც მეფემ არამკითხე-მოციქულობისთვის წარმოუდგენელი რისხვა დაატეხა და ერთგულ ვაზირს სულ „ავი, შმაგი, უმეცარი, შლეგი, ნბილი“ ეძახა. მობრუნდა ცოცხალ-მკვდარი ვეზირი ავთანდილთან და:

„ქრთამსა სთხოვს და ამხანაგობს, თუცა ცრემლსა ვერ იწურვებს მიკვირს, რად სცალს წყლიანობად, რად არ გულსა შეიურვებს? „ვინ არ მისცემს ქადებულსა, მოურავსა მოიმდურვებს, თქმულა: „ქრთამი საურავსა ჯოჯოხეთსა დაიურვებს“.

მეფისგან დასეტყვილი სოგრატის გულგატეხილობა და ენაწყლიანობა თვით ავტორსაც უკვირს („მიკვირს, რად სცალს წყლიანობად, რად არ გულსა შეიურვებს“).

რაკი სიტყვამ მოიტანა, აქვე აღვნიშნავ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ მხატვრულ თავისებურებასაც – ავტორის ჩართვას მოქ-

მედება-დიალოგში და პასაჟისადმი მისი დამოკიდებულების გამ-  
ჟღავნებას. რუსთაველი ძირითადად ეპიკური მთხრობელია, დას-  
წრების ეფექტით და რეპორტაჟისტიკის ლირიზმით იგი იშვიათად  
გვანებივრებს, ზოგჯერ კი ვერ მალავს თავის განწყობილებას და  
თავს გაამჟღავნებს. ავტორის გამოჩენა ხანდახან იუმორის უმა-  
რილითაა შეზავებული. მაგ.:

ფატმან ცოლი უსენისა, გაეგება კართა წინა,  
მხიარულმან უსალამა, სიხარული დაიჩინა;  
ერთმანერთი მოიკითხეს, შევიდეს და დასხდეს შინა;  
ფატმან ხათუნს მოსვლა მისი, შევითვატყვე, არ ეწყინა.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მაღალი იუმორი არა მარტო სატ-  
ირულ პასაჟებს ამკობს, იგი ისეთ „სერიოზულ“ ჟანრშიც გაჟონავს,  
როგორც ვახტანგის აფორიზმი: მაგ.: „თუ ყვავი ვარდსა იშოვის,  
თავი ბუღბული ჰგონია“, ან „მართლად თქმულა: „არა მართებს  
ყვავსა ვარდი, ვირსა რქანი“ და ა. შ.

რუსთაველის დამოკიდებულება ვაჭართა წრისადმი ცნობილია.  
„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი არა მარტო ომის არცოდნას და სი-  
ჯაბანეს („თქვენ, ვაჭარნი, ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი“) უკი-  
ჟინებს ვაჭართ, პირუმტკიცებასაც, სიტყვის გატეხვასაც აღმოაჩენს  
ვაჭართა უბუცესის საქციელში. გულანშაროს ხელისუფლის წინაშე  
უსენის წარდგენის სცენას (ფატმანის მიერ დახატულს) აშკარად  
დაპკრავს ირონიისა და სიტუაციური კომიზმის ელფერი:

„უსენ მივიდა, ხელმწიფე დახვდა ნადიმად მჯდომელი,  
უსენ არიფი მეფისა, მეფეცა მისი მნდომელი,  
წინა მიისვა, შეიძღვნა, ძღვენი მიართვა რომელი,  
ან ნახო მთვრალი ვაჭარი, ცქაფი, უწრფელი, მსწრომელი“.  
„რა მეფემან უსენს წინა სვა მრავალი დოსტაქანი,  
კვლა შესვეს და კვლა აუვსნეს სხვა ფარჩნი და სხვა ქიქანი.  
დაავინყდეს იგი იცნი, რა მუსაფნი, რა მაქანი!  
მართლად თქმულა: „არა მართებს ყვავსა ვარდი, ვირსა რქანი“.

ხაზს ვუსვამ, მიუხედავად „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა მძიმე,  
დრამატული ყოფისა, მათ უმრავლესობას ხუმრობის, ლაღობის სურ-  
ვილი ნიადაგ თან ახლავს. მაგ.: ნესტანის ძებნით განამებული ტარი-  
ელი და ავთანდილი ფრიდონის სამეფოს მიადგნენ. არცთუ დიდი

დროა გასული მას შემდეგ, რაც ავთანდილმა ვეფხისტყაოსანი რა-  
ინდი თვითმკვლევლობას გამოარადა, მოასულიერა და მოტყუებით  
ცხენზე შესვა, მერე ფრიდონისკენ საკმაოდ შორი და ძნელი გზა  
გამოიარეს და სწორედ მაშინ, როდესაც დაღლილ მხედრებს სახუმარ-  
ოდ სულაც არა აქვთ საქმე, ტარიელი „ლაღობის“ გუნებაზე დგება.  
„მოდო, ფრიდონს „ჯოგი ნაფულოთ“, შეურაცხყოფილი მეფე მეკო-  
ბრეებად მიგვიჩნევს, საომრად გამოგვიდგება, მერეღა გვიცნობს და  
გაეხარდება, „ამაოა კარგი ლაღობა, ლაღსა შევე-იქმს, ლაღებადო“.

ასეც მოიქცნენ, ჯერ ფრიდონის მეჯოგენი დაიფრინეს:

„მათ მშვილდები დაინვადეს, მეჯოგეთა გაეკიდნეს,  
მეჯოგენი მიიზიდეს, ხმანი მათი გაადიდნეს:  
„გვიშველეთო, გვიშველეთო, მეკობრეთა ამოგვწყვიდეს!“  
ხმა შეიქმნა, შეიყარნეს, ფრიდონს ჰკადრეს, არ დარიდნეს“.

ფრიდონმაც არ დააყოვნა და „ყაჩაღთა“ დასჯა გადწყვიტა. ის  
იყო მეკობრეთა და ჯოგის პატრონს შორის ურთიერთობის გარკვე-  
ვის მძიმე წუთები ახლოვდებოდა, რომ ტარიელმა მუზარადი მოიხა-  
და და

„ფრიდონს უთხრა: „რასა ლამი, ჩვენი მოსვლა რას გეწყინა?!  
პურად ავი მასპინძელი მოგვეგებვი ომად წინა“.

რა თქმა უნდა, ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა, ფრიდონ-  
მა სტუმრები იცნო და თაყვანისცემად „დავარდა“. უცნაურ ძმად-  
ნაფიცთა ლაღობაზე ცოტა ხნის წინ დამფრთხალ-გაქცეული მეჯო-  
გენიც კი იცინოდნენ.

მძიმე სიტუაციის განმმუხტავი, ჭირსა შიგან მშველელი იუმორ-  
ის გრძნობა „ვეფხისტყაოსნის“ გმირებმა პოემის სიუჟეტის კულმი-  
ნაციურ მომენტში, ქაჯეთის ციხის აღების დროსაც გამოამჟღავნეს;  
როცა ტარიელმა ძმადნაფიცებს ციხის აღების თავისი სტრატეგი-  
ული გეგმა წარმოუდგინა.

„ფრიდონ უთხრა: შემეგნია, გამიგია, ვიცი მე რა;  
მაგა ცხენსა ჩემეულსა მოასწრებენ კართა ვერა;  
ოდენ გიძღვენ, არ ვიცოდი, ქაჯეთს გვინდა ქაჯთა მზერა,  
თვარა ყოლა არ გიძღვნიდი, ჩემი გითხრა სიძუნწე რა“.

რომ მცოდნოდა, ქაჯებთან შებმა მომიწევდა, არ გაჩუქებდი ჩემულ ცხენსო, ეხუმრება ფრიდონი ტარიელს ქაჯეთზე სისხლიანი შეტევის დაწყების წინა წუთებში. როგორ რეაგირებენ ამ ხუმრობაზე ტარიელი და ავთანდილი?

„ფრიდონ ლალი ამხანაგობს საუბართა ესოდენთა. ამას ზედა გაიცინეს მათ წყლიანთა, სიტყვა-ბრძენთა, ერთმანეთსა ალალობნეს ლალობათა, მათთა მშვენთა, გარდახდეს და დაეკაზმნეს, უკეთესთა შესხდეს ცხენთა“.

„ჭირის გარდახდის“, ქაჯეთის ალების, ნესტანის გამოხსნის შემდეგ ჩვენმა გმირებმა ლალობა და სიცილი, როგორც რუსთველი იტყვის ხოლმე, „აათასეს“.

„შვენის მღერა და სიცილი მათ, მისთა არ-უიცართა“

დამთავრდა ბოროტზე კეთილის გამარჯვების ეპოპეა. გმირები სამშობლოსკენ მოემგზავრებიან. ჯერ ფრიდონის სამეფოში გამოიარეს. მულღაზანზარი გამარჯვებულებს ზარ-ზეიმით შეხვდა. ნადიმის მეცხრე დღეს ტარიელმა ავთანდილს მოციქულად ფრიდონი მიუგზავნა: „თუ შენ შენს ცოლსა არ შეგრთავ, მე ჩემსა არ ვექმარებო“.

„რა ფრიდონ უთხრა ავთანდილს ტარიელს მოციქულობა, მას გაეცინეს, გალიმდა, შვენოდა მხიარულობა; თქვა, თუ: მეშველი რად მინდა? მჭირს არავისგან წყლულობა: ჩემი მზე არცა ქაჯთა ჰყავს, არცა სჭირს ლხინაკლულობა.“

ტარიელმა ავთანდილის შველის განზრახვა არ დაიშალა და ამ საქმის გასასრულებლად ასეთი „ცულლუტური“ ხერხი მოიფიქრა: ნავალ არაბეთს და როსტევანს შენთვის თინათინის ხელს ვთხოვ, ამით იქნებ ავთანდილზე გაგულისებულნი მეფე „შევასვენო, შევაგუო“. მიუხედავად ავთანდილის კატეგორიული უარისა (იტყვის: „ყმა რაცა შევსცოდე როსტანს წლეულად მე წელად, კვლა, ნუ მიქმ ერთგულობისა გამტეხლად, და-ცა-მლენელად“), ტარიელმა ჩანაფიქრი შეასრულა, არაბეთის საზღვარს მიადგა და როსტევანს შეუთვალა:

„ან ამად მოვალ წინაშე, დავყარენ ჩემნი გზანია, შემინდოთ, რაცა შეგცოდე, ჰქმნნეთ განყრომისა კმანია, ძღვენი არა მაქვს, მმონმობენ ფრიდონ და მისნი ყმანია... ოდენ ძღვნად თქვენი ავთანდილ მე თქვენთვის მომიტანია“.

სტროფის უკანასკნელი სტრიქონი ტარიელის იუმორის განუყრელ გრძნობაზე მიგვითითებს. „ძღვენი არა მაქვსო“, – აცხადებს ქაჯეთის ამლები და დევთა აუნონელი საგანძურის მფლობელი, თანაც მოწმეებად ფრიდონს და მის ყმებს იშველიებს, ამჯერად „ძღვნად“ თქვენს ავთანდილს უნდა დამჯერდეთო.

ლამაზი ხუმრობაა. რა განძი შეედრებოდა როსტევანისთვის ავთანდილის დაბრუნების სიხარულს.

და აი, პოემის სიუჟეტის ბოლო აკორდი. ტარიელისა და ნესტანის ინდოეთს გამგზავრების დრო დადგა. ახლადდაქორწინებულმა ავთანდილმა მოყვარეთა ინდოეთს ხლების სურვილი გამოთქვა. ეს პასაჟი რუსთაველისეული რბილი იუმორითაა განმსჭვალული. თუმცა სჯობს, თვით რუსთაველს მოვუსმინოთ:

„ავთანდილ უთხრა ტარიელს ეს სიტყვები და ორები, მან უთხრა: „გაე, ნუ უბნობ, შეცვე ბროლისა ყორები, ახალ შეყრილსა მთვარესა, მზეო ვით მოეშორები?... ავთანდილ უთხრა: „მაგითა შენგან არ მოვილორები.“

არ, დია გინდა დამაგდო, ნახვიდე ჩემად მზრახავად!  
„ცოლი უყვარსო, გამწირა, იყო ამისად მსახავად;  
მე დავრჩე შენი გაყრილი თავისა მევაგლახავად?  
კაცსა მოყვრისა განირვა, ახ მოუხდების, ახ, ავად“.

მოტანილი მაგალითების გათვალისწინებით ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება.

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები უკვდავმა პოეტმა სხვა ბრწყინვალე თვისებებთან ერთად იუმორის მაღალი გრძნობითაც დააჯილდოვა, იუმორი ეხმარება წუთისოფლის სიმუხთლესთან ბრძოლაში დამაშვრალ გმირებს, წინააღმდეგობათა გადალახვაში, სულიერი ნონასწორობის შენარჩუნებაში.

მკითხველს ერთხელ კიდევ მოვავაგონებ თავში ნათქვამს იმის შესახებ, რომ რუსთაველი სიცილის მოშველიებითაც სამიჯნურო-სარაინდო რომანში, სწორეუპოვარი ნოვატორია.

## სატირა და იუმორი გალაკტიონის შემოქმედებაში

კომუნისტური რეჟიმი, ადამიანის თავისუფლებას რომ ყოველმხრივ თრგუნავდა, იმ რეჟიმით ნაკარნახევი ცხოვრების წესი პოეტისა – მარტოსულობა, გულუბრყვილო კაცისა თუ დიდი ბავშვის ნიღაბი, რა თქმა უნდა, იძლეოდა საფუძველს, „ლურჯა ცხენების“ ავტორს ირონიით შეეხედა ზოგიერთი მოვლენისათვის, სატირის მახვილით გაეკენნლა, რაც არ მოსწონდა, სიცილის ფარიც მიეშველეს ბინა უმდიდრესი ლიტერატურული არსენალით აღჭურვილს.

თანამედროვეებს ახსოვთ მწერალთა კავშირის ფოიეში „უბრალო რამეზე“ ახარხარებული გალაკტიონი და უფრო ხშირად ირონიულად თვალმოჭუტული, თვალეში ათასი ეშმაკი რომ უთამაშებდა და მოსაუბრეს „ბოლომდე არ გაეხსნებოდა“. ეზოპეს ენით, გადაკვრით პასუხობდა და საუკუნის ხუმრობას თითქოსდა ისე, სხვათა შორის სტყორცნიდა ხოლმე.

შემოქმედების ადრეულ წლებში გალაკტიონი წმინდანივით იშვიათად ილიმება. ახალგაზრდა პოეტის განამებულ სულს და დეკადენტურ განწყობილებას თითქოსდა, არ უხდება (და ამიტომაც არ ახლავს) სატირა და იუმორი. მერე, სევდის გრიგალები რომ გადაივლის, ასაკთან ერთად პოეტს ირონიული ხედვის უნარიც ემატება, მასში პოლემიკოსიც იბადება და პოლემიკა ხომ სატირის მახვილის გარეშე იშვიათია.

ბრწყინვალე მედიტაციურ პოეზიაში გალაკტიონი ზოგჯერ ირონიულ ლირიკასაც გაურევს, მაგრამ სატირას და იუმორს გაცილებით უხვად შეიცავს პოეტის კრიტიკული ჩანახატები, წერილები, მოგონებები და სხვადასხვა ვითარებაში წარმოთქმული სიტყვები.

„ხელოვანის ტრაგედია“ დაურქმევია გალაკტიონს 1948 წელს დაწერილი სატირულ-ირონიული ჩანახატისათვის, რომელიც გზას ამცდარი ხელოვანის ტრაგედიას ეხება. ტაშისცემით, იაფი ყვავილებით, რეკლამით განზე გაიტყუეს ნიჭიერი ხელოვანი და გადაახვევინეს სწორი გზიდან. ჩანახატში ლექსია ჩართული. პოეტი კიცხავს დაბნეულ კაცს, ხალხს იმედი რომ არ გაუმართლა:

„ხელოვანი, რომელიც ლაბორატორიულ მუშაობას მოსწყდება, თავს ასე ინუგეშებს: „დაუშვებ ამ შეცდომას, რომელიც სხვადასხვა მიზეზებითაა გამონეული, გადავუხვევ გზას მხოლოდ ეხლა, მხოლოდ ერთხელ... რა დიდი ამბავია თავისთავის წინააღმდეგ ნახ-

ვიდე და ისიც მხოლოდ ერთხელ... განა ჩემი მომავალი ჩემს ხელში არ არის? განა ხვალვე არ შევუდგები ჩემს სწორი გზით სიარულს, იმ გზით, რომელიც მიყვარს, ვალმერთებ...“ მაგრამ ხელოვანს იმედი არ გაუმართლა. იგი ერთხელ მოსწყვიტეს რა კერას, წაიყვანეს თავისი გზით, გაცილებით უფრო იოლი და სასიამოვნოთი, იაფი ტაშისცემის გზით, იაფი ყვავილებით, იაფი რეკლამით, და როდესაც ხელოვანმა მოისურვა თავის წინანდელ გზას დაბრუნებოდა, იგი ვეღარ იპოვა, დაჰკარგა რა სწორი გეზი, შემოეცალა ყალბი დიდების შარავანდედიც. იგი მოსწყინდათ, იოლი და სასიამოვნო გზაც გაჰქრა, ტაშს აღარავინ უკრავს, იაფი ყვავილებიც დასჭკნენ. ხელოვანი მარტოდმარტოა. და აქ იწყება მისი ტრაგედია. დაცარიელებული სულით ბრუნდება დიდი ხნის შემდეგ თავის ლაბორატორიაში და იქ ანონიმური ბარათი ხვდება ლექსად დაწერილი:

კაცს სანუთრო როგორ აბნევს, იძლეოდი დიდ იმედებს. ეგონათ, რომ ბედი დაფნებს მხოლოდ შენთვის გაიმეტებს. ურემს დიდი სიმწრის ძალით მიათრევდა გზად ყვეარი, მაინც განვლევ იმ ჭრიალთ საუკუნის ნახევარი. ნდობა გვექონდა მეტისმეტი და გზას გაგიანკარებდით, არ გამართლდა ის იმედი, ჩვენ რომ შენზე ვამყარებდით!

ჭრიალთ, მაგრამ მაინც მიდიოდა ურემი. ბოლოს იგი გადაბრუნდა. ურემი გადაბრუნდა და გზაც მერე გამოჩნდა. ნამდვილი ხელოვნების გზა, მშვენიერზე მშვენიერი გზა. მაგრამ... რა ახლოა და როგორ შორსაა იგი... ხელოვანი უკვე გაჭალარაგებული კაცია! ეჰ, საბოლოოდ გადაბრუნდა ურემი (გ. ტაბიძე, „საქართველო“, 1989, ნიგნი რჩ. გვ. 257.).

ძნელი მისახვედრი როდია, რომ „ლაბორატორიული მუშაობის-აგან მოწყვეტაში“ გალაკტიონი ხელისუფლების დაკვეთით სწორი შემოქმედებითი პრინციპებიდან გადახვევას, წითელი ეშმაკისადმი სულის მიყიდვას გულისხმობს. საერთოდ, ხელოვანის ბედზე დაწერილი ეს მშვენიერი ნოველა გაკვეთილია სულსწრაფთა და ტაშს-გამოდევნებულთა, კარის ხელოვანთა გასაგონად შექმნილი.

შემთხვევითი როდია გალაკტიონის ირონიული დამოკიდებულება მწერლობას ადევნებულთათვის. უნიჭობესა და მედროვეებს პოეტი ამგვარი სატირული პასაჟითაც ჰკენნლავს:

„არიან სამი წყების მწერლები. პირველად ისეთები, რომლებიც სწერენ უფიქრებლად, ხსოვნით, მოგონებებით ანდა უშუა-

ლოდ სხვისი წიგნებიდან. ესაა ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასი. მეორედ, რომლებიც ფიქრობენ წერის დროს იმიტომ, რომ სწერონ, გვხვდებიან ძალიან ხშირად. მესამე – რომლებიც ფიქრობენ მანამ, სანამ წერას დაიწყებენ. ისინი სწერენ მხოლოდ იმიტომ, რომ ფიქრობდნენ. ასეთები ძალიან იშვიათნი არიან“ (იქვე, გვ. 269).

გალაკტიონის პოეზიას ნიადაგ ახლავს ფარული თუ აშკარა პოლემიკა აღზევებულ უნიჭოთადმი, პოეტის სიცოცხლეშივე მედროვის დაუოკებელი ინსტინქტებით უტიფრად რომ ეპოტინებოდნენ მეფე-პოეტს გვირგვინს:

„როდესაც პოეტი ყალბი პოეტია,  
ამოდ ფიქრობენ, რომ ის გოეთეა...  
ვაიმარს გაგზავნონ ავიოკალათით,  
ვირზე ჩამობრუნდეს ხახვით და სალათით.

როდესაც პოეტი მავნე პოეტია,  
ენაჭარტალაა, მიეთ-მოეთია,  
წინ ჩოთქი უდევს და ნაბოძი ხალათი,  
პოეტი კი არა – ის არის ჯალათი!  
(ტომი I, „საქართველო, 1988, გვ. 607)

ტაშის მაძიებელთადმი ირონიით აღსავსე ლექსია „საუბარი ტალღებთან“.

პოეტი მიჰყვეს, მიჰყვეს  
სასახლესა და ქუჩას –  
თუ ტაშისცემა ბრიყვის  
დიდ დაფასებად უჩანს.

დგას უსაზღვრობა დროთა,  
ჰქუხს მარადისის რაში...  
ო, თავს მოიკლავს შოთა,  
თუ არ დაუკრეს ტაში.

თუ ვერ გაიგეს წმინდა  
გენია დღეთა მნათი,  
არც მათი დაფნა მინდა,  
არც ტაშისცემა მათი.  
იგი მიართვან იმას,

ვინც პოეზიის დიდის  
აზრს იდიოტის ღიმის  
ნება-სურვილზე ყიდის!

მაგრამ ნუგეში სხვაა  
დიდი ეპოქის ხმაშიც,  
იგი მღელვარე ზღვაა...  
ტაშიც არის და ტაშიც.

უნიჭო შვებას ჰპოვებს,  
იგი სენისგან მორჩა:  
კლაკიორების ბრბოებს  
მოისყიდის და მორჩა“.  
(იქვე, გვ. 511)

გალაკტიონის სატირული მახვილი ზოგჯერ მკითხველსაც გადასწვდება ხოლმე.

„არის მკითხველი  
მშვენიერ წიგნის  
და არის მხოლოდ  
გადამკითხველი...  
ის ფურცლავს, ნიშნავს,  
ადარებს, ჩიჩქნის,  
მაგრამ ვინ არის  
აქ გამკითხველი?

(იქვე, გვ. 566)

ნაცნობ მეგობრებთან შექილიკებით, „სალალობოდ, სათრეველად“ შექმნილ ლექსებში გალაკტიონი უწყინარი და მისებურად კეთილია, მაგრამ აქა-იქ მსუსხავ ირონიას მაინც გამოუჩვენებს ხოლმე.

ცნობილია პოეტის მეგობრობა ცისფერყანწელებთან, მაგრამ უცნობია მიზეზი, თუ რატომ დაშორდა გალაკტიონი ქართველი სიმბოლისტების ამ მშვენიერ ორდენს. ამის შესახებ თავის წერილში მხოლოდ ორიოდე სიტყვით ამბობს: „მე და პაოლო დავეტაკეთ... სამუდამოდ დავშორდი ცისფერყანწელებს“. ეს „დაშორება“ გალაკტიონს სალალობო ლექსითაც დაუგვირგვინებია:

„გამარჯობათ ყანწელებო,

პაოლო და ტიცვიანო,  
გრიგოლი და ვალერიან  
ხიდის ყურში იცდიანო,  
გამარჯობა, ჩემო ალი,  
ხმატკბილო და ხრინწიანო,  
გამარჯობა, გამარჯობა,  
უკვიცო და კვიციანო,  
გალსტუკებში გამოენყო  
სიმამრიან-სიძიანო  
ცხენზე შეჯდა უკუდოზე,  
თვალი მიაქვ პრინციანო.  
ტაში-ტუში, ტაში-ტუში,  
პაოლო და ტიცვიანო,  
ცოტა ლაგამს დამორჩილდით,  
ძმობილნო და ბიძიანო,  
თორემ მართლა გემართებათ  
საქმე თათქარიძიანო.  
ქიმერიონს გაუთხარეთ  
ძირი-ფუძე-ფიცვიანო,  
ქიმერიონს ვილა ჩივის,  
გოსიზდატში გვიცდიანო.  
ნელა-ნელა გაიარე  
პორთფელი არ იზიანო!

იუმორით და ირონიით ბრწყინავს სანდრო შანშიაშვილთან შეხ-  
უმრება:

ქიზიყელ მენისქვილესა  
შანშიაშვილსა სანდროსა  
ზოგი ეძახის ალექსას  
და ზოგი ალექსანდროსა.  
ლექსებსაცა სწერს, დრამებსაც,  
მინდსაც დიდს იღებს ამ დროსა,  
ზაფხულზე ქიზიყს მგალობლობს,  
თბილისში დაიზამთროსა.  
შექებას ალექსანდროსას  
„ნიანგიც“ დაეპირების,  
სულით და გულით მიძღვნილი

მცირედიც შეინირების:  
არა სმენია „ნიანგსა“  
გაბულბულება ვირების.

თუ ამ ლექსში თავიდან ყველაფერი უწყინარ ხუმრობას (მოლოც-  
ვასაც კი) ჰგავდა და მხოლოდ ბოლოში „გაექცა ხელი“ პოეტს, სა-  
მაგიეროდ, მოსესადმი მიძღვნილი ლექსი თავიდან ბოლომდე სატი-  
რის ჭინჭრით სუსხავს ადრესატს:

აბა, მოსე, ჩემო მოსე,  
შეივსე და შეიმოსე, –  
ფილოსოფსს შენისთანას  
ჭამა უნდა თავის დროზე.

თუ არ სვა და თუ არ ჭამა,  
უცხოვნდება მეტი მამა,  
რაც იმან ვერ შეისწავლოს  
გეგელი და დასტურ-ლამა.

ისტორიკოს იტყვის პოსლე,  
ასე სჯობსო თავის დროზე.  
გალაკტიონ ლექსებს წერდეს  
და გონორარს სჭამდეს მოსე.

არც მწერალთა კავშირის სამდივნოს სტოვებს უყურადღებოდ  
პოეტი. ამ სარკასტულ ლექსში იგი მისთვის ჩვეული ირონიით  
ქირქილებს სკამს გამოდევნებულ მწერალთა ბედზე და სატირული  
ქვეტექსტით ოსტატურად მიგვანიშნებს, რომ დივანი (სკამი) ვერ  
უშველის მწერალს, თუ დივნიდან ჩამოსკუპების შემდეგ არ დატოვა  
რამე ხელმოსაჭიდი:

ერთი ფეხმტკივანი  
ვიყიდეთ დივანი,  
ზედ სამი მდივანი დავსვით.  
პირველი ჭაჭაძე,  
მეორე კვაჭაძე,  
მესამე ქაჯაძე –  
ნავსი.

ჩვევა ვერ დამალეს.  
ერთურთს არ აცალეს,  
ყანნები დაცალეს სავსე,  
და ფეხბმტკივანი  
დაგორდა დივანი  
და – სამი მდივანიც წამსვე.

გალაკტიონი ზოგჯერ სარკაზმის მახვილს იმარჯვებს და მაშინ იგი მრისხანე და დაუნდობელია. ერთი ხელის მოსმით გამოაქვს ერთსტროფიან ლექსში განაჩენი ქართული კრიტიკისადმი:

გონებაჩლოუნგი და  
კვლავ ენატიკტიკა –  
აი, როგორია  
ქართული კრიტიკა.

არამკითხე „მრჩეველ კრიტიკოსზე“ ამკარა განაწყენება ჩანს ამ სტრიქონებშიც:

ერთმა მასებთან კავშირი  
და მეგობრობა ურჩია,  
მეორემ გულდანახშირი  
მარქსის ტომები ურჩია,  
რომ არ მიიღო არცერთი,  
ერთხმად უძახეს: ურჩია!

მკითხველს ვთხოვ, გალაკტიონის მოქალაქეობრივ გაბედულებას კიდევ ერთხელ მიაქციოს ყურადღება. მარქსის ირონიულად ხსენებას სხვა ლექსშიც ვხვდებით და ეს ლექსიც ოცდაათიან მრისხანე ნლებს ეკუთვნის:

ჩემო მაქსიმე,  
რა გზა მაქვს, იმე!  
რომ არ ვიკითხო  
ახლა მარქსი მე.

საუკუნის აზრთა მპყრობელი კომუნისტური სამოთხის იმ „სიკეთესაც“ კარგად ხედავს, ერთა და კულტურათა ათქვეფის (საბოლოო ჯამში გარუსების, რ. მ.) უწყინარ თეორიად რომ ჩამოაყალ-

იბა მერე მარქსიზმის „დიდმა შემოქმედებითად განმავითარებელმა“ – ბრეჟნევმა:

ეს ვალიას, ეს თედორეს,  
ეს ტარიელს, ეს კი მოსეს,  
ჯერ ვითვლებით ქართველებად,  
თუ არ გაგვაესკიმოსეს.

და ამ სტრიქონების დამწერი ზოგჯერ ამოიკვნესებდა:

სათქმელი სხვებზე  
და თავის თავზე  
აქვს, მაგრამ პირი  
წყლითა აქვს სავსე.

აქ მთლად ნუ დაუფჯერებთ „ლურჯა ცხენების“ ავტორს. როგორც ჭეშმარიტი გენიოსი, იგი სათქმელს გულში არ იტოვებდა, რასაც თავის უკვდავ ლირიკაში ვერ უპოვიდა ადგილს, სატირისა და იუმორის ენით, ზოგჯერ ეზოპეს ენითაც გამოთქვამდა.

ბერია რომ მოსკოვში გადაიყვანეს, გალაკტიონს დაუნერია ლექსი, რომლის გამოქვეყნება ან სხვისთვის ჩვენება კი არა, მაგიდის უჯრაში შენახვაც საშიში იყო იმ დროს, ოცდაჩვიდმეტის ელდა ჯერ კიდევ რომ არ განელებულიყო და, რომ იტყვიან, კედლებსაც კი ყურები ჰქონდა. ეს ლექსი გალაკტიონის არქივში ვახტანგ ჯავახიძემ აღმოაჩინა და პირველად გაზეთ „მამულში“ გამოაქვეყნა („მამული“ №2, 1989 წ. გვ. 6).

ბერია ხვრელს შეძვრა,  
მაგრამ მის კუდების  
ქნევითა ჩვენ, მწერლებს  
სული გვეხუთების.

ჩვენვე ჩვენი თავი  
ალარ გვეყუდნების,  
სული გვეხუთების,  
სუნთქვა გვეხუთების.

მაშ, ძირს მფარველობა  
კაენ-იუდეების,  
ქნევა და თარეში  
ბერიას კუდეების.

პოეტის ირონიულ ლირიკაში ილანდება „ახალი დროის“ პირმშოს მოჩვენებითად საქმიანი (სინამდვილეში კი უსაქმო) კაცის სატირული პორტრეტი. ეს იმ გაფუყული კაცის წინაპარია, ასე მწვავედ რომ გაგამათრახეს შემდგომ მურმან ლებანიძემ და შოთა ნიშნიანიძემ. მოვუსმინოთ გალაკტიონს:

ღმუის ტყიანი ქედი,  
როგორც ბებერი მგელი –  
კაცის ბოროტი ბედი!  
გადაგვარება ნელი!

წიგნთა არეულ თალებს  
ჰგავდა ფიქრები მკაცრის,  
სიმპათიური სახის  
მუდამ უსაქმო კაცის.  
ფეოდალური ბაღის  
უკანასკნელი ნაძვი –  
სიმპათიური სახის  
მარად უსაქმო კაცი!  
(იქვე, გვ. 569)

უცხოა გალაკტიონისთვის მედროვე, ფულსა და ლოჟა-პარტერს გამოდევნებული პიროვნება. ერთსტროფიან ლექსში ცხადად დაგვიხატა პოეტმა თავისი და „იმ კაცის“ პორტრეტის კონკრეტული შტრიხები:

თქვენ გენატრებათ ლოჟა, პარტერი,  
თქვენ გინდათ გახდეთ მილიარდელი,  
მე კი ვარჩევდი გზას უნაპიროს,  
ცოტა სიყვარულს და ღერ პაპიროსს.  
(იქვე, გვ. 595)

პოეტი მწარედ განიცდის იმ გარემოებას, რომ გააზნაურებული მდაბიო (პოეტი მას აშკარად „მტერს“ უწოდებს) სიცოცხლეს უმწარებს ნიჭიერ, პატიოსან ადამიანებს და პირფერობის „იის წყალმა“ ლამის წალეკოს ქვეყანა:

„ხომ გინახავს გაჭირვება? ნათქვამია ფერი ფერსო,  
მუდამ მოელოლიავო, მოეფერო, უალერსო,  
და როდემდის? პირფერობამ ქვეყნის გული გადასუსხა,  
ბევრს არ ძალუძს, მტერს კი მუდამ იის წყალი უნდა უსხა“.  
(იქვე, გვ. 602)

სიტყვის ბუმბერაზთან მეზრძოლ კაცუნას (მათი კონკრეტული სახის დადგენა ძნელი როდია გალაკტიონის დღიურების და ჩანაწერების კითხვისას) პოეტმა ერთ ირონიულ ლექსში თვითვე გამოუტანა განაჩენი:

იყო ვექილი ფრიად მართალი,  
ისეთი, ქვეყნად რომ არ ფასდება,  
უყვარდა სიტყვის სალტო-მართალი,  
და სიტყვიერად გაფანტასტება.  
ეცვა ბრჭყვიალა ფარჩა-ფართალი,  
თუ „საქმეს“ ხედავს, ერთი ასდება,  
თუ ფული არის – არის სარდალი,  
თუ აღარ არის – ის განაზდება.

ასეთი კარგი და ხელოვანი,  
ცხვირი ანფასი, ფეხი – პროფილი,  
მიცვალეებული სახელოვანი  
წევს ბალდახინზე გამოწყობილი.  
(იქვე, გვ. 610)

უნიჭო პოეტთა და მედროვეთა გაკილვა-გაკენწლვიდან გალაკტიონი მრისხანე სოციალურ სატირაზეც გადადის. იქ უკვე სატირის სამიზნე მთელი სინამდვილეა. ვისაც კომუნისტური რეჟიმის მარწმუნებზე ოდნავი წარმოდგენა მაინც აქვს, დამეთანხმება, რომ რადიოს სარკასტული ხსენება ლექსში იმ დროისათვის მოქალაქეობრივი გამირობის ტოლფასი იყო:



წარმოსთქვა რა სიტყვა თვისი  
გრძელი და საპატიო,  
ერთხელ კიდევ აღრიალდა  
და გაჩუმდა რადიო.

ვიფიქრე, თუ ახლა მაინც  
მოისვენებს ტანჯული,  
მაგრამ აგერ მოქალაქე  
მოდის გადაღრანჯული.

ცა ქუდად არ მიაჩნდა  
და გაჰკვივის შიქასტებს,  
მთელ თვის გრძნობას უსინდისო  
თავდადებით შიგა სდებს.

(იქვე, გვ. 609)

თითქოსდა ამ ლექსის პირველ სტროფში ჩადებულმა თავისივე  
ნაღმმა („რადიო“) შეაშინაო, გალაკტიონი მომდევნო ორ სტროფში  
აკონკრეტებს ლექსის ადრესატს და ჯოხს „გადაღრანჯულ მოქა-  
ლაქეზე“ გადატეხს, მაგრამ დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, რომ  
სატირის მახვილი სწორედ არსებული სოციალური სინამდვილის წი-  
ნაღმდევგაა მიმართული. სინამდვილისა, ასე მკაცრი და უმადური  
რომ იყო „ლურჯა ცხენების“ ავტორის მიმართ და რომელმაც გე-  
ნიალურ პოეტს ასეთი „უწყინარი სამადლობელი“ გამოსტყუა:

სინამდვილეს არ ვემდური,  
არ ყოფილა თითქმის;  
არყოფილზე საყვედური  
არასოდეს ითქმის.

(იქვე, გვ. 589)

სწორედ, რომ ეს არყოფილი სინამდვილე სთავაზობდა გალაკ-  
ტიონს გაუთავებელ დევნა-დამცირებას, იგნორირებას, წიგნის გამო-  
ცემის გაჭიანურებას, გამადიდებელი შუშით ცქერას სტრიქონებში.  
ამ სინამდვილემ მიიყვანა გალაკტიონი არაერთგზის თვითმკვლელო-  
ბის გადაწყვეტილებამდე და ცხოვრების მიმწუხრს გადაადგმევინა  
კიდევ ეს საბედისწერო ნაბიჯი. სწორედ რომ იმ სინამდვილიდანაა  
გამოსული გალაკტიონის საეჭვო „თანამგზავრი“.

„ამ კაცს აქვს ძლიერ ცუდი ჩვეულება. საზოგადო ადგილას,  
რესტორანში, ქუჩაში, ტრამვაიში, ავტობუსში დაჯდეს და ვისმეს  
მიაშტეროს თვალეები განუწყვეტლად. გავა ათი წუთი, ოცი, ოცდაა-  
თი. იგი ზის და გიყურებს. აკვირდება შენს სახის გამომეტყველებას,  
შენს ყოველ მოძრაობას.

მოგჩერებია, მოგჩერებია, მოგჩერებია და გრძნობ, რომ ეს უტი-  
ფრობაა, უზრდელობაა, უკულტურობაა.

ეს ცდაა, მოთმინებიდან გამოგიყვანოს, ცდაა იმისი, რომ მკაცრი  
სიტყვა წამოგაცდევინოს, სილაც გამოგტყუოს და ეს იქნება მისთ-  
ვის უდიდესი სიამოვნება: ხომ გამოგიყვანა მოთმინებიდან, ხომ  
გამოგტყუა სილა და მას არც უნდოდა მეტი“ (ტ. II, გვ. 497).

ამ „მოშტერებული კაცის“ თვალეებიდან ერთი ნაბიჯია დევნის  
მანიადმდე, გალაკტიონს მთელი ცხოვრების მანძილზე არცთუ უს-  
აბუთოდ რომ აწვალბდა, მაგრამ ზოგჯერ იძულებულს ხდიდა, გან-  
წყობილება იუმორით შეეზავებინა.

„რალაც საიდუმლოებაა ჩემი სასტუმროს ოთახის კარები; ვერც  
ვალე და ვერც ვკეტავ. მოვა კელნერმა, კიდევაც ალებს და კიდევაც  
კეტავს“ (იქვე, გვ. 531).

გამახვილებული გრძნობა იუმორისა, ასე უხვად რომ მოჰმადლა  
გალაკტიონს ბუნებამ, მხოლოდ სიტუაციურ იუმორსა და მოვლენ-  
ნასთან ირონიულ მიმართებაში როდი მჟღავნდება. პოეტს სატი-  
რული პორტრეტის შექმნის იშვიათი უნარიც ახასიათებს. აი, რა  
შთამბეჭდავად, მეტაფორულად დაგვიხატა მან პოემა „ჯონ რიდში“  
რევოლუციის დღეების ბებერი რუსეთის სატირული ხატი:

„სდგას ერთი გრანდიოზული სკამი, რომელსაც, მართლაც, მო-  
ტეხილი აქვს სამი ფეხი და ზედ ძლივს ზის ჯერ ისევ ძველი რუსე-  
თი. ქვეშ დახეული ხალიჩა უგია. წინ დამტვრეული ჯამი უდგას ქა-  
შით. აქვს ცარიელი სკივრი, სავსე სატკივრით. ამ სიცივეში სანყალს  
არ აქვს ქვეშსაგები, მისთვის ბალიში არ არსებობს და არც საბანი.  
მხოლოდ თოვლია მისი ბუმბული. ქარში, თოვლ-ჭყაპში ამონუმპუ-  
ლი: სანთელი დიდი ხანია გაუქრო ქარმა. ზურგზე ჰკიდია ტომარა,  
ხელში ცარიელი დოქი, ქამრის მაგიერ თოკი, წელზე ჰკიდია ქვაბი  
და გატეხილი ტაშტი, წასული დროის ნაშთი. ხელში უჭირავს ჯოხი,  
თავზე ახურავს გობი – ყოველივე ამის შესახებ შემდეგ მოვა ვილაც,  
რომელიც რომანებს დაღვრის ჩაფებით, ის იტყვის: უზარმაზარი  
ბოქლომი დაადო რუსეთს მონობამ, გასალები ხალხმა იპოვა. მეფემ  
უმიძმესი ურდულით გამოსურა რუსეთის კარები. მისი სკიპტრა ახ-  
ლაც მიყუდებულია რომელიღაც მუზეუმში – ხალხმა ამოიღო კვეცი,

მონახა აბედი, გაჰკრა კვესს, მაშინ, როდესაც პირსახოცით მხარზე და ხელში სავარცხლით წყაროსკენ მიიმღეროდა ფეოდალობა“ (იქვე. გვ. 24-25).

გალაკტიონის ჩანაწერებში ვხვდებით სასაცილო, დასამახსოვრებელ, კურობოზულ ამბებს. პოეტი წვრილმან სახუმარო ეპიზოდსაც ინიშნავს:

„ერთ „პოეტს“ სახელად რაჟდენი ერქვა. ასოთამწყობმა „რაუდ“ აანყო, შეცდომით „რაუდ“. ხსენებული პოეტი აღტაცებული იყო ამ კონკრეტული შეცდომით. მიიღო ეს სახელი და შემდეგ ყოველთვის ხელს აწერდა: რაუდ გოგობია“. (იქვე, ტ. II. გვ. 494).

ზოგჯერ იუმორისტულ ეფექტს პოეტი სიტყვათა უბრალო თამაშითაც აღწევს:

„ეს ისეთი კაცია, ერთ გროშს როგორმე წაართმევ, მაგრამ, სამაგიეროდ იმ სულს ამოგართმევს“ (იქვე. გვ. 431).

ძუნწის დახასიათებისას გალაკტიონის საერთოდ გულთბილი, თანაგრძნობიანი იუმორი გროტესკულ დაუნდობლობაში გადადის:

„გინახავს სადმე, რომ გველს ფეხები ჰქონდეს?

– არა!

– დაგინახავს როდესმე ჭიანჭველას თვალები?

– არა, არ დამინახავს!

– ისე ვერც მაგის პურმარილს ნახავ!

(იქვე. გვ. 431)

სახუმარო ეპიზოდების უმეტესობა უწყინარი ხასიათისაა და კონკრეტულ პიროვნებებს უკავშირდება. გალაკტიონი ძუნწად, მაგრამ სხარტად და გრაფიკული სიზუსტით გვიხატავს სიტუაციას, აი, „პატარა მოგონება“ პაოლო იაშვილზე:

„მე და პაოლო ერთხელ ვიდექით ერთად ქუთაისის თეატრის ფოიეში, სწორედ შესასვლელ კარებთან. არ მახსოვს, რაღაც პიესა მიდიოდა: ჩვენ არ გვინდოდა შიგნით შესვლა. საიდანღაც გამოჩნდა ამ დროს დათიკო ქებაძე. მან ჯიბეებში ხელი ჩაიწყო, ირონიულად გადახედა პაოლოს, რის გამოც ძლიერ უხერხულად ვიგრძენი თავი. რა უნდა-მეთქი, ნეტავ, ამ კაცს. დავითმა კიდეც გაიარ-გამოიარა, პაოლოს წინ დადგა და ასეთი ლექსით მიმართა: „პავლე, რომ დაიყლანნები, სადაა შენი ყანნები?“ (ე. ი. „ყანნების“ მეორე ნომერი, რომლის გამოსვლაც რაღაც ძალიან დაგვიანდა). პაოლოს სიბრაზისაგან სახე გაუწითლდა. ქებაძემ კიდეც გაიმეორა“ (იქვე, ტ. II, გვ. 364).

„პაოლოს თემას“ გალაკტიონის სხვა ჩანაწერებშიც ვხვდებით.

მოგონებაში „ასი ლექსი“ პოეტს ასეთი შემთხვევა აქვს აღწერილი:

„როდესაც რუსთაველის პროსპექტზე შევხვდი, მან (პაოლომ რ. მ.) მითხრა:

– აი, როგორ შეგყავს ხალხი შეცდომაში...

– როგორ თუ შეცდომაში?

პაოლომ გადაიხარხარა:

– შენ დაბეჭდილი გაქვს არა ასი, არამედ ოთხმოცდათვრამეტი ლექსი... ორი ლექსი აკლია.

– როგორ?

– აი, ნახე.

დავითვალე, მართლა არა ასი, არამედ ოთხმოცდათვრამეტი ლექსი იყო.

იმწამსვე სტამბაში გავექანე. მოვითხოვე ჩემი ხელნაწერი და იქ, მართლაც, ამოგლეჯილი იყო ერთი ლექსი“ (იქვე, ტ. II, გვ. 331)

ერთი ლიმილიანი ჩანახატი აკადემიკოს შანიძესთან შეხვედრითაა შთაგონებული:

„სახელგამში აკაკი შანიძეს შევჩივლე:

– აი, ლიტერატურის სახელმძღვანელო VIII კლასისათვის. პოეტების ათ-ათი ლექსია შიგ და ჩემი კი ერთი-მეთქი.

– ეგ სრულებით არაფერია – მიპასუხა აკაკიმ, – ერთხელ ირაკლი მეფე გლეხის ოჯახში იყო. ამ გლეხს ათი ვაჟი ჰყავდა. ერეკლემ უთხრა მასპინძელს, რა ბედნიერი ხარ, რომ ათი შვილი გყავსო. მასპინძელმა უპასუხა ამოოხვრით: ეჰ, დიდო ბატონო, ნეტავი ერთი შვილი მყავდეს და თქვენისთანაო. ყველამ გადაიხარხარა“ (იქვე, ტ. II, გვ. 499)

მოსე თოიძეზე დაწერილ მოგონებაში გალაკტიონი მოხუცი მხატვრის გულმავიწყობის ასეთ შემთხვევას იხსენებს:

„...რუსთაველის პროსპექტზე რომ ბორჯომის კანტორაა, იქ შევედი წყლის დასალევად. გამყიდველმა ჭიქაში წყალი დამისხა და დარაბაზე დადგა. არ გასულა ორი წუთი, რომ ფაციფუცით დარაბაში შემოვიდა მოსე თოიძე. სალაროში ჩეკი მისცეს. დარაბასთან მოვიდა. ერთი ჩეკი მოსამსახურეს რომ მისცა, ამ დროს, მე დამინახა, ძალიან გაუხარდა.

მერე მოსემ მოჰკიდა ხელი ბორჯომის წყლით სავსე ჩემს ჭიქას და კარებისაკენ წავიდა – სავსე ჭიქით. მე გავოცდი. მოსე გავიდა კიდეც დარაბაზიდან, მაგრამ მალე შემობრუნდა და მოსამსახურეს მიმართა:

– მე მთელი ბოთლი გითხარით, თქვენ კი ჭიქა...

– თქვენ ერთი ჩეკი მომეცით, – უპასუხა გამყიდველმა.

– არა, მე მთელი ბოთლი ვიყიდე.  
მართალია, – დაუმონმა მოლარემ, მოსემ ერთი ბოთლის ფული გადაიხადა და მეც ჩეკი მივეცი.

– არა, ბატონო, – ამბობდა დახლში მდგომი – აი, ის ჩეკი, რომელიც თქვენ მომეცით – და გაუნოდა მოსეს მისი ჩეკი.

მაშინ მოსე შეფიქრებდა. ჯიბეში ხომ არ ჩამრჩა ჩეკიო. გაისინჯა ჯიბეები და დაიძახა: „აჰა, აქ არისო, ჯიბეში ჩამრჩენიაო“, მისცა ჩეკი, გამოართვა ბოთლი და წავიდა“. (იქვე, ტ. II, გვ. 332)

ირონიული და სატირული ლირიკის გვერდით გალაკტიონის პოეზიაში გვხვდება ზოგჯერ სრულიად უწყინარი იუმორით აღსავსე ლექსები. პოეტის ცნობილი ლექსი „სვინტრი“ სწორედ ამგვარ ლექსთა ნიმუშია:

„არც დვალეთში, არც ქიზიყში, არც ჰერეთში,  
არც დღეის დღეს, არც ხვალეთში, არც მერეთში,  
არც ბოხობში, არც ცილინდრში, არც ბერეტში,  
სვინტრი იგი ხარობს თურმე იმერეთში.  
უნდა შუბლით ფიქრთა ნისლი გამერეკა,  
მსურდა სწრაფად მსფოლიოსთვის დამერეკა,  
რომ აღმოჩნდა, რომ აღმოჩნდა ამერიკა  
და რომ სვინტრი ბალახია იმერეთში“.  
(იქვე, ტ. I, გვ. 545)

გალაკტიონისებური ლბილი იუმორითა და სიბრძნითაა შეზავებული აგრეთვე გალაკტიონის ერთი უსათაურო ლექსიც:

„შენ რომ სურათი მთხოვე, ო, მერი,  
და გითხარ: სურათს მოგართმევ მერე;  
აღბათ, გულში სთქვი: „მერე-მერეთი“  
ჩვენი ვერ წავა შორს იმერეთი.

მართლაც, რაგვარად ამ სიტყვამ – „მერე“  
წაგვართვა იმერთ სიმშვენიერე.  
სად არს სოლომონ, ბეკინა, პეტრე,  
თქვენი სიმკვირცხლე, სიმხნე, სიმკვეთრე?  
და ამიტომაც მოგართმევ, მერი,  
სურათს ახლავე და არა მერე“.

(იქვე, ტ. I, გვ. 607)

გალაკტიონის სახუმარო ლირიკა სწორედ იმ ხასიათის ლექსებია, რუსთაველი „მესამე ლექსს“ რომ უწოდებს „სალალობოდ...“ „ამხანაგთა სათრეველად“ დანერილს, ასეთ ლექსთა რიცხვს განუკუთვნება ფედია ჩუღეცკისადმი მიძღვნილი სალალობო:

„იყო ღრმა ფილოსოფოსი“,  
სახელად ერქვა სპინოზა,  
სულ გვაყვედრიდა – რათა სომთ  
ამდენ არაყს და ღვინოსა.

ეს რომ სიკვდილმა გაიგო,  
სთქვა: ცოტა მამითმინოსა,  
ჩამოუქროლა სპინოზას  
და მტვრად აქცია სპინოზა.

ესე ამბავი სახუმრო,  
სერიოზულზე მეტია,  
რაც დღე დააკლდა სპინოზას  
შენ შეგემატოს ფედია!

გალაკტიონის სატირულ-ირონიული ფერებით შეზავებული ნაწარმოებების შესწავლა ცხადად გვიჩვენებს, რომ პოეტი ლიტერატურის ამ ურთულეს არსენალსაც მშვენივრად ფლობდა. გარდა ამისა, ირონიულ ლირიკაში უფრო მკაფიოდ ვლინდება გალაკტიონის პოლემიკური დამოკიდებულება თავისი დროის სინამდვილესთან. მრავალფეროვანია ამ ხაზით პოეტის შემოქმედებითი პალიტრა. იგი წერს როგორც მრისხანე სატირულ ლექსებს და ირონიულ ლირიკას, ისე – სრულიად უწყინარ, სალალობო ჩანახატებსაც. ცდილობს მცირეოდენი ხუმრობაც კი ჩაინიშნოს, რაც იუმორისადმი პოეტის ბუნებრივ ყურადღებაზე მიგვანიშნებს. მაგალითად, წერილში – „შენიშვნები სვანეთის შესახებ“, ასეთ ადგილსაც წააწყდებით:

„ვეკითხები ღრმა მოხუცს:  
– თათარ-ხან, რამდენი წლის იქნები ახლა შენა...  
– ოო... დიდი ხნისა ვარ...  
– მაინც, მაინც?  
– ოო... ჩემი ხნის ქვაც კი არ არის სვანეთში...  
– მაინც, ჩვიდმეტი წლის იქნები?

– ოო... ჩვიდმეტის, მგონია, ვიქნები. ჩვიდმეტის კი ვიქნები, ჩვიდმეტს არა დამაკლდება რა!“

(იქვე, ტ. II. გ. 254)

გალაკტიონის უბის წიგნაკში აღმოჩნდა 1946 წელს დაწერილი სიუჟეტური სატირული ლექსი. ამ ლექსის დედააზრი ალეგორიულად შეიცავს პროტესტს არსებული რეჟიმისადმი და, ალბათ, ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ გალაკტიონს იგი არც ერთ კრებულში არ შეუტანია:

თევზმა თევზს უთხრა:  
რა გითხრა, იცი,  
დაიძარ ცოტა  
იქით მიიწი.  
მან უპასუხა:  
– სად წავალ, აბა,  
ვიხრაკებითო  
ორივ ერთ ტაფას.

გალაკტიონის სატირული მახვილი ხშირადაა მიმართული იმ ვაიშემფასებლებისაკენ, კრიტიკოსის პრეტენზიით მოსულნი სულს რომ უხუთავდნენ ქვემარტ მწერლებს და ლიტერატურის ნორმალურ სვლაგებს თანდათანობით რომ აქცევდნენ პარტიულ ყალიბში. ნაიკითხავს გალაკტიონი ცრუ კრიტიკოსის ნაჯღაბნს და მის მაგიდაზე ასეთი ჩანანერი გაჩნდება.

რა არის მასზე უფრო მავნებელი,  
როცა ტეტია  
მშვენიერების შემფასებელი  
და ესთეტია“.

სიმბოლისტებთან გალაკტიონის უთანხმოება ამ ირონიულ ჩანახატშიც ნათლად ჩანს:

„ტიციან ტაბიძე აცხადებდა აკადემიას, ალი არსენიშვილი წინააღმდეგ ყოფილა, რობაქიძისათვის ეს სულერთია, იაშვილი საცეხებით უარყოფდა რაიმე აკადემიურ მუშაობას. – ასე და ამგვარად, ჩვენთვის ჯერაც გამოურკვეველია, ინიციატორები არიან ცისფერყანწლები თუ ჩვენა ვართ, ყველანი. ე. ი. მე მინდა ვთქვა: აკადემიას აარსებენ ჯგუფის სახელით, ჯგუფური მიზნებისათვის, თუ საერთოდ ქართული პოეზიისათვის. აი, აქ ემჩნევა არევ-დარევა, უთანხმოება და დაბნევა ინიციატორებს. რობაქიძე ვერ ერკვევა იმაში,

რომ ლექსის ლაბორატორია სხვა ემოციებში არ შეიძლება არ შეიქნას. მიკროსკოპებით შეიარაღებული პოეტი არასდროს თქვენთან არ მოვა... თქვენ გენაცვალეთ, მასწავლეთ რამე, უცოდინარი ვარ, აქ ყველა მცოდნეა ლექსის და არავინ უცოდინარი. მე არ მესმის ასეთი ტონით ლაპარაკი. მე პირადათ იმ აზრის ვარ, რომ ცისფერყანწლებს მოუხდებათ ასეთი ლაბორატორია.

მე ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვივლი ამ კრებაზე, მაგრამ არა რაიმეს შესწავლის მიზნით. შესასწავლად და ლაბორატორიისთვის მე ჩემი ბინა მაქვს. იქ უფრო გაცილებით მეტს ვისწავლი!..“

1955 წლის 6 აპრილია. არასრული ოთხი წელი რჩება გალაკტიონის თვითმკვლევლობამდე. გალაკტიონის ურთიერთობა მწერალთა კავშირთან კვლავინდებურად დაძაბულია. ხან „რჩეულს“ ამოუგდებენ გეგმიდან, ხან ყრილობის დელეგატთა სიიდან გამოორჩებათ და ხან დასაჯილდოებელთა სიას აარიდებენ. და გალაკტიონიც „შურს იძიებს ხოლმე იგნორირებისათვის, ვერდანახვისათვის, უმადურობისათვის, ნახეთ გალაკტიონის სააპრილო ხუმრობა.

„მწერალთა კავშირში შვიდი განყოფილებაა. შეიძლება, ამ დანაყოფებს სექციები ვუწოდოთ, მაგრამ არა...“

1. „მწვერვალთა კავშირი“ – გულისხმობს ლიტერატურულ მწვერვალებს. ისიც ძალიან ცოტანი არიან, მწვერვალები.

2. მწერალთა კავშირი – გულისხმობს მწერლებს.

3. მწერალთა კავშირი – გულისხმობს არამწერლებს მწერალთა კავშირში.

4. გადამწერელთა კავშირი – გულისხმობს კრიტიკოსების სექციას – გასაგებია რატომ.

5. მიმომწერელთა კავშირი – გულისხმობს კანცელარიის მუშაკებს – მწერლებს.

6. ჩამწერელთა კავშირი – გულისხმობს მეგონორარეებს.

7. მწერთა კავშირი – გულისხმობს მწერლებს და სხვადასხვა პარაზიტებს, გასაგებია, მგონი.

ასეთია საქართველოს მწერალთა კავშირში საქმეთა ვითარება“.

რედაქტორთა ყოფაზე ხანგრძლივ დაკვირვებას პოეტი ასეთ „დასკვნამდე“ მიუყვანია:

„საქმე იმაშია, რომ არასდროს არავითარ დაწესებულებაში არ უნდა იკისრო თავმჯდომარეობა, ან რედაქტორობა, არამედ მდივნობა. რედაქტორები მუდამ წამს იცვლებიან, მდივანი ყოველთვის რჩება. ასეა პოლიტიკაში, ასეა დაწესებულებების პრაქტიკაში. მხოლოდ ამას უნდა სპეციალური ნიჭის კაცი“.

გალაკტიონის ირონია ჟურნალისტიკასაც წვდება. გაზეთში დაბეჭდილი ინფორმაციის დანიშნულებაზე ასეთ ჩანახატს გვთავაზობს:

„ყოველი ცნობა გაზეთში აუცილებლად იმისთვის უნდა იბეჭდებოდეს, რომ საზოგადოების ყურადღება მიიქციოს. ცნობას, რომელიც მხოლოდ ერთი პიროვნებისათვის არის საინტერესო, გაზეთში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. აიღეთ, მაგალითად, ორი ცნობა:

1) მგოსანი აკაკი ამჟამად ქუთაისში იმყოფება, 2) ივანე გვარამია ამჟამად ქუთაისში იმყოფება. პირველი ცნობა არავითარ გაკვირვებას არ გამოიწვევს, რადგან იგი ეკუთვნის აკაკის, რომლის ყოველი ნაბიჯი საინტერესოა მკითხველისათვის, ხოლო ივანე გვარამიას ქუთაისში ყოფნა, მხოლოდ ბ-ტ გვარამიას თუ დაინტერესებს, თორემ სხვას არა“.

პოეტს გაუკენწლავი არც მეცნიერებათა აკადემია რჩება, აკადემია, რომლის ნამდვილი წევრობითაც ასე ამაყოფდა იგი:

„აკადემიის კიბეზე  
ქარმა დაჰქროლა ქვენამან  
მეცნიერნი და უვიცნი  
ერთად შეჰყარა ზენამან“.

სახუმარო ფერები პოეტს ისეთ სერიოზულ თემაზე საუბრის დროსაც არ ელევა, როგორც გახლავთ მაიაკოვსკის სტუმრობა თბილისში. გალაკტიონის უბის წიგნაკში წავანყდი იუმორით აღსავსე ნოველას მაიაკოვსკის თემაზე:

„თბილისში მაიაკოვსკი იმ დროს ჩამოვიდა, როდესაც შეუძლებელი იყო, ვისმესში რაიმე აღელვება ან ინტერესი გამოეწვია. დაინტერესებული მკითხველი შემეკითხება: – ვითომ, რითვინაო? – იმისთვის, ჩემო გულუბრყვილო მკითხველო, რომ იყო აგვისტო, და ყველამ იცის, რას ნიშნავს თბილისში აგვისტო... მაიაკოვსკიზე ადრე ეს აგვისტო ტფილისისა განიცადა პოეტმა ნადსონმა. ნადსონი კავკასიაში გამოგზავნეს ექიმებმა და ადგილიც დაუნიშნეს – ტფილისი. დროც დაუნიშნეს – ზაფხული. ჩამოვიდა ახალგაზრდა ნადსონი ტფილისში და დაბინავდა იმ სახლის მეორე სართულზე, რომლის პირველ სართულში თონე იყო მონყობილი. და ჩავარდა პოეტი ორცეცხლშუა. ზევიდან აგვისტოს შეუბრალებელი მზე, ქვევიდან რაჭუნისკების მიერ გაცხელებული თონე და დაიწყო ისტერიული ტირილი წერილებით. ეს რა ჯოჯოხეთში გამომგზავნეთ, ეს რა სააგარაკო ადგილია, მიშველეთ, ჩქარა აქედან წამიყვანეთო.

ასეთია აგვისტო ტფილისში. ამიტომაც ტფილისელები ზაფხულშივე სტოვებენ ტფილისს. და დადიოდა მაიაკოვსკი ტფილისში ჯიბეში ხელჩანყობილი, ხელში ჯოხით, ევროპულ ტანისამოსში.

ის იყო „მნათობის“ რედაქციიდან გამოვედი, დავინახე მაიაკოვსკი, ადგილობრივი ფუტურისტებით გარშემორტყმული მოდიოდა რუსთაველის პროსპექტისაკენ. არავითარი ყურადღება მისდამი. ასე მოვიდა მილოვის სახლებამდე და შემდეგ უკანვე გაბრუნდა.

სულ რამდენიმე ნაბიჯი და ჩვენ შევხვდებოდით, მაგრამ მე რალაც არ მიმინევდა მისკენ გული.

ეს იყო პირველი და უკანასკნელი მისი ნახვა.

ეს იყო 1924 წ.

თუ არ ვცდები, მაიაკოვსკიმ იმ ღამესვე დასტოვა ტფილისი“.

გალაკტიონის სატირული ნიჭი პოეტის გრაფიკულ ჩანახატებშიც ნათლად ჩანს. უბის წიგნაკებში უამრავი შარჟი, კარიკატურა, ზოგჯერ ამოუცნობი, აბსტრაქტული პასაჟი შეგხვდებათ. პოეტი ხშირად ხატავს თავს. ეს თავი-კაცუნა გალაკტიონის სატირულ ჩანახატებში ხან წიგნზე წამოსკუპულა, ხან თავგ-გიგანტად ქცეული ადამიანებს ჩასანთქმელად ელირება. ამკარაა, რომ ეს თავი-სიმბოლო პოეტისთვის არსებული ტირანული სინამდვილის გროტესკული ანარეკლია და პოეტს ლექსის წერის დროს პროტესტული განწყობილების შესაქმნელად შველის. აქა-იქ გალაკტიონი-კარიკატურისტი მეგობრულ შარჟებსაც ხატავს. განსაკუთრებული ოსტატობითაა შესრულებული ტიცინი ტაბიდის შარჟი. პოეტს მარტო სიტყვა კი არა, ხაზიც საოცრად უჯერებს, ემორჩილება, ნახატებზე ფანქრის მოძრაობა ლალია და თამამი, ხოლო შტრიხი – ზუსტი და დამაჯერებელი.

იუმორისა და ირონიის ადგილს საუკუნის პოეზიის მეტრის ცხოვრებასა და შემოქმედებაში ყველაზე უკეთ თვით გალაკტიონის ლექსი-ავტოპორტრეტი მიუთითებს:

„შენს თეთრ შუბლზე თვით გენიის  
ზეციური მირონია,  
მხოლოდ ბაგის კუთხეში კრთის ღვთაებრივი ირონია.

ზღვაებრ დიდი, ვრცელი გრძნობა  
მწუხარებას შვენის მარტოს,  
სახის შენის გამოცნობა ძალუძს მხოლოდ ლეონარდოს“.

## რომანი ადამიანის უკლებლოებაზე

ამ საუკუნის ბოლოს ეროვნულად დათრგუნვილი, გულგატეხილი, პოლიტიკურად დაცვედნებული ქართველი მკითხველი წიგნს განუდგა.

ეს ინტელიგენციის მიმართ თავისებური პროტესტი იყო.

ტყუილი გამოდგა საუკუნის მანძილზე შენი ფარული თუ აშკარა მონოდებანი, ქიმერა გამოდგა შენი ინტელექტუალური ღალადისი ერის თავისუფლებაზე, არცთუ ზოგი, ერთ დროს საიმედო, ინტელიგენტის ხელდაუსხმელად საქართველო კვლავ მონობაში შეაბრუნეს და ამჯერად აურაცხელი ეროვნული დანაკლისის (სიცოცხლე, ტერიტორია, ეკონომიკა) ფასად. აღარ მჯერა შენი. თუ კაცი ხარ, მართო დამტოვე ჩემს შავბნელ ფიქრებთანო, თქვა ქართველმა კაცმა და გული გაიცივა ინტელიგენციის მიმართ.

სამწუხაროდ, ჩვენ მიერვე ანთებულ-დარაზმული ჩვენი თანამოძმეების საყვედური ყველას შეეხო მეტნაკლებად.

დაინყო „უნიგნობის“ გულისმომკვლელი პერიოდი.

მაღაზიის თაროებზე ხელუხლებლად იდო წიგნები, რომელთა ავტორების ყოველ სტრიქონს ადრე ხალხი სასიცოცხლო ძალასავით იტაცებდა და ვის ახალ წიგნებზეც ოთხმოციან წლებში მყიდველთა გრძელი რიგი იდგა.

და ბოლოს, ყინული მაინც გალღვა.

ქართველი მკითხველი თავისი მწერლისკენ შემობრუნდა.

რწმენა დაუბრუნდა? რაიმე ისეთი გაჩნდა ლიტერატურაში, ჭეშმარიტი ნიჭის გარდა დიდი სიმართლით რომაა სავსე?

ერთიცა და მეორეც.

ამ ბოლო დროს ქართველი მკითხველი მხატვრული ლიტერატურისკენ ორმა მშვენიერმა რომანმაც მიაბრუნა – გურამ ფანჯიკიძის „ემმაკის ბორბალმა“ და ჭაბუა ამირეჯიბის „გორა მბორგალმა“.

ოც წელზე მეტი ელოდა მკითხველი ჭაბუა ამირეჯიბის ახალ ნაწარმოებს.

ბუნებრივიცაა. „დათა თუთაშხიას“ უზადო ლიტერატურულმა ღირსებებმა და პოპულარობამ განაპირობა ჩვენი სურვილი, მალე გვეხილა გახმაურებული რომანის ავტორის კიდევ ერთი ნაოსტატარი.

მოლოდინი საკმაოდ გრძელი გახლდათ, ეჭვებითა და ერთგვარი სპორტული ინტერესით სავსეც.

გაჭიანურებულმა ამაო ცდამ ზოგიერთი სკეპტიკოსის თვალში

სრულიად უსაბუთო მითიც კი დაბადა. ალბათ, არ არის ჭაბუას დანერილი, თორემ რა დაუმთავრებელი დაემართა ახალ წიგნსო.

ერთხელ, ეს იყო ამ თხუთმეტი წლის წინათ, მწერალთა კავშირის ბაღში ჭაბუას სოსო პაიჭაძემ ჰკითხა – როგორ მიდის ახალი რომანის საქმეო.

– იცი რა, – ჩვენს გასაგონადაც უპასუხა მწერალმა – ვერ არის კარგად. ძალიან მძიმედ მწერება. ხანდახან გავჩერდები რომელიმე პასაჟზე და ნაბიჯს ვერ ვდგამ. თვეები გადის – სტრიქონს სტრიქონზე ვერ ვაბამ.

– რაზეა, თუ საიდუმლო არ არის-მეთქი, – საუბარში ჩავერიე.

– მეცამეტე საუკუნის საქართველოზე, მაინტერესებს, რა ემართება ქვეყანას დამპყრობლის ხელში. ისეთი დამპყრობლისა, რომელსაც შენი ტკივილი, შენი პრობლემები არ ესმის და არც შენი ფასი იცის.

მაშინ გაცილებით უფრო თამამი ვიყავი, ვიდრე ახლა ვარ და, მრცხვენია ჩემი მაშინდელი ნათქვამისა, მაგრამ მაინც უნდა გავისხენო.

მეცამეტე საუკუნის საქართველო ხომ მხოლოდ წყაროებში უნდა მოიძიოთ, იგი მაინც წიგნთა რემინესცენციებით იქნება დანერილი და არა თქვენ მიერ ნანახი და განცდილი. ალბათ, წერაც იმიტომ გიჭირთ, რომ ბევრი რამ უნდა გამოიგონოთ. თქვენი სტილი უფრო „მე“-დან დანახული ცხოვრების აღწერაა. არა და, რა ბიოგრაფია გაქვთ. მე ვინ მკითხავს, მაგრამ თქვენ ადგილას თქვენი ლეგენდარული „პაბეგების“ შესახებ დავწერდი-მეთქი.

„პაბეგები“ იმიტომ ვახსენე, რომ მანამდე ბაკურიანის შეკრებების დროს მახსოვს, რა ინტერესით ვუსმენდით ციმბირიდან ახალდაბრუნებულ(თუ გამოქცეულ) ჭაბუას, როცა იგი საოცარი ფერწერულობით გვიამბობდა თავის ფათერაკებზე.

მაშინ ჭაბუამ თავისთვის ჩაილაპარაკა:

– არ ვიცი, რა ვიცი... ასე მგონია, ჩემს ძალღერ წარსულზე „დათა თუთაშხიასი“ ყველაფერი ვთქვიო.

მკითხველს ვთხოვ, სწორად გამიგოს; ეს ეპიზოდი „გორა მბორგალის“ იდეის გაჩენაში ჩემი განსაკუთრებული ხაზგასმის წარმოსაჩენად არ მომიტანია.

უბრალოდ, სიტყვას მოჰყვა.

წავიკითხე „გორა მბორგალი“ და სიამაყე ვიგრძენი. ეს გახლავთ ჭეშმარიტ, დიდ ლიტერატურასთან შეხვედრა.

ეს გახლავთ ეპოქა საბჭოეთის საზოგადოებრივი ცხოვრებისა, კერძოდ, იმ უბნის, სამართლისა და კანონის სფეროს რომ ეძახიან. „გორა

მბორგალი“ დიდი ოსტატობით ნათქვამი მწარე სიმართლეა კომუნისტური გულაგების ცხოვრებაზე და, რაც მთავარია, იგი ჰიმნია თავისუფლების წყურვილით შეპყრობილი ადამიანის უძლეველობაზე.

დავხურე წიგნი და მთელი კვირა ამ წიგნისგან მიღებული დადებითი მუხტი წელში მმართავდა. ათასი მიზეზის გამო ურვაშეყრილს, უფლებას არ მაძლევდა, სასონარკვეთას მივცემოდი.

რა დიდებული რამაა ქეშმარიტი ლიტერატურა. რა კარგია, რომ გორა მბორგალი არსებობს, „დალენილი, მიწასთან გასწორებული ციხეში – სიმაგრეების ქვა-ლორლით ნაგები“ კაცი. რამდენს მოჰგვრის მისი სვლა მომავლის მრუმე ასწლეულებში მხნეობასა და „ჭირსა შიგან გამაგრების“ ძალას.

ტანჯვაზე დაწერილი რომანი ბოლოში გამოსვლისას გულზე მაჯლაჯუნასავით შემოკრულ ავ ფიქრებს ერთბაშად გიხსნის და ექსტაზს, განსაცვიფრებელ შინაგან ჰარმონია-სიმსუბუქეს გგვრის.

მეც და ჩემი კოლეგებიც, ვისაც ბედნიერება გვაქვს, ჭაბუა ამირეჯიბსაც ვიცნობდეთ, როგორც პიროვნებას, და მის შემოქმედებასაც, ჯიუტი თანმიმდევრობით (ინტერვიუშიც არაერთგან მაქვს აღნიშნული) ვპასუხობდით ეჭვიან კაცთა შეკითხვებზე, რომ საკმარისია-მეთქი, ჭაბუას ერთი საათი ესაუბრო, რათა ყოველგვარი ეჭვი გაგიქრეს „დათა თუთაშხიას“ ორიგინალურობაზე.

ახლა „გორა მბორგალი“ ეს ეჭვი, თუ სადმე კიდევ არსებობდა, საპნის ბუშტივით გააქრო.

ჯერ ერთი, „გორა მბორგალი“, თითქოსდა, სიმბოლურ- პრობლემური გაგრძელებაა „დათა თუთაშხიასი“. იგი, ერთი შეხედვით, დათა თუთაშხიას უმცროს ძმადაც შეიძლება მოგეჩვენოთ. გარდა ამისა, ელემენტარული სტილურ-სინტაქსური ანალიზიც ცხადყოფს, რომ „გორა მბორგალი“ „დათა თუთაშხიას“ ავტორის მიერაა დაწერილი.

ესეც სიტყვას მოჰყვა, თორემ ისეთი მკაფიო ნიჭის, ენციკლოპედიურად განათლებულ და მრავალჭირნანახ მწერალთან, როგორიც ჭაბუა ამირეჯიბია, ამის მტკიცება არ უნდა მჭირდებოდეს.

მკითხველი წიგნთან, უპირველეს ყოვლისა, თავის დამოკიდებულებას ამყარებს იმის მიხედვით, იღებს ან არ იღებს იგი ნაწარმოებს, თუ რამდენად ეხმიანება თხზულება მის შეხედულებებს, წარმოდგენებს, რამდენად სცემს პასუხს სწორედ მისი, როგორც პიროვნების, წინაშე დასმულ კითხვებს. და რაკი ეს ასეა, უპირველეს ყოვლისა, ხაზი უნდა გავუსვა, რომ „გორა მბორგალი“ სწორედ რომ თავისი ეპოქალური ხასიათით, შემეცნებითი ღირებულებით მოესალბუნა ჩემს სულსა და გულს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ კო-

მუნისტური ტირანიისადმი ჩემი დამოკიდებულება აბსოლუტურად ემთხვევა ავტორის პოზიციას და რომანმა ჩემი ცოდნა საბჭოური ცხოვრების შესახებ ახალი სურათებით გაამდიდრა. თანაც, გარდა ნაცნობი გარემოს დიდებული აღწერისა, ლამის დოკუმენტური სიზუსტით აღწერილ ნაცნობ მოვლენებსაც წავაწყდი და ჩემთვის ახლობელი რამდენიმე ნაცნობის სახელიც მოვიხიშე „გორა მბორგალის“ ეპიზოდურ პერსონაჟთა გალერეაში.

სახელდობრ: მეც მივლია ციმბირის ტაიგაში და ზამთარში იქაური ყინვა-ქარბუქის, ხოლო ზაფხულში ცერისიმსხო კაციჭამია კოლოების „გემოც“ კარგად მახსოვს. ასე რომ, იმიერპოლარეთი, ნორილსკი, ტაიშეტი, ბაიკალი, ჩიტა, ომსკი, ნოვოსიბირსკი ჩემთვის ნაცნობი გეოგრაფიული პუნქტებია და რომანის კითხვისას მეჩვენებოდა, რომ მეც გორა მბორგალის გვერდით მივათრევედი სლიპ გზა-ყინულზე („ზიმნისკს“ რომ ეძახიან) ჩემი ბედისწერის მძიმე ციგას.

გარდა ამისა, რომანის საყოველთაოდ ცნობილ ქართველ პერსონაჟებს რომ თავი გავანებოთ, „გორა მბორგალი“ ნახსენებ რუმინელ დისიდენტს, მარჩელსაც, კარგად ვიცნობ თავის უმშვენიერეს მეუღლესთან, ქ-ნ დინასთან ერთად, ამ ათიოდე წლის წინათ რუმინეთში ევროპის პროზაიკოსთა ფორუმზე ყოფნისას მარჩელმა მომძებნა, შინ მიმინვია, ბევრი საინტერესო რამ მიაგმო გულაგურ ცხოვრებაზე და ჭაბუასთან, წერილთან ერთად, საჩუქრად ჰალსტუხიც გამომატანა.

1984-1994 წლები აზის რომანს შექმნის თარიღად. ეს იმას ნიშნავს, რომ ურთულესი ისტორიული კატაკლიზმების პერიოდში, თავისუფლებისთვის საქართველოს აქორჩების, იმპერიის ნანილობრივი რღვევის, ქიშკრული სამწლიანი დამოუკიდებლობის და 1993 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ხელახლა დაპყრობა-ანექსიის წლებში ინერებოდა რომანი. ამიტომაც ავტორი ეპოქის თავისუფალ შეფასებებში თავს ლალად გრძნობს და ობიექტური ანალიტიკოსის მანტია უმშვენებს ბეჭებს. „გორა მბორგალი“ ქვედა თუ ზედა დამანგრეველი გრიგალებისგან მოტორტმანე იმპერიას სხვადასხვა განზომილებაში განიხილავს და მისთვის სასიკვდილო განაჩენი გამოაქვს.

„გორა მბორგალის“ მთავარი პრობლემა, როგორც მოგახსენეთ, თავისუფლებისთვის ბრძოლის პრობლემაა. არა მარტო პიროვნების ბრძოლაა დახატული, არამედ ნორილსკის საპატიმროთა ერთიანი ამბოხებაც გახლავთ ნაჩვენები და წიგნიდან გულაგებში განანამებ ადამიანთა საპროტესტო გუგუნე გაისმის. ერთი მხრივ – ერთი გაქცეული კაცის მოსაშობად აღმსდგარა მრისხანე სტიქია და კოლონიის გამოცდილი

მეფე მიტილენიჩი თავისი გლებ-თანაშემნეთი და მეძებრებით, მეორეს მხრივ, აჯანყებულ ნორილსკელ პატიმართა წინაშე კარგად შეიარაღებული დამთრგუნველი სახელმწიფო მანქანა დგას სპეციალურად შერჩეული, მანქურთი, გონებაჩლუნგი ჯარისკაცებით სავსე...

და მაინც, თავისუფლებისათვის ბრძოლის ჟინს თავისი გააქვს. გორამ მაინც მიაღწია საბიბულინის საბოსტნე ქოხამდე და სიხარულის ყიჟინით რკინიგზის რელსზე ჩამოჯდა. ნორილსკელმა მეამბოხეებმაც თავისი გაიტანეს. ადმინისტრაცია (ე. ი. სახელმწიფო, რ. მ.) იძულებული გახდა, ზოგი რამ დაეთმო სასიკვდილოდ თავგადაღებულ პატიმართათვის.

ახლა იმას მივაქციოთ ყურადღება, რომ „გორა მბორგალი“ იბეჭდება სწორედ იმ დროს, როცა საქართველო თავის დაკარგულ დამოუკიდებლობას გლოვობს, როცა თავისუფლებისათვის საქართველოს გაბრძოლება იმპერიამ სისხლში ჩაახშო. 1992-93 წლების რუსეთ-საქართველოს ომში საქართველოს 30 ათასი პატრიოტი მოუკლა, სამასი ათასი კაცი თავისი ისტორიული მიწიდან (აფხაზეთი, სამაჩაბლო) გამოდევნა და მსოფლიოს თვალწინ საქართველოს უსირცხვილოდ ჩამოაჭრა ტერიტორიის მესამედი.

ასეთ დროს, სრულიად ბუნებრივია, რომ ერის ერთი ნაწილი გულგატეხილობამ, პოლიტიკურმა ინდიფერენტობამა მოიცვა. ჩანს, განწირული ქვეყანა ვართ, სანამ რუსეთი ჩვენი მეზობელია (და ეს ყოველთვის ასე იქნება)... თავისუფლებას ვერ ვეღირსებთ! – ასეთი ნაკლებლოგიკური, მაგრამ გარემოებიდან ნაწილობრივ გამომდინარე აზრი გაჩნდა სკეპტიკოსთა თავში.

რა სჭირდება ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო მეტად დამცირებულ, დამონებულ ხალხს? – იმედი, გამხნელება, „ჰაის“ შეძახილი. „გორა მბორგალი“ სწორედ რომ გამხნელების წიგნია.

– ყური ნუ ჩამოგიყრია, მონობას ნუ შეჰგუებხარ. თავისუფლებისთვის ბრძოლის ლოგიკა სწორედ იმას მონშობს, რომ ჯიუტინება, დროებითი მარცხის მიუხედავად, ბოლოს მაინც იმარჯვებს, სამართალმა ბოლოს მაინც პური უნდა ჭამოს, დააკვირდი ჩემს გორას, იგი ხომ შენი ძმავა, შენი სისხლი სისხლთაგანი. საკმარისი იყო, ორიათასკილომეტრიან გოლგოთის გზაზე ნუთით იმედი დაეკარგა, შიში შეჰპარვოდა გულში, ან თოვლის ყურბალიშზე სასონარკვეთილს ჩასძინებოდა, რომ მეორე დღეს მდევარი – მიტილენიჩი ყინვისგან სამუდამოდ გაშეშებულ მის ცხედარსლა იპოვიდა. მამ, ისწავლე გორასგან თავისუფლებისათვის დაუცხრომელი ბრძოლის ოსტატობა, მიიღე მისგან რკინის ნებისყოფის, გამძლეობის, შე-

უპოვრობის გაკვეთილები! – ასეთია „გორა მბორგალის“ ფურცლებიდან ჭაბუა ამირეჯიბის ჩვენკენ მომართული შეგონება და სწორედ ამიტომ გახლავთ ეს რომანი წიგნი-მონოდება, დროულად ანთებულ მასხალა წყვდიადში მდგომი დაბნეული ადამიანებისათვის გზის გასანათებლად.

ვინ არის გორა? ოციან წლებში დაბადებული ქართველი კაცი, გორა მბორგალი (იაგორ კარგარეთელი) მაღალი არისტოკრატიული ოჯახიდან. და სწორედ თავისი არისტოკრატიული წარმოშობის გამო წითელი ხელისუფლებისგან სიყრმიტგანვე დევნილ-შევიწროებული. ბოლშევიკური ცინიზმი მის ოჯახს ბედი მდევარივით თან ახლდა ყოველთვის. დედ-მამა რეპრესიების მსხვერპლია, გორა პაპასთან იზრდება. მისი მახსოვრობა ძალადობის აქტით დაიწყო. პატარა ბიჭი იყო, როცა შინ ღამის 3 საათზე ოთხი ფორმიან-ნაგანიანი კაცი ესტუმრა. ბინა გულდასმით გაჩხრიკეს, ისე გულდასმით, რომ გორას ერთი ციცქნა ლეიბიც კი გამოფატრეს კაუჭიანი სასხლავი დანით (კაუჭიანი, „სასხლავი“ დანა ჭაბუა ამირეჯიბის ტერმინია და ამიტომ ვხმარობ, თორემ კაუჭიანი დანა სამყნობი დანაა და არა სასხლავი. საერთოდ, დანით ვენახის გასხლვა არ არსებობს. სასხლავი რკინის მაკრატელია, რ. მ.). გორამ რადიოტექნიკუმი დაამთავრა და ომმაც მოუსწრო. მოხალისედ წავიდა, მაგრამ რამდენიმე თვეში კავკასიის მისადგომებიდან უკან დააბრუნეს. ჩამოსული ჯემალ თურქიას არალეგალური ორგანიზაციის წევრი გახდა. პურის ყალბ კუპონებს ასაღებდა ორგანიზაციის წევრებისთვის იარაღის შესაძენად. დაიჭირეს და ამ „პოლიტიკური“ დანაშაულისათვის ოცდახუთი წელი აჰკიდეს. მერე სხვადასხვა გულაგიდან რამდენჯერმე გამოიქცა და ყოველი დაჭერის დროს, რა თქმა უნდა, პატიმრობის წლებს უმატებდნენ. ბოლოს გაათავისუფლეს და თბილისში ჩამოვიდა. ნაჯდომი კაცი „თავისუფლებას“ ვერ შეეგუა. გარეთ ყოფნამ ახალი და უფრო რთული პრობლემებით დატვირთა. საქართველო კორუფციის ბალებში ჰყვავოდა. ერთი პატარა ოთახი, როგორც იქნა, იგდო ხელთ, მაგრამ თავი ხომ უნდა ერჩინა. ფულის შოვნის მიზნით კომბინატორ მიშა ქვათაძეს დაუმეგობრდა. ერთობლივი ცეხი-ფირმა გახსნეს და დასაწყისში ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ერთ დღეს გორას რევიზია დაესხა თავს და საწარმო დალუქეს. თურმე ნუ იტყვი, ეს მიშა ქვათაძის ოინები იყო, გორას კომპანიონი რევიზიასთანაც შევიდა წილში, რათა გორასთვის ამ გზით ფული გუმოეძალა. გორამ ეს ყველაფერი შეიტყო. ვერა, ძმაო, ფულის გულისთვის რომ ყველაფერს კისრულობენ, ისეთ საქართველოში მე



ვერ გავჩერდებიო, თქვა და თავისი სურვილით ისევ ციმბირში, ამჯერად ურენგოიში გაბრუნდა. იქ პოლინა ცეზარევა დაისვა საყვარელად, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს პოლინამ სწორედ გორას ლოგინში უღალატა ვინმე სანცოვთან. გორაში კავკასიელმა ოტელომ გაიღვიძა და ძვლების დამტვრევამდე სცემა თავის საყვარელს და მის კუროს. რომ იტყვიან, ღვინის ქურდი მთხლეს გადააყოლეს. ამ „ყოფითი შემთხვევის“ გამო გორა კვლავ დააპატიმრეს, მისი საბუთები ამოსწიეს და, რაკი ცნობილი „მორბენალი“ აღმოჩნდა, იმიერპოლარეთში, მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გადაასახლეს. ამ პერიოდში უკვე ხანშიშესულ გორას სხვადასხვა დროს მისჯილი ჰქონდა 83 წელი.

რომანი იმით იწყება, რომ მოუსვენარი მორბენალი ამ უკანასკნელი ბანაკიდან გარბის პატიმარ მიშა ფილიპოვის ინსტრუქტაჟითა და დახმარებით.

რატომ გაიქცა?

რომანში გორა მბორგალის გაქცევა და ამ გაქცევის გამირისეული ანალიზის თავები ბრწყინვალედ არის დაწერილი.

ვერ პურგაში დაბადებულმა (იგი ბანაკიდან კოლექტორის არხით კოლონიის ტერიტორიიდან გაღწევას „დაბადებას“ ეძახის) ზუსტად გაიანგარიშა, რამდენი საათის შემდეგ გაიგებდნენ, რომ გაიქცა, როგორ და რის საშუალებით დაეღვენებოდნენ, რა სიჩქარით უნდა ევლო, რომ მდევარი არ დასწეოდა, სად და როდის უნდა შეჩერებულიყო მუხლებიდან ქარის ამოსაღებად და ა. შ. მერე იმაზე დაფიქრდა, თუ რატომ გაიქცა საერთოდ. ხომ არ ნიშნავდა მისი გაქცევა თვითმკვლელობას, რადგანაც მარტოდმარტოს, დევნის ქვეშ მყოფს, ხუთი თვე უნდა ევლო გაუვალ ტაიგაში, რომ „ოტრადამდე“ მიეღწია. ფიქრობს გორა და ბოლოს იმ დასკვნამდე მიდის, რომ მას სხვანაირად არ შეეძლო. გაქცევა, ანუ თავისუფლებისკენ სწრაფვა მის ხასიათში, მის გენებში იდო და ეს საკმაოზე დიდი ალიბი იყო თავისი, ერთი შეხედვით, გიჟური საქციელის გასამართლებლად.

გორა გარბის იმიტომ, რომ წინააღმდეგობის გადალახვა, ძლევა მისი ცხოვრების წესია და იგი თავს სწორედ რომ „მძლევართა“ მოდგმას აკუთვნებს.

„ესენი („მძლევრები“, რ. მ.) სერიოზული ხალხია. მთელი სიცოცხლე ძნელთა უძნელეს საქმეებს ეჭიდებიან, შემოქმედების, ახლის შექმნის, დაძლევისა და ჯობნის დაუოკებელი ყინი აწვალვით. თუ ვითარება ისეთი შეიქმნა, რომ მისაღწევი და დასაძლევი

თვალსაწიერზე აღარაფერია – ეძებენ, პოულობენ და სიძნელების ულელს კვლავდაკვლავ ნებაყოფლობით, აზარტითა და უღრმესი ინტერესით ეწევიან. ასეთი კაცი პატიმრობაში დიდხანს ვერ გაჩერდება. გაიქცევა, თუ საამისო ფიზიკური მონაცემები აქვს. რა არის მისი მიზანი? მის წინაშეა უზარმაზარი იმპერია საათივით აწყობილი დამსჯელი მექანიზმებით, მსოფლიოში მაღალი პროფესიონალიზმით ცნობილი სამხედრო სამსახურებით, მკაცრი საპასპორტო რეჟიმით, ცენტრებიდან ათას კილომეტრობით დაშორებული, დაცვისა და საყარაულო ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით აღჭურვილი საპატიმრო ადგილებითა და მათი გამოყენების უდიდესი პრაქტიკული გამოცდილების მქონე მრავალრიცხოვანი არმიით, აი, ასეთ მონინააღმდეგესთან დაპირისპირების შესაძლებლობა მძლევარი კაცისთვის ელდორადო, ქუდბედი და ღვთის მაღლია. გარბის! მისთვის გაქცევის პროცესი საკუთარი სტიქიის რეალიზაციაა და სამშვიდობოს გასვლა – დიდთა საქმეთაგან ერთ-ერთის, შესაძლოა, უძნელესის აღსრულება. მძლავრი გარბის იმისთვის, რომ იცოცხლოს, სხვა ძნელთა უძნელეს საქმეებს შეეჭიდოს და არა იმისთვის, რომ ვაჟკაცურად მოკვდეს, თუ სიკვდილი ზნეობრივად აუცილებელი არ არის“. (გვ. 49)

და გორა მბორგალი გარბის.

გარბის იმისათვის, რომ იცოცხლოს, თავისუფლების ჰაერით ისუნთქოს. „თავისუფლების ჰაერისა“ დიდი იმედი არა აქვს, რაკილა საბჭოთა კავშირი დიდი საპყრობილეა და გარეთ მყოფს არანაკლები არტახები უბოჭავს სახსრებს, ვიდრე პატიმარს, მაგრამ გორამ თავისი თავი დაიჭირა იმაში, რომ მას თავისუფლებისკენ სწრაფვის პროცესი მოსწონს, ეს პროცესი, წვალება-ჯაჯგური მშვენიერს ხდის მის ცხოვრებას.

წინააღმდეგობა კი იმაზე მეტი აქვს, ვიდრე შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა. საგზაო ხიფათს თავი რომ გავანებოთ, გორას პირადად მოსდევს ბანაკის უფროსი მიტილენიჩი. მიტილენიჩი ძველი ჩეკისტია და გორაზე ნაკლებად როდი შეუძლია იმის გამოანგარიშება, თუ საით უნდა წავიდეს და როდის სად შეიძლება იყოს გაქცეული პატიმარი. აქ ორივენი ეშმაკობის, გამოგონების ფოიერვერკს აღწევენ. გორა მოხერხებულად იმალება, მიტილენიჩი ოსტატურად ეძებს, თან, პარალელურად, გორას ცხოვრებას სწავლობს, მასთან დაკავშირებულ ყველა პირს ხვდება, მისამართებს აზუსტებს, თუ სად შეიძლება მივიდეს გორა და, რაც უფრო აზარტულად ეძებს

თავის მსხვერპლს, მით უფრო აღტაცებული რჩება მისი ნიჭით, შეუპოვრობით და კაცური კაცობით.

დათა თუთაშხიას და მუშნი ზარანდიას ურთიერთობა გაიხსენე, მკითხველო, ეს ჭაბუასეული მშვენიერი ლიტერატურული ხერხია; იგი თავის გამირს ღირსეულ მოწინააღმდეგეს უპირისპირებს და ურთიერთჭიდილში ხსნის ორივე პიროვნების ბუნების ურთულეს ნიუანსებს.

დაილაღნენ ორივენი. ერთი – გაქცევით, მეორე – დევნით.

მიტილენიჩმა ლამის აჯობა. ჩიხში მოიმწყვდია. იგი წინასწარ ხვდება იმათაც კი, ვისთანაც ღამე უნდა გაათიოს და ვინც შეიძლება დაიჭიროს. ან მძინარე გორა მოკლას (ზოგს ეს თანამდებობრივად ევალება), მაგრამ მიტილენიჩი ყველას აფრთხილებს, აჭამეთ, მოასვენეთ და გაუშვითო.

გორამ იცის, რომ მოაცილებენ, იცის, რომ ხაფანგში, მაგრამ ფიქრობს, ალბათ, მიტილენიჩი სწორედ ფინიშზე, ვაგონიდან ცდილობს ჩემ აყვანას, ამით ჩემი შერცხვენა სურს და, ვინ იცის, იქნებ გავექცეო.

მაგრამ სრულიად სხვა რამ მოხდა ამ ორი კაცის ურთიერთობაში.

მიტილენიჩს აჯობა გორას ჯიუტმა ნებად.

სჯობს, თვით ავტორს მოვუსმინოთ. აი, როგორ ალაპარაკებს იგი მიტილენიჩს:

„რაღაც გადატრიალება მოხდა ჩემს დამოკიდებულებაში კარგარეთელის მიმართ. დღემდე თავს არ ვუტყდები, მაგრამ გაორებული ვიყავი. ერთი მხრივ, ცნობიერად, შეგნებულად, ამოცანის სახით მიზნად მქონდა, მეპოვა და ამეყვანა. გადაწყვეტილება, თითქოს ურყევი, მკვდარი იყო. მეორე მხრივ, ჭია მღრღინდა, ასეთი დასასრული არ მსურდა. პირველ ხანებში იმის იმედიც ჰქონდა ჩემში, რომ კარგარეთელი ამდენ განსაცდელს ვერ გაუძლებდა, სადმე გზაში მოკვდებოდა და მისი აყვანა ამცდებოდა. გზის ნახევარი, თუ მეტი ჰქონდა გავლილი, როდესაც ვიგრძენი, რომ სასიკვდილოდ არ მემეტებოდა... არა, იმ შემთხვევის შემდეგ დავრწმუნდი, რომ გაივლიდა და გავიდოდა. ის რა ჰქნა? მონადირემ რომ გვაცნობა ჩემს ქოხში ვიღაც წევს, უგონო ავადმყოფია, ნამდვილად ის გამოქცეული პატიმარი იქნება, თქვენ რომ ეძებთო. ნეტავ რა სჭირდა? ფილტვების ანთება ექნებოდა. მივედით და არც იქ იყო, არც სადმე ხელმისაწვდომზე. რამდენი ვდიეთ, ვერ დავენიეთ და კვალაც მიჩქმალა? ჯერ ის წარმოვიდგინოთ, ავადმყოფმა რამდენი ინვალა,

სანამ ქოხს მიაგნო, ახლა ის, რომ იმ მოკლე დროში ვერ გამოკეთდებოდა, ნამდვილია. ესე იგი, ავადმყოფმა იარა. რა ჯანი ჰქონია. ზეზეულად მოიხადა. ამის შემდეგ, მოდი და სასიკვდილოდ გაიმეტე. ასეთები რამდენი გადახდა. ვინ იცის, სასიკვდილოდ გამეტება კი არა, პატივისცემა, მოკრძალება გამოჩნდა მის მიმართ. უნდა გამოვტყდე, ახლა ეგ კაცი თითქოს მიყვარს კიდეც“. (გვ. 625)

მოხდა ის, რასაც ამ ორი კაცის ურთიერთობასაცნობილი მკითხველი ძნელად თუ წარმოიდგენდა, მიტილენიჩმა გორა საბიბულინის საბოსტნე ქოხამდე მიაცილა და იქაც დარაჯი დაუყენა, რომ ფარსაგი რამე არ შემთხვეოდა, მერე რკინიგზის მიღმა გორას პირდაპირ მჯდარი, თითქოსდა, თვითონაც ზეიმობდა სიკვდილგადარჩენილი კაცის სიხარულს.

ფინალამდე მივედით. გორა მატარებელში ჩაჯდა. ალბათ, მიუხედავად შინაგანი სიმპათიისა, ახლა კი შეასრულებს მიტილენიჩი პოლიციელის სამსახურებრივ მოვალეობას. აი, ფინალიც;

...ჭიქებს შორის კონვერტი იდო. კონვერტზე ლამაზი ხელით ეწერა:

„გასპადინუ იაგორუ ირაკლიევიუჩუ კარგარეტელი“.

გორამ კონვერტი აიღო. კიდეც ერთხელ წაიკითხა გვარ-სახელმამის სახელი და ისტერიული სიცილი აუტყდა. კარგა ხანს იცინა, დამშვიდდა, კონვერტი გახსნა, ქალაქი ამოიღო, წაიკითხა... ზეზე წამოიჭრა, ისევ დაჯდა, კვლავ წაიკითხა და თავი ჩაქინდრა.

იჯდა, ფიქრობდა.

კარებში მიტილენიჩი გამოჩნდა. გორამ შეხედა, ადგა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ მიტილენიჩმა გაიარა და წავიდა“. (გვ. 644)

ბარაქალა, ბატონო ჭაბუა!

არც ერთი ზედმეტი სიტყვა. დახვეწილი, დაწურული, მრავლისმთქმელი ფინალი, დიდი მწერლის, დიდი წიგნის საკადრისი ფინალი.

იქ, დათა თუთაშხია მუშნი ზარანდიამ თავისსავე შვილს მოაკვლევინა, აქ მიტილენიჩმა წერილი დაახვედრა ვაგონში ძებნილს, შეიხედა კიდეც კუპეში, „გაიარა და წავიდა“.

გაიარა და წავიდა!

დაინდო „მტერი“. მის ვაჟკაცობას, ჯიუტ ნებას, ხასიათის სიმტკიცეს თავისი მიაგო.

ჩვენ უკვე ვიცით, რა ეწერა წერილში, რომელმაც გორას ენა დაუბა და მიტილენიჩის დანახვაზე ფეხზე დააყენა.

მიტილენიჩმა კი გაიარა და წავიდა.

ის შემთხვევაა, მტერი რომ მტრის ვაჟკაცობას პატივს სცემს, მონღოლს ცოტნეს გმირობამ გული რომ აუჩუყა.

ამ ბრწყინვალე ფინალამდე კი გორას საქციელის ზნეობრივი შეფასება თვით გორასვე ათქმევინა მწერალმა. მთავარი მიზანი – თავისუფლებისათვის ბრძოლა მაგალითია, რომელსაც ათასები გამოჰყვებიან, მიუხედავად იმისა, თუ რითი დამთავრდება ეს ბრძოლა.

„მოვედით, გორავ, რელსზე დავეჯექით! სანადელს ხომ მიაღწიე. ხომ თავისუფალი ხარ და რელსზე ზიხარ... რატომ არ გიხარია? მაგას ჩემს თავს ყოველი გაქცევის შემდეგ ვეკითხებოდი. არასოდეს მიხაროდა, მაგრამ ახლა რა გუნებაზე ვარ, იცი? რომ გამოიღვიძებ და ისე ხარ გაქურდული-ნიფხავ-პერანგიც აღარსად არის! ამოვა მიტილენიჩი და გამქურდავს. მშვიდობით ძალისხმევა, ჭირთათმენავ, მიზანსწრაფვავ და თავისუფლებავ! ეგ არ მოხდება, თავად კარგად იცი, საცა გიპირებს აყვანას, ხოლო იმას, რასაც მიაღწიე, ველარავინ მოგპარავს. ეს აღსრულებაა! დაე, უკანასკნელი, მაგრამ შენს აღსრულებათაგან უძნელესი – ნუ ვიქნებით ზომაზე მეტად მოკრძალებული. რაც შესძელი, ახლავე რომ გესროლონ და მოგკლან, არ დაიკარგება, ადამიანებისთვის დარჩება“. (გვ. 638)

რომანში ეს გზა იყო მთავარი.

ფინალი ღირსეულ კაცთან ცხოვრების დამოკიდებულების ილბლიანი დეტალია.

გორას გამარჯვებული შარავანდედი ადგას, მიტილენიჩს მკითხველის მაღლობის ღიმილი და დარდი მიაცილებს. დარდი იმის გამო, რომ ამ რაინდისგულიანმა კაცმა მთელი ცხოვრება ისეთ მკაცრ პროზაულ თანამდებობაზე გაატარა, როგორც გულაგის უფროსობა გახლავთ.

გულაგი რომანტიკისთვისაც ტოვებს თურმე ადგილს.

ჩვენ მხოლოდ რომანის ცენტრალურ ფიგურებს შევხებით.

„გორა მბორგალი“ სავსეა უაღრესად კოლორიტული, ერთი ხელის მოსმით დახატული დასამახსოვრებელი პერსონაჟებით. ესენი გახლავთ: მიშა ფილიპოვი, კოლია-სანთელი, მუნჯი ტყიური, „ბარსუკი“, მიშა ქვათაძე, სანცოვი, აშნა, პოლინა ცეზარევა, პოლიკარპ ვასილევჩი, ჩანძოლინი, ბარონ გიგინეიშვილი, ხაბიბულინი და სხვანი მრავალნი.

რომანი მეოცე საუკუნის პანორამული სურათია და, თავის მხრივ, რამდენიმე დანყებულ-დასრულებული ბრწყინვალე მოთხრობისა-

გან შედგება, ორიგინალურად რომ შერწყმიან რომანის სიუჟეტს. ასეთებია არსენა ოძელაშვილის სიკვდილის ვერსია, ნიკო ნაკაშიძის ცხოვრება, რეზო გომბოთელის ამბავი, 1921 წლის ტრაგედია, კოჯრის ომი და სამშობლოსათვის თავდადებული იუნკერების ჩამოსვენება, 1924 წლის აჯანყება, 1937 წლის რეპრესიები, ნორილსკის ჩამოსვენება, „ქურდი სილას“, „შვიდი ვალკას“ ამბები და სხვა.

ჭაბუა ამირეჯიბი ხატოვნად, დარბაისლური, ფერწერული ქართულით წერს. ფრაზა ზუსტი და გამჭვირვალე აქვს; მაგ. „მოშორებით გაყინული მდინარე იდო“. (გვ. 360) თუმცა, ფიცი არ ჩავიყოლებ, იშვიათად ასეთი უხერხული ქართულიც გაერევა: „წაიხემსა და ადგილმდებარეობის გაგნებას მიჰყო ხელი. მზიანი დარი იყო“. (გვ. 287)

ახლა ორიოდ სიტყვით იმის შესახებ, რაც არ მომეწონა „გორა მბორგალი“.

უპირველესი შენიშვნა რომანის კომპოზიციას შეეხება.

რომანში თხრობა ორი ხაზით მიედინება: პირველი გახლავთ გულაგიდან გამოქცეული გორას თავგადასავალი და მეორე, მოგონებები წამების გზაზე შემდგარი გმირის თავში რომ გაკრთება ხოლმე. მოგონებათა ჯაჭვი ძირითადად მკითხველისათვის იმ ინფორმაციის მონოდებას ემსახურება, თუ რამ ჩამოაყალიბა გორა მბორგალის ხასიათი. სიუჟეტი თავისთავად ფრიად დრამატულია. გორამ გაუვალ ტაიგაში ორი ათასი კილომეტრი უნდა გამოიაროს, სანამ ხაბიბულას ქობამდე, ე. ი. რკინიგზამდე ჩამოაღწევდეს. თავი რომ დავანებოთ საგზაო ფათერაკებს, უგზოობას და უამინდობას, გორას ბანაკის მესვეურნიც მოსდევენ დასაჭერად. იგი თითქმის ყოველ ქობთან, ყოველი გაჩერების დროს გრძნობს მდეგრის ცხელ სუნთქვას, ბოლოს უკვე იმასაც ხვდება, რომ მდეგარნი მას გულდაგულ მოაცილებენ და სადაცაა დაიჭერენ, უფრო სწორად, ხელსაყრელ მომენტს ეძებენ ასაყვანად. ეს დრამატიზმი რომანს სიუჟეტურად დაძაბულს ხდის და მოლოდინის გრძნობა ფაბულაზე უხილავი ძაფით აბამს მკითხველს. ...და მაინც, ამ 660-გვერდიან რომანს კომპოზიციური ამორფულობის საშიშროება ალაგ-ალაგ ამკარად დაჰკრავს. გეჩვენებათ, რომ თითქოს მწერალს დრო აღარ ეყო მოგონებათაგან უმთავრესი, ყველაზე მნიშვნელოვანი ამოერჩია და ყოველგვარი ჟანრის მოგონება უსისტემოდ არ მიენებებინა რომანის ფრიად გამძლე სიუჟეტურ ხერხემალზე.

გაიხსენეთ, კომპოზიციის რა საოცარი ოსტატები არიან ჰიუგო

და ტოლსტოი. არც ერთი პასაჟი ამ გენიოს მწერალთა ქმნილებებში, სხვათა შორის, თვითმიზნურად არ დევს. ერთი შეხედვით, თუნდაც, უმნიშვნელო ეპიზოდის კი ასიოდე გვერდის შემდეგ ამოტივტივდება და თხზულების სიუჟეტური ხვეულის ლოკალურ განმარტებას მაინც ემსახურება. ამ მხრივ „გორა მბორგალის“ კომპოზიცია უფრო შეკრულის სასურველ ფიქრს გიტოვებს.

ერთი შეხედვით, ზედმეტი და რამდენადმე რებუსული ფრაგმენტის ელფერი დაჰკრავს რომანში ჯემალ თურქიას ეპიზოდს.

ეს ეპიზოდი გორას პირველი დაპატიმრების ამბავს გვამცნობს და გორას ხასიათის გახსნის პირველ კვანძს ხსნის მკითხველის ცნობიერებაში, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა დანერ-ილიყო.

ვინ იყო ჯემალ თურქია? იგი კონსპირაციული ეროვნული ორგანიზაციის, „თეთრი გიორგის“, ერთ-ერთი ადგილობრივი განყოფილების ხელმძღვანელი გახლდათ, თუმცა „მის წევრთაგან პირადად ერთსაც არ იცნობდა“. ჯემალ თურქიას ჯგუფის წევრი გახდა გორაც. ამ უკანასკნელს სხვებთან ერთად ევალეობდა „ფულადი სახსრების გამოძებნა, იარაღის შეძენა და პარტიზანებისათვის გადაცემა“. გორა ჯემალს კარგად იცნობდა, ახალგაზრდა მეამბოხე ერთ დროს გორას ბინაზეც კი იმალეობდა. ბოლოს მხატვარ რომანს სუტას დაპატიმრების შემდეგ ჯემალ თურქიას ჯგუფი გამოამკარავდა და კგბ-მ ჯგუფის წევრები აიყვანა და, რასაკვირველია, თვით ჯემალ თურქიაზე ნადირობა დაიწყო.

დააპატიმრეს გორაც.

დაპატიმრებისთანავე გორას და ჩეკისტ „ვირგლა ილიკოს“ შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

– ჯემალ თურქიას თუ იცნობ?

– პირადი ნაცნობობა არა გვაქვს, მაგრამ ვიცი რომელია, გარეგნობით ვიცი.

– ცოდო კაცია, ხალხს აფუჭებს... ნაციონალისტია, ჩვენი წყობილების მტერია. უნდა ავიყვანოთ, დაგვეხმარე!

გავიღიმე და მიუწვიე:

– ჯერ არის და, თქვენი კაცის დაჭერაში ჩემი დახმარება რაში გამოგადგებათ. ესეც არ იყო, რა ძნელი დასაჭერი ეგ არის – ორისამი დღე არ გავა, სადმე ქუჩაში რომ არ მოვკრა თვალი, ქალაქში დაყიალობს.

– არ არის ეგ ჩვენი კაცი! – სიტყვა მკვახედ გამანწყვეტინა ბა-

ტონმა ილიკომ – მისი გარეგნობა არ ვიცი და არც ფოტოები გვაქვს.

ზარის ლილაკს დააჭირა თითი. სხვა ჩეკისტი შემოვიდა. დარა-ჯად დამიჯდა. თავად გავიდა და ერთი საათის განმავლობაში არ გამოჩნდა.

ფიქრის დრო მქონდა. ამ დიალოგიდან ერთი დასკვნა გამოვიტანე: ჯემალზე მართლა დადიოდა ხმა, – უშიშროების აგენტიაო. ეს ჭორი მათივე გავრცელებული იყო, – შეშინდებიან, აღარავინ გაიკარებსო. ეს არის, მაშინ ვერაფერს მივხვდი, ჩემზე რატომ შეჩერდა მათი არჩევანი? მცოდნოდა, რომ სუტა აყვანილი ჰყავდათ, ეს კითხვა აღარ დამებადებოდა და კიდევ ერთი საფიქრალი: მხოლოდ დასაკითხად მომიყვანეს, თუ „აპარტამენტები“ მზად ჰქონდათ ჩემთვის?“ (გვ. 436)

ბევრი რამ არის, რბილად რომ ვთქვათ, დაუჯერებელი ამ დიალოგში;

ჯერ ერთი, დააპატიმრეს არალეგალური ორგანიზაციის წევრი გორა და ეკითხებიან მისი ჯგუფის ხელმძღვანელზე, თუ იცნობო.

„პირადი ნაცნობობა არა გვაქვს, მაგრამ ვიცი, რომელია, გარეგნობით ვიციო“, ასე სწრაფად დამნაშავის გამოტყუება, ალბათ, უშიშროების ისტორიაში არ მომხდარა. ან პირად ნაცნობობას რომ უარყოფს, ვინ აძალებდა, ისიც ეთქვა – თვალითაც არასოდეს მინახავსო.

დაუჯერებლობის ძაფები იქაც მრავლადაა, სადაც გამომძიებელი გორას ჯემალის შესახებ აუწყებს – ჩვენი წყობილების მტერია, ნაციონალისტიაო.

კი, მაგრამ ჯემალის ჯგუფის წევრს – გორა მბორგალს, „ჩვენი წყობილების მომხრედ“ რატომ მიიჩნევს ჩეკისტი?

მიამიტობის ნაპერწკალი იქაც გამოკრთის, სადაც ჩეკისტი მოწყენილი სახით ეუბნება გორას – მისი (ჯემალის, რ. მ.) გარეგნობა არ ვიცი და არც ფოტოები გვაქვსო. ამიტომ მის აყვანაში შენ უნდა დაგვეხმარო.

რატომ, რა ნიშნით გაიშინაურა ჩეკამ ასე გორა მბორგალი, რომ მისი კოლეგის დაპატიმრებაში შემწეობასაც კი სთხოვს.

ასეთ რამეს ხომ მხოლოდ უკვე გადაბირებულებს ავალეებენ?

მთავარი გაუგებრობა წინ გვაქვს.

„ვირგლა ბატონი ილიკო, ჩანს, თავისზე ბომბორა ჩეკისტებთან იყო ჭკუის მარაგის შესავსებად და წარმატებითაც, რადგან ჩვენს შორის სასწრაფოდ დაილო შემდეგ ხასიათის სიტყვიერი გარიგება;

ვივლი ქუჩებით, სადაც ჯემალ თურქია შემხვედრია. ჩემს უკან საკ-  
მაო მანძილზე ივლის რამდენიმე ჩეკისტი. ჯიბეში მექნება სავარცხ-  
ელი და თურქია შემომხვდება თუ არა, სავარცხელს ამოვიღებ, თმას  
გადავივარცხნი, გზას გავუდგები და ისინი იმ საზიზღარ ჯემალ  
თურქიას აიყვანენ“. (გვ. 437)

ერიჰა?! ეს გარიგება ხომ ფაქტობრივად გორას მიერ ჩეკისტთა  
სამსახურში ჩადგომას ნიშნავს. მან უნდა გასცეს ჯემალი და თანაც  
ყველაზე ნაძირალური მეთოდით – ქოჩრის გადავარცხნით (იუდას  
ამბორი გაიხსენეთ სახარებიდან, რ. მ.).

ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ვერავითარი გამართლება ვერ მოვუ-  
ძებნე გორას საქციელს. რაღაცას არ ამბობს, რაღაცას გვიმალავს  
მწერალი.

რანაირად შეიძლება, ისეთმა ძლიერმა პიროვნებამ, როგორც  
გორაა, „სასწრაფოდ დადოს“ ჩეკასთან ასეთი „სიტყვიერი გარიგე-  
ბა?“ სასწრაფოდ?

დაუჯერებელზე დაუჯერებელია.

მკითხველი უნებლიედ გაიფიქრებს, რომ ჭაბუკი გორას სახით  
აქ საქმე გვაქვს ჩეკასთან საკმაოზე მეტად ახლო მყოფ კაცთან,  
რომელსაც მანამდეც არაერთი დავალება შეუსრულებია. ამ ეჭვს  
ის გარემოებაც აძლიერებს, რომ ჩეკა რაღა გორას დაავალბდა  
თმის გადავარცხნის ოპერაციას (მით უმეტეს, რომ არ იცოდნენ,  
გორა როგორ პასუხს მისცემდათ), იქ არა ჰყავდათ მხატვარი რომან  
სუტა, რომელსაც „სიმღერა“ უკვე დაწყებული ჰქონდა.

მაინც რატომ დათანხმდა გორა გამცემის ხალათზე, ამის გუ-  
ლუბრყვილო პასუხს რამდენიმე სტრიქონის შემდეგ უფრო გულუ-  
ბრყვილო პასაჟით ვიგებთ:

„ის ჩეკისტებიც კი მომიყვანეს და მაჩვენეს, ვინც ჩემ უკან ივ-  
ლიდა, დამინიშნეს დრო და ადგილი, სადაც ხვალ დილით უნდა  
გამოვცხადებულიყავი და – ჰოი, საკვირველებავ! გამომიშვეს. სა-  
ნამ ქუჩაში არ ამოვყავი თავი, ვერ დავიჯერე... არა, ჯერ ჯემალს  
დამიხედე, თავისი ერთი სურათიც რომ ვერ გაიმეტა უშიშროების  
ორგანოებისათვის და მერე თავად უშიშროებას – ნამდვილი რომ  
არაფერი სცოდნია.

სხვა რა უნდა ყოფილიყო?

ვიარე – ხან ფეხით, ხან ტრამვით – დრო გავიყვანე. დავრწ-  
მუნდი, კუდი არ ამყოლია და ჯემალთან მივედი. ვიცოდი, სადაც  
იმალებოდა. ვუამბე ყველაფერი, გამოვთქვი აზრი, რომ ბინა სას-

წრაფოდ უნდა გამოეცვალა, დავემშვიდობე და შინისაკენ გავნიე“.  
(გვ. 437)

თურმე, ნუ იტყვით, გორას ჩეკისტებთან ის გარიგება დროის მო-  
საგებად უნდოდა, რათა ჯემალი გაეფრთხილებინა, ბინა გამოეცვალა.  
ვინ დაიჯერებს ამას.

განა ისეთი საცოდავი იყო ჩეკა, რომ ერთი საათის გადაბირებულ  
კაცს (რომლის გულწრფელობა ჯერ კიდევ შესამომნებელი იყო) თა-  
ვისუფლად, „უკუდოდ“ გაუშვებდნენ ჯემალის გასაფრთხილებლად?  
ასეთი „მიამიტობა“, მკითხველის მოსატყუებლად მოგონილი, ავ-  
ტორისაგან მოულოდნელზე მოულოდნელია.

მაშ, რა ხდება? მივყვეთ ქუჩაში ჩეკისტთა ესკორტით მიმავალ  
გორას, რომელი მღვდელი თევდორე ეგა მყავს, მტერი უსიერ ტე-  
ვრში შეიყვანოს და თავგზა აუბნოს. პირობა აქვს მიცემული –  
ჯემალი უნდა დააჭერინოს. დღეს არ შეხვდება, ხვალ უნდა შეხვდეს.  
ჩეკისტებსაც არსად ეჩქარებათ – „იქამდე უნდა ვიაროთ, სანამ არ  
დავიჭერთო“.

და აი, გორას (ე. ი. მწერლის, რ. მ.) გონებამ ასეთ „გენიალურ“  
გამოსავალს მიაგნო:

„კაკო ეძგვერადქე შემომხვდა, იმუბნელი ბიჭი იყო და ისეთი ბლუ,  
რომ დედამისს ვერაფერს აგებინებდა. შორიდან ვიცნობდი. გამის-  
ნორდა, თავი დაუუკარი, ორიოდ ნაბიჯით გავცდი, თმა გადავივარ-  
ცხნე და სანამ ჩეკისტები საცოდავ კაკოს ჰკოჭავდნენ, მე რკინიგ-  
ზაზე გადადებული საქვეითო ხიდი გადავიარე, ბილეთი შევიძინე და  
კახეთისკენ მოვუსვი.

გოგია ნულუკიძემ ჩეკისტებისა და კაკო ეძგვერადის ურთიერ-  
თობას ასეთი შეფასება უძღვნა, – უბედურს, იმდენი ურტყეს, რუ-  
სის ბარაბანს არ მოხვედრიაო. (გვ. 438)

საწყალ კაკო ეძგვერადქეს რაღას ვერჩოდეთ? ან კახეთი რა კონ-  
სპირაციული უბანი იყო გასაქცევად, ჩეკა რომ ვერ მიწვდებოდა.

ჩეკისტები განა „ბაზრის მილიციელები“ იყვნენ ეძგვერადქეს მის-  
ეოდნენ და მისი ვინაობის გარკვევამდე (ე. ი. გორას გულწრფელობის  
დადასტურებამდე) თავიანთი „ახალი კოლეგა“ ხელიდან გაეშვათ.

ერთი სიტყვით, ეს ამბავი თეთრი ძაფით ნაკერს ჰგავს. მით  
უმეტეს, რომ დაპატიმრების შემდეგ გორა ვახტანგ ჯორჯაძისაგან  
შეიტყობს ჩეკისტების მიერ ვახტანგის ბინიდან გაქცევის დროს ჯე-  
მალ თურქიას მოკვლის ამბავს.

სხვას თუ არაფერს გაგვიმხელს, ის მაინც აღიაროს გორა მბორ-

გალმა, იქნებ იმ ღამითვე, ჩეკისტებმა „უკუდოდ“ რომ მიატოვეს (ყოველ შემთხვევაში, მას ასე ეგონა), იგი ჯემალის უნებლიე გამცემი გახდა და იმის შემდეგ ჯემალს ნაბიჯ-ნაბიჯ დასდევდნენ ჯგუფის სხვა წევრთა დადგენის მიზნით?

ასეა თუ ისე, ეს ეპიზოდი, ჩემი აზრით, თითქმის ერთადერთი სიუჟეტურად, მხატვრულად არალოგიკური, დაუჯერებელია რომანში და მე რომ ჭაბუა ამირეჯიბი ვიყო, ამ ეპიზოდს ან მთლიანად ამოვიღებდი, ან სრულიად სხვაგვარად დაწერდი.

სხვა...

შეიძლება იდავოს კაცმა რომანში სტალინთან დაკავშირებულ პასაჟებზე. ის, რაც სტალინის სახეზე და პოზიციაზე წერია რომანში, ავტორის აზრია და სრული უფლება აქვს, მკითხველს მოახსენოს, მაგრამ ფრიად საჩოთირო და შეუმონმებელი – დაუდასტურებელი მგონია მწერლის ვარაუდები სტალინის ნაბუშარ-ნაბიჭვრობის (თითქოსდა ეგნატაშვილის შვილი იყო) და სტალინის სიყრმესთან თუ კეკეს ბიოგრაფიასთან, აგრეთვე სტალინის მამასთან („უკანონო შვილის მამობა ველარ აიტანა და ამ მიზეზით გადააჰყვა სმასო“, გვ. 293) ისტორიაში სამუდამოდ დამკვიდრებულ სტალინის ბატონ ჭაბუასგან ასეთი რამეები არ ეკადრება. მით უმეტეს, როცა უსაბუთოდ, ყურმოკრულ ამბებს ყვებით.

კიდევ ერთი; სქელტანიან რომანში ვერსად ნაგვანყდი გორა მბორგალის პორტრეტს. ერთ ადგილას გორას პაპა ასე დახატული: „ხნოვანების მიუხედავად, სპორტული აღნაგობის, რაინდული გარეგნობისა და მიხრა-მოხრის კაფანდარა მოხუცი“. ვიცით აგრეთვე, რომ გორა თავის პაპას ზედმინევნით ჰგავდა, ცნობილია ჩვენთვის, რომ გორას მენჯის ძვლები სტკიოდა, მაგრამ როგორი იყო იგი კონკრეტულად, როგორი ხმა ჰქონდა, რა ფერის თქმა, თვალები, ცხვირი – ერთი სიტყვით, გორას პორტრეტი მწერალს უსათუოდ უნდა დაეხატა.

და, ბოლოს, სათაური „გორა მბორგალი“ არ მომწონს წარმოიდგინეთ, არც ალიტერაციულობით მიზიდავს ეს სახელი თუ ზედწოდება. ჯერ ერთი, „მბორგალი“ არაფერს ნიშნავს. ქართული სიტყვა „მბორგავია“ და სწორედ იმ შინაარსის, რისთვისაც გორას „მბორგალი“ შეარქვეს („მოუსვენრობისათვის“, გვ. 12).

მე რომ მკითხონ, რომანს უბრალოდ „გორას“ დავარქმევდი. უფრო მჟღერია, უფრო დასამახსოვრებელი და შთამბეჭდავიც.

...მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ჩემი მეგობრული სურვილი-

ბია, კოლეგის ახალი წიგნით აღფრთოვანებული მკითხველის მიერ გამოთქმული.

„ჭორები მოაშორეთ...“ „გორა მბორგალზე“ სხვა უამრავი ფიქრი გაჩნდება. ეს გრძელეული წიგნი ყოველ ნამკითხველს აიძულებს, თავისი დამოკიდებულება დაამყაროს მასთან. თავისი ალტაცებაც დაეზადოს და პრეტენზიებიც.

„გორა მბორგალი“ გულგრილს არავის დატოვებს.

თვალს ვხუჭავ და ვხედავ თეთრ წყვილადში ყინულის ბილიკზე მიმავალ გორას, გაძლქვებული რომ მიათრევს თავისუფლებისკენ თავის უმძიმეს ცივას.

გორა არ გაჩერდება. მას შინაგანი ცეცხლი უნათებს გზას და იმედის სხივი მიაცილებს, სხივი, რომელიც ათასობით სასწორკვეთილს წელში გამართავს და გორა მბორგალის ძნელი გზით გაიყოლებს.

## რომანი დაჩოქებულ საქართველოზე

თანამედროვე ქართული რომანი უაღრესად საინტერესო ლიტერატურული ფენომენია.

ამ საუკუნის პირველ ნახევარზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ბოლო ოცნლეულში შექმნილი რომანები რომ ჩამოთვალო კაცმა, ნათლად დაინახავს ამ ჟანრში ქართველ მწერალთა ოდენ ხელუხვობას კი არა, უეჭველ შემოქმედებით გამარჯვებას.

დღევანდელი ქართული რომანისტიკა ერის სულიერ ცხოვრებაზე ხომ წარუშლელ კვალს ტოვებს, არაერთი ეპიკური თხზულება მაშინვე ითარგმნება სხვადასხვა ენაზე და მსოფლიოს ლიტერატურული კულტურის ნაწილი ხდება ხოლმე...

და მაინც, ბოლო წლებში, ქართველი რომანისტების დიდი ნაწილი გუმინდელ დღეს უფრო სწყალობს, ვიდრე დღევანდელს. ისტორიულ, მითოლოგიურ-რომანტიკულ და რელიგიურ სიუჟეტებს. მეტი გასაქანი აქვს რომანებში, ვიდრე თანამედროვე ცხოვრებაზე აგებულ ამბებს; ამით იმის თქმა როდი მსურს, ზემოთ ხსენებულ თემებს თითქოს ნაკლებად ეტანებოდეს მკითხველი, ან ნაკლები როლის შესრულება შეეძლოთ ადამიანის სულის გაკეთილშობილებაში, მაგრამ საკამათო არც ის გახლავთ, რომ წართაულ-გადატანით თქმაზე, მინიშნებულ ჭეშმარიტებაზე მეტად ფართო მკითხველს ეპოქალური პრობლემების გაბედული, პირდაპირი დაყენება იზიდავს.

განა ქვეყნის მწერლები ისტორიულ-მითოლოგიური სიუჟეტებით თანამედროვეობას არ ეხმარებიანო, მერამდენედ ამხი-რდება ჩასაფრებული მოკამათე და ნაწილობრივ მართალიც იქნება, მაგრამ მეც, ასევე დაულალავად, მეათასეჯერ მზად ვარ, გავიმეორო, – ლიტერატურა, რომლებიც მოვლენებს ცხელ კვალზე არ მიჰყვება და ხშირად უკან მიდევნებული ლამპარით არის, დგას იმ საშიშროების წინაშე, რომ მკითხველმა იგი, როგორც მისი ყოველდღიურობის ამსახავი, აქაოდა რა მეჩქარებაო, ნასაკითხადაც სახვალაოდ გადადოს.

ასე ნელ-ნელა, თანდათანობით, მისხალ-მისხალ მოდიდან გავა მწერალი და იგი თანამედროვეობის მღელვარე არენაზე შემთხვევით მოხვედრილ, გახუნებული, ძველმოდური ტანსაცმლით შემოსილ ე. წ. „გუშინდელ ინტელიგენტს“ დაემსგავსება. ერთი იმ თითზე ჩამოსათვლელ პროზაიკოსთან, ჩვენი დღეების მხატვრულ მატანეს რომ ქმნის და დროის მძაფრი, დროული განცდა-აღქმით გამოიჩინება, გურამ ფანჯიკიძე გახლავთ.

სწორედ გურამ ფანჯიკიძემ შექმნა რომანების წყება, რითაც ამოავსო ქართულ პროზაში არსებული ვაკუუმი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დროინდელი ცხოვრების, მეოცე საუკუნის მიწურულის ინტელიგენციის წარმომადგენლის განზოგადებული ტიპის, ბირთვული ფიზიკისა და ნეიტრონების საქართველოს ხატვის საქმეში რომ არსებობდა. და, რაც მთავარია, ტექნიკური ეპოქა გურამ ფანჯიკიძემ დახატა ქართულ ეროვნულ-სოციალურ პრობლემებთან მჭიდრო კავშირში, ერის სულიერი ცხოვრების ღრმა ცოდნით და რუდუნებით. გურამ ფანჯიკიძის სტილს როცა დაახასიათებს მომავლის ლიტერატურის ისტორიკოსი, ალბათ, მწერლის იმ თვისებასაც აღნიშნავს, რომ ქართული პროზის თვალსაჩინო ნიმუშებს, სადაც მანამდე ისტორიული თემატიკა და ქართული სოფლის დიდებულად ამსახველი თხზულებები სჭარბობდა, გურამ ფანჯიკიძემ გვერდით ამოუყენა ულტრათანამედროვე ინტელექტუალის, ატომური ეპოქის შვილის ცხოვრებაზე აგებული რომანები.

ცალკე საუბრის თემაა ცოცხალი, შთამბეჭდავი ხასიათები და მძაფრი, ორიგინალური, არალიტერატურული ტერმინი რომ ვიხმარო, მკითხველის დამბმელი სიუჟეტები, რითაც ასე მდიდარია გურამ ფანჯიკიძის პროზა.

მწერლის ახალი რომანი, „ემმაკის ბორბალი“, ახალი სიტყვაა გურამ ფანჯიკიძის შემოქმედებაში.

ჯერ ერთი იმიტომ, რომ თავის ტრადიციულ საკვლევს – ახ-

ალგაზრდა კაცის მიერ საზოგადოებაში ადგილის პოვნის თემას, ამ რომანში დამატა უაღრესად თანადროული და თანამედროვე საქართველოსთვის მტკივნეული პრობლემა – რუსეთის მიერ დაპყრობილი საქართველოს ყოფა-ცხოვრება და კომუნისტური ანექსიის შედეგად დამკვიდრებული ცხოვრების წესის გავლენა პიროვნებაზე.

თითო-ორილა გამოჩაქვსის გარდა რომანში კოლონიური ულლის მიერ ფსიქიკადამახინჯებული ადამიანები ცხოვრობენ.

იმპერიას ეროვნული ხასიათისთვის ფრთები შეუკვეცავს, სიამაყე დაუთრგუნავს, პიროვნული თავისუფლება ფეხქვეშ გაუთელავს.

თითქოსდა ეკონომიკურად არა უშავთ „ემმაკის ბორბლის“ პერსონაჟებს, მაგრამ მწერალი მშვენივრად ხედავს და ჩვენ, კითხვისას ღრმად ვაცნობიერებთ, რომ საზოგადოებაში, სადაც ადამიანის ღირსება გათელილია, ქვეყანაში, სადაც არსებობს „ცენტრი“ და ნაცემენებით დასახლებული პროვინცია, სუნთქვა ჭირს, ადამიანები სქემებზეა ქცეულან, მათი ყოველდღიურობა სულისშემხუთველად დრამატული და ხშირად ტრაგიკულია.

რომანის მთავარი პერსონაჟი – არჩილ გორდელი, თავს იკლავს, თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს მისი პაპაც – პოლკოვნიკი არჩილ გორდელი, არჩილის მამამ, ლევანმა, ციმბირის გულაგები მოიარა და სულიერ-ფიზიკურად გატეხილი პატიმრის აგონიით კვდება, არჩილის დედა – ქეთევანი, მისი მაღალი ღირსებისთვის შეუფერებელ საქციელს სჩადის – შვილის გადასარჩენად ხრუშჩოვს ფეხზე კოცნის, არჩილის შეყვარებული გოგონა, მანანა, ტყვედნამყოფ მამასთან ერთად ყაზახეთში გადაასახლეს...

გაუბედურებულ პერსონაჟთა სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება.

რა დღეშია დაპყრობილი საქართველო, როგორი იყო ჩვენი სამშობლოსთვის სამოცდაათწლოვანი „კომუნისტური სამოთხე“ და განსაკუთრებით მისი ბოლო წლები – აი, რა ახალი მოტივი გაჩნდა გურამ ფანჯიკიძის პროზაში მისი ახალი რომანის სახით. და კიდევ. „ემმაკის ბორბალი“ მწერლის შემოქმედებაში ახალი სიტყვაა იმიტომაც, რომ გურამ ფანჯიკის პროზაში პირველად გამოჩნდნენ რეალური პერსონაჟები. რასაკვირველია, ყველა მათგანს ისტორიულს ვერ უწოდებ, მაგრამ ისინი თავიანთი სახელითა და გვარით არიან წარმოდგენილნი და საკმაოდ კოლორიტულად, მართლად დახატულნი მწერლის მიერ (ხრუშჩოვი, აჯუბეი, მყავანაძე...). არადოკუმენტურ ნაწარმოებში კონკრეტული პიროვნების შემოყვანა რთული საქმეა: ზედმინევნით უნდა იცნობდე პერსონაჟის ბუნებას რეალურ

ცხოვრებაში და რომანში იგი ისე ფრთხილად უნდა ჩასვა, რომ მხატვრული გამონაგონი არ დაჩრდილოს, ფანტაზიით შექმნილი არ გააფერმკრთალოს. დღეს, როცა ასე დიდია მკითხველის ინტერესი დოკუმენტური მასალისადმი და დასავლეთში ტრადიციულ-მხატვრული პროზა ლამის დააცხრჩოს დოკუმენტურმა, გურამ ფანჯიკიძეს მხატვრულმა ალლომ არც ამჯერად უღალატა, ნამდვილმა ამბებმა მის რომანს მეტი დამაჯერებლობა, კონკრეტულობა და სიმძაფრე შესძინა.

ასე რომ, ჩვენში ამ ბოლო დროს სამწუხაროდ გაჩენილ მოდურ კამათს („რა გვახტუნავებდა, ვყოფილიყავით იმპერიაში, არავითარი დამონებულ-დაჩაგრულნი ჩვენ არ ვყოფილვართ. პირიქით, გალაღებულნი სწორედ მაშინ ვიყავით...“) გურამ ფანჯიკემ თავისი მხატვრული სიტყვით, სქელტანიანი რომანით დამაჯერებელი პასუხი გასცა და, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ მხრივ არის „ემშაკის ბორბალი“ ჩემთვის საინტერესო.

ვინც ყურადღებით წაიკითხავს სამოციან-ოთხმოციანი წლების ჩვენი ცხოვრების ამ მხატვრულ-ისტორიულ დოკუმენტს, დარწმუნდება, რა საშინელება იყო საქართველოსთვის ბოლო ორი საუკუნის მანძილზე ეროვნული კირთების ქვეშ ყოფნა.

რა ხდება? რუსეთის იმპერიამ დედამიწის ერთ მეექვსედზე მიანაღია თავის სანადელს, თავის სურვილს დაუმორჩილა, დაიმონა განაპირა პროვინციები (და არა მარტო ისინი), საქართველო კი ჯერ ისევ ფეთქავს, საქართველოს ბოლომდე არ დაუჩოქია! მაშ, მთელი ძალისხმევა სტალინის თავგასული სამშობლოს დასაჩოქებლად – ასეთია რუსეთის იმპერატორის, გონებაჩლუნგი (რუსეთს რომ ტრადიციულად არ აკლდა) ხრუმჩოვის საქართველოსთან დამოკიდებულების ანი და ჰაე...

ქართველი ერის ფეხქვეშ გათელვის სურვილით აწყობს იგი 1956 წლის 9 მარტის სასაკლაოს, დამცირებულ-გათელილი საქართველოს ხილვის სურვილით ჩამოდის რამდენიმე წლის შემდეგ საქართველოში, ამ ერისადმი ზიზღისა და უპატივცემულობის შეგნებული ყესტია ნიფხვისამარა ხრუმჩოვის მიერ მჟავანადის მიღება თავის აპარტამენტში. კომუნისტმა იმპერატორმა ქართველი ხალხის მეთაურს კი არა, დაპყრობილი ერის წარმომადგენელს, თავის ყურმოჭრილ მონას უხმო საწოლ ოთახში და იმის დასამტკიცებლად, რომ არად აგდებდა – ბანჯგვლიანი ფეხებით წარუდგა. დამპყრობელი ერის წარმომადგენლის ამპარტავნულ-სულელური სახის ხატვით გურამ ფანჯიკიძე თავისი გენიალური წინამორბედების ტრადიციებს

აგრძელებს. მოიგონეთ რუსის ოფიცრის სარკასტული სახე („მგზავრის წერილები“), რასპუტინისა და კვაჭანტირაძის შეხვედრა („კვაჭი კვაჭანტირაძე“), სლანსკისა და სავარსამიძის ურთიერთობა („დიონისოს ღიმილი“), ეპისკოპოს პავლესა და ქართველი ექიმის სიტყვიერი დუელი („ლამბალო და ყაშა“).

მძაფრი ვნებების რომანია გურამ ფანჯიკიძის ახალი რომანი. რა ძნელი მოსასმენიც უნდა იყოს თანამედროვეისთვის ლამის პირში მიხლილი მწარე სიმართლე, ამ სიმართლეს ზნეობრივი კათარზისის დიდი ძალა აქვს. უშიშროების ყოფილი აგენტი მანუკაშვილი არჩილ გორდელს მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ეუბნება: „აი, თქვენი თაობა ხომ თავს დებს პატიოსნებაზე, ღმერთმა ნუ ქნას, რომ დრო აირიოს, ღმერთმა ნუ ქნას, რომ უნამუსობას გასაქანი მიეცეს, აბა მაშინ ნახეთ, როგორ დაერევით და როგორ დაჭამთ ერთმანეთს“.

იმპერიის სამსახურში შინაური კაცის სიტყვებში ხვალინდელი დღის შიშიც ჩანს და კომუნიზმის მარნუხებით ფსიქიკამოშლილი საზოგადოების სავალალო ნიშანიც. წითელ დროს ადამიანები გულცივებადაც, გულქვებადაც უქცევია. ისინი ზოგჯერ ოსტატურად ინიღბებიან და მხოლოდ ცხოვრებაში ღრმად ჩახედული მწერლის მახვილ თვალს ძალუძს მათი გამოცნობა.

რომანში ბრწყინვალედ დანერვილი ასეთი ეპიზოდი გვხვდება: არჩილ გორდელი და გეოლოგიური სამმართველოს უფროსი გიორგი ხიდთან შეჯგუფებულ ხალხს მოჰკრავენ თვალს და მანქანას შეაჩერებენ. მალე ზაჰესთან მტკვარში გადაგდებული გოგონას ცხედარი გამოიტანეს ნაპირზე მილიციელებმა.

გიორგი გულდასმით შესცქეროდა ამ სურათს. როცა ყველაფერი დამთავრდა, მანქანაში შებრუნდა და თანამგზავრს სხვათა შორის უთხრა – მომშივდა, ხომ არ გვესადილაო.

არჩილ გორდელი ასკვნის, რომ კაცი, რომელმაც ხუთი წუთის წინ ოცი წლის გოგონას უსიცოცხლო სხეული ნახა და ახლა, ვითომც არაფერი, ამხანაგს რესტორანში ეპატიჟება, პოტენციური მკვლეელი თუ არა, სქელშუბლა, სხვისი ჭირის არად ჩამგდები სნობი მანაც არის.

„ემშაკის ბორბალი“ თანამედროვე ფილოსოფიურ აზროვნებაზე დაფუძნებული, მაღალინტელექტუალური რომანია. სენტენციები რომანში თვითმიზნურად და განყენებულად კი არა, სწორედ რომ პერსონაჟთა მოქმედებაშია ჩართული და მათს საქციელში ცნაურდება.

ამავე დროს არ შეიძლება, არ მოხიბლოს მკითხველი რომანში დახატული ოთხი თაობის პერსონაჟების თვისებებში ამ თაობების



სხვადასხვა შეხედულებებისა და ცხოვრების წესის შემჩნევის ავტორისეულმა შესაშურმა უნარმა.

საქართველოს პოლიტიკური ძალების და, საერთოდ, ქვეყნის ბედის ღრმა ცოდნით არის გამსჭვალული დათო გორდელის საუბარი მამის აჩრდილთან, რომანის სხვადასხვა ეპიზოდებში არაერთგან შეხვედებით თანამედროვე მეცნიერების, ხელოვნების (განსაკუთრებით მუსიკის) საკითხებში ღრმად ჩახედული მწერლის ნააზრევს.

რომანში უაღრესად რთული ურთიერთობებია დახატული და, მიუხედავად იმისა, რომ ნიგნის ფურცლებიდან თქვენ შემოგყურებენ შთამბეჭდავად დახატული, განსხვავებული ბუნება-თვისების ადამიანები, ყველა მათგანის ფსიქიკაზე აშკარად და სამუდამოდ აღბეჭდილია დროის დამლა.

ჭეშმარიტი მწერალი სწორედ რომ იქიდან იწყება, როცა იგი ეპოქის ნიშნებს შენიშნავს ადამიანთა სულში და მის მიერ დახატულ პერსონაჟებს გარდასულ დროთა აჩრდილებს არ დაამსგავსებს.

ჩავხედოთ ამ მხრივ „ემმაკის ბორბლის“ პერსონაჟთა ცხოვრებას. არჩილ გორდელი (ვილი) კონიუნქტურის მონად ქცეული კარიერისტული (და არა მარტო კარიერისტული) ბანგით შეპყრობილი, საქართველოსთვის დამლუპველ ეკოლოგიურ დასკვნას (დარიშხანის საქმე) აწერს ხელს და ამ გადაწყვეტილებამდე იგი იოლად როდი მიდის, არჩილი რთული ბუნების კაცია და მის დასახასიათებლად წინასწარმომზადებული სქემა – იარლიყები (ნაძირალა კარიერისტი) სრულიადაც არ გამოდგება. რომანის გმირს მრავალი პლანით გვიჩვენებს მწერალი. საზოგადოების თუ თავისი ოფიციალური მდგომარეობის ზნეობრივი დაუნერვლი კანონებით შებოჭილი არჩილი თავის მოღალატე ცოლს ვერ გაშორებია და წლების განმავლობაში ერთგული ქმრის როლს თამაშობს გულისამრევ ყალბ საოჯახო სპექტაკლში. გაუცხოების მსახვრალი სუსხი მამასა და შვილს შორისაც ჩამდგარა. ავლანეთის ომიდან დაბრუნებული დათო ორი სიტყვითაც არ უამბობს მშობლებს თავის საბრძოლო თავგადასავალს და, როცა მამა მის სხეულზე ჭრილობებს შენიშნავს, სხვათა შორის, აუხსნის – ავლანური სუვენირებიაო.

ამ წერილში არ ვაპირებ რომანის მხატვრულ ანალიზს, საგაზეთო მოცულობა მას ვერ დაიტევს. ვიტყვი ოღონდ, რომ იგი დაწერილია უაღრესად თანამედროვე ხერხებით, საერთოდ, გ. ფანჯიკიძის რომანებში იგრძნობა მძლავრი, დაძაბული რიტმი, სიტუაციებში ღრმა, ფსიქოლოგიური წვდომა, რომანის გარკვეული ნაწილი დაწერილია პირველ პირში, თითქმის ნახევარი კი ავტორის თხრობას ეთმო-

ბა, ვფიქრობ, ესეც. ძალზე ორიგინალური ხერხია, პირველ პირში მოგვითხრობს როგორც ავტორი, ასევე მთავარი გმირი არჩილ გორდელი. ალბათ, ამიტომაცაა, რომ იმ მრავალ ხაზს, რომელიც „ემმაკის ბორბალში“ გვხვდება, ავტორი ოსტატურად კრავს და ადულბებს. გვიზიდავს მახვილი, ლაკონური დიალოგები, ოსტატურად გამოძერწილი ხასიათები. რომანში უხვად გვხვდება ძალზე თანამედროვე და ორიგინალური მხატვრული სახეები. აქ მხოლოდ რამდენიმე მათგანს მოვიტან.

„ლინდა აკვარიუმში მოცურავე თევზებივით ხედავდა არჩილის ტვინში მბრუნავ აზრებს“.

„უიღბლო სიყვარულთან დაკავშირებულ მოგონებათა ჯაჭვის ჩაძირვა არა და არ ხერხდებოდა. იგი თითქოს წყალში მოტივტივე ბურთს ჰგავდა. თუ ხელით არ დაანებოდი, წყლის სიღრმეში არ ჩადიოდა, არ იძირებოდა. ხელს თუ აუშვებდა, უმაღლე ზედაპირზე ამოტივტივდებოდა. ხომ არ შეეძლო, მთელი ცხოვრება ამ ბურთისათვის ხელი ჰქონოდა დაჭერილი?!“

„მისი ტვინი ადულებულ წყალს ჰგავდა, სადაც მოჩუხჩუხე აზრები კეფას ჩაიდნის სახურავივით ათამაშებდა“ და სხვა.

რაკი ავლანეთი ვახსენეთ, მკითხველს მინდა, ვურჩიო, გულდასმით წაიკითხოს რომანის ის ადგილები, ავლანეთის ომს რომ ასახავენ. ეს არის მაღალი რანგის პროზა. მწერლის მხატვრული ოსტატობა გხიბლავთ არა მარტო ნიგნის მთავარი სათქმელის ბრწყინვალე გადმოცემით (თუ როგორ ასრულებენ „ინტერნაციონალურ ვალს“ ოკუპანტი საბჭოთა ჯარისკაცები), არამედ – ავტორის უაღრესად დამაჯერებელი სვლით ახალგაზრდა კაცის სულიერ ლაბირინთში. კითხულობთ ამ ადგილებს და მარტო ავლანეთის ბედთან საქართველოს ახლანდელი მდგომარეობის თანაზიარობა კი არ გტანჯავთ, თითქოსდა, გლობალურად დასცქერით დედამიწას, მის სვეს და ყოფას და გიკვირთ, რომ იგი ჯერ კიდევ გულგრილია „უფროს ძმათა“ მიერ დატანჯული პატარა ერების ბედისადმი.

ამ წერილს სათაურად „რომანი დაჩოქებულ საქართველოზე“ დავარქვი. დიახ, რომანი კომუნისტური ტირანიით დამხობილი, მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ნაშლილი საქართველოს ცხოვრებას ეხება. მოქმედება სწორედ ჩვენი საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისამდე მოდის და მაშინ მთავრდება, იპოდრომზე პირველ მიტინგებს რომ მართავს მღვიმეებიდან გამოსული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა.

რა ცინიკურადაც უნდა შეხედონ მავანთ ამ მოძრაობის მიერ მოტანილ შედეგს, ღმერთმა ხომ იცის, რომ იგი დაატყდა ცალ მუხლზე წამონეულ საქართველოს. ქვეყანას, რომელმაც წამოდგომა სცადა და თავისუფლების ნიავს შუბლი შეუშვირა. დამოუკიდებლობის სურვილის გამო იგი სასტიკად გვემეს, მაგრამ ვერ კი დააჩოქეს.

მე სიამოვნებით დაველოდები გურამ ფანჯიკიძის ახალ წიგნს აწ უკვე მტრებზე შურისძიებით მრისხანედ აქოჩრილ, დაუმორჩილებელ საქართველოზე.

სარეცენზიო რომანზე კი თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ჭეშმარიტად ახალი სიტყვაა თანამედროვე ქართულ მწერლობაში და ახლებური გააზრებით, მოვლენათა ორიგინალური შეფასებით, მაღალმხატვრულობით ჩვენი რომანისტიკის საეტაპო მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს.

## მე-20 საუკუნის უკანასკნელი ათწლეული და ქართული მწერლობა

მე-20 საუკუნის 90-იანი წლების პარმალზე მსოფლიოს უდიდესი ისტორიული მოვლენა მოჩანს. დაინგრა რუსეთის იმპერია და რუსეთის მიერ დაპყრობილ ქვეყნებს, კომუნისტური კონსტიტუცია რომ ცინიკურად „მოდმე რესპუბლიკებს“ ეძახდა, საშუალება მიეცათ, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გზას დადგომოდნენ, თუმცა იმპერია პოზიციის დათმობას ასე იოლად არ აპირებდა და მისი მსახვრალი ტორი არაერთგზის ცეცხლითა და მახვილით დაატყდა დამოუკიდებლობისაკენ მიმსწრაფლ ქვეყნებს, განსაკუთრებით ბალტიისპირეთს, აზერბაიჯანს და საქართველოს.

იმპერიულმა მონსტრმა თავისი ამბიციები ნაწილობრივ მაინც იმით დააკმაყოფილა, რომ მოდერნიზება სცადა იმპერიული სისტემისა და შექმნა ე. წ. თანამეგობრობა, რომელსაც „სნგ“ უწოდა; ხოლო, როდესაც დარწმუნდა რუსეთის სისხლიანი პრეზიდენტი, ელცინი, რომ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები იმპერიულ ყულფში თავის გაყოფას აღარ აპირებდნენ, მთელი მსოფლიოს თვალწინ გაუგონარი უტიფრობით, ომის გამოუცხადებლად მიმართა ცეცხლი და მახვილი ყველა ურჩი რესპუბლიკისადმი – ეს „ურჩი“ ქვეყანა საქართველო იყო.

რუსეთის ჯერ კიდევ ძლიერმა არმიამ, როგორც მოსალოდნელი იყო, 1993 წელს დაამარცხა მოხალისეთაგან შემდგარი ქართული ჯარი და პირველი წარმატებული ფაშისტური აგრესიის შედეგად საქართველოს წაართვა აფხაზეთი და სამაჩაბლო.

საქართველოს დაპყრობა რომ გაადვილებოდა, ე. წ. აფხაზეთის ომის დაწყებამდე ერთი წლით ადრე რუსეთის ძალისხმევით საქართველოში დაემხო ეროვნული ხელისუფლება და ხალხის მიერ არჩეული პირველი ეროვნული პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია, საქართველოდან განდევნილ იქნა.

რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს წინააღმდეგ დღემდე გრძელდება.

„გაიძვერა მოყვარე“ აფხაზეთით და სამაჩაბლოთი არ კმაყოფილდება და ცდილობს, არა მარტო მოაშთოს საქართველოში დასავლეთზე ორიენტირებული სახელმწიფო სისტემა, არამედ კიდევ უფრო დაარღვიოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ამჟამად კი რუსეთის სამიზნედ პანკისის ხეობა, ჯავახეთი და აჭარა ქცეულა.

ასეთი უაღრესად რთული ისტორიული კატაკლიზმები ხვდება ასახვის ობიექტად ქართველ მწერალს.

ეპოქის პარადოქსულობას რომ თავი გავანებოთ, მწერლის თვალსაწიერში სრულიად ახალი ფსიქოლოგიურ-სოციალური შეხედულებებით დატვირთული ადამიანი შემოდის.

200-წლოვანი მონობის შემდეგ ქართველი კაცი პირველად გახდა თავისუფალი და გაუჩნდა პასუხისმგებლობის გრძნობა ქვეყნისა და ეპოქის წინაშე.

შინაგანი წონასწორობის რღვევით, შეხედულებათა რადიკალური გადაფასებით, ხვალინდელი დღის შიშით მიმდინარეობს დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქის ჩამოყალიბების პროცესი, და, სრულიად ბუნებრივია, რომ ლიტერატურა ფეხდაფეხ ვერ მიჰყვება ამ აჩქარებული დროის ელვისებურ სრბოლას.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ეპოქალური მოვლენების მხატვრულ კვლევას, ალბათ, საუკუნეები დასჭირდება.

უპირველესი სიახლე, რაც 90-იან წლებზე შექმნილ ნაწარმოებებს აშკარად დაეტყო, ეს გახლავთ მწერალთა პოზიციების სხვადასხვაობა.

იოლი არ აღმოჩნდა კომუნისტური სტერეოტიპების ერთგულნიდან ეროვნულ პოზიციაზე ერთბაშად გადმორთვა.

ეროვნული ბეგთარი მხოლოდ იმ მწერლებმა მოიხრეს თავისუფლად და ბუნებრივად, ვის შემოქმედებაშიც ქართული ლიტერატურა

რის ეროვნული ტრადიციებისადმი ერთგულების ძარღვი ფეთქავდა, ვინც კომუნისტური ტირანიის ცენზურის მარნუხებში თავისთავს ხშირად შეახსენებდა ხოლმე ილია ჭავჭავაძის ნათელ მაგალითს და ახერხებდა, ზოგჯერ მინიშნებით და ზოგჯერ პირდაპირ ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ბრძოლის იდეა გაეტარებინა.

შეხედულებათა ამ სხვადასხვაობამ და, ვინ იცის, იქნებ საქართველოს მომავლისადმი გულწრფელმა შიშმა გამოიწვია მწერალთა ერთი დიდი ჯგუფის წინააღმდეგობა ეროვნული ხელისუფლებისადმი და ნებით და უნებლიედ იმის გვერდით დადგომა, ვინც საქართველოში ეროვნული ხელისუფლების დამხობა მოამზადა. ხოლო, როდესაც მწერლობისგან სრულიად დამოუკიდებლად მოხდა ეს სავალალო ფაქტი, არაერთმა მწერალმა იხტიბარი აღარ გაიტეხა და გულწრფელი მონანიების ნაცვლად ეროვნულ მოძრაობაზე და მის ლიდერზე აშკარად ტენდენციური გამონათქვამებით და, რბილად რომ ვთქვათ, ცალმხრივი პუბლიცისტური წერილებით სცადა „ეპოქის ასახვა“.

ლიტერატურის ისტორიამ ამგვარი კონიუნქტურის მაგალითები იცის.

თითქმის იგივე განმეორდა 1918-21 წლებშიც. თუ ზოგი მწერალი დამოუკიდებელი საქართველოს მედაფდაფედ იქცა, სხვანი კვლავ რუსეთს და მსოფლიოს პროლეტარულ ერთობას მისტიროდნენ, ხოლო საქართველოში ხელისუფლების დადგომისთანავე ბოლშევიკთა ნისქვილზე დაიწყეს წყლის დასხმა და არაერთმა მათგანმა ისე დაასრულა სიცოცხლე, რომ მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ერთგულება გულიდან არ ამოულია. 90-იან წლებში რამდენიმე მწერალი მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ეროვნული ხელისუფლებისადმი გაბუტულის პოზაში დგომა აშკარად არ შეესაბამებოდა მწერლის მოქალაქეობრივ ფუნქციას და ერის განწყობილებას. ამიტომაც განმარტოვდა, ლიტერატურულ ცხოვრებაში აქტიურად აღარ მონაწილეობს და თავის მუზას ისტორიული თემებისადმი სამსახური დაუსახა მიზნად. რაც, თუ თანამედროვეობიდან გაქცევას არა, მოვლენათა ცხელ კვალზე, ერის კეთილ და ჭკვიანი მრჩევლის ფუნქციაზე ნაწილობრივ უარის თქმას ნიშნავს. დღეს ლიტერატურაში პოზიციათა ეს სხვადასხვაობა იმდენად თვალსაჩინოა, რომ ქართველ მწერალთა ერთ შემოქმედებით კავშირში გაერთიანებაც კი შეუძლებელი გახდა, მიუხედავად მავანთა ენერგიული ძალისხმევისა, რომელიც მიმართულია პოზიციათა შეჯერებისა და შერიგებისაკენ.

აქედან ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება; მწერლის ფაქიზი სული, ჩანს, იმდენად გაატლანჯა კომუნისტური ცხოვრების წესმა, რომ იგი ჯერჯერობით ვერ დარწმუნდა ქვეყნის დამოუკიდებლობის სიკეთეში. ზოგი მათგანი აშკარად მისტირის რუსულ ჩექმას, ზოგი კი, რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ. 90-იანი წლების დასაწყისის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას „ეროვნულ-დამანგრეველ მოძრაობას“ უწოდებს.

დიდი ფილოსოფიური დაკვირვება არ უნდა სჭირდებოდეს იმის გარკვევას, რომ ჭეშმარიტი მწერლის უწმინდესი მიზანი თავისი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაა და, აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, რომ ზვიად გამსახურდიას მსოფლმხედველობრივ მრწამსს ალტერნატივა არ გააჩნია, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვა და „მე პოლიტიკაში არ ვერევი“ პოზიციაზე დგომა ვერავითარი ნუგეშია იმისათვის, რომ მწერალს მისმა მკითხველმა ილიას ხაზიდან განდგომა არ უსაყვედუროს.

ჩვენს დაუდგრომელ დროში მკითხველს, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვეობის ურთულეს პრობლემებზე სჭირდება მწერლის პასუხი, ხოლო, რაც შეეხება ყოველდღიურობის ფუსფუსით თავის არ ატკივებას, ილია ჭავჭავაძესაც შეეძლო, მჯდარიყო საგურამოს მე-2 სართულის აივანზე და ეწერა „ოთარანთ ქვრივის“ მსგავსი გენიალური მოთხრობები, არ გაეკარებინა ეპოქის მტვერი თავისი მწერლური მანტიისათვის, „არც ქუჩაში ყეფით“ (აკაკის გამოთქმა) და თავისუფლებისაკენ მონოდებით მოემართა მის წინააღმდეგ თვითმპყრობელობისა და საიდუმლო პოლიციის მანქანა.

მამინ იგი არც ბერდენკის ტყვიას მიიღებდა შუბლში და ვინ იცის, იქნებ თავისი შემოქმედება უფრო მეტი დიდებული პოეტურ-პროზაული ქმნილებით გაემდიდრებინა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ილია ჭავჭავაძე ილია ჭავჭავაძე არ იქნებოდა. მას ერთ დიდ მწერლად მივიჩნევდით და არა მე-19 საუკუნის საქართველოს სულიერ მამად, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მსხვერპლად რომ შესწირა თავისი ფარზე აზიდული სიცოცხლე.

აი, ამიტომაც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ლიტერატურის ისტორია შეუცდომელი განსჯის შემდეგ სათანადოდ დააფასებს იმ ეროვნულ მწერალთა მტკიცე ნებას და გაუზზარავ სულისკვეთებას, ვის წინაშეც ერთი წუთითაც არ დამდგარა საკითხი, რა ორიენტაცია აერჩიათ და ვის გვერდით მდგარიყვნენ.

ისინი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე აღმოჩნდნენ ეროვნული მოძრაობის გვერდით და, მართალია, ამის გამო თავს გაუმზადეს

მიმე განსაცდელი, დამცირება, დარბევა, რეზინის ხელკეტებით ცემა, პოლიციამი წამდაუნუმ გამოძახება, ინსინუაციის კორიანტელში გახვევა და ა. შ., მაგრამ ცხოვრებამ მათი არჩევანი საბოლოოდ გაამართლა, მოსალოდნელიც იყო.

დღეს, მართალია, წინააღმდეგობათა შედეგად, მაგრამ ეროვნულ ძალთა მიმართ მიყენებული ჭრილობების შეხორცებას ხელისუფლებაც კი ცდილობს, კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიების სახლ-მუზეუმს არემონტებენ, საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაბადების დღეს აღნიშნავენ და მის სახელს ქუჩებს არქმევენ... რაც მთავარია, საქართველოს პარლამენტი დაგვიანებით, მაგრამ მაინც იღებს დადგენილებას იმის შესახებ, რომ 1992 წელს საქართველოში ეროვნული ხელისუფლების იარაღით დამხობა იყო უკანონო და უსაფუძვლო ვანდალური აქტი.

ასე რომ, ნელ-ნელა კეისარს თავისი სახელი დაერქმევა, წყალი ნაგუბარში დადგება, ხოლო ის მწერალი კი, ვინც ეროვნული მოძრაობის მიმართ დღემდე არასწორ პოზიციაზე დგას (რაც ხშირ შემთხვევაში გამსახურდიასადმი პიროვნული პათოლოგიური სიძულვილით მოსდის), ისტორიას კალამაჩქარებულ გულნამცეცა მოღვანედ“ შერჩება.

მეორე ნიშანი მიმდინარე ლიტერატურული პროცესისა არის ჟანრულ ძიებათა გამრავალფეროვნება. თითქოსდა, სოციალისტური რეალიზმის მიერ შტამპად ქცეული სტერეოტიპები პერსონაჟის სწორხაზოვნებისა ერთბაშად დაიმსხვრა და თვალშისაცემ ჟანრულ სიახლედ პროზისა და პოეზიის ერთგვარი გადოკუმენტურება, რეალური ცხოვრებისეული მაგალითებით ნაწარმოების აღჭურვა დამკვიდრდა.

დოკუმენტურობამ პუბლიცისტურობას ფართოდ გაუღო კარი, ხოლო პუბლიცისტურობამ კი ნაწარმოებს მხატვრული კონკრეტულობის ელფერი შესძინა. ერთი შეხედვით, კაცს ეგონება, რომ მონუმენტური განმაზოგადებელი ლიტერატურული ტილოების შექმნის, ე. წ. მოსამზადებელი პერიოდი მიმდინარეობს. თითქოსდა, მწერლები ცდილობენ, მოასწრონ და ჩაინიშნონ ყოველდღიურობის ყველაზე შთამბეჭდავი ფაქტები და მოვლენები, რათა მათი სრულყოფილი ხვალისდელი ხორცშესხმის მასალა მზად ჰქონდეთ. ამიტომაც ასე მომრავლდა ჩვენს ლიტერატურაში უკანასკნელ ხანს თითქოსდა დაუმთავრებელი, ერთი შეხედვით, კომპოზიციურად შეუკვრელი, ცნობიერების ნაკადს დამორჩილებული რომანები და

მოთხრობები, დოკუმენტური და მხატვრული პროზის ერთგვარ სინთეზად რომ წარმოგვიდგება.

ამ თხზულებებში ზოგჯერ არა მარტო ისტორიულ ფაქტს ჰქვია თავისი კონკრეტული სახელი, არამედ პერსონაჟებიც კი თავისი ნამდვილი სახელითა და გვართ წარმოგვიდგებიან. ამ სტრიქონების ავტორის სიმპათიები, პირველ რიგში, იმ შუბლზე ოფლგადამდინარე, თანამედროვეობის ამსახველ იმ მხატვრულ მემატიანეებს ეკუთვნის, ვინც არ დაიზარა და მებრძოლის ფარაჯა ჩაიცვა, „მაღალ მატერიებს“ გარკვეული დროით გამოარიდა თავისი კალამი და ფუტკარივით დღედაღამ ფუსფუსებს, რომ მომავალ თაობებს არ დაუკარგოს ჩვენი მღელვარე ცხოვრების არც ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი.

თითქმის იგივე მოვლენები ხდება პოეზიაშიც, თუმცა პოეზია ლიტერატურის უფრო მობილური სახეა და იგი ყოველდღიურობას, აღწერითობას, დოკუმენტურობას ნაკლებად იტანს. როგორც ჩანს, ახლა „ცისფერი სალონების“ დრო ნაკლებად არის და თუმცა პოეზიაში მომწოდებლურმა, მოქალაქეობრივმა, ეროვნულმა პათოსმა იმძლავრა, ლექსი მაინც ვერ დაახრჩო „წერილმა ამბებმა, ამონაწერმა გაზეთებიდან“.

90-იანი წლების I ნახევარში შეიძლებოდა გეფიქრათ, რომ ლიტერატურამ დაკარგა მკითხველზე ზემოქმედების ჩვეული ტრადიციული ძალა. რამდენიმე თვალსაჩინო მწერლის აშკარად გამოხატულმა არასწორმა ეროვნულმა პოზიციამ მკითხველი იქამდეც კი დააბნია, რომ თბილისის ერთ-ერთ მოედანზე წიგნების დაწვის ვანდალური ფაქტის მოწმეც კი გავხდით, წიგნების დაწვისა, და ეს ხდებოდა რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟასა და გალაკტიონის ქვეყანაში.

შედეგად ის მივიღეთ, რომ მკითხველთა დიდმა ნაწილმა წიგნს ზურგი შეაქცია, თაროებზე ხელუხლებლად იდო არა მარტო თანამედროვე ქართველ მწერალთა, ლიტერატურის კლასიკოსთა წიგნებიც კი და მხატვრული სიტყვისადმი ამ გაგულგრილებას მარტოდენ ეკონომიური სიდუხჭირე როდი ედო საფუძვლად. უკანასკნელ წლებში, შეიძლება თამამად ითქვას, რომ უნდობლობის ყინული მწერალსა და მკითხველს შორის გაღვდა და ერი კვლავ შებრუნდა თავისი მწერლისაკენ. მაგრამ ჭკუანასწავლი მკითხველი უკვე სრულიად სამართლიანად იმ მწერალს აკითხავს და იმ წიგნს იღებს ხელში, ვინც ეროვნულ ჭირ-ვარამს გამოხატავს და რაც მის გულისთქმას ესაღბუნება.

მიმდინარე ლიტერატურული პროცესის მესამე ნიშანი მისი არ-ნახული გამრავალფეროვნება ანუ მრავალსპექტრიანობა გახლავთ, ისე, როგორც 20-იან წლებში, მწერლობაში დაიბადა უამრავი ლიტერატურული სკოლა და მიმართულება რეალიზმის, სიმბოლიზმის, ფუტურისმის, აკადემიურის ასოციაციის და სხვათა სახით, ასევე თანამედროვე ლიტერატურის მკვლევარს ხელდაკაპინებული შრომა მოუწევს დღევანდელი ლიტერატურული ცხოვრების ურთულეს ლაბირინთებში გასარკვევად. ტრადიციული მწერალთა კავშირის გვერდით და მის წიაღშიც გაჩნდნენ ახალ-ახალი შემოქმედებითი ჯგუფები და კავშირები. გავბედავ და თავს ვიღებ ზოგი მათგანის ჩამოთვლას, რა თქმა უნდა, არა სიზუსტის პრეტენზიით, არამედ ლიტერატურულ პროცესთა მომავალი მკვლევარისათვის საქმის გადაადგილების მიზნით, ესენია: „გულანი“ (მაყვალა გონაშვილი, ვ. ჟღენტი, თ. შარვაძე...), „მე-20 საუკუნე“ (ლაშა თაბუკაშვილი), ალ. ორბელიანის საზოგადოებასთან არსებული გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ და „ომეგას“ ლიტერატურული ჯგუფი (ოთარ ჩხეიძე, როსტომ ჩხეიძე, ნ. შატაძე, მ. ჯონხაძე), ჟურნალ „აფრას“ ჯგუფი (ნაირა გელაშვილი...), „ლიტერატურული მუზეუმი“ (იზა ორჯონიკიძე...), პოსტმოდერნისტები (დავით ბარბაქაძე, შოთა იათაშვილი...), „მარად ახალი ქნარი“ (ქეთევან დოლიძე, სევარიონ ნადირაძე, მიხეილ ლანინაშვილი, ტრისტან მასაური...), ახალგაზრდა მწერალთა გაერთიანება (აკა მორჩილაძე, დათო ტურაშვილი, რატი ამალღობელი, ლაშა იმედაშვილი, ლაშა ბუღაძე, დავით ქართველიშვილი...) „ზარები გრიგალში“ (ცოტნე სივსივაძე, უჩა ლონღაძე, ზაზა ჭანტურია და სხვა.), „საქართველოს მწერალთა დარბაზი“, რომელშიც ძირითადად გაერთიანდნენ ის მწერლები, ვინც საქართველოს მწერალთა კავშირის ოფიციალურ პოზიციასთან შეუთავსებლობის გამო 1992 წელს დემონსტრაციულად დატოვა მწერალთა კავშირი...

ლიტერატურული სპექტრის გამრავალფეროვნება და გამრავალსახოვნება იმის ნიშანია, რომ საქართველოში ლიტერატურული ცხოვრება ახალ საინტერესო ინერციას იძენს და მკითხველის გულისთქმის გამოხატვის თუ ეპოქის მაღალმხატვრული, ადეკვატური ასახვის ახალ პერსპექტივაზე მიგვანიშნებს.

## მივხედოთ მეგრულ ფოლკლორს!

### ბრძნული ლექსი

ამ ოცდახუთი წლის წინათ მარტვილში ას წელს მიღწეულმა სოლომონ ხარგელიამ ხალხური ლექსი ჩამაწერინა;

ბორჯი, ბორჯი,  
 სი რშუნ თინა  
 ეშე-გიმე მითინს ვაშუ,  
 ბორჯი, ბორჯი,  
 სი გიჯინუ  
 დლა დო სერიმ გორთაფაშა,  
 ბორჯი, ბორჯი  
 სი გიჯინუ  
 სერიმ პირველ გოთანაშა,  
 ენა მურე –  
 – სი გიჯინუ  
 დიხამ პირველ დორთაფაშა.

ეს საოცარი ნიმუში პოეზიისა ჩემი უხეირო თარგმანით ასე გამოიყურება:

დროო, დროო,  
 რაც შენ გახსოვს,  
 ცას და მინას,  
 აღარ ახსოვს.  
 დროო, დროო,  
 შენ იხილე  
 ვით განეყო ბნელს ნათელი.  
 დროო, დროო,  
 შენ შეესწარ  
 დღემ რომ სძლია ღამე ბნელი.  
 მეტიც, მეტიც გახსოვს, დროო,  
 (რა სცოდნია ამ ბუნებას),  
 შენ შეესწარ  
 პირველ ბიძგს და  
 მინის პირველ დაბრუნებას.

დააკვირდით, რა პოეტური მასშტაბებია. რა მისტიკაა, რა საოცარი ხილვებია. სად წვდება სახალხო მთქმელის პოეტური მზერა. დროს – მარადსა და უძლეველს, მიმართავს – შენ შეესწარ პირველ გათენებას და დედამინის პირველ დატრიალებასო, რა არ უთქვამს ქართველ სახალხო მთქმელს, რაოდენი კაცთმოყვარეობა და სიკეთე დაუნჯებულა მის ნიაღში (მარტო „ვეფხის და მოყმის ბალადა“ რად ღირს), მაგრამ დროის ფენომენისთვის ამ რაკურსით აქამდე არავის შეუხედავს. ეს პატარა ლექსი მითაჟამის მიღმა გვახედებს და თავისი უკიდევანო ფანტაზია-გრძნეულებით, დიახაც, რომ ამდიდრებს ქართულ ფოლკლორს.

დიდხანს ვფიქრობდი, ეს ლექსი თვით ან განსვენებული სოლომონ ხარგელისა შემოქმედება ხომ არ არის-მეთქი და ვეკრძალვოდი ხალხურ ლექსად მის გამოცხადებას. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ახლახან მეგრული სიტყვიერების ნიმუშების პატარა კრებულში (1994, გამომც. „ოქროს კვეთი“, რედაქტორი მურმან თავდიშვილი) რომ წავაწყდი ამ დიდებულ ლექსს ოდნავ შეცვლილი რედაქციით.

აქამდე ნაკლებად შესწავლილი მეგრული ფოლკლორი დღითიდღე ხელიდან გვეცლება. არადა, რამდენ ასეთ მარგალიტს აღმოაჩინს ამ დიდებული, ძველქართული ხალხური პოეზიის ერთ ღონიერ შენაკადში მოდარაჯე კაცის თვალი.

ხომ არ სჯობდა, მეგრული ენის „მოჯღარკულობის“ დამტკიცებაზე დროის ფუჭი ხარჯვის ნაცვლად ზოგ ჩვენს სახელოვან პოეტს ეს გენიალური ლექსი ეთარგმნა და ამით შეწეოდა მშობლიური ლიტერატურის გადარჩენის კეთილშობილურ საქმეს?

## მეუბნებო, ტკბილო სიცოცხლე!

ერთ ავტობიოგრაფიაში ტიცინ ტაბიძე თავის მშობლიურ შუამთას, ორპირის ფშანებს და რიონის წყალდიდობას რომ იგონებდა, სხვათა შორის წერდა: „ადიდებულ მდინარეს თან მოჰქონდა დანგრეული სახლები, აკვნები, გარღვეული საფლავებიდან წამოღებული კუბოები“.

ეს სტრიქონები პოეტის სიკვდილამდე ერთი წლით ადრე დაინერა. რა უჩვეულო სურათია ისეთი მშვიდი ჟანრის თხზულებისათ-

ვის, როგორც გახლავთ ავტობიოგრაფია. ხომ არ იყო ეს მაგიური პოეტური წინათგრძობა იმისა, რომ მალე ტიცინსაც მიწვდებოდა დელგმა-წყალდიდობა, რათა პოეტის კუბოც გაეტაცნა და შთამომავალთათვის სამუდამოდ დაეკარგა მისი საფლავი.

ბედის ირონია იქნება, თუ დღესაც ცოცხალია ის უკეთური კაცი, ჯვაროსნული მეთოდებით რომ ცდილობდა ტიცინ ტაბიძის „გამოტეხვას“, რათა აღიარების შეთითხნილ ქალაქდზე „ხალხის მტრის“ ხელმონერაც ყოფილიყო და იმ ნაძირალას დამშვიდებული სინდისით შეეკრა „საქმე“ პოეტის განადგურების, საუკუნის დანაშაულად რომ ამოტივტივდებოდა წლების შემდეგ.

რა დანაშაული მიუძღოდა? იქნებ მხოლოდ ის, რომ ჭეშმარიტი პოეტის სიყვარულით უყვარდა ეს ქვეყანა; მხოლოდ ის, რომ მის დიდრონ, ცისფერ თვალებში ნიადაგ ერთა ძმობისა და მოყვასის თანადგომის სურვილი ენთო; მხოლოდ ის, რომ უდანაშაულო კაცის ალალი სისხლის წვეთივით გულთან წითელი მიხაკი უელავდა და ამაყი იყო. ამაყი იყო – თავისი საქართველოთი, თავისი რუსთაველით, თავისი შთამაგონებელი პოეზიით. იქნებ ის იყო ტიცინ ტაბიძის დანაშაული, რომ ერთხელ პატრიოტულ ამოხვრას ამოაყოლა: „სჯობს, აღარ გქონდეს სულაც სამშობლო, ანდა არ იყოს ასე ლამაზი“.

მაინც რა განსაცვიფრებელი ინტუიცია აქვთ პოეტებს, თითქოსდა ტიცინი იმთავითვე გრძნობდა, რომ არ აცლიდნენ „ოცნებათა დავაჟუკაცებას“. მის ადრეულ ლექსებსაც ეტყობა, რომ მათ დამწერს ავი ბედი უთვალთვალეს. ამიტომაც ჩაიკვნესებდა ზოგჯერ პოეტის არცთუ უმიზეზო სიფრთხილით: „საკუთარ ძმასაც ველარ გავუმხელ, რაც ჩაკირულა გულში ბალღამი“.

ჯერ კიდევ შორს იყო აღსასრულის წყეული ჟამი, როცა პაოლო იაშვილს დაუწერა: „საქართველოს მზე გაანათებს სიცოცხლეს ლამაზს, მაშინაც, როცა პოეზიით დავილუპებით... სხვა მეგობარმა და პოეტმა შეადარა აღმასს, ვიცი გავტყდებით და არასდროს მოვილუნებით“.

ორი ათეული წლის შემდეგ ამ სიტყვებს უმკაცრესი გამოცდა მოუწყო ცხოვრებამ. ჭეშმარიტად „სიამის ტყუპნი“ და „ცისფერი ძმები“ ავი ბედის წინაშე არ მოხრილან, არ გადრეკილან.

ხოლო საქართველოს სიყვარულს ზვარაკად შეწირული კაცი ჩვენ მაინც არ გვემდურის და სულგრძელად გვიტოვებს გულში იმ იმედის ნაპერწკალს, რომ კანის ცოდვები ჩვენ არ მოგვეკითხოს: „მე

ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე, შენ ამ სიკვდილში არ გიდევეს ბრალი“.

მადლობა ყველას, ვინც პოეტის მტრობა არ დაიჯერა და ტიცციანის ლექსთა წიგნაკი ბალიშქვეშ საიმედოდ შეჩურთა, რათა შუალამისას, მთვარის სინათლეზე, იქნებ საკუთარი ცოლ-შვილისაგან დამალულადაც წაეკითხა: „მივალ, მივდივარ და მივიმღერი, თან საქართველოს მიმაქვს ოცნება, ვარ გაუთლელი ლერწამის ღერი, ტუჩმიუდებლად რომ იკოცნება“.

შემოგვცქერის პორტრეტიდან „ორპირის ფმანზე გაზრდილი ბიჭი“, დენდურად მშვიდი და პენიანი. თეთრი კვართი აცვია, ლამაზად მოხრილ თითებში აბოლებული სიგარეტი უჭირავს. შემოგვცქერის ოცდაათიანი წლებიდან აგე ა, საუკუნის ბოლო ოცწლეულის მოქალაქეებს. შემოგვცქერის იმ თავმდაბლური იმედით, რომ მისი სტრიქონები „ერთ პოეტს მაინც გულზე მოხვდება და ეს ეყოფა გამოსარჩლებად“, ამ სურათზე პოეტი ახალგაზრდა და ლამაზია, თან სევდიანიც.

ტიციან ტაბიძის სიცოცხლე მარტო ერისათვის დამაშვრალი პოეტის ბრწყინვალე და ჯიუტი ფაქტი როდია, იგი სამუდამო გაფრთხილებაცაა გულის ფიცარზე იმის დასაწერად, რომ ხელოვნების სიცოცხლეს კეთილ დარაჯად უნდა ვედგეთ და „ნიადაგ სული უნდა ვუბეროთ“, – ჩასაქრობად კი არა, გასალვივებლად, გასალონიერებლად.

ბებერი ვანის სანახებიდან ჩვენი საუკუნის დასაწყისში ორი არნივის მართვე აფრინდა. ერთ მათგანს საუკუნის აზრთა მპყრობელის და უახლესი პოეზიის მამის როლი არგუნა ბუნებამ, მეორეს უფრო მოკრძალებული, მაგრამ ერის კულტურის ისტორიაში თვითმყობადი, კაშკაშა ადგილი მიაკუთვნა.

საუკუნის პოეზიის სარდლებს ერთმანეთთან ძმების მკაცრსიყვარულიანი, მორიდებული, საჯაროდ გაუცხადებელი ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ ერთმანეთის ფასი ძალიან კარგად იცოდნენ. სწორედ ეს თბილი თანაღმობა იყო ზოგჯერ თავისი გრძნეული ლირიკის აბრეშუმში მთვარესავით გახვეულ, თითქოსდა სააქაოს დროებით მონყვეტილ გალაკტიონს რომ დააძახებინებდა ხოლმე საქვეყნო საქმეების ორომტრიალში ყელამდე ჩაფლულ, შუბლზეოფლგადამდინარე თავისი ბიძაშვილისათვის: – ტიტე, ძამიკო!

ქუთაისის გიმნაზიის პერიოდს რომ იგონებს, ტიცციანი ერთგანწერს:

„მაშინ ქართული ენა იდევენებოდა და კვირაში მხოლოდ ერთი გაკვეთილი გვქონდა, მაგრამ ჩვენთან ამ დროს ფართოდ გავრცელებულ

ბულ ლიტერატურულ წრეებში წარმატებით მიმდინარეობდა მშობლიური ენის სწავლება“.

რა გასაკვირია, რომ დედაენას აკრძალული ხილივით, ლამის ქურდულად დანაფებულ ტიცციანს უდიდესი სიყვარულით ჰყვარებოდა თავისი მრავალტანჯული ქვეყანა და სამშობლოს თავისუფლების ფასიც სცოდნოდა.

ეპოქის შვილი იყო და დროის დამლა აჩნდა მის რაინდულ სულს. ეს მოუთოკავი სული ტიცციანის განსწავლის წლებში ყალიბდებოდა და ინართობოდა. მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლისას თავისი თვალთ ნახა, როგორ დატოვებს ერთ დღეს პროგრესულად მოაზროვნე პროფესორებმა უნივერსიტეტი, რადგანაც განათლების მინისტრმა კასომ უნივერსიტეტის ავტონომია გააუქმა და მეცნიერების ეს უმაღლესი კერა ჩინოვნიკურ ინსტანციებს დაუმორჩილა.

მერე, ქართული ლექსის თემატურ-ვერსიფიკაციული განახლების სურვილით ცისფერყანწელთა ორდენი შექმნა, სიმბოლისტური ნიავის უცხო ქროლვა ეროვნული პოეზიის საუფლოში, ქუთაისის სადარბაზოებში მგზნებარე კამათი და მანიფესტების წერა. დროს მიჰყვება ეპიგონური პოეზიის სიყვითლენი, მაგრამ რჩება ლიტერატურული დებატების კეთილი კვალი – პოეტთა მიერ თავისი თავის აღმოჩენა, ქართული სიტყვის ახალ შესაძლებლობათა საიდუმლოებების მიკვლევა, მსოფლიო პოეზიისთვის ფეხანყობის გაბედული სურვილი.

და მაინც, ტიცციანის პოეზია თავისი ქვეყნის ცისარტყელიდან არ გასულა.

მაშინაც კი სიმბოლისტურ სამოსს რომ ირგებდა ტანზე და თავის მეგობრებთან ერთად „დანყველილ პოეტთა“ ქოლგის ქვეშ დგებოდა, მშობელი ქვეყნის სვეს არ გამორებია მისი ფიქრი, ქართული ურვა უთრთოლებდა სულის წერვებს, ერის გამოფხიზლების ზარს რეკავდა, რადგანაც კარგად უწყოდა, რომ „ყველა დაარტყამს თავზე უროს, თუკი ნახა ხალხი მძინარე“.

ყველაფერს ხარბად ისრუტავდა მისი პოეტური გონება. ბობოქარ დღეთა ცხელი კვალი ატყვია ტიცციანის ლექსებს. რას იფიქრებდნენ პოეტთა პურისჭამის მგალობელი თანამგზავრები – დედას ლევანა და დანიელა ურია, რომ სწორედ იმ მკერდმისხაკიანი და ხავერდისხმიანი, შუბლზე მონაფურად თმამეჭრილი და ნაბახუსევზე ძლივს შესამჩნევად დარწმუნებული ბიჭის წყალობით მოუწევდა მათს ბოჰემურ სახელებს პოეზიაში სამუდამოდ დარჩენა.

სიმონ ჩიქოვანს ტიცვიანზე დაწერილ ერთ ნარკვევში პოეტის შემოქმედებითი პორტრეტის შტრიხებად, სხვათა შორის, ორი ლექსის ნაწყვეტიც მოაქვს: „ბათომი მისცეს და ორპირზე მოდის თათარი“ და „აქ რომ მღეროდა რუსთველი, ვინ გააჩუმა, აქ რომ იბრძოდა სააკაძე, ვინ გააკავა?“ ეს დვრიტა, ეს ეროვნული სევდა იყო ტიცვიანის პოეზიის ანი და ჰოე.

პოეტის ყურს ისტორიის ნერვული ხმები წვდებოდა, – სიონის ზარების კივილი და ომში მიმავალ სამას არაგველთა „საყვირების კორიანტელი“. ყურს მიაპყრობდა განწირულთა ძახილს და შემკრთალი კითხულობდა: „ვინ გააჩერებს ამ ხმების გრიგალს, ამდენი ძვლები რად დამიგროვეთ! მე თუ მომთხოვდით სიმღერას ახალს, მე თუ გინდოდით თანამედროვედ?“

დიახ, ტიცვიანს სრული მორალური უფლება აქვს ჩვენ, ქართველ მწერლებს, თავისი გრძელი, ნატიფი თითი დაგვიქნიოს, თუ ერის სატკივარს ყურს ნავუყრუებთ და ყალბი ქებათაქების ბუკსა და ნალარას დავცემთ.

ახალი ეპოქის გრდემლს რომ დაჰკრეს, პოეტმა ტრიბუნის მანტია მოისხა ბეჭებზე, სიჭაბუკის სიმბოლისტურ ოცნებათა გამოგლოვაც მოასწრო და „ახალი ცხოვრების ალავერდობაც“, კრემლში შეხვედრილი ორპირელი კომკავშირელისათვის ოდის შეთხზავც, დოლორესისა და ტელმანის საბრძოლო ყიჟინასაც ააყოლა ლექსის ნალარა და ამგვარი ლოზუნგური სტრიქონიც აახმიანა: „ვინ დახრის დროშას მაღალ ტარიანს, როცა ის მიაქვს პროლეტარიატს“.

საოცარ ხმებს გამოსცემდა მისი ლექსის „გაუთლელი ლერწამის ღერი“. ეს მხოლოდ ტიცვიანის ხმა იყო. ხან ერის მეზარაზღვრედ, სამყაროს ბედზე პასუხისმგებლად, პოეზიის სპასალარად თვლიდა თავს, ხან კი რუსთაველისა და ვაჟას აჩრდილთა შემყურე, შეკრთებოდა და მორცხვად ნაიჩურჩულებდა: „ერთ სანყალ პოეტს ამაზე მეტი სინდისით აღარ მოეთხოვება“.

ტიციანი არ იყო დახვეწილი ფრაზის და რაფინირებული ჰანგების პოეტი. ურმულივით სადა და უბრალოა მისი პოეზია. წერდა „ისე უბრალოდ, როგორც მუხრანზე გაზაფხულისთვის მოდის ბალახი... ისე უბრალოდ, როგორც მერცხალი დაუბრუნდება შარშანდელ ბუდეს“.

წუხდა იმაზე, რომ არაერთ პოეტს „ლექსის გზა-კვალი აუბნიეს“, რომ პოეზიად სალდებოდა მშრალი დეკლარაცია.

თავის პოეტურ მიმართებებში უკომპრომისოდ პირდაპირი, ვაჟაკური და კატეგორიულია.

მასშტაბური ხედვა ჰქონდა და ერის ჭირისუფლის ატკივებულ გული. ოცი წლისა არც კი იყო, როცა საქართველოს ისტორიაზე ამ სტრიქონებს წერდა:

„რა არის მთელი ისტორია ძველი საქართველოსი, თუ არა საბედისწერო დუელი.“

ღმერთის უზარმაზარ ქვეყანა-ცირკში იდგა საქართველო, როგორც უკვდავი გლადიატორი. ტანი მისი იყო დაჭრილი და ელავდა მენამული იარებით, მაგრამ მაინც იდგადა იბრძოდა“.

მამინ, როდესაც თვით ილია ჭავჭავაძის შეფასებაშიც კი ერთსულოვნება არ სუფევდა და „ოთარანთ ქვრივის“ ავტორის სახელი უგუნური განსჯის საეჭვო სასწორზე შეაგდეს, ტიცვიანმა დაწერა: „გადაუმეტებლად შეიძლება ითქვას, რომ მე-19 საუკუნე საქართველოში ილიამ კიდევ მოიგონა, კიდევ შეჰქმნა და თავისი სისხლით კიდევ დაჰკირა... ამ ხნის განმავლობაში ილია ჭავჭავაძე იდგა როგორც გიგანტი. ყოველი მოზღვავებული ტალღა, უცხო თუ შინაური, იმას დაეტაკებოდა და ილიაც მოიგერიებდა... ილიას სიკვდილმა გულის ძარღვამდის შეარყია საქართველო. უბრალო ხალხიც ამბობდა: აქ არის დასაწყისი ახალი ეროვნული შეგნებისო. ამის ფაქტებს ჩვენ ყოველდღე ვხედავთ“.

ორმოცდაორი წლისა წავიდა ამ ქვეყნიდან. ამ ასაკის პოეტს ჩვენ ახალგაზრდა პოეტს ვეძახით.

რამდენი მოასწრო! გაოცებას მარტო ტიცვიანის მონოლითური პოეზია კი არ იწვევს, საზოგადო მოღვაწის ის ვეებერთელა ტვირთიც, ჯვრად რომ აიტანა თავისსავე გოლგოთაზე.

რა დიდი გული ჰქონდა, რა ფართო დიაპაზონის კაცი იყო! მარტო ლიტერატურით კი არა, მომხიბლავი პირადი თვისებებითაც. როგორ მოახედეს საქართველოსკენ ტიცვიანმა და მისმა მეგობრებმა პირველხარისხოვანი რუსი მწერლები. რა გულისმომკვლელად დაიტირა ესენინი: „ლამაზო ბიჭო, სერგეი ესენინ, ცოცხალს არ გესმის ეს საფიცარი“.

„ცისფერი ორდენის“ ორი წევრიღაა ცოცხალი. ვინ იცის, დროის მსახვრალი ხელი რომ არა, ტიცვიანსაც და პაოლოსაც იმ ორ ბედნიერთა მსგავსად ქართველური ხანდაზმულობა ელოდათ.

დავბადებულვარ რომ ვიყო მონა  
და საქართველოს მედგას უღელი;  
– მაშ, გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე,  
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი.



საქართველოს უღელდადგმულ კაცს ვერ გადაგეფარეთ, ბატონო ტიცციან, თქვენს „ტკბილ სიცოცხლესთან“ უდროოდ გაგყარათ უგუნურმა კვეთებამ, მაგრამ ქართულ ძარღვმაგარ პოეზიასთან მართლაც რომ განუყრელია თქვენი ლექსი.

შემოქმედის მარადი სიცოცხლეც ხომ ეს არის.

1986

## ვისი გორისა ხარ...

ეს პატარა წერილი გულწრფელობაზე საუბრით მინდა დავიწყო. ყოველი დროის მწერლის ერთ-ერთი უმთავრესი თვისება გულწრფელობა, მართლად თქმის უნარი გახლავთ. თოვლის ყორესავით დროებითია დიდება იმ შემოქმედისა, რომელიც თავისი ეპოქის ქეშმარიტი სურათის შექმნის პრეტენზიით აღიჭურვება და სინამდვილეში კი უნამუსოდ ტყუის, არლეკინივით ჟონგლიორობს, სიცრუის აკვარელში შეთითხნილ ჩითმერდინს უქნევს ცხვირწინ მკითხველს.

პირდაპირ დავსვათ კითხვა: სწორ წარმოდგენას მისცემენ თუ არა ჩვენი წიგნები მომავლის მკითხველს იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების საქართველოში?

რა დასამალია, ამ კითხვას მხოლოდ სამი-ოთხი მწერალი უპასუხებს წელგამართული – დიახ. ზოგს სირცხვილეულად გაეღიძება და, როგორც ჩვევია ხოლმე, განზე გაიხედავს, აქაოდა, ეს კითხვა სხვას ეხებაო. რამდენიმე მეგობარი კი ხელეებს გაასავსავენ – მერედა ვინ გითხრათ, რომ მწერლის უმთავრესი დანიშნულება თავისი ეპოქის გამოხატვააო.

სამწუხაროდ, არაერთ ნიჭიერ შემოქმედს ვიცნობ მწერლის ღვთიურ ვალზე რომ სწორი წარმოდგენა არა აქვს. იგი ამ უკანასკნელ ხანებში იმდენად მოსწყდა ეროვნულ ნიადაგს, რომ მოეჩვენა ლიტერატურა მხოლოდ ლიტერატურისთვის არსებობსო და მხედველობიდან გამორჩა ის ფაქტი, რომ ქართველ კაცს კაზმული სიტყვა ოდენ გასართობად არასოდეს არ სჭირდებოდა, მწერლობა მისთვის თავისუფლებისათვის ბრძოლის ერთი მთავარი საშუალება იყო.

ბევრჯერ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ: პირადად ჩემთვის არ არსებობს მწერალთა თაობებს შორის ხელოვნურად აღმართული შემოქმედებითი წყალგამყოფები. ნაწარმოების კითხვისას მისი ავტორის

მეტრიკული მონაცემები სრულებითაც არ მაინტერესებს. ჩემთვის არსებობს ქეშმარიტი მწერლობა და ლიტერატურის სუროგატი. თუ ერთნი ცდილობენ ამ ორი საგნის, თეთრისა და შავის ერთმანეთში აღრევას (რათა ამ გზით თავიანთი უნიჭობის კვალი დაფარონ), პრინციპული კრიტიკის უპირველეს დანიშნულებად, სწორედ, ნამდვილისა და ყალბის ერთმანეთისგან გამიჯვნა მიმაჩნია.

მწერალთა ყველა თაობას ერთი ვალი გვაქვს, ერთი მიზნისკენ მოგვიწოდებ ბუნებამ. ჩვენი ქვეყნის სამსახურისა და ერის გამოღვიძების ზარების რეკვას როგორც კი მოსაწყენ და ერთფეროვან საქმედ მივიჩნევთ და სხვა „უფრო რთული“ საქმეებით დავიტივრებით, ჩავთვალთ, რომ უფლება აღარა გვაქვს ქართველი მწერლის მაღალი ტიტული ვატაროთ.

ეს გაფრთხილება დროულად მიმაჩნია და, იცოდეს ღმერთმა, მავანთა გასაღიზიანებლად არ გამომიგონია. ჩემს ნაფიც კოლეგებს რომ გადავხედავ, ხანდახან, სინანულით გული შემეკუმშება. სად დაიკარგა თანადგომის, ერთპირობის, დასახული მიზნისთვის მონოლითურად ბრძოლის ის მაღალი იდეა, ხალხს პირობად რომ დავუდეთ, როცა კალამი ავიღეთ ხელში?

როგორ არ მინდა დავიჯერო, რომ ხდება ის, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა და რასაც სხვებს ვუკიჟინებდით ჩვენს სიყმანვილეში: ერთს გაბედულება და ვაჟკაცობა არ ეყო კარგად დაწყებულის გაგრძელებისა, თეთრი აფრა აუშვა და სახოტბო მწერლობაზე გადავიდა, მეორეს გაბედულება მხოლოდ იქამდე ეყო, რომ კალამი დადო და აღარაფერს წერს, მესამემ ყურები ქრელი ბაფთით აიკრა და ქარში მოხვედრილი ლერწამივით მი და მო ქანაობს, მეოთხე ჩინ-ტემლაკებმა გაიტაცა („რომელნიმე შეტყუვლით“ – იოანე საბანისძე), ერის ყაყანი მის მყუდრო კაბინეტამდე ველარ აღწევს, მეხუთე, კუს ფეხის გამოყოფისა არ იყოს, ძალად ერევა მარაქაში და, რაც ყველაზე სამარცხვინოა, ხოხვით მიიწევს ლიტერატურული კარიერის საეჭვო გზაზე. მურმან ლებანიძის სტრიქონები მახსენდება: „ბრაუნინგით არ მომკვდარან, ვინც დღეს ჩემთვის მკვდარია, არც ფანჯრიდან გადმომხტარან, მშვენიერად არიან“.

„მშვენივრად მყოფთა“ გაკვეთილად არაერთი მწერალი წინა ხაზზე პიროფლიანი იქნევს ხმალს, მათი სტრიქონების ჩახაჩუხი ქმნის სწორედ ქართული მწერლობის ღირსების ექოს და იმ სასწაულებრივ ატმოსფეროსაც – მკითხველს რომ ჯერ კიდევ ესმის და სჯერა ჩვენი.

ქართული პროზა უკანასკნელ ხანებში ოთხი მიმართულებით განვითარდა. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ასახვის საგნისა და ჟანრული თავისებურების ოთხ სახეობად მოგვევლინა.

პირველი გახლავთ თანამედროვეობის ამსახველი თხზულება. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი პროზის ერთი ნაწილი ჩვენი დღეების სწორ სურათს იძლევა, ხოლო მეორე ნაწილი სინამდვილეს ხელოვნურად ალამაზებს, ნაწარმოებთა ერთ ნაწილს თანამედროვეის ხასიათის კვლევის ნიშანწყალი ამჩნევია, ხოლო მეორე ნაწილს პრიმიტივიზმითაა დაღდასმული; მაინც ამკარად ჩანს მწერლის სურვილი – სადღეისო, აქტუალურ პრობლემებს შეეხმიანოს და მკითხველს ცხოვრების უკეთ მოწყობაზე ფიქრის საღერღელი აუშალოს.

მეორე სახეც ჩვენი პროზისა ტრადიციულია და წინაპართა მდიდარი გამოცდილება უმაგრებს მხრებს. ეს გახლავთ ისტორიული რომანი და ისტორიული მოთხრობა. ამ, ერთი შეხედვით, სამუდამოდ გამოკვეთილ ჟანრშიც ორი დინება შეიმჩნევა. მწერალთა ერთ ნაწილს ისტორია აინტერესებს თანამედროვეობასთან მიმართების თვალსაზრისით. ისტორიიდან სწორედ ისეთ ფაქტებსა და პასაჟებს არჩევს, ჩვენს სადღეისო ამოცანებს რომ ეხმიანება. ამგვარი ისტორიული თხზულება მკითხველს ჩვენი ერის გუშინდელ დღეს კი არ მოაწონებს მხოლოდ და მხოლოდ, დააფიქრებს იმაზეც, თუ ისტორიის რა მოსახვევზე დავუშვით შეცდომა და რა არის საჭირო იმისათვის, რათა ქართველმა კაცმა შთამომავლობას პირნათლად გაუსწოროს თვალი. იწერება იმგვარი ისტორიული თხზულებებიც, რომელთა ავტორთათვისაც ისტორია თვითმიზნად ქცეულა. კითხულობ და ფიქრობ: რისთვის დასჭირდა მწერალს გარდასულ აჩრდილთა გამონმობა? რას აძლევს გუშინდელ დღეთა რომანტიკული სურათების მოსაწყენად გადმოცემა თანამედროვე მკითხველს? და მაინც ჩვენი მიმტევებელი მკითხველი გულისყურით დაეძებს ორივე სახის ისტორიულ ნაწარმოებს, რადგანაც ამ ნაწარმოებებს რეალისტური პროზის ნათელი ადგათ.

მესამე მიმართულება თანამედროვე პროზისა მითოსურ-ისტორიულად შეიძლება მოინათლოს. წმინდა სახით იგი არც ისტორიულია და არც მითოსური. ისტორიულ ეპოქაზე ავტორი მიგვანიშნებს, მაგრამ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არ ჰყოფნის ისტორიული მასალების ცოდნა, ნაწარმოებში არ გამოჰყავს არც ერთი ისტორიული პირი, კმაყოფილდება ოდენ მხატვრული გამონაგონით და იმის სურვილსაც კი არ ამჟღავნებს, რომ ისტო-

რიული ეპოქა მასშტაბურად გამოხატოს, დროის კოლორიტი შექმნას, იმ პერიოდის უმთავრესი პრობლემები ჩვენს თანამედროვეობას დაუკავშიროს. ძველი გაზეთებიდან ამოღებული ციტატები და საყველპურო ისტორიული რეალიები, ნაწარმოებს ისტორიზმის სურნელს ვერ ანიჭებს. ამას, როგორც ჩანს, ავტორიც ხვდება და თავშესაფრად მითოსს მიმართავს. უადგილოდ, ხელოვნურად მოხმობილი მითოსური და ბიბლიური პასაჟები მკითხველის დაბნევის ნაცადი გზაა. ზოგიერთ ნაწარმოებში იგი არქიტექტურულ ზედმეტობად მოჩანს და მწერალს იმ თითო-ოროლა საექვოდ გახმაურებული ევროპელი თუ ამერიკელი მწერლის ეპიგონად წარმოგვიდგენს, რომელთა გვარსაც მხოლოდ და მხოლოდ დელიკატური მოსაზრებით არ ვასახელებ. კითხვისას ამკარად იგრძნობა, რომ ავტორს არ ჰყოფნის გაბედულება სიმართლეს პირდაპირ შეხედოს და იქ გასჭრას, სადაც საჭიროა. რაკი წერის მანერასაც კი სხვას ესესება, ბუნებრივია, იმ ცხოვრების ზედაპირზე დაცურავს, რომლის გამოხატვის მიზანი დაუსახავს, სიღრმისეულ მოვლენებს ვერ წვდება მისი გონება, ბალეტური ფრენით გადადის თაობიდან თაობაზე, დასასრულს ავიწყდება, რისი თქმა სურდა დასაწყისში და წიგნს რომ დახურავ, შეურაცხყოფილის, მოტყუებულის განცდა გეუფლება. – აკი კარგად დაიწყო, აკი ერთი-ორი საინტერესო ეპიზოდიც შემხვდა რომანში? ფიქრობ რაშია საქმე, რატომ არ ეყო დენთი? რატომ ბოლომდე არ თქვა სათქმელი?

ზემოთ ნახსენებმა სინთეზურმა ჟანრმა (ისტორიისა და მითოსის ხელოვნური დაკავშირება რომ განუზრახავს) ამ ბოლო დროს ერთი-ორი ნიჭიერი მწერალიც გაიტაცა და, როგორც არ უნდა იყოს ჩემი პოზიცია ამ „გაურკვეველი ჟანრის“ მიმართ, ობიექტურობა მაიძულებს ვალიარო, რომ რამდენიმე საყურადღებო ნაწარმოები შეიქმნა. ჟანრი შეიძლება ხვალ-ზეგ უფრო დაიხვეწოს და ქართულ პროზის წიაღს ორგანულად შეეზარდოს, რაშიც ამ სტრიქონების ავტორს ეჭვი ეპარება. მე უფრო სავალალოდ ჩვენი პროზის ახლახან მოვლენილი ის სახე მიმაჩნია, რომელსაც პირობითად აბსტრაქტულ-რეტუსური უნდა ვუწოდო.

ვინ არიან, საიდან გაჩნდნენ ქართულ წიგნებში ეს უსამშობლო, უსახელო, უწარსულო პერსონაჟები? რა ანუხებთ, რისკენ ილტვიან, რატომ აალაპარაკა ქართულად მწერალმა ვულგარული ლიტერატურის ეს გაცრეცილი მარიონეტები? ნუთუ ჩვენ, ისტორიის ვეება ხახასთან ლამის დედიშობილად დარჩენილებს, ათასი სატკივარი რომ

გაგვიჩინა მეცნიერებისკენ რომ მიგვერეკება და კბილის კანკანით ვიცავთ ჩვენს ეროვნულ არსებობას, ახლა ამგვარი მოყირჭებული, მსუბუქი ლიტერატურისთვის გვცალია?

გკითხულობდი, ამას წინათ, აბსურდულ-აბსტრაქტული პროზის ერთ-ერთ შედეგს. ერთი პირობა გავიფიქრე: იქნებ სათქმელი აქვს მწერალს ისეთი, რომ უსათუოდ უცნობ გეოგრაფიულ გარემოში უნდა მიმდინარეობდეს მოქმედება და განზოგადებულის ილუზიის შესაქმნელად პერსონაჟებს გაუგონარი, ფელეტონურ-პაროდული სახელები უნდა ერქვათ-მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ. გონებას ძალიან თუ დაძაბავდი, მოთხრობის ფსკერზე იპოვიდი იმ პანანკინტელა პრობლემას, ყოველ მეორე წკიპურტში რომ ატრიალებენ სატირული ჟურნალები და რასაც ადრე არაერთხელ მიაქცია წალმართიანად მოაზროვნე მწერალმა ყურადღება. ავტორის უკიდევანო კოსმოპოლიტიზმი (კოსმოპოლიტიზმს თუ კიდევ „უკიდევანობა“ სჭირდება) ჩემთვის აბსოლუტურად აუხსნელი აღმოჩნდა. ნანარმოების კრიტიკულმა სიუჟეტურმა „ხლართმა“ და წაჯექუჯექურმა არქიტექტონიკამ ხომ გამაღიზიანა, შემაძრწუნა მშობლიური ენისადმი მწერლის აგდებულმა დამოკიდებულებამ. ეს გახლდათ, არც მეტი არც ნაკლები, აბუჩად აგდება ჩვენი ულამაზესი ქართულისა. ხელის ერთი მოსმით უარყოფა იმ ენობრივი კონსტრუქციებისა, რის ჩამოყალიბება-დადგენასაც მწერალთა და მეცნიერთა მრავალსაუკუნოვანი შრომა შეენირა. ფორმალური ძიებებისა და ექსპერიმენტის უფლება, რა თქმა უნდა, მწერალს ყველა ასაკში აქვს, მაგრამ მიკვირს და გამკვირვებია, ასე ხელალებით რატომ დებს სასწორზე თავის მწერლურ რეპუტაციას პროზაიკოსი, რომელსაც სხვა დროს არაერთი კარგი თხზულებით გავუხარებიავართ და თავისი მკვირცხლი და ფხიზელი გონებით ბევრჯერ მიუქცევია მკითხველის ყურადღება?

საინტერესო ძვრები ხდება თანამედროვე ქართულ პოეზიაშიც. დრომ, უღმობელმა და პირუთვნელმა დრომ, ბევრი რამ ახლებურად შეაფასა და წარმოაჩინა. საუკუნის ბოლო ოცნლეულში დღითიდღე იკვეთება იმათი სახელები, ვინც ოცდამეერთეშიც ემასხოვრება და დასჭირდება მკითხველს. და იმავე დრომ სამუდამოდ დასავინწყებლად გასწირა რამდენიმე გახმაურებული პოეტის ლამაზად მოცემული ტომეულები. დრო აზუსტებს ყოველგვარ სიას და თუ დღეს მონყენილად მიმოდინა ორმოცდაათსგადაშორებული თითო-ოროლა პოეტები (რომელთა სახელები ამ ოციოდე წლის წინათ პირზე ეკერა

მკითხველს), თუ უკვირთ მკითხველის „გაცივება“ მათი ნაწერების მიმართ, გულისტკივილით უნდა ვუთხრა, რომ მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო. ტრიბუნას ჩაბლაუჭება (სხვამ არ მომასწროსო) და პანეგირიკული ლაღადისი პოეტად ვერ გაქცევს, შენ ცუდად გახარჯე შემოქმედებითი ნიჭი, მოტყუედი, იაფმა პოპულარობამ გაგიტაცა, საოცარია, მაგრამ შენი წინა თაობის გამოცდილებაც არ გაითვალისწინე (არაერთი, ადრე სახელოვანი პოეტი სამოციან წლებში თვალისჩინდაკარგული, ან მძიმე სენით სანოლს მიჯაჭვული, რედაქტირების მომიზეზებით უღმობლად რომ ფხრენდა თავისი ნიგნებიდან ყალბ-ლოზუნგურ ლექსებს და გადარჩენილი ლირიკის პატარა ნიგნითლა რომ შეჰყურებდა მომავალს), საუკეთესო წლები შემოქმედებისა განუცდელი, ქიმერული ჭეშმარიტებებისათვის გუნდრუკის კმევას მოახმარე და შედეგსაც სათანადოს იმკი. ქართული პოეზიის დიდ ტაძარში დღეს, ჩვენდა გასახარად, ის პოეტები ნათობენ, ერის ნუხილს და გულისთქმას ვინც გამოხატავს, თავის ჩანგს ვინც სიმართლის სამსახური დაუსახა მიზნად და ამ მიზნისთვის არასოდეს უღალატია, ვინც შორს გაუმინა თავისი შემოქმედებითი ისარი და სინდისის მძიმე უღელი შეურცხვენლად გამოატარა ათას ცდუნებასა და ღრინაცელში.

ახალგაზრდები? დიდი სიფრთხილეა საჭირო ახალგაზრდებზე საუბრისას. რამდენიც უნდა გვიკიჟინონ ახალგაზრდების შეფასებას აგვიანებთო, იქნებ სწორიც კი იყოს ზოგჯერ მეთოდური ფეხის ათრევა ახალბედა შემოქმედის შეფასებისას. განა რამდენჯერ შევცდით, რამდენჯერ ავტეხეთ ზანზალაკების ჟღრიალი; ეს ვინ მოვიდა, ამას რას მოვესწართო, ისე გავახმაურეთ დამწყები კაცის სახელი, რომ ამით, ჯერ ერთი, მასვე შეფუქმენით ყალბი წარმოდგენა საკუთარ ძალებზე, ცხოვრება გავუიოლეთ და მეორეც, სხვებს, უჩინართ, გული დაეწყვიტეთ. გავიდა ცოტა ხანი. მოვიხედეთ და სადღაა ჩვენი „ყოჩი“. თავის ახალგაზრდულ ლაშქარს წინ კი არ მიუძღვის როგორც ველოდით, კუდშიც ველარ მიჩანჩალებს. გზაზე თვლემ მორევია, ხელი ჩაუქნევია, რომელიღაც მოსახვევში, ჩვენდა შეუმჩნევლად გამოსულა მწყობრიდან და ჩრდილში მიმჯდარა. ამ სტრიქონების ავტორი თავის დროზე მიესალმა ქართული ლექსის ფორმალურ გამრავალფეროვნებას (კანონიკური ლექსი და ვერლიბრი), სიამოვნებით მიიღო ახალგაზრდა ქართველ პოეტთა ძიებანი, მაგრამ ერთი „ჰაი“ ჩემს ახალგაზრდა მეგობრებსაც უნდა შევძახო: ზედმეტად „ესთეტიკური“ ახალგაზრდები ხომ არ

გვყავხართ? ფორმით გატაცებამ ზოგი თქვენგანი ლიტერატურულ კოხტაპრუნად ხომ არ აქცია? რა თქმა უნდა, გულიანი ამოხვრაც საქმეა, მაგრამ შიგადაშიგ ხომ არ გავინყდებთ, რომ თქვენ ილიას და აკაკის მემკვიდრენი ხართ და „გარემოების საყვირის“ მანტია შორს ხომ არ გადადეთ? რატომ ხდება, რომ სიყრმის ასაკს კარგა ხანია გადაცდით და თქვენი გვარები საქართველოში ძალზე ცოტამ იცის? ღმერთმა დაგიფაროთ, თქვენი წინა თაობის ზოგი წარმომადგენლის – ძალად გახმაურების სენისაგან, მაგრამ გაჭიანურებულმა მორცხვობამ მეორე უკიდურესობაში არ გადაგაგდოთ, დროა თქვენი მყუდრო სალონებიდან გამოყოთ თავი და ხალხში გაერიოთ მებრძოლებად, მომწოდებლებად, კეთილ და ჭკვიან მრჩეველებად.

სად არ ითქვა, რა გზები არ მოიძებნა, რა მითითებანი არ გატარდა, მაგრამ მაინც ძველებურად და ჯიუტად გრძელდება ჩვენს თეატრებში აგდებული დამოკიდებულება თანამედროვე ქართული დრამატურგიისადმი. რა ინერცია იქნა ალებული ასეთი, რომ წლების განმავლობაში ვერა და ვერ გადავლახეთ. ჩვენი რეჟისორები თეატრალური საზოგადოების პლენუმებსა და სხვა სახელოვან თათბირებზე ერთმანეთს ეჯიბრებიან ლამაზი ეპითეტების მოძებნაში იმის სათქმელად, რომ თანამედროვე ეროვნული დრამატურგია ორივე ფენით კოჭლობს, სუსტია. ჯერ ერთი, ხატზე დავიფიცებ, რომ ეს აკვიატებული შეხედულება მართალი არ არის. მე ვიცი რამდენიმე შესანიშნავი პიესა ჩვენი დრამატურგებისა, თეატრების პორტფელში რომ ძველდება და ჩრჩილი სჭამს. მეორეც, რა მოიმოქმედე, ჩემო თეატრალო ძმობილო, შენი ეროვნული დრამატურგიის დონის ასანევად? ნიშნისმოგებით ნათქვამი – „ოლოლო შენ“ და „ხომ ხედავ, სუსტია“ შევლის საქმეს? უცხოელი ავტორის პიესის დადგმისას მთელი შენი ნიჭის ფოიერვერკს რომ მოიშველიებ, დღესა და ღამეს ასწორებ, ხან შენი და ხან სხვისი რეჟისორული აღმოჩენებით აავსებ სპექტაკლს, ხოლო ქართველი დრამატურგის პიესაზე უგემურად, ულამაზოდ, აგდებულადაც კი ნაიმუშავებ ხოლმე, ესაა საქმე? ამით შეენევი თანამედროვე მწერლის მოსვლას თეატრში? ღმერთმა დამიფაროს იმის ფიქრისაგან, რომ შენ ამას წინასწარგანზრახულად სჩადიხარ, რომ შემდეგ პლენუმზე ნიანგის ცრემლები ღვარო და დიდად შენუხებული კაცის იერით გამოგვიცხადო – ვცადეთ, მაგრამ არ გამოგვივიდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ნიჭიერი დრამატურგი არა გვყავსო არც გვეყოლება, თუ თეატრსა და დრამატურგს შორის კვლავ გაგრძელდება ამ ოცდაათი წლის წინათ

დანყებული კატა-თავგობანას თამაში. რამდენიმე ჩემი მეგობრის, ნიჭიერი მწერლის მაგიდაზე, ვნახე საქართველოს კინოსტუდიის მიერ გამოგზავნილი ბარათი, გთხოვთ სცენარი დაგვიწეროთ. მსგავსი თხოვნით თუ მოუმართავთ თქვენთვის თეატრებს-მეთქი. არასოდესო, სინანულით მიპასუხეს. რა ჩინ-ტემლაკები ჩამოგერთმევათ, ან რა სიამაყე შეგელახებთ იმით, ძვირფასო თეატრის დირექტორებო და მთავარო რეჟისორებო, კარგ მწერალს რომ მისწეროთ წერილი, დაუკვეთოთ პიესა? ჩიტი ხელის აქნევას ელოდაო, იქნებ ის მწერალი კარგა ხანია გამოვიდა შიშველი ენთუზიასტის განწყობილებიდან და სწორედ შენს ყურადღებას, შენს წერილს ელის? არ ვაკეთებთ ჩვენ ამას, არც სახელოვანი და არც ნაკლებსახელოვანი თეატრის მესვეურნი მწერლის კიბეს არ ავივლით ეროვნული დრამატურგიის საქმის წინ წასანევად. გავკადნიერდები და ვიტყვი: იმაშიც ძალიან მეპარება ეჭვი, რომ ვკითხულობდეთ ყოველივე საუკეთესოს, რაც თანამედროვე პროზასა თუ დრამატურგიაში იქმნება, მაშ, რატომ გირჩევნია, შე კარგო კაცო, ვამპილოვის უსუსური პიესა ეროვნული დრამატურგიის იქნებ არცთუ „ნადირობასავით“ სუსტ ნიმუშს? რატომ გვჩრი ხოლმე ცხვირში შენივე საეჭვო ღირსების დრამატურგიულ ექსპერიმენტს? იმის სათქმელად ხომ არა – არ არსებობს, ბატონო, პიესა და იძულებული ვარ მე, რეჟისორმა ვწერო? პიესის წერას ვინ დაგიშლის და დიდი რეჟისორები დიახაც წერდნენ, მაგრამ მე სხვა მაფიქრებს; რატომ ხდება, რომ შენი ლიტერატურული ნავარჯიშევი ასე მოგწონს, ხოლო პროფესიონალი დრამატურგის ქართულ პიესაზე ცხვირს აიბზუებ ხოლმე? იქნებ უკეთესი შედეგი გამოიღოს თქვენმა ერთობლივმა მუშაობამ პიესაზე, რეჟისორისა და მწერლის გვერდიგვერდ ჯდომამ?

სცადეთ.

კვლავ უჭირს ჩვენს სალიტერატურო კრიტიკას მწერლობის პროპაგანდისტისა და ორგანიზატორის საპატიო მისიის შესრულება, თუმცა ამდენი ერუდირებული და ნიჭიერი კრიტიკოსი არასოდეს ჰყოლია ჩვენს ლიტერატურას. ზოგჯერ სიამოვნებას მგვრის მწერლის ბუნდოვან მოთხრობაზე დანერილი კრიტიკოსის ნათელი წერილი, მაგრამ მაინც მაფიქრებს ჩვენი საქმიანობის ერთი მხარე. ჩვენ ნელ-ნელა დავთმეთ შემფასებლის როლი და, რბილად რომ ვთქვათ, „განმმართველებად“ ვიქცით. ზოგი კრიტიკული წერილი აპოკრიფივითაა, მხატვრული ნაწარმოების დამატება-გაგრძელება და როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, იშვიათად უფრო ლამაზადაც

დანერლი, ვიდრე თვით სარეცენზიო თხზულება გახლავთ. კანიდან ძვრება ზოგჯერ კრიტიკოსი, რომ ავტორის ლიტერატურული ახირება გაამართლოს. რა პარალელებს არ უძებნის, რა „იზმს“ აღარ მიაწერს, ოლონდ გვერდით დაუდგეს, თვისი მფარველი კალთა გადააფაროს ნაწარმოებს.

არა, მეგობრებო, ჩვენთვის მფარველი ანგელოზის მისია არავის დაუკისრებია. კაცმა რომ თქვას, ვისგან უნდა დავიფაროთ, მკითხველისაგან? იმ სულგრძელი მკითხველისაგან, ვინც გვენდო, კრიტიკოსი დაგვარქვა, და ჩვენი გემოვნებისა, ხშირ შემთხვევაში, ეჭვიმუტანლად სჯერა? დათაფლული კრიტიკის გამოა სწორედ, რომ უკვე აღარ ისმის ნუნუნის კრიტიკის ჩამორჩენილობაზე, კრიტიკოსებზე გამწყრალი ავტორებიც აღარ ჩანან. ვინ გვესვრის ქვასა და გუნდას მაშინ, როცა ჩვენ თვითონ ვადგავართ აუტივიარი თავის პოლიტიკას. პოლემიკაში არ ვებმებით, კარგა ხანია ჩვენს ლიტერატურულ პერიოდიკაში არ ნამიკითხავს რომელიმე სუსტი ნიგნის განმაქიქებელი წერილი (კრიტიკოსები კრიტიკოსებსვე ვაკრიტიკებთ, რომ კრიტიკული მახვილი არ დაგვიჩლუნგდეს). ეს არ ვარგა. ლიტერატურის წუნმდებელს თავისი ფუნქცია აქვს. ამ ფუნქციას რომ ველარ შეასრულებს, მისადმი ინტერესს დაკარგავს არა მარტო მკითხველი, მწერალიც. ვეგეტარიანული კრიტიკის გამო ხომ არ არის, რომ კრიტიკოსი ზოგჯერ გერის მდგომარეობაში აღმონდება ხოლმე? საიუბილეო ტრიბუნებზეც იშვიათზე იშვიათად უხმობენ სწორედ იმ კაცს, ვის აზრსა და შეფასებასაც ჯერ კიდევ დიდი ფასი და წონა აქვს მკითხველის თვალში.

ჩვენ უაღრესად საინტერესო ეპოქაში ვცხოვრობთ. ხელდაკაპინებულეებმა დღედაღამ უნდა ვიშრომოთ, რათა ძირს არ დავხაროთ ქართული ლიტერატურის სინდისის საუკუნეების განმავლობაში ასე ამაყად მოფრიალე დროშა. დუმილი დანაშაულს ნიშნავს. აქტიური პოზიციის გარეშე სწრაფად დავკარგავთ იმ ხმას, რომლითაც ნიადაგ ყურში უნდა ჩავძახოდეთ მიზეზთა გამო ზოგჯერ თვლემამორეულ ქართველს. საკმარისია მებრძოლის ფარაჯა დავთმოთ და ჩვენს არსენალს მეყსეულად დაეპატრონებიან მოძალბებული დემაგოგები და დილეთანტები. აკი არაერთი მაგალითი ვიცი იმისა, ახალგამომცხვარი „პოლემიკოსი“ (რომლისაც, ღმერთო შეგცოდე, იქნებ თვითონაც არა სჯერა) ჭკუას არიგებს.

სიმართლის სამსახური და მაღალი პროფესიონალიზმი უნდა იყოს ჩვენი დევიზი. ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, ლიტერატურა გუ-

ლისა და სისხლის ბოლომდე გაუცემლობას არ გაპატიებს. გერქვას მწერალი, ერის სამსახურის ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობაა და წურავინ ეცდება იგი სხვა ათასი საქმის პარალელურად, სასხვათა-შორისოდ აკეთოს. „გამოტანიებას“ ლიტერატურა ვერ ჰგუობს.

საჭიროა უფრო შევამჭიდროვოთ ჩვენი რიგები, ხელი ხელს მივცეთ, რათა შემთხვევითი კაცი ვერ ჩადგეს ჩვენ შორის. ნამდვილი მწერლის ადგილი ეროვნულ ტრიბუნაზე ბედის საძიებლად შემოხეტებულმა ჩინოვნიკმა, ან სახელის განთქმის მოსურნე ავანტიურისტ-ლიტერატორმა არ უნდა დაიკავოს.

1983 წ.

## კრისტალივით სუფთა და შეუვალი

იგი მეოთხედი საუკუნის წინათ მოვიდა ქართულ პოეზიაში, მოკრძალებით დადგა ლიტერატურის მაღალ საკურთხეველთან და გაბედულად თქვა „არჩევანი მე“.

რა იყო მისი არჩევანი? უაღრესად გულწრფელი ინტონაცია, ლაპიდარული სტილი, კლასიკური ლექსისადმი ერთგულება, ხალხური პოეზიის გამახვილებული გრძნობა, ფრაზის გამჭვირვალობა, ყელამდე ფლობა მშობლიური ენის წიაღში.

მკითხველმა პირველი ლექსებითვე მიაქცია ყურადღება, პირველი ნიგნებითვე შეიყვარა და ახლახან, როცა გაზეთებმა მორის ფოცხიშვილის ორმოცდაათი წლის საზეიმო ზარის რეკვა ატყეხეს, ყველანი გაოცებული დავრჩით. ცოტა დრო როდი გასულა „ენკი ბენკიდან“ პოეტის უახლეს ლექსამდე – „რაც იყო და რაც არა“. ამ ხნის განმავლობაში მორის ფოცხიშვილმა, ისე ჯიუტად დაამტკიცა თავისი ახალგაზრდობა პოეზიაში და პოეტური სული ახალგაზრდობაში, რომ მე მისი ორმოცდაათიწლიანობით გალიზიანებული მკითხველებიც ვნახე.

ჭეშმარიტი პოეტები ლამაზ ქალებს და დიდ მსახიობებს ჰგვანან. მათი ასაკის გამოცხადებაც უხერხულობად უნდა ითვლებოდეს.

არჩევანი ბოლოს მაინც მკითხველმა გააკეთა. მე იშვიათად მეგულება თანამედროვეთაგან საქართველოში მორის ფოცხიშვილზე უფრო პოპულარული პოეტი. მორის ფოცხიშვილის თაყვანისმცემლებს ყველაზე დიდი ტირაჟებიც ვერ უძლებენ, მორისი ყველაზე მე-

ტად იმღერება, ყველაზე ხშირად ისმის სცენიდან. ქვეყანას, სადაც მორისი ცხოვრობს, ერთ ძლიერ შტრიხად მისი ლექსიც დააჩნდა. რადიოდან, ტელევიზორიდან, მეზობელთა ღია ფანჯრებიდან ისე ხშირად ისმის მორისი და მისი სიმღერა.

მაგრამ საქართველოში მარტოდენ ტკბილ ხმათათვის არ შეგიყვარებენ. რუსთაველის ქვეყანაში გარდა დახვეწილი ვერსიფიკაციული ხელოვნებისა, მართალი, გაბედული, მუშტმემართული პოეტები უყვართ. განმარტოვების სამოთხის ტოტზე მთვლემარე ბულბულ-პოეტები ან ქამელეონურად ცვალებადი, მედროვე მგოსნები ხალხმა გულზე არ გაიკარა და ისტორიამაც თავის ნიაღში არ შეინახა.

მორის ფოცხიშვილს ტაშს რომ უკრავს თავისი ერი და ურყევ ფარად თავის მაღალ სიყვარულს რომ სთავაზობს, იმის მიზეზითაც გახლავთ, რომ ამ ლექსების ავტორს ხელთ უპყრია მაჯა თავისი დროისა, ნიადაგ მუხლჩაუხრელად დარაჯობს თავისი ქვეყნის სიმშვიდეს. იგი ჭეშმარიტი პოეტი-ტრიბუნია. ვის არ უნახავს მორის ფოცხიშვილი სცენაზე – შენირულ კაცთა მანტიამოსხმული, ნერვიულობისგან ტუჩებგათეთრებული, დიდი ტკივილით თვალებანთებული კაცი.

მორის ფოცხიშვილი არა მარტო თავისი პოეზიითაა ცასავით სუფთა და მართალი, იგი თავისი ცხოვრების წესითაც მომხიბვლელად გულწრფელი და ალალი კაცია. მან კარგად იცის, რომ ვინც სხვათა საქმის განმსჯელად და სიმართლის მლაღადებლადაა მოწოდებული, უპირველესად თვით უნდა იყოს კრისტალივით წმინდა და შეუვალი. პატარა ლექსში, რომელსაც „აქილევსის ქუსლი“ ჰქვია, პოეტმა სწორედ მისი მოწოდების სიძნელე გვიჩვენა და საყოველთაო სისპეტაკის იდეაც გვიქადაგა: „დედა! უკვდავების წყალში განბანვის ჟამს აქილევსის ქუსლივით ალბათ შენ ჩემი გული გეჭირა ხელში. ამიტომაც, ვინც კი ჩემს სიკვდილს მოინადინებს, ტყვიას ყოველთვის გულში მახვედრებს“.

უაღრესად თანამედროვეა მორის ფოცხიშვილის მიერ თავის მკითხველთან საუბრის ფორმა. ამიტომაც მძიმე არტილერიის ძალა აქვს განზე განმდგართა და გულგრილთა მიმართ პოეტის ნათქვამს: „ქვეყანას დალუპავს შენ მიერ თქმული: „მე არ მეხება... მე არ მესმის... მე არ მინდოდა“.

„განუმეორებელი“, „თვითმყობადი“, „ორიგინალური“ ამ სიტყვებს ხშირად ხმარობენ კრიტიკოსები მორის ფოცხიშვილის პოეზიის დახასიათებისას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მუზათა დიდ სასუფეველში არსებობს მორის ფოცხიშვილის მიერ აშენებული პოეტური

ქალაქი. იგი ქართული ლექსის ამ ჭეშმარიტმა ოსტატმა შექმნა, თავისი ფერებით მოკაზმ-მოავგვირისტა და მისი სულის ნიაღიდან გამოხმობილი ფერიებით დაასახლა. დიან, მკითხველი უკვე კარგა ხანია ხელმოუწერლადაც ცნობს მორის ფოცხიშვილის ლექსს, რადგანაც „ცის გახსნის“ ავტორს აქვს თავისი სათქმელი და უაღრესად ტევადი, მრავალხმოვანი კილო პოეტური საუბრისა.

დრო გარბის. იცვლება მგოსნის ინტერესთა სფერო, იცვლება რაკურსი საგანთა პოეტური ხილვისა, მაგრამ არ იცვლება ხაფი მორის ფოცხიშვილის ხმაში, არ ნელდება ცეცხლი მის პოეტურ ქურაში, იგი გუტენბერგის გამოგონების თუ ხმაჩამწერის მაგიური ძალის წყალობით დღითი დღე ღვივდება, სულ უფრო მეტ თაყვანისმცემელს იძენს და მარადიული სიკეთისკენ ეძახის ჭეშმარიტი პოეზიის დამფასებლებს...

დიდხანს ვკითხულობდი მორის ფოცხიშვილის ახალ წიგნს. მიზეზი ის გახლავთ, რომ ამ წიგნთან მე მივედი როგორც მკითხველი, რომელსაც ეგონა, რომ მეტნაკლებად უკვე იცის პოეტის ინტერესების სფერო, რომელიც ფიქრობდა, რომ მორის ფოცხიშვილის შემოქმედებითი სახე ძირითადად უკვე გამოკვეთილია და მოულოდნელობას ამ ახალი წიგნიდან აღარც კი ელოდა, მაგრამ მოვტყუვდი. თუ მორის ფოცხიშვილი აქამდე ჩემთვის იყო რიტმულად დახვეწილი, ამღერებული ინტონაციების, თემატურ-ჟანრობრივად უაღრესად მოწესრიგებული პოეტი, ამ ახალ წიგნში სრულიად სხვა მორის ფოცხიშვილს შევხვდი. ლექსის ტრადიციული მეტრისადმი დამოკიდებულებით, მსოფლმხედველობრივი გრადაციით, მოქალაქეობრივი გაბედულებით სრულიად სხვა პოეტი აღიმართა ჩემ წინაშე „მერანის“ მიერ გამოცემული ახალი წიგნით „სარკე სარკეში“.

იმდენად უჩვეულო იყო მორის ფოცხიშვილის ადრინდელ ლექსებს ყურმიჩვეული კაცისთვის ეს სიახლე, რომ სწორედ ამიტომ დიდხანს ვკითხულობდი ამ პატარა წიგნს. ყოველი ჩემთვის მოსაწონი ლექსის წაკითხვისას (და ასეთი ლექსებითაა სავსე მთელი წიგნი) ვჩერდებოდი, კითხვის გაგრძელების სურვილი მეკარგებოდა, ლექსით გამონვეულ ფიქრების გორგალს მივსდევდი, მობრუნებისას სხვა კუთხით შევხედავდი, სხვა სმენას მივაპყრობდი. ჩემში უნდა დამკვიდრებულიყო მორის ფოცხიშვილის შემოქმედებითი ძიების ეს უაღრესად წარმატებული ექსპერიმენტი. ერთი ნათელი და ძლიერი შტრიხი უნდა შემატებოდა ჩემს წარმოდგენაში მორის ფოცხიშვილის – პოეტი-მოქალაქის შთამბეჭდავ სახეს. ასეც მოხდა. ახლა, როდესაც „სარკე სარკეში“ კარგა ხანია დევს ჩემი საყვარელი პო-

ეტებით დასახლებულ ყველაზე ახლო და ხელმისაწვდომ თაროზე, თვალს რომ დავხუჭავ, დავინახავ მის ახალ ნიგნში მდგარ ნერვიულობისაგან ტუჩებგათეთრებულ, მომუშტულ, დიდი ტკივილით თვალეზანთებულ ბრძენ კაცს.

ამ ბოლო დროს, პოეტის ახალი ნიგნით შთაგონებული, მე ასეთ მორის ფოცხიშვილს ვხედავ. დიახ, ჭეშმარიტი შემოქმედი მუდამ უკეთესი მერმისისათვის, ჩვენი საერთო მიზნისთვის მებრძოლ „შეთქმულთა“ ნრეში დგას და პიროფლიანს ისტორიის სამუდამო ათინათი დაჰკრავს სახეზე.

მაინც რა არის ეს სიახლე თემატიკის სფეროში?

მორის ფოცხიშვილი, რომელმაც ნლების განმავლობაში ანართო და სჭედა კომუნისტური ანმყოს სადიდებელი ლექსები, რომელმაც ჩვენს ახალგაზრდებს საყოველთაოდ ცნობილი კომკავშირული სიმღერები დაუნერა, შეადგინა რამდენიმე საინტერესო ანთოლოგია პროგრესული ლიტერატურის უახლესი მიღწევებისაგან (და მათ შორის ინტერნაციონალური პათოსით გამსჭვალული, შესანიშნავი „ძმაო ძმითა ხარ ძლიერი“), მორის ფოცხიშვილი, რომელიც ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა საყოველთაო წესრიგისათვის დანყებულ ლაშქრობას ბრწყინვალე ლიტერატურული ორატორიით „შენ ხარ ვენახი“, მისი შემოქმედებითი ცხოვრების ამ ეტაპზე გადანყვეტს, რომ ახალი საქართველოსთვის გამართულ ბრძოლას მძაფრად პოლიტიკური, კრიტიკული პათოსით გაჟღენთილი ლექსითაც შეეწიოს.

მე ვფიქრობ მორის ფოცხიშვილი თავის პუბლიცისტურ კანტატებში და კრიტიციზმშიც ყოველთვის ზომიერია; უკიდურესობაში არასოდეს ვარდება, მან შესანიშნავად იცის, რომ მხილება საზოგადოებრივი წყლულის მორჩენის ერთი ყველაზე წარმტაცია ძალაა.

მორის ფოცხიშვილის შემოქმედებაში ახალი ეტაპი დაიწყო. ახლის დამკვიდრებისთვის ნათქვამ ქებათა ქებას და ღირსეულ მოვლენათათვის დაკრულ პოეტურ ტაშს, ზოგჯერ შეენაცვლება ფარაჯიანი მებრძოლი კაცის კატეგორიული სიტყვა („მე როგორც მინდა ისე ჩავექრები“), ხოლო ეს ნიგნი მტკიცე თავდებია იმისა, რომ „სარკის“ ავტორი კვლავინდებური გულმოდგინებით დაუდგება გვერდით სასიკეთოდ გამიზნულ ყოველ სერიოზულ ნაბიჯს, ხოლო ჩრდილსა და ნაკლს უფრო გაფაციცებით ჩაულრმავდება დასაგმობად და ამოსაშანთავად. მას ღრმად სწამს, რომ სათქმელის დროულად თქმა და პირში უადგილოდ წყლის არდაგუბება მარტო პოეტისა კი არა, ყველა პატიოსანი მოქალაქის ვალია: „მაგრამ ის ერთი კრძალვით თუ

რიდით, დღეს თუ თევზივით დუმს, არ ნიშნავს, რომ ხვალ არაფერს იტყვის... სსუ? კი ბატონო, სსუუ!“

პოეტური ფორმა, მორის ფოცხიშვილის მიერ თავის მკითხველთან საუბრისა, უაღრესად თანამედროვეა. მორის ფოცხიშვილმა ხომ ნლების განმავლობაში მიგვაჩვია თავისებურ პოეტურ ხელწერას (ლაპიდარული მეტყველებით, სასიმღერო რიტმით, კლასიკური ლექსისადმი ერთგულებით მორის ფოცხიშვილის ლექსს ნაკითხვისთანავე ხელმოუწერლადაც იცნობს მკითხველი), მაგრამ, როგორც ჩანს, ფორმის ხაზითაც კი პოეტი განაგრძობს შემოქმედებით ძიებას. ეტყობა, მან მიიჩნია, რომ თანამედროვე მკითხველს ზოგჯერ იქნებ ალიტერაციებით შემკულ, ჩაგვირისტებულ-ჩახუჭუჭებულ, გრძელ ლექსებზე უფრო, უმად მინვდილი, შეულამაზებელი პოეტური ზოდი ხიბლავს, ამიტომაც ამ ნიგნში ტრადიციული ლექსების გვერდით იაპონურ ტანკას მსგავს სტროფებსაც წაანყდებით: „რა შორს წავსულვართ... დავბრუნდებოდით უკან, მაგრამ უკანდასახევე გზას ვინ იპოვის?“ ან „როგორც კრაზანა, გარეული ფუტკრებში იჭვი ამაოდ ბზუის ახლა ჩემი იმედის სკაში“.

დასასრულ ისევ იმას მინდა დავუბრუნდე, რითაც დავინყე ეს წერილი. მორის ფოცხიშვილის ამ ახალი კრებულის სწრაფად ჩამთავრება და ჩამღერება არ ხერხდება. იგი ნელ-ნელა, დიდხანს ჩაფიქრებით წასაკითხი ნიგნია.

„ბოლოს და ბოლოს რაღაც ყველას რჩება უთქმელი“ – ამ სიტყვებით მთავრდება მორის ფოცხიშვილის ახალი ნიგნი. მე დიდხანს გამყვება სულიერ საგზლად და სიამაყედ პოეტის მიერ აქამდე ვაჟკაცურად და ნამუსიანად თქმული და დიდხანს შემიქცევს იმ უთქმელის სასიამოვნო მოლოდინი.

1983 წ.

## 306 არის ჩვენ გვერდით?

საქართველო კარგა ხანია ჩაება მსოფლიოს ცხოვრების ფერხულში, ჩვენ უკვე აღარ ვართ პატარა ეგზოტიკური კუნძული ორი კონტინენტის საზღვარზე. ჩვენს ქვეყანას დრომ უკვე შემოახსნა შუასაუკუნური მყუდროების გალავანი. ტურისტებისთვის „აღმოსაჩენი“ სოფელი საქართველოში უკვე აღარ დარჩა. ათასი საქმიანი თუ უსაქმო, კეთილი და მავნე სტუმარი თელავს დღეს „კაუკასიის მარ-

გალიტის“ გზებსა და ბილიკებს. თავი რომ დავანებოთ ჩვენი დროის სასწაულს – ტელევიზიას, ჯადოსნურ სარკესავით რომ გაგვინათებს დედამიწის ნებისმიერ კუთხე-კუნჭულს, თვით ქართველმაც კარგა ხანია თამამად გააბიჯა მსოფლიოს გზებზე, ქართველ მოცეკვავეებს მადაგასკარზეც უცქერენ, ქართულ დრამატულ თეატრს ლონდონში ტაშს უკრავენ, ქართველ მწერალს მსოფლიო კითხულობს და კულტურის ამ მასშტაბურ ექსპორტს რომ თავი დავანებოთ, არასოდეს არ ყოფილა მსოფლიო ასე სტუმარ-მასპინძლური. მწყემსიც იშვიათია ახლა ჩვენში საზღვარგარეთის ერთ რომელიმე ქვეყანაში მაინც არ ყოფილიყო. თანამედროვე ცხოვრების წესმა ახალი საზრუნავი გაგვიჩინა, ზოგი მოძველებული წეს-ჩვეულებისთვის ახალი თვალთ შეგვახედა, ზოგიც სხვისი – მოსაწონი და მისაღები, გაგვითავისა.

ქართველი კაცი ყოველთვის ცდილობდა მისი დროის მსოფლიო ცივილიზაციისთვის ფეხი აეწყო. არასოდეს ვგავდით ჩვენ იმ ჯიუტ, ტუჩებმოკუმულ ბედუინებს თავიანთი ნაციონალურ-რელიგიური რიტუალის შესასრულებლად ნებისმიერ კულტურულ აღლუმს რომ შესწყვეტენ და მინის სასახლეთა ლაქიან პარკეტზე პირქვე დაემხოებიან. ქართველი კაცი მოდას ყოველთვის აჰყვებოდა. უცხოურ ტალავარსაც ლაზათიანად მოირგებდა ბეჭებზე, არც პროვინციული დაჟინებულობით ეჩრებოდა თვალში ვინმეს, მაგრამ რაკი ჩვენ არასოდეს გვიცხოვრია ცივილიზაციის გამჭოლ ქართა ამგვარ ღია კარებში, ბუნებრივია, რომ უკანასკნელმა საუკუნემ ბევრი რამ ახლებურად დაგვანახვა. როცა ჩავიხედეთ ქართველის ეთნოგრაფიულ-ზნეობრივი ცხოვრების ძველთაძველ სკივრში, გაირკვა, რომ უამრავი სხვა ხალხისგან განსხვავებით, ეპოქის კულტურულმა ყოფამ ბევრი მისი ადათი იუმორის საგნად რომ აქცია, ჩვენს ტრადიციებში მოძველებული და მოსაკვეთი უმნიშვნელოდ ცოტა რამ აღმოგვაჩნდა. საუკუნეების განმავლობაში კეთილი ნების ხალხთა უანგარო ცხოვრებით გვიცხოვრია და ჩვენი ეროვნული თვისებები – მამულისადმი დამოკიდებულება, სტუმარ-მასპინძლობის წესი, ოჯახისადმი დამოკიდებულების ანი და ჰოე, თამადობის ინსტიტუტი, ქალის სიყვარული, ძმადნაფიცობა, მეგობრობა, საქორწილო რიტუალი და ბევრი სხვა რამ დროთა განმავლობაში კი არ ბერდება, მეტ ფასს იძენს და აღტაცებისა და მიბაძვის სხივად ინთება მსოფლიოს ცივილიზებული მოქალაქის თვალში.

მართალია ბრძნული ხალხური ლექსი გვასწავლის: კარგი ვარ, იმას ნუ იტყვი, თავს ნუ დაუნყებ ქებასა, კარგი ჩვენც მოგვეწონება, ცუდი

არც თავის დედასაო, მაგრამ აკაკისა არ იყოს, ისტორიული სიმართლე მალაპარაკებს და არა შიშველი პატრიოტიზმი, როცა ვლაპარაკობ ქართველი კაცის ეროვნული სიამაყის ათასი მიზეზის შესახებ. ამ მიზეზთა ერთი ნაწილი დღეს სტატიკურ რელიკვიად ქცეულა (სვეტიცხოველი, ოპიზართა ნახევარი...), მეორე ნაწილი მხატვრული სიტყვის უკვდავ გვირგვინადაა შეკრული. მხედველობაში მაქვს „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა უკვდავი ლიტერატურული ქმნილება. მართალია, ჰქუხს ქართული სპორტის სახელი, მართალია მსოფლიოს სწავლულთა აზრი ფრიად აფასებს ჩვენი მეცნიერების მიღწევებს და თვალუწვდენელი საბჭოთა ქვეყანა მოწონების ხელს ურტყამს ბეჭზე ჩვენებურ მეჩაიესა და მევენახეს, მაგრამ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ჩვენი უპირველესი თავმოსაწონებელი მაინც ლიტერატურაა. ჩვენი ფოლკლორი, ჩვენი კლასიკური და თანამედროვე მწერლობა. მახსოვს ერთხელ ლექციაზე შალვა ნუცუბიძემ გვითხრა: – ღმერთმა ნუ ქნას, მსოფლიო წარღვნა რომ მოხდეს და ორად ორი ქართველი გადარჩეს, ოქროს გალიას, სადაც ისინი ეყოლებათ საგანგებოდ მოსაშენებლად, ასეთი წარწერა ექნება – „ესენი რუსთაველის ხალხის გადარჩენილი ნაშიერნი არიან“. დიახ, ჩვენი ეროვნული პასპორტი „ვეფხისტყაოსანია“ და ადვილი წარმოსადგენია, რა წელგამართული ივლის ყველა ეპოქის ისტორიულ გზატკეცილებზე ის ერი, რომელმაც შოთა რუსთაველი მისცა მსოფლიოს. ეს ფაქტი გარდა სიამაყისა პასუხისმგებლობასაც დიდს ნიშნავს. „ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ დღეს რანი ხართ, რას წარმოადგენთ?“ ბოდიშმოუხდელად გვკითხავს მსოფლიო, რომელმაც არაერთი მაგალითი იცის ერის ინტელექტუალური დაცლა-გადაგავარებისა, რომელმაც იცის, რომ ჰომეროსის და ფიდიასის ქვეყანას დღეს არა ჰყავს თითქმის არც ერთი მსოფლიო მნიშვნელობის მწერალი ან მოქანდაკე. ერი, რომელიც ამ კითხვას თამამად და საბუთიანად უპასუხებს, სწორედ რომ შეურცხვენელი და სიცოცხლისუნარიანი ერია.

მეოცე საუკუნის მოქალაქე რომ ჯერჯერობით ლიტერატურაში მთელი სიცხადით ვერ დაიხატა, მიზეზი მარტო ჟანრთა ცვალებადობასა და დიდი ტალანტის დაგვიანებაში კი არ უნდა ვეძიოთ, ერთი და უპირველესად საყურადღებო მიზეზი ისიც გახლავთ, რომ ჩვენი თანამედროვე უაღრესად რთული სოციალური ფენომენია და მისი ხასიათის კვლევა თითქმის შეუძლებელია მარტოდმარტო იმ ლიტერატურული ხერხებითა და მეთოდებით, რითაც გასულ საუკუნეთა მწერლები ხელმძღვანელობდნენ.



„ვინ არის ჩვენ გვერდით?“ ეს ეპოქალური კითხვა დროთა განმავლობაში მეტ სიმძაფრესა და მნიშვნელობას იძენს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩვენ გასაოცარი ინტენსივობით ვახდენთ გავლენას ერთმანეთზე. მაგალითის ძალა დღეს არაჩვეულებრივად დიდია. თუ ადრეულ საუკუნეებში კაცი ისე დაბერდებოდა თავის საგულდაგულოდ შემოლობილ ეზო-ყურეში, რომ იშვიათზე იშვიათად თუ გაიჭრიალებდა მისი მამაპაპური ჭიშკარი უცხოეთიდან მოსული რომელიმე არქანჯელო ლამბერტის ან დიუმასათვის, დღეს ხელისგულივით ნათელი და მისანვდომია დედამიწა ყველასათვის და მეორეც, ადამიანები ერთმანეთის ბედზე რაკი ვაგებთ პასუხს, ჩვენ გვერდით მყოფთა ცხოვრებას ისე მტკივნეულად განვიცდით, როგორც არასოდეს.

ამას წინათ ტელევიზიით უჩვენეს ახალგაზრდა კინორეჟისორის გენო ჩირაძის მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორმო“. ფილმის სიუჟეტი მარტივია, მაგრამ უაღრესად შთამბეჭდავი და, რაც მთავარია, რეჟისორმა კარგად დაინახა ჩვენი ეპოქის დამახასიათებელი ერთი შტრიხი – ძნელია ახლა შენთვის, მყუდროდ ცხოვრობდე. ერთმა კაცმა თავის ეზოში ბარს დაჰკრა თუ არა ფეხი, მაშინვე იქცა კარის მეზობლის ინტერესის საგნად. რას აკეთებო, ჰკითხა მეზობელმა. ორმოს ვთხრიო, მიუგო კაცმა და შეკითხვაზე, თუ რატომ თხრიო, ორმოს მთხრელმა, – ისე, უბრალოდ რომ უპასუხა, მეზობლის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, რადგანაც, როგორც მან აღნიშნა: – „უბრალოდ არაფერი არ ხდება“. მეზობლის გადამეტებული ცნობისმოყვარეობით გაღიზიანებულმა კაცმა მეტი გულმოდგინებით განაგრძო ორმოს თხრა და საქმე იმით დამთავრდა, რომ მეორე დღეს თითქმის მთელი ქალაქი – მილიცია, სანებიდსადგურის წარმომადგენელი, აღმასკომის ინსტრუქტორი, სახანძრო სამსახურის მუშაკი, გაზეთის კორესპონდენტი და კიდევ რამდენიმე უწყების წარმომადგენელი თავაულებლივ მომუშავე ამ პატიოსანი კაცის ჭიშკართან იდგა და მისი იდუმალი ორმოს დანიშნულების მიზეზებს ირკვევდა. „რა ხდება, რატომ აღარ შეიძლება კაცმა შენივე შრომით შენს ეზოში პატარა ორმო ამოთხარო, თუნდაც სრულიად უმიზეზოდ, დროის გასაყვანად?“ ეკითხებიან მაყურებელს ფილმის ავტორები. და მე დიდხანს ვფიქრობდი ჩვენი განზოგადებული ცხოვრების იმ ერთ უხერხულობაზე, გენო ჩირაძეს ასე ლირიულად და მართლად რომ დაუნახავს.

მიუხედავად იმისა, რომ დღიდან ცივილიზაციის აკვნის დარწმუნებას პროგრესული აზრი ადამიანთა შორის პატიოსნებასა და

სათნოებას ქადაგებს, მიუხედავად იმისა, რომ კეთილი ნების ფილოსოფოსთა წიგნებში ლამაზი სიტყვებითაა ჩანერილი ადამიანის იდეალური ზნეობრივი ნორმები და მიუხედავად იმისა, რომ უკვე საუკუნეა რაც ხელთა გვაქვს ადამიანის შინაგანი თავისუფლებისა და ჭეშმარიტების წვდომის უზუსტესი მეცნიერება – მარქსიზმი, მეოცე საუკუნის ადამიანი სრულყოფილებისგან ჯერ კიდევ შორს დგას. პიროვნების შემსწავლელ მეცნიერებს პასუხი ბევრი რამისთვის ვერ გაუციათ დღემდე. განა გასაოცარი არ არის, იცოდეთ ჰიტლერული კანიზალიზმის მაგალითი და მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში კამპუჩიაში დაამუშაო ადამიანთა გაჟლეტის იმგვარი მანქანა, დღეში ნახევარმილიონ კაცს რომ გაისტუმრებს იმქვეყნად, ერთი მხრივ სულის განწმენდაზე ილოცო და ლოცვას რომ დაამთავრებ, ჩასჭიდო ხელი საელჩოს თანამშრომელთა შვილ-რძალთა და შუასაუკუნური მძევლობის მოსანყენი თამაში შესთავაზო მსოფლიოს. კლასიკური დემოკრატიის პრეტენზია გქონდეს და დღისით-მზისით მგზავრებით გაჭედო თვითმფრინავში უდანაშაულო მსახიობ ქალს ქიჩავი დაუნყო, ან ჩემს პოზიციაზე დადექი, ან არადა თვითმფრინავის მომსახურებაზე უარს ვამბობო. პარადოქსებითაა მსოფლიო სავსე დღესაც, შენუხებულთა სოციოლოგის გონება იმაზე ფიქრით, თუ რატომ ხდება, რომ ბუნებაზე გამარჯვებული, გულის გადამწერგავი და მთვარის დამყრობი მეოცე საუკუნის მოქალაქე ხშირად ანგარებისა და ქვენა გრძნობების მონად იქცევა.

დედამიწის ერთ მეექვსედზე კარგა ხანია ჩვენ ახლებური ცხოვრების წესი დავამკვიდრეთ და უკვე თამამად ვლაპარაკობთ საბჭოთა ადამიანის მაღალ მორალურ-ზნეობრივ ღირსებებზე, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობს, ისინი ვინც ავრორას გემბანიდან ზარბაზნის ცეცხლს უშენდნენ დახავსებულ იმპერიას, ან სმოლნის ტალანებს იცავდნენ შაშხანით ხელში, ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ გავიდოდა სამოცი წელი და აშენებული სოციალიზმის ვითარებაში ადამიანები სინანულით ილაპარაკებდნენ მექრთამეობის ზრდაზე, მომხვეჭელობის გამოცოცხლებაზე, კერძომესაკუთრული ტენდენციების გაძლიერებაზე.

სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ფაქტია და ჩვენი ერთი ძვირფასი თვისება ისიც გახლავთ, რომ ფაქტების შელამაზება და მიჩუმათება არ გვიყვარს. ყოველდღე მოაქვთ გაზეთებს ჩვენამდე გამომძალველთა, მექრთამე მილიციელთა და ზნეობის უზნეო დამცველთა მახეში გაბმის ცნობები. დანაშაულთა მრუდე ქარავანს ხანდახან ჩვენი

ყურისთვის ისეთი საშინელი სიახლეც მოჰყვება, როგორც გახლავთ ნარკომანია, ან კიდევ უარესი, – ბავშვების მოტაცება. რატომ მოხდა ასე? ისტორიის ჩარხი, რა თქმა უნდა, უკუღმა არ დატრიალებულა, მაგრამ ჩვენ გვერდით მცხოვრებთა ბევრი ყოფით-ზნეობრივი უკუღმართობა არ შეიძლება ერთი რესპუბლიკის ან ქალაქის ლოკალურ მოვლენათა რიგში განვიხილოთ. გაუგონარი და წარმოუდგენელი არავის არაფერი სჭირს. მეოცე საუკუნემ თავისი პოლიტიკურ-გეოგრაფიული და სოციალურ-ზნეობრივი პარადოქსებით მოახდინა გავლენა ამ საუკუნის მსოფლიო მოქალაქის სულზე. როგორც მოგახსენეთ, შუასაუკუნური კარჩაკეტილობის დრო წავიდა და ჩვენი ბედი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. დღევანდელი მსოფლიოს სამი უმთავრესი პრობლემა – ენერგეტიკული კრიზისი, გარემოს გაჭუჭყიანება და სურსათით მომარაგების პრობლემა მეტნაკლები სიმწვავით თითქმის ყველა სახელმწიფოს წინაშე დგას. გარდა ამისა ურბანიზმი, რწმენის მერყეობის პრობლემა, შიშის ფსიქოზი ახალი ატომური ომისა, რომელსაც დედამიწაზე სიცოცხლის შეწყვეტა შეიძლება მოჰყვეს, ზოგიერთი ფილოსოფიურ-ეთნოგრაფიული შეხედულებების გადახალისება, იშვიათი, მაგრამ მაინც შესამჩნევი დაშორება სიტყვასა და საქმეს შორის თანამედროვე მსოფლიოს ეს გლობალურ-მოდური პრობლემები, გვინდა თუ არ გვინდა, ჩვენს სულზეც თავის ანაბეჭდს სტოვებს და მეოცე საუკუნის ადამიანს სწორედ ისეთად აქცევს, როგორც არის იგი. ამიტომაც უწოდებენ ჩვენს საუკუნეს გარდამავალ საუკუნეს, ამიტომ არის ჩვენი თანამედროვე თავისი თავისა და საზოგადოების განვითარების მდგრადი კანონების მარად მტკივნეულ ძიებაში.

ანტიკური სიბრძნე – „მითხარი ვისთან მეგობრობ და გეტყვი ვინა ხარ შენ“ როგორც არასდროს დღეს მეტ სიცხადესა და გარკვეულობას იძენს. ფილოსოფოსის ნათქვამი, როგორ საზოგადოებაშიც ცხოვრობ, სწორედ იმ საზოგადოების ღირსი ხარო, საზოგადოების წევრის აქტიურობასაც გულისხმობს ქვეცნობიერად. ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ შენ, პიროვნებამ უნდა შეძლო სასიკეთოდ მოაქციო მარტო შენი თავი კი არა, შენს ირგვლივ მყოფნიც. მიმოვიხედოთ ირგვლივ და გამოტყუილად ვთქვათ, რა ცოტაა ჩვენში სხვათა ბედით აქტიურად დაინტერესებული და რა ბევრია „სხვისი ჭირი ღობის ჩხირის“ არხეინ თეორიაზე მდგომი. პასიური პატიოსნება, რა თქმა უნდა, თავისთავად პატიოსნებაა, მაგრამ საზოგადოების განვითარებაზე ძალიან სუსტ გავლენას ახდენს.

ვინ არიან ჩვენ გვერდით? რასაკვირველია თანდათან უფრო და უფრო ძნელი ხდება აბსოლუტურად პატიოსანი და აბსოლუტურად უპატიოსნო კაცის პოვნა. მათ შორის სადემარკაციო ხაზის გავლება, მაგრამ ჩვენს ცხოვრებას, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ისინი ალამაზებენ, ვისაც შეუგნია მამულისა და ხალხის წინაშე თავისი ღვთიური ვალი, ვისაც პირადულზე მაღლა საზოგადოებრივი საქმე დაუყენებია და ერის მოჭირნახულის მანტია უმშვენებს მხრებს.

ცხოვრობს ქუთაისში ოთხმოცდაათს გადაცილებული პეტრე ჭაბუკიანი. ამ ანგელოზის სულის მქონე კაცმა მთელი ცხოვრება შესწირა იმას, რომ ბაგრატი, ქალაქის შემოგარენში მწვანე ტყე შრიალებდეს და ვერავინ ხელჰყოს კირქვაზე მილიონი წლის წინათ აღბეჭდილი დინოზავრის ნაკვალევი. არავინ დაარღვიოს სათაფლის მღვიმის ათასწლოვანი მყუდროება და თოფიანი კაცის უხეში ხელი არ შეეხოს ნაკრძალში მოკუნტრუშე შევლებსა და ნიამორებს. განა ეს თავდადება არ არის? განა ეს უკვდავი მაგალითი არ არის იმისათვის, ვინც ჩვენ შემდეგ მოვა?

გეგეჭკორში მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ნიადაგ დაფათურობს ერთი თმაჭალარა, კაფანდარა კაცი, როგორც მეფსალმუნე ბერი ტაძარში. მისი სახელია გივი ელიავა. ამ კაცმა შეუძლებელი შეძლო. ლამის საზოგადოებრივ საწყისებზე, შიშველი ენთუზიაზმით შექმნა რესპუბლიკის ეს ერთ-ერთი უმდიდრესი მუზეუმი. მინის ხუფის ქვეშ მოათავსა დასაკარგავად განწირული მრავალი ნაშთი ჩვენი ძველი დიდებისა. მკვდრეთით აღადგინა მარტვილის ტაძარი და შექმნა სამეგრელოს ტოპონიმიკის უაღრესად პანორამული ნაშრომი. ერთი ჩია კაცისთვის განა ეს ტიტანის საქმე არ არის? განა წმინდა მონამის ღვანლს არ უდრის გივი ელიავას ღვანლი ხვალინდელი საქართველოს წინაშე?

საქართველოს რომელ კუთხეში არ შეხვდებით ნიკო კეცხოველს თავისი ძველთაძველი ფოტოაპარატითა და განუყრელი წერაქვით ხელში. გარეჯის უდაბნოში თუ დარიალის ვიწროებში, მესხეთის ქედებზე თუ ზეკარის გადასასვლელზე მის გოლიათურ ნაბიჯებს ქარი და ხორშაკი ვერ ანელებს, მის არწივულ მზერას წელთასვლა ვერა ღლის. რა ხდება საქართველოს თავზე, რა უჭირს ჩვენს ფლორასა და ფაუნას? მარტო ბუნების ქომაგი კი არ არის, სოფლის მუშაკთა ბრძენი და ჭკვიანი მრჩეველიცაა. შეკრებს კოლმეურნეებს და საქმიან თათბირს გაუბამს: სად რა კულტურა უკეთ იხარებს, სად რა ნერგი ჩაყარონ. ვაზის რა ჯიშები ხარობდა უძველეს საქა-

რთველოში და იმათგან რომელია გახსენებისა და კვლავ მოშენების ღირსი. თოხზე დაყრდნობილი მდუმარედ და ყურადღებით უსმენენ აკადემიკოსს. იციან, იგი ზედმეტ სიტყვას არ იტყვის, მისი თათბირი საქართველოსთვის საჭირო თათბირია. ბუნების მისწობა, მინდიაობა ერთია და ნიკო კეცხოველი ჩვენი ენათმეცნიერებისა და ეთნოგრაფების საქმესაც აკეთებს. ხავსმოკიდებულ ზოგიერთ სიტყვას ახალ სიცოცხლეს ანიჭებს, უსამართლოდ მივინყებულ ადათს თუ რიტუალს დროის მტვერს შემოაცლის და ახლებურად ააელვარებს. ასე უვლის თავის ქვეყანას ნიკო კეცხოველი.

ჩვენი ერის განმაკეთილშობილებელ მოღვაწეთა ჩამოთვლა შორს ნაგვიყვანდა. რა ადვილია მათ ახლოს ცხოვრება. რა იმედის შუქით გავსებს და სასიკეთოდ აღგანთებს კაცს იმ პიროვნებათა ნათელი სახე, ქვეყანას ბურჯებად რომ შედგომიან, პატრუქივით რომ იწვიან ხვალინდელი, უკეთესი საქართველოსთვის.

ლაქები მზესაც აქვსო, მაგრამ რალაც საეჭვოდ დიდხანს შემორჩნენ ჩვენს საზოგადოებას ისინი, ვინც სვრის მარტო იმ ერის სახელს კი არა, ვის შვილადაც დაბადა ბუნებამ, ჩირქსა სცხებს ვაჟ-კაცობისა და პატიოსნების ტიტულს საერთოდ და თავისი, რატომ-ღაც დაუსჯელი, აკვაცობით გუნებას უფუჭებს ირგვლივ მყოფთ. შემოგვრჩა-მეთქი ზემოთ მოგახსენებთ, მაგრამ ეს სიტყვა მთლად ზუსტად როდი გამოხატავს მოვლენას. ბევრი მათგანი კი არ შემოგვრჩა, ჩვენსავე ნიაღში დაიბადა და სანუხარი ის არის, რომ მის გაჩენასა და ავაზაკად ჩამოყალიბებას აქა-იქ საკმაოდ მყარი ნიადაგი დახვდა. მაინც რა არის მიზეზი? ჩვენი საზოგადოების განვითარების ამ ეტაპზე უპირატესად იმაზე უნდა გვეზრუნა, როგორ აღმოგვეჩინა და აღგვეზარდა ჩვენს თავში რაფაელი და, სინამდვილეში კი არნახულ დროსა და ენერგიას ვხარჯავთ იმ ე.წ. საზოგადოებრივ ცულლუტობათა, მანკიერებათა აღმოსაფხვრელად, გულისმომცველად რომ მრავლდება და იფოთლება დღესაც. საერთოდ დამნაშავეთა გამრავლებას ეკონომისტ-პოლიტიკოსები ორი მიზეზით ხსნიან: ქვეყნის ეკონომიური დონის დაქვეითებით და მასათა შეგნებულობის დაცემით. ხოლო ამ უკანასკნელში შედის როგორც იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დაბალი ხარისხი, ისე საზოგადოების ერთი ნაწილის გულის გატეხვა, უპერსპექტივობის შეგნება, მოტყუებული მასის ფსიქოლოგია, პიროვნების თავისუფლების გაუმართლებელი ხელოვნური შეზღუდვა და სხვა. თუ ჩვენს სინამდვილეს ამ მიზეზებს მივუსადაგებთ, ადვილად დავასკვნით,

რომ საზოგადოებრივი ხორცმეტის გაჩენას ჩვენში ნიადაგი არ გააჩნია. განა ზღვაში ნვეთი არ არის ჩვენი მცირე ეკონომიური შეფერხებანი, პირველი ხუთწლედების ქვეყნის ეკონომიურ დონესთან, როცა ადამიანები მართლაც რომ შიშველი ხელებით სჩადიოდნენ გმირობის სასწაულებს? განა ახლა ადამიანთა შეგნების დონე ჩვენს არაანტაგონისტურ საზოგადოებაში საერთოდ გაცილებით უფრო მაღალი არ არის, ვიდრე მაშინ იყო, როცა ათასი ურთიერთგამომრიცხავი შეხედულება და დეკლასირებული ელემენტთა ნიჰილიზმი კიბოსავით დაბობლავდა პირველ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში? პასუხი ამ ურთულეს კითხვაზე უმჯობესია იმათ მივანდოთ, ვინც სპეციალურად იკვლევს საბჭოთა ადამიანის მორალურ სახეს და ჩვენი საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონებს.

ჩვენ გვერდით ვერ კიდევ არიან გობსეკის, მიკირტუმ გასპარიჩ ტრდატოვისა და სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის შთამომავალნი. მომხვეჭელობისა და ქონების დაგროვებისკენ მათი პათოლოგიური სწრაფვა ყოველი პატიოსანი ადამიანის ზიზღს იწვევს. დადიოდა თბილისში კაცი, რომელსაც თავის ახლობელთა და ნათესავთა გვარებზე შემნახველ სალაროში ფულის ნიგნაკების მთელი კარტოთეკა ჰქონდა შინ და ამ უძრავი თანხის დასახარჯავად მისი დაბნელებული გონება ოქროს ჰალსტუხის შეძენაზე შორს ვერ ნავიდა. ერთი დაწესებულების ხელმძღვანელს, რომელსაც სწორედ თანამშრომელთა შორის პატიოსნების განმტკიცება და წესრიგის დაცვა ჰქონდა დავალებული, ეზოში საიმედოდ დამარხული განძის კუბო უპოვეს. სავსე იყო ეს კუბო თვალ-მარგალიტით, ძონეულით, ოქრო-ვერცხლითა და პატიოსანი ქვებით. ცრემლმორეული დასცქეროდა სასამართლოზე ბრალდებული თავახდილ კუბოს თავისი სიმდიდრისას და ის ცრემლი სინანულის ცრემლი კი არ იყო, არამედ წლობით მონაგარი საჭურჭლის ერთბაშად დაკარგვის მწუხარება. საკანცელარიო დაწესებულებაში უმნიშვნელო თანამდებობაზე მუშაობდა ერთი მარტოხელა ქალი, რომელსაც შინ გულმოდგინედ შეკრულ-დაუთავებული ორი მილიონი ედო. რად უნდოდა? რისთვის აგროვა ამ შუახანსგადაცილებულმა, თითქმის დავრდომილმა უთვისტომო ქალმა ეს ამდენი ფული? სულხან-საბას ერთი იგავისა არ იყოს, რა თავში იხლიდა ჩრჩილის შესაჭმელად განწირულ თანხას? ასეთი ადამიანები ყოველთვის ყველა საზოგადოებას ჰყავდა. მათი ავადმყოფური ბუნება და წრეგადასული სიძუნწე ეზოპესა და არისტოფანეს დროიდანვე გახდა დაცინვისა და გაკიცხვის საგანი.

ჩვენი საზოგადოების ჯანსაღ ლაშქარს სხვაგვარი ჯურის კაცუნებიც მიეტმასნენ. ისინი საიმედოდ ინიღბებიან და ამგვარ „პიროვნებათა“ შემჩნევა-გამოვლინება ოქროს ჰალსტუხიანებთან შედარებით გაცილებით უფრო ძნელია.

ჩვენი ბრძოლის მთავარ სამიზნეს სწორედ ისინი, ეს ახალი ჯურის ხორცმეტები უნდა წარმოადგენდნენ. თანამედროვე ქაშაღონებს და ცხვრის ქურქში გახვეულ მგლებს თქვენც არაერთხელ ნაწყდომიხართ და ხშირად გვერდიც კი აგივლიათ, განზე გაგიხედავთ, იმიტომ კი არა, რომ მისი სივერაგე ძნელსაცნობი იყო, უფრო იმიტომ, რომ მისი ულტრათანამედროვე ნიღაბი და მოდური ავაზაკის დახვეწილი მანერები ისე საიმედოდ ფარავდნენ მის ავკაცობას, რომ თქვენვე შეშინდით, ვაითუ არ დამიჯერონო.

ვითარებასთან „შეგუებული“ ზოგი დღევანდელი კარიერისტ-კომბინატორი ოსტაპ ბენდერს და კვაჭი კვაჭანტირაძეს მოწაფედაც არ აიყვანდა. არაჩვეულებრივ გამომგონებლობას იჩენს იგი თავისი ბნელი ზრახვების მისაჩქმალავად.

თვითონ იატაკქვეშა მილიონერი, თაღლითი და გაიძვერა, ტრიბუნისაკენ მიძვრება და გულზე ხელის ბრაგუნით პატიოსნებაზე და სინდისზე ლაპარაკობს. ნიანგის ცრემლით ევსება თვალი, როცა სახელმწიფო ქონების დატაცებაზე ჩამოვარდება სიტყვა, აღშფოთებას ვერ მალავს, როცა ოცი კაპიკის მოპარვისათვის მოლარეს ან გამყიდველს სამართალში მისცემენ. „როგორ? საქვეყნოდ გაჰყვირის – ასეთი კაცი ჩვენ შორის როგორ დადიოდაო, ხელს როგორ ვართმევდითო, სალამს როგორ ვაძლევდით, როგორ ვერ შევამჩნიეთო“. იგი თავისი ხელშეშლილი მეგობრის ცხედარსაც სიამოვნებით გადააბიჯებს, რათა პატიოსანი კაცის ილუზია შექმნას და სიმართლის მაძიებელთა თვალი სხვაგან გაიტყუოს.

მოგეხსენებათ, რა ძნელია ადამიანების ფსიქიკის ურთულეს ნიუანსებში შეუმცდარი ორიენტირება. კაცის ჭეშმარიტი ცნობისათვის ერთი ფუთი მარლისი შეჭმის ანდაზა საფუძველმოკლებული როდი გახლავთ და ამგვარი, ახალი ტიპის თვალთმაქცები ზოგჯერ ახერხებენ კიდევ ზედმეტად მიმდობთა თვალში „ყოჩაღი ბიჭის“ სახელი დაიდგონ. მლიქვნელობით, მოძმეთა ძირის გამოთხრით, გულისამრევი თვალში ყურებითა და ხელფეხის მლოკველ ფინიასავით ნიადაგ ოთხზე დგომით ისინი იშვიათად თანამდებობის მიღებასაც კი აღწევენ, არა, ისე სულწასულნი როდი გახლავან, რომ მეორე დღესვე ფართო ჯიბე დაიკერონ და მოსახვეჭლად გაშალონ ხელე-

ბი. ჯერ ავტორიტეტი უნდა მოიხვეჭონ. იციან, რომ ახალ ცოცხს კედლებიც უსმენენ და კანში ძვრებიან, რომ ხელმძღვანელთა „ნდობა გაამართლონ“. გაივლის ცოტა ხანი და წამით მოაშორებენ რა ობიექტურ მზერას, ისე ღონივრად მიითვლიან თავისკენ, რომ მათი უნაპირო მადისა, თვით სამძებრო ორგანოებსაც უკვიროთ.

უნდა განახათ რა „ენერგიული ადამიანები“ არიან ეს ყოჩაღი ბიჭები ყურში ხელის ჩავლებაზე, რა „მკაცრი და შეუვალი“ ხელმძღვანელები გახლავან, დამსმენთა და ენატანიათა სათარემოდ აქცევენ მათდამი დაქვემდებარებულ დანესებულებას, რადგანაც უსათუოდ უნდა იცოდნენ, რას ფიქრობენ მათზე. დირექციის სხდომებზე საქმის კეთების ნაცვლად არის გაუთავებელი „პირში წაყენებანი“ და ახალი უფროსის იგნორირებისათვის დასჯა-გასამართლება, მაგიდაზე თითების ბრახუნითა და თმების წენვით გაჰყვირის ეს უსირცხვილო კარიერისტი სხვების უპირობაზე და სინდისის დაკარგვაზე, თავის „უანგარო“ თავს წამდაუნუმ ამადლის თავის თანამშრომლებს და ანგელოზის გრიმნასმული ნაძირალა პატიოსანი ადამიანებს ნერვებს უშლის. მისი მოჩვენებითი სიმკაცრე საღიზმის იერს ატარებს, ხშირად უსაქმობისაგან ამთქნარებს კაბინეტში და გაუთავებელი ლოდინით თავმობეზრებულ მთხოვნელებს საგულდაგულოდ ემალება. უფროსს არ სცალიაო, წამდაუნუმ გაიძახის საგანგებოდ განვრთნილი მდივანი გოგონა. უხარია ამგვარ ვაი-უფროსს, რომ მის კართან გროვდებიან. სიამოვნებას ჰგვრის ისიც კი, რომ „დაუბატიჟებელი სტუმარი“ ლოდინით დასაჯა. დამიხედეთ, რა დიდი კაცი გახდა. უიმისოდ ვერ ძლებენ. ყველანი მას ანუხებენ და ელოდებიან. გულუბრყვილო მსმენელს შენუხებული სახით ჩამოუგდებს სიტყვას იმაზე, რომ ამ დანესებულებაში ყველაფერი მისი გასაკეთებელია. რომ უინიციატივო და უუნარო თანამშრომლები ჰყავს და ექსპლოატაციას უწევენ; რომ ძალიან იღლება და სიამოვნებით დაუთმობდა სხვას თავის საუფროსო სავარძელს. არ დაიჯერებთ და რკინის კაცად, ამ საქმისათვის დაბადებულ პიროვნებად იქცევა, როცა განთავისუფლებას დაუპირებენ, ფეხებში ჩაუვარდება ყველას – დამტოვეთო, თუ შემოთავაზებული თანამდებობა მის კარიერისტულ მიზნებს არ ეთანხმება.

პატიოსნად მუშაობით მის მიერვე დადგენილ ვადაში გააკეთებს ცოტას რასმე ახალი ტიპის არამზადა და მერე, დარჩენილ დროს იმას ანდომებს, ზემდგომ ორგანოებს ბუზი სპილოდ როგორ მოაჩვენოს. „მე... მე... მე დამასახელეთ, მე ამირჩიეთ... მე წარმადგინეთ“ – ყოველგვარი კაცურკაცობის გარეშე ამ სიტყვებით ივსება მისი

ლექსიკონი. თვითონ დაარბენინებს რედაქციებში თავის ფოტოსურათებს და მის ტალანტზე დანერგულ პანეგირიკულ წერილებს. თვითონვე აგვარებს ინტერვიუებს და „კეთილ ძიებს“ თავს აბეზრებს პრემიებისა და ნახალისების ფურცლების უსირცხვილო თხოვნით.

ასეთია იგი, ჩვენ შორის გაჩენილი ახალი ტიპის გარეწარი. მისი ბინძური სულის გასამზებურებლად, მისი მზაკვრული სახიდან სათნოებისა და სიკეთის ნიღბის ჩამოსაგლეჯად ყველანი უნდა დავირაზმოთ. შევატყობთ თუ არა, რომ მავანი კაცი ჩვენს ნისქვილზე არ ასხამს წყალს, ჩვენთან გული არ უდგება, თანამდებობას, რომელიც დღეს უჭირავს, უცქერის როგორც კლოუნის ბადეს წამით სულის მოსათქმელად და მალლა ასახტომად, თვალთმაქცურად ატყუებს ირგვლივ მყოფთ და თვალში ნაცარს აყრის, ნუ დაველოდებით იმ დროს, როცა მისი „დაცურების“ ზარს ზემოდან დარეკავენ, ჩვენ თვითონვე ვამხილოთ, თვითონვე მოვიკვეთოთ.

კრიმინალურ დამნაშავეებზე უფრო მე იმისი სიჩუმე მანუხებს, ვისგანაც უპრიანია მხილება და ხშირად ჩრდილში მიმჯდარი შესცქერის, რომ მუხრან მაჭავარიანისა არ იყოს: „ტრიბუნაზე მატრახაზი ადის...“ დაილაღა იგი. არაერთი მაგალითი იცი იმისა, თუ როგორ დაუბრუნდა უკან ქარის მიმართულებით ნასროლი ფინალი, არაერთხელ აუნიეს ყური გულწრფელობისათვის, ჯერ საკრიტიკოდ შეაგულიანეს და მერე იმასვე ჩაუგდეს მისი ბედი განსახილველად, ვისაც აკრიტიკებდა. და ბოლოს, როგორც იქნა, მოძებნა მან ოქროს ზომიერება. წონასწორობის ბარომეტრი ერთ სიმაღლეზე გაყინა, ხელი ჩაიქნია და გაჩუმდა. „რა ჩემი საქმეა... მაინც არაფერი შეიცვლება... ასე იყო და ასე იქნება... სულერთია მაინც ვერ გამიგებენო...“ ხშირად გაიგონებთ ხელჩაქნეულთა ბაგეთაგან და რომ იცოდეთ, როგორი გადამდებია განზე გამდგარის მშვიდი პოზა, რა უბადრუკი მაგალითია იმისათვის, ვინც იმედითა და ჭიდილის სურვილით მოსულა ცხოვრებაში.

დავუბრუნოთ გულგატეხილთ რწმენა, გამოვიხმოთ ისინი სიმარტოვის მყუდრო მღვიმეებიდან და, რაც შეიძლება ხმამაღლა ვუთხრათ:

– თუ ბრძოლაა, ბრძოლა იყოს. ჩვენი მომავალი ჩვენსავე ხელთაა.

1981 წ.

## მამულიშვილის მგზნებარებით

რევან ჯაფარიძეს სამოცი შეუსრულდა-მეთქი, ამას წინათ ერთ შეკრებაზე რომ ვთქვი, ჩემმა მეზობელმა, რომელსაც „მძიმე ჯვრის“ ავტორი პირადად არასოდეს უნახავს, გაიკვირვა – მეტის მეგონაო.

ახლა, როცა ლამის მოდად იქცა საიუბილეო წერილებში ასეთი ფრაზები – „ჯიუტი მეტრიკა რომ არა, ვინ დაიჯერებდა, რომ იგი სამოცი წლისაა“ – გულის სიღრმეში მესიამოვნა კიდევ ჩემი მეზობლის განცხადება – მეტის მეგონაო.

ეს იმას ნიშნავს, რომ რევან ჯაფარიძის სახელმა კარგა ხანია, შეიძინა დამდგარი, დადუღებული, ბრძენი მწერლის წონა და ფასი.

ეს იმას ნიშნავს, რომ რევან ჯაფარიძე დიდი ხანია, ესაუბრება თავის ქვეყანას ჭირისუფლის და კეთილი მრჩევლის სასურველ ენაზე და მის ნაღვანს აღარ სჭირდება საშელავათო ახალგაზრდულობა, მიუხედავად იმისა, რომ სულ ოთხი-ხუთი წელია განსხვავება „ჯარისკაცის ქერივის“ ავტორის ასაკსა და იმ თაობას შორის, ჯერ კიდევ გუშინ ახალგაზრდებს რომ ვეძახდით.

ომის ხანძრიანი გზებიდან მოვიდა ქართულ მწერლობაში რევან ჯაფარიძე. მოვიდა ცხოვრებანახი, ჭირგამოვლილი და, დენტის სუნთან ერთად, თან მოჰყვა გასაოცარი შინაგანი თვითდისციპლინა, რომლის გარეშე პროფესიონალი – მწერალი წარმოუდგენელია.

განსაკუთრებით რა თვისებებს ვაფასებ მისი, როგორც შემოქმედის და პიროვნების ხასიათში? ობიექტურობას, პრინციპულობას და თანმიმდევრულობას. რევან ჯაფარიძე არავის უნახავს გარემოების გამო გადრეკილი, სკამებსამოფარებული, ლერწამივით მონანავე ამ წუთისოფლის მაცდურ ქარბორიაში. იგი იმთავითვე მარტო მიაღწევს, თვის სათქმელს უშიშრად ამბობს და, რასაც იტყვის, კონიუნქტურის საკმაზით კი არ ალამაზებს, პირდაპირ სჭრის, რაკილა სინდისის გამძლე ქურაში გამოუტარებია.

„მოსამართლე, მოსარჩლე“ – ეს ორი სიტყვა, ჩემი ფიქრით, ზუსტად ახასიათებს რევან ჯაფარიძის პოზიციას. იცის ჩვენმა მკითხველმა მისი აწონილი სიტყვის ფასი. იცის, რა შეუვალობით აფასებს ხოლმე იგი ჩვენი ყოველდღიურობის ურთულეს მოვლენებს, როგორც ამ თანამედროვეობაში ყელამდე ჩაფლული შემოქმედი და რისხვით აენტება ხოლმე თვალეტი, როცა იშვიათად სამართალი პურის ჭამას დააგვიანებს, ცოდვა-მადლის სასწორი საეჭვოდ იხრება.

არაერთხელ მინახავს რევან ჯაფარიძეს ტრიბუნებიდან მისებური

ყუმბარა რომ უსვრია და ტაშის ქარიშხლისათვის ყური არც კი მიუგ-  
დია, კათედრიდან ჩქარი ნაბიჯით ჩამოსულა და თითქოს არაფერი  
მომხდარაო, ჩქარი ნაბიჯითვე მარტო წასულა შინ.

ხოლო მეორე დღეს მთელს საქართველოში ზარივით დარხეულა:  
რევაზ ჯაფარიძეს ესა და ეს უთქვამსო. ამ ხმას ათასობით სალად  
მოაზროვნე კაცისთვის გული გაუთბია, თავისი საშვილიშვილო ვალი  
მოუგონებია, სასიკეთო საქმეებისთვის შეუგულიანებია.

და მაინც რა არის ის „ჭეშმარიტება“ რევაზ ჯაფარიძე რომ  
დაუცხრომლად ეძიებს? საბოლოო ჯამში იგი პატისოანი მწერლ-  
ის უპირველესი მოვალეობაა – თავისი ერის ქომაგობა, ეროვნული  
ღირსების დაცვა. სამშობლო ქვეყნის უკვდავებისთვის მუხლჩაუხრე-  
ლი მეცადინეობა, მისი ინტერესების სადარაჯოზე თვალმოუხუჭა-  
ვად დგომა.

რომელიმე თავგახურებულმა „მოღვაწემ“ ერის ღირსების შეურა-  
ცხმყოფელი სტრიქონები შემოგვაპარა? ვინ გასცემს პასუხს? – რე-  
ვაზ ჯაფარიძე; ორიგინალობის მოყვარულმა ლიტერატორმა მწერ-  
ალს არამშობლიურ ენაზე წერისკენ მოუწოდა? ვინ გასცემს პასუხს?  
– რევაზ ჯაფარიძე; მშობლიური ენის საყოველთაობას საეჭვო ქა-  
რმა დაჰქროლა? ვინ აღიმართება მრისხანე მუშტად ტრიბუნაზე? –  
რევაზ ჯაფარიძე; ჩვენ კარგა ხანია, შევეჩვიეთ ასეთ სურათებს და,  
სამწუხაროდ, იმასაც შევეჩვიევ, რომ „ვერმიშევის პასუხის“ ავტორი  
ხშირად მხოლოდკაცად დაგვიგდია, ლომის დაღებული ხახისთვის  
თვალი აგვირიდებია – „რევაზ ჯაფარიძე აქ არა გვყავს?“

რევაზ ჯაფარიძისთანა კაცები ერს მიძინების საშუალებას არ  
მისცემენ. დაე, მოუზომავად მიიჩნიონ მავანთ ზოგჯერ მათგან  
შემოკრული ზარი, სამაგიეროდ სწორედ ასეთები არისებენ იმ ზა-  
რებს, ათასი ძაფით ერის გულზე რომ გახლავთ გამობმული.

აკი თვითვე ბრძანა რევაზ ჯაფარიძემ, ამას წინათ ერთ კორე-  
სპონდენტთან საუბარში: „ერს რა სჭირდება? მისი ყოველი ჭეშმა-  
რიტი შვილის სიფხიზლე. სიფხიზლე და კიდევ ერთხელ სიფხიზლე.  
ერს აფრთხილებენ და აფხიზლებენ მხოლოდ ნათელი გონების, გა-  
ნათლებული, გონიერი და უკეთესი მერმისისათვის დაუღალავად  
მოღვაწე მამულიშვილები. ცრუპატრიოტები კი იმავე ერს იავნანას  
უმღერიან და პირში აქებენ, რათა ამით თავიანთი ერთგულება  
დაუმტკიცონ. სამშობლოს, ერს ერთგულების სიტყვიერი დამტკიცე-  
ბა არა სჭირდება. ეს ერთგულება ჩვენს ყოველდღიურ საქმესა და  
საქციელში უნდა ჩანდეს“.

რა არის იგი, ჩვენი იუბილარის მიერ თავისი ქვეყნისათვის საქმით  
დამტკიცებული ერთგულება? – ეს გახლავთ, უპირველეს ყოვლისა,  
ჩვენი წიგნის თაროზე აწ და მარადის დამკვიდრებული ოცი მოზ-  
რდილი ტომი ქართულ კაზმულ სიტყვას რომ შესძინა „მძიმე ჯვრის“  
ავტორმა.

ამ წიგნებში თავის ქვეყანაზე გულატკივებული, მეზრძოლი მწ-  
ერლის ომახიანი ხმა ისმის და თანამედროვეობის სუნთქვა ძალუმად  
იგრძნობა. ის, რაც ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე თავის მკითხვე-  
ლებს უამბო მწერალმა, ერის მატთანის უტყუარი ფურცელია, დრო-  
თა ვითარებაში დაძველებასთან ერთად მეტ ფასს და მნიშვნელობას  
რომ შეიძენს. სხვა არა იყოს რა, ეს თხზულებებიც ბევრ საბუთს  
მისცემენ შთამომავალთ იმის გასაგებად, თუ როგორ ვცხოვრობ-  
დით ჩვენ აქ, მეოცე საუკუნეში.

ამ ბოლო წლებში რევაზ ჯაფარიძემ ისტორიაში გულდაგულ  
ჩაიხედა და მეთვრამეტე საუკუნის საქართველოზე დაწერა დიდე-  
ბული წიგნი, ამას წინათ ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ჯილდოთი –  
რუსთაველის პრემიით დაფასებული.

„მძიმე ჯვარი“ გვასწავლის, რომ ზიზღის ღირსია დაპყრობილი  
ერის შვილი, რომელიც შეგუებია თავის მდგომარეობას და თავი-  
სუფლებისათვის ბრძოლის წყურვილი შუალამისას ლოგინიდან არ  
წამოაგდებს.

„მძიმე ჯვარი“ გვასწავლის, რომ მეფემ, უპირველესად, თავის  
ჩინ-ტემლაკებზე და ტახტის შენარჩუნებაზე კი არ უნდა იფიქროს,  
არამედ ქვეყანას უპატრონოს, დავრდომილი ალაღვინოს, უნუგეშოს  
ნუგეში მოჰფინოს.

„მძიმე ჯვარი“ გვასწავლის, რომ საქართველოს ისტორიული  
სვე-ბედი ერსა და ბერს შორის შეთანხმებულ, ერთიან, სასიკეთო  
მოქმედებაზეა დაყრდნობილი.

„მძიმე ჯვარი“ გვასწავლის, რომ უკვდავია ქართული გენი,  
რომელმაც არნახულ ქარტეხილებს გაუძლო და დღესაც მკვიდრად  
დგას.

რომანის კითხვისას განუწყვეტილ ჩაგესმით ყურში მწუხარე  
რეკვიემი, როგორც ქვეყნის ძნელბედობის სიმბოლური ლაიტმო-  
ტივი. გამარჯვების განწყობილებასაც სევდა ახლავს, რაღაც იდუმ-  
ალი, ენით უთქმელი სევდა, რომელიც გადამდებია და მკითხველს  
დააფიქრებს იმაზე, თუ სად დაუშვით შეცდომა, ისტორიის რომელ  
მოსახვევზე მოვუხუჭეთ თვალი მკაცრ სინამდვილეს.

„მძიმე ჯვარი“ ჩემი ფიქრით, რევაზ ჯაფარიძის მიერ დღემდე შექმნილის გვირგვინია და რა სასიამოვნოა შეგნება იმისა, რომ ეს წიგნი მწერალმა სამოცი წლის პარმალზე შექმნა.

თითქმის არ არსებობს ლიტერატურული ჟანრი, რომლისთვისაც რევაზ ჯაფარიძეს სხვადასხვა დროს არ მიემართოს და, უსაფუძვლო პრეტენზიულობით კი არა, ნიჭის უტყუარი ლოგიკით, არ მოერგოს თავისი ნაფიქრ-ნააზრევისთვის. რომანი, მოთხრობა, მხატვრული ნარკვევი, ესე, ლიტერატურის კრიტიკა, პამფლეტი – ასეთია მისი ნაწარების არასრული ჟანრული მოდელი.

ადამიანის სიყვარული, თანადგომა ყოველი სასიკეთო ნამოწყებისადმი, შეურიგებლობა თვალთმაქცთა და სინამდვილის გამყალბებელთა მიმართ – ასეთია მისი, როგორც შემოქმედის კრედი.

ერის ინტერესები ყველაფერზე მაღლა! – ეს არის მისი, როგორც მამულიშვილის უპირველესი დევიზი.

რევაზ ჯაფარიძე ჯანსაღი სულიერი წრთობის კაცია.

მან უკეთ იცის, წინ შემოქმედებით ძიებათა ძნელი და გრძელი გზაა.

1984 წ.

## დიდი იმედის მატარებელი

ზამთრისპირის მრუმე ქუჩაზე ნელა მიიწევა მაღალი კაცი, საცრისხელა თვალებში უძირო სევდა რომ ჩადგომია. მან სიცოცხლე ძმაკაცებს პეშვი თხილივით ჩამოურიგა და მალე ანძამოტეხილ გემივით დადგება თავის უკანასკნელ ნავსაყუდელში – ოლასკურას სასაფლაოზე. ეს კაცი ზურაბ კუხიანიძის ლექსის ლირიკული გმირი გახლავთ. ოცნების კაცივით პეშვით არიგებს ამ წიგნის ავტორი თავის მკითხველთა შორის იმედს და სიხარულს, სიყვარულს და სევდას.

რა ხდება ამ წიგნში, საით გეპატიჟებათ „ერთტომეულის“ ავტორი?

წარმოიდგინეთ პოეტური ქვეყანა ტყემლის ყვავილებით მოჩითული და დეკორაციასავით მწვანე, რბილი ციაგით განათებული. ფუძე-დუღაბად – დავით აღმაშენებლის საფლავის ქვა, განსაზღვრული ნიშანსვეტად დავით და კონსტანტინეს ძვლები. ქალაქში დიდის ბებერი მევიოლინე და თითქოს საკუთარ პანაშვიდზე უკრავს

ყოფნა-არყოფნის ნაღვლიან რეკ ვიემს, ძველ ბუხრისთავზე შემოდებული ბზის სავარცხელი და სანთელჩამოღვენილი თითბრის შანდალი ილანდება, ლადარში გაყურული ცეცხლი ფაჩუნობს, იქვე ამ ქვეყანასთან უკანასკნელად გასაბმელ ძაფს ართავს ბებია და წუთისოფელივით ნაღმა-უკულმა ბრუნავს ჩერია, წუხს ფარდის ჩრდილში მიმჯდარი თოჯინების თეატრის მსახიობი, რადგანაც მას ვერ ხედავს მადლიერი პატარა მაყურებელი, რიონისპირას, თეთრ ქვებზე ბრონეულის სახრით ხელში გაკნაჭული და დედიშობილა ბიჭი გარბის, შუალამისას ვილაც გულამომჯდარი სიმღერით ჩაივლის და ძილი ტყდება „ღელეში დაგორებულ დოქივით“. ამ ქალაქში დააბიჯებს ძილგამტყდარი პოეტი, დასტირის იგი ტიცვიანის დაკარგულ საფლავს, ისტორიის ტალანებში ფრთხილად მოარულს, მას არა სწამს წვეროსანი ღმერთი, მაგრამ სწამს ბერი თევდორე, სწამს „მღვდელთა ლოცვა-კურთხევა თამარის ლაშქარს რომ მიუძღოდა“, მთაწმინდელების მღვიმე-სენაკთა სანთლის კიანთი და აბო ტფილელის მსუბუქი ფერფლი. იგი მთვარის მიერ მინაზე დახატულ ფოთლის ჩრდილსაც კი ეფერება და ინდუსტრიის ჟღარუნში მანქანის მიერ გატანილ ცხენს ცხარე ცრემლებით დასტირის, და როცა საქვეყნო გულის წუხილი ურვად შემოაწვება, მისი სული ღამეში გარეთ დარჩენილ კვიცივით ჭიხვინებს, უქიმერიონის გამძლე ტრიბუნაზე მთელი ტანით აღიმართება და გულისგამგლეჯი ხმით ყვირის: „რიყზე დაყრილ კალმახებივით ვკვდებით, ბიჭებო!“

კარგა ხანს რანდა და აგვირისტა ზურაბ კუხიანიძემ თავისი პოეტური ქალაქი. ახლახანს ორმოცდაათი წლის პოეტმა თავის ლიტერატურულ საუფლოს ხარაჩოები შემოაცალა, შუბლზე ოფლგადამდინარე მორცხვად განზე გადაა და მაღალი გემოვნების მკითხველი მოკრძალებით მოიხმო. თავს ნებას მივცემ გავაფრთხილო მისი სტუმარი: – ვისაც ბრონეულების ცეცხლი სულს არ უფორიაქებს, ან სიკვდილით დასჯის იარაღთა მდიდარ მუზეუმში თვალზე ცრემლი არ მოადგება, მას ამ წიგნთან არა ესაქმება რა.

მე რომ ვეძებ ლექსის კილოს  
მზისთვის, ცისთვის მისართმევს,  
სადღაც საქართველოშია, ჩიტს ჰკიდია ნისკარტზე,  
მტერს რომ შესძრავს სადღეგრძელო, ძველი, მამაპაპური,  
სადღაც საქართველოშია ჭურის თავზე დაბმული.

ასე ყელამდეა ჩაფლული ამ წიგნის ავტორი თავისი სამშობლოს მზისა და სიტყვის ნიაღში.

ვრცელი და ტევადია ზურაბ კუხიანიძის პოეზიის გეოგრაფიული მასშტაბები, უაღრესად ეპოქალური და პრობლემურია პოეტის საუბარი თანამედროვესთან. წიგნი თქვენთან მოიტანს არა მარტო ბრატსკისა და კამაზის გრდემლთა ცემას და პოზნანელი ქართველი გოგონას ნაღვლიან კდემას, თქვენ მოისმენთ ანატორიის აკლდამებიდან წამომდგარი აჩრდილების ძვლების ჩხარუნთან ერთად დედაენაწარმეული ინდიელის ტრაგიკულ როკვასაც; ამ წიგნის ავტორის პოეტურ გუმანს წვდება მარტინ ლუთერ კინგის ალეგორიული ეპიტაფიაც. „მადლობა ღმერთს, ბოლოს და ბოლოს გავთავისუფლდი“.

ყველა დროის შემოქმედი, უპირველეს ყოვლისა, პოზიციით, მისი დროის სინამდვილესთან დამოკიდებულებით ფასდება. შემტევი და უკომპრომისოა ამ წიგნის ლირიკული გმირი იქ, სადაც ლირიული ხატები საუკუნის მოქალაქის ღალადის უთმობენ ადგილს და სტრიქონს მონოდების ნათელი ადგება.

თუ გააშიშვლე მტრისთვის ხანჯალი  
ნულარ ყოყმანობ გულის ფანცქალით,  
ჩაეც ბოლომდე.

დიდნაბიჯებიანი და დიდჩანთიანი საშუალო ტანის კაცი, დაუცხრომელი და შემართული. საქვეყნო საქმეზე თავგადაამკვდარი. ფუტკარივით სულ მოფუსფუსე. თბილის-ქუთაისის თვითმფრინავის ეკიპაჟი კარგა ხანია შინაურივით ესალმება. დედაქალაქში ნედლ სტრიქონებთან ერთად უმრწემეს პოეტთა მის მიერ დასტამბული წიგნებიც ჩამოაქვს. კაცთა ვალს დიდხანს არ იტოვებს, მაშინვე იხდის წმინდა ოქროთი – კაცური სიყვარულით, ძმობით და ყურადღებით.

ასეთი გახლავთ მისი პორტრეტი.

დროის შვილია და ორმოცდაათიანელთა ლიტერატურული თაობის ღირსეული წევრი, ვერცხლისწყალივით მოძრავია და ეპოქის მაჯისცემას ჩასაფრებული.

ღმერთო, შენ ლოცვად დავდგები,  
არც წმინდა ზვარაკს მოგიშლი,  
ოღონდ ნუ მომკლავ ლოგინში!  
ოღონდ ნუ მომკლავ ლოგინში!

ერის საზრუნავით დაღლილსა და ყოველდღიურობის ორომტრიალით გართულ მის პოეტურ გონებაში ხშირად ასეთი ღვთიური ფიქრიც გაკრთება:

ეს რა ვიხილე,  
მთვარის არფაზე  
ვილაც უკრავდა ღვთიურ თითებით  
და ალენილი უცხო დარბაზი  
ბრწყინავდა ვარსკვლავთ მარგალიტებით.

ღვთიური ფიქრი-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ მართლაც უაღრესად ფაქიზი პოეტური სმენა უნდა გქონდეს დღეს კაცს, კოსმოსურ ხმაურსა და საუკუნის კაკაფონიაში (ასე ძალუმად რომ აწვევა ჩვენს ნერვებს მუდამდღე) შეინარჩუნო მინდიას მგრძობელობა, ბრონეულის პანია ნერგის კვნესა გესმოდეს, ამ თვისების გამო გახლდათ პოეტის მხატვრული სახე ზუსტი და ფერწერული.

ბადეებს ბლანდავს  
რიბი-რაბო – ჩუმი ობობა  
და ლობისძირას მიტოვებული  
წივის, წიაქობს  
ბრონეულის პანია ნერგი –  
დაუბუდრებლად დარჩენილი  
სველი წინილა.

ზურაბ კუხიანიძის ერთი ლექსი ასე მთავრდება:

რასაც ელი  
როდია  
ფანჩატური ვარდების  
უნდა იგრძნო ალლოთი –  
რას გიქადის ცხოვრება  
როგორც, როგორც ბავშვები  
რელსზე ყურის დადებით  
შორი მატარებელის  
გრძნობენ მოახლოებას.

ამ წიგნს რომ წაიკითხავთ, არ შეიძლება არ იგრძნოთ, როგორ გუგუნებს სადღაც, სულ შორს და სულ ახლოს ქეშმარიტი პოეტის დიდი იმედის მატარებელი.



## მადლი პოეზიისა

ჩემს ბავშვობაში მახსოვს, საკლასო ოთახში ეკიდა ქართველ მწერალთა პორტრეტ-პლაკატი, ვილაცის მიერ უგემოვნოდ შესრულებული და უფრო უგემოვნოდ დაბეჭდილი. მაგრამ ისეთი დიდი იყო ამ პორტრეტის ზემოქმედების ძალა თითოეული ჩვენგანის სულზე, რომ კლასიკოსებს მე ახლაც იმ პლაკატზე წარმოვიდგენ ხოლმე. პლაკატი კურსდამთავრებულთა, ე. წ. „გამოშვების“ სურათს ჰგავდა – შუაში რუსთაველის მოზრდილი პორტრეტით; რა გასაიდუმლოებულიც უნდა გვექონდეს ჩვენ, კრიტიკოსებს პოეტური კოლიზიუმის არენა, როგორც უნდა მოვერიდოთ სიების შედგენას, გარემოებათა გამო რამდენადაც უნდა ვმალოთ კეისარი და პირველობის გვირგვინი მაინცდამაინც მკვდრებს შევუნახოთ (ლამის ჩვენს ეროვნულ თვისებად იქცეს მკვდრების უფრო დაფასება, ვიდრე ცოცხლებისა), შეგნებული მკითხველის წარმოდგენაში მაინც არსებობს თანამედროვე ქართველ პოეტთა „გამოშვების“ სურათი.

რა არის ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო ქართველი პოეტის ტრადიციებიდან თანამედროვეთა პოეტურ გენში გადმოსული? უპირველეს ყოვლისა ის, რომ ქართველ პოეტს არ დაუთმია ერის მებაირახტრის პოზიცია.

რა თვისობრივ სიახლეებს ვატყობ თანადროულ პოეზიას? უპირველეს ყოვლისა, სამ სიახლეს: მეტაფორული აზროვნების შესუსტებას, კლასიკური ლექსის წიაღში ვერლიბრის გაჩენასა და დამკვიდრებას და კრიტიციზმის გაძლიერებას, რაც ძირითადად ირონიულ-პაროდიული ნაკადის მომძლავრებით გამოიხატა.

უმიზეზოდ არაფერი ხდება და ქართული პოეზიის ეს სამი სიახლეც დრომ განაპირობა; როგორც ვხედავთ, პირველი ორი „ნოვატა“ ლექსის ფორმას უკავშირდება, მესამე კი თემატიკას.

ცოტა იწერება დღეს მეტაფორული ლექსი (ამ სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით). ღმერთმა უწყის კარგია ეს თუ ცუდი, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ქართველი პოეტის საუბარი უფრო ლაკონური, კატეგორიული, პირდაპირი გახდა. რა არის ამის მიზეზი, ურბანისტული ეპოქა? სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია? აჩქარებული დრო? ტრადიციული ლექსის ფორმალურ საშუალებათა ნაწილობრივი ამოწურვა? იქნებ ყველა ერთად.

მეტაფორული ლექსის ე. წ. „დაბერებას“ უშუალოდ უკავშირდება ვერლიბრის მომძლავრება. ოღონდ ვერლიბრი „ლექსის განთავ-

ვისუფლების“ უკიდურესი ფორმაა და ამდენად თვალშისაცემიც. ფაქტობრივად ლექსის ორივე უახლესი მეტამორფოზა ერთი მედლის ორი მხარეა. ისინიც კი, ვინც თეორიულად ასაბუთებენ ვერლიბრის უნიადაგობას ჩვენს პოეზიაში და გააფთრებით ებრძვიან მას, კარგა ხანია განთავისუფლდნენ რომანტიკული, მეტაფორული აზროვნების სტილისაგან, საიდანაც ერთი ნაბიჯია ვერლიბრამდე.

ამ სტრიქონების ავტორის სურვილის მიუხედავად, ავტორისა, რომელიც რუსთაველის, ვაჟას და გალაკტიონის ჰანგებზეა გაზრდილი და კარგა ხანს ეჩოთიერებოდა კიდეც თავისუფალი ლექსის მხატვრული უსამანობა, ჩვენს პოეზიაში ამ ბოლო ათწლეულში დიდი თვისობრივი ცვლილება მოხდა. ქართული ლექსის ობიექტური მემატინე იტყვის, რომ ამ საუკუნის სამოცდაათიან წლებში კანონიკური, ტრადიციული ლექსის გვერდით ქართულ პოეზიაში აღმოცენდა ვერლიბრი და (არ ეწყინებათ ფსალმუნთა და საგალობელთა ავტორებს, არც თითო-ოროლა ეპიზოდური ცდის ავტორს სამოცდაათიანწლებამდე) ამ სალექსო ფორმის პიონერებად გვევლინებიან: ბესიკ ხარანაული, ლია სტურუა, მამუკა ნიკლაური, გივი ალხაზიშვილი, გურამ პეტრიაშვილი, ჯარჯი ფხოველი და სხვანი.

სასაცილოდ მეჩვენება იმაზე ლაპარაკი, უქმნის თუ არა რაიმე საშიშროებას ვერლიბრი რითმიან ლექსს. პირიქით, ამ ორსახეობით ჩვენი პოეზია უფრო მდიდარი და თანამედროვეობას შეგუებული ჩანს. გული არ დანყდეთ ვერლიბრისტებს და ქართულ ვერლიბრს დიდხანს მოუწვეს ცდა, რომ ტრადიციულ ლექსს ჩვენში სერიოზული მეტოქეობა გაუწიოს. ვერლიბრი ჯერ მუხლებგაუმაგრებელი ყმანვილია, ხოლო კანონიკურ ლექსს მთელი კლასიკური ქართული პოეზია უმაგრებს ზურგს.

იარსებოს ერთმანეთის გვერდით ტრადიციულმა და ნოვატორულმა, რითმიანმა და თავისუფალმა, ამით ჩვენი პოეზიის ფორმალური მასშტაბები უფრო გაიზრდება და გაფართოვდება. „მე სხვა მანუხებს, ისა ვთქვათ:“ ურითმობას უნიჭობა ნუ შეეფარება. ერთ მშვენიერ დღეს არ გაირკვეს, რომ ურითმო ლექსს ზოგი თავისი უუნარობის გამო იშველიებდა. ნუ დაინერება მშვენიერად განწყობილი რითმებით დემაგოგიური, დეკლამაციური, ყალბი სტრიქონები. ნუ ვაქებთ იმას, რაც არ გვჯერა, ნუ შევქმნით ამღერებული ლექსით საყოველთაო კეთილდღეობის და ჰარმონიულობის ილუზიას, ქვეყანას შენი ხელმომართული ცხოვრების გადასახედიდან ნუ უმზერ, დააკვირდი როგორ ფიქრობენ, რა დღეში არიან ათასები.

ამ ათი წლის წინათ მე დავიცავი სადოქტორო დსერტაცია თე-  
მაზე „თანამედროვე ქართული პოემა“, პოემის განვითარების შეს-  
ნავლამ ასეთ დასკვნამდე მიმიყვანა: სიუჟეტიანმა პოემამ თავისი  
დრო მოჭამა, გალექსილი მოთხრობები აღარ სურს მკითხველს.  
მომავალი ლირიკულ პოემას ეკუთვნის, რადგანაც პროზის გაჩენამ  
და გაძლიერებამ დღის წესრიგში დააყენა ლიტერატურულ სახეთა  
გამიჯვნის პრობლემა. ის რაც პროზაულია, პროზას დავუთმოთ,  
პოეტური კი პოეზიას-მეთქი.

ეს ნიგნი იმ დროს გამოვაქვეყნე, როცა ლირიკული პოემა მაშინ-  
დელ ახალგაზრდა პოეტთა რუდუნებით ეს-ესაა იზადებოდა, ხოლო  
ქართველ პოეტთა უმეტესობა ერთგულად წერდა სიუჟეტიან პო-  
ემებს. როგორც მწერალთა V ყრილობაზე ირაკლი აბაშიძემ თქვა  
– ეგონა პოემას წერდა და სინამდვილეში მოთხრობას ლექსავდა.  
თავის ქებაში წურვინ ჩამომართმევს და დრომ ჩემი ვარაუდის სა-  
სარგებლოდ იმუშავა. არნახულ მწვერვალებს ეზიარა ლირიკული  
პოემის ჟანრი. სიუჟეტიანი პოემები კი უიმედოდ შემოგვადნა ხელში.  
უფრო მეტიც, ერთმა ჩემმა საყვარელმა პოეტმა მთელის მონდომე-  
ბით დაწყებული ეპიკური პოემა, რომლის არცთუ ურიგო ნაწყვეტ-  
იც გამოქვეყნებული ჰქონდა, აღარ დაამთავრა. ეტყობა, იგრძნო,  
რომ თანამედროვის სულის მხატვრული კვლევა სიუჟეტიანი, ე. წ.  
თხრობითი პოემის ბებერი ჟანრული კანონებით აღარ ხერხდება.

პოეზიის უძლიერეს ზემოქმედებას მილიონიან მასებზე ისიც გა-  
ნაპირობებს, რომ იგი სიტუაციასთან მისადაგების, მანევრირების  
გასაოცარ უნარს ფლობს, განსხვავებით პროზისაგან ლექსი უპი-  
რატესად განწყობილებისმიერი ფენომენია. არის სიტუაცია, როცა  
სრულიად ზედმეტია და უადგილო ინტიმური, მედიტაციური ლექსი  
(ერთი წუთით წარმოიდგინეთ გალაკტიონი, რომელიც ბარეკადებზე  
შედგა და ტყვიების კანონადაში დაიწყებს: „მთვარემ ღამე გაათია,  
შენყდა ფიქრთა დინება, ღამის ორი საათია შენ კი არ გეძინება“...)  
თუ ბარიკადულ სიტუაციას „მეგობრებო, წინ-წინ გასწით“ სჭირდე-  
ბა, სამაგიეროდ „მთაწმინდის მთვარეს“ აღტკინებული განწყობილე-  
ბით ვერ წაიკითხავთ. ამაშია პოეზიის უნივერსალიზმის საიდუმლო.

რაც შეეხება მოქალაქეობრივი და პატრიოტული ლირიკის გან-  
ვითარების ტენდენციებს, უნდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ პოეზიის  
ორივე დარგი თუ სახე, მანამ იარსებებს, სანამ პოეზია იარსებებს  
საერთოდ. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ქართველ პოეტს ერთი  
დღითაც არ უცხოვრია საქვეყნო საზოგადოების, თავის სამშობლოს  
მომავალზე ფიქრის გარეშე და არც მომავალში აპირებს.

ახალგაზრდები?

ქართველ პოეტთა ბევრი თაობა ვერ დაიკვებინა დებიუტი-  
დანვე იმდენი სიახლის მოტანითა და დამკვიდრებით, რაც ჩვენმა  
სამოცდაათიანელებმა შეძლეს. ეს ფაქტი ბევრსმეტყველია. ჩვენ  
პირველხარისხოვანი პოეტები გვყვანან: თედო ბექაშვილის, გივი  
ალხაზიშვილის, ბესიკ ხარანაულის, იორამ ქემერტელიძის, მამუკა  
ნიკლაურის, იზა ორჯონიკიძის, ირაკლი ბაზაძის, ლია სტურუას,  
ენვერ ნიჟარაძის, ჯარჯი ფხოველის, გრიგოლ ჯულუხიძის, გურამ  
პეტრიაშვილის, რაულ ჩილაჩავას, ვანო ჩხიკვაძის, დოდო ჭუმბუ-  
რიძის, ჯემალ ჩახავას, ზაალ ებანოიძის, ავთანდილ ყურაშვილის,  
თემურ ჩალაბაშვილის, დალილა ბედიანიძის, მზია ხეთაგურის, ვაჟა  
ხორნაულის, ვახტანგ ხარჩილავას, დავით მჭედლურის, იმედი ჯახ-  
უას, თამაზ ბაძაღუას და ერთი ორი სხვა ახალგაზრდა პოეტის სახით.

ახლა უკვე უიმედო სკეპტიკოსებიც აღარ კამათობენ იმაზე,  
რომ ზემოთ ჩამოთვლილ პოეტებს აქვთ ლიტერატურული თაობის  
ყველა ნიშანი, ისინი გაბედულად ამკვიდრებენ მწერლობაში ახალ  
ფორმებსა და თემატიკას – სიახლის გრძნობა მათი უპირველესი  
და სანაქებო თვისებაა. თუმცა გამარჯვებულებს არ ასამართლებენ,  
მაგრამ მე მაინც მინდა ჯიუტად შევასხენო ამ ჩემს მეგობრებს მათი  
შემოქმედების მთავარი ნაკლი: წმინდა, თვითმიზნური ესთეტიზმით  
ზედმეტი გატაცება, ლექსის დემოკრატიულობის მეორეხარისხოვან  
საქმედ მიჩნევა, საშიშროება იმისა, რომ მკითხველ მასას დაშორდ-  
ნენ. იქნებ ეს გახლავთ მთავარი მიზეზი იმისა, რომ ორმოცს მიღ-  
წეული ბევრი ნიჭიერი „ახალგაზრდა პოეტი“ დღეს გაცილებით ნა-  
კლებპოპულარულია, ვიდრე წინა თაობის შემოქმედნი იყვნენ მათს  
ასაკში.

მარქსიზმის კლასიკოსები ამტკიცებენ, რომ ლიტერატურაში  
კრიტიციზმი და სატირული ჟანრები მაშინ ძლიერდება, როცა ძვე-  
ლის, დრომოჭმულის მსხვერვის დრო დგება. ჩვენი საზოგადოება  
თავგამეტებით იბრძვის თვითგანახლებისათვის და პოეზიაში ირონი-  
ულ-პაროდიული ნაკადის მომძლავრებაც ამ გარემოებამ განაპირობა.

ვერ მოგახსენებთ, რა აზრისაა მკითხველი, მაგრამ ირონიულ-  
პაროდიული ლექსი მე ლირიკის მძიმე არტილერიად მიმაჩნია ჩვენი  
ცხოვრების ამ ეტაპზე. ტარიელ ჭანტურიას ერთ ლექსს „საქმოსანი“  
ჰქვია: „ჯერ მეზობლების ოთახები შემოიერთა. მერე – სოფლები,  
ქალაქები. მერე ქვეყნები. ხოლო სულ ბოლოს – ჯოჯოხეთი, თა-  
ვისი დიდი ქვაბებით და საყინიანი მუგუზლებით“. მე ახლაც ჩამესმის

ყურში პოეტის მიერ თანამედროვე მომხვეჭელისადმი გამეტებით განწული სილის ექო. ახლახან გივი ალხაზიშვილის ლექსების ახალი საინტერესო წიგნი წავიკითხე და ბევრ კარგ პოეტურ პასაჟთან ერთად მხსიერებაში ღრმად ჩამრჩა პაროდული სახე დაქირავებული თოვლის ბაბუასი, რომელიც ტაქსით დარბის ერთი საბავშვო ბაღიდან მეორისაკენ. ირონიულ-პაროდული ლექსი ამ ბოლო დროს თითქმის ყველა ქართველი პოეტის მუზის საგანი გახდა, მაგრამ განსაკუთრებით მოერგო იგი ტარიელ ჭანტურიას, ვახტანგ ჯავახაძის, შოთა ნიშნიანიძის, გივი გეგეჭკორის, ემზარ კვიციანიშვილის, ზაურ ბოლქვაძის და იორამ ქემერტელიძის შემოქმედებას.

პოეტი რომ სულიერ თანამგზავრად და ფიქრთა ჩემთა მოზიარედ მივიჩნიო, უამრავი კრიტიკიუმით ვაკვირდები, ამიტომ ერთბაშად ყოველთვის მიჭირს ხოლმე თანამედროვეთა შორის ჩემი საყვარელი პოეტის დასახელება. ჩვენ, ყველანი, მღელვარე შემოქმედებითი პროცესის მონაწილე ვართ და გასაკვირიც არაფერია იმაში, რომ ჯერჯერობით ბოლომდე არც ერთმანეთის ფასი ვიცით და არც საბოლოოდ გვაქვს გამორკვეული ჩვენი დამოკიდებულება ამა თუ იმ პოეტის შემოქმედებისადმი. ერთს კი ხატზე დავიფიცებ: ლექსის კაცს – თუნდაც ყველაზე მოკრძალებული ნააზრვეის პატრონს, დიდ პატივს ვცემ და სიყვარულით ვუცქერი. იგი ჩემთვის წმინდა კაცია იმ გასაგები მიზეზის გამო, რომ თავს პოეზიის ნათელი ადგას და შვიდფერი მუზისათვის შეუწირავს სიცოცხლე. რაც შეეხება სიყვარულს – არაჩვეულებრივი სიტბო ჩამედვრება სულში, როცა ჭეშმარიტ პოეზიას ნავანყდები და ტკივილით შემეკუმშება გული. როცა პოეტს რაიმე „შეეშლება“, როცა (სამწუხაროდ ასეც ხდება) ეშმაკს მიჰყიდის სულს, როცა იმედებს ვერ გამიმართლებს, მაშინ ჩემს გულში მისი სიყვარულის ნათურა საეჭვო ციმციმს იწყებს.

აი, ახლაც, ამ სტრიქონების წერისას, ჩემს მაგიდასთან შემოჯარულან ისინი – ჩემი საყვარელი ქართველი პოეტები – ერთი ხარავით ღონიერ ქედს ატრიალებს და, სიის შედგენის დროს ზემოქმედება რომ არ მოახდინოს ჩემზე, თვალს მარიდებს, მეორე ძვალჩაკირული და გაუტეხელი, თავის მღვიმეში განმარტოებულა, მესამე თვალისჩინზე უფრო უფრთხილდება თავის საფიცარს – თავის ქვეყანას და ტკივილადქცეულ ლექსს. მეოთხე ამ ქვეყნის ყაყანს სასწაულებრივად გადარჩენილი, ქალწულური კდემით გვეჩურჩულებს. მეხუთე ესთეტის მანტიას იხსნის და აკაკივით შარავნაზე ყვფად დგება, მეექვსე მაოცებს იმპროვიზაციის არაჩვეულებრივი უნარით

და მოქადაგის შესაშური ომახიანობით, მეშვიდე და მერვე ირონიულ-პაროდული ლირიკით აკეთებენ პოეტის დიდ საქმეს, მეცხრეს და მეათეს ბერის ჩოხით წარმოვიდგენ, ერთად დაფუსფუსებენ ქართული პოეზიის ტალანებში, მართალ სიტყვას ამბობენ და მართალ კრებულებს ადგენენ, თავიანთი ცხოვრების წესითაც მაგალითს აძლევენ საქართველოს. მეათე... მეთერთმეტე... მეთორმეტე..

არა, ისინი არც ისე ბევრნი არიან, ამიტომაც როდი მიჭირს მათი ხმების გამოცნობა ქართული თანამედროვე პოეზიის ტკბილხმოვან ორკესტრში.

1984 წ.

## „მოკვდა თუ არა, ყველა აცხონა...“

სიკვდილშიც დიდ პოეტებს დაემგვანა.

ოცდაექვსი წლის ბიჭმა ნიკა აგიაშვილს მისწერა: „მე – დანყველილი ლადო ასათიანი – ერთი კვირაა, რაც გეახელით თბილისს. თითქმის ხუთი თვე გავატარე აბასთუმანში აბსოლუტურად მარტომ – სულ წიგნებთან, არავითარი გაუმჯობესება არ მიმიღია ჯანმრთელობის მხრივ. ჩემი ფილტვების მიხედვით მე მალე უნდა მივიცვალო...“

ამ სტრიქონებს სხვათა შორის სწერს, ცოტა არ იყოს, ირონიულადაც. მთელი წერილი ხუმრობებით არის სავსე. ჯერ ადრესატს ექილიკება, შენგან რა ვიკინგი დადგება, კოჭებამდე წყალშიც ძლივს სცურავო, მერე თბილისში გაჩენილ ახალ ფუნაგორიებს იშველიებს და ასე სიმღერ-სიმღერ, სიცილ-სიცილით ჩაამთავრებს წერილს.

სხვათა შორის...

„ჩემი ფილტვების მიხედვით მე მალე უნდა მივიცვალო“.

ამის წარმოდგენის უნარს ჩვენ ვინ მოგვთხოვს, მაგრამ ერთი წუთით წარმოიდგინე მკითხველო, ოცდაექვსი წლის იყო და იმედის წყალი გადაგენუროს, დღეები დათვლილი გქონდეს.

სხვანაირად უნდა მეთქვა; ოცდაექვსი წლის ლადო ასათიანი იყო სიცოცხლეზე შეყვარებული, ლამაზ წუთებზე დახარბებული და იცოდე, რომ „მალე უნდა მივიცვალო“.

ამ წერილის ავტორი კი სიცხისაგან გათანგული, უღმობელი სენისაგან ფილტვებდაღრღნილი ახალგაზრდა კაცი, მეორე დღეს

მიუჯდება უფარდაგო მაგიდას და მონაფური მელან-კალმისტრით ცალხაზიან რვეულზე ყრუ ხველებით დანერს ლექსს „გულბაათ ჭავჭავაძეზე“. ქეიფით, ყიჟინით, სალალობო მოტივით სავსე ლექსს.

იმისთვის, ვინც გმირობას მარტო ხმლის ქნევაში არ ხედავს, ეს საქციელი ჭემმარიტი გმირობაა.

„ასპინძის ავტორი“ თავის დროზე რომ დაბადებულიყო, იქ მოკვდებოდა, სადაც მისი ლექსის ცხრა ძმა დაეცა.

„ერთი მათგანი, დაჭრილი, უბეში დროშას მალავდა,  
ინვა სისხლისგან დაცლილი... კურთხეულ იყოს მარაბდა!  
ეს ანეწილი ფაფარი, თუ მშობლიური ნისლია?  
ვისია ცხრა ბედაური, ცხრა დარახტული ვისია?“

ობოლმა ბიჭმა, ბარათაშვილის ასაკში იმდენი მოასწრო, რომ მისი ლექსების ციტირება უხერხულობას მგვრის, ისე ქრესტომათიული და საყოველთაოა მისი პოეზია.

კეთილმა ჭირისუფლებმა ლადო ასათიანის თითქმის ყველა სტრიქონი მოიძიეს, პირადი წერილები, უბის წიგნაკები, სიყრმის რვეულები, გაზეთები გადაქექ-გადმოქექეს და გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ პოეტის მშვენიერი ერთტომეული მიანოდა პოეზიის მოყვარულთ.

ამ წიგნშია ახლა ყველაზე სრულად ჩატეული მისი სიმღერა, ფიქრი, სურვილი და მისი ნაღვლიანი ცხოვრებაც.

ჭემმარიტი პოეტისა, ზოგჯერ მარტო ჭემმარიტ პოეტებს ესმით. ხომ ასე ლალია ლადო ასათიანის პოეზია და ხელისგულივით ცხადი, მაგრამ მაინც ბევრჯერ გაანითლებს და დააბნევს იგი მის წიგნთან ყოვლისმცოდნის პოზით მისულს.

„ერთტომეულის“ ლადო ასათიანი პოეზიის ზღაპრულ საქანელაზე მჯდომივით ხან უჩვეულოდ მოგვიახლოვებს თავის ალგზნებულ სახეს, ხან კი მეოცნებე თვალებს ცათა შინა ალაპყრობს და ზემოდან დაგვხედავს.

როცა ვალებზე, ქლექზე, უბინაობასა და რედაქციაში ლექსის უადგილოდ შემცირებაზე ლაპარაკობს, „სალალობოს“ ავტორი საშუალებას გაძლევს ახლოს მიხვიდე, სულში ჩახედო, ჩვეულებრივ კაცად ჩათვალო, მაგრამ როგორც კი ძალიან გაუთამამდები და მხარზე ფამილარულად ხელს მოუთათუნებ, მწყრალად შემოგხედავს და ისევ თავის სიმაღლეს, თავის მასშტაბებს, თავის პარნასს დაუბრუნდება:

„თვითონ ვარსკვლავებს ემასხოვრებათ  
(მე მხსნელად მყავდა ვარსკვლავთ კრებული),  
რომ იყო მუდამ ჩემი ცხოვრება  
მკვდრების მზესავით გაყვითლებული“.

მკვდართა მზის მკრთალი, ცივი ათინათით დარჩენილი ლადო ასათიანის მაღალი ძეგლი – ალალი, ხალასი შემოქმედება მარტო იმის მაჩვენებელი კი არ არის, როგორ უნდა ემსახურო ქვეყანას, იმის სამწუხარო გაკვეთილიც არის, რომ პოეტს მეტი ყურადღება და მხარდაჭერა სჭირდება.

...როცა ზღაპრული საქანელა ახლოს მოდის, ლადო ასათიანი ერემია ქარელიშვილს მისწერს: „ლიტ. გაზეთი მივიღე, უფრო უკან რომ გადაგედოთ, აჯობებდა, მაგრამ მაგაზე ბოლო ადგილი აღარ აღმოჩნდა“, მაგრამ საკმარისია შთაგონების ცეცხლით გონების ერთი განათება და ლადო ასათიანი „იქედან“ გეჭურჩულება: „სიზმარში ვნახე ფიორდები, ლურჯი, სულ ლურჯი, დიდი და მომცრო ყურები – ჩვენი ნაისლარებივით“.

ღმერთთან მოსაუბრე კაცს სიზმრებიც სხვანაირი ჰქონდა.

ამიტომ მეჩვენება ყოველთვის ნაკულლოვნად მეცნიერების ლამპრით პოეტის პირადი ცხოვრების ლაბირინთებში ხეტიალი. თემის – ლადო ასათიანი – საკითხში კომპეტენტურობის დაჩემება ძნელია.

მე როგორც ვაჭყობ, სიცოცხლეში ლადო ასათიანს (მის პიროვნებას) სრულყოფილად არავინ იცნობდა, ისე როგორც გალაკტიონს თითქმის არავინ ჰყავდა მესაიდუმლე.

ასე როგორ მოანესრიგა ოცდაექვსი წლის ბიჭმა ყველაფერი, რისთვისაც პოეტებს ზოგჯერ ერთი გრძელი სიცოცხლეც არ ჰყოფნით, რანაირად შეძლო ქართული ლექსის განახლების ზარიც დაერეკა და ღვინისგან გულაჩუყებული კაცის ლოშინით კი არა, სიყვარულის ავადმყოფობით გაფხიზლებული გონებით ისე მოფერებოდა თავის ქვეყანას, თავის რუსთაველს, თავის კრწანისს, თავის გალაკტიონს, თავის სიკვდილის საკანსაც -- აბასთუმნის პატარა გალიას, რომ მისი წიგნით ყელთამდე სავსეს, ერთი წამოცდენა წამოგცდება: – კიდევ რომ ეცოცხლა, რალა უნდა ეკეთებინაო.

თავისი პორტრეტი თვითონვე დახატა ლამაზად და სამუდამოდ:

„ამ ხეივანში ის ძალზე ხშირად  
დასეირნობდა ჩვენს სასახელოდ,  
ხელში ცისფერი წიგნი ეჭირა  
და აწეული ჰქონდა საყელო.“

ერთი შეხედვით უზომოდ მკაცრი,  
ახლოს არავის არ იკარებდა  
და იდგა, როგორც სხვა დროის კაცი,  
ფოთლებდაცვენილ ბალის კარებთან“.

ლადო ასათიანი – პოეტი იქა დგას, სადაც სამარადისოდ ნა-  
თობენ უკეთესი ქართველი პოეტები. სახელოვან მიცვალებულთა  
ელიტას ამშვენებს მისი შთამაგონებელი, სუფთა სახე.

ლადო ასათიანი – ცრემლებამდე შესაყვარებელი, ალალი, ბრძე-  
ნი ბავშვი კი ამ პატარა ამონაწერებშიც იცნობა:

„მწერალთა სახლის ბაღში ერთი მწერალი იჯდა – რაფიელის  
„სამშობლო ხევსურისა“ ადგილობრივი, კუთხური პატრიოტიზმია,  
შოვინიზმის სუნი უდისო, სულ სულელი ვუძახე; უნდა მეცემნა,  
ძლივს გამასწრო“.

„ძვირფასო ნიკოლოზ! ეს იმ ბებერი ძაღლის მოსაგონარი იყოს,  
რომელიც 1937-38 წლებში ხშირად გვხვდებოდა იმ სასტუმრო  
„გრანდ-ოტელის“ წინ, სადაც შენ ცხოვრობდი.

„ოცდაათ წლამდე სულ პოეზია, შემდეგ პროზა და დრამატურგ-  
ია... მანამდე ხელს ვერ მოვკიდებ, ვერ გავბედავ!“

„ჭიანჭველამ თუ იცის ჩვენი არსებობა? საერთოდ, ცხოველებმა  
თუ იციან, რას ვხლაფორთობთ ჩვენ. საინტერესოა, რას ფიქრობენ,  
როცა უყურებენ ჩვენს ნაცოდვილარსა და ნახელავს?“

რა კარგად იცოდა კაცური კაცის ფასი! მოთავებული ვაჟკა-  
ციოა, იტყვიან ასეთ კაცზე, რა ამაყად ვლიდა და როგორ მოჰქონდა  
თავი ქართველად რომ დაბადა გამჩენმა, რაოდენი რიდი და მონი-  
ნება ჰქონდა ქართველთა სულიერი მამისადმი:

„ყოველი ქართველი პოეტი ისე უნდა ივსებდეს პირსა და გონე-  
ბას შოთას შაირებით, როგორც დემოსთენი ივსებდა პირს კენჭებით,  
ენაბრგვილობის დასაძლევად“.

ლექსებში ფიროსმანს ბევრჯერ ახსენებს. ერთი გასაოცარი ლე-  
ქსი აქვს ტერენტი გრანელზე. ამ ლექსში დათოვლილი საყდრის  
ფონზე გიჟის თეთრი ხალათით დგას ტერენტი გრანელი და მწუხ-  
არედ შემოგვეყურებს. უპატრონო, უმწეო ტერენტი გრანელს უმოწყ-  
ალოდ ათოვს მხრებზე და მშველელი არ ჩანს.

„თოვს და ანათებს სადღაც კანდელი,  
დიდი სასახლის ბრწყინავს კარები.  
შენ კი ვით თოვლის თეთრი ფანტელი,  
დალუპვისაკენ მიექანები.“

აგიტანს შიში და ჟრუანტელი,  
გაგიფითრდება თვალთა უპენი,  
ნუთუ, ვით თოვლის თეთრი ფანტელი,  
შენც ისე მშვიდად დაილუპები?

...ლადო ასათიანი ერთ წერილში თავის მეუღლეს აბასთუმნიდან  
წერს: ნეტავ იმის სახსარი და შესაძლებლობა მოგვცა, აქ კიდევ ერთ  
თვეს გამაჩერონ, მაშინ უსათუოდ მოვრჩებოდიო.

იქნებ ამიტომაც სტკიოდა კიბის ქვეშ გათავებული ნიკალა, იქნ-  
ებ ამიტომაც ეკითხებოდა გულგრილობით გულდამწვარ ტერენტი  
გრანელს „ნუთუ, ვით თოვლის თეთრი ფანტელი შენც ისე მშვიდად  
დაილუპებიო“.

ეს ჩანახატი გულჩვილი მკითხველისათვის სევდის მოსაგვრელად  
არ დამინერია. ლადო ასათიანის ვაჟკაცურ პოეზიას ყველაზე ნაკ-  
ლებ უხდება სენტიმენტალობა. მაგრამ როგორ არა ვთქვა ის, რაც  
ტვინს მიხურებს და გონებას მიბურღავს, როგორ არ ჩავილაპარაკო  
ჩემთვის, ჩუმად: „ხომ შეიძლებოდა ლადო ასათიანის გადარჩენა?“

1984 წ.

## მიმავალი ნაბიჯების ხმა

გამოგიცდიათ ასეთი წამი? ღამით შინ ბრუნდებით. საკუთარ  
ფანჯრებს თვალი რომ შეავლეთ, შეშინდით, ფანჯრებში ჩაბუდე-  
ბულმა ღამემ შეგაკრთოთ, თქვენ არავის ელოდით (იქნებ გა-  
ნათებული ფანჯრებისაც ისევე შეგმინებოდათ), მაგრამ ფანჯრების  
ჩამქრალი თვალი ავად გიმზეროთ და ხელისკანკალით იღებთ გას-  
ალებს ჯიბიდან, თითქოს სიკვდილის, უდაბურების ბნელ აკლდამაში  
შედიოდეთ.

ნევროპათოლოგები, ალბათ, ამ გრძნობას ნევრასთენიის რომე-  
ლიმე ფაზად მონათლავენ.

გალაკტიონის ერთ უკანასკნელ ლექსში სწერია:

სალამოთი ნაცნობ შარით  
შენ სახლისკენ გასწევ ნელა  
და შეკრთება ერთი წამით –  
შენს ფანჯრებში ისევე ბნელა.

ყოველგვარი გაჰქრა ვადა...  
არ ემჩნევა ფანჯრებს ნთება,  
თითქოს ვილაც ნავიდა და  
არასოდეს დაბრუნდება.

ლოდინით, მარტოობით დაღლილი მოხუცი, რომლისთვისაც  
„ყოველგვარი გაჰქრა ვადა“, თავის ჩამქრალ ფანჯარას შეჰყურებს  
და სამუდამოდ წარსულზე ფიქრობს.

ამ ფიქრიდან ერთი ნაბიჯია სასონარკვეთამდე.

„რა ჰქნა? – ეს კითხვა აწუხებდა დიდსა და პატარას გალაკტიონის  
სიკვდილის დღეს.

მურმან ლებანიძემ კინოკადრის სიზუსტით დაიჭირა „მერის“  
ავტორის უცნაური სიკვდილით გამონეველი გაურკვეველობა თვით  
ქართველ მწერალთა შორისაც:

„კონსტანტინე ბატონთან ლეონიძეც იქ იდგა.

„რა ჰქნა?“ – უმისამართოდ ჩიქოვანმა იკითხა.

„რა ჰქნა?“ – ახლა ირაკლიმ თქვა და თავი დახარა, –  
იმ დღეს ავად შენიშნა ეს ამდენი ჭალარა“.

სიკვდილით კიდევ ერთი კითხვის ნიშანი დაუსვა ჩვეულებრივ  
მოკვდავთათვის ძნელად ჩასანვდომ თავის სიცოცხლეს და შემოქმედებას.

თითქოს მისებურად, ეშმაკურად გაგვეხუმრა სიკვდილითაც კი.

ერთი თვის წინ რადიოში თავის ყველაზე პათეტიურ, ოპტიმისტურ  
ლექსებს გვიკითხავდა და სიცოცხლით, იუმორით, იმედით  
სავსე (ასეთი ჩანდა ერთი შეხედვით) გალაკტიონისაგან თვითმკვლევლობა  
დაუფერებელიც კი ჩანდა.

„რა ჰქნა? – ეს კითხვა მაშინ სრულიად ბუნებრივი კითხვა იყო,  
მაგრამ ახლა, როცა გალაკტიონის უკანასკნელ ლექსებს ვფურცლავ,  
მე ცხადად ვხედავ, როგორ მზადდებოდა ამ დიდი სიცოცხლის  
დასასრული, საუკუნის მოხუცის მიმავალი ნაბიჯების ხმა მკაფიოდ  
ჩამესმის.

იშვიათზე იშვიათია თავის სიცოცხლეში ბოლომდე შეცნობილი  
შემოქმედი.

მიზეზი ამისა მარტივია; პოეტის პიროვნება თავისი ხასიათით,  
ჭირვეულობით, უცნაურობებით (თუნდაც მხოლოდ ის, რომ ჩვენსავით  
იცვამს და ჩვენ შორის დააბიჯებს) ხშირად ხელს გვიშლის უცდომელი

კავშირი დავამყაროთ ადამიანსა და მის მიერ შექმნილს შორის.

რა დასამალია და ბევრი დიდი პოეტის მსგავსად გალაკტიონიც  
არ იყო სიცოცხლეში ბოლომდე ნაკითხული.

მისი მეფური გონება გრძნობდა ამ ზღვარს: „ნეტა როგორ ხდება  
ასეთ სიბნელებში, შენ ცას რომ ანათებ და შენ ვერვინ გხედავს და  
შენ ვერ უგრძნობხართ, ო, რა მიზეზია, ნეტა გაცოდინა ასეთ დაბრმავების,  
გასაოცარია, გასაოცარია, ძლიერ, მეტისმეტად“.

ამ ფიქრიდან კი ერთი ნაბიჯია სასონარკვეთამდე.

სიცოცხლის მიმწუხრს დაწერილ ლექსებში ხშირად ისმის „მოახლოვებულ  
ორთქმავალის გუგუნი“, „სახლიდან გასვლის და არდაბრუნების“,  
„ჩამავალი მზის“ მწუხარე ჰანგები:

ო, ფიქრებო, მსვლელნო ტაძრად,  
ო, ქცეულნო მტვრად და ნაცრად,  
რად მიჰყვებით ასე მკაცრად  
ჩამავალ მზეს, ჩამავალს.

პოეტი, თითქოსდა, ისევ უბრუნდება ყრმობის გარდასულ ხილებს,  
ისევ გაისმის ლექსში სასაფლაოსა და სიკვდილის რეკვიემი:

როგორ გაცივდა თქვენი ოცნება,  
როგორ დამშვიდდა თქვენი ქაფნება,  
თქვენი მზე აღარ დაიკოცნება,  
თქვენი მზე აღარ დაიდაფნება,

სამარე მძიმე თქვენი სულისა,  
მხოლოდ სიცივით არის მდიდარი,  
არც მოგონება სიხარულისა  
არც წარწერები არავითარი.

ნახეთ როგორ მოაბიჯებს იდუმალების ტაძარში წუთისოფლის  
გზებზე დაღლილი ლირიკული გმირი ყვითელი (მწუხარების ფერი)  
ყვავილებით ხელში:

მე მომაქვს, მე მომაქვს ყვითელი სანთლები,  
ყვითელი ვარდების ლივლივი ელვარე,  
ყვითელი ფოთლების ოცნება მღელვარე,  
ავანთებ ჩირაღდნებს და ლოცვად დავდგები.

ოსანა, სად არის ყვითელი ვარდები?  
რად ჩაქრა სიმღერა, სიმღერა მჩქეფარე?  
მე მომაქვს ყვითელი ვარდები ელვარე,  
მე მომაქვს, მე მომაქვს ყვითელი ვარდები.

ამაოების ამ განცდიდან, მოახლოებული აღსასრულის ამ ტკივი-  
ლიდან კი ერთი ნაბიჯია სასონარკვეთამდე.

ჩვენი საუკუნის სამოციანი წლები ისტორიაში შევა, როგორც  
მნიშვნელოვანი გარდატეხის წლები საბჭოთა ადამიანის ფსიქიკა-  
ში, ბევრი შემოქმედისთვის ერთბაშად გახდა ცნობილი, რომ მისი  
ნაწერების საკმაოდ მოზრდილი ნაწილი პანეგირიკის ხელოვნურ  
ყვავილებს წარმოადგენს და დროის უღმობელი ჩრდილი მალე  
გამოხრავს. ყოველ შემთხვევაში თვით ეპოქამ ბევრი რამ ახლებუ-  
რად წარმოაჩინა, ურანთუზიაზმით, ყალბი რომანტიკით (რითაც  
ზოგი მწერალიც ასე უხვად საზრდოობდა) ძველებურად ცხოვრება  
აღარ შეიძლება. შეხედულებათა ამ გადაფასებას სამოციან წლებში  
ისეთმა ორთოდოქსმაც კი ვერ გაუძლო, როგორც კონსტანტინე  
ფადეევი გახლდათ.

გალაკტიონის მელანქოლიას ღრმა სოციალური ფესვებიც გააჩნია.

ქვეყანა გაცვდა ვით ძველი გროში,  
უდაბურებად იქცა სოფელი,  
ნუ გაოცდები, რომ ასეთ დროში  
მცირე ბედისაც ვარ მადლობელი.

...ვით შეიძლება იქნე ლამაზი,  
როცა სიტლანქე მოდის მგმობელი!  
დროა, დავტოვო ფიქრი ამაზე  
მცირე ბედისაც ვარ მადლობელი.

გალაკტიონი ქაბუკობაშივე საქართველოს პოეტთა მეფედ გა-  
მოაცხადეს, გალაკტიონმა სიცოცხლეშივე მოიპოვა კლასიკოსის  
სახელი. იგი ქართული საბჭოთა პოეზიის სათავესთან დგას, შექმ-  
ნილი აქვს „ლურჯა ცხენები“ და „მთანმინდის მთვარე“, დანერგული  
აქვს სოციალისტურ აღმშენებლობის ბრწყინვალე ეპოპეა „ეპოქა“  
და მაინც უკმარობის გრძნობა, რაც ყველა ქვეყნარბი შემოქმედის  
თვისებაა, სიცოცხლის ბოლო წლებში გალაკტიონისთვისაც არ არის  
უცხო:

წარსულთა დღეთა ენამჭევრობავ,  
გაფრენავ ქორის,  
რამდენი დარჩა გაუგებრობა  
ჩემს და შენს შორის.

„გაუგებრობათა“ ერთ წყებას პოეტი აშკარა შეცდომებად ნათ-  
ლავს:

ნეტა ხელახლა ჩამსვა იმ ნავში,  
რა სიღიადეს მივცემდი შრომას,  
არ დავუშვებდი ამდენ შეცდომას,  
დამანყებინა ოლონდ ხელახლა.

მაგრამ დროის უღმობელი ცელი თავისას მიიქნევს. რუსთაველ-  
ზე მოაბიჯებს წვეროსანი პოეტი თავისი დიდი ცისფერი წიგნით  
ხელში, თავისი სიმალლისა და პირველობის შესანიშნავი მცოდნე.

ცხოვრების წიგნის ზოგ სტრიქონს რომ ჩახედავს, სინანულით  
ჩაიღიმებს: „დრო აღარ დარჩა, რომ ახალი ინყო ცხოვრება“.

ძნელზე ძნელი ამოსაცნობია, რატომ ლაპარაკობს მრავალბრ-  
ძოლაგადატანილი უკვე გაღმა, უკვდავების სამუდამო ნაპირზე გა-  
სული გალაკტიონი რწმენის დაკარგვაზე:

შემოქმედებავ, აზრო, გონება,  
უბრალოებათ წარსულთა წამთა,  
ის აღარა მწამს, რაც წინათ მწამდა,  
როდემდე ივლით ასეთ ტკივილით?

არა, ეს მარტო სიბერის ტკივილი არ არის. პოეტს, რომელმაც  
დანერა „სიკვდილის გზა არრა არის ვარდისფერ გზის გარდაო“,  
ძუ მგელივით მომხტარი სიბერეც ვერ შეაშინებდა, გალაკტიონის  
სევდას, მისტიკის და ცრემლის ადრეულ პოეზიასთან მის დაბრუნე-  
ბას სამოციან წლებში კომპლექსური მიზეზები განაპირობებდა. მათ  
შორის იქნებ სამედიცინო დასკვნებიც მოვიშველოთ, იქნებ მარტო-  
კაცის განცდებიც, იქნებ სიბერისა და დაძაბუნების შიში და მაინც  
რატომ გაისმის „ჯონ რიდის“ ავტორის ხმაში ასე უღმერთოდ რწ-  
მენის დაკარგვის საგანგაშო ზარი?

მაგრამ ეს დღე დღევანდელი  
გულს დაანვა მსგავსად ლოდის,  
რწმენაც ჩაჰქრა, ვით კანდელი  
და მოელო ბოლო ლოდინს.

რწმენის ჩაქრობიდან კი მოგეხსენებათ, ერთი ნაბიჯია სასო-  
წარკვეთამდე.

და ის ერთი ნაბიჯიც გადაიდგა.

გალაკტიონის ჯიუტი ნება იყო დირიჟორი აქაც.

როგორც ჩანს თვით არ ისურვა ძალანართმეული, რწმენაშერყ-  
ეული, საპყარი გალაკტიონი ენახა საქართველოს.

1984 წ.

## სტრიქონი, ცხოვრებას რომ გაამართლებს

თუ ოდესმე გადავწყვიტე ჩემს ნოველებში პერსონაჟი პოეტი შემოვიყვანო, დაახლოებით ისეთ კაცს დავხატავ, როგორც მიხეილ ქვლივიძეა. დიდი ხანია ვაკვირდები მის პოეზიას კი არა მარტო, პიროვნებასაც და კაცმა რომ მკითხოს პოეტის განზოგადოებული იერსახის დახასიათება, მე, იქნებ ჩემდაუნებურადაც, მიხეილ ქვლივიძის პორტრეტის შტრიხებით დავიწყებდი. პოეტი, ჩემი წარ-  
მოდგენით, სწორედ ასეთი უნდა იყოს; ალალი, ბრძენიც და ბავშ-  
ვივით გულუბრყვილოც, ნიადაგ სალექსოდ შემართული და ოდნავ  
სევდიანიც, თავისი ფასის მცოდნეც და სხვისი კარგი სტრიქონით  
აღტაცებულიც, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული და მისი  
ბედით ოდნავ შეშფოთებულიც, მიმნდობი და ძმობაში უღალატო,  
მუდამ ლირიულად ვნებიანიც და ზოგჯერ ამის გამო „ხელსგადაყ-  
ოლილიც“, დამჯერე და პირად ცხოვრებაში ცოტა დაუდევარიც,  
კეთილ საქმეში თანადგომას რომ სთხოვ და, მოსაფიქრებელი ვადის  
გარეშე, მაშინვე რომ დაგიდგება გვერდით; პირადულზე წუნუნნი  
რომ არ უყვარს და ზოგჯერ მედიცინის ელემენტარული ნესების  
დაცვასაც რომ არ დაგიდევს; ერთ კარგ სტრიქონს, ერთ კარგ სა-  
დღეგრძელოს დილაშედეგად ადევნებული, ტაში რომ უყვარს, მაგრამ  
დაფნის გვირგვინების მოსაპოვებლად ენერგიულ ზომებს როდი  
ღებულობს, ზოგიერთივით კენგურუს ნახტომებს რომ არ აკეთებს,

რათა მორიგ ცდაზე მაინც გადაევიდეს იმ თამასას, ლიტერატურ-  
ული ჯადო რომ ჰქვია.

მიხეილ ქვლივიძე ენაწყლიანია, როცა საქმე ლიტერატურას  
შეეხება, მაგრამ მაშინვე მოიწყენს, თავს „ჩაუბრუნდება“ და გაგე-  
ცლება, თუ მისი კოლეგის რომელიმე უკეთეს ნაბიჯზე ჩამოაგდებ  
სიტყვას. იგი, როგორც ყველა ჭეშმარიტი პოეტი, დიდსულოვა-  
ნია და მიმტყვებელიც. მას მართლაც რომ მგოსნის სიყვარულით  
უყვარს ქვეყანა და ბავშვივით გაიკვირვებს ხოლმე მისი ალალი  
ვერგანურჩველობით შუბლზე იუდას ცივ ამბორსაც რომ იგრძნობს.  
მიხეილ ქვლივიძის კამათი მუდამ ლიტერატურული კამათია და დახ-  
ვენილი ინტელიგენტის ეთიკურ ნორმებს არ შორდება, მისი ფიქრი  
ქვეყნისთვის საჭირო ფიქრია. ასეთი მიხეილ ქვლივიძე დააბიჯებს  
ჩვენ შორის. მას მეოცე საუკუნის ულტრათანამედროვე, ურბან-  
იზმით დაღლილი კაცის თვალეზი აქვს და თანაც ბევრი რამით ჰგავს  
სურათიდან გადმოსულ თავის უკვდავ წინაპრებს; ძალიან შორს რომ  
არ წავიდე, იმ საუკუნეში რომ ცხოვრობდნენ და ლიტერატურულ  
სალონებს ლექსის კაცის იდუმალ ათინათს რომ ჰფენდნენ. დადის  
და, გითხრათ სიმართლე, ბოლომდე ვერ შეგვიცვნიას, რაკი თავისი  
ენერგია უპირატესად ლექსისთვის დაუხარჯავს და არა იმ ლექსთა  
გახმაურებისთვის, სამოცი წლის ისე შესრულებულა, რომ ერთი  
გონიერი წერილიც არ დაუნერია ქართველ კრიტიკოსს ლიტერ-  
ატურაში იმ მშვენიერი ფენომენის ამოსაცნობად, მიხეილ ქვლივიძის  
პოეზია რომ ჰქვია.

იგი დიდხანს ცხოვრობდა მოსკოვში და მახსოვს, ლიტერატორ-  
თა სახლის კუთხეში ორიოდ დღით ჩამოსულ ქართველ მწერალს  
თუ მიიმწყვდევდა, ყელგანვდილი ევედრებოდა: „თუ ძმა ხარ ილ-  
აპარაკე, რაც შეიძლება ბევრი რამ მითხარი. ქართული სიტყვა ისე  
მომენატრა, ლამის გავგიჟდე. ახლავე მოვიდვარ თბილისში და თუ  
ბინის მსგავსი გავჩარხე რამე, თუნდაც ერთი ოთახი, თბილისში  
უნდა გადმოვსახლდე, თორემ ვიღუპები. გუშინ სიზმარი რუსულად  
დამესიზმრა და ჩემს ჭკუაზე აღარა ვარო“.

ოცი წლის გახლდით, ერთი მაღალი თანამდებობის კაცის კაბი-  
ნეტში სამსახურის საშოვნელად შესულმა პირველად რომ ვნახე  
მიხეილ ქვლივიძე. მაღალმა, შავთმიანმა, სათვალთანმა, ლამაზმა  
კაცმა მორცხვად მიმოიხედა, ჯიბიდან პატარა წიგნი ამოიღო და  
ჩაილაპარაკა: მე პოეტი მიხეილ ქვლივიძე გახლავართ, ეს ჩემი იტ-  
ალიაში გამოცემული წიგნია, თბილისში დაბრუნება მინდა და ბინა



უნდა გთხოვოთ. „დიდ კაცს“ სიამოვნება კი არა, ოდნავი გაოცებაც არ გამოუხატავს ამ ახალგაზრდა კაცის იტალიური წიგნის გამო (მე მგონი, მიხეილ ქვლივიძის წიგნი დღემდე ერთადერთია თანამედროვე ქართველ პოეტთა იტალიაში გამოცემულ წიგნთაგან), არც პოეტის შემოსვლა გახარება, უცერემონიოდ გადაუდო ბინის მიღება, როგორც შემდეგ გაირკვა, სამი ათეული წლით. მიხეილ ქვლივიძის პოეზიას კი სამშობლოს გარეთ ცხოვრებამ დრამატული იერი შემატა, ეროვნული სევდის ელფერი დაატყო და ასეთი სტრიქონები დაბადა: „მინას სამშობლო ჰქვია, თუ მისთვის გიცემს გული, თვალის ჩინივით უვლი და მიგაჩნია წმინდად. მაგრამ ყველაზე მეტად ეს მინა მაშინ გიღიროს, როცა გიჟივით ჰყვირი: – შინ დაბრუნება მინდა“.

მიხეილ ქვლივიძე რომ ლიტერატურაში გამოჩნდა, ომი მთავრდებოდა, მოდაში გახლდათ მომწოდებლური, პუბლიცისტური პოეზია და ინტიმური ლირიკა დიდ პატივში როდი იყო. „მაჟორული სტილის“ ეპოქაში ახალგაზრდა პოეტის პირველი ლექსები ფართო მკითხველისათვის თითქმის შეუმჩნეველი დარჩა. დრო გადიოდა; მიხეილ ქვლივიძე არჩეული გზიდან გადახვევას არ აპირებდა. პოეზიად მას ფიქრის, განსჯის, დაეჭვების, პიროვნების, „მეში“ ჩაღრმავების ლექსი მიაჩნდა და მოთმინებით ელოდა იმ დღეს, როცა მიხეილ ქვლივიძის ლექსს საბოლოოდ სცნობდნენ და მაღალგემოვნებიანი ქართველი მკითხველი ბოლოს და ბოლოს მივიდოდა მასთან. ეს სწორედ სამოციან წლებში მოხდა. პოეტმა თავისი ძლიერი ლიტერატურული ნება ერთბაშად გვაგრძნობინა და სამი ათეული წელი სრულდება, რაც მიხეილ ქვლივიძის პოეზიისადმი მკითხველის ინტერესი არა თუ ნელდება, დღითი დღე იზრდება და ფართოვდება.

მიხეილ ქვლივიძე სიტყვებით არ ერთობა. რითმითა და მუსიკით არ ჟონგლიორობს, დასრულებულ ლექსს ბეჭდავს და ლიტერატურულ ესკიზებს არ გვთავაზობს. მისი ლექსი ან დრამატული სიუჟეტით ხასიათდება და სამუდამოდ გვამახსოვრებს თავს (მაგ. „იყო არაბეთს...“, „იუდას მონოლოგი“, „სამი წერილი“, „გურამიშვილის მონოლოგი“, „ის მაინც ბრუნავს“, „ჰამლეტი“) ან ამგვარი, კონკრეტული სათქმელით თუ შეგონებით: „ისე მოკლეა წუთისოფელი, იმხარულო – დრო არ გეყოფა... შენ გეკითხები, პირქუშ მეგობარს: ნუთუ ის წუთი არ გენანება, რომ შეალიე უგუნებობას?“

სამოცი წელი, ჩემო მიხეილ, მოგეხსენება, პოეტისათვის შუახანადაც არ ითვლება. ბევრმა პოეტმა სწორედ სამოცსადაბიჯებულმა დაწერა თავისი შემოქმედების საეტაპო სტრიქონები, შენც

იმ პოეტთა ჯიშის ხარ. შენს ახალ ლექსებს ახლებური სუნთქვა და მსოფლგანცდა ეტყობა, რაც იმის რწმენას მინერგავს, რომ მთავარი გზა-სავალი წინ გიდევეს, რომ კვლავაც ვიხილავ შენი ლექსით აღტაცებულ დარბაზებს და ჭეშმარიტ პოეზიაზე შეყვარებულ ქალთა ამოოხვრანიც არ დაგაკლდება, კვლავაც გაგვახარებ მართალი ლექსით და კვლავაც შეხვედები რუსთაველზე შენს ერთგულ მეგობრებს ძველებურად „ტკბილი მიშა“, უბრალო, მოსიყვარულე და ნიადაგ ხალისიანი, პატრუქივით ანთებული ალალი პოეტი, თავისი მამულის სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანილი. შენი ლექსი მუდამ იბრძოლებს ქვეყნად სიკეთის დასამკვიდრებლად, მოყვასს რწმენას გაუმთელებს და სიცოცხლეს შეაყვარებს, რადგანაც შენვე ღრმად გჯერა „რომ მიეზღვება საკადრისი კეთილს და ბოროტს, და მოელება ბოლო ყოყმანს და გაორებას, და საკმარისი აღმოჩნდება სტრიქონი მხოლოდ, ერთი მართალი, გაბედული სტრიქონი მხოლოდ, რომ გამართლება მოენახოს კაცის ცხოვრებას“.

1985 წ.

## „სპირალი“ – რომანი-გაფრთხილება

გურამ ფანჯიკიძის, როგორც მწერლის, შემოქმედებითი ბუნების ერთ-ერთი უმთავრესი თვისება გამუდმებული ძიება და მკითხველისათვის ნიადაგ სიახლეთა შეთავაზების სურვილი გახლავთ.

თავის პირველ რომანში („მეშვიდე ცა“), მან დაგვიხატა თანამედროვე ტექნიკურ ინტელიგენციაში გაჩენილი კარიერისტის ორიგინალური სახე, რომელმაც მკითხველის ყურადღება თავისი ხასიათის სირთულით მიიპყრო.

მეორე რომანში „თვალი პატიოსანი“ მან დიდი მოქალაქეობრივი გაბედულება გამოიჩინა და ამოორებულ სოციალურ ატმოსფეროს ფარისეველთა და კომბინატორთა სამყაროს დაპირისპირებული ჟურნალისტის შთამბეჭდავი პიროვნება დაგვიხატა.

მესამე რომანში („აქტიური მზის წელიწადი“) მეცნიერ-ფიზიკოსთა ცხოვრება იკვლია და ადამიანის საქმიანობის ამ ერთი შეხედვით კრისტალურ ფორმაში – მეცნიერებაში ეპოქის მიერ გაჩენილი წინააღმდეგობანი და სიავენი გვიჩვენა. ეს რომანი თანამედროვე მეცნიერულ მოვლენათა ცხელ კვალზე გახლავთ დაწერილი და რაც

მთავარია, პერსონაჟებითაც ულტრათანამედროვე თხზულებათა შთაბეჭდილებას სტოვებს.

მეოთხე რომანით „სპირალი“ მწერალმა ჩვენ დროს გაუსწრო და მომავალ მეცნიერულ აღმოჩენათა სარკმელში შეგვახედა. თანაც უარი თქვა აქამდე ნაერთგულევე, სოციალური რომანის ჟანრულ სისტემაზე და ამჯერად სამეცნიერო-ფანტასტიკური რომანით გვითხრა სათქმელი.

„სპირალი“ ჟანრითაც და პრობლემემატიკითაც ახალია არა მარტო თვით გურამ ფანჯიკიძის შემოქმედებაში.

სამეცნიერო ფანტასტიკა ჩვენს მწერლობაში აქამდეც არსებობდა, მაგრამ მე ვფიქრობ, მწერალმა „სპირალით“ სამეცნიერო ფანტასტიკა მეცნიერული ხვალის ლოკალურ დანიშნულებას გამოაშორა და ეპოქის სოციალურ-ეთიკური პრობლემებითაც დატვირთა. ამ მხრივ იგი ერთგვარ სინთეზურ ჟანრსაც კი უდებს სათავეს.

გ. ფანჯიკიძე – მწერალი თავის შეხედულებებში და პერსონაჟებთან დამოკიდებულებაში მაქსიმალისტია და სწორედ ეს ხდება მიზეზი იმისა, რომ მისი ყოველი ახალი ნაწარმოები ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებებისა და აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლის საგანი ხდება.

ასე მოხდა ამჯერადაც. გ. ფანჯიკიძის ტრადიციულ სტილს მიჩვეული მკითხველი სოციალური რომანისთვის მომარჯვებული თვალთ შეუდგა „სპირალის“ კითხვას და მწერლის მიერ ადრე შემოთავაზებული ჟანრული ნორმები რომ ვერ იხილა, გაცვლაზე უფრო მძაფრმა გრძნობამ შეიპყრო.

არა და გურამ ფანჯიკიძის ყოველ რომანში იყო დეტექტივის, ფანტასტიკის, მეცნიერული აღმოჩენებით მკითხველის განსწავლის მომენტები, რაც იმ წიგნებს დრამატიზმს მატებდა და საინტერესო საკითხავს ხდიდა. ასე რომ, გ. ფანჯიკიძე სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრამდე ერთბაშად კი არა, ბუნებრივად, ძიებათა გზით მივიდა.

არ მინდა ვთქვა, რომ ამ რომანით მწერალმა თავის ჟანრს მიაგნო, სადაც ტექნიკურ მეცნიერებაში მისი გარკვეულობა და ლიტერატურული გამოცდილება სასურველ მწერლურ შედეგებს მოგვცემს. „სპირალი“ იმის მაჩვენებელია, რომ გ. ფანჯიკიძე მიღწეულს არ ჯერდება, ყოველ ახალ ნაწარმოებში ახალ, მისეულ სამყაროს გვიშლის თვალწინ და გვარწმუნებს, რომ მისი ლიტერატურული გზა ტრადიციულ სამწერლო აღმოჩენებზე კი არ გადის, არამედ ატომური საუკუნის რთული პროვინების შეცნობის და მისი ახლე-

ბური მხატვრული მეთოდებით ხატვის ძნელადსავალი ბილიკებით მიემართება.

„სპირალის“ გვერდებზე ქართულ ლიტერატურაში პირველად დააბიჯებს კაცი გადანერგილი ტვინით. ერთმანეთს ეჯახებიან უმძაფრესი ვნებები, ნაწარმოებში მეცნიერული სასწაულისა და ტრადიციული პროვინული თვისებების შეჯახების კბილთა ღრჭიალი ისმის და მკითხველი ლამის შიშითა და ზაფრით მიჰყვება რამაზ კორინთელის ტრაგიკული ცხოვრების ამბავს. ჩაამთავრებს წიგნს და მეცნიერული ექსპერიმენტის მსხვერპლის სადისტური თვითმკვლელობით შეძრწუნებული კარგა ხანს ვერ აძლევს ანგარიშს იმას, რაც მწერლის გრძნეული ხელით რომანის ფურცლებზე გათამაშდა.

მკითხველის მონუსხვის და მისი ყურადღების აბსოლუტური დაპატრონების გ. ფანჯიკიძისეული უნარი ამ რომანშიც ზეიმობს. ეს კი ადვილადმისაღწევი რამ როდი გახლავთ და არც მცირე თამასუქია რომანის გამარჯვებისათვის.

ჩახედული და კეთილმოსურნე მკითხველი მშვენივრად ხვდება რატომ და რისთვის დაინერა „სპირალი“ და საითკენ არის მიმართული მწერლის სრულიად დროული გაფრთხილების ზარების რეკვა.

გ. ფანჯიკიძის ამ ახალი რომანის პათოსი მიმართულია უნაპირო ტექნოკრატიისა და უსაგნო, ფუჭი მეცნიერული ექსპერიმენტების წინააღმდეგ. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, უმძაფრესი ლიტერატურული სიუჟეტით მწერალმა ამგვარ ლოგიკურ დასკვნამდე მიგვიყვანა: ადამიანში უმთავრესი და ძლიერია მითაჟამიდან მის არსებაში ჩაბუდებული, საუკუნეთა გრიგალებით განმტკიცებული პროვინული თვისებები. ეთიკურ-ზნეობრივმა კანონებმა მხოლოდ შენიღბ-შეალამაზა კეთილისა და ბოროტის, ანგელოზისა და მხეცის ის სიმპტომები, გამოქვაბულის კაცსაც რომ ახასიათებდა და სათანადო სიტუაციის დროს ნეიტრონის ეპოქის პროვინებაც რომ ვერ მალავს. ამიტომაც, სანამ ადამიანის სულის უნიკალობას არ მივალწევთ, სანამ ადამიანში კეთილი ნების გამარჯვებას არ ვიზეიმებთ, უდიდესი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ განსაკუთრებით იმ მეცნიერულ ექსპერიმენტებს, მხოლოდ პროვინების ყოფის კი არა, მისი ფსიქიკის ერთბაშად გარდაქმნა-განახლების მიზანი რომ ამოძრავებთ.

სამოცდათოთხმეტი წლის აკადემიკოსს – დავით გიორგაძეს, მწვავე ინფარქტი დაემართა და სასიკვდილოდაა განწირული, ოცდასამი წლის სტუდენტმა განუკურნებელი ტრავმა მიიღო, „ინსტრუმენტული ქარხნის საამქროში, ხიდური ამწეს კავი მოხვდა თავში“ და აზროვნე-

ბა სამუდამოდ მოეშალა. ექიმმა ზურაბ თორაძემ გადაწყვიტა სტუდენტს გადაუწეროს აკადემიკოსის ტვინი და თავისი მრავალწლიანი ექსპერიმენტი ახალი ადამიანის შექმნით დააგვირგვინოს.

ექიმი არწმუნებს მოხუც ავადმყოფს, რომ „სხეულს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს პიროვნებისათვის... მთავარია, ვისი სული და ვისი ინტელექტია სხეულში დაბანაკებული. მთავარია, ვინ აზროვნებს ხორცის, ძვლების, ნერვებისა და სისხლის ამ ურთულეს მექანიზმში“.

სიკვდილის ზღვარზე მისული აკადემიკოსი თავიდანვე გამოთქვამს შიშს: როგორ შეეგუებთან ისინი ერთმანეთს? თუ ტვინმა დაიმორჩილა სხეული, იგი სწრაფად მოაბერებს ახალგაზრდა სხეულს, ხოლო თუ სხეულმა დაიმორჩილა ტვინი, „მამინ ხომ მე, მე აღარ ვიქნები?“

და ოპერაციის წარმატებით დამთავრების შემდეგ მოხდა სწორედ ის, რისი გათვალისწინებაც ზურაბ თორაძემ ვერ შეძლო. ტვინი და სხეული ერთმანეთს უძალიანდება. სხეულს უმძიმს მოხუცი სწავლულის კონსერვატიული შეხედულებებით და განელეებული ყოფაცხოვრების წესით ცხოვრება, ტვინს კი უჭირს მისი გამოცდილების, ცოდნის, ნიჭის და უნარის სხეულით გათავხედებული ყმანვილის მონურ სამსახურში ჩაბმა და ჰიბრიდი ტრაგიკულ პიროვნებად იქცა. ექსპერიმენტი სავალალოდ დამთავრდა თვით ექიმისთვისაც, ხოლო რამაზ კორინთელი აკადემიკოსისა და ბანდიტის კომპლექსთა შეუთავსებლობამ თვითმკვლელობამდე მიიყვანა.

რა დასკვნას გვანვდის მწერალი? როცა მეცნიერულ ექსპერიმენტებს მივმართავთ, არ უნდა დაგვაზიწყდეს კოსმოსური წესრიგი და ბუნების მიერ შექმნილი გლობალური ბალანსები. ადამიანი ერთიანი, განსაცვიფრებელი ჰარმონიაა და მისი მთლიანობა წლების განმავლობაში გონება – სხეულის პროპორციებს და ურთიერთშეთანხმებას ემორჩილება, და საერთოდ „ძალიან ხომ არ ვერევი ბუნების საქმეებში? ხომ არ გვაზიწყდება, რომ ჩვენ თვითონ ბუნების შვილები ვართ და შემქმნელი დედაბუნება ზედმეტ თავხედობას არ გვაპატიებს?“

აკადემიკოსის აზრით ნათქვამი ეს შეგონება, თუ სწორად გავუგე ავტორს, „სპირალის“ იდეურ ლაიტმოტივადაც გამოდგება. არის თუ არა ეს მწერლის მიერ დროული, ბრძნული გაფრთხილება (დეკლარაციული კი არა, რომანის უაღრესად დამაჯერებელი მხატვრული სხეულით დამტკიცებული) ზოგჯერ თამამი მეცნიერული

ბუმიტ გატაცებული ჩვენი ურბანისტული ეპოქისათვის? სჭირდება თუ არა თანამედროვე მეცნიერულ მსოფლიოს გაახსენო „ასჯერ გაზომეს“ ნაცადი პრინციპი, სანამ მისივე ხელით შექმნილი მანქანა ამ მშვენიერ დედამიწას ერთ უბედურ დღეს სასიკვდილოდ მონამლავდეს? მე ვფიქრობ, „სპირალი“ ამ თვალსაზრისითაც დროულად დაწერილი ნიგნია და საკმაოდ გაბედული, მწარე სიმართლეა ნათქვამი მკითხველისათვის. ისევ და ისევ ქვეყნად სიცოცხლის გადასარჩენად, პლანეტის უჭირისლრუბლო მომავლისათვის.

მხატვრულ ლიტერატურაში ფანტაზიას და პირობითობას, მოგეხსენებათ საზღვრები არ გააჩნია, მწერალს უფლება აქვს სინათლის სხივის სიჩქარე და მასშტაბები მისცეს ადამიანის ოცნებებს, მაგრამ თუ დამაჯერებლად ვერ წერს, მკითხველი გულგრილი დარჩება მისი, თუნდაც ცხოვრებისეული და მეცნიერული საბუთებით გამაგრებული თხზულებისადმი.

„სპირალი“ პროზის ჭეშმარიტი ოსტატის ხელითაა დაწერილი. გ. ფანჯიკიძის წინაშე ურთულესი ამოცანა იდგა; ჯერჯერობით ბუნებაში არარსებული ადამიანის სახე უნდა შეექმნა. უცნაური და უჩვეულო უნდა ყოფილიყო „რამაზ კორინთელი“ თავისი ფსიქიკით, ადამიანებთან დამოკიდებულებით. იგი მომავლის სარკმლიდან ჩვენკენ მზირალი კაციც უნდა იყოს და, თანაც, საკმაოდ დაზუზღული ამქვეყნიური ცხოვრებით. მწერალმა წარმატებით ამოხსნა რომანის ცენტრალური პერსონაჟის წინააღმდეგობრივი ბუნების საიდუმლო. „ახალი ადამიანის“ ასპარეზზე გამორჩენისთანავე გრძნობთ, რომ მის შექმნაში რალაც დიდი შეცდომაა დაშვებული, რომ სამედიცინო აზრის „ტრიუმფით“ შექმნილ ამ ახალგამომცხვარ სუპერმენს დიდხანს სიცოცხლე არ უწერია.

აღბათ, შეგნებულად აუარა მწერალმა გვერდი პერსონაჟის ინდივიდუალიზების ნაცად პროზაულ მეთოდებს, პერსონაჟთა მეტყველების სტანდარტიზაციაც, მათი საუბრის აქა-იქ არაცხოვრებისეული და იქნებ ზედმეტად თეორიული პათეტიკური სტილიც (მომაკვდავი დ. გიორგაძე ექიმ ზურაბ თორაძეს რომ უჩვეულო, ვრცელი ტირადებით ესაუბრება) იმის ხაზგასასმელადაა მოხმობილი, რომ მკითხველს ნიადაგ თან სდევდეს ფიქრი: ამ წიგნში არასრულყოფილი, არარეალური, კომპლექსიანი ადამიანები ცხოვრობენ.

რამაზ კორინთელში სადიზმმა სძლია ინტელექტს და ამ შემთხვევაში სამეცნიერო-ფანტასტიკური რომანის ჟანრული კანონებით უნდა ავხსნათ ავარა-ფიზიკოსის საქციელი; მისი ცხოველური შუ-

რისციებანი, ავანტიურული კარიერიზმი და ყოფაცხოვრეჰაშიც იმგვარი სექსუალური საშინელებანი – საკუთარი დის მიმართ ცხოველურ ლტოლვაში რომ გამოიხატება. როცა რომანის ჟანრს და მწერლის ჩანაფიქრს (მარცხად გამოაცხადოს ადამიანის საწინააღმდეგო მეცნიერული ექსპერიმენტები) გაითვალისწინებთ, ყველაფერი რიგზე დადგება.

„სპირალში“ არაერთ ოსტატურად დახატულ პასაჟს და ეპიზოდს შეხვდებით. თვალწინ მიდგას ზურაბ თორაძის პაციენტის მიერ პირველად სარკეში საკუთარი თავის ხილვის, დავით გიორგაძის დასაფლავების (საკუთარ პანაშვიდზე მისული რამაზ კორინთელი, საკუთარ კუბოს რომ მხრებით შეუდგა) დამნაშავეთა სამყაროსთან და ასტროფიზიკის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორთან ურთიერთობის გარკვევის, რომანის ფინალური (როცა დავით გიორგაძე შეიტყობს, რომ საკუთარი შვილის უნებლიე მკვლეელია და შურს იძიებს არა მარტო ექიმზე, არამედ თავის თავზე, ე. ი. რამაზ კორინთელის სხეულზე) და სხვა შთამბეჭდავი, ჭეშმარიტი ფერწერულობით დახატული ეპიზოდები.

„სპირალის“ ავტორს პერსონაჟთა ხატვის საკუთარი მანერა ახასიათებს და ის თვისება – მკვეთრი შტრიხებით გვიჩვენოს მოქმედი პირი ამ რომანშიც თვალნათლივ ჩანს. ავადმყოფი აკადემიკოსის პორტრეტი, ერთგან, ასე ზუსტი და გრაფიკულად მკაცრია: „სისუსტე ძალზე მორეოდა და თვალეზი, დიდი, ჭკვიანი, შავი თვალეზი ჩავარდნოდა. იმდენად ჩავარდნოდა, რომ სიგამხდრისაგან ჩაცვენულ ფოსოებში თვალეზი ისე ეწყო, თითქოს არაფერზე აღარ იყო დამაგრებული. უნებურად კაცს შიში იპყრობდა, მოხუცი არ გადაბრუნებულიყო და თვალეზი ბურთულეებით არ გაგორებულიყვნენ ლოგინში, ან იატაკზე“.

გარდა მხატვრულად ძლიერი პასაჟებისა, რომანში იშვიათად როდი შეხვდებით ფართო მკითხველისათვის ფრიად სასარგებლო დიდაქტიკურ სენტენციებს. ამგვარი საჭირობოროტო დეტალებით „სპირალი“ თავს აღწევს ამ ჟანრისათვის დამახასიათებელ, ზოგადსაკაცობრიო პრობლემადიკური ნაწარმოებებისთვის არცთუ უცხო კოსმოპოლიტიურობის საშიშროებას და ჩვენს ეროვნულ პრობლემებს მჭიდროდ უკავშირდება. აი, ამგვარი, მშობლიურ ნიადაგზე დაშვების ერთი მაგალითი: ზურაბ თორაძის მიერ შეთხზულ ანდერძს აკადემიკოსმა ხელი არ მოაწერა, გამართულად არ არის დაწერილიო, – ექიმი კარგი ბრძანდებით, მაგრამ ვერ ყოფილხარ კარგი

მოქართულე. – ხომ იცით, ძირითადად რუსულ და უცხო ენებზე გვიხდება ლიტერატურის გაცნობა. ამიტომაც თანდათან ვკარგავთ მშობლიური ენის ნიუანსებს. – ენა ერის ნამუსია, ბატონო მთავარო ექიმო, ნამუსის დაკარგვა კი არ შეიძლება.

„სპირალს“ კიდევ ერთი სასიამოვნო თვისება ახასიათებს, ეს გახლავთ კომპოზიციის სიმტკიცე, კომპოზიციისა, ასე რომ უჭირს უკანასკნელ ხანებში დაწერილ ზოგ სქელტანიან რომანს. საგანგებოდ დავაკვირდი და „სპირალში“ ვერ აღმოვაჩინე ზედმეტი, უფუნქციო სიუჟეტური ხაზები, ნაწარმოების მძაფრ სიუჟეტთან დაუკავშირებელი, თვითმიზნური ეპიზოდები, თითქმის ყოველ დეტალს თავისი ემოციური დატვირთვა და შინაარსობრივი მიზანმიმართულება გააჩნია, რაც ნაწარმოების კომპოზიციურ შენობას მთლიანობას და სიმყარეს ანიჭებს.

უაღრესად საინტერესოდ მეჩვენება „სპირალის“ მხატვრულ მხარეზე ამ ნაწარმოების ჯერჯერობით, ერთადერთი რეცენზენტის სოსო სიგუას დაკვირვება: „რომანის სტრუქტურას განსაზღვრავს აზრობრივი მოდელი, სიუჟეტის გრძობა და თხრობის ეკონომიური სტილი. შთაგონებას ცვლის გათვლის პრინციპი, ოცნებას – რეალობა, ლირიზმს – ეპიკა, სახეს – საგანი. მწერალი სინამდვილის კონსტრუქტორია... მწერალი იცავს ბუნებრივი ადამიანის კონცეფციას, ოღონდ ნეგაციის ხერხით. ამისათვის გაივლის აკადემიკოსის გონება ჯოჯოხეთის რკალებს, რათა სისხლით, სიცოცხლის ფასად გამოისყიდოს ნეიროქირურგის დანაშაული – ჭარბი ცოდნისა და რისკის შედეგი და საკუთარი შეცდომა – სიკვდილის შემდეგაც მისი სხეული მეცნიერების მსახური ყოფილიყო“ („ლიტ. საქართველო“, 7 მარტი, 1986 წ.).

რაც მთავარია, გურამ ფანჯვიკიძის ახალი რომანი დროის მძაფრი განცდილთა დაწერილი და მასში თავიდან ბოლომდე ეპოქის სუნთქვა იგრძნობა. მწერალი კარგად ახერხებს თვალეზიში ჩახედოს სინამდვილეს და სამეცნიერო ფანტასტიკის რთულ ჟანრულ ხალთაში ჩვენი ცხოვრების რამდენიმე მტკივნეული პრობლემაც წარმოაჩინოს. მხილების პათოსი, რითაც მწერალი ლახვარს სცემს კარიერიზმს, უგულო სიყვარულს, მეცნიერულ აფიორას, სამსახურებრივ ავანტიურას, სამართლებრივ სიბეცეს და სხვა მანკიერებებს, ნაწარმოებს აქტუალურს ხდის და მებრძოლი ლიტერატურის მწყობრში აყენებს.

რაც დრო გადის, დედამინა უფრო და უფრო პატარავდება. ერთგან მომხდარი უნებლიე, თუნდაც არც თუ ფართო დიაპაზონიანი

კატასტროფა, მაშინვე იძენს გლობალურ მასშტაბებს და მსოფლიოს ფიქრისა და ნუხილის საგანი ხდება. – ფრთხილად ადამიანებო, ჩვენივე ხელით შექმნილი „მეცნიერული სასწაულებით“ არ დავლუპოთ ჩვენი კეთილი, ბებერი პლანეტა! – გვესმის მწერლის შემოთვალისწინებული ხმა „სპირალის“ სტრიქონებიდან.

## ნოდარ ადგიშვილის ლექსები

ნოდარ ადგიშვილის პოეტური ბიოგრაფია ისე აენწყო, რომ მკითხველთა ფართო მასამ არც კი იცის პოეტ ნოდარ ადგიშვილის არსებობა. სამ წელიწადში ერთხელ გამოსული მისი ლექსების პატარა კრებული, ასევე პანანკინტელა ტირაჟით (2000–3000) ნოდარ ადგიშვილის პოეტურ დამკვიდრებას ბევრს ვერაფერს შველის. არადა წლები გარბიან. ასაკით მას ახალგაზრდა პოეტს ველარ დაარქმევ. ლიტერატურული მდგომარეობით და მისი ლიტერატურული ბედისადმი საზოგადოების დამოკიდებულებით იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტია. ნოდარ ადგიშვილი კი ამასობაში დინჯად და ფაქიზად აგვირისტებს თავის ფიქრს, თავისი ლიტერატურული გზის განაღდვას ცდილობს. მისი თანმიმდევრული სიჯიუტე ხანდახან ლექსშიც გაჟონავს („მე ხომ არასდროს მემეტება – შენ რად გაქვს გული დედინაცვლისა?! მაინც ამ გზაზე მივეხეტები, ხან კაცი, – ხანაც ჩრდილი კაცისა“), მისი მწერლური პროფილი თანდათანობით მეტ გარკვეულობას იძენს, მისი ლიტერატურული ჩრდილი ქეშმარიტი პოეზიის მაგისტრალზე უფრო მკაფიოდ ეცემა და მკითხველს სასიამოვნო მოლოდინით ავსებს.

...და მაინც, რაც უნდა გასწიო-გამოსწიო, რაც უნდა უკიჟინო კრიტიკის უყურადღებობას და გამომცემლობათა მომჭირნეობას, ღმერთმა ხომ იცის, რომ უჩინართა ლიტერატურული ბედი ისევ და ისევ მათს მუზაზეა დამოკიდებული. ნოდარ ადგიშვილის სახელი რომ არ ხმაურობს, პოეტის ცოტა ზედმეტი მოქალაქეობრივი თავმდაბლობის გარდა იმის ბრალიც არის, რომ მისი ხმა ექსცესებით არ გამოირჩევა. ამ წიგნის ავტორის საყვარელი ჟანრი მცირე ფორმის პოეტური ეტიუდია – ხშირად განწყობილების ერთი ნიუანსის, ერთი ფრაზისათვის დაწერილი. ნოდარ ადგიშვილის ფრაზა ენერგიულობით არ გამოირჩევა.

ვისაც არ უყვარს მხოლოდ მაჟორული ლექსი, ვისაც ხანდახან ათასი მიზეზის გამო სევდასთან შეხვედრა მოუწდება, ნოდარ ადგიშვილის ლექსების წიგნი წაიკითხოს. ამ ლირიკული ქვეყნის პარმალზე შემოგხვდებათ მისი შემქმნელის მორცხვად გაღიმებული, მოკრძალებული სახე, ასეთი მიაბიტი და უპრეტენზიო: „დამესიზმრება თეთრი ფარა, მწვანე კარავი, ცხადში კი... ცხადში ისევ ცა და ისევ არავინ... მართლა რომ მყავდეს პატარა ფარა, მართლა რომ მქონდეს სადმე კარავი“.

ნოდარ ადგიშვილის ახალ წიგნში ლექსების რამდენიმე ციკლია. ყველაზე საინტერესო მამულის ბედის პოეტისმიერი, დრამატული გააზრება გახლავთ. იმის შემდეგ, რაც ლექსების წიგნის კითხვისას დავრწმუნდები, რომ ავტორი პოეტია, მისი შეფასების მთავარი კრიტერიუმები ჩემთვის გახლავთ – რით შეენია იგი თავის ქვეყანას. ჩამორეკა თუ არა ერთხელ მაინც ერის სამრეკლოზე ზარი? ვნახოთ როგორია ნოდარ ადგიშვილის ლირიკული გმირის დამოკიდებულება თანამედროვეებისადმი: „როცა ღმერთები ჯვარზე გაკრულან, მე როგორ გითხრა: ყოფნა ტკბილია. გურამიშვილი გადაკარგულა, წინამურისკენ მიჰქრის ილია. და არც მე ველი ამ გზაზე მეჯლისს, ამ გზაზე ისევ დაჰქრის სამუმი. ძმა რომ ძმა არი, გიყურებს ეჭვით – რატომ უყვარსო ასე მამული“.

ახლა ვნახოთ როგორია ამ წიგნის ლირიკული გმირის დამოკიდებულება საქართველოს წარსულისადმი: „მიდის დავითი, ფეხის ხმა მესმის, მიდის თამარი – ფეხის ხმა მესმის, გურამიშვილის ჩამესმის ლექსი, ბარათაშვილის ჩამესმის ლექსი. ცრემლის ხმაზე ვცნობ ყველას, ვინც არი... თხელია ჩვენი ციხის კედელი, გულამდე ატანს ყველა ისარი“.

სწორედ ეს ხმა მეცნაურა, ეს ინტონაცია მომხვდა გულზე და გამაბედვინა მკითხველს ვურჩიო ყური მიაპყროს ნოდარ ადგიშვილს. ეს პატარა წიგნი გონიერი კაცისთვის ბევრს რამეს შეიცავს ყურადსაღებსა და დამაფიქრებელს. პოეზიის დანიშნულება ისიც არის – ერთხელ ნაგრძნობი გაგახსენოს, ერთხელ ნაგრძნობი გაგრძნობინოს, უმიზეზოდ გალაღებულს დარდის ღრუბელი აგიშალოს, ხოლო სასონარკვეთილს იმედი სხივად ჩაგწვდეს სულში.

ნოდარ ადგიშვილის ლექსებს როცა კითხულობ, ქვეცნობიერად იგრძნობ, რომ ცხოვრებისაგან გაღიმებული კი არა, შინაგანად დაძაბული პოეტი გესაუბრებათ. გადამდებია მისი გაუცნობიერებელი ბორგვა სასწორით ხელში მომდგარი ნემეზიდას გამო: „ცეცხლის

პირს ვწევარ ნაბალზე, ვწევარ და მძინავს დაღლილს და მესიზმრება დარებით გაჩაღებული ბალი. შიგ ფერიები როკავენ, ვინვი, ვინთები, ვქრები... დღეს არა?! ხვალე მომკლავენ ჩემი სიზმრების მტრები“.

გულწრფელი და უშუალოა ნოდარ ადგიშვილის პოეზია. ეს შესახარბებელი პოეტური სინამდვილე და კდემა ნოდარ ადგიშვილისთვის ლიტერატურული შარმა კი არ არის, ფერ-უმარული კი არ არის გულუბრყვილო მკითხველის მისაზიდად, სწორედ რომ მისეულია, ღრმად გააზრებული და ორგანული: მე მაგალითად იშვიათად წამიკითხავს შემოქმედის პერსონისადმი ლირიკული გმირის დამოკიდებულების ამგვარი მორცხვი, უპრეტენზიო გამოხატვა: „ამოდი მზეო! ამ ლამპის შუქით განათებული რაა ქვეყანა... რომ ვფიქრობ რა ვარ, – ამ ჩემს ადგილზეც ნეტავ ბალახი ამოგეყვანა“.

იშვიათად როდი წააწყდებით ნოდარ ადგიშვილის წიგნში ასეთ მაღალოსტატურ ლირიკულ მიგნებებს: „მორჩა, გათავდა ეს მყუდრო ბინა, მოდგა სიბერე გულზე ისრებით... მე განა ახლა ძილისთვის მძინავს, – არამედ მისთვის, რომ მესიზმრები“.

პოეტის ამ ახალ წიგნში კიდევ ერთი ლექსი მომხვდა გულზე: „პაპამ თქვა: ვაი სიბერეს, ვაი ხმას კართან ჯალათის. შიგნიდან გამტყდარ ციხეებს თურმე რას დავიფარავდით. ტირილს ისევ სჯობს ვიმღერებ, – საფლავს სიმღერით ჩავალო, მერე გახედა ტყის ხეებს – რა სანთლებით ჩანანო“.

ჩვენი პოეზიის ჯანმანგარ ტევრში ერთი სანთელი ნოდარ ადგიშვილსაც აუნთია. ღმერთმა დააცალოს ამ სანთელს ბოლომდე წვა მკითხველის სულის სასიკეთოდ და გასანათებლად.

1980 წ.

## წიგნი გურამ რჩეულიშვილზე

გურამ რჩეულიშვილის თვითმყოფად პროზას მისი ავტორის ტრადიკულად შეწყვეტილი სიცოცხლე ნაღვლიან ელფერს სძენს. „ალავერდობის“ ავტორის შემოქმედებას ყურადღების მიპყრობისთვის როდი სჭირდება გვერდით ჯიუტად ედგეს ოცდაექვსი წლის ტრადიკულად დაღუპული ბიჭის რომანტიკული ბიოგრაფია. სულერთია, ხვალ და ზეგ ჩვენი ხსოვნის ფურცლები გაიცრინდება და გურამ რჩეულიშვილის უული წიგნი მარტო ივლის იმ გზაზე, რაც განგე-

ბამ დაუნესა. მაგრამ არც ერთი ადრე წასული ნიჭიერი მწერლის (მათ შორის ლადო ასათიანი) პირად ცხოვრებაზე არ ულაპარაკნიათ უკანასკნელ წლებში იმდენი, რამდენიც „უსახელო უფლისციხელის“ ავტორის ცხოვრებაზე დაინერა. ამის მიზეზი ერთის მხრივ ახალგაზრდა მწერლის შესანიშნავი დებიუტიც გახლავთ და გურამის გულისხმიერი და ყურადღებანი პირადი მეგობრების რუდუნებაც. გურამ რჩეულიშვილის ხასიათის გამორჩეულ თვისებებზე დაწერილი რამდენიმე კარგი წერილის წყალობითაა, რომ დღეს მკითხველი ახალგაზრდობა დიდ ინტერესს იჩენს ჩვენი ხსოვნის ჰორიზონტზე ამ მეტეორივით ჩაქროლილი სიციცხლისადმი. მეც კი უნივერსიტეტის ერთ ჩინოვნიკს, კარგი შურით გამნითლება ყურები, როცა ლექციაზე მორჩენილი დროის შესავსებად სტუდენტებს არაერთხელ მოუმართავთ თხოვნით – გურამ რჩეულიშვილზე გვიამბეთო რამე.

ამიტომაც სასიამოვნოა, რომ ახლახან გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებაზე სწორედ ახალგაზრდულმა გამომცემლობამ „ნაკადულმა“ სერიით „ჩვენი სახელოვანი თანამემამულენი“ გამოსცა წიგნი, რომელსაც ჰქვია „მე ახლა ოცდაექვი წლისა ვარ“. წიგნის ავტორია გურამ რჩეულიშვილის მეგობარი, პოეტი და ლიტერატურისმცოდნე ნუგზარ წერეთელი.

ეს გახლავთ მოგონებების წიგნი. იგი სინთეზური ჟანრისაა იმდენად, რამდენადაც ავტორს არა აქვს პრეტენზია ამომწურავად განიხილოს გურამ რჩეულიშვილის შემოქმედება, ან სკრუპულოზურად წარმოადგინოს მწერლის ბიოგრაფია. ნუგზარ წერეთელი „ალავერდობის“ ავტორის პორტრეტს ხატავს, ხატავს საინტერესოდ და შთამბეჭდავად. პირველი სტრიქონიდანვე ნდობით და სიმპათიით განეწყობით ამ წიგნის ავტორისადმი, რადგანაც ერთი მხრით იგრძნობთ მეგობრის მიერ სტრიქონებში ჩანვეთებულ ცრემლსა და სურვილს – შთამომავლობას არ დაუკარგოს კარგი მწერლის პირადი ცხოვრების ფურცლები და მეორე მხრივ უსათუოდ დაინახავთ, რა კარგად იცის ნუგზარ წერეთელმა გურამ რჩეულიშვილის პროზა, რა ოსტატურად იშველიებს ციტატებს და დამაჯერებლად ავლებს პარალელებს მოთხრობებსა და რეალურ ეპიზოდებს შორის.

როცა მიმოვიხედე, ამგვარი ხასიათის წიგნი ჩვენს თანამედროვე მწერალზე არც კი დაწერილა (ფიცში შეიძლება არ ჩავიყოლო რ. თვარაძის წიგნი გალაკტიონზე). ამ შემთხვევაში მწერალზე მის არქივთან ჩამუხლული, ლუპამომარჯვებული მეცნიერი კი არ წერს, არამედ მეგობარი მწერალი უტყუარად და კეთილსინდისიერად გვი-

ყვება, როგორი იყო გურამი შინ და გარეთ, რა ძლიერი პიროვნება იყო, ხასიათის რა თვისებებს ავლენდა სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში, როგორი სიყვარული და სიძულვილი იცოდა. ამგვარი წიგნი მრავალმხრივია სასარგებლო. ჯერ ერთი – მკითხველს მისაბაძად გაუხდის გურამ რჩეულიშვილის ხასიათის ზოგიერთ გამორჩეულ თვისებას, ესეც არ იყოს, მწერალს ახლებურად წაგვაკითხვებს, ლიტერატურის ისტორიკოსს გაუადვილებს ამა თუ იმ ნაწარმოების შექმნის მიზეზისა და მიზანსახელობის გარკვევას. რა მდიდარი იქნებოდა ჩვენი ლიტერატურა და ჩვენი ცოდნა ბევრ ქართველ მწერალზე, რომ ნუგზარ წერეთლის მსგავსად სხვადასა აელო კალამი და თავის დიდ თანამედროვეზე ამ ხასიათის წიგნი დაეწერა. ოცდაშვიდი წლის იყო ანდრეი ვოზნესენსკი, როცა მასზე დაწერილი წიგნი გამოიცა მოსკოვში, ჩვენში კი რატომღა აუცილებელი, რომ უსათუოდ გარდაცვლილი უნდა იყო, რათა შენზე წიგნი დაიწეროს?

გარდა იმისა, რომ ამ წიგნის ავტორი გურამ რჩეულიშვილის, როგორც რაინდული თვისებით დაჯილდოებული ყმაწვილის, ეჭვმიუტანელ სახეს წარმოგვიდგენს, იგი მწერლის შემოქმედებით დაინტერესებულ მკითხველსაც არაერთ საინტერესო ცნობას აწვდის; თქვენ ნაიკითხავთ ამ წიგნში ჩართულ გურამ რჩეულიშვილის დაუბეჭდავ მოთხრობას, რომელიც ავტორს თავის დროზე ნუგზარ წერეთლისთვის უჩუქნია, ყურადღებას მიაქცევთ გალაკტიონისა და გურამ რჩეულიშვილის ურთიერთობას და „ნელი ტანგოს“ ავტორის ლექსებსაც ყალბი პანეგორიკის გარეშე, თავის ადგილას მოხმობილს ნუგზარ წერეთლის მიერ.

ამ წიგნიდან ახალგაზრდა მწერალიც ბევრ რამეს შეიძენს. თქვენ დარწმუნდებით, რაოდენ სათუთად და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა გურამი მწერლის საქმეს. როგორ იყო მასში, ასე ახალგაზრდა კაცში, უკვე ჩამოყალიბებული პროფესიონალი მწერლის თვისებები. რა კეთილსინდისიერად ეკიდებოდა სიტყვას, როგორ ცდილობდა თვით სტკენოდა, თვით განეცადა, თვითმხილველი ყოფილიყო იმისა, რაზეც წერდა. ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. სახიფათო ბილიკებზე გადიოდა, რათა მის მართალ მოთხრობებში ნამდვილი ცეცხლი დაენთო და არა სხვათაგან წამოღებული, წიგნებიდან გადმოსხატული, დეკორაციული ცეცხლი, რომელიც არც ათბობს და არც წვავს. გარდა ამისა, თქვენ კიდევ ერთხელ გაიხსენებთ, რა მაღალი შეფასება მისცა ქართველმა მწერლობამ და საზოგადოებრივმა აზრმა გურამ რჩეულიშვილს გიორგი შატბერაშვილის, ოტია

პაჭკორიას, გურამ გეგეშიძის და სხვათა, ამ წიგნში უხვად წარმოდგენილი, გამონათქვამების სახით.

ამ კარგი წიგნის მიმართ მცირეზე მცირე შენიშვნა მაინც მაქვს, ვფიქრობ, თავისი სახელოვანი ძმაკაცის გახსენებისას ნუგზარ წერეთელს ზოგჯერ ხელი წაცდება ხოლმე და ავტორის თითქმის ყველა ნოველას ქართული პროზის მწვერვალად აცხადებს. ცოტათი ტაქტსაცილებულად მეჩვენება წიგნში აგრეთვე გურამ რჩეულიშვილის წარმოდგენა მოკრივისა და დამრტყმელის როლში; ჩვენ ხანდახან ზურგს გვინვავეს ჩვენი მამლაცინობის ასაკის ზოგიერთი დღე და გურამსაც, ალბათ, ახლა – ორმოცსადაც ცილებულ კაცს სირცხვილულად გაელიმებოდა მის მიერ ჩატარებულ „ბოუბზე“. რა ასაზრდოვებს ამგვარ ინერციას? დიდი ხნის წინათ ვაჟა-ფშაველაზე დაწერილი ერთი წიგნი ნავიკითხე და ღამეები მესიზმრებოდა მოკრივის ხელთათმანებით რინგზე მდგარი „ბახტრიონის“ ავტორი, რომელიც ხან აივნიდან ყრიდა ხალხს და ხან კი მცირე შელაპარაკებისთვის გაოცებულ მოსაუბრეს უბოდიშო ალიყურს აჭმევდა. რას ჰმატებდა ვაჟას მისი ფიზიკური ძალის უტრირებულად წარმოდგენა?

ნუგზარ წერეთლის „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“ კარგად დაწერილი, გულწრფელი და შთამბეჭდავი წიგნია.

1982 წ.

## დაკარგულ სიზმართა კიეზაში

ჯემალ ჩახავას ლექსების ახალი წიგნი („მინავ ნამიანო... „საბჭოთა საქართველო“) ნავიკითხე. წიგნი რომ გამიტაცებს, ფაქიზი მკითხველის მოვალეობას ვივინყებ და იმითაც „გავითავისებ“, რომ ფანქრით მივანერ ხოლმე შთაბეჭდილებებს არეზე. ახლაც ასე მოხდა. მომიტევოს ავტორმა და ამიჭრელებია წიგნი. ზოგი ლექსისთვის მიმინერია – „ეს ხომ ჩვენი თაობის სატკივარია“, ზოგისთვის „მშვენიერი ლექს-ნოველა“, ზოგან კითხვა-ძახილის ნიშანი დამისვამს, ზოგან უბრალოდ (და ცოტა არ იყოს, ფამილიარულად) „ყოჩაღ, ჯემალ!“ მივუჩინე ჩემი საყვარელი წიგნების გვერდით ამ წიგნს ადგილი თაროზე და ორიოდ დღის შემდეგ დაახლოებით ისეთი განწყობილება შემექნა, უცნობის მოსალმებისას რომ გუუფლება ხოლმე. თავდაპირველად, რასაკვირველია, საღამოზე უპასუხებ, მაგრამ მერე,

გვერდით ჩავლილს, რამდენჯერმე მოუხედავ და შენს თავზე ბრაზ-  
დები, რომ ვერ იცანი. უცნობი კი მიდის თავისთვის, გამართული  
და ვალმოხდილი. მან თავისი საქმე გააკეთა, გიცნო და მოგესალმა  
და სულაც არ ენალვლება ახლა შენი სულის ფორიაქი – „ნეტავ ვინ  
იყო, სად შევხვედრივარ?“ როცა დავრწმუნდი, რომ „მინავ ნამიანო“  
არ იყო ჩემთვის ის წიგნი, რომელსაც თავაზიანი უცნობივით ჩავუ-  
ვლიდი, მოვიხედე, მოვუბრუნდი მას და პირველ რიგში იმ მიზეზს  
დავუწყე გონებით კვლევა, რამაც ჩემს მწირ წარმოდგენაში ეს პო-  
ეტური კრებული „ლიტერატურულად მონესრიგებული“, მაგრამ ჩით-  
ილში მონეულივით უგემური კრებულებიდან გამოარჩია. იქნებ ეს  
იყო პოეტის ფიქრებთან და კაცურ პოზიციასთან ჩემი პიროვნული  
საერთობა? იქნებ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თაობის საერთო  
ტკივილი და ამ გრძნობითვე გამოწვეული პასუხისმგებლობა, რომ  
მე მოვალე ვიყავი ჯემალ ჩახავას ლექსი ყურად მელო და ჩემი აზრი  
საჯაროდ მეთქვა? იქნებ ამ წიგნის ორიგინალური სახე, ერთმანეთის  
გვერდით თითქოსდა საგანგებოდ რომ შეგხვდებოდათ ოსტატურად მი-  
გნებული თქმა და გაურანდავი სტრიქონიც, რაც პოეტური სუნთქ-  
ვის ძალადაუტანებლობის ნიშანია? იქნებ ლექსებში გამკრთალმა  
სევდიანმა კოლხურმა მელოდიებმა მიმაბრუნეს ხელმეორედ ამ წიგ-  
ნისკენ? მე მგონი, ყველაფერმა ერთად და განსაკუთრებით თვით-  
მყოფად, ქვემარტივ პოეტურ სამყაროსთან შეხვედრის სიხარულმა და  
სასიამოვნო გაოცებამ ჯემალ ჩახავას გვარის წაკითხვისას აწი რომ  
აღარ დამტოვებს. წიგნში ერთი ასეთი ლექსიცაა:

ჟამიდან ჟამზე გასტყორცნი ისარს,  
ზუზუნმა მისმა გინდა გაგართოს,  
რომ დაუმიზნო? რას ამბობთ, მტრისას,  
შენ ისე სტყორცნი, უმისამართოდ.

ჟამიდან ჟამზე აქუხებ თოფსაც,  
შენთვის ჰაერში, ისე, უბრალოდ,  
რომ დაუმიზნო და ვინმე მოჰკლა?  
შენ დაგვიფარე მალლით, უფალო.

და ცხოვრობ ასე, უსისხლოდ შენთვის,  
საფრთხოებელა ხარ მხოლოდ სხვებისთვის,  
მადლობელნი ვართ, სხვა რაღა გვეთქმის,  
ამ ქვეყნად შენი დაბადებისთვის.

ყველაზე იოლია ამ ლექსის წაკითხვისას ცხვირის აბზუება და  
„რაო, რა მინდაოს“ ქილიკი, მაგრამ ცოტა ძნელი ხომ არ არის ქვე-  
მარტივ პოეტური სმენის მიპყრობა და ჩაღრმავების სურვილი მხ-  
ოლოდ იმისაგან, ვისაც სხვისი კარგი სტრიქონით გახარების უნარი  
ჯერ კიდევ შერჩენია? მე მომეჩვენა, რომ ამ ლექსით ლირიკული  
გმირის უაღრესად თანამედროვე, მსუყვეტრიბიანი სახეა შე-  
ქმნილი. ამ ვნებათა ჭიდილის, ურბანიზმით დაღლილი სახეების,  
მიზანმიმართული კვებების გეგმაზომიერი ზალპების დროს ერთი  
კაცი უმისამართოდ ისვრის, ისე, თავისი არსებობის დასადასტურე-  
ბლად, თორემ არავითარი სურვილი არა აქვს ამბიციური კვენსა-  
ლრჭიალის მარაქაში გაერიოს. „მადლობელი ვართ ამ ქვეყნად შენი  
დაბადებისთვის“, შენი გადამდები სიმშვიდისათვის, – ასეთია პო-  
ეტის დამოკიდებულება ლექსის ლირიკული გმირისადმი. არის ამ  
სტრიქონებში ლირიკული პასაჟის ნაცნობი სტერეოტიპი? მე მგონი  
არ არის. არის ეს ლექსი თავისი ხედვით რაკურსით და პოეტური  
ჩანაფიქრით სიახლე? მე მგონი არის.

ჯემალ ჩახავას ლექსები მკითხველის ყურადღებას იქცევს, უპ-  
ირველეს ყოვლისა, გულწრფელობით, ლაკონიზმით, მოკრძალებუ-  
ლი ინტიმურობით და სხვაგან ხაზგასმული სატირულობით. წიგნში  
ბევრი მომფერებელი სტრიქონია მშობლიური სანახებისა და სახეე-  
ბისადმი, ხმაგანაზეული გამოთხოვებაა სიჭაბუკის დღეებთან, სევ-  
დიანი მოგონებაა ჩავლილი ყრმობის თუ პირველი სიყვარულის, და  
მაშინ, როცა მინორული ხმის, საჩურჩულო განწყობილების ერთი  
აკორდი ჩამთავრდება, პოეტურ კლავიშზე მეტრძოლი კაცის ღონ-  
იერი ხელი ეცემა:

ადამიანი, მართალს ვამბობ,  
ვფიცავ, სრულიად,  
კაცის ტანჯვაში  
მხეცზე უფრო არტისტულია  
რადგანაც მაღა  
მას მხეცივით  
მოსდის ჭამაში;  
სულს ამოგაძრობს  
ლიმილით და თამაშ-თამაშით.

ამ წიგნში ჩვენი გზასაცდენილი თანამედროვის, მკითხველისათ-  
ვის ცხოვრებაში საკმაოდ ცნობილი, მაგრამ პოეზიაში ჯერ კიდევ



აღმოუჩენელი ერთი სახეა დახატული; სახე ტიპური მედროვისა და უხიაგი კარიერისტიკისა ოსტატურად შენიღბულა, ასე რომ მომრავლებულა დღეს და შემანუხებელ გარემოებად ქცეულა. ეს კრებითი პოეტური პორტრეტი ავტორის ნებით პირველივე ლექსში ნიღბის ჩამოხსნით გვეცხადება:

მე შენს ცხოვრებას  
თვალს ვადევნებ.  
როგორც ვოდევინებს,  
ავსებულნი ხარ,  
ჩემო კარგო,  
ყალბი ნოტებით.

დადიხარ ისე,  
თითქოს დიდი  
მოგეგოს ომი,  
ფაფარაშლილი  
ბრდღვინავ, როგორც  
უდაბნოს ლომი.

მაგრამ მელა ხარ,  
სულით, ხორციით,  
კიდევ სიხარბით,  
ვერას გიშველის  
ნათხოვარი  
ლომის ნიღაბი.

მერე და მერე პოეტის ხმაში სინანულიც კრთება დაკარგული კაცის გამო. ეს იმ კეთილშობილი ლირიკული გმირის სინანულია თავის ამაოდ დახარჯულ სიყვარულს და მეგობრობის დაწყვეტილ ძაფებს რომ დარდობს. მაგრამ ლექსის ადრესატის გადარჩენა დღითი დღე ძნელი ხდება, რაკი იგი არაჯანსაღი კარიერის გზაზე ასე ენერგიულად შემდგარა:

ველარ დავრჩით ძმობილებად,  
გაგიტაცა დინებამ,  
თქვენი კეთილშობილება  
ზეცას ეპოტინება.

ახლოს არაფერი არ სჩანს,  
რადგან ასე დავცილდით,  
სიტბო ჩვენი დაიხარჯა,  
ყინულივით გავცივდით.

მოხვალ ბოლოს, პატიებას  
მთხოვ ძველ, ერთგულ მეგობარს,  
შენი ერთი ატირება  
სიკვდილამდის მეყოფა.

ჩვენი დროის „გმირის“, ყალბი ფაციფუცის ოსტატის, ნაცრის გუდის ბერტყვით დროებით ფონსგასული კაცის უბადრუკი პარპაში ასეთი სატირული წინასწარმეტყველებით მთავრდება:

არაფრისგან ყველაფერი  
რად გსურდა,  
ხედავ, შენი აღზევებაც  
დასრულდა...  
დაავინწყდი შენს მტერსა  
და მოკეთეს,  
გაგაჩუმეს, მერე  
უცებ მოგკვეთეს...  
მე კი, მე კი  
მებრალეები ძალიან,  
მაგრამ შენთვის  
უკვე აღარ მცალია.

პოეზიის დანიშნულება მკითხველის გულში იმედის სხივის გაღვივება და კეთილი სანწყისის დამკვიდრებისათვის ხელშეწყობაა, ამიტომაც, რამდენადაც შეუბრალებელია სარეცენზიო წიგნის ავტორი „მეფობის მონადინე ჭინჭრაქსადმი“, იმდენად თბილი და ალერსიანია მისი მზერა სუფთა ადამიანების მიმართ:

კვლავ მოქმედებენ ბნელი ძალები,  
საოცარია მათი სიმრავლე,  
შენი ნამუსით და მოკრძალებით  
რარიგ სუფთა ხარ და გამჭვირვალე.

შენ ქვეყანაზე ცოტაც გეყოფა...  
რადგან არ გიყვარს ქნევა მახვილის,  
ყველა ჭინჭრაქას უნდა მეფობა  
ყველა არაკაცს – პრინცის სახელი.

მოთმინებას, თავმდაბლობას, მართლად სვლას უქადაგებს  
მოყვასს, პოეტი თავისი მინიატურული ლექს-სენტენციით:

არა კერპ ჰქმნა  
თავისაგან შენისა,  
თორემ ხალხი  
სიცოცხლეში შეგრისხავს.

არ განირჩე  
მავანთაგან, იცოდე  
სხვათა თვალში  
უცებ არ დავიწროვდე.

მთავარია ნიჭი  
უფრო – მიგნება...  
ყველაფერი თავის  
დროზე იქნება.

ჯემალ ჩახავას კრიტიციზმისა და პოლემიკური პათოსით გამ-  
სჭვალული ლექსებიდან ეს რამდენიმე ნიმუში ლამის უკომენტაროდ  
იმიტომ მოვიტანე, რომ ხაზი გამესვა იმისათვის, თუ რაოდენ თან-  
მიმდევრულია პოეტი თანამედროვე ყალთაბანდის მხილებაში, რა  
საინტერესო ფერები იპოვა მან ლომის ნიღბიანი მელიის სახის შეს-  
აქმნელად და იმის დასამტკიცებლადაც მოვიშველიე ეს სტრიქონე-  
ბი, თუ როგორ ჩახმასხმემართული დგას პოეტის ლექსი ადამიანის  
სულის გაკეთილშობილებისათვის დაწყებულ ბრძოლაში.

ზემოთ რომ ლაკონურობა ვახსენე, ისე, სიტყვის მასალად არ მო-  
მიშველიებია. ლიტერატურა იქ მთავრდება, სადაც აზრის სიცხადეს  
ლექსიკური საღტო-მორტალე და ფრაზით ჟონგლიორობა ენაცვ-  
ლება. ვერაფრით ამიხსნია, რატომ გაგვიხდა, ამ ბოლო დროს, სანა-  
ტრელი ნათლად ნათქვამი ლექსი და რატომ დაიპყრო პოეტურმა  
რებუსებმა ჭეშმარიტი მუზის არენა? მივიხედ-მოვიხედე და ჯემალ

ჩახავას თაობაში ბევრი როდი აღმოვაჩინე, ვისაც „მინავ ნამიანოს“  
ავტორის მსგავსად ნათლად და უბრალოდ შეეძლოს სათქმელის  
გამოხატვა. ნუ გამინყრებიან „ინტელექტუალები“, თუ ჯიუტად  
მოვეყვები იმის მტკიცებას, რომ ჭეშმარიტი ინტელექტი, უპირველეს  
ყოვლისა, სხვათა გასაგებად აზროვნებას გულისხმობს.

კითხულობ ზოგჯერ ინტელექტუალი-მეფსალმუნეს სქელტანიან  
ნიგნს და გაოცებული ხარ ავტორის გამომგონებლობით – მარტი-  
ვი რამ იმგვარი პოეტური გარნირით მოგანოდოს, რომ დაგაბნიოს  
კიდევ. დახურავ ნიგნს და, თუ მასზე წერილის დაწერა გადამწყვიტე,  
იმგვარი ციტატის მოძებნა გაგიჭირდება, ნიგნებისადმი შენი კეთილ-  
განწყობა დამაჯერებლად რომ მოაჩვენო მკითხველს. სიტყვამ მოი-  
ტანა და ჯემალ ჩახავას ნიგნში ფსევდოინტელექტუალებისადმი  
მიძღვნილი ერთი ასეთი იუმორესკაც გვხვდება:

იციან, როდის შეეპარა სურდო ჰიუგოს  
ან დიოგენემ ალექსანდრეს როგორ მიუგო,  
ომარ ხაიამს რა კავშირი ჰქონდა ლეონოსთან,  
რა მოუვიდა იმპერატორს ბოროდინოსთან,  
რამ გაიტაცა ბაირონი ან კანტი ერთ დროს,  
სად და რად თხზავდა უკვდავ ლექსებს უკვდავი რემბო,  
და ეს მოძრავი არქივები ისე დადიან,  
ფერი ნაუვა შიშისაგან ცოტნე დადიანს.  
გამზადებულნი რიგში დგანან თითქოს საჩინოდ,  
მაგრამ მთავარი, მთავარია, ძმებო, საჭირო!

კიდევ ერთი სასიამოვნოდ ხაზგასასმელი თვისება აქვს ჯემალ  
ჩახავას ლექსს – ეს გახლავთ ავტორის გამახვილებული პოეტური  
სმენა ლექსის განწყობილებისა და შინაარსის შესაბამისი რიტმის,  
მუსიკის შერჩევაში რომ გამოიხატება. მუსიკალურად ყრუ ლექსების  
ფონზე, მაშინ როდესაც ზოგი პოეტი ერთ სალექსო ზომას ჩაიხ-  
უტებს და არ ეშვება, ჯემალ ჩახავას ნიგნში რიტმი და მუსიკა ში-  
ნაარსის კარნახით იცვლება და ამის გამო ლექსის ემოციური ღირე-  
ბულება იზრდება.

პოემის რთულ ჟანრშიც უცდია კალამი პოეტს. კრებულში შეტ-  
ანილი ოთხივე ლირიკული პოემა თანამედროვის სულის კვლევისა  
და გარდასულ აჩრდილთა შთამბეჭდავად წარმოჩენის წარმატებით  
დამთავრებული ცდება.

ჯემალ ჩახავას ახალი ლექსების წიგნი ამგვარი პოეტური ავტო-პორტრეტით მთავრდება:

ხშირად რომ მხედავთ  
ასე დარდიმანდს  
და ყველაფრისგან  
მოცლილს,  
იცოდეთ ყველამ,  
ჩემი დარდი მაქვს  
და ჩემი ჟამი  
ლოცვის.

დაუხატავს ჯემალ ჩახავას თავისი დარდი, დაუხატავს ისე სა-დად და უბრალოდ, რომ ზოგჯერ გეგონებათ, ამ პოეტს ისეთი მონინებითი დამოკიდებულება აქვს პოეზიასთან საერთოდ და ისე მოკრძალებით უცქერის მკითხველს, რომ ვერ გაუბედავს მასთან შეთამამება სიტყვიერი არტისტიზმით და ფოიერვერკითო.

ან განისვენებს,  
სიმღერაში გულდანატოვი,  
დიდი სიმღერის გუთნისდედა  
ძუკუ ბატონი.

შეგატოვებს ძუკუ ლოლუაზე დაწერილ ამ რამდენიმე ძუნწ სტრიქონს პოეტი და იმის მოსასმენადაც აღარ დაგიცდის, რომ „დიდი სიმღერის გუთნისდედა“ მართლაც ასე უხდება ჩვენი ხალხური მუსიკის მეცენატისა და მოამაგის სახელს.

სხვაგან ერთსტროფიან ჩანახატში ფუნჯის ერთი მოსმით იხატება სოფლური იდილია:

აჰა, შორით ჩემი სახლი,  
გზაზე ალუჩების წყება,  
მზეზე გამოტილი ძალლი  
რქებით წამოაგდეს თხებმა.

მწერლობა სწორედ რომ ამგვარი დეტალებით აზროვნებაა და, როცა სიტუაცია მოიტანს, იმ უკვდავის და გარდაუვალის მკითხველისათვის ასე სადად, თავცემობის გარეშე შეხსენება:

ერთ დღესაც მოვა, ვისი მოლოდინით  
ასე ვიტანჯებით და ვცოდვილობთ,  
ჩვენი ვატერლოო და ბოროდინო  
ყველას გაგვაჩნია, ძმობილო!

...და ბოლოს წავაწყდი იმ სტროფს, ამ დღეების განმავლობაში ყურში რომ ჩამესმოდა. პირველი წაკითხვისთანავე დამამახსოვრდა, მაგრამ ორი სიტყვა ვერ აღვიდგინე თავში და ჩემი სიტყვებით შევავსე. დამამახსოვრდა იმიტომაც, რომ მშვენიერი პოეტური ხატის გარდა აქ მისაბადი მოქალაქეობრივი თავმდაბლობაც აღმოვაჩინე. აწი ამ სტროფს ზუსტად ისე გავიმეორებ ხოლმე, როგორც ავტორს შეუქმნია:

მე მაინც ვეძებ დაკარგულ სიზმრებს,  
ცხოვრება ჩემი, ჰორიზონტს მისდევს,  
ჰორიზონტს იქით ბაღია ერთი,  
სად პოეზიის მაღალი ღმერთი  
საბრალო ლექსებს ათვალერებს.

პოეზიის „მაღალმა ღმერთმა“ თავისი საქმე თვით უწყის, მე კი, ერთ უბრალო მკითხველს, გულწრფელად მომეწონა ჯემალ ჩახავას წიგნი.

1985 წ.

## თათბირი საკუთარ გულთან

ამას წინათ ერთი ჩემი მეგობრის ლექსები წავიკითხე. ციკლი ეხებოდა უბედურ შემთხვევას, სრულიად ულოგიკოდ რომ დაატეხა ჩემს მეგობარს ბუნებამ თავზე. ვერ გულწრფელად ვიტყვი, მერე, ცოტა არ იყოს, გავგულისდი; დავურეკე პოეტს და ვუთხარი – თუ ძმა ხარ, ამ თემაზე მეტი აღარ დაწერო, იმდენად დიდი და სერიოზულია შენი სატკივარი, რომ მხატვრული სახეების და რითმების ხუჭუჭა ჩარჩოში მოქცეული თავის წონას და ფერს კარგავს. რა თქმა უნდა, არ ვიყავ მართალი. მაგრამ, ეტყობა, რაც კითხვა ვისწავლე, იმდენი ყალბი ლექსი წამიკითხავს, რომ აგერ სად ამოატივტივა ჩემს ცნო-

ბიერებაში დალექილი უნდობლობის კვალი. მადლობელი ვარ ჩემი ერთგული მეგობრების – ნამდვილი პოეტების ნამდვილი ლექსებისა ჯიუტად რომ შეგახსენებენ ჭეშმარიტი პოეზიის ღვთიურ ვალს. ჩემს მაგიდაზე დევს ახლა მათი ნიგნები თავისუფალი ყოველგვარი ლიტერატურული კონიუნქტურისა და პომპეზური ორატორული ხარკისაგან (მით უმეტეს რომ ასეთ „ხარკს“ არავინ მოითხოვს მათგან); როცა ნიგნი ორადაა გაყოფილი და შენს მაგიდასთან ჩამომჯდარი ეჭვის კაცუნა ყურში ჩაგვყვირის – აქ იმას წერდა, რასაც განიცდიდა, აქ კი იმას, რაც უსათუოდ უნდა დაენერაო, ამ გამწვანა, „უსათუოდ დასაწერმა“ ლექსებმა ამ ბოლო დროს ნელ-ნელა დაუთმო ადგილი პოეზიაში ხალასს, უშუალოს, ბუნებრივს, გულიდან ნამოსულს. როცა ლექსი პოეტის ბიოგრაფიის, მისი სულიერი ანატომიის პოეტური ხატია და სხვა არაფერი. ერთ ასეთ ნიგნზე მინდა ორიოდ სიტყვა ვუთხრა მკითხველს. ეს გახლავთ რაულ ჩილაჩავას „მზის ჩასვლის მერე“ („მერანი“, რედაქტორი მილიცა ჯაფარიძე).

ამ ახალგაზრდა კაცმა ოცდაათი წლის ასაკში „მოასწრო“ ერთბაშად თითქმის ყველა ტკივილის გადატანა ცხოვრების გრძელ გზაზე რომ გამოუზოგავს ხოლმე ნუთისოფელი იმას, ვისაც თავისი მფარველი ხელი არ გადაუსვა ღმერთმა თავზე. ამ სტრიქონების ავტორს სენტიმენტალობა ჭირივით სძულს, მაგრამ მას სუნთქვა შეეკრა, როცა ცრემლგამშრალი მამის ასეთ სტრიქონებს წააწყდა – „კუთხეში მიყრილ სათამაშოებს ვუდგავარ, როგორც ბებერი მცველი“. რაულ ჩილაჩავამ სამშობლოს გარეთ ცხოვრების დრამატიზმი იწვინა და იქნებ ამიტომაც მხოლოდ და მხოლოდ ლამაზ სევდად როდი განიცდება მისი სიტყვები: „ვით საყვარელი დიაცის ტუჩებს, მე მივეჩვიე კიევის ქუჩებს, განელდა ვნება პირველყოფილი, კი არ განელდა, გაქვანახშირდა და ჩემს სუფრაზე, ვხედავ გახშირდა მჟაუნას ბორში და კარტოფილი“.

ნერვებაჭიმული დადის ამ ლექსების ავტორი ქვეყანაზე ათასი მიზეზის გამო გამძიმებული ნერვების ზედ ყელთან დაჭერილი ყვირილი ისე ბუნებრივად ჩატყულა ნიგნში, რომ ლექსიდან ლექსზე შიშით გადადინარ; ვაითუ ველარ მოზომოს და სადმე გადაცდეს იმ ზღვარს, რომლის იქითაც პოეზიის საყოველთაო იშლება და ავტობიოგრაფიული ნიუანსების ლირიკული სლუკუნი ისმის. „მზის ჩასვლის მერე“ წავიკითხე როგორც პოემა ერთი ახალგაზრდა კაცის ტკბილ-მწარე დღეებზე დაწერილი და როცა ჩავამთავრე, დიდხანს ვფიქრობდი იმაზეც, თუ რა ქართულია და რა მართალი გრძნობა,

რომლის გამოც ხანდახან მშობელ დედასაც წყრომის თვალთ შეხედავ. მე რომ ასე მიყვარხარ, რატომ უფრო მეტად არ მეფერებო და რა ძლიერია პოეტური ბიოდენი (ჭეშმარიტი პოეტის ძარღვებში რომ ტრიალებს) უკრაინის ტრამალებიდან თავისი ხალხისკენ გამოწვდილი ხელების მაგიური ძალით რომ მოგწუსხავს და სამუდამოდ გაგიყოლიებს.

რაულ ჩილაჩავამ ელვის სისწრაფით გაიარა ის გრძელი და მტკივნეული გზა, ლიტერატურულ თვითდამკვიდრებას რომ ეძახიან კრიტიკოსები. მეორე არსად მეგულება მისი ხნის კაცი, რომელსაც გასაოცრად მოკლე დროში თავისი კეთილსინდისიერი გულმოდგინებით ერთბაშად ორი ერის კულტურულ ცხოვრებაში დაემკვირებინა ანგარიშგასაწევი ადგილი. თუ უკრაინული ლიტერატურის თვალსაჩინო ნიმუშების ქართულად ამტყვევლებაც საკმაოდ დიდი საქმეა, თქვენ წარმოიდგინეთ, რა პასუხსაგები და განსაცვიფრებელი გახლავთ გალაკტიონი ბრწყინვალე უკრაინული ლექსებით ალაპარაკოს იმ კაცმა, რომელმაც უკრაინული სიტყვა პირველად ოცდაორი წლის ასაკში გაიგონა და ახლა მხოლოდ და მხოლოდ სამი ათეულისა გახლავთ.

ახლა, როცა ჩვენი ნიგნის თაროს რაულ ჩილაჩავას ყველაზე სრული პოეტური კრებული შეემატა, მე მთელი პასუხისმგებლობით უნდა განვუცხადო მკითხველ საზოგადოებას და თვით ავტორსაც, რომ მისი მთავარი საქმე პოეზიაა. იგი ლექსის მწერლად მოუვლინა თავის ხალხს ბუნებამ და თუ მთელ თავის ძალასა და გულისთქმას ამ გოლგოთის მსგავს ასპარეზზე დახარჯავს, დიხაც შეძლებს თავისი ნიგნი დადოს ქართული პოეზიის უმდიდრეს საგანძურში, თავისი პოეტური მონეტა მოჭრას და თავისი კვალი დატოვოს.

რაულ ჩილაჩავა კი არ თხზავს, ხატავს. მის ლექსს კომპოზიციური თვალსაზრისით დასაწყისი და დასასრული არ გააჩნია. ყოველი ლექსი თითქოს ახლახან შეწყვეტილი საუბრის გაგრძელებაა. მე მგონია სწორედ ეს ინტონაციური უშუალობა ანიჭებს სარეცენზიო ლექსებს სიტბოს და სინაზეს, რომლის გარეშეც მკითხველის ყურადღების მიპყრობა ძნელია.

ლირიკული დღიურებია-მეთქი რაულ ჩილაჩავას ლექსები რომ ვამბობ, აქვე ვგულისხმობ იმასაც, რომ ეს არ არის აბსტრაქტული, ცაში მოფარფატე ფანტელებივით უცხო და მსუბუქი პოეტური ფიქრი. პირიქით, ლირიკული გმირი ხელშესახებად კონკრეტულია და მზარდად ცვალებადი – „რაც ოცდაშვიდის შევსრულდი, წლები

მიჰქრინან, თითქოს აჩქარებთ ვილაც. სამაგიეროდ, სახეს და ნიღაბს სულ უფრო უკეთ ვარჩევ და ვხვდები“. თანაც რაულ ჩილაჩავას ლექსებს ორჭოფული ფსევდოსუბიექტური განსჯა-საფუძველი კი არ კვებავს, არამედ ავტორის მყარი და ღონიერი პოზიცია: „ნუ მიენდობი ალჩუს და თოხანს, ნუ დაანებებ მარჯვენა ლოყას თუ მარცხენაში გაგანწეს სილა, რადგან არავის მონური თმენით არ შეუნახავს ვაჟკაცის გენი...“ ეს პოზიცია ჯიქური და გულუბრყვილო კი არ არის, არამედ კდემითა და მოკრძალებით დაყურსული; „ზოგჯერ მგონია, ცხოვრება ჩვენი არის ჯიუტი თავის მართლება, რომ ჩვენ შემთხვევით არ მოვსულვართ ამ ქვეყანაზე“.

თუ ზოგჯერ რაულ ჩილაჩავას ლექსს სევდა და ცრემლი ეძალება, მაშინაც არ ეშვება მისი ფიქრი სასონარკვეთის მრუმე ჭაობში, მაშინაც კი გაკრთება „ნუთისოფლის უვადო ყაჩაღთან“ გაუთავებელი ბრძოლის შეგნება და თქვენ წინაშე წარმოსდგება სიცოცხლისადმი, ძიებისა და ჭიდილის თავსატეხისადმი აქტიურად განწყობილი ლირიული გმირი: „ჯანდაბას, ვივლი! თვალს ახარებს მწვანე ნარგავი (აღბათ იმედი დაიბუდებს თანდათან ხმაში!..) თქვენ ის მითხარით, სად წავიდე, რალა ვქნა მაშინ, როს არაფერი არ დამრჩება დასაკარგავი?!“

ახალგაზრდა პოეტი უპირატესად რითმიან ლექსებს წერს. სიტყვას პასუხისმგებლობითა და იუველირის სიფაქიზით ეკიდება. ცდილობს ზედმეტად არ მიიპყროს მკითხველის ყურადღება. მისი ხელწერა ხან კონკრეტული და ფერწერულია („ვით შემოდგომის წვიმაში პალტო, მძიმდება ტანი დღიური ტვირთით“) ხან კი ეროვნული, მაგრამ გამჭვირვალედ სიმბოლური „ქართლია ირგვლივ... სოფლებს აქაურს დაჰკრავს იერი ღვთის აგარაკის და ბრძნული ენით საბას არაკის ებასება ცას სააქაო“...) იშვიათად ცოტა არ იყოს, მოძველებულ ალიტერაციულ კეკლუცობასაც შემოგვაპარებს („მოცვივა ციდან მარცვალ-მარცვალ, როგორც ცირცელი, ცინცხალი ცვარი, გაცრეცილი სივრცის წყალობა“).

პირველი ნაბიჯები გადადგმულია. „მზის ჩასვლის მერე“, სპორტული ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, სერიოზული და საიმედო განაცხადია, იმათთვის ვისაც ჭეშმარიტი პოეზიის მადლისა და ძალის შეგრძნების უნარი მიაწიჭა ბუნებამ. ახლა მთავარია ქართული ლიტერატურის ნოყიერ ანეულში ჩაგდებული ამ ჯანსაღი თესლის გაღვივება და გაძლიერება, მთავარია არ მოწყდე მშობლიურ ნიადაგს, არ გაუუცხოვდე დედა ენის წიაღს, პოეტური აზროვნების ეროვნულ

მანერას არ გადაშორდე... თუმც ჩემი შეგონებანი რა საჭიროა პოეტისათვის, რომელიც თვითონვე წერს თავის ამ დრამატიზმით სავსე საინტერესო ნიგნში: „მხოლოდ ჭეშმარიტს და მხოლოდ მართალს და მხოლოდ ქართულს ვარ მინდობილი“.

1983 წ.

## ჩვენ საქართველოსთან ვართ...

ამას წინათ ერთ საკმაოდ რიგიან დარბაზში ლიტერატურულ შეხვედრაზე მსმენელებს ასეთი შეკითხვა დავუსვი:

– ქართველი მწერლის რომელმა ნიგნმა აგაღელვათ, ან ჩაგაფიქრათ ამ ბოლო დროს?

მოველოდი, რომ აუდიტორიაში ხელების ტყე აღიმართებოდა. დაიწყებოდა უთავბოლო ჩამოთვლა ამ ბოლო ხანს გამოქვეყნებული საყურადღებო თხზულებებისა. სიმართლე გითხრათ, ბოდიშის მოხდასაც ვაპირებდი ჩემი ნაჩქარევი და, ცოტა არ იყოს, მონაფური შეკითხვის გამო. თქვენც არ მომიკვდეთ, დარბაზი გაისუსა. ერთი-ორი საიდუმლო გადალაპარაკება და ყველანი მონუსხულებივით მომაჩერდნენ. შეძრწუნებული დავრჩი. (ვივამ ოფლმა დამასხა. როგორ? ასამდე კაცი მაინც იქნება ამ დარბაზში, იქნებ კითხვა დავსვი უჩვეულოდ?

– მაპატიეთ, მაგრამ რა ნიგნმა მიიქცია თქვენი ყურადღება ამ ბოლო დროს? – წინა რიგში მჯდომ ახალგაზრდას ვთხოვე, ეპასუხა.

ერთი ქართულად სუსტად თარგმნილი უცხოელი მწერლის რომანი დამისახელა და დაჯდა.

ვიგრძენი, რომ ჩვენი ლიტერატურული დიალოგი არ შედგებოდა. არა და ღმერთი, რჯული, აქეთკენ დიდი იმედებით მოვიჩქაროდი, დანესებულებაც ფრიად სოლიდური გახლდათ და მსმენელებსაც ერთი გადახედვით, ცუდს ვერაფერს დასწამებდი.

უხერხულობისგან ფანჯარასთან მჯდომი, შუახნის კაცის, მთელს აუდიტორიაში ერთადერთმა აღმართულმა ხელმა გვიხსნა.

– ბრძანეთ, ბატონი.

– იცით რა, ყურადღება კი ბევრმა ნიგნმა მიიპყრო, მაგრამ აღელვებაზე და ჩაფიქრებაზე რა მოგახსენოთ. კითხულობ ამ ბოლო დროს დაწერილ ზოგიერთ სამასგვერდიან ნიგნს და გიჭირს გაგება,

რისთვის დაწერა იგი პატივცემულმა მწერალმა. დედააზრს თავი დავანებოთ, შინაარსის გაგებაც გიჭირს. ძალიან გთხოვთ, ვირისყურება კაცად ნუ ჩამთვლით; „დიდოსტატის მარჯვენა“ და „ჯაყოს ხიზნები“ ლამის ზეპირად ვიცი.

მერე მე ავიღე სიტყვა და ვილაპარაკე იმაზე, რაზეც ჩემი ხელობის კაცს ასეთ დარბაზში უნდა ელაპარაკა. ვთქვი, რომ წიგნის პროპაგანდის საქმე, როგორც ჩანს, კარგად არა გვაქვს დაყენებული, საჭიროა ინფორმაციის ორგანოებმა სწრაფად მოიტანონ თქვენამდე, რაც კი საინტერესო შეიქმნება სიტყვაკაზმულ მწერლობაში. ჩვენ, მწერლები გპირდებით, მომავალში ვეცდებით უფრო დაგამახსოვროთ თავი, საერთოდ კი მთელი პასუხისმგებლობით მოგახსენებთ, რომ საქართველო ამჟამად დიდი ლიტერატურული ცხოვრებით ცხოვრობს, ბევრი კარგი, მართალი ნაწარმოები იწერება და უფრო გაფაციცებული უნდა გქონდეს ყურადღება. ახლანდელი ლიტერატურა მაღალგემოვნებიან მკითხველს გულისხმობს. მოძველებული მწერლური მეთოდებით უკვე აღარ სწერენ, ახლა ქვეტექსტებით ლაპარაკი მოდაშია და იქ ალეგორიებს, ქვეტექსტებსაც უნდა ჩაუკვირდეთ-მეთქი. საერთოდ კი, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს (ისევე ქართულმა ანდაზამ მიშველა); ბოლოს რამდენიმე გახმაურებულ ქმნილებაზე ვილაპარაკე და დავამთავრე.

იმ საღამოს, როგორღაც მოვახერხე ნემსის ყუნწში გავმძვრალიყავ, ძირითადის და მთავარისთვის თვალი ამერიდებინა. მი და მომელაპარაკნა. არც მწვადი დამენვა და არც შამფური, მაგრამ შინ რომ დავბრუნდი, ადვილად ასახსნელმა სევდამ შემიპყრო. სიბრაზისაგან პირი მიშრებოდა – ვის უფრო დიდი ბრალი მიუძღოდა ჩემ შეკითხვაზე დუმისათვის? მერე ჩემს თავს მივუბრუნდი: – შენთვის, შენთვის რომ დაესვათ ასე სახელდახელოდ მსგავსი შეკითხვა, განა შენ კი, თანამედროვე ლიტერატურის სპეციალისტად რომ მოგაქვს თავი, ამ ბოლო ხანს დაწერილ ბევრ ნაწარმოებს დაასახელებდი, რომელმაც აგაღელვა, აგაფორიაქა, სერიოზულად ჩაგაფიქრა, შენ წინაშე მდგარ ზოგ თავსატეხს ახსნა მოუძებნა, ან უბრალოდ გულზე მოგხვდა და მოგესალბუნა!

„ბოლო ხანში“ რას გულისხმობთ, მკითხავს დაზუსტებისმოყვარული ჩემი კოლეგა, იმის ფიქრით, მანდ ჩემს „გახმაურებულ“ წიგნსაც ხომ არ გულისხმობსო. ვიყოთ ლოიალური და „ბოლო ხანად“, თუნდაც, უკანასკნელი ორი წელი მივიჩნით.

ერთ პაპირუსზე არ დაეტევა მარტო ჩამოთვლა იმისა, რა პრე-

მიები, ჯილდოები და სიგელ-გუჯრები მივიღეთ და გავეცით ამ ბოლო დროს ჩვენი ლიტერატურული დამსახურებების წარმოსაჩენად, მაგრამ ერთი წუთით ანი მაინც გავიხსენოთ ის დარბაზი, სადაც შეკითხვაზე – რომელმა წიგნმა ჩაგაფიქრათ ამ ბოლო დროს, არც ერთი ხელი არ აღმართულა.

შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ თითქოს შემთხვევა, რომელზეც მე მოგახსენეთ, ტიპური იყო მწერლისა და მკითხველის ურთიერთობის დასახასიათებლად. თუ ვინმე ამის მტკიცებას შეეცდება, ჩვენი საუკეთესო მწერლების სამუშაო მაგიდებზე დახვავებულ მკითხველთა გამომხაურებებზე მივუთითებ, მაგრამ არა მგონია არ ღირდეს დაფიქრება იმაზე, რაც ჩვენი ზრუნვის ერთ-ერთი უპირველესი საგანია – გვისმენენ თუ არა გულისყურით ჩვენი მკითხველები და ველაპარაკებით თუ არა მათ ისე, რომ მოგვისმინონ.

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრთა რიცხვმა კარგა ხანია ხუთასს გადააჭარბა და განსაკუთრებით ამ ბოლო წლებში ჩვენი რიცხვი გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. ვერ ვიტყვი, რომ მწერალთა კავშირის რიცხოზობრივი ზრდა ყოველთვის ობიექტური კრიტერიუმებით ხდებოდეს, მაგრამ ამჟამად, დელიკატური მოსაზრებით, ამის განსჯაში არ შევალთ. მხოლოდ იმის თქმას დავჯერდებით, რომ მწერალთა კავშირის წევრთა ერთი ნაწილი კარგა ხანია, საგულისხმოს თითქმის აღარაფერს სწერს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ძალიან საეჭვო კავშირი აქვს მწერლობასთან, ხოლო მწერალთა კავშირის „მოქმედ წევრისაგან“ ბევრი ვერ დაიკვებნის მკითხველის ფავორიტობას კი არა, უბრალოდ, მისი ყურადღების ცენტრში ყოფნას.

ჭეშმარიტი მწერალი ის პიროვნებაა, ძვირფასო მკითხველო, რომელსაც ერის წინამძღოლისა და მისი უკეთესი მრჩეველის მისია უკისრია და რასაკვირველია, ყველა მუშაკზე ნაკლებად ითხოვს მოკვდავთაგან დაფნის გვირგვინებს თუ წამახალისებელ ფურცლებს. მან მშვენივრად იცის, რომ, როცა წახალისების ფორმების განაწილებას „არის აზრი“ ან „ამ პრემიას მე ავიღებ“ ახლავს, იქ პავლე ინგოროყვასთვის (და კიდევ რამდენიმე ჩუმი მოღვაწისთვის) ადგილი აღარ რჩება. და ერის სულიერი მამები სულგრძელებად მოგვიტყევენ ჩვენ ამ ცოდვებს, მაგრამ იმას კი არ გვაპატიებს მათი ნათელი ხსოვნა, რომ საქართველოს ინტერესები ჩვენს მერკანტილურ სურვილებს ვანაცვალოთ.

...რომ წამდაუნუმ მოჩანდე ეროვნულ ტრიბუნაზე „გულის მოსაფხანი“ (ილია!) კი არა, უმწიფარი პანეგირიკული სიტყვებით და

სიმართლის თქმის მომლოდინე მკითხველს პიტნასავით სწრიდე ცხვირში უცხოეთში გამოცემულ შენს „ან გარდასულ“ თხზულებებს.

...რომ ინტერვიუებით და დაპირებებით ათეული წლების განმავლობაში აპურებდე ლოდინით დაქანცულ მკითხველს და კლასიკოსის ჩიბუხმომარჯვებულ მადიდასთან კი არ აღამებდე, არამედ თავაღერილი იდგე იქ, სადაც შენი მწერლური პოზიციით ყველაზე ნაკლებად გეკუთვნის დგომა, ...გამჩენმა ჭეშმარიტი მწერლის ალლო და თვალი დაგაყოლოს. ყოველ წელიწადს თითო რომანს აცხოვრებ და სწორედ შენი მაღალი პროფესიონალიზმის წყალობით ოსტატურად გაურბოდე თანამედროვეობის პრობლემებზე გაბედულად წერას, რომ მთელი შენი მწერლობა ცხოვრებაზე დაკვირვებით კი არა, ლიტერატურული რემინესცენციებით საზრდოობდეს და ერისთვის საჭირო შენს ძვირფას ნიჭს ეპიგონურ რომანებზე ფლანგავდე.

...რომ მთელი ცხოვრება ლიტერატურულ ექსპერიმენტებში გაატარო, სახეზე ყალბი ღიმილის კვალით და მისალმებისას ჯიბიდან ხელების დროული ამოღებით სასურველი სტუმარი იყო მავანთა და მავანთა რბილკარებიანი კაბინეტებისთვის, წერდე ლექსსაც, მოთხრობასაც, რომანსაც, პიესასაც, დილექტანტურ წერილებსაც და შენი ორმოცდაათი წლის პარმალზე ერთბაშად გაირკვეს, რომ თურმე ვერაფრით დაგიმახსოვრებია თავი საქართველოსთვის და თუმცა შენს „რჩეულში“ რაც შეგიქმნია ყველაფერი შეგიტანია, მაინც ხელუხლებელი დარჩენილა ეს „რჩეული“ შენი რჩეული მეგობრების წიგნის თაროებზეც კი.

ლიტერატურის ისტორია გვიამბობს, რომ ჩვეულებრივად ასე ხდებოდა: პირველ რიგში მწერალი – ერის სულიერი მამა და უპირველესი ჭირისუფალი, აღიმალლებდა ხმას და ქვეყანას განუცხადებდა: ძველებურად ცხოვრება აღარ შეიძლებაო. დასამალი არ არის, იყო წლები, როცა მწერალს ეს ისტორიული მისია წართმეული ჰქონდა. მისგან მაინცდამაინც გულწრფელობას არ მოითხოვდნენ და ყოველნაირად უშლიდნენ ხელს იმ სამრეკლოზე ასულიყო, საიდანაც ერის საუკეთესო შვილები გამოლვიდებისა და განახლების ზარებს არისხებენ. ამ ბოლო დროს კი ყველანი – ერიცა და ბერიც ერთსულოვნად ვაცხადებთ, მოშვებულობის, გულგრილობის, ნაკლოვანებებისადმი ნაყრუების დრო წავიდა და სხვაგვარი ცხოვრებისათვის დავირაზმოთო. კარგა ხანი დავყავით ჩვენ – მწერლებმა ისე, რომ ხელისუფლებისა და მწერლის სურვილი ასე ერთსულოვანი არ ყოფილა. ჩიტი ხელის აქნევას ელოდაო, ამ ხმამ წელში გაგვმართა და ჩვენი

ეროვნული საქმეების საკეთებლად ახალი ძალით აგვანთო. სიმართლეს თვალში შევხვდეთ და სწორედ ამის გამოა, რომ საქართველო გულმოდგინედ უსმენს თავის მწერალს, მისგან მოელის განსჯითა და ცოდნით სავსე საუბარს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მოელის სამომავლო გზების ჩვენებას. და ჩვენ უფლება არ გვაქვს ცუდად ვწეროთ, უფლება არა გვაქვს ხალხის ნდობა და იმედები არ გავამართლოთ, სიმართლის თქმის პათოსი, კრიტიციზმი და ქართველი მწერლის ავტორიტეტის არნახული ამაღლება მიმანჩნია ბოლო წლების ლიტერატურული ცხოვრების საგულისხმო ნიშნად.

მაგრამ, მოგეხსენებათ, ავტორიტეტის მოპოვებაც შეიძლება და მისი დაკარგვაც. ჯერ კიდევ დიდი რუდუნება გვმართებს და არაერთი ხელისშემშლელი ბარიერის გადალახვა – მწერალმა ერის წინაშე თავისი საშვილიშვილო ვალი რომ ღირსეულად მოიხადოს. აქედან მხოლოდ ორ საკითხზე მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება:

პირველი წინააღმდეგობის მიზეზი თვით ჩვენშია. ზოგიერთ მწერალს არასწორად ესმის თავისი, როგორც ქვეყნის მხატვრული მატრიანის შემქმნელის ფუნქცია. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჩვენი ყველა სტრიქონისათვის ისტორიის წინაშე და ჩვენი ყოველი „ლიტერატურული ამჩატება“ მომავლის მიერ მკაცრად იქნება განსჯილი. მწერალი უნდა ფიქრობდეს არა მარტო იმაზე, თუ რას იტყვიან მის ნაწერზე მისი პირადი მეგობრები, არამედ იმაზე (და უპირველეს ყოვლისა იმაზე), თუ რას იტყვიან ამ ჩვენს ნაწერზე ოცდამეათე საუკუნეში. ამ მაღალი გადასახედიდან კი ბევრი ჩვენი ქმნილება როდი გაუძლებს ისტორიის გამოცდას. მკაცრი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ კონიუნქტურულ ლიტერატურას. ეს ნაკლი განსაკუთრებით პუბლიცისტიკაში შეიმჩნევა. ლამის გაივსოს ჩვენი ჟურნალ-გაზეთები პომპეზური, მამებლური, ყალბი ნარკვევებით და რეპორტაჟებით. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ზოგ ჩვენს მეგობარს საქართველო დაყოფილი აქვს თავისი გავლენის სფეროებად. ამოუჩემებია თითო რაიონი და არ იშურებს მის ხელმძღვანელთა მიმართ დამსახურებულ თუ დაუმსახურებელ ხოტბა-დიდებას. მწერალმა მეტი პატივი უნდა დასდოს თავის სიტყვას. იგი ობიექტურად, საქმიანად უნდა მსჯელობდეს ღირსება-ნაკლოვანებებზე, დინჯად, როგორც კახელები იტყვიან, მძიმედ უნდა ამბობდეს თავის სათქმელს. არ ევალება მას ვისიმე არამკითხველ მეხოტბეობა. უკეთეს შემთხვევაში იგი ერის პოტენციის, საყოველთაო შემართების მეხოტბედ მოაგვლინა ბუნებამ.

მეორე ხელისშემშლელი მიზეზი სამნუხაროდ, მწერლის შესაძლებლობების მიღმაა. უნდა ითქვას, რომ ზოგი მკითხველი არცთუ იშვიათად მწერლის ნაშრომს „ახლოით განჩხრეკის“ ზედმეტად გულმოდგინე პრინციპით უდგება. საეჭვოდ გამადიდებელი შუშით იქექება ჩვენ ნაწერებში. სამნუხაროდ, ამ „ზოგ მკითხველში“ ხანდახან ისეთიც გამოერევა, ვისაც მწერლის ლიტერატურულ ბედზე გარკვეული გავლენის მოხდენა შეუძლია. არ შეიძლება, ლიტერატურულ ქმნილებას ქორის დონეზე განვიხილავდეთ. არ შეიძლება, ზედმეტად გავგულისდეთ და ვიმკითხოთ: ვის გულისხმობდა მგელსა თუ დათვში მავანი მწერალი. არ შეიძლება გამადიდებელი შუშით ვუცქიროთ მხატვრულ ქმნილებას იმ იმედით, იქნებ რაიმე საეჭვო აღმოვაჩინოთ. თუ ზოგჯერ „მწარე სიმართლეს“ იტყვის ქართველი მწერალი მხოლოდ კეთილისმყოფლის მანტიით და იმის შეგნებით, რომ ჩვენს საზოგადოებრივ წინსვლას გოგოლები, ჩეხოვები და დავით კლდიაშვილები დღესაც არანაკლებად სჭირდება. საერთოდ კი, ვაჟას ბრძანებისა არ იყოს: „ვერ მაანონებთ კარგს ყმასა, რაც არ უჯდება ჭკვაშია“.

რაზეც ახლა მოგახსენებთ, მეორეხარისხოვანი პრობლემა სრულიადაც არ გახლავთ. იქნებ ეს ორი მიზეზი იყოს თავი და თავი იმისა, რომ ზოგჯერ მწერალი და მკითხველი გაღმა-გამოღმა ვრჩებით და ერთმანეთისთვის ხმა ვერ მიგვიწვდენია? პირველ შემთხვევაში კაცთა უსაფუძვლო მომადლიერების, სახელის იოლად განთქმის ჭია შეუჩნდა ჩვენს კოლეგას და აღავლინა უნაპირო ქება-დიდება, მით უმეტეს, რომ მოუთოკავი ხოტბისთვის ჩვენში საყვედურს არავინ გეტყვის. საკმარისია ოდნავ მოადუნო პასუხისმგებლობის გრძნობა და ყველაფერი იოლად წავა. ათასწლეულებსაც ადვილად გადასდებ ხელს და შედარებებსაც უწყალოდ გასცემ შენი ათასგვერდიანი პანეგირიკული წიგნის დასამშვენებლად. მე მეორე შემთხვევა უფრო მადარდებს: ზედმეტი სიფრთხილე ჩვენი ლიტერატურული ორგანოების თანამშრომლები რომ იჩენენ ზოგჯერ, აბსოლუტურად აუხსნელ, გაუმართლებელ ფორმას იღებს. თანაც ეს ასოკირკიტობა ყველა მწერალთან მიმართებაში ერთნაირად როდი ვლინდება. ხანდახან გაიფიქრებს კაცი – ვის იცავენ ვისგან? განა ჩვენ ყველანი ერთად არა ვართ? ჩვენი საერთო საქმისთვის შეძლებისდაგვარად არ ვიღვნით? განა ხელში ავიღებდით კალამს, რომ მოყვარის სულის განწმენდისა და გაფაქიზების უკეთილშობილესი მიზანი არ გვამოძრავებდეს?

ზის „ფხიზელი“ ჟურნალისტი-ჩინოვნიკი ზოგიერთ რედაქციაში და თვალმოუხუჭავად უდევს მარჯვენა ხელი ყველაფრის გამასწორებელ, ყალბ კრიტიკულ უთოზე. მერე წლების განმავლობაში ამგვარი „კეთილმოსურნის“ გადამკიდე მწერალიც იღლები (ეს განსაკუთრებით ახალბედა ავტორებს მოსდით) და ჯერ სრულიად ზედმეტ ბუნდოვანებას ააფარებ შენს სტრიქონებს, მერე კი თანდათანობით (და ეს დამლუპველია) მეუთოვე-კრიტიკანის აზრებზე გადააწყობ შენი ჩანგურის ლარებს. ეს ყველაფერი შენი ნება-სურვილის მიუხედავად, ქვეცნობიერად ხდება. ვერც კი გაიგე, როგორ შემოგეპარა მხრებზე უსაგნო სიფრთხილის ჭინკა და როგორ მოგხვია ყელზე თავისი სლიპინა თითები. ხმას არ ამოვიღებდი, ეს რომ ოფიციალური ლიტერატურულ-ფილოსოფიური აზრით დასტურით ხდებოდა. არამც და არამც! პირიქით, ჩვენ სწორად გვეუბნებიან, რომ „აგდებულ, ქედმაღლურ ტონს, კომუნისტურ ყოყოჩობას არსად არ მოაქვს იმდენი ვნება, რამდენიც კულტურის მოღვაწეებთან ურთიერთობაში“ (ე. ა. შევარდნაძე, მოხსენება საქ. კპ XXVI ყრილობაზე) გაუმართებელი, შემანუხებელი „სიფხიზლე“ ზოგი განყოფილების გამგის მიერ სკამის დაკარგვის შიშითაა მხოლოდ და მხოლოდ გამოწვეული და საერთო საქმისთვის კი დიდი ზიანი მოაქვს. მერე მოვა მკითხველი, რომლისთვისაც უცხოა ჩვენი ლიტერატურული სამზარეულოს კუთხე-კუნჭული და სრულიად სამართლიანად იტყვის: იქნებ ცოტა უფრო ნათლად, გასაგებად, მისაწვდომად წეროთ, შეილოსა. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მაგრამ მე შესანიშნავად მესმის ჭავჭავაძის, ჩეხოვის და კლდიაშვილის, და რა გახდა ეს თქვენი ნაწერი, რომ საფეთქელზე ხელების მოჭერითაც კი ვერ ჩავწვდით. დაბეჯითებით ვაცხადებ ყველა „წინდახედული“ მოხელის გასაგონად, რომ ჭეშმარიტი მწერალი დღედაღამ თავისი ხალხის ცხოვრების გალამაზებაზე, მის წინსვლასა და აღორძინებაზე ფიქრობს, მისი საქმე და ოცნება ერის უკეთეს შვილთა საქმესა და ოცნებასთანაა და ნურავინ ეცდება არამკითხე გადიის როლი შეასრულოს. დატოვეთ მწერალი მარტო თავის ღვთიურ ფიქრებთან, „ნუ გეშინიათ არ გავნებთ“ მისი მართალი ხმა. მიეცით მას საშუალება თავისუფლად ელაპარაკოს საუკუნეებს, შექმნას ჩვენი ყოველდღიურობის მართალი მხატვრული მატთან და მომავალს დაანახოს თანამედროვეთა გმირული შემართება, დაანახოს ვინ ზრუნავდა მამულისთვის და ვინ იყო თავის სტომაქს ჩაჭიჭინებული, ვინ იგუბებდა პირში წყალს და „მტერზე ვინ უფრო ჰყოდა“.



და მაინც რას უნდა მიაქციონ უმთავრესი ყურადღება ჩემმა ახალგაზრდა კოლეგებმა და იქნებ ძველგაზრდათაგან იმათ მაინც, დღემდე რომ ვერ გაურკვევიათ მიზეზი მკითხველის ნელთბილი დამოკიდებულებისა მათი წიგნებისადმი, პირველი – ეცადონ ემოციური გახადონ ნაწარმოები. ემოციური იყოს ყველაფერი მასში – პრობლემა, აზრი, ფორმა. მკითხველი მიიზიდოს და გაიყოლიოს, თორემ დააბიჯებს მოთხრობიდან მოთხრობაში, ლექსიდან ლექსში უღიმღამო, უფერხორცო, რომელიღაც ბულვარული რომანიდან ნასესხები პერსონაჟი, ვერ გაუგებ ვინ არის, რა აწუხებს, რისთვის შემოეხეტა, რას ებრძვის, რას ამკვიდრებს. მთელი წიგნი ზოგჯერ დიდი ექსპოზიციას, კითხულობ და ფიქრობ: აი, ახლა დამთავრდება ეს მოსაწყენი იდილიები და დაიწყება ნამდვილი ცხოვრება, ნამდვილი ვნება. თქვენც არ მომიკვდეთ. ჩაამთავრებთ წიგნს და გრჩებათ უამური განცდა იმისა, რომ თქვენ მოგატყუეს, გაგაცურეს. თქვენთვის ჭკუის საზრდო-სათქმელი კი არა, უბრალოდ, ასე ძვირფასი დროის წართმევის უცნაური სურვილი ჰქონდათ.

მეორე და აუცილებელი, რაც ჩვენი ნაწარმოებების დიდ ნაწილს აკლია, ეს გახლავთ აზრის სიცხადე, ანუ მწერლის ნათელი პოზიცია. დაგვალა ლიტერატურულმა რებუსებმა. არსებობს ეზოპეს ენაც, მაგრამ ხომ არ შეიძლება შენვე დაგაბნოს შენმა თხზულებამ და თოვლით ნაშენები ფილოსოფიური ლაბირინთიდან გზა შენვე ვერ გამოიგნო. პოზიციის ქვეტექსტში ჩადებაც პოზიციაა უკვე, მაგრამ ამკარა უპოზიციობას კი თავისი სახელი ჰქვია. ნუ დაუწყებთ ცაში პრობლემების ძებნას, ისინი ჩვენ გვერდითაა, ჩვენ ყოველდღიურობაშია. ნუ გამოვეკიდებით ლიტერატურულ მოდის „ჭრელაჭრულას და ჩვენს მამაპაპურ ანეულს ნუ დავივიწყებთ. არსებობენ ზოგადსაკაცობრიო ლიტერატურული თემები და ერის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი, მისი ტრადიციით განმტკიცებული, დედენასავით ტკბილი მოტივები. ასეთი ჩვენი ლიტერატურისთვის ეროვნული გრძნობის გაღვივება პატრიოტული მოტივია, ეს მოტივი არ ბერდება და, როგორც ჩანს, საჭიროა ჩვენს შვილებს ხშირად მოვაგონოთ, რომ არსებობს ყველაზე მაღალი და წმინდა რამ ქვეყნად – შენი სამშობლო.

ეს პატარა ლიტერატურული საუბარი ყველაზე ნაკლებად სჭირდება იმას, ვისაც გულის ფიცარზე მწერლის უმაღლესი მოვალეობა უწერია; სწორედ რომ ისინი წარმოადგენენ დღეს ჩვენი მწერლობის სინდისს და ერის ღირსების საგუშაგოზე თვალმოუხუჭავად დგანან.

სწორედ მათი ხმა ჩამესმის ახლა ყურში და მეც ვბედავ გავიმეორო იმათ გასაგონად, ვისაც გავკადნიერდი და გამოფხიზლებისკენ, თავის თავთან დაბრუნებისკენ მოვუხმე, რათა ყველამ ერთად, ერთი ეროვნული დროის ქვეშ მდგართ თავანუელად გავიმეოროთ საუკუნეთა ნიალიდან დარხეული – ჩვენ საქართველოსთან ვართ!

1984 წ.

## ქართული სოფლის ეპოპეა

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ რომან „ნატვრისთვალის“ მეორე წიგნი გაასრულა. ჩვენი მკითხველი კარგა ხანია ელის ქართული სოფლის მხატვრულ მათიანეს პროზის ნაცადი ოსტატის მიერ მრავალკარიან რომანად ჩაფიქრებულს. „ნატვრისთვალის“ პირველი თავების გამოქვეყნებიდან დღემდე კარგა ხანი გავიდა. კოლექტივის პირველ ენთუზიასტთა ეპოქას საკმაოდ დავშორდით. ბევრი პრობლემა ახლებურად დადგა, ბევრი რამ გადაფასდა, მარტო გლეხი კაცის კი არა, თვით მწერლის ფსიქიკაშიც, ამიტომაც ნელა და დინჯად ინერებოდა სოფლის მშრომელის ღირსების ეს დიდი წიგნი. ინერებოდა ხელით მწერლისა, რომელიც დიხადაც არის ჩვენი ცხოვრების გუშინდელი და დღევანდელი დღის ჩინებული მცოდნე, პირუთვნელი, ობიექტური შემფასებელი და ადამიანთა ხასიათების გრძნეული მესაიდუმლე. „ნატვრისთვალის“ გამოქვეყნებული ორი წიგნი – „თეთრი ღრუბლები“ და „ცეცხლის კალო“ სრულ საბაბს იძლევა იმის საგულისხმოდ, რომ ჩვენს თაროზე მალე დაიდება დიდი სოციალური და ფსიქოლოგიური სიმართლით აღბეჭდილი ეპოპეა ქართული სოფლის ცხოვრებისა. კონსტანტინე ლორთქიფანიძისეული ამ „გლეხი კაცის ისტორიის“ გამოქვეყნებული ნაწილები ჯერ კიდევ ომამდელ ეპოქას ეხება. „ამხანაგოს“ ძახილით დააბიჯებენ წიგნში ოციანი წლების ადამიანები. „წითელი ნადის“ ნევირი პირველი წითელი გლეხები, გუშინდელი ნამოჯამაგირალი, უკვე სოფლის ბატონ-პატრონად ქცეული კაცები ახალ სოფელთან თავიანთ ურთიერთობას არკვევენ. დიდი გამარჯვების ნიაღშივე ჩნდება პირველი წინააღმდეგობები, რომელიც წლების შემდეგ, მიზეზების გამო გაფუებული და გაზრდილი, შემანუხებელ გარემოებად და ზოგჯერ გადაულახავ ბარიერადაც ექცევა საკოლმეურნეო მოძრაობას.

სიმართლისა და პირშიმთქმელობისათვის მოსპეს მათიკო არა-ბიძე და მისი დაუსჯელი მკვლელი, რომანის შემდგომ თავებში უკვე შენიღბული და გამზაკვრებული, თვალთმაქცობასა და მომხვეჭელობაში დაოსტატებული – დათა ყანჩაშვილი ბოლოს იქამდე მიდის, რომ ქალაქიდან ჩამოსულ რევიზორს ერთ ფარას ორად დაათვლევინებს და მინერების ავბედით, ყალბ ჯილდოებზე დაკიდებულ ქართულ სოფელს გამრჯე კაცის სახელის საქვეყნოდ შერცხვენის არნახულ ასპარეზს უქმნის.

მწერალი თაობათა დამკვიდრება-გადასვლის ამბებს გარეგნულად მშვიდად, ლიტერატურული ექსცესების გარეშე გვიამბობს, მაგრამ რომანის გამარჯვების უტყუარ ნიშნად თუნდაც იმ ფაქტის აღნიშვნა იკმარებდა, რომ „ნატვრისთვალი“ მძაფრი დრამატიზმით, ვნებათა ჭიდილით, ადამიანთა ტრაგიკული ბედით დამუხტული ნაწარმოებია. მკითხველი სულგანაბული, დიდი ინტერესით იმიტომაც მიჰყვება რომანის გვერდებს, რომ სოციალურ პრობლემებთან ორგანულ კავშირში დახატულ ადამიანთა ცხოვრების უმძაფრეს მომენტებს ხვდება ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ნათქვამის დასადასტურებლად ზოგიერთ პასაჟს გავიხსენებ:

შვიდი წელია კარდაკარ დადის, დღიურ, დამამცირებელ შრომაზე თანხმდება და უპატრონოდ დაგდებულ კარმიდამოს შორიდან უფლის „შეცთომილი“ მათიკო არაბიძე, ხოლო მისი უდანაშაულო ქმარი, ფოსტალიონი სოსანა ყაბანაშვილი ფარულაღა ჯარგვალში ზის და გამჩენს საყვარელი მეუღლის დაბრუნებას სთხოვს. ბოლოს მაინც ხვდებიან ცოლ-ქმარი ერთმანეთს, მაგრამ გვიანაა. ცხოვრებამ მათიკოს უკვე გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი. ადამიანები ახალი ყოფის ტაფაზე იხრაკებიან და რას აღარ აკეთებენ თავის გადასარჩენად; ნადიაკვნარი ამბაკო ხურციძე იძულებულია ათეიზმზე ლექციები იკითხოს, ვაჭარი ძიგო ბადურაშვილი ოქროთი სავსე ქილას ბერბუკის ტყეში მარხავს და თვით ნოვა-თუშეთს შეაფარებს თავს. გველის პერანგს ისე მოხერხებულად იცვლის დათა ყანჩაშვილი, რომ ყველა მთავრობასთან შეძრომას ახერხებს. მესაკუთრე მწყემსი გაბრო გოგიშვილი იძულებული გამხდარა საკუთარი მოჯამაგირე შვილად დაინეროს, რომ სოფლის საბჭოს მესვეურთა ფხიზელ თვალს დაემალოს. გაფრთხილების ძახილის ნიშანივით ჰკიდია თავისი სახლის ერდოზე უდანაშაულო მშრომელი კაცი მოსე ელანიძე, რომელმაც თავი იმის გამო ჩამოიხრჩო, რომ „ნითელმა დათამ“ კულაკად შერაცხა, ხოლო „აღმასრულებელმა ორგანომ“ – სამეულ-

მა მერაბ ზარიძის ხელმძღვანელობით, ერთ მშვენიერ დღეს, უძრავ-მოძრავი ქონების დატოვება და სოფლიდან აბარგება მოსთხოვა. ეზოში ულამაზესად გაბარჯლულ ასწლოვან ცაცხვს შუალამისას ქურდულად სჭრის კოლმეურნეობისადმი რწმენაშერყეული მანუჩარ უგრეხელიძე, რომ აქამდე საჩრდილობლად და სანებივროდ გაშვებულ კორდზე სიმინდი დათესოს და შიმშილის საფრთხე აიცდინოს. ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში იჩინა თავი იმ სიძნელეებმა, მერე ათეულმა წლებმა რომ ვერ ამოშანთეს, რომანში ერთგან ვკითხულობთ: „კოლექტივში ალოღლეტია ხალხი თანდათან მომრავლდა, შარშან, გაიგეს თუ არა, პური ცოტა იქნებაო, ცეტი არსენას ბიჭი საქნავთში მოეწყო სამუშაოდ, ალექსი არაბულმა ურიკაში ცხენი შეაბა და ქირაზე დაიწყო სიარული. ვისაც სამი ჩარეკი საკარმიდამო ჰქონდა, ისინი კიდევ ადგნენ და ეზოებში პურის თესვა დაიწყეს. იქა-ურობა ისე გადახნეს, ბაღებს პატარა ადგილიც კი არ დაუტოვეს დახლაბურთის სათამაშოდ“. (გვ. 271) მძიმე დღეები ადგათ პარტიის ერთგულ ჯარისკაცებს – რაიკომის მდივანს სიმონ ჩოხელს და კოლმეურნეობის თავმჯდომარე ზაქარია ნადიბაიძესაც, რადგანაც ხელგაშლილი რაიკომის მდივანი მთავრობას ხშირად იმაზე მეტს ჰპირდება, რისი გაკეთებაც ხელდაკოჭრილ მშრომელს შეუძლია. სიტყვასა და საქმეს შორის უფსკრულმა კი იქამდე მიიყვანა სახელის განთქმის მოსურნე ხელმძღვანელები, რომ მიუხედავად მწყემსთა გამძაფრებული წინააღმდეგობისა, საძოვრები გადახნეს და პანტიშარას კალთებზე 1223 სული ცხვარი დაეხოცათ.

მწერლის უწყინარ რემარკებში და დიალოგებში ხშირად გაკრთება ის „მწარე სიმართლე“, დღესაც რომ არ დაუკარგავს ფერი და აქტუალობა. თავმჯდომარემ მწყემსს ჩექმები აჩუქა. „– მაგისტანა ჩექმები შვიდი მიგდია ფარეხში! თუ ჩემი მადლობა გინდათ, ეს ჩექმები საზეიმო ვითარებაში გადმომეცითო. ხალხმა დაინახოს და ტაში დამიკრასო! – მაშინ არ გვეცალა, ამხანაგო სიმონ, სული არ მოგვათქმევინა, აფხუკიანდა და გაიქცა!

ჩოხელმა ნალვლიანად ჩაიციანა.

– როგორ შევაჩვიეთ ხალხი ამ ზარ-ზეიმებს და ზიზილ-პიპილოებს! ხედავ, ჩექმებსაც ტაში უნდა“. (გვ. 318)

კოკისა და დოქის ანდაზისა არ იყოს, დღესაც მწარედ დააფიქრებს მკითხველს მანუჩარ უგრეხელიძის გულისტკივილი: „– რა გიბრძანეს უფროსებმა, გარდამავალი საძოვრები გადახანითო?! მომკალი და ვერ დავიჯერებ! ვეუბნები, არ შეიძლება მაგისტანა ბრ-

დანების შესრულება-მეთქი! ეგ, იცი, რას მეუბნება, საკითხი შეთანხმებული არისო! მე ვეუბნები, საკითხი ჯერ ხალხს უნდა შეუთანხმო, ჩვენი ამბავი ჩვენზე კარგად ვინ იცის-მეთქი!“ (გვ. 350)

მოჩვენებითი მზრუნველობიდან, ზეიმომანიიდან, მიწერებიდან, უსაფუძვლო დაპირებებიდან ყალბი ხოტბა-დიდებებიდან ერთი ნაბიჯია ხალხში „სამომხმარებლო განწყობილების“ გაჩენამდე და აკი ეს განწყობილებაც გაჩენილა ოცდაათიან წლების სოფელში: „- ეჰ, ჩემო დათა, პატარა კაცის ხურჯინში ყველა იჭვრიტება, ვისაც მოეპრიანება! აბა ერთი დიდი კაცების ხურჯინშიც ჩაიხედონ! აი, სეირი მაშინ იქნება, მაგრამ ვინ არის ჩამხედავი! ციდან მამა ღმერთიც რომ ჩამოვიდეს, ამ ქვეყანას ისიც კი ვერ გაასწორებს.

ყანჩაშვილმა ისევ ჩაიციინა და სთქვა:

- არც ვარგა რომ გასწორდეს, ცხოვრებას ემხი დაეკარგება! სულ მუდამ სწორი და პირდაპირი გზა ცოტა მოსაწყენია, ჩემო მერაბ! ხანდახან გზიდან უნდა გადაუხვიო და გვერდზე მიიხედ-მოიხედო, თორემ ყველაზე მსუქან ნაჭერს სხვები ჩამოაჭრიან ამ ცხოვრებას! შენ კი ყურებიდან ბამბას გამოგიღებენ და გეტყვიან, ამ ადგილს, ამხანაგო, ტყუილად აფუჭებო. და კულტურის სახლის დირექტორად გაგიშვებენ! გიტარა კი არც იჭმება და არც ისმება, ჩემო კარგო, ეგ შენ ჩემზე უკეთ იცი“. (გვ. 370)

სწორედ ეს სოციალური ფონი გახლავთ რომანში მთავარი, მაგრამ მწერლის დიდებული ოსტატობის წყალობით იგი თვალში არასოდეს გეცემათ. კითხულობთ რომანს და გეჩვენებათ, რომ იგი ადამიანთა ჩვეულებრივ ურთიერთობაზე, სიყვარულზე დაწერილი წიგნია. ეპოქალური პრობლემები კი ავტორს, აქა-იქ, სწორედ კოლორიტის, სამოქმედო გარემოს, ფონის შესაქმნელად დასჭირდა.

მთავარი სათქმელი ჯერ წინ არის. ფარდა უნდა აეხადოს მათიკო არაბიძის საიდუმლოებით მოცულ სიკვდილს, უნდა დაბოლოვდეს გოგოლას და ლევანის რომანი, საკადრისი უნდა მიეზღოთ წითელ დათას, მის დამქაშებს და მათს დოყლაპია მფარველებს. პასუხი უნდა გაეცეს რომანში წამოჭრილ უამრავ, ეთიკურ-ზნეობრივ და სოციალურ საკითხს.

„ნატვრისთვალი“ შთამბეჭდავ, ცხოვრებისეულ პერსონაჟთა მთელი გაღერეაა. მწერალი იუველირის სიფაქიზით ხატავს და აგვირისტებს სოსანა ყაბანაშვილის, მათიკო არაბიძის, თომა ამაშუკელის, დათა ყანჩაშვილის, ნიკა ქარუმიძის, ზაქარია ნადიბაძის, გაბრო გოგიშვილის, სიმონ ჩოხელის, მოსე ელანიძის, მერაბ ზარიძის,

გოგოლა უგრეხელიძის, კოლია დუბოვის, მანუჩარ უგრეხელიძის, ლევან ნადიბაძის, თადია რაინაულის, ელისო წერეთლის, ბიძინა ხუციშვილის და სხვათა უაღრესად კოლორიტულ, დაუვინყარ სახეებს.

აი, პორტრეტის ხატვის ერთი კ. ლორთქიფანიძისეული ნიმუში „ნატვრისთვალიდან“: „მეუხედავი ქალი იყო მათიკო არაბიძე. ქვაბის ძირით გაშავებულ პირისახეზე ფერისმჭამელი მორეოდა. წინ წამოყრილმა კბილებმა სიცილს გადააჩვია და თუ ხანდახან სიცილი მაინც წასკდებოდა, მაშინვე პირზე ხელს აიფარებდა, რომ ის ყანგისფერი ღოჯები როგორმე დაემალა. ისე კი მისი თხელი, უფერო ტურჩები იმ კბილებს კარგად კეტავდნენ და ულამაზო პირისახის წყობას რალაც შვებას აძლევდნენ.

რკინის სავარცხელი ვერ გაივლიდა მათიკოს აბურდულ თმაში.

კოჭებამდე ჩაფართხუნებული, ნასხვისარი კაბა და ძველი ჯღანებიდან ხვლიკის თავით გამოვარდნილი ცერა თითები – ასეთი იყო მათიკო არაბიძე. (გვ. 12).

მკითხველს არაერთგზის მიუღია სიამოვნება ქართული პროზის ბრწყინვალე ოსტატის ხელწერისაგან. „ქართული პროზის სარქალი“ ამ ახალ რომანშიც რჩება ჩვენ შორის გამორჩეულ მოქართულედ და მართალი პროზის, ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის მეჩუქურთმედ.

1979 წ.

## „იუპიტერო, უნ წყრებო?..“

მაღლობის მეტი რა მეთქმის პატივცემული ირაკლი ციციშვილის მიმართ, რომელიც გაისარჯა და „კომუნისტის“ ფურცლებიდან (18 იანვარი, 1984 წ.) შარშან „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილ ჩემს უპრეტენზიო ნოველას საზოგადოებრივი რეზონანსი მისცა, მკითხველის ყურადღება მიაპყრო. ამ გამოხმაურებით არა მარტო ბიოგრაფია შეექმნა „ერთ სევდიან ამბავს“, არამედ ისიც გაირკვა, რომ ნოველამ თავისი დანიშნულება გაამართლა. გულისხმიერი მკითხველი მიხვდება, როგორ დამალონებდა მე, ავტორს, გულგრილი სიჩუმე იმისადმი, რაც, დიახაც რომ, გულისტკივილით დამინერია და როგორ მახარებს ახლა ჩემი ნოველის ამგვარი ლიტერატურული ბედი.

ჩავკარი თუ არა თვალი „პოზიციას“ (ასე ჰქვია წერილს), თვალში მეცა მისი ავტორის განცხადება მოუცლელიობის შესახებ, რასაც იგი ენერგიულად ორგან უსვამს ხაზს:

ა) „...ჩვენი მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო, საბედნიეროდ, იმდენად მოუცლელია, რომ ამ წერილის გამოგზავნა შემთხვევითია“.

ბ) „როგორც მოგახსენეთ, ჩემი საქმით ისე გახლავართ გართული, რომ ლიტერატურულ კამათში არ ჩავერეოდი...“

შევწუხდი და გავიფიქრე: მართლაცდა რა ჩავიდინე ჩემი ნოველით ასეთი, რომ ეს დარბაისელი კაცი საქმეს მოვაცდინე და მოცდენას ვინ ჩივის, მგონი, კიდევ გავანაწყენე-მეთქი. ფოსტაში მისასვლელადაც („ამ წერილის გამოგზავნა შემთხვევითია“) ძლივს იცლის და შენ კი აიძულე, შენი პანანკინტელა ნოველის საპასუხოდ ფოიერბახის ციტატები ეძებოს და კამათის მივიწყებული ხერხებიც კი გაიხსენოს.

„მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო“, რომელსაც ბატონი ირაკლი მეთაურობს, მართლაც ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებს, მაგრამ, მე მგონი, ამ ბოლო დროს დროის მხრივ ცოტა შელავათი უნდა ჰქონდეს. ახლა ხომ, როგორც თვითონვე წერს: „უკვე რესტავრირებულია რამდენიმე ასეული მნიშვნელოვანი ძეგლი, მათ შორის: ჯვარი, ატენი, ბოლნისის სიონი, სვეტიცხოველი, ბაგრატიის ტაძარი, გეგუთის სასახლე, ბეთანია...“ აი, უდროობა მაშინ გენახათ, ეს „რამდენიმე ასეული მნიშვნელოვანი ძეგლი“ რესტავრირებული რომ არ იყო. კიდევ კარგი, იმ მოუცლელიობის ჟამს, რომ არ ნაუკითხავს ერთი ჩემი წერილი, სადაც შავით თეთრზე ვწერდი შემდეგს: „საქართველო თავისი ისტორიული ძეგლებით დიდი მუზეუმი. ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელი და ამოუცნობი. როგორ გვაქვს ჩვენი მატერიალური კულტურის ამ დიდებულ ნიშანსვეტთა მოვლა-პატრონობის საქმე დაყენებული? ჯერ კიდევ არადაამაკაყოფილებლად. მართალია, ამ უკანასკნელ წლებში სასიკეთო ძვრები შეიმჩნევა, მაგრამ ყოველივე, რაც კეთდება, ჯერ კიდევ ზღვაში წვეთია. ინდოეთში ვიმოგზაურე ამას წინათ: არა მარტო ტაჯმაჰალში, პატარა ბუდისტურ სალოცავებშიც კი არ გვიშვებდნენ ფეხზე გაუხდელად. მართალია, ტაძარში ფეხშიშველა შესვლის ტრადიცია იქ რელიგიურმა მოსაზრებამ განაპირობა, მაგრამ ამ ტრადიციამ დაიცვა სწორედ საუკუნეებისგან ინდოეთისა თუ ეგვიპტის სახელგანთქმულ ძეგლთა იატაკის ზღაპრული მოზაიკა, გუმბინდელი

დაგებულებით რომ ბრწყინავს. ევროპისა და ამერიკის მუზეუმ-მონასტრებში შესვლისას კი ფეხსამოსზე გარედან ჩამოსაცმელ თექის ფაჩუჩებს გვთავაზობენ, ფაჩუჩები, ალბათ, დიდი ფუფუნება იქნებოდა ჩვენი ძეგლების დამთვალეიერებლისთვის, რადგანაც ბევრ ათასწლოვან ეკლესიას დღემდე ლობეც ვერ შემოვავლეთ და კარიც ვერ დავკიდეთ, რომ თხა-საქონლის და მლამიობების სათარემოდ არ ქცეულიყო. ჩანასახოვან მდგომარეობაშია ჩვენში რესტავრირების კულტურა. აქ დიდზე დიდი სიფრთხილეა საჭირო. რესტავრაცია დამკვერეული ტემპით ყოვლად დაუშვებელია. მხოლოდ გამოცდილ ხელოვანთ უნდა მივანდოთ ეს საშვილიშვილო საქმე“ (წერილების კრებული „რომ უკეთესი ვიყო“, „ნაკადული“, 1983, გვ. 35). კიდევ კარგი, რომ იმ გაგანია მუშაობაში არ ჩაუვარდა ჩემი სტატია ბ-ნ ირაკლის ხელში, თორემ რამდენ საშუალებას იძლეოდა თუნდაც ეს პატარა ამონაწერი, საკამათოდ, დაახლოებით ამგვარ ჭრილში: „როგორ, რესტავრირების კულტურა ჩვენში ჩანასახოვან მდგომარეობაშია?“ „ნუთუ კიდევ დარჩა ჩვენში ჯერ კიდევ შემოუღობავი ისტორიული ძეგლი?“ „ვინ მოახსენა რ. მიშველაძეს, რომ რესტავრაცია დამკვერეული ტემპით ყოვლად დაუშვებელია“ და ა. შ. რასაკვირველია, კამათის სტილში ისიც შედის, რომ მრავალმნიშვნელოვნად გაგზუმებულიყავით შესავალში „შემთხვევით მოხვედრილ“ სტრიქონზე: „ამ უკანასკნელ წლებში სასიკეთო ძვრები შეიმჩნევა“. ეს სტრიქონი, ქვემოთ, რ. მიშველაძისთვის წასაყენებელ სხვა ბრალდებას როგორღაც ვერ ეთანხმება.

ხომ არ გამიტყუა „პუნქტობით“ პასუხმა და მეც ჩემი ოპონენტით თავის მართლების პოზიციამდე ხომ არ დავეშვი? საქართველოში წამოწყებული დიდი ეროვნული საქმეები ოღონდ გაკეთდეს (რისიც დიდი იმედი მაქვს) და ჩემი ნოველა რა მოსატანია. დაე, შეენიროს იმ საქმეებს თვით ეს ნოველაც და ამ სტრიქონების ავტორიც, მაგრამ ირაკლი ციციშვილს მე ვუპასუხები არა ჩემი ლიტერატურული ქულების მოსაპოვებლად (იმ ქულებს, თუ ძალი შემწევს, სხვა შერკინებაშიც დავაგროვებ), არამედ ჩვენი საერთო საქმის შეწვევის პოზიციით.

მაშ, ასე. ყინული გალღვა. ერთი შეხედვით უმისამართო ნოველის სიუჟეტმა ერთი ფრიად პატივსაცემი პირი გაანაწყენა და დაბეჯითებით ცდილობს დაამტკიცოს, რომ ნოველაში აღწერილი ამბები მას სრულიადაც არ ეხება. მართლაც, ბატონო ირაკლი, იმ ნოველასთან თქვენ აბსოლუტურად არაფერ შუაში ხართ. „ერთი სეველი-

ანი ამბავი“ უფრო რთული პრობლემების ასახვას ისახავს მიზნად, ვიდრე თქვენი უწყების საქმიანობა გახლავთ. ნოველაში ლაპარაკია ხელოვანის ადგილზე, საერთოდ, ჩვენს ეპოქაში. მინიშნებულია იმაზე, რომ მხატვართა ერთი (მცირე) ნაწილი უფრო მსუბუქმა საქმემ გაიტაცა, ვიდრე გელათისა და ვარძიის ფრესკების ოსტატებს ესმოდათ ხელოვანის ვალი. მინიშნებულია იმაზეც, რომ ჭეშმარიტ ხელოვანს ზოგჯერ, ზოგიერთ უწყებაში (ესეც იშვიათზე იშვიათად ხდება) არამკითხველად გადაიბრუნეს უწევინ და, ხელოვნებაში არცთუ მთლად კომპეტენტური პირები, უსაფუძვლო რჩევა-დარიგებებით თავს აბეზრებენ. ნოველაში აღწერილია ერთ პატარა რესტორანში მომხდარი სევდიანი ამბავი, ხოლო თქვენს კეთილშობილურ დაწესებულებას კი, როგორც თქვენვე ბრძანებთ, ჰქვია „ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო“.

მაგრამ კატის გამომთხრელი თავის ანდაზისა არ იყოს, მაინც გამოაცხადებულმა სურვილმა, ისე წარმოგვიჩინოთ საქმე, თითქოს ყველაფერი რიგზე გვექონდეს ძეგლების დაცვის და რესტავრირების საქმეში.

თქვენ წერთ: „ჩვენში ძეგლების დაცვის საქმის ორგანიზაციამ მონიშნა დაიმსახურა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში და უცხოეთშიც“. უცხოეთისა მე არა გამეგება რა, მაგრამ ვაითუ ამ თხუთმეტი რესპუბლიკიდან ერთი მაინც არის ისეთი, ჯერ რომ არ უღიარებია „ჩვენი ძეგლების დაცვის საქმის ორგანიზაცია?“ რა ინფორმაცია გაქვთ ასეთი, ან ვინ მოგცათ რესპუბლიკათა სახელით ლაპარაკის სტატუსი?

ჩემს ნოველაში სწერია: „ხელუხლებელი არც ეს ეკლესია დარჩენილა, რევოლუციის გამარჯვებისთანავე სოფლის აქტივისტებს გუმბათიდან ჯვარი ჩამოეგლიჯათ და სადღაც წაეღოთ, საეკლესიო წიგნები და ხელნაწერები განუკითხავად დაეწვათ, ფრესკები სამუხელეს ჩამოეფხიკათ და კირით შეეთეთრებინათ“.

„ისიც სრულიად ნათელია, რატომ დღეს გაიხსენა რ. მიშველაძემ ოციანი წლების ისტორია, რომელიც თვით ჩვენმა სახელმწიფომ აღიარა შეცდომად... მაგრამ საქართველოში ხელნაწერების დანვის ფაქტი რომ არ მომხდარა?“ – წერს ბატონი ირაკლი. რატომ გავიხსენე და იმიტომ, რომ მსგავსი უმსგავსობანი მომავალში (მე და ბატონი ირაკლი რომ ცოცხალი აღარ ვიქნებით) აღარ განმეორდეს. რაც შეეხება იმას, რომ „საქართველოში ხელნაწერების დან-

ვის ფაქტი არ მომხდარა“, ამის დამტკიცება ი. ციციშვილს კი არა, ხელნაწერების ბედის ი. ციციშვილზე ცოტა უკეთ მცოდნეს – აკადემიკოს კორნელი კეკელიძესაც გაუჭირდებოდა.

ასევე ცოტა გაზვიადებულად მეჩვენა ბატონი ირაკლის მტკიცება იმის შესახებ, რომ ძეგლთა დაცვის სამმართველოში რესტავრაციის ყველა პროექტი იხილება და მტკიცდება „რესპუბლიკის ყველა გამოჩენილი მეცნიერის“ მონაწილეობით. ამ წერილის ავტორი ერთ-ერთ გამოჩენილ მეცნიერს იცნობს, რომელთა მონაწილეობითაც არ დამტკიცებულა პროექტები და ამით, იქნებ, ქვეყანაც არ დაქცეულა.

ჩვენ სხვა ვიკითხოთ: ის „რამდენიმე ასეული“ ძეგლი, რომელიც რესტავრირებულია, დამაკმაყოფილებლად რესტავრირებული? ან ის „110-120 ძეგლი, სადაც ახლა სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს“ – დამაკმაყოფილებლად რესტავრირდება?

ვაითუ, ჯერ კიდევ წვიმა და ქარაშოტი რეცხავს ახალ, ამ წუთში, ბევრ შემოუღობავ და კარდაუკიდებელ ძვირფას ძეგლს ჩვენი კულტურისას. ვაითუ, რესტავრაციის აუტანლად დაბალი დონით წარმოგვიდგებიან უკვე რესტავრირებული სვეტიცხოველი, ბაგრატის ტაძარი, გეგუთის სასახლე, ბეთანია...

ერთადერთ შემთხვევაში უმართავს ჩემს ნოველას მეცნიერულ კამათს ბატონი ირაკლი და, სამწუხაროდ, არც მაშინა მართალი: „თექვსმეტსარკმელიანი გუმბათი აქვს მხოლოდ გელათის მთავარ ტაძარს“, ბრძანებს. თექვსმეტსარკმლოვანი გუმბათი აქვს სარგის პირველის შვილის ბექას მიერ მეცამეტე საუკუნეში აგებულ საფარის მონასტერს – (ხუროთმოძღვარი ფარეზას ძე). (იხ. პ. ზაქარაია „აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლები“. გამომცემლობა „ისკუსსტვო“, 1982 გვ. 162).

რაც შემეხება მე, დიდსულოვნად შემინდვია ღვანლმოსილი კაცისთვის გაცხარებისას ჩემზე დაფრქვეული „ეპითეტები: „ცინიზმი და ნიჰილიზმი“, „თანამედროვეობას განმდგარი კაცი“, „ეთიშება ამ ეპოქის მაჯისცემას“. ქართული ანდაზა გვასწავლის: „ჩხუბის დროს ისეთს ნურას იტყვი, შერიგებისას შეგრცხვესო“.

ვეთიშები თუ არა ამ ეპოქის მაჯისცემას, ეს ჩემი წიგნების პირუთვნელმა, ობიექტურმა მკითხველმა განსაჯოს. განმდგარი რომ არ ვარ, ამის დასტური, იქნებ, სწორედ „ერთი სევდიანი ამბავი“ იყოს. კამათის სტილი „კოკასა შიგან“-ის პრინციპით ამიხსნია, ხოლო იმის უფლებას კი ნამდვილად ვერ მივცემ ამხანაგ ირაკლი ციციშვილს, რომ ჩემი შემოქმედება გამწყრალი, დაუნახავი კა-

ცის იარლიყით შეაფასოს. რომ მოიცლიდეს და ჩემს სხვა ნოველებსაც ნაიკითხავდეს, იქნებ დარწმუნებულიყო იმაში, თუ როგორ ვცდილობ ჩემი ნამუშავეთი მხარში ვედგე ხალხსა და მთავრობას მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის გამართულ, ძლიერამოსილ ლაშქრობაში.

პროფესორ ირაკლი ციციშვილს გამართულად წერა ჩემგან არ ესწავლება, მაგრამ გავუბედავ და ვეტყვი, რომ „კინნისკვრის შექმნა“ უხერხული ქართულია („ორი უცნობი კინნისკვრას ჰქმნიან კირთაძისას...“), კინნისკვრით შეიძლება გააგდო კაცი, ამა თუ იმ ადგილიდან თუ, რასაკვირველია, კინნისკვრის ღირსი აღმოჩნდება.

ეგრე ადვილად ვერც ჩემი ნოველის გმირს – უშანგი კირთაძეს გაგალანძლინებთ, ბატონო ირაკლი. თქვენ წერთ: „დადებით გმირს უშანგი კირთაძესაც მერკანტილური ზრახვანი ამოქმედებდა თურმეო“. არამც და არამც. არავითარი „მერკანტილიზმი“. უშანგი კირთაძეს მხოლოდ და მხოლოდ წმინდა კვირიკეს ეკლესიის აღდგენამოსხატვის კეთილშობილური სურვილი ჰქონდა. მერკანტილიზმით სწორედ ისინი იყვნენ დაავადებულნი, ვინც, მას ამ საპატიო საქმეში ხელს უშლიდა.

და ბოლოს კატეგორიულად ვაცხადებ, რომ არ ვარგა ამ ბოლო დროს მწერლის ნააზრევის მიმართ ზოგიერთი უწყების ხელმძღვანელის ზედმეტად „აქტიური დამოკიდებულება“, თუ ყველა ღირეცტორმა და სამმართველოს უფროსმა მწერლისგან ჩვენ-ჩვენი უწყება „დავიცავით“ და პრესაში პასუხების ბეჭდვას მივყევით, უტაქტობაშიც ჩამოგვერთმევა და, თუ ამ ტიტულისა დიდად არ გვეშინია, მწერლობის თემატიკასაც ძალიან გავალარბებთ. მაინც ვერა ვიქმ, პატივცემულ ირაკლი ციციშვილთან მივიდე და ვუთხრა: ძეგლებზე და რესტავრაციაზე წერა რომ არ შეიძლება თქვენი „პოზიციიდან“ („კომუნისტი“, 18 იანვარი) ნათლად შევიტყვე, ჩამომინერეთ კიდეც, რა თემებზე არ შეიძლება წერა?

უმთავრესი გაუგებრობა (სხვა, მცირე გაუგებრობებს რომ დაუდო სათავე), ი. ციციშვილისა მაინც ის გახლავთ, რომ იგი ჩემს ნოველას კორესპონდენციის პრეტენზიებს უყენებს და მხატვრულ გამონაგონს კონკრეტულ ფაქტებს უპირისპირებს. თურმე ნოველის ავტორის დიდი „შეცოდება“ ის გახლავთ, რომ წმინდა კვირიკეს ეკლესია და, საერთოდ, ნოველის ყოველი პასაჟი, მხატვრული გამონაგონია და რ. მიშველაძეს ადგილი აღარ დარჩა ხელოვანის ბედზე დაწერილ ნაწარმოებში ჩაერთო ის საყოველთაოდ ცნობილი მიღწევები, „მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს“ რომ გააჩნია.

განსაცვიფრებელია ი. ციციშვილის სურვილი – ნოველა მაინც-დამაინც უკანასკნელი წლების ქართულ სინამდვილეზე დაწერილად მიიჩნიოს და მისი ავტორის პოზიცია ეჭვის ქვეშ დააყენოს. მართლაც, ბრმა უნდა იყო კაცი, ვერ ხედავდე ამ 10-12 წლის განმავლობაში რამდენი რამ გაკეთდა ჩვენი მატერიალური კულტურის ძეგლების მოვლა-რესტავრირების ხაზით, ხოლო დაკვირვებული თვალი იმასაც შეამჩნევს, რომ „ერთი სევედიანი ამბავი“ ნეგატიური მოვლენების პერიოდს ეხება.

წერილის დასასრულს ი. ციციშვილი მონყალებას იღებს და მომმართავს რა როგორც კრიტიკოსს (ჩემს კრიტიკულ მოღვაწეობას ასე თუ ისე ეგუება, როგორც პროზაიკოსი აღარ მოვწონვარ), ერთ უცნაურ დავალებას მაძლევს: „შეძლებისდაგვარად ლაგამი ამოვდო, ყური აფუნო იმ მკითხველებსა და რედაქტორ-გამომცემლებს, რომლებიც „გამადიდებელი შუშით იქექებიან“, „განჩხრეკენ“ ხოლმე სხვათა ნაწერებს. მკითხველებს და რედაქტორ-გამომცემლებს ი. ციციშვილის მაგივრად ბოდიშს ვუხდი, ხოლო ჩემს „მრისხანე“ ოპონენტს მოვახსენებ, რომ სწორედ „ლაგამის ამოდება“ და „ყურის აწევის“ მავნე პრაქტიკა დიდი ხანია დაგმო ჩვენმა პარტიამ.

თუ ეს პატარა წერილი, აუცილებლად, ბრძნული შეგონებით უნდა დავამთავრო, ჩემი ოპონენტით ფოიერბახთან არ გავიქცევი, ქართველი კაცის ნათქვამს მოვიშველიებ: „სვავიც კი ძვალს კისერს დააზმანებს და ისე ჩაყლაპავსო“.

1984 წ.

## თეიმურ ჩალაბაშვილის პირველი ნიგნი

აი, შენი ლექსების ნიგნიც. შენმა ხმამაც გაინკრიალა ქართული ლექსის კოსმოსურ დარბაზში. პოეზიის უკიდევანო თავანზე შენი პატარა ვარსკვლავიც აკიაფდა.

მომილოცავს.

რალა დაგიმალო, დიდ ბედნიერებას ეზიარე და დიახაც უნდა იამაყო. შენ ის კაცი არა ხარ, ვერ გაისიგრძეგანო, რას ნიშნავს, რუსთაველის ქვეყანაში ლექსების ნიგნი შეჭბედო მკითხველს.

ამას წინათ საგარეუბნო მატარებლით ვმგზავრობდი. გამცილებელი თვალგაბრწყინებული მიყვებოდა, შარშან ჩემი ვაგონით ერთმა

პოეტმა იმგზავრაო. ისეთი პოეტის გვარი დამისახელა, ჩვენს „გალა-  
ლებულ“ ლიტერატურულ სალონებში აღარავის რომ აღარ ახსოვს და  
თავის საშუალოზე დაბალი მხატვრული დონის შემოქმედების გამო  
კრიტიკოსები ჩამოთვლისას „და სხვაში“ რომ იგულისხმებენ ხოლმე.

რა სიამაყით ამბობდა გამცილებელი; ამ ადგილას იჯდა, ასე  
ჰქონდა შუბლზე ხელი მიდებულო.

შეიძლება ვერასოდეს ვერ გაიგოს ჩვენგან შეუთამამებელმა იმ  
პოეტმა, როგორ უყვარს იგი მკითხველთა ერთ ნაწილს.

რატომ გავიხსენე ეს ამბავი? ყველა ყველა და საქართველოში  
მწერლის კულტია. ერის უპირველეს ჭირისუფლად სწორედ რომ მხ-  
ატვრული სიტყვის ქურუმი ითვლება.

მაგრამ ამ წერილს მარტო მოსალოცი ბარათის მისია არა აქვს,  
ცოტა სხვა რამეც უნდა გითხრა.

ჭკუის დარიგებისაგან ღმერთმა დამიფაროს. არც იმდენი გა-  
მოცდილება მაქვს, რომ გაგიზიარო და, იქნებ, არაფერსაც ნიშნავს  
ლიტერატურაში „გამოცდილების გაზიარება“.

პოეტობა უმძიმესი ტვირთია, მოგეხსენება.

ჭეშმარიტი პოეტის გოლგოთის გზამ ხომ არ ათქმევინა მურმან  
ლებანიძეს: „გიჟის ხალათი გერჩიოს თოლიგე...“

ამ წიგნით, იქნებ შენდაუნებურადაც, შენი სახელი სულ სხვა  
სამიზნეზე ამოიზიდა.

იქნებ იმ საფრთხემ ათქმევინა მორის ფოცხიშვილს: „სანამდის  
არ აფრინდება, არავინ ერჩის მწყერს“.

ეს მაშინ, ჩემო თემურ, თუ ერის სამსახურის ძნელ გზას გაჰყე-  
ბი. ხოლო თუ კარის პოეტის მანტიას მოისხამ და გზას გაიოლებ,  
თუ პოეტის სახელი მისთვის გინდა, რომ მოდაშია, თანაც კარგი  
ტონია ლექსებს წერდე (განსაკუთრებული მოწონებით ქალიშვილები  
უცქერიან), თუ მამულის სამსხვერპლოზე წვეთწვეთობით არ აპირებ  
სისხლის დაღვრას, არც შენი სტრიქონი მოსწყურდება შენს ხალხს  
და არც შენი წიგნი იპოვის გზას მისი გულისაკენ.

ვით შვილის სიკვდილს, ისე განიცდი,  
სტრიქონს, რომელიც წყვილადს ჩაბარდა,  
და ლექსი შენთვის არის კრწანისი,  
და ლექსი შენთვის – არის მარაბდა.

შენი სიტყვებია. გადაეცი შენს მეგობრებს, რომ სწორედ ამგვარი  
განწყობის მუზა სჭირდება დღეს საქართველოს.

წინ დიდი ბრძოლები გველის და ვისთვისაც ლექსი კრწანისი და  
მარაბდა არ არის, თავს ნუ გაინვალებს; მისი ნელ-თბილი სტრო-  
ფების და ლიტერატურული ჭრელაჭრულის გარეშე როგორმე გაძ-  
ლებს გალაკტიონის ქვეყანა.

„შენს მეგობრებს“-თქო შემთხვევით არ მითქვამს. სანტიმენ-  
ტალური ლაპარაკი ჭირვით მიძულს, მაგრამ სწორედ რომ თქვენა  
ხართ ჩვენი იმედი და მომავალი. ჩემი უპირველესი სიყვარულიც  
თქვენ გეკუთვნით, ძმაო, და ცრემლი მომადგა, შენი სტრიქონები  
რომ წავიკითხე:

„ჩვენ ვგავართ ზღვაში გამომწყვდეულ დაღლილ თოლიებს  
გემბანზე რომ ჩამომსხდარან ნაღვლიან მზერით“.

არამც და არამც! გემუდარებით, ჩამოცილებით ეგ „ნაღვლიანი  
მზერა“. უფრო ახლოს მოდით ჩვენთან, ჩვენს ურვასა და განზრახვ-  
ასთან, ჩვენი საერთო მეცადინეობით უნდა დაიბადოს ხვალის დიდი  
საქართველო.

გემბანზე ჩამოსასხდომად სადა გვცალია. ერს მართალი სიტყვა  
სჭირდება, სიმართლისათვის ბრძოლაში პატრუქის ანთება სჭირდ-  
ება. თანაც სიღინჯე, გონიერება და სიფრთხილე გვმართებს. მე  
კარგად მესმის შენი ოდნავი შიშითა და კრთომით ნათქვამი – „ვინ  
მითვალთვალებს შორეული ნაპირებიდან?“

ძნელ საქმეს მოჰკიდე ხელი, ზემოთაც გითხარ. ბნელეთის მო-  
ციქულნი (ჯერ კიდევ ბლომად არინ) შეეცდებიან გზიდან გადაგახ-  
ვევინონ, გული გაგიტეხონ, ცილი დაგწამონ, „ხანდახან ჭინკა ჩაი-  
ქილიკებს...“ შენ შენს გზას უერთგულე, შენი ფანდური აჩხაკუნე.  
გული გაიმაგრე და შენს მამულს უდარაჯე. მისი ღირსება არავის  
გაათელინო, კაცთა უსაგნო ყაყანს ყური არ ათხოვო.

აკი შენვე ასე გემრიელად ფიქრობ:

ამიერიდან მე შენ გეკუთვნი,  
გადამავინწყდა ძველი მითები  
შენ ხარ მაღალი ჯვარი გეგუთის,  
მე კი დაღლილი ბერის თითები.

დამილოცინიხარ.

შენს გაბედულებას, შემართებას, შენს სანაღმართო ფიქრებს,  
შენს იმედებს გაუმარჯოს.

1985 წ.

## ბაუმარჯოს, ვინც კაცია!

მუხრან მაჭავარიანი ჭაბუკობისას დაწერილ ერთ ლექსში ამბობს: „გაზაფხული. ფართო ქუჩა. მოვაბიჯებ მხიარული; გაუმარჯოს! გაუმარჯოს! – ვინც კაცია ყველას!“

ასე მხნედ და თამამად, გულახსნილი და მხიარული შემოვიდა „საბას“ ავტორი ქართულ მწერლობაში და ჭეშმარიტი პოეტისა და მამულიშვილის ძნელსავალ გზაზე ძებნაში იმისა – „ვინც კაცია“, – ორმოცდაათს მიუკაკუნა.

ხოლო მის რუდუნებას, მის საქვეყნო დვრიტას, ხან ბრძენის ღალადის და ხან განწირულის სულისკვეთებას რომ უქმად არ ჩაუვლია, ამის თავდებია დღევანდელი საქართველო.

დღეს მუხრან მაჭავარიანის უკან მისი ლექსებით ნაწრთობი და იმედმცემული, ქართველურად გულანთებული და სასიკეთოდ შემართული მილიონიანი ლაშქარი დგას.

მაინც რა გააკეთა მუხრან მაჭავარიანმა ისეთი, რომ „ილიასა და აკაკის ყურმიჩვეული საქართველო“ მის ბუხუნა ხმას უსმენს?

მუხრან მაჭავარიანის პოეზია მაღალპატრიოტულ, ინტერნაციონალისტურ ჰანგებზე აწყობილი, მოწოდებისა და გაღვიძების პოეზიაა. პოეტი მუდამ იმ სათქმელს წვდება, „გულის მოსაფხან სიტყვას“ რომ ეძახის ქართველი.

მუხრან მაჭავარიანმა თავისი პოეზიით არაერთს შეახსენა ქვეყნად თავისი საშვილიშვილო ვალი, გარემოებათა გამო თვითკმაყოფილების ყურთბალიშზე მთვლემარე ბოდიშმოუხდელად შეანჯღრია („როდემდე უნდა გვეძინოს ყურზე“) და უიმედობის ქართა ხეთქებით გასავათებულს ღონივრად ჩასძახა: „გულს ნუ გაიტეხ, მუხა ისევ შეიმოსება“.

მკითხველს მუხრან მაჭავარიანის პირიდან სინანულის ამოკვნესა და უკმაყოფილო მასლაათიც სმენია. მაგრამ ერთი ნუთითაც ჭკუათმყოფელი არავინ დაეჭვებულა იმაში, რომ ეს „მხილება“ განზე გამდგარი მოშაირის ოლოლო კი არ იყო, არამედ ჭირისუფლის შეგონება. გარეშეთა შეუმჩნევლად ღვიძლისა და ახლობლის მიყვანა ცხოვრების სარკესთან, ე მანდ, რაც ნაკლი გაქვს, დაინახე და გაისწორეო.

მუხრან მაჭავარიანის საქვეყნო ავტორიტეტს იმანაც შეუწყო ხელი, რომ იგი მუხასავით მკვიდრად დგას და ლერწამივით ადვილად მოსახრელ-მოსარყეველი არ გახლავთ. მას თავისი, დიახაც მეტრძოლი, პოეზიის პატრონს ხშირად ბენვის ხიდზეც უვლია, მა-

გრამ პოზიცია არასოდეს დაუთმია, უკან არ დაუხევია, მედროვის ჭრელი ხალათი არასოდეს ჩაუცვამს.

მოგეხსენებათ, როგორ უყვარს მკითხველს მონოლითური რწმენის, რკინის ნებისყოფის ქომაგნი და როგორ ეჭვის თვალთ უცქერის „ნაჯექ-უკუჯექობის“ მოთამაშეთ.

მუხრან მაჭავარიანმა ჩვენი სმენა კარგა ხანია მიაჩვია საკუთარ პოეტურ ხმასა და ინტონაციას, ერთი მხრივ, ძველი ქართულის გამძლე ბალავარით და, მეორე მხრივ, სასაუბრო მეტყველების უხვად მოშველიებით მან არაჩვეულებრივად გაამდიდრა ქართული ლექსის ტექნიკურ-ვერსიფიკაციული არსენალი. მკითხველი მუხრან მაჭავარიანის ხმას დღეს ათას ხმაში გამოარჩევს. იგი თანამედროვე ქართველ პოეტთა იმ რიცხვს მიეკუთვნება, საკუთარი პოეტური ჩუქურთმებით რომ დაუმშვენებია თავისი ლიტერატურული ციხე-დარბაზი და ვისაც თამამად შეუძლია თქვას: „სამაგიეროდ ჩემში რაც არის, სხვისი არ არის ერთი მარცვალი“.

უპირველსი, რითაც მუხრან მაჭავარიანმა საყოველთაო სიყვარული და აღიარება მოიპოვა, ის გახლავთ, რომ მისი ფიქრი დღევანდელი საქართველოსათვის საჭირო ფიქრია. იგი თავის ბოლოდროინდელ ლექსებში წარსულთან ხშირად იმიტომ გადადის ალავერდს და გარდასულ დღეთა გმირულ სურათებს მხოლოდ იმისათვის აცოცხლებს, რომ სახელოვან შრომით ყოველდღიურობაში ჩაფლულ ჩვენს თანამედროვეს ომახიანი სიტყვა შეაშველოს და უთხრას: „მაგრამ მერწმუნე, ძმობილო, შენც უნდა შეჰკრა კამარა; სულ რომ არ იყო, სჯობია ყოფნას წარსულის ამარა!“

მუხრან მაჭავარიანის მრავალათასიან მკითხველთა შორის მდგარი ამ სტრიქონების ავტორი, სიკეთისა და სიყვარულისაკენ, ჩვენს მომხმობ პოეტს სხვებთან ერთად გულმხურვალედ ვუსურვებ მზეგრძელობასა და ახალ შემოქმედებითს წარმატებებს.

1981 წ.

## შვიდი საღამო კორნელი სანაქესთან

გალაკტიონის საიუბილეო საღამოზე ჩემ გვერდით იჯდა. როცა შემობრძანდა, ფეხზე წამოვდექი, გამიღიმა და ხელი გამომიწოდა. დარბაზს ათვალეირებდა, თითქოს ვილაცას ეძებო. არ გამოვ-



ლაპარაკებივარ. სხვა დროსაც შევხვედრივართ ასე, ნაუცბათევად. პერსონალური გამოფენაც მივულოცე ამ ხუთიოდეს წლის წინათ. ალბათ ვერ მიცნო-მეთქი, გავიფიქრე. სამოცდათხუთმეტი წლისაა. სამოცდათხუთმეტი წელი, მაინც, სამოცდათხუთმეტი წელია. ფარდა რომ გაიხსნა, წინ გადაინია და ხარბად დააჩერდა პრეზიდენტს. აღელვებული ჩანდა, ადგილზე ვერ ისვენებდა, წამდაუნუმ ხელს ისვამდა ნიკაპზე, ხანდახან ამოიოხრებდა კიდევ. საზეიმო სხდომა რომ დამთავრდა, მომიბრუნდა და ცოტა არ იყოს გაბრაზებული კილოთი მითხრა:

– რატომ არ მოდიხარ ჩემთან?

– ?!

– წერილი გამოგიგზავნე. მწერალთა კავშირის წიგნში შენი ძველი ტელეფონია. ვერ დაგიჭირე ვერაფრით. ბიჭებსაც დავაბარე, არ გითხრეს?

გამიკვირდა.

– საქმე გქონდათ რამე, ბატონო კორნელი? – მაინც მგონია რომ ვილაცხამი შევეშალე.

– საქმე რა მექნება ახლა მე; უნდა დაგხატო.

– რატომ, ბატონო კორნელი?

– რას ჰქვია რატომ?

– მაპატიეთ, მაგრამ მე რა დასახატი ვარ, ბატონო კორნელი. ეს ლოყებდაბერილი, ღიპორეული, უნარბო კაცი. თქვენ გალაკტიონს და გამსახურდიას ხატავდით, ჩემთვის სად გცალიათ.

– უყურე ამას, ჭკუას არ მასწავლის? წამოიღე შენი ნოველების ახალი წიგნი და გამომიარე ამ დღეებში. თორმეტიდან შვიდამდე სულ სახლში ვარ. ვკითხულობთ ჩვენც, მხატვრები, რალაც-რალაცებს, ისე კი არაა საქმე.

შემრცხვა. ვცადე სხვა საგანზე გადამეტანა საუბარი.

– ეს იუბილე, ბატონო კორნელი?

– კი, კაი ბიჭები არიან. სიტყვებიც კარგი უთხრეს გალაკტიონს, მაგრამ გალაკტიონის ზეიმი, შე კაი კაცო, მარტო თქვენი, მწერლების ზეიმი ხომ არაა. მე არ მომცეს სიტყვა. ჩვენ შორის დარჩეს და ზოგიერთს მატო ქუჩაში მოუკრავს თვალი. ჩემი კი ახლო ძმაკაცი გახლდათ გალაკტიონი. ათამდე პორტრეტი მაქვს მისი დახატული ნატურიდან. ასე, ა, როგორც შენ გხედავ. ეს არაფერი, დავანებოთ ამას თავი. მე შენთვის არაფერი მითქვამს.

კონცერტს აღარ დაუცადა. ნაინფარქტალი ვარ, ჩემთვის დიდხანს

დარბაზში ჯდომა არ შეიძლებაო. გაგაცილებთ-მეთქი. უარი მითხრა. შენ დაესწარი კონცერტს, მე ფეხით გავივლიო, სადარბაზო კარებამდე რომ გამოვაცილე, მომიბრუნდა და დაბეჯითებით მითხრა:

– ის საქმე ჩვენ, რომ ვიცით, შორს არ გადადო. სამოცდათხუთმეტი წლის ვარ მე. არ დაგავიწყდეს. ხვალ რა მომივა, კაცმა არ იცის. მიქელ-გაბრიელის დავთარში ვინ ჩაიხედავს.

ანასტასია ერისთავ-ნომტარიას ქუჩაზე დგას აგურით ნაგები, ძველი ოთხსართულიანი სახლი. ამ სახლის მეორე სართულზე კორნელი სანაძე ცხოვრობს. თუ ბარნოვიდან ჩაუხვევ, ისეთი დაკიდებული დაღმართი უნდა ჩაიარო იქ მისასვლელად, რომ გული შეგიქანდება. თუ რუსთაველიდან, მოსკოვის ქუჩით ამოხვალ, მანქანას პირველი სიჩქარითაც უჭირს ასვლა. მოკლედ, შუასაუკუნური ციხესიმაგრესავით მიუვალი სახლია. პანანკინტელა ეზო აქვს, სადაც, რომ იტყვიან, თავი კუდს ვერ მოიქნევს. ეტყობა, ფანჯრიდან დამინახა, კიბე რომ ავიარე, ზარის დარეკვა არ დამჭირვებია. მასპინძელი ღია კარებში დგას და მელოდება.

საშუალო ტანისაა. კოხტად ჩასხმულიო, რომ იტყვიან. საღებავებით მოთხვრილი შავი სატინის ხალათი აცვია. მაღალ შუბლზე კახური ნაბდის ქუდი ჩამოუფხატავს. ენერგიულად მოძრაობს. გამოხედვაშიც კი იგრძნობა მასპინძლის დაუოკებელი ტემპერამენტი. საუბრობს სწრაფად და ცოტა ხმამაღლა. ხშირად იცინის და თეთრ, ლამაზ კბილებს აელვებს.

– სანამ მოლბერტს გავმართავდე, ჩემი ნახატები შეათვალიერე. თამამად გაიარე, ნუ გეშინია. ესაა ჩემი სახლიც და სახელოსნოც. სამოცი წელია ვხატავ, ავად თუ კარგად, მაგრამ ჯერ სახელოსნოს ვერ ველირსე. ჩემი ნახატები, ა, აგერ მიწყვია. სახლი საწყობად გადავაქციე. სტუმრის დასაწოლი ადგილი აღარ დამრჩა. აქამდე რომ არ გამაგდეს ჩემებმა სახლიდან ძალიან მიკვირს.

აი, როგორ ცხოვრობს რესპუბლიკის სახალხო მხატვარი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი კორნელი სანაძე.

ახლა, ამ სტრიქონებს რომ ვწერ, აღარც კი მახსოვს რა ფერის კედლები აქვს კორნელი სანაძის ბინას. იქ ყველაფერი ნახატებს მოუცავს. დიდ დარბაზში, რომელიც ალბათ თავიდან სასტუმრო ოთახად იყო ჩაფიქრებული, მარცხენა მხარეს, ტრიპტიქი შოთა რუსთაველი შემოგანათებთ: „რუსთაველი ჯვარცმული“, „რუსთაველი ვეფხისტყაოსანით ხელში“ და „ძვირფასი მზითევი“. ამ ციკლს მხატვარმა წლე-

ბი შეალია. ეს გახლავთ სამი მონუმენტური ტილო ჩვენს უპირველეს ეროვნულ განძზე. მიუხედავად წერის რეალისტური მანერისა, ამ ნახატებში დაკვირვებული თვალი იოლად აღმოაჩენს რთულ სიმბოლიკას და მაღალპოეტურ განწყობას. შეხედვისთანავე ოქროსფერი ფონი გეცემათ თვალში. ბექა და ბექენ ოპიზარების ხატებს დასესხებია თითქოს მხატვარი და მეორე პლანად ნახატისა ოქროსფერი კედლები აურჩევია, ჯვრებით, ლალ-მინანქრით და იაგუნდებით განყობილი. ეს ფონი სიმდიდრისა და დიდებულების შთაბეჭდილებასაც ჰქმნის და იმის ფიქრსაც აღძრავს, რომ „ხელიხელ საგომანებელი მარგალიტი“ ჩვენი, რაზეც მხატვარი გესაუბრებათ, სწორედ ამ ფონს იფერებს. მე გამაოცა მხატვრის გაბედულებამ და ტრიპტიქის სიუჟეტურმა გადაწყვეტამ. „ჯვარცმული რუსთველი“ (ნაწილი პირველი) – აქ ჩანს ხელოვანის ბედი საერთოდ. თქვენ ხედავთ პოეტის ჭაბუკურ სხეულს თოკით შებოჭილს და ქრისტესავით ჯვარზე გაკრულს, გეუცხოვთ? სამაგიეროდ, საკმარისია, ცოტა შეაჩვიოთ თვალი და იგრძნობთ ტრაგედიას იმ კაცისას, რომელმაც შუასაუკუნეთა წყვილიადიდან დედამიწას გასძახა პიროვნების თავისუფლების, ამაღლებული სიყვარულისა და ჰუმანიზმის უკვდავი ჰიმნი. ხოლო ბედი კი დიდი ხელოვანისა, ლამის ყველგან ერთნაირია. ან თვით გაიკრავს გენოსი თავის მძიმე ჯვარზე თავს, ან თანამედროვენი ნახებარებიან. „შოთა რუსთაველი წიგნით“ შედარებით სტატიური ნაწილია ტრიპტიქისა. შავტანსაცმლიანი, თხელწვეროსანი ულამაზესი შოთა, ამაყად გამართული ზის და მუხლებზე გადაშლილი წიგნი უდევს. ქვის იატაკზე გაფენილა პოეტის მხრებიდან ჩამოშვებული წითელი მანტია. წითელი და შავი ფერის მონაცვლეობა დიდებულის ასოციაციას ბადებს. უკან, კედელზე, ოქროსფერი ჩარჩოში ჩასმული თამარის სურათი მოჩანს. გაბედულება არც ამ სურათს აკლია. კორნელი სანაძეს, ალბათ, ერთ-ერთ პირველს თანამედროვე მხატვართაგან „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ქუდმოხდილი დაუხატავს. თუ ქუდოსან რუსთაველს თვალმიჩვეულ მნახველს ეხამუშება თმაგარდატევებული რუსთაველის ნახვა, სამაგიეროდ ავტორის ჩანაფიქრი უაღრესად ეროვნულია და ორიგინალური. „ძვირფასი მზითვეი“ (მესამე ნაწილი) პოემის უკვდავების და ხალხის სიყვარულის აპოლოგიაა. მოხუცი კაცი საქართველოში გავრცელებული ჩვეულების თანახმად ულამაზეს ასულს უწვდის „ვეფხისტყაოსანს“.

ტრიპტიქის მოპირდაპირე მხარეს კორნელი სანაძის ცნობილი ტილოა – „მოზანავენი“. სამი შიშველი ასული ლურჯი ტბისა და ჩაის

პლანტაციების ფონზე. მზით აღვსებული სხეულები ისე ლამაზად ერწყმიან გარემოს, ისე ბუნებრივია მათი მოძრაობა და, მიუხედავად აბსოლუტური სიშიშვლისა, ისე კარგად ჩანს, სწორედ რომ, ქართული კედმა, რომ ნახატი ჰარმონიულობისა და სილამაზის განცდას განიჭებთ პირველი წუთებიდანვე. აქვეა ჰაეროვანი ლატავრა ფორიანის დიდი პორტრეტი. ქართულ კაბაში გამონყობილი ჩვენი მომხიბვლელი ბანოვანი ქვის კედლის ფონზე ჩანს. ამით ავტორი სილბო-სინაზესა და სიმტკიცეს შორის კონტრასტულ განწყობილებასაც ქმნის და სიმკვირვეს, გამძლეობასაც უსვამს ხაზს იმ დიდი ფენომენისას, მოცეკვავე ქალი რომ ემსახურება და ჩვენი ეროვნული ფოლკლორი ჰქვია.

პირველი საგამოფენო მინიატურული ნახატიდან („შეთქმულნი“, 1922) დაწყებული, დაუმთავრებელ „აჭარელ ქალამდე“ დიდი და რთული გზა გამოიარა კორნელი სანაძემ. მისი ბინა-გამოფენა, რასაკვირველია, მხოლოდ ნაწილობრივ წარმოდგენას იძლევა იმ დიდ შემოქმედებაზე, ჩვენმა სახალხო მხატვარმა განძად რომ შესძინა თავის ქვეყანას.

სასტუმრო დარბაზი ძირითადად პორტრეტებს უჭირავს და ჩემთვის ყველაზე შთამბეჭდავად სწორედ კორნელი სანაძის შემოქმედების ეს სფერო ჩანს. იქნებ ფერწერაში ჩემი დილეტანტური გარკვეულობის გამო და იქნებ იმის გამოც, რომ ამ პორტრეტთა ძვირფასი ადრესატები უფრო ახლო არიან ჩემს სულთან.

ამაყად გამართული ილია ჭავჭავაძე. მის მამობრივ შუბლსა და მეფურ გამოხედვაში პატრონისა და ბელადის იერი იგრძნობა. ნახევრად გაშლილი მარჯვენა ხელის მტევნით და მოკუმული ტურებით საქართველოს სულიერი მამა, თითქოსდა, ერთხელ კიდევ გვისვამს საუკუნურ კითხვას: – რისთვის?

ვაჟა-ფშაველა. ჩამუქებული ფერები. თმა-წვერი და ფაფახი ერთ გამაში გადაწყვეტილი. დაფანჩულ ნარბეში და ჯიუტად გამოძირალ თვალებში ჩანს, თითქოს, ჩვენი დიდებული წინაპარი თვალებითაც გვზომავს და გვაფრთხილებს კიდევ. ნაღმის ენერგია იგრძნობა ამ პორტრეტში და მიწის სურნელი, ბუნებასთან სამუდამო ერთიანობა.

აკაკი წერეთლის ბიბლიური სახე. შიგნიდან განათებული პოეტური ცეცხლით. ოდნავ გაღებული თვალები, ჩამავებული თვალთა უპეები, დაღლილი ტიტანის ავადმყოფური მზერა. შესცქერით პორტრეტს, თვალს აყოლებთ თქვენკენ გამომშვერილ მთრთოლვარე

ხელებს „საქართველოს ბულბულისას“ და თითქოს ჩაგესმით: „დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ...“

მლოცველივით ხელებშეერთებული ნატო ვაჩნაძე, დაუჯერებლად ლამაზი და მწუხარე. თითქმის ისეთი, როგორც ღვთისმშობელს ხატავდნენ ფრესკის ოსტატები.

ღურჯ კედელთან, მენამულ სკამზე (იატაკიც წითელია) ზის შავკოსტუმინი, თმაგათეთრებული, ხელდაჭდეული კოტე მარჯანიშვილი. მის თვალებში წყენა და ოდნავი ირონიაც გამოკრთის. თითქოსდა, დიდი ხელოვანი ავტორს სწორედ იმ დროს დაუხატავს, მიზეზის გამო გაგულისებულმა მისმა რამდენიმე კოლეგამ ბოიკოტი რომ მოუწყო და „ურიელ აკოსტას“ დამდგმელის შემდგომი მუშაობა თეატრში შეუფერებლად მიიჩნია.

თეატრალური ესკიზების ფონზე სანდრო ახმეტელი დგას. მის თვალებში შეშფოთებაც ჩანს და ნებისყოფის სიმტკიცეც. თითქოს, ეს-ესაა, კარებზე დააკაკუნეს და საქმეს მოსწყვიტეს. დგას დიდი რეჟისორი და ჯიბეში ხელებჩანსობილი ელის. სადაცაა ვილაც უნდა შემოვიდეს, უცხო და უსახო.

ევგენი მიქელაძე, შესცქერით პორტრეტს და თითქოს რეკვიემი ჩაგესმით, ხმამალალი, სულისშემძვრელი რეკვიემი. მარჯვენაში სადირიჟორო ჯოხი უჭირავს, მარცხენა შუბლზე აქვს აფარებული. ზემოდან თითებზე და მხრებზე დაღვრია ბრონეულის ყვავილის ფერი.

მკვეთრნაკვეთებიანი დენდი, ერთი შეხედვით კუმტი და მიუკარებელი ბრძენი – კონსტანტინე გამსახურდია, ქარში წვერგაშლილი, ბავშვივით ალალი და გულუბრყვილო გალაკტიონი... სერგო კლდიაშვილი, პოლიკარპე კაკაბაძე, გიორგი ლეონიძე, გრიგოლ აბაშიძე... მხატვრის სათნო მეუღლე, დაუვინყარი დავით ვოლსკის ქალიშვილი, ცნობილი ექიმი, თინათინ ვოლსკი...

ამ ფიქრებში გართული ოსტატის ხმამ გამომარკვია.

– მობრძანდით, მზად ვარ.

მუშაობს გატაცებით და შესამჩნევად ჩქარა. თითქოს ნერვიულადაც. ჩემდა იბლად, ხატვისას ბევრს ლაპარაკობს, წამდაუნუმდგება, გაივლ-გამოივლის, თვალმოჭუტული გიყურებს ერთხანს და მერე ფანქრით ხელში ისე სწრაფად დააცხრება მუყაოზე გაკრულ თეთრ ქალაქს, თითქოს ეშინია არ გამიფრინდესო. საშლელს თითქმის არ ხმარობს. ფანქარს ფრთხილად უკაკუნებს. მადლობა ღმერთს, არც ჩემგან მოითხოვს გაქვავებული ვიჯდე. ერთ საათს

წაიმუშავებს და გადაერთვება სხვა საქმეზე. ალბომებს მიჩვენებს, დღიურებს მიკითხავს, წარსულს იგონებს. დიდებული მოსაუბრეა. რამდენი რამ ახსოვს. პირველი დღიდანვე იმით მომხიბლა, რომ გულლია, ალალი კაცია. ვინც კი ახსენა, ყველაზე სიყვარულით ლაპარაკობს. მე სილამაზის მომღერალი ვარ, ცუდ კაცებს და ცუდ ამბებს არა თუ არ ვხატავ, არც ვლაპარაკობ მათზეო, წამოცდა ერთხელ.

მეორე დღეს უბის წიგნაკით რომ მოვკალათდი სავარძელში და მეც ჩემი მხრივ „მუშაობა“ დავიწყე, მაინცდამაინც არ ესიამოვნა. „რას იწერო“, რამდენჯერმე მკითხა. თუ კაცი ხარ ნოველის გმირად არ გამომიყვანო სადმეო, ილიმება. ჩემმა დაულაგებელმა ლაპარაკმა არ შეგაშინოს, განზრახ ვლაპარაკობ ამდენს, ხელს ვასვენებ, გონებას ვავარჯიშებ, მეხმარება ხატვაშიო.

ვფურცლავ ახლა ჩემს უბის წიგნაკს და ვფიქრობ, ზოგი რამ ღირს იმად, რომ მკითხველმაც გაიგოს, რაზე ვსაუბრობდით ჩვენ.

– როგორ დაიწყეთ?

– როგორც ყველა ბავშვი, ვჩხაპნიდი მეც, პატარაობისას, მაგრამ მხატვრობაზე არასოდეს მიფიქრია. 1920 წელს, ცამეტი წლისა, მამამ მუშტაიდის სტუდიაში მიმიყვანა. იქ იყო სკოლა, დაახლოებით პროფტექნიკური სასწავლებლის მსგავსი. მამას უნდოდა რაიმე ხელობა მესწავლა.

– მაინც რა ხელობა?

– ხატვა არა, ყოველ შემთხვევაში.

– მერე?

– სკოლაში ერთი ოთახი მოსე თოიძის სახელოსნოს ეკავა. მოსეს რამდენიმე მოწაფე ჰყავდა. გულმა იქეთ გამიწია, ოსტატმა შემამჩინა და თავისთან მიხმო – მოდი, თუ გინდა დაგხატავო. უფრო დიდი ბედნიერება რა იქნებოდა, მოსეს და მის შეგირდებს ვედექი მენატურედ. დღეში მანეთს მაძლევდნენ. ერთი კვირის შემდეგ მეც ვცადე ხატვა. მოსეს გაუფინე მაგიდაზე წარმოსახვით დახატული ბარათაშვილი, აკაკი და ილია. ბევრი იცინა. ხომ წარმოგიდგენიათ, რა დონის ნახატები იქნებოდა? მაგრამ მოსე თოიძე რისი მოსე თოიძე იყო, რომ არ შევეგულიანებინე: განაგრძე ხატვა, შენგან უსათუოდ კარგი მხატვარი დადგებაო. ასე დავიწყე.

– მამა?

– მამაჩემმა გვიან გაიგო. ბევრი ითავცემა, მაგრამ რალას იზამდა. ჩემი მშობლები ხელოვნებისგან შორს არ იდგნენ; მამა ხატ-

ავდა და მღეროდა კიდეც ცოტას, დედა ლექსებს თხზავდა, მაგრამ ძალიან ღარიბები ვიყავით და არ უნდოდათ თავის რჩენის ისეთ საეჭვო გზას გავყოლოდი, როგორც მხატვრობა გახლდათ.

– მაშინ მხატვართა კავშირი თუ არსებობდა?

– სხვათა შორის, სწორედ იმ დროს შეიქმნა. და იცი ვინ იყო ქართველი მხატვრების მეთაური? ვახტანგ კოტეტიშვილი. მაშინ მაჩაბელზე, სადაც ახლა მწერალთა კავშირია, პირველი და მეორე სართული მწერლებს ჰქონდათ დათმობილი, მესამე სართული კი მხატვრებს გვეკავა. სხვათა შორის ამას თავისი დადებითი მხარეც ჰქონდა. მხატვრები და მწერლები ძალიან დაგვაახლოვა. ერთი ოჯახი ვიყავით, ერთი საქმე და საზრუნავი გვქონდა. ერთად დავდიოდით, ვკამათობდით, ერთმანეთს თემებს ვაძლევდით. სწორედ მაშინ იყო ტიცციან ტაბიძემ და სხვებმა (მწერლებმა) ფიროსმანი რომ აღმოაჩინეს. კრებებს ყოველთვის გაერთიანებულად ვატარებდით. ახლა მხატვრების კრებაზე მწერალი რომ შემოვიდეს, ალბათ, თეთრ ყვავად გამოჩნდება. ასე არ უნდა იყოს. მოკლედ, რაღა გავაგრძელო, 1924 წლიდან მხატვართა ასოციაციის წევრი გავხდი, იმ წელსვე პირველად გამოვფინე ჩემი ნახატები. მერე აქტიურად ჩავეერთე მხატვართა კავშირის საქმიანობაში.

– თავიდანვე რეალისტური მხატვრობის გზას დაადექით?

– დიახ. მე გიგო გაბაშვილის, მოსე თოიძის და ევგენი ლანსერეს მონაფედ ვთვლი ჩემს თავს და რეალიზმის ერთგული ვრჩები. მქონდა მცირეოდენი ფორმალისტური გატაცებანი, მაგრამ ეს ისე, საყმანვილო სენივით მოვიხადე.

– თქვენს ადრეულ ნახატებში, მახსენდება აჭარული ციკლიდან – „სასიძო“, „გულიკომ ჩადრი მოიხსნა“, „აჭარელი რძალი“, მუქი, შავი ხაზები და ბუნების ფონზე დახატული, ოღნავ პირქუში სახეები სჭარბობს.

– მართალი ხართ. დეკორატივიზმის კვალიც დაჰკრავს. მაშინ ასე ვხედავდი სამყაროს. კონტრასტული ფერები და მუქი, სქელი ხაზები მიტაცებდა. თუ დააკვირდებით, ჩაის ბუჩქები გადაბმულად კი არა, წერტილებად მაქვს დახატული. ხშირად მეკითხებიან ამა-საც. იმ დროს ჩაი ახალი შემოსული იყო და ბუჩქებს ერთმანეთისაგან დაშორებით რგავდნენ. აი, იმ „წერტილების“ მთელი საიდუმლო.

– ვინ არიან თქვენი მასწავლებლები ხელოვნებაში?

– ხომ გითხარით.

– კონკრეტულ მასწავლებლებს კი არ ვგულისხმობ, საერთოდ ვის ბაძავდით ხოლმე ხატვის დროს.

– „ვბაძავდი“ ის სიტყვა არ არის. ნაბაძვით საკუთარ ხელოვნებას ვერ შექმნი. რამდენი მხატვარიცაა დედამინაზე (მე ჭეშმარიტ მხატვრებს ვგულისხმობ) ყველას თავისი ანბანი აქვს. იმ ანბანით სხვა ვერ ისარგებლებს.

– და მაინც?

– ლეონარდო, მიქელანჯელო, რემბრანდტი, ველასკესი, დელაკრუა, გოია, სეზანი, ვან გოგი.

– ქართველთაგან?

– გიგო გაბაშვილი, დავით კაკაბაძე, მოსე თოიძე, სერგო ქობულაძე, უჩა ჯაფარიძე.

– შედარებით ახალგაზრდებიდან?

– კარგად თქვით „შედარებით“. ცნება ახალგაზრდა მხატვარი მე არ მესმის. მხატვარი მხატვარია. არც კი ვიცი, ახალგაზრდები ვუნოდო თუ არა ჩემს უმცროს მეგობრებს: მერაბ ბერძენიშვილს, ელგუჯა ამამუკელს, გოგი თოთიბაძეს, თენგიზ სამსონაძეს, თენგიზ ცხონდიას, გურამ ქუთათელაძეს, თამაზ ხუციშვილს... მაპატიონ, ყველა ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრის გვარი ასე სახელდახელოდ არ მაგონდება.

– რა მიგაჩნიათ თანამედროვე მხატვრობის საერთო ნაკლად?

– რაღა ნაკლიდან დაიწყე, შე კაცო. ასე საერთო ნაკლის გამოყოფა გამიჭირდება. მხატვრობა, ისე როგორც ხელოვნების ყველა დარგი, ინდივიდუალური ფენომენია. თითოეულ ხელოვანს აქვს თავისი შემოქმედების ღირსებაცა და ნაკლიც. მაინცდამაინც „საერთო“? გეტყვით, ინდივიდუალობისკენ სწრაფვა მოდუნდა ახალგაზრდა მხატვრებში. ევროპული მოდის აყოლის ტენდენცია იგრძნობა. გადმოიღებს ერთი და მაშინვე დაესევინა ეპიგონები. თუ საშუალო ხელოვნებისმცოდნე შენს ნახატს სხვისი ნახატისაგან ვერ გამოარჩევს, იცოდე ცუდადაა შენი საქმე.

– ხელოვნებისმცოდნეზე გამახსენდა, როგორ უყურებთ კრიტიკას?

– დიდებულად, მაგრამ სადაა, ჩვენში არსებობს ძლიერი სალიტერატურო და თეატრალური კრიტიკა, მაგრამ სამხატვრო კრიტიკა თითქმის არ არსებობს. არადა როგორ გვჭირდება. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის არა ვარ შეფასებული. ჩემს შემოქმედებაზე ორიოდ სტატიის მეტი არაფერი დაწერილა. გიკვირთ?

– დიახ.

– სამწუხაროა, მაგრამ ასეა. იქნებ მე შესაფასებლად არ ვლირვარ ზოგი „ხელოვნებისმცოდნის“ თვალში, მაგრამ, არ გაგიკვირ-

დეთ, ასევე შეუფასებელია მოსე თოიძე, გიგო გაბაშვილი, სერგო ქობულაძე, თამარ აბაკელია. არ გამამხილოთ და კრიტიკოსებმა ერთი და იგივე სახელების ამოჩენება იცით. თუ მხატვართაგან ვინმეზე რამე დაინერა, მხოლოდ ფიროსმანზე და გუდიაშვილზე, სწორად გამოგეთ, დაინერა და სრულიად სამართლიანადაც. სხვებზე? აი, რატომ ვამბობ, რომ სამხატვრო კრიტიკა არა გვაქვს. საიუბილეო სტატიები, ან სახუთნლედო გამოფენათა საზეიმო მიმოხილვები სამხატვრო კრიტიკა არ არის. ხომ მართალია?

– ჭეშმარიტს ბრძანებთ. მიუხედავად ყოველივე ამისა, თუ გაუკრიტიკებინართ მაინც.

– საქმიანად და საბუთიანად არა, უსაგნოდ და უსაბუთოდ კი. ერთხელ მე და გუდიაშვილი გვიხმეს ერთ რედაქციაში და გვითხრეს: მითითებაა, ხვალ ორივემ გაზეთის ფურცლებიდან პირობა უნდა დადოთ, რომ ფორმალისტები აღარ იქნებითო. ახალგაზრდები ვიყავი. მართლაც გამოვაქვეყნეთ ასეთი წერილი. დრო იყო, შეგვეშინდა. თუმცა მე რომელი ფორმალისტი გახლდით. კიდევ ერთი შემთხვევა მახსოვს. ზეთში დავხატე „იმერეთი“. ბრონეულები იყო წინა პლანზე. ერთმა ხელმძღვანელმა ამხანაგმა გამოფენის გახსნის წინ სერიოზულად მირჩია (მთლად რჩევასაც არ ჰგავდა): სასურველი იყო ბრონეულის მაგივრად ფორთოხლის ბალი დაგეხატათო. ბევრი ვუმტკიცე, მე წითელი და მწვანე ფერის ჰარმონია მაქვს და მწვანე და ყვითელი ერთმანეთს მაინცდამაინც არ მოუხდება-მეთქი. შუბლი შეიჭმუნა და გამშორდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩემს „იმერეთს“ არ გამოფენდნენ. ასეც მოხდა. ესაა კრიტიკა? არა და როგორ მინდა ხანდახან ვინმემ მირჩიოს, ნაკლზე მიმანიშნოს. რემბრანდტი ნახატს რომ დაამთავრებდა, გამოვიდოდა ქუჩაში და პირველივე შემხვედრს შემოიყვანდა და ჰკითხავდა, მოგნონს თუ არაო. ყველაზე პირუთვნელად უბრალო გამვლელი გეტყვისო, ამბობდა თურმე.

– განა კრიტიკა არ იყო ერთ დროს ფორმალიზმი რომ ცაში აიყვანა? აი, თქვენ ბრძანებთ, რომ ფორმალიზმს ვერ იტანთ. რა ვუყოთ აბსტრაქციონისტებს, როგორ უცქერით ფრანგ იმპრესიონისტებს?

– იცით რა, იმპრესიონისტებს ახლა თავი დავანებოთ, ისინი გენიოსები იყვნენ და სკოლა შექმნეს, რაც შეეხება აბსტრაქციონიზმს, მე ყოველგვარი ნიჭიერება მსიბლავს, მხატვრული სიახლე მოსაწონი როგორ არ არის, მაგრამ სიახლეცაა და სიახლეც. ყალბი ფორმალიზმით ადვილად შეიძლება მნახველის შეცდენა. რებუსური ნახატი

არ მწამს. მე რომ ნახატს ვერ გავიგებ, ის ნახატი არაა. იცი საიდ-ან ინყება მხატვრობა? ფრჩხილების ხატვიდან. თუ ხატვა არ იცი, ვერ დავიჯერებ შენს მოდერნიზმს. გახსოვს პიკასოს „ქალიშვილის პორტრეტი“, ხომ ბრწყინვალე რეალისტური ნახატია? დიახ, პიკასომ მსოფლიო დაარწმუნა იმაში, რომ დიდი მხატვარი იყო და ჰქონდა ფორმალისტური ძიებების უფლება. კიდევ ერთი „მაგრამ“ სჭირს მოდერნიზმს. ბევრი ჰგავს აბსტრაქციონისტებს, მათი ნაბაძვა ადვილია. ახლა ბევრი „ყალბი“ პიკასო, ნამდვილ პიკასოზე უკეთესად ხატავს, მაგრამ მოდი და დაემსგავსე მიქელანჯელოს, ან ლეონარდოს. გაგიჭირდება, ხომ მართალია? ხოლო ახალგაზრდა ქართველ მხატვარს, ამ ცისა და ამ ფრესკების პატრონს, ულამაზესი ქართული სახეების შემყურე მხატვარს, რაში ჭირდება ევროპული მოდის ნასუფრალი? მე არ მინახავს უფრო რეალისტური და უფრო აბსტრაქციონისტული ნახატი, ვიდრე „ყინვისის ანგელოსი“ გახლავთ.

– როგორ გესმით ცნება ეპოქის გამოხატვა და შესძელით თუ არ თქვენი შემოქმედებით თქვენი დროის გამოხატვა?

– ეპოქა ძალიან ფართო და მასშტაბური ცნებაა. შენს დროს, კიდევ რომ მოინდომო, ვერ გაექცევი, თუ ნამდვილი ხელოვანი ხარ. მე, სიმართლე გითხრათ, სპეციალურად არ მიცდია ეპოქის სურათის შექმნა. უფრო ნათლად რომ გითხრათ, ეპოქის ჩვენება ჩემთვის თვითმიზანი არ ყოფილა. ვხატავდი, რაც მხატვრობდა. ზოგს ჰგონია, თუ სკაფანდრიანი კოსმონავტი ან ჩაქუჩიანი კაცი არ დახატე, ესე იგი ეპოქის მხატვარი არა ხარ. ეს მართალი არ არის. ეპოქის სული ყველაფერში იგრძნობა და შენ უნდა შეძლო დაინახო იგი. თუ შენს შემოქმედებას ეპოქის ათინათი არ დაჰკრავს, ესე იგი შენ ეპიგონი ხარ. სხვის ნაფიქრალს ხატავ და არა საკუთარ სულში გამოტარებულს. ჩვენი ეპოქა ინტელექტუალური ეპოქაა. ჩემი საქმე რომ იყოს, შიშველ ზედმეტად დაკუნთულსხეულიან სკულპტურებს არ დავდგამდი დღეს.

– თქვენ რომ შიშველ სხეულებს ხშირად ხატავთ?

– მე ვხატავ შიშველ ქალებს და თუ შეამჩნიეთ, უფრო ხშირად ბუნების ფონზე. ამით ადამიანის სულის განთავისუფლებას ვცდილობ ურბანიზმის მარწმუნებლისაგან. ქალის შიშველი ფორმები რომ მომაჯადოებლად ლამაზია, მე მგონი, საკამათო არ უნდა იყოს.

– პოპულარობა გიზიდავთ?

– ჩვენ, ხელოვნების ადამიანები, უპირველეს ყოვლისა, არტისტები ვართ. არ დაგიმაღლავთ, თავის გამოჩენის, გახმაურების სურ-

ვილი ყოველთვის მქონდა. ახლა, როცა ოთხმოცს მივუახლოვდი, ხანდახან მეჩვენება, რომ სახელისათვის ბრძოლა სისულელეა. უნდა აკეთო ის, რაც სულიერ კმაყოფილებას მოგანიჭებს. მე იუბილე არ გადამიხდია. სიტყვა „გადამიხდია“ არ შეგაშინოთ. დიახ, ზოგი თვითონ იწყობს თავის იუბილეს. შემეძლო კი! ცოტას მივდებ მოვდგებოდი და ერთ საიუბილეო საღამოს გავმართავდი, მაგრამ სხვებს არ შემოუთავაზებიათ და მე არ ვეცადე. არ ვეცადე იმიტომაც, რომ, მე მგონი, პატიოსანი კაცი სევდამ უნდა შეიპყროს, როცა იცის, რომ ეს ყვავილები და ეს ტაშ-ფანდურა მისსავე საიუბილეო საღამოზე, მისივე მონყობილია.

ისე, სიმართლე გითხრათ, არტისტი მაინც იბრძვის ჩემში. ამ ბოლო დროს სიკვდილზე ხშირად ვფიქრობ. იცით? სიკვდილი მინდა ფუნჯით ხელში, მაგრამ ასეთ სიკვდილს ვინ გაღირსებს, მე, ალბათ, ან მისაღებში მოვეკვდები რომელიმე ბიუროკრატის მომლოდინე, ან ადგილკომის სხდომაზე ჩამომივარდება თავი სამუდამოდ.

– სიკვდილზე ფიქრი ცხრა მთას იქეთ გავისტუმროთ, ბატონო კონრედი, ჯერ ათასი საქმე გაქვთ და ჯანმრთელადაც გამოიყურებით.

– ჰო, რასაკვირველია, შენ ასე უნდა მითხრა ორმოცი წლისამ სამოცდათხუთმეტი წლის კაცს. ბუნებრივია. ისე სიკვდილზე ყველა ასაკში უნდა იფიქრო კაცმა, თუ გასურს ნორმალურად იცხოვრო.

– ნორმალურად ცხოვრებას რას ეძახით?

– თუ ხელოვანის ცხოვრებაზე მეკითხებით, ნორმალურად ცხოვრება ნიშნავს, გააკეთო, მოასწრო ის, რაც შენს სულშია. სიცოცხლე მთლიანად მისცე ხელოვნებას. არ გამცეთ და პროფესიონალი მხატვარი საქართველოში ისე როგორც გასულ საუკუნეში, ახლაც თითო-ოროლაა. ჩვენი შემოქმედება ჩვენი ჩინოვნიკური ყოფისთვის წართმეული დროის ხარჯზეა შექმნილი და შთამომავლობამ მკაცრად არ უნდა განგვსაჯოს. ჩემს თავზე ვიტყვი: თავი რომ მერჩინა, ათასგან ვიყავი მოდებული, ხან მასწავლებელი გახლდით, ხან დრამწრის ხელმძღვანელი, ხელშეკრულებებით ისეთი ნახატებიც შემქმნია, რომ გამახსენდება, ყურები მიწითლდება. დიდი მხატვრები ისხდნენ და ხატავდნენ. ჩვენი ნახევარი ცხოვრება სირბილს მიაქვს. სირბილს არა სპორტულ-გამაჯანსაღებელს, რა თქმა უნდა სხვანაირ სირბილს.

– დარწმუნებული ვარ, თქვენ არ გულისხმობთ ფულზე გამოდევნებას, ასე რომ გაიტაცა ერთი-ორი მხატვარი ამ ბოლო დროს.

– ღმერთმა დაგვიფაროს ამგვარი ცდუნებისაგან. ყვითელ ეშმაკს სულს რომ მიჰყიდის, ის რა ხელოვანია. რა მხატვარია ლობე-ყორეს რომ ედება და მხატვრულ ინდივიდუალობას არტელის შეფობას და მხატვარ-კომბინატორობას არჩევს. თქვენ მართალი ხართ, ასეთებიც გვყვანან. მე კი ელემენტარულ საჭიროებაზე მოგახსენებთ. იცით რა, თქვენი სამუშაო იარაღი იაფია – ქალაღი და კალამი. ჩვენი ცოტა არ იყოს, ძვირი ღირს. მოკლედ, დიდ ტილოს ვერ დახატავ, ასი მანეთი მაინც თუ არ გაქვს ჯიბეში. და მაინც მონუნუნე ხელოვანი მძულს. ნიჭი თავისას იზამს. როცა მხატვარი თავს იმართლებს, საშუალება არ მქონდა, თორემ უკეთესი მხატვარი ვიქნებოდიო, იგი სტყუის. ფიროსმანი კიბის ქვეშ და დუქანთა აბრეშზე ხატავდა.

– სხვადასხვა დროს ვინ იყვნენ და ახლა ვინ არიან თქვენი მეგობრები?

– გალაკტიონი, დავით კობიძე, ტერენტი გრანელი, დავით კაკაბაძე, მოსე თოიძე, ბენიტო ბუაჩიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, იოსებ სუმბათაშვილი, პოლიკარპე კაკაბაძე, თამარ აბაკელია, კონსტანტინე გამსახურდია, შალვა ამირანაშვილი, დავით გაჩეჩილაძე, ვიქტორ კუპრაძე, ალექსანდრე ცხაკაია, კონსტანტინე კაპანელი, შალვა ნუცუბიძე (სხვათა შორის, მე და ბატონი შალვა ერთად ვმუშაობდით ამიერკავკასიის ცაკში, შალვა ლიტერატურის კონსულტანტი გახლდათ, მე – მხატვრობის), გიორგი ნატროშვილი, ერემია ქარელიშვილი, ლადო გრიგოლია, მორის ფოცხიშვილი, კოკი მახარაძე, დიმიტრი ხახუტაშვილი, ფარნაოზ ლაპიაშვილი, გოგი თოთიბაძე, თამაზ ჯინჭარაძე, თენგიზ სამსონაძე, გივი თოიძე, ედუარდ ამბოკაძე... მაპატიონ, თუ ვინმე გამომჩნა. მოკლედ, ჩემი ცხოვრების მანძილზე ამ ადამიანებს ვთვლიდი ჩემს პირად მეგობრებად, შეიძლება ზოგ მათგანს მეგობრად არც კი მივანჩდი, ეს უკვე მათს სინდისზე იყოს.

– თუ გქონიათ საკუთარ ძალებში დაეჭვების მომენტები თქვენს შემოქმედებითს გზაზე?

– ვერ გავიგე.

– მაგალითად ნახატი არ გამოგივიდათ და გული გაგიტყდათ, გაბრაზდით, რწმენა შეგერყათ, ფუნჯის შიშმა შეგიპყროთ.

– მივხვდი, მივხვდი... არა მქონია. ნამეტანი არ უნდა მოინდომო, უნდა ხატო უბრალოდ, ისე როგორც ხედავ. ტრაგედია არ უნდა შექმნა იმისაგან, რომ ველასკესად არ გაგაჩინა ბუნებამ. ნერვიულობ იცი როდის? როცა შენი თავი შეცნობილი არა გაქვს. როცა შენს ძალებზე გადაჭარბებული წარმოდგენა გაქვს. არ დაიჯერებ, არა-

სოდეს ვადარებ ჩემს ნამუშევარს რაფაელის ქმნილებებს; წინააღმდეგ შემთხვევაში ცუდ ხასიათზე დავდგები.

– რას ნიშნავს მხატვრობაში „ეროვნული სპეციფიკა“?

– ეს საკმაოდ ტყვეადი ცნებაა. გულისხმობს ეროვნულ ფენომენს; ეროვნული ხასიათის, ეროვნული სულის გამოხატვას. ეროვნულ ტრადიციებზე მყარად დგომას და ა. შ. და ა. შ. ჩემებურად, უბრალოდ რომ აგიხსნა, ყველა ქვეყანას არა მარტო ეროვნულ-ეთნოგრაფიული და ფსიქოლოგიური, სუფთა ხედვითი, ფერწერული სპეციფიკაც აქვს. ავილოთ, მაგალითად, პარიზი და თბილისი. პარიზს რალაც ცისფერი ბურუსი დაჰკრავს. ყოფილხართ პარიზში?

– კი.

– თუ დაკვირვებისხარ, მონმარტრი შორიდან ცისფრად დაბურული ჩანს. იქნებ მე მომეჩვენა ასე. ნახატებშიც ასეა. ერთი სიტყვით პარიზი ისე არ არის მზით განათებული, როგორც თბილისი. ჩვენთან უფრო კონტრასტული ფერებია. ჩრდილიც უფრო მკვეთრია, მოშავო. პარიზში კი საგნებს უფრო მქრქალი ჩრდილი აქვთ. ჩვენი განათება და იტალიისა უფრო ჰგავს ერთმანეთს. ძალიან ხომ არ გავუტიე? ესეც სპეციფიკაა. არ უნდა აგერიოს ერთმანეთში. რუსთაველის პროსპექტი ძალიან ჰგავს პარიზის სან-მიშელს, მაგრამ ამ ორ ქუჩას ერთნაირი ფერებით ვერ გამოხატავ. გამიგეთ?

– კი ბატონო, მაგრამ ეროვნული სპეციფიკა, თქვენი ბრძანებისა არ იყოს, უფრო ფართო ცნებაა და თავისებურებათა მთელ კომპლექსს მოიცავს.

– გეთანხმებით.

– მხატვარს ცოდნა ძალიან სჭირდება?

– ცოდნას რა გაგებით ბრძანებთ?

– ფართო განათლება. გარკვევა მსოფლიო მხატვრობაში.

– ჩვენს შორის დარჩეს და, გენიოსები ხანდახან ისე დაგაბნევენ, რომ მერე საკუთარ თავს ველარ პოულობ. შენეულს ველარ ხატავ. ჯერ უნდა მომაგრდე მუხლებში, როგორც ხელოვანი და მერე იმოგზაურო მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში. ისე, რა-თქმა უნდა, გათვითცნობიერებული უნდა იყო ხელოვნებაში, რომ უნებლიეთ სხვის გზას არ გაჰყვე, სხვა არ გაიმეორო.

– არ მახსოვს მხატვართა ყრილობებზე მომხსენებელს არ ეთქვას: ამ ბოლო დროს ჩვენი სახვითი ხელოვნების დონე გაიზარდაო. თუ ამ ლოგიკით ვიმსჯელებთ, ძალიან შორს წასული უნდა ვიყოთ დავით კაკაბაძის, გიგო გაბაშვილის და სერგო ქობულაძის დონისაგან?

– მეცინება ასეთ გამოთქმებზე. „დონის ზრდა“ ყოველ წელიწადს რომ ასე შესამჩნევი იყოს, რა გვიჭირდა. რა დასამალია და, ჩვენ სამოქალაქო მხატვრობა გასულ საუკუნეში დავინწყეთ, მანამდე არა გვექონია. განსაცვიფრებელია რომ სვეტიცხოველის და ნიკორწმინდის ქვეყანაში არც მოქანდაკეები ჩანდნენ. ასე რომ, ჩვენ ჯერ კიდევ დასაწყის სტადიაში ვართ და კეთილ ვინებოთ და ასე უცებ ნუ მოგვთხოვთ „ლაოკონს“ და „საიდუმლო სერობას“. ჩნდებიან ახალი საინტერესო მხატვრები, მაგრამ დაბეჯითებით მოგახსენებთ, რომ დავით კაკაბაძის და სერგო ქობულაძის დონის მხატვარს ამ ბოლო ოცნლეულში მე ვერ ვხედავ. „დონის გაზრდაზე“ გაუთავებელი ლაღადისი, მხოლოდ თვითდამშვიდებაა, კინალამ „თავის მოტყუება“ წამომცდა.

– ბატონო კორნელი, არ დამძრახოთ და ერთი რამ უნდა გკადროთ. ხშირად დავდივარ გამოფენებზე და ყოველთვის ერთი და იგივე სინანული მიღრღნის გულს. ჯერ ერთი, ბევრი ნახატი დაუმთავრებლის შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს ჩქარობდა მხატვარი და ბოლომდე არ დაადო ყველა ფერი თავის ქმნილებას, მეორეც, მეჩვენება, რომ ხელოვანი რალაც პომპეზურის, ყალბის, განუცდელი ჭეშმარიტებების ტყვეობაშია.

– პირველი თქვენი შენიშვნა პროფესიონალიზმს შეეხება და აქ მე ვერაფერს გეტყვით. ნერვები! ნერვები! ჩვენი აჩქარებული დრო, რიტმი ყველგან და ყველაფერში, იქნებ ესეცაა დამნაშავე, რომ რენესანსის წარმომადგენელთათვის ჩვეული „ჩაჯდომის უნარი“ ჩვენს ბუნებაში არ აღმოჩნდა. კი, ჰაიჰარად ხატავს ბევრი. რაც შეეხება ყალბ პათეტიკას. ეს ინერცია პლაკატომანიის ეპოქისა ჯერ კიდევ ძლიერია ჩვენში. არავინ გაძალებს გუნდრუკი უკმიო იმას, რაც არა გჯერა. მეც ვცდილობ არ ვიყო პათეტიკური, მაგრამ ზოგჯერ არ გამომდის. აი, ახლა ჩვენ ვსაუბრობთ და მგონია ეს მაინც არ არის ის, რაც უნდა იყოს. რალაც თეატრალურიც იჭრება ჩვენს საუბარში. თეატრალობა სძლევს ზოგჯერ ბუნებრიობას. თითქოსდა ერთმანეთს თავს ვანონებ, ვცდილობ რალაც ჭკვიანური ვთქვა და შეიძლება, ვინ იცის, ამით უფრო სასაცილოც კი ვჩანვარ.

– როგორ გეკადრებათ.

– თუ შეიძლება ჩემი ლექსის ორიოდ სტრიქონს წაგიკითხავთ, სადაც მგონია, შევძელი ჩვენი პროფესიის სიძნელისთვის გამესვა ხაზი.

– ბრძანეთ.

– ...ფერმა რატომ დამწყველა, ლექსმა რატომ მანვალა?  
ვერ დავწერე რაც მინდა, ვერ დავხატე ვერავინ,  
წმინდა ნინოს ნაწნავი პალიტრაზე დამწვარა  
და ჩახმახზე შემდგარა შემართული მერანი.

ო, რამდენჯერ მანამა, ო, რამდენჯერ მატირა,  
არა ქალის ალერსმა, ან შავმა წამწამებმა,  
წამით შორით წასულმა ახლობელმა ნაპირმა,  
თეთრ ტილოსთან ნაგრძნობმა ცივმა გარდაცვალებამ.

– რა ადგილს აკუთვნებთ თქვენს შემოქმედებაში პოეზიას?

– თითქმის ისეთსავეს, როგორც მხატვრობას. არავინ იფიქროს, რომ მე ლექსს სასხვათაშორისოდ, თავისუფალ დროს ვწერდი. ერთ-მა ნაცნობმა შარშან ნახევარხუმრობით მკადრა, მენ მეგონა, თქვენ ლექსს სერიოზულად კი არა, ისე, თავშესაქცევად წერდითო. დღესაც არ ველაპარაკები ამ ავყიაობის გამო. კაცმა არ იცის, მომავლის კაცს ჩემი ნაღვანიდან რა უფრო დასჭირდება: ლექსი თუ ნახატი. ერთს კი გაგიმხელ; ჩემთვის არც ერთ ნახატს იმხელა შემოსავალი არ მოუცია, რამდენიც პანანკინტელა ლექსა – „საყვარელ ქუჩაზე“. რამდენჯერაც შეასრულებენ რადიოში ან ტელევიზიაში, აგერ ოცი წელია, ფულს მიგზავნიან. მართლაც რომ კარგი სიმღერა დაწერა სანდრო მირიანაშვილმა. ერთ დროს მთელი თბილისი „ისევ ის ბიჭი ვარ ხუჭუჭა პატარას“ ლილინებდა.

– ლექსების რამდენი წიგნი გაქვთ გამოცემული?

– სამი. პირველი წიგნი 1927 წელს გალაკტიონის შუამდგომლობით გამოვიდა და ამით ვამაყობ. გალაკტიონი მიმყვა სოსიკო მერკვილაძესთან და უთხრა: ამ ჩემს ძმაკაცს წიგნის დაბეჭდვა უნდაო. სოსიკომ თვრამეტი მანეთი გადამხდევინა (მაშინ ავტორი ფულს თვითონ იხდიდა წიგნის დაბეჭდვაში) და დამაიმედა: თუ შენი წიგნი გაიყიდა, ამ თვრამეტ მანეთსაც დაგიბრუნებ და ხუთ მანეთ პრემიასაც მოგცემ, თუ არა და რა გიყო, შვილოო. ორ კვირაში ჩემი ლექსების პირველი წიგნი ხელში მეჭირა.

– გაიყიდა?

– ალბათ. მე ისე ვიყავი წიგნის გამოცემით გახარებული, რომ სოსიკო მერკვილაძესთან პრემიის მისაღებად აღარ მივსულვარ. მეორე წიგნი 1969 წელს გამოვიდა, მესამე კი 1975 წელს. ახლა ჩემი ლექსების რჩეულს ვამზადებ, თუ ღმერთმა დამაცალა.

– გალაკტიონს თუ უკითხავდით თქვენს ლექსებს?

– ხშირად ყინწვისში.

– მოსწონდა?

– მე მეგონი კი. ისე, საერთოდ ვერ შეატყობდი. სხვისი ლექსით აღფრთოვანებული გალაკტიონი მე არ მინახავს. განზილებით არ გაგანზილებდა: ყოჩალ, ძამიკო, ყოჩალო, გეტყოდა, გულში, ვინ იცის, რას ფიქრობდა.

– რას გაიხსენებდით ახლა, ცხელ გულზე, გალაკტიონის ცხოვრებიდან?

– გალაკტიონთან, წლების განმავლობაში, ახლო მეგობრობა მაკავშირებდა. დასახატავად კი 1935 წლამდე ვერ მოვიხელთე. ამ დროიდან სისტემატურად, თითქმის ყოველ წელს, ვხატავდი. ოციოდე პორტრეტი მაქვს გალაკტიონის, ნატურიდან დახატული.

– როგორი იყო გალაკტიონი მენატურე?

– ძნელი დასახატავი გახლდათ. ერთ ადგილზე ვერ გააჩერებდი. დადიოდა, ლაპარაკობდა. ხანაც თავისთვის ბუტბუტებდა. 1935 წლიდან რამდენჯერაც კი მოსულა ჩემთან სენასზე, ყოველთვის მთვრალი იყო. მე ერთ ჭიქაზე მეტი ჩემს სიცოცხლეში არ დამილევია. ვეჩხუბებოდი, ნუ მოდიხართ, მთვრალი-მეთქი. ჩაფიქრდებოდა, უცნაურად გაუმტერდებოდა თვალები. მერე ჩაიცინებდა: კი, ძამიკო, აწი აღარ დავლევო, დამპირდებოდა და ერთ კვირას აღარ გამორჩნდებოდა. მერე ისევ მოვიდოდა მთვრალი.

– ბუტბუტებდაო, თქვენ ბრძანეთ.

– ჰო, უმეტეს შემთხვევაში ლექსებს კითხულობდა თავისთვის, ჩუმად და როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, რუსი პოეტების – ტიუტჩევის, ბლოკის და ბრიუსოვის ლექსებს. გალაკტიონი სიფხიზლეშიც კი ცაში დაფრინავდა. როცა გესაუბრებოდა, ვერ გაიგებდი, როდის ხუმრობდა და როდის იყო გულწრფელი. ხან მთლად გაგიშინაურდებოდა, ხან კი თქვენობით ლაპარაკზე გადავიდოდა. ირონიას ხშირად მიმართავდა. როცა მთვრალი იყო, მთლიანად სხვა სამყაროში გადასახლდებოდა. სიმთვრალე, თითქოსდა, ჯავშანი იყო მისთვის, სადაც კუსავით შეიყუჩებოდა და ამა ქვეყნის მტვერს არ იკარებდა.

– მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ა შ ი ?

– ძალიან კარგად ერკვეოდა. მხატვარი ის არის, ვინც დაგხატავს და დაგამსგავსებს, სხვა ყველაფერი ბითურობააო, მეტყობა ზოგჯერ ხუმრობით. მაშინაც კი, თვით რომ ფორმალისმით იყო გატაცებული პოეზიაში, მხატვარ-ფორმალისტებს ვერ იტანდა. ვის



ატყუებენ, ვის დასცინიანო, ბრაზდებოდა. განსაკუთრებით მოსწონდა ქართული ფრესკები. რამდენჯერმე ქალაქგარეთაც გამიყოლია. ერთად ვიყავით ბეთანიაში, უფლისციხეში, ატენში ყინწვისში. ერთხელ, შაბათ საღამოს, შევთანხმდით, დილით მატარებლით ატენში წავსულიყავით. ღამის 11 საათზე ელბაქიძეზე მთვრალი შემხვდა – რატომ დალიე, დილით ხომ ველარ წამოხვალ-მეთქი, ვუსაყვედურე. ნადი, ძამიკო, დაიძინე, ჩემი საქმე მე ვიციო. დილის ექვს საათზე გადიოდა, მატარებელი. ცოტას წვიმდა კიდეც. იმედდაკარგული გავედი სადგურზე. საათის ქვეშ (ახლა ის საათი და შენობა რატომღაც დაანგრეს, ალბათ, უკეთესს ააშენებენ) იდგა და მელოდა. მიმიხვდა სიხარულს, აბა რა გეგონა შენო, ვაჟკაცის სიტყვა სიტყვა უნდა იყოსო. დაღევა ხელს რომ მიშლიდეს რამეში, წვეთს აღარ დავლევდიო. შენ არ იცი, რამხელა სიამოვნებაა ღვინის სმა. მე რომ ქართველად არ დავბადებულყავ და მთელი ცხოვრება რახის, ლუდის და არაყის შემყურე ვყოფილიყავი, თავს მოვიკლავდიო.

– პირველად სად შეხვდით, თუ გახსოვთ?

– 1924 წელს გავიცანი. ოფიციალურად არავის წარვუდგენივარ, ცერემონიების კაცი არ იყო. სრულიად უცნობსაც გამოელაპარაკებოდა მისებურად, ალაღად, გულწრფელად, უშუალოდ. მწერალთა ბაღში იჯდა მთვრალი და ვიღაცას აგინებდა, – პოეტს ფული სჭირდება და არ აძლევს, კაცია ესო? ამხედ-დამხედა, – აქ რამ მოგიყვანაო, შინაურულად მკითხა. მხატვარი ვარ-მეთქი. წამოხტა და გადამხვია. ეს რა მითხარი, ძამიკო, მხატვარი რანაირად ხარ, ასე პატარა ბიჭიო. ვიფიქრე, მეტ შთაბეჭდილებას მოვახდენ-თქო და, პოეტიც გახლავარ-მეთქი წელში გავიმართე. ჩემი პოეტობა მაინც დამაინც არ ესიამოვნა. აბა, ერთი ლექსი მითხარიო. არ მახსოვს, რომელი, ჩემი ადრეული ლექსის ორი სტროფი წავუკითხე. კარგა ხანს იჯდა თავჩაქინდრული. მერე, როდის, როდის, თავი ასწია, თანაგრძნობით სავსე თვალები მომაპყრო და ყრუ ხმით მკითხა: მხატვარიც მაგნაირი ხარ, ძამიკო? წამოდგა, ხელი გადამხვია, და რუსთაველის პროსპექტი ასე ჩავიარეთ. ბესიკის აღმართზე თორნის გვერდით, მენაღე ობოლაშვილი ცხოვრობდა. მენაღე ლექსებსაც წერდა. მის სახელოსნოში ვიკრიბებოდით, გალაკტიონი, პოეტი ნიკოლოზ ჩერნოვსკი, მხატვარი კოლია ჩუდეცკი, გენო ქელბაქიანი, ტერენტი გრანელი, გიორგი ქუჩიშვილი და მე. რაკი ღვინოს არ გეახლებოდით, მასპინძელი ჩემთვის კაკაოს ამზადებდა. მახსოვს ერთხელ გალაკტიონმა ექსპრომტით მიმართა ობოლაშვილს: „ჩვენ

ღვინოს გვასმევ, მხატვარს კაკაოს, მე და გიორგი რამ დაგვაკაოს“. ასე დავემეგობრდით. მერე ის იყო სოსიკო მერკვილაძესთან მიშუამდგომლა.

– დახატვა თქვენ შესთავაზეთ?

– აღარც მახსოვს. თქვენ იმის კითხვა ხომ არ გინდათ, ზედმეტად მოკრძალებული იყო თუ არა გალაკტიონი. არა, ჩემო ბატონო. გალაკტიონმა თავისი ფასი მშვენივრად იცოდა და ირგვლივ მყოფთაც ხშირად აიძულებდა, ეცნოთ გენიოსად. ამას ყველაფერს ისე აკეთებდა რომ უხდებოდა კიდეც. თუ მაშინ, სიცოცხლეში, ვინმე ვერ უგებდა, ახლა ხომ ვრწმუნდებით, რომ მართალი იყო. ერთხელ წყნეთში, გალაკტიონის აგარაკის აივანზე ვისხედით. წამოდგა და ხელი გაიშვირა: – შეხედე, კორნელი, რა სასახლეები წამოჭიმეს ბიჭებმა, მე კი ეს ფარლალა სახლი დავდგი, მეტი ვერ მოვახერხეო. მერე ეშმაკურად მოჭყტა თვალები და ჩაილიმილა: – სამაგიეროდ გალაკტიონს ლექსები აქვს, ძამიკო, იმათ ლექსები არა აქვთო.

ერთხელ მხატვართა კავშირს საბარგო მანქანა მოაყენა და ორმოცი გამზადებული, გადაკრული ტილო მოიტანა. მხატვართა კავშირის თავმჯდომარე იხმო და აუხსნა: დაურიგე ეს ტილოები ორმოც კარგ მხატვარს, ძამიკო, და დაავალე დამხატონ, სანამ გვიან არ არისო. თავმჯდომარეს გაუკვირდა და ცოტა ეწყინა კიდეც. ზოგს არ სცალა, ბატონო გალაკტიონ, და რამდენიმე მხატვარს ვთხოვ თქვენი სახელითო. განყრა გალაკტიონი. რა აქვთ გალაკტიონის პორტრეტის შექმნაზე უფრო დიდი საქმე ქართველ მხატვრებს, გამაგებინეთ ერთიო.

ხშირად დადიოდა თბილისის ქუჩებში და თავისი ძეგლისთვის ადგილს ეძებდა.

სიკვდილამდე ორი წლით ადრე საავადმყოფოდან დამირეკა – ამისხენი ერთი კორნელი, ტილოს ნახატი როგორ უნდა მოაშორო. მე ვუთხარი თბილი წყლით უნდა დააღბო და მერე უნდა აფხიკო-მეთქი. თანაც გამიკვირდა, საავადმყოფოში რაში დაჭირდა ნახატის გადაფხეკვა-მეთქი. არ გაუფლია სამ დღეს, მუშებმა სამმეტრიანი, ჩარჩოში ჩასმული, გადაფხეკილი ტილო მომიტანეს. მალე ტელეფონიც აწკრიალდა: ხომ კარგი ტილოა, ძამიკო, აქ საავადმყოფოს სარდაფში ერთი გადაგდებული პორტრეტი აღმოვაჩინე, სამი დღეა გადავყევი მაგის ფხეკას. სწორედ ამ ტილოზე უნდა დახატო შენი გალაკტიონი, ფეხზე მდგარი, ლექსების წიგნით ხელშიო. იმ ხანებში მართლა არ მეცალა და უარი ვკადრე. მალე თვითონვე გადაავინყდა

ეს უზარმაზარი ჩარჩო. იმ ხანებში უკვე სერიოზულად იყო ავად. 1959 წლის 17 მარტს ხომ თავი მოიკლა, 9 მარტს დამირეკა, მოვდივარ და გაემზადე, უნდა დამხატო. მსახიობი ლაფაჩი მყავდა დაბარებული, ბოდიში მოვუხადე და გავისტუმრე, მოლბერტი გავამზადე და გალაკტიონს დაველოდე. მოვიდა მთვრალი, ჩვეულებრივად. დავსვი და დავხატე ფანქრით. ნუხდა, შფოთავდა, გულზე ხელს იდებდა, – მოხუცდი, აღარ შეიძლება შენთვის დალევა, გთხოვ, ნუ იკლავ თავს, გაანებე სასმელს თავი-მეთქი, – მალე ველარც მთვრალს მნახავ, ძამიკო და ველარც ფხიზელსო, მრავალმნიშვნელოვნად მითხრა. კიდევ კარგი დღეს რომ დამხატე, თორემ ხვალ გვიან იქნებოდაო. დიდხანს უყურა თავის პორტრეტს, მერე ხელი ჩაიქნია და წავიდა, მეტი აღარ მინახავს ცოცხალი, ერთ კვირაში თავი მოიკლა.

ვერცხლის გვირგვინი მივიტანეთ მხატვრებმა გალაკტიონის დასაფლავებაზე. ერთად წავედით, ელენე ახვლედიანი, ლადო გუდიაშვილი, აპოლონ ქუთათელაძე, მე და კიდევ რამდენიმე მხატვარი. გზებია შეკრული. არ გვიშვებენ. – მე ელენე ახვლედიანი ვარ, ეს კი ლადო გუდიაშვილიაო, ელიჩკამ. ვინც არ უნდა იყოთ, ნაბრძანები გვაქვს, ვერ გაგატარებთო, მილიციის სერჟანტმა. ელიჩკამ სახელოში მოკიდა ხელი და ისე შეუკუროთხა უდანაშაულო წესრიგის დამცველს, რომ მე და გუდიაშვილმა ყურებზე თითები წავივლეთ. ხმაურზე ვილაც მაღალი ჩინის კაცი მოვიდა და, როგორც იქნა, გაგვატარეს. გალაკტიონის დასაფლავებისადმი მიძღვნილი ლექსი ჯიბეში მედო, მაგრამ ვინ წამაკითხა! სამგლოვიარო მიტინგი ისე ჩქარა და მშრალად ჩატარდა, თითქოს „ლურჯა ცხენების“ ავტორს დიდი დანაშაული ჩაედინოს ამ ქვეყნიდან თავისი ნებით რომ წავიდა.

– ტერენტი გრანელი ახსენეთ.

– რუსთაველის პროსპექტზე, იქ სადაც ახლა კულტურის სამინისტროა, მარგანეცის აქციონერული საზოგადოება „ჩემო“ იყო მოთავსებული, 1923 წელს „ჩემო“ დაინვა. მოსე თოიძემ იმ დამწვარ შენობაში თავის მონაფეთა გამოფენა გამართა. მეც მივიღე მონაწილეობა. რამდენიმე ნახატით წარვუდექი თბილისს. მათ შორის ერთს „დატანჯული საქართველო“ დავარქვი. ლამაზ ქალს გველები ეხვეოდა – ასეთი სიმბოლური ტილო გახლდათ. ერთ დღეს გაბურძენული, გამხდარი, ღია ფერის თმის მქონე, საშუალო ტანის ახალგაზრდა კაცი მომიახლოვდა და მითხრა: „მხატვარო, მომწონს მე შენი ნახატები – ხელი გამომიწოდა – ტერენტი გრანელი ვარ“. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. გამეგონა, წამეკითხა, მაგრამ

პირადად არ ვიცნობდი. ერთი კვირის შემდეგ თქეში წვიმა წამოვიდა და ქარიშხალი ატყდა. მიხვდი, რომ ღია ცის ქვეშ ჩვენს გამოფენას კარგი დღე არ დაადგებოდა და მაშინვე იქით გავიქეცი. მოსე თოიძე და რამდენიმე კაცი დამხვდნენ. ყველაზე მეტად ტერენტი აქტიურობდა. „არიქა, არიქაო“ ყვიროდა და ნახატებს იქით-აქეთ დაარბენინებდა. ზოგ მათგანს გულზე იხუტებდა და წვიმისგან რომ დაეცვა, თავის გაცვეთილ პიჯაკს აფარებდა. ამის მერე, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ხშირად ვხვდებოდით ობოლაშვილის სახელოსნოში. ერთხელ მითხრა – მე დიდი პოეტი ვარ და ჩემი პორტრეტი უსათუოდ უნდა დახატო. ბატონი ბრძანდები-მეთქი. სიუჟეტიც თვითონ შემომთავაზა: დამხატე სასაფლაოზე, ვითომ ჩონჩხი სადღაც მიმათრევს, მე კი ვუძალდიანდებიო. მართლაც დავხატე და 1924 წელს ჩემს პირველ გამოფენაზე წარვადგინე ასეთი სურათი „აგონიას“ სახელწოდებით.

– სვამდა?

– ცოტას. თავის ტკივილებს უჩიოდა. სუსტი აღნაგობის კაცი იყო. ერთხელ ობოლაშვილთან, მორიგ შეკრებაზე, ლექსი წავიკითხე. ცოტა არ იყოს ხმამაღალი ლექსი იყო. თვალეები აემღვრა ტერენტის, წამოხტა – ეს რა სისულელე დაგინერიაო, დაიყვირა და ჯიქურ შემომიტირა. ძლივს დააშოშმინა გალაკტიონმა. სულით დავრდომილთა თავშესაფრიდან რამდენჯერმე გამოიქცა. მოგვძებნიდა გალაკტიონს, დავით გაჩეჩილაძეს, დავით კობიძეს და მე. ცოტა ხანს იჯდა ჩვენთან წყნარად, გვესაუბრებოდა. უეცრად აენთებოდა, აგვიხრდებოდა, გაგვლანძლავდა, წამოხტებოდა და გაიქცეოდა. რომ გარდაიცვალა, დავნერე ტრაგედია „ტერენტი გრანელი“. ეს იყო ჩემი პირველი და უკანასკნელი ცდა დრამატურგიის ჟანრში. რა თქმა უნდა, არ დაუდგამთ სცენაზე. ცხოვრებაში გათამაშდა ტრაგედია ტერენტი გრანელი, სცენაზე კი არავითარი საჭირო არააო, მითხრა რეჰერტკომის ერთმა უფროსმა და პიესა უკან გამომატანა.

– კონსტანტინე გამსახურდიაზეც მითხარით რამე, ბატონო კორნელი.

– გინახავთ ჩემი „კონსტანტინე გამსახურდია“?

– დიახ, ცოტა არ იყოს გაბრაზებული ჩანს იმ პორტრეტზე „მთვარის მოტაცების“ ავტორი.

– ჩვენი ურთიერთობა უცნაურად აენყო. უნივერსიტეტის წინ შემხვდა, წელი აღარ მახსოვს. ვიცნობდი, მაგრამ ახლო არ ვიყავით ერთმანეთთან. სულ მეჩვენებოდა, რომ მიუკარებელი კაცი იყო და,

სიმართლე გითხრათ, მეც გავურბოდი. შევატყვე, ხასიათზე არაა. – როგორ გაბედე და „მთვარის მოტაცების“ დასურათებაზე უარი უთხარ გამომცემლობასო. იქნებ არ მოგწონვარ, როგორც მწერალიო. მართლაც შემომთავაზეს „მთვარის მოტაცების“ გაფორმება, მაგრამ მხოლოდ იმის შემდეგ, რაც რომელიღაც „დიდ“ მხატვარს უარი ეთქვა. თანაც ერთ კვირაში უნდა დამეხატა. ვერ მოვასწრებ-მეთქი და უარი ვთქვი. დაუწყავე. – რას ბრძანებთ, ბატონო კონსტანტინე, პირიქით, ძალიან რომ მიყვარხართ, იმიტომ ვთქვი უარი. ერთ კვირაში ვერ მოვასწრებდი. დამშვიდდა. ხელი გამომდო და შერიგების ნიშნად მითხრა – რაკი ასეა, ერთი კარგი პორტრეტი შენზე იყოსო. მერე ომი დაიწყო და ვერ მოიცალა. ერთ დღეს გაუფრთხილებლად მომადგა. ნიგნისთვის პორტრეტი მჭირდება და დამხატეო. მაშინვე შევუდექი საქმეს. ექვსი სეანსი დამჭირდა იმ პორტრეტისათვის, შენ რომ ახსენე. ჭირვეულობდა. არ მოსწონდა. ძალიან მოხუცს მხატავო. ამდენი ნაოჭები საიდან მოიტანეო. ნითელი ჰალსტუხით დავხატე. ბოლო სეანსზე მწვანე ჰალსტუხით მოვიდა და, სანამ ჰალსტუხი მწვანედ არ შემაცვლევინა, არ მოისვენა. მერე დავმეგობრდით და ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ერთ დღეს ქალბატონ მირანდასთან ერთად მობრძანდა, ხელში მოკლე საბელოთ თავისი ცნობილი მწევარი ეჭირა. ოჯახური პორტრეტი უნდა დამიხატო – მე, მირანდა და ეს ძალიან, კატეგორიულად მითხრა. რასაკვირველია დავეთანხმე. მეორე დღესვე დავიწყე მუშაობა, მაგრამ ველარ გავაგრძელე. ქ-ნი მირანდა ავად გახდა. ლოგინად ჩავარდა და მალე გარდაიცვალა.

– გიორგი ლეონიძე?

ხატვა შეწყვიტა, მეორე ოთახში გავიდა და მინაში ჩასმული, ფანქრით დახატული პორტრეტი გამოიტანა.

– გოგლა ერთადერთჯერ დავხატე ფანქრით. ეს არის და ეს. ზეთის საღებავით მინდოდა დამეხატა, მაგრამ ველარ მოვასწარ.

– ??

– გარდაცვალებამდე ხუთი წლით ადრე დამირეკა. ჩემი გამოფენა ენახა და სურვილი გასჩენოდა, რომ დამეხატა. მაშინ ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი იყო. – აბა, წამაილე შენი იარაღები და ჩემს კაბინეტში გელოდები. უნდა დამხატოო. ცოტა არ იყოს გამიკვირდა. – ბატონო გოგლა, სახელოსნოში უნდა მობრძანდეთ, სხვანაირად არ გამოვა-მეთქი. ეწყინა, – სადა მცალიან შენთან მოსასვლელადო. – რა მოხდა, შე კაი კაცო, მხატვრებთან მეფეებიც

კი სახელოსნოში დადიოდნენ-მეთქი. არაფერი უთქვამს, ყურმილი დამიდო და ხუთი წელი არ შემხმაურებია. ქუჩაშიც არ მესალმებოდა. აშკარად ჩანდა, ნაწყენი იყო. 1966 წლის 16 მარტს დამირეკა; მოვდივარ და დამიხვდით. ერთ საათში მოვიდა. თან მომხიზვლელი ქალიშვილი, ციური ხეთერელი მოჰყვა. ცოტა ხანს დარჩა. ფლომასტერით ჩავიხატე, დახედა და კარგაო მითხრა. გამატანე, ნავილებო. ჯერ დაუმთავრებელია, დასამუშავებელია, კიდევ რამდენჯერმე უნდა მობრძანდეთ-მეთქი. შენ რა ჭირვეული ყოფილხარო. ნავიდა და ათი დღე არ გამოჩენილა. ათი დღის შემდეგ დამირეკა: მანქანით გამოგივლი, პატარძელში უნდა წაგიყვანოო. ნავედით. ნინომინდაში ბალახზე გააშლევინა მძღოლს სუფრა. სანოვანე თურმე, საბარგულში ედო. მოვილხინეთ. თავის ლონიერ, მძიმე ხელს მხარზე მირტყამდა და მეუბნებოდა: – რა დროს ვბერდებით, ჩემო კორნელიო. ახლაც ყურში ჩამესმის მისი ბუხუნა ხმა. თბილისში რომ დავბრუნდით, გამომშვიდობებისას მითხრა: ხვალიდან უნდა დაიწყო ჩემი დიდი პორტრეტის ხატვაო.

შეთანხმდით. მეორე დღეს არ მოვიდა. ვერც მომდევნო დღეებში მოიცალა. ქალაქში ხმა რომ გავარდა, გოგლა ლოგინად ჩავარდაო, წყნეთში ასვლას ვაპირებდი, დამირეკა: „გოგლა ვარ, მაპატიე, კორნელი, რომ დაგალალატე, თუ ფეხზე წამოვდექი, უსათუოდ გენვევიო“. მერე სულთმობრძავი ვინახულე წყნეთში. უკანასკნელად კი კუბოში ვნახე.

– დღიურებს თუ წერთ, ბატონო კორნელი?

– რატომ მეკითხებით?

– საინტერესო ცხოვრება გაქვთ გავლილი, თანაც ძალიან საინტერესოდ ჰყვებით.

– დღიურებს არა, მაგრამ ჩანაწერებს თითქმის ყოველდღე ვაკეთებ. გალაკტიონთან, გამსახურდიასთან, გოგლასთან, თითოეულის შეხვედრა აღწერილი მაქვს. სხვათა შორის აკაკის დასაფლავებას დავსწრებივარ. მაიაკოვსკისაც შეხვედრივარ. აპოლონ ქუთათელაძემ მიმიყვანა, მგონი 1927 წელი იყო. სასტუმრო „თბილისში“ გახლდათ ჩამომხტარი... დავაკაკუნე. „შემოდით!“ მოგვესმა ძლიერი ბარიტონით, ქართულად. შევალეთ ნომრის კარი. აბაზანაში ბანაობდა. აბაზანის კარი ღია ჰქონდა. წამოდგა და დედიშობილა აღიმართა ჩვენ წინაშე ორმეტრიანი მაიაკოვსკი. რომ შევცბოთ, გვკითხა: რა იყო, შიშველი კაცი არ გინახავთო? ქართულად გვესაუბრებოდა, ოდნავ შესამჩნევი რუსული აქცენტით. მერე ტრუსების ამარა ჩამოგვიჯდა

მაგიდაზე და ორსაათიანი საუბარი გაგვიმართა მხატვრობაზე. არც კი მეგონა, თუ დავამახსოვრდებოდი. კარგა ხნის შემდეგ მოსკოვში შევხვდი გორკის ქუჩაზე. ალბათ, ვერ მიცნობს-მეთქი და უბრად ჩავლა დავაპირე. – როგორაა პოეზიის და მხატვრობის საქმეები, ქართველო? – ყურებს არ დაუფუჯერე. მაიაკოვსკი ხელგაშლილი ჩემკენ მოდის, ეჰ, ვინ მოსთვლის რამდენი ასეთი ბედნიერი წუთი მქონდა ცხოვრებაში. არა, არა, ღირს ცხოვრება ამ ქვეყანაზე.

– რის დახატვას ნატრობთ?

– მინდა დავხატო დიდი ტილო „გალაკტიონის გარდაცვალება“. გალაკტიონის კუბოსთან ყველა მისი მეგობარი და დამფასებელი დგას თავდახრილი.

– კიდევ?

– „გიორგი სააკაძეს პაატას თავი მიართევს“ – ეს თემა მოსვენებას არ მაძლევს. რა წინაპრები გვყავდა! შვილის განირვა მამულისათვის, ეს ხომ თავგანწირვაზე უფრო დიდი საქმეა.

\* \* \*

ვატყობ, დაიღალა.

ქალბატონ თინათინს ადესის კომპოტი შემოაქვს, ნახატს ათვალიერებს. თქმით არაფერს ამბობს.

– დღეს დავამთავროთ, ბატონო კორნელი, დაისვენეთ.

– ხვალაც უნდა მოხვიდე.

– გეახლებით.

– ნახე.

ფანქარი კიდევ ერთხელ ჩამოუსვა და უკუდგა.

ვამბობ იმას, რაც ამ შემთხვევაში უნდა თქვას ჩემი მდგომარეობის კაცმა.

– კაი ახლა, ნუ გაითაფლე ენა. მირჩევნია ნაკლზე მიმითითო. ხანდახან გარეშე თვალი უკეთ ხედავს. იმ ბლოკნოტში რას იწერ ამდენს? – შიშით მკითხა ბოლოს.

– იქნებ გამოვაქვეყნო ჩვენი საუბრები.

– კარგი თუ ძმა ხარ. რა საინტერესოა. ჩემზე არა და აი, პოლიკარპე კაკაბაძეზე თუ დაწერ, ძალიან დაგიმადლი. დიდი მწერალია და რატომღაც მივიწყებული ჰყავთ.

– კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო კორნელი, – ღიმილით ვუქნევ თავს.

– ხვალ გელოდები იცოდე, ძებნა არ დამანყებინო.

კარებამდე მომყვება. გასაღებს ატრიალებს და მანამ დგას კარებში, სანამ კიბეებს ჩავივლი და ქუჩაში გავალ.

1984 წ.

## ტანჯული

ჭეშმარიტი პოეზია ანუ წმინდა პოეზია, როგორც მას ხშირად უწოდებენ, ძნელადაღსაქმელი ფენომენია.

ლირიკის ორი სახიდან (ინტიმურ-მედიტაციური და სამოქალაქო-პუბლიცისტური) წმინდა პოეზიად პირველს მიიჩნევენ, ხოლო სამოქალაქო-პუბლიცისტური ლექსი, რაკილა ფართო მასებზე ზემოქმედებისათვის არის გამიზნული, სოციალური ჟღერადობისა და პროპაგანდისტულ ხასიათს ატარებს, გამომსახველობითი საშუალებებითაც უფრო სადაა, გამჭვირვალეა, რომ იტყვიან, ყველასათვის გასაგებია.

ინტიმურ-მედიტაციური ლირიკა პოეტის შინაგან სამყაროში ჩაღრმავების შედეგად იქმნება. იგი ლირიკული გმირის პირადი განცდების, მისი სულიერი წონასწორობის, განწყობილების სიტყვიერი კალეიდოსკოპია და ისეთივე რთულია, როგორც თითოეული ინდივიდის და მითუმეტეს პოეტის ბუნება.

სიტყვა „მითუმეტეს“ აქ შემთხვევით არ გვიხმარია. ჭეშმარიტი პოეტი ჩვეულებრივ მოკვდავთაგან ხასიათის არაერთი შტრიხით რომ განსხვავდება, საკამათო სრულიადაც არ გახლავთ.

ამ განსხვავებულობას ანუ არაორდინალურობას (გნებავთ არაჩვეულებრიობას) თანამედროვენი ზოგჯერ „უცნაურობად“ ნათლავენ (გალაკტიონი, მალარმე, ედგარ პო), ზოგჯერ კი, რა დასამალია და უჭირთ პოეტური ბუნების თავისებურებებსა და ჩვეულებრივი მოქალაქის ფსიქიკას შორის ზღვარის გავლება და სწორედ პიროვნულ უცნაურობათა მატარებელ შემოქმედს ხელალებით გამოაცხადებენ შემოღილად (ტერენტი გრანელი...).

ამის სამწუხარო მაგალითები ლიტერატურამ არაერთი იცის.

ლიტერატურამ იმგვარი ფაქტებიც იცის, რომ რაც უფრო იდუმალია, ძნელადპროგნოზირებადია (სამედიცინო ტერმინი რომ ვიხმაროთ), ჩვეულებრივ მოკვდავთაგან განსხვავებულია პოეტის ბუნება, მით უფრო ღრმა და გრძნეულებით სავსეა მისი პოეზია.

ასე რომ, პოეტის სახით ჩვენ საქმე გვაქვს არაჩვეულებრივ ფენომენთან და სინამდვილესთან პოეტის დრამატული დამოკიდებულება სწორედ იმით აიხსნება, რომ პოეტური ბუნება, ანუ პოეტის სული ვერ ეგუება ობიექტელთა მოსაწყენ ერთფეროვან, ნაცრისფერ რიგებში მისი ჩაყენების მცდელობას, ანუ შიშველ ადმინისტრირებას.

საზოგადოების მსახვრალი უთოთი დაუთოვების ან ზოგჯერ, ახირებული კანონების ყალიბის პოეტისათვის ძალად თავსმოხვევის შემთხვევაში შემოქმედის ფაქიზი სული შფოთვას, წინააღმდეგობის განწევას იწყებს.

ეს წინააღმდეგობა ზოგჯერ პოეტური ამბოხებით მთავრდება, რაც პოეზიაში რისხვა-გოდებად გამოვლინდება, ზოგჯერ პოეტის მიერ დროებით შეგუების ნიღბის მორგებით, როცა იმ ნიღბის მიღმა პოეტის შეცნობა უჭირთ ხოლმე, ზოგჯერ „თავის თავში წასვლით, შინაგან მეში „შეყუყუით“ და საზოგადოებისაგან განზე განდგომით... ზოგჯერ კი, რაც ყველაზე სავალალოა, ეს საბედისწერო კვეთება ან პოეტის ფსიქიკური აშლილობით, ან თვითმკვლელობით თავდება.

მიუხედავად ტლანქი მოპყრობის გამო ჭეშმარიტი პოეტის სვეცხოვრების არაბუნებრივი დასრულებისა, საზოგადოებამ, სამწუხაროდ, დღემდე ვერ გაიგო, რომ პოეტი ფაქიზი, უალრესად მგრძნობიარე, ნერვებაჭიმული პიროვნებაა და ჩვენგანაც ასეთსავე სათუთ, ფრთხილ, სიყვარულიან დამოკიდებულებას მოითხოვს.

გალაკტიონს მთელი სიცოცხლის მანძილზე სდევდა ხან აუხსნელი გულგრილობა, ხან პირიქით. მის პირად ცხოვრებაში, „სულში ხელის ფათური“ გამაღიზიანებელი სინამდვილე.

მას, ბავშვივით ალაღსა და მიმნდობს, ხშირად ვერ უგებდნენ.

გალაკტიონის არაორდინალურ ნაბიჯებს ხან ახირებად ნათლავდნენ, ხან განდიდების მანიად.

ყოველდღიური წვრილმანები გრძნეულ კაცს ოცნებათა სამყაროდან ძირს, მიწისაკენ ეზიდებოდნენ.

ძნელი ხდებოდა იმ თოკთა განწყვეტა, რომლითაც „ეფემერის“ ავტორი ყოფით საგნებზე იყო მიბმული და სწორედ ეს შეუსაბამობა ბადებდა პოეტის სულში მუდმივი წინააღმდეგობის ქარბორიებს, მავანთ რომ ჭირვეულობა ეგონათ.

რაც უფრო ღრმად ვეცნობით გალაკტიონის ცხოვრებას და შემოქმედებას, მით უფრო ვრწმუნდებით, რომ პოეტს სულიერი მეგობარი, სულის მესაიდუმლე თითქმის არ ჰყავდა და ეს იქნებ ბუნებრივიც იყო.

პოეტის ქმედების ახსნას, მისი სულის ლაბირინთში ჩანვდომას ისევ მეორე „მე“, მეორე გალაკტიონი თუ მოახერხებდა, „მეორე გალაკტიონი“ კი მის ახლომასლო არ არსებობდა.

ყველაზე დიდმა და ძლიერმა სიყვარულმა ოლია ოკუჯავამ ვერ გაუგო. სანამ მკაცრი სინამდვილე სამუდამოდ გაანაპირებდა ცოლს ქმრისაგან, ფაქტობრივად მანამდე დაშორდნენ ისინი ერთმანეთს.

ოლღამ, ჩანს, ვერ გაუძლო პოეტის სულში მოგიზგიზე ცეცხლს, თუმცა, როგორც პირადი წერილებიდან ჩანს, გალაკტიონის ფასი მან კარგად იცოდა, (რ. მ.) და გაერიდა.

ოლია მოსკოვში იყო თავისი პარტიული საქმეებით დაკავებული, გალაკტიონი თბილისსა და ქუთაისში.

პირადი ცხოვრების ფიასკო ერთბაშად არ ჩამომდგარა. იგი ნელ-ნელა მზადდებოდა ათეული წლების განმავლობაში.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა თვრამეტი წლის დენდი ოკუჯავების მოქართულ-მორუსულე ოჯახში გამოჩნდა.

წრემ, რომელიც სტეფანე ოკუჯავას და მისი პოლონელი ებრაელი მეუღლის მრავალშვილიან ოჯახს წარმოადგენდა, რომელთაც მერე სწორედ თავიანთი წარმომავლობის გამო კომუნისტურ საქართველოში უმაღლესი თანამდებობის დაკავება ელოდათ, თავიდანვე ამრეზილად შეხედა ახალგაზრდა კაცს, რომელშიც წვეთი სისხლის არ იყო არაქართული და „არაპოეტის“.

რაკილა ერთხელ ვერ აენყო, ასე ჟამკარარევით ვიდოდა მეოცე საუკუნის უპირველესი პოეტის ცხოვრება იმ საბედისწერო ნახტომამდე 1959 წლის 17 მარტს რომ გაკეთდა.

მანამდე კი იყო იოლად ასახსნელი შური თანამოკალმეთა, გაბედულება – ირონიის ყოველი გამოვლენის დროს დაბარებები სადაც ჯერ არს, ჩაშლილი შემოქმედებითი საღამოები და ხალხთან მათი პოეტის მისვლის გზაზე აღმართული ბარიერები, გეგმიდან გეგმაში გადატანილი წიგნები, ხელისუფლების სახელით ჭკუის დარიგებები და საარჩევნო აბურჩად აგდებები...

და ამ სახელმწიფოებრივ ბადეს, ამ უხერხულობათა ორომტრიალს წინ უნდა აღდგომოდა ერთი ალალი და სუფთა სულის კაცი, ეშმაკობათა და გაძრომ-გამოძრომათა ილეტებში სრულიად გაუცნობიერებელი ლექსის კაცი – გალაკტიონი.

ძნელი იყო... ძალიან ძნელი.

მართალია, ირაკლი აბაშიძე ბრძანებს: „ეს ყველაფერი მას ესმოდა ერთ გრძნეულ ჰანგად, ერთ გრძნეულ გამადო“, მაგრამ სინამდვილეში მთლად ასე არ იყო.

ვერც ერთმა გენიოსმა ვერ შეძლო ცხოვრებისეული სინამდვილიდან მოწყვეტა და ქრისტესავით ცად ამალღება, სანამ საზოგადოების წევრი იყო და ჭირვეულ მოქალაქეთა შორის ტრიალებდა.

ბუნებრივია, ვერც გალაკტიონი შეძლებდა.

ამიტომაც აეკვიტა სიყრმიდანვე მის შემფოთებულ სულს დევნის მანია და არცთუ უსაფუძვლოდ. გალაკტიონის მთელი სიცოცხლის მანძილზე უთვალთვალებდა კვბ-ს ფხიზელი თვალი.

„გამნარებათა“ და „გზის გადაკეტვათა“ იდუმალეზა ზოგჯერ ისე ცხადი და აუტანელი ხდებოდა, რომ პოეტმა არაერთგზის სცადა თვითმკვლელობით გაქცეოდა მკაცრ სინამდვილეს.

იგი მკაცრი დროის, სიტლანქის მსხვერპლი, ბოლომდე ღელავდა, ბოლომდე ინვოდა, „მგომბელი სიტლანქის“ სუნთქვას ბეჭებთან გრძობდა... აკი წერდა ერთ-ერთ უკანასკნელ ლექსში:

„ვით შეიძლება იქნე ლამაზი,  
როცა სიტლანქე მოდის მგომბელი?  
დროა დავტოვო ფიქრი ამაზე  
მცირე ბედისაც ვარ მადლობელი.  
სამინელება, სიბნელე, გესლი.  
დემონიური ცეცხლის პროფილი.  
ბოროტო, სუნთქვა ნუ გამიძნელე,  
მადლობელი ვარ, ვარ კმაყოფილი“.

„მადლობა“ და „კმაყოფილება“ („ქვეყანა გაცვდა“), „სიბნელეს“ და „გესლს“ რომ არ მოჰყვება ძნელი მისახვედრი არ არის და პოეტის ირონიაც გასაგებია. იგი იმ დამთრგუნველი სახელმწიფო მანქანის პასუხია, უარესი დღე რომ არ დააყარა „მერის“ ავტორს.

ქუჩაში გამოსული გალაკტიონი კი იმ ღამეულ ჩვენებათა იმ სატანათა კირთებასთან ბრძოლაში დაღლილი პოეტი იყო, რომელმაც მოილო მოწყალეობა და თავისი დიდი ჩანთით, დაჭმუჭნილი პიჯაკით და ჭილოფის ქუდით გალაკტიონ ტაბიძის სამოქალაქო პასპორტის მფლობელის თავი დაგვანახვა და ამით გაგვაბედნიერა.

ნამდვილი გალაკტიონი, რა თქმა უნდა, ის არ იყო.

იგი სხვაგან იყო, სხვაგან ცხოვრობდა, სხვა ქარი ედებოდა „კიპარისის ტანს“.

„რა აკანკალებს კიპარისის ტანს,  
ჩუმი შრიალი საიდან არი,  
ქარი არა ჩანს, ქარი არა ჩანს“

მწვერვალებს მაინც ედება ქარი.  
ღუმელი გახდა ვინრო გალია,  
დაუძინარი და უჩინარი,  
მხოლოდ იმიტომ, რომ მაღალია  
მარად და მარად ტყე ჩნდება ჩინარი“.

იცოდა, რომ მისკენ მზირალი ეჭვიანი-პენსიანი („ისევე ეფემერა“) თვალების და მარადიული ტანჯვის მიზეზი სწორედ რომ მისი სიმაღლე იყო. ერთ ლექსში თვითვე წამოცდა, რომ ცხოვრებამ იძულებული გახადა ნილაბი ეტარებინა.

„ჩემი როლი ნილაბი იყო სული ნილაბის,  
ვარ უცნობი ყველასათვის ასეთ სულისკვეთებით...“  
(„ბნელ ქიმერებში“)

დროის მარწუხები მის სულს, ხან დემონად დააცხრებოდა, ხან ბედისწერის შავ ყორნად.

„შავი ყორანი გზაზე მომჩხავის,  
„ნუ იხედები“ „ნუ იხედები“  
(„შავი ყორანი“)

სწორედ ის ყორანი უღრღნიდა სულს და მოსვენებას არ აძლევდა:

„ძვირფასო, ძვირფასო, ბედი ჰკლავს ჩემს სხეულს  
თვალეში ყორნების მქენჯნიან კლანჭები  
ამირანს მიჯაჭვულს და მგოსანს ნაქცეულს  
ვილაც ფრთებს მიკვეცავს... აჰა, ვიტანჯები!“  
(„მე მოვალ“)

მარადიული მდევნელი, ვილაც მესამე, ვილაც მახინჯი ხშირად ფიგურირებს გალაკტიონის ლირიკაში:

„ვილაცა მახინჯი მხიარულ სიცილით  
შემოგვხვდა... დაგვინყო პატიჟი,  
ვინ იყო? საიდან? ჩვენ ის ვერ ვიცანით  
და ყველა შევყევით შავი დღის ბადეში“.  
(„ახალი მოსახლეობა“)

„ვილაც მესამე“ სულს თავისუფლებას უხშობს და ფრთებს სითამამეს ართმევს.

„ენატრებოდათ ფრთებს სითამამე  
უზრუნველობის შენი სიშორის“.  
მაგრამ უეცრად ვილაც მესამე,  
ვილაც მახინჯი ჩადგა ჩვენს შორის“.  
(„ედგარი მესამედ“)

უცნობი დემონური აჩრდილი ზოგჯერ ნაცნობის სახეს იღებს და  
ლირიკულ გმირს ეთვალთმაქცება.

„ყოველთვის მგონია, ჩემს სახელს ნაცნობი  
აჩრდილი თან დასდევს სისხლიან ხელებით,  
უცნობებს ეძახის ფარული ხველებით  
და მე კი თვალს მიხვევს ალერსით და ძმობით“.  
(„ყორანი“)

სულის ხუნდები, სულის ხელბორკილები მაჯლაჯუნად დასწო-  
ლია, სუნთქვას უძნელებს და ჭკუიდან შლის: „თანამედროვე სული  
ვით წერილები არანორმალური ადამიანის, უხილავი ბორკილები,  
მარადი სიზმარი, ფერხული ზმანებათა, სიბნელე ყველგან, ყოველთ-  
ვის უხილავი ბორკილები! („ოთხი დემონი“).

არ იყო დიდი მოქალაქეობრივი გმირობა, მაშინ როცა ავადსახ-  
სენებელი 37 წინ იყო; მკითხველისათვის მიგენიშნებინა „უხილავ  
ბორკილებზე?“

ახლა ის ვნახოთ, „სოციალისტური აღმშენებლობა“, „ინდუსტრი-  
ული დრო“ როგორ დახატა გალაკტიონმა ორიოდე ფერწერული  
შტრიხით:

„აელვარებულ ღუმელთა შორის,  
იქ, სადაც კვამლში ქანაობს ძილი,  
დადის საშიში, როგორც სიკვდილი.  
გამოხედვა აქვს ზვიადი ქორის  
და ბაგეების კერპი დუმილი,  
გარშემო ნისლი იშლება ქუფრი,  
ჭვარტლი, გუგუნი, ტალახი, კუპრი“.  
(„აელვარებულ ღუმელთა შორის“)

არის აქ თუნდაც მცირეოდენი მინიშნება „ახალი ეპოქით აღფრ-  
თოვანებაზე ასე გულდაგულ რომ აბრალებენ გალაკტიონს საბჭოთა  
კრიტიკოსები?

ისევ დევნის მანიას და სულის დემონს დავუბრუნდეთ. ნიადაგ,  
რომ თან სდევდა „ლურჯა ცხენების“ ავტორს.

გალაკტიონის ერთ ლექსს „პორტრეტი“ ჰქვია. ლირიული გმირის  
პორტრეტი „დამშვენებულია“ გველებით და სანამლავებით.

„...და ვენახები მოსილი ვაზით,  
სანახელების ლურჯი ნავებით.  
ვაჟი, რომელიც ღვინოს სვამს თასით,  
თასი კი ელავს სანამლავებით.  
თქვენ არაერთხელ ისმენდით ამბავს.  
ვაჟისას, ღამით რომ არ იძინებს.  
სიგიჟით ყნოსავს ვარდებს და ზამბახს,  
სადაც ღამე და გველი სისინებს“.  
(„პორტრეტი“)

მეოცნებე საუკუნის ქართული პოეზიის მეფე, რომელმაც თა-  
ვისი ადგილი და სიდიადე კარგად იცის, დროდადრო აუმხედრდება  
ხოლმე მკაცრ სინამდვილეს და წყევლა-კრულვით ამკობს სააქაოს:

„ვიცი, სამყარო მას მოსწყინდება,  
დარჩება ხსოვნა ყოფნას, დიონისს  
და იშვიათად თუ მობრწყინდება  
სხვა საუკუნე გალაკტიონის.  
ანგელოსები მას შეაფარდებს  
ქრისტეს, რომელიც ჯვარზე გაკრულა  
და ცა კივილით დაუშვებს ფარდებს  
ამ სააქაოს წყევლად და კრულვად“.  
(„ცისფერი“)

საქართველოს ცაზე 1921 წლის 25-მა თებერვალმა გადიგრიალა.  
გალაკტიონმა დაინახა, რომ იმპერიის კლანჭებიდან სასწაუ-  
ლებრივად დახსნილი საქართველო ისევ დაიპყრო ამჯერად უკვე  
წითელმა, ბოლშევიკმა რუსმა, კვლავ გაჩნდა იმის საშიშროება, რომ  
რუსეთის სტომაქმა დაბრუნებული საქართველო გააქრო მსოფლიოს  
პოლიტიკური რუკიდან. თებერვლის თოვლზე არაერთი ლექსი დაი-  
წერა (თუნდაც კოლაუ ნადირაძის „შემოდოდა სიკვდილი ცელით“  
რად ღირს) და იმ თოვლზეა გალაკტიონის „თოვლიც“:

„მე არ მინახავს თოვლი იმდარი.  
ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვართ რუსები,  
მაგრამ კვლავ გაჩნდა მათი მინდორი,  
მათი ნისლეები და ბურუსები“.

(„თოვლი“)

„ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვართ რუსები“ სასხვათაშორისო პოეტ-  
ური სტრიქონი როდია. იგი პოეტის სულის კვილია დაბრუნებული  
რუსული ჩექმის წინააღმდეგ მიმართული.

სად დგას ამ დროს გალაკტიონი? რასაკვირველია, იმათ გვერ-  
დით არა, ვინც მეთერთმეტე არმიას თეთრ ცხენზე ამხედრებული  
შეეგება, აი, როგორია მის მიერ იმ დღეებში დახატული თბილისი:

„ავლაბრის დაღმა ეშმაკის ხარო  
სავსეა შიშით სავსეა წყრომით  
იქროლე ქარო, იქროლე ქარო,  
მთვრალო სიცივით და შემოდგომით!  
გსდევდეს ნივილი, თხოვნა-ხვენილი  
და ქაჯურ ვალსში იყო გართული,  
ეს ტფილისია თმანენილი  
და მწუხარება ჩვენი, ქართული!“

(„ჩააქრო ყველგან“)

„ქართული მწუხარების“ მიზეზი მკითხველს კარგად მოეხსენება,  
ამბოხებული გალაკტიონი კი არა და არ ცხრება და ახლა თვით  
ილია ჭავჭავაძის მოხვევსთან გადადის ალავერდს:

„განრისხებულა თვითონ ზევესი,  
დორბლმორეული შავი მელანით  
დაკარგულია გზა მოხვევისი...  
ბნელდება, ღამე მიეშველენით!“

(„ღრუბლები ჰგვანან“)

მაგრამ ლელთ ღუნისას მიმშველებელი გათელილ საქართველოში,  
რასაკვირველია, არავინ ჩანს, მოხვევის კი არა თვით ილია ჭავჭავა-  
ძის ხსენება აღარ არის მოდაში.

ნითელი ტერორით შემკრთალი გალაკტიონი ზოგჯერ ლიტერა-  
ტურულ ეშმაკობასაც მიმართავს; ლექსს წერს სახელმწიფო სათათ-

ბიროს ყოფილ წევრზე, ემიგრანტ შულგინზე, თითქოსდა აკრიტიკებს  
მას, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი მშვენივრად მიხვდება, რომ  
შულგინის აზრთა გადმოცემაში ჭეშმარიტება და თვით გალაკტიონ-  
ის პოზიციაც მშვენივრად იკვეთება. თურმე შულგინი ამბობს:

„რის ნითლები, რისი თეთრი! ყველა  
ომებისა რომ გაივლის გროვა,  
მისი აზრით, თუნდ ნითელი ერქვას,  
ერთი კაცის დიქტატურა მოვა.  
რა შუაშია კოლექტივი, კლასი?  
ძვალრბილში აქვს რუსეთს ერთი ქარი,  
იმას გინდა რომანოვი ერქვას,  
გინდ სრულიად სხვანაირი გვარი.  
ასეთია ამ შულგინის აზრი,  
და ამ აზრთან ღმერთმა შეაბეროს.  
მისი ბედი, რომ შორიდან ამბობს...  
საზღვარგარეთ კი რაც უნდა, – წეროს“.

(„მე ამ წიგნზე“...)

მოვიდა ოცდაჩვიდმეტი. ქვეყნის თავზე ჩამონოლილმა ტერორის  
ღრუბლებმა პოეტს სვემნარე, მაგრამ შედარებით თავისუფალი ახ-  
ალგაზრდობის წლები მოანატრა.

„მე ვთქვი: სადაა გზები სავალი,  
რაც ახალგაზრდას გქონდა მრავალი,  
გადაიკეტა მართლა კარები.  
და არსად არის გამოსავალი?“

(„ერთხელ შენ“)

სწორედ ოცდაჩვიდმეტი წელსაა დაწერილი დრამატიზმითა და  
ტრაგიზმით აღსავსე „უკანასკნელი მატარებელი“. პოეტი, ეჭვი  
არაა, მატარებლის სახეში რეპრესიების მსახვრალ ხელს, ანუ კომუ-  
ნისტურ ხელისუფლებას გულისხმობს:

„ვიცი, ამ წასვლას რაც ეწოდება,  
რა საჭიროა ახლა გოდება  
მატარებლისგან როს მიმიღია  
ან თანაგრძნობა, ან შეცოდება?“

(„უკანასკნელი მატარებელი“)



არც მეორე მსოფლიო ომის შემდეგაა პოეტი დალხინებული. კითხულობთ კიდეც ერთ ლირიულ ავტობიოგრაფიას და აშკარად გრძნობთ რომ „არ ემდური“ მხოლოდ ცენზურის თვალის ასახვევადაა ჩადებული.

„შენ ფოლადივით ცივი თვალებით  
უცქერ განვლილ გზას და არ ემდური.  
რად გინდა იყო დიდი პოეტი,  
თუ სიცოცხლეში ხარ უბედური?  
აქვეყნებ ლექსს თუ თმას გადივარცხნი,  
გამოსვლის უმალ, როგორც შურდული  
მოგესევინა მარჯვნივ და მარცხნივ  
და ნუთის უმალ ხარ გაქურდული“.

(„შენ ფოლადივით“...)

ახლოვდება სიბერე. აღარსად ჩანან ოცნების ქალიშვილები („თქვენ ისეთი კარგი ხართ, თქვენ პოეტი ბრძანდებით“), შთაგონების ხეს თითქოსდა ფესვები უხმება და ფოთლები ქარდაქარ სცვივა, თავდება დაუზარებელი ხეტიალი ოცნებათა ცისთავანზე, მაგრამ არ თავდება სიყრმიდანვე ადევნებული მელანქოლია, არ თავდება ნელ ცეცხლზე წვა, შური, მტრობა და ბოროტების საბედისწერო ვალთვალი:

„შენ არ გინახავს კაცის ღიმილი,  
შურმა და მტრობამ ისე მიგინდო,  
შენი ცხოვრება და სიმძიმე  
არის ეს ქუჩა და სამიკიტნო...  
ეს აზრი უნდა გავიგოთ ასე:  
რომ მხეცი არ თმობს თავის ხელობას  
და გალაკტიონ ტაბიძეს ურჩევს  
წერტილს ტყვიისას, რას? – თვითმკვლელობას“.  
(„შენ არ გინახავს“)

ეს იქნებ უკანასკნელი ამოკვნესაა, რომლის იქითაც საუკუნო სიჩუმელა („ჰამლეტი“) რჩება. იქნებ ამით უკანასკნელად ესროლა ხელთათმანი პოეტმა სულთამხუთავეებს?

თვითმკვლელობამდე ჯერ შორსაა. სინამდვილემ ერთადერთხელ ფარისევლურად გაუღიმა და თავზე აკადემიკოსის ჩაჩი თუ იუბი-

ლარის დაფნის გვირგვინი მოარგო, მაგრამ წამებულის გულმა აღარ მიიღო ეს „დაფასება“.

„ნინა შენი სპეტაკი გზა  
და ვარდები ფეხით თელეს,  
მერე ვითომ შერცხვით ცოტა  
და ჩანგს მიწვდნენ უგულწრფელესს.  
კარგი, კარგი, ვინ ვერ ხედავს,  
რომ ეს ხრიკი ამაოა,  
მას ზეიმი დაერქმევა  
და დამარხვა კი გამოვა,  
დამფასებლის სამოსელში  
გაეხვევა მტრების ჯარი,  
მაგრამ მათი ღრინაცელი  
ცინიზმია საზიზლარი“.

(„წინათ შენი“)

სიცოცხლის ბოლო წელია. მოსაწყენი დღეები ჩამავალ მზეს მიჰყვებიან, მოახლოებული მატარებლის გუგუნი ისმის. იგი, როგორც პოეტი კარგა ხანია სივრცეებმა დააბინადრეს, მაგრამ სხეული ჯერ კიდევ აქ არის. ჯერ კიდევ დგას თუთუნის ბოლი კრილოვის 10-ის მესამე სართულზე და ფანჯარას მომდგარი წვეროსანი კაცი მოპირდაპირე აივანზე გადმომდგარ ჩინოვნიკს შიშით შესცქერის („იმ აივანზე კაცი რომ მოჩანს, იცოდე შენი მეკუბოვეა“), მერე მაგიდას მიუჯდება, თავის წიგნს გადაშლის და იქიდანაც სასოწარკვეთა შემოასუნთქავს („ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის!“).

ხვალ დილით იგი საავადმყოფოში გაჰყვება თავის ძმისშვილს, რომ იქ მაინც იპოვოს საბაბი გროშივით გაცვეთილი ცხოვრებისათვის საბოლოო ანგარიშის გასასწორებლად.

ელბაქიდის ხიდთან მარტის წვიმას დიდხანს შესცქერის, მერე უბის წიგნაკს დაწვდება და სანამ ახალდაბადებულ სტრიქონს ჩაინერდეს, ნერვიულად ჩურჩულებს:

„...თქვენგან სიცივე  
და თარეში სულის ბოროტის,  
დიდი სიცივე,  
კოსმიური სიცივე მოდის“.

## მწერალი და თანამედროვეობა

კაცმა არ იცის, ადამიანის ანთროპოლოგიურ-კულტურული განვითარების რომელ ეტაპზე გაჩნდა აზრის მხატვრულად გადმოცემის, ანუ ადამიანის ცხოვრების ლიტერატურული ხერხების აღწერის ხელოვნება.

ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ იგი დამწერლობის წარმოშობამდე გაჩნდა.

ვინ იცის, რამდენი საუკუნის შემდეგ ჩაინერეს ადამიანებმა გამოქვაბულის წინ მჯდომი კაცის დანამდერი თუ დანაკვნის ფრაზები.

დანამდერი-მეთქი იმიტომ ვთქვი, რომ ინდოეთში, არაბეთში, სპარსეთში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში პოეტის გამოსვლა თავისი მსმენელისა თუ მკითხველის წინაშე ხშირად სიმღერით სრულდება. პოეტი და მომღერალი ლამის სინონიმებად ქცეულან.

ალარ მოყვებები კაცობრიობის წინაშე მხატვრული ლიტერატურის როლის შესხენებას.

ეს ათასჯერ არის ნათქვამი და ცის ნათელივით ცხადია.

ადამიანის სული, პირველ რიგში, სწორედ მწერლობამ გაასპეტაკა და გაალამაზა.

საუკუნეთა განმავლობაში მწერლობა იყო ერთადერთი ასპარეზი ადამიანური აზროვნებისა – სიკეთეს, პატრიოტიზმს, სათნოებას რომ უნერგავდა ადამიანებს.

ისტორიული ჭეშმარიტებაა – სახელმწიფოში, სადაც არსებობდნენ ტირანებიც და დემოკრატი მეფენიც, ყველაზე პოპულარული სწორედ რომ, მწერალი იყო.

მწერალი იყო კეთილად პოპულარული.

მისი სახელისა შურდათ გვირგვინოსნებსაც კი და ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ მწერლისთვის მიეზღოთ.

ლიტერატურის ისტორია სავსეა ზოგჯერ აშკარად ნიჭიერი და ზოგჯერ ხელმოცარული მეფე-პოეტებით.

არაფერი აკლდა იმპერატორს: არც ხმლით შემოხაზული იმპერია, არც სიმდიდრე და მლიქვნელთა თაყვანისცემა, აკლდა მხოლოდ მწერლის სახელი.

თუ კალმით ვერ გაუწევდა მას მეტოქეობას, ცდილობდა მწერალი დაეახლოებინა და კარის ჩინოსანთა ამაღლებაში მოექცია.

გენიოსებიც ვერ უძლებდნენ იმპერატორთან დაახლოების

ცდუნებას, ხოლო ის თითო-ოროლა კალმოსანი, ვინც უარს იტყოდა, გვირგვინოსნის ნაბოძები ხალათი ეტარებინა, სასტიკად ისჯებოდა. უსამართლოდ დასჯილ მწერალთა გვარები არაერთი იცის ისტორიაში.

...და მაინც, წიგნის კაცმა, ლამაზად თქმის ოსტატმა, გამოიარა ათასწლეულთა ლაბირინთები და ჩვენ დრომდე მოაღწია.

მწერალი დღესაც იმ ადამიანს ჰქვია, ვისაც ღვთისაგან თუ ბუნებისაგან მომადლებული აქვს უიშვიათესი გრძნეულება, ადამიანთა ურთიერთობაში აღმოაჩინოს განსაკუთრებული, ყველასათვის საყურადღებო, მაგრამ ასევე ყველასათვის მიუწვდომელი ნიშანთვისება, მხატვრული სახეებით აღწეროს იგი და შეუნახოს კაცობრიობას.

დადიან ისინი, გარეგნულად ჩვეულებრივი ადამიანისაგან არაფრით განსხვავებულნი, ტელეპოპულარობას მოკლებულნი...

ანეული საყელოთი და ზოგჯერ გაცვეთილი მოსასხამით დააბიჯებენ ქუჩებში ჩვეულებრივ მოკვდავთა მსგავსად.

იხდიან კომუნალურ გადასახადს, ჯდებათ საზოგადოებრივ ტრანსპორტში და ხშირად სადილობენ იაფფასიან კაფე-ბარებში...

მხოლოდ ღმერთმა იცის ამ ადამიანთა თავზე გამოსახული არამინიერი ცისფერი რკალის შესახებ და იმის შესახებაც, რომ შეიძლება ამ, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი მოკვდავის მაგიდაზე იდოს ნაწერი, მის ავტორს რომ ათასწლეულებში უკვდავებას შემოუნახავს.

– ახლა სხვა დროა და უკვდავებასაც სხვა გაგება აქვს, – იტყვის ამ სტრიქონებზე დაეჭვებული ის მკითხველი, რომელსაც მაშინვე მთქნარება აუვარდება, როცა კაზმულ სიტყვაზე ჩამოვარდება საუბარი.

– ახლა XXI საუკუნეა, ბატონო რევაზ, შეხედულებათა, რწმენათა, ღირებულებათა გადაფასების საუკუნე.

გამოუტყდით, თქვენსავე თავს მწერლები, რომ თქვენი უძველესი, მაგრამ დღეს უკვე ყავლაგასული პროფესიის წარმომადგენლები ხართ. ყავლი არ გასვლია სხვა უძველეს პროფესიას – ბოზობას. თქვენი ხელობა კი გაცვდა. ლექსის მკითხველნი ახლა გაცილებით უფრო ცოტანი არიან, ვიდრე ლექსის მწერალნი.

მართლა ასეა? მართლა გულგრილი გახდა ცივილიზებული საზოგადოება აქილევსის რისხვისა, ბეატრიჩეს კდემის, ავთანდილის ანდერძის, ნატაშა როსტოვას ბედის მიმართ?

მართლა აღარ იწერენ ქალიშვილები უბის წიგნაკში გენიალურ პოეტთა გამონათქვამებს?

არც შეყვარებულები უმღერიან გიტარით ხელში, მთვარეს თვალმიპყრობილნი, უნატიფეს ასულებს გალაკტიონის და ბაირონის ლექსებს?

ადამიანთა ცხოვრების კულტურული თუ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ისტორიულ მოსახვევებზე მწერლობას არაერთხელ გადაფარებია იდეოლოგიურ მოდათა საბურველი.

ლიტერატურისადმი ინტერესიც საზოგადოებაში, გარემოებათა გამო, არაერთხელ შესუსტებულა, მაგრამ გასულა ცოტა დრო და ადამიანებს ისევ დაუნყიათ მისი სულის ღამეულ მესაიდუმლეთა – მგოსანთა ძებნა.

ხელისუფალთ ისევ პრესტიჟის საქმედ მიუჩნევიან პოეტთა და მწერალთა ჭკვიანი შუბლების დაფნის გვირგვინებით შემკობა.

როგორ არის საქმე ამ მხრივ ახლა, XXI საუკუნის პირველ ათწლეულში?

ჩვენ, მწერლები, კვლავინდებურად ვეჯჯგუფებით მხატვრულ სიტყვას.

კვლავინდებურად ვუღიმიით და ველოლიავებით ჩვენს სარკმელთან ციდან დაშვებულ მუზას, კვლავინდებურად ერთგული ვრჩებით ჰომეროსის და რუსთაველის გაკვალილი გზისა – კი არ გაუუადვილოთ, არამედ გაუულამაზოთ ადამიანებს ცხოვრება.

ჩვენ ნაფიქრალ-ნაზარევეს ზოგჯერ ვსტამბავთ და მკითხველებამდე მიგვაქვს.

უმეტეს შემთხვევაში კი ლიტერატურულ სკივრებში ვაწყობთ.

ჩვენ, შეიძლება, ფულის შოვნის პრაქტიკულ უნარს მოკლებული ვიყოთ, რაკილა სხვაგან ჰქერის ჩვენი გონება, მაგრამ რეალობის გრძნობას მოკლებული არა ვართ.

ჩვენ კარგად ვიცით ჩვენი ადგილი და მონოდება საზოგადოებაში და თუ ზოგჯერ კაცთა გულგრილობა გაგვაკვირვებს ხოლმე, სასონარკვეთილებას როდი ვეძლევი.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ სიყრმიდანვე კაცთა მოდგმის შველის, სამშობლოს გადარჩენის მისია ვიტვირთეთ და ეს ტვირთი ბოლომდე უნდა ვზიდოთ.

ჭემარიტი მწერალი არასოდეს არ ნუნუნებს ცხოვრების მოუნყობლობაზე.

იშვიათად ზრუნავს პირად კეთილდღეობაზე.

მან კარგად იცის, მწერალიც ისე უნდა ცხოვრობდეს, როგორც მისი ქვეყანა ცხოვრობს.

და ისმის სრულიად ბუნებრივი კითხვა, როგორია, ანდა სად არის იგი, ვისაც ჩვენ ჩვენი სიცოცხლე და უძილო ღამეები მივუძღვენით?

ესმის თუ არა მას ჩვენი და არის და არა იგი ჩვენი ფიქრისა და განწყობილების თანამოაზრე?

პირადად ჩემ თავზე მოგახსენებთ მოკრძალებით და ბოდიშის მოხდით:

60-იან წლებში გამოვიჩნდი ლიტერატურულ ასპარეზზე.

1962 წელს დავბეჭდე ნოველათა პირველი პანაწინა წიგნი. მერე დიდხანს ვიყავი შემოქმედებით ძიებაში და 1970 წელს გამოვეცი შედარებით მოზრდილი კრებული ნოველებისა.

ამის შემდეგ წერა თითქმის არ შემინწყვეტია

დღემდე გამოქვეყნებული მაქვს 70-ზე მეტი წიგნი საქართველოში და 14 წიგნი საზღვარგარეთ, სხვადასხვა ენაზე.

არავის ეგონოს, ჩემ წიგნთა რაოდენობის ჩამოთვლა მკითხველისათვის ჩემი დამსახურების ამბიციური ჩამოთვლაა, ეს ისე, უბრალოდ, სიტყვას მოჰყვა.

მთავარი აქ იმის შესხენება გახლავთ, რომ მე მოვესწარი ქართველი მწერლის პოპულარობის ეპოქას.

მინახავს ცოცხალი რიგები რუსთაველის პროსპექტზე, როცა ჩემი ან რომელიმე ჩემი კოლეგა პოეტისა თუ პროზაიკოსის ახალი წიგნი გამოვიდოდა ბაზარზე.

სამი შემოქმედებითი საღამო გავმართე ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში და სამჯერვე დარბაზი გადაჭედილი იყო.

და რას ვაკეთებდი განსაკუთრებულს? თითქმის არაფერს.

ვიდექი ერთი კაცი, ერთი მწერალი სცენაზე, ჩემს შემოქმედებით პრინციპზე ვლაპარაკობდი, ვკითხულობდი ახალ, დაუბეჭდავ ნოველას და ვპასუხობდი მსმენელის კითხვებს.

ეს იყო სულ.

ერთ-ერთი შემოქმედებითი საღამოს სატელევიზიო ჩანაწერი შემომრჩა (1978 წ.) და, თუ ტრავმაში არ ჩამომართმევთ, ოპერატორს ჩაუწერია საღამოს დასასრულს დარბაზში დარხეული ღამის 5-წუთიანი ტაში.

ასე იყო ქუთაისშიც, ბათუმშიც, თელავშიც, ახმეტაშიც, ზესტაფონშიც, ჭიათურაშიც და საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მკითხველებთან შეხვედრების დროს.

არა, მე გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არ გახლდით.

ასე ხვდებოდნენ 15 წლის წინათ საერთოდ ქართველ მწერალს.

რა ვითარებაა ამჟამად?

ამას წინათ, სკოლის ხელმძღვანელთა შეკრებაზე, ლექცია წავიკითხე და ლექციის ბოლოს დარბაზში შეკრებილ 5-მდე ღირეპტორს ვკითხე:

მითხარით, თქვენს სკოლაში ბოლო სამი წლის მანძილზე სტუმრად თუ გყავდათ რომელიმე ქართველი მწერალი მეთქი?

აუდიტორიაში სიჩუმე ჩამონვა.

აი, როგორ უწყობს ხელს თანამედროვე ქართული სკოლა მწერლის პოპულარიზაციას.

არათუ მწერლის მონვევა, საბავშვო მწერალმა სკოლაში თავისი ნიგნები რომ მიიტანოს, იქნებ გამისალოთ, რათა სტამბის ხარჯი მაინც ავინაზღაუროო, სკოლის ხელმძღვანელნი კატეგორიულ უარს ეუბნებიან. ეგ კი არა, უფასოდ დაურიგეთ ბავშვებსო, რომ მოითხოვოს ილაჯგანყვეტილმა მწერალმა, ამასაც კი მაღლობის გრძნობით კი არა, ცხვირაბზუებით ასრულებენ.

ამას წინათ განათლების სამინისტრომ კატეგორიულად აკრძალა სკოლებში საბავშვო გაზეთების და მოზარდ მაყურებელთა თეატრის აბონემენტების გავრცელება.

ღმერთო ჩემო, რა კარგ დროს მიცხოვრია.

ქუთაისის ერთ ჩვეულებრივ უჩინარ სკოლაში ვსწავლობდი და გულის ფანცქალით დავხედავდი ხოლმე ჩანთაში ჩადებულ თეატრის აბონემენტს, რომელშიც თითო სპექტაკლისათვის განკუთვნილი უჯრედები თეატრის მესვეურთა მიერ აკურატულად ამოიჭრებოდა. გულის ფანცქალით იმიტომ, რომ, ხომ არ თავდება, კიდევ რამდენი სპექტაკლი დამრჩა სანახავი-მეთქი.

რაც შეეხება მწერლობის პროპაგანდას, სასწავლო მეოთხედი ისე არ დამთავრდებოდა, სკოლაში ერთი ქართველი მწერალი მაინც არ მოგვეწვია.

რა ზეიმი იყო ცოცხალ მწერალთან ურთიერთობა, მისი სიტყვის მოსმენა.

მე მოვესწარი იმ დროს, როდესაც სამწერლო გაზეთის ტირაჟი 200 000 ცალი გახლდათ.

ახლა ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე პოპულარული ლიტერატურული ორგანოს ტირაჟი 500 ცალს არ აღემატება.

ვერაგინ დამაჯერებს, რომ წიგნისადმი ზურგის შექცევა

ცხოვრების დაბალი ეკონომიკური დონით, სოციალურ-ყოფითი გაჭირვებით იყოს გამოწვეული.

ლიტერატურას მოქალაქე არამარტო საქართველოში გაუგულგრილდა.

რაც შეეხება საქართველოს, თავს მაინც უნდა გამოვუტყდეთ, რომ არ არის ისე გაღატაკებული ჩვენი ქვეყანა, კაცმა თვეში თუნდაც ერთი პანანინა წიგნის საყიდი ორი ლარი მაინც ვერ გადაირჩინოს.

გადახედეთ უცხოური მანქანებით გაჭედულ ჩვენს ქუჩებსა და გზატკეცილებს, შეიხედეთ სალამოობით პირთამდე სავსე რესტორან-ბარებში თუ კაზინოებში და ადვილად დარწმუნდებით ჩემი ნათქვამის სისწორეში.

ლიტერატურისადმი საზოგადოების ყურადღების სურათი მეტად სავალალოა.

სოციოლოგიურმა კვლევამ გვიჩვენა, რომ საერთოდ მხატვრულ ნაწარმოებს წერა-კითხვის მცოდნე მოქალაქეთა მხოლოდ 4% კითხულობს. მათგან 90% დოკუმენტურ და დეტექტიურ პროზას ეტანება.

წარსულს ჩაბარდა ის დროს, როცა ინტელიგენტს ჩანთაში გაცრეცილ ქალღმერთმომხვეული ბესტსელერი ედო და ნაცნობთა შორის რიგი იყო ჩამონერილი, ვის როდის შეხვდებოდა იმ წიგნის წაკითხვის ბედნიერება.

ჩემს სტუდენტებს ვთხოვე, გამოეკითხათ ორი საათის განმავლობაში რუსთაველზე ჩავლილი ნებისმიერი ასაკის და პროფესიის მოქალაქე.

ლიტერატურისადმი მათი ინტერესის სურათი ასეთია: გამოკვლევის მიზნით გამოკითხულთა 100-დან მხოლოდ ორმა დაასახელა მისთვის საყვარელი თანამედროვე პოეტი და პროზაიკოსი. 100-დან ვერც ერთმა ვერ დაასახელა, რომელიმე ახალგაზრდა მწერლის გვარი, რომლის ნაწარმოებმაც მისი ყურადღება მიიქცია.

რა ფორმას არ მიმართა სხვადასხვა ლიტერატურულმა ჯგუფმა, როგორმე მკითხველი მხატვრული ნაწარმოებისკენ შემოებრუნებინათ. რა პრეზენტაციის სალონები, რა წიგნის ბაზრობები, რა სატელევიზიო შოუები და მოგონილი პრემიების გადაცემები არ გამართეს, მაგრამ მწერლებისადმი მოქალაქეთა გულგრილობას არაფერი ეშველება.

სად წავიდა ის დღევანდელზე უფრო გაღატაკებული ქართველი კაცი, ილია ჭავჭავაძის ნატერფალებს რომ კოცნიდა და რაჭა-ლეჩხ-

უმში ჩასულ აკაკი წერეთელს ერთი მეორეზე გადაჭდობილი ხელე-  
ბით დაატარებდა?

ნუთუ სამუდამოდ დაგვმორდა?

თანამედროვე მსოფლიოს „კულტურულ“ ცხოვრებაში საკმაოდ  
გათვითცნობიერებულმა ნებისმიერმა ახალგაზრდამ მშვენივრად  
იცის არაერთი საეჭვო დონისა (და ასევე საეჭვო სექსუალური  
ორიენტაციის) შანსონეს თუ როკ-მომღერლის სახელი და გვარი,  
ვლასპარაკობ განსაცვიფრებელი მუსიკალური წარსულის მქონე იმ  
ქართველ ერზე, რომლის არაერთმა წარმომადგენელმა უარი თქვა  
ქართული სიმღერის გენიალურ ტრადიციებზე.

ელექტრონულ მასმედიაში ყოველდღიურად ყურს გვიყრუებს  
(ვიზუალურად კი გულს გვირევს) ზანგურ-ამერიკულ ჰანგებზე  
განყოფილი არაერთგვაროვანი სიმღერის მოსმენა და შემსრულებლების  
მანჭვა-გრეხა.

კარები არ შერჩება საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიას,  
რომ ჩვენს ქვეყანას „წარმოუდგენელი ბედნიერება“ ხვდეს წილად  
და 10-12 წლის ბავშვების გარყვნაში არაერთგვაროვანი მხილებული მაი-  
კლ ჯექსონი ჩამოვიდეს.

ისინი, ვინც გალაკტიონ ტაბიძის ლექსების შესაძენად 5 ლარს  
ვერ იმეტებენ, ქვას გახეთქავენ და მაიკლ ჯექსონის კონცერტზე  
ასდოლარიან ბილეთს ისე შეიძენენ, ხელიც არ აუკანკალდებათ.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ არ გაამართლა ფილო-  
სოფოს-ესთეტიკოსთა ვარაუდი იმის შესახებ, რომ ფემინებელურ  
ცხოვრებისეულ პირობებში და მოდერნისტულ სოციალურ ყოფაში  
მოქცეული ადამიანის სული გაკეთილშობილდებოდა, ღირიული  
საწყისი იმატებდა პიროვნების ცნობიერებაში.

პირიქით კი მოხდა.

XXI საუკუნე კარგახანია დაიწყო და თანამედროვე ისტორიული  
კატაკლიზმების გულდასმითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ადამიანი  
უფრო გაუხეშდა, გატლანქდა.

განსაცვიფრებელი სულიერი სიფაქიზე, რაც ასე იგრძნობოდა  
აღმოსავლურ სარაინდო პოემებში, რომანებში და მეცხრამეტე საუ-  
კუნის მსოფლიო კლასიკოსთა თხზულებებში, სადღაც გაქრა, დაი-  
კარგა.

თანამედროვე ადამიანის სულს უმეტეს შემთხვევაში ღირიზმი კი  
არა, სრულიად აუხსნელი პრაქტიციზმი და ანგარება ასაზრდოებს.

დააკვირდით, რა ინტერესით მიუჯდებიან ხოლმე ყველა თაო-

ბის ადამიანები ფსევდოტელევიზიის საშუალებით ჩვენს ოჯახებში  
შემოჭრილ 500-სერიან უგემოვნო, ჭკუა-გონების გამრყენელ ტელე-  
სერიალებს. შოუ-კონცერტებზე ყურის ბარაბანს გიხეთქავთ გამა-  
ძლიერებელი დინამიკებით თქვენს სმენაზე დაშვებული ბაკქანალია.

თანამედროვე მსოფლიოში და განსაკუთრებით საქართველოში  
იშვიათად აღმოაჩენთ რესტორანს, სადაც შეიძლება სალამოს მიხ-  
ვიდე ოჯახის ნევრებთან, მეგობრებთან ან საყვარელ ქალთან ერ-  
თად და მშვიდად ისაუბრო.

სულისნამღებმა, აჩქარებულმა ტემპმა და არაადამიანურმა სი-  
სასტიკემ, კანიბალურმა დაუნდობლობამ მოიცვა XXI საუკუნის ადა-  
მიანის სული და გონება.

მსოფლიო თავის პრობლემებს თვითონ მიხედავს, მაგრამ მე  
აბსოლუტურად მესმის ჩემი ახალბედა კოლეგებისა, რომლებმაც,  
რაკი ადამიანთა სულებზე ზემოქედების მხატვრული საშუალებები  
ხელიდან გაექცათ, გადანყვიტეს ნემსის ყუნწში გამძვრალიყვენ,  
რათა თანამედროვე მკითხველის ყურადღება მიეპყროთ.

იქნებ ორსტრიქონიანი პრიმიტიული და ხშირად ვულგარულ-  
უნმანური „ლექსებია“ მოდერნისტული ლიტერატურა? იქნებ ნატუ-  
რალიზმი და შიშველ სექსუალიზმშია მკითხველის ყურადღების გას-  
ალები?

იქნებ გალაკტიონი მართლაც მოძველდა და სულელური თვით-  
მიზნური, თვით ავტორისათვისაც გაუგებარი ეგრეთ წოდებული  
ავანგარდისტულ-ფორმალისტურ-რებუსური ლექსი ან სახელოვანი  
ქართველი მეფის უიღბლო სარეცელში არამკითხველ შექვრეტის შედე-  
გად შთაგონებული გაუკუღმართებული სექსუალური სურათის აღწ-  
ერაა პოსტმოდერნიზმი?

არ გავკიცხავ არა ამ ახალგაზრდებს.

რა ექნათ, აბა, მათ უნდოდათ მაიკლ ჯექსონისკენ შებრუნებული  
მკითხველისათვის ეთქვათ: ჩვენ მოვედით, ახალგაზრდა ქართველი  
მწერლები, და, კეთილი ინებეთ, შეგვამჩნიეთო.

მაგრამ ვაი, რომ არაერთი მათგანის მიერ არჩეული გზა საეჭვო  
ნათების ლიტერატურულ-შემოქმედებითი ხელოვნური ვარდებით  
არის მოფენილი.

ამ გზამ შეიძლება ცოტა ხნით მოგიტანოთ პოპულარობა, მაგრამ  
ამ ხერხებით შექმნილი ლიტერატურული ნაცოდვილარი დიდხანს  
არ შერჩება მკითხველის სულსა და გონებას.

საერთოდ, XXI საუკუნის პარმალზე შეინიშნება ლიტერატურუ-

ლი მდინარის ერთგვარი ამღვრევა. ამღვრევა ეხება არა მარტო კაზმული სიტყვის თემატიკას და პრობლემატიკას, არამედ ჟანრულ სისტემას და ენობრივ ფენომენსაც.

ახლა ძნელი გასარკვევია, პოეზიაში მკითხველი უპირატესობას ტრადიციულ ეროვნულ ლექსს ანიჭებს თუ თვითმიზნურ ჩხირკედელაობას ადამიანის სულის ლაბირინთში.

ისეთი დრო დადგა, რომ სიტყვა „პოპულარულიც“ კი უხერხული მისასადაგებელი გახდა რომელიმე მწერალთან.

თითქოსდა არსებობს პოპულარული მსახიობი, პოპულარული სპორტსმენი, პოპულარული მომღერალი, მაგრამ პოპულარული მწერალი აღარ არსებობს, თვალდახელშეუხა სადღაც გაგვებნა.

მოდამი შემოვიდა ტელემწერალი და ტელეპოეტი.

ეს გახლავთ ცოტა არ იყოს განდიდების მანიით შეპყრობილი, საშუალოზე დაბალი ნიჭის პატრონი, რომელსაც აქვს რადიო-ტელევიზიასთან საერთო ენის გამოძებნის არაჩვეულებრივი უნარი.

ჩასჩურჩულებს იგი მსმენელს თავის ფსევდოინტელექტუალურ, აზრობრივად და ემოციურად უმწეო ლექსს და მერე ის ხდება, რომ თვით ტელეპოეტიც და მისი მასპინძელი ტელედიქტორიც ზემოდან დაჰყურებენ ჭეშმარიტ პოეტს, რომელიც ჭეშმარიტი ეროვნული პოეზიის გზას მიერთგულებს და სრულიად სწორად ჰგონია, რომ კალმით ერის სამსახურის მაგისტრალი სწორედ „ყვარლის მთებზე“ და „განთიადზე“ გადის.

სამწუხაროდ, XXI საუკუნეში კვლავ გვიხდება მიმდობი მკითხველისათვის იმის შესხენება, რომ სიტყვების ჩხაკჩხუკი და ერთმანეთთან დაუკავშირებელ ფრაზათა ლექსიკური თავსატეხი პოეზია არა და არ გახლავთ.

არანაკლებ მძიმე სურათია ქართულ პროზაშიც.

პროზა ჩემთვის, როგორც მკითხველისათვის, აბსოლუტურად მიუღებელი ორი ნაკლით ხასიათდება.

ეს სამიში ტენდენციები ლამის მიმართულებებად ჩამოყალიბდეს.

პირველი: აქაოდა განმკითხავი არავინ არისო, მწერალი უარს ამბობს ჟანრის რკინის კანონებზე (სიუჟეტი, ხასიათი) და გაუთავებლად წერს ყველაფერზე.

„მისი თხზულება“ კომპოზიციურად შეუკვრელი, ამორფული კონგლომერატია ეგრეთ წოდებული მწერლის ავადმყოფური ასოციაციებისა.

ვკითხულობთ ასეთ წიგნებს და გვეჩვენება, რომ მწერალი მკითხველს აბუჩად იგდებს. რომ თითქოსდა მაგიდას მიუჯდა იგი ისე, რომ მოფიქრებული არ ჰქონდა, რა უნდა დაენერა.

გონების თვალთ ხედავ ასეთი მწერლის ტანჯულ სახეს. ჭერზე თვალეზი აუპყრია, ფანქარს ღეჭავს და, დიდი ილიასი არ იყოს, თვალეზს ისრესს; იქნება ცრემლი მომივიდესო.

ვინ არიან ასეთი პროზის „გმირები“? უსახური, უსაკო, უმიზნო და, ღმერთო, დაგვიფარე, მგონი უსქესო ახალგაზრდებიც კი. ბიჭი ბიჭს და ბიჭი გოგოს ერთნაირი ლექსიკით, ერთნაირი მთქნარების-მომგვრელი ფრაზებით და ამკარად უპატივცემულოდ ელაპარაკება. ამგვარი პერსონაჟის გონება მოუცავს ერთადერთ ტრივიალურ ფიქრს, რა გავაკეთო დღეს? რითი გავირთოთ თავი?

როგორც კი პროვინციიდან ჩამოსული, ჯერ კიდევ გაურყვნილი სტუდენტი საქვეყნო სატივიარზე ჩამოაგდებს სიტყვას, მას მაშინვე ირონიის ნიაღვარს დაატეხენ თავზე და მასხრად იგდებენ.

ამას წინათ ერთი ახალგაზრდა მწერლის მოთხრობა ჩამივარდა ხელში, ავტორი ნემსის ყუნწში ძვრება, რომ ყურადღება მიიპყროს. თავის ავტობიოგრაფიულ, ლამის ანკეტურ მონაცემებსაც შემოგთავაზებს, მერე მთელ დღეს უსაქმურ ლიტერატურულ ამფსონებთან უსაქმურ ხეტიალში ატარებს და ბოლოს ერთ-ერთ მათგანს გენიალური იდეა დაეხატა: მოდის ამა და ამ პროზაიკოსთან წავიდეთ, რამეს დაგვაღვივებსო. მოთხრობა ამით მთავრდება.

მართალია, მასში არა არის რა მოთხრობილი, მკითხველის ჭკუა-გონებას რომ გაავარჯიშებდა, მაგრამ, ღმერთი-რჯული, ქათმის ჩინჩვლაზე დანერილ უკულმართ მოთხრობასთან შედარებით „წინ გადადგმული ნაბიჯია“.

ლიტერატურული ვარჯიშისა როგორ არა მწამს. ახალგაზრდა მწერალი რაღაცის ძიებაში უნდა იყოს, მაგრამ რას ვერჩით მკითხველს, რატომ ვუმღვერვით მას გემოვნებას? რატომ აწყვია წიგნის მალაზიის თაროებზე რომელიმე ახალგაზრდა მწერლის გამოცემული ლიტერატურული ნავარჯიშევი და რატომ ჰგონია მისსავე ავტორს ეს ლიტერატურული ბურჭალაობა ჭეშმარიტი მწერლობა?

ან რატომ ხდება, რომ დგას ქუჩაში რომელიმე საზოგადოებრივი აქციის მონაწილე, ყურებში თმებჩაზრდილი, თვალეზზე ქუდ-ჩამოფხატული ახალგაზრდა კაცი, ტელეკორესპონდენტის შეკითხვაზე რაღაც სისულელეს იტყვის და ეკრანზე მისი გვარის ქვეშ სწრაფად დაინერება – „მწერალი“.

ჩემმა თაობამ მწერლად დამკვიდრების სხვა გზა იცოდა: ღამე უნდა გაგეთენებინა სტრიქონთან. მთელი მონდომებით უნდა გეცა- და ეპიგონთა რიგებს არ მიმატებოდი. მერე მოკრძალებით უნდა მიგეტანა შენი ნაცოდვილარი „ცისკრის“ რედაქციაში და უფროს კოლეგათა, ლიტერატურის ოსტატთა მსჯავრს დალოდებოდი.

ამ ბოლო დროს არაერთი მინისზედა თუ მინისქვეშა თეატრი შეიქმნა საქართველოში, რამაც დრამატურგიის გამოცოცხლება გამოიწვია.

რა სჯობია ახალგაზრდულ თეატრს, როცა იგი ოდენ კლასიკით კი არა, ახალგაზრდა რეჟისორის მიერ დადგმული ახალგაზრდა დრამატურგის პიესით წარუდგება მაყურებელს.

ჩამოვიარე ჩემი ურწმესი მეგობრების სახალხო, საპრეზიდენტო თუ სამეფო თეატრები, ვნახე ორიგინალური ხელწერის მქონე მაძიებელ ახალგაზრდა რეჟისორთა ქმნილებები, მაგრამ ვერ ვნახე ყურადღებამისაქცევი ახალგაზრდა დრამატურგი. მხოლოდ ერთადერთმა პიესამ მიიპყრო აქტუალობით ჩემი ყურადღება და ისიც ჩემი ყოფილი ასპირანტის დათო ტურაშვილის, პიესა გახლავთ. ხოლო დათო ტურაშვილს კი თავისი ასაკისა თუ ლიტერატურული გამოცდილების გამო, ახალგაზრდა მწერალი უკვე აღარ ეთქმის.

ჩვენ თვალწინ მიინავლა და ჩაქრა ლიტერატურის ისეთი საჭირო ჟანრი, როგორც გახლავთ სალიტერატურო კრიტიკა.

არათუ მხატვრული ნაწარმოების გარჩევა-გაანალიზებას ცდილობს ვინმე, ლიტერატურული ჟურნალისტიკაც. სადღაც გაქრა.

არავინ ჩანს მწერლის შემოქმედების ახლოით გამჩხრეკი და ლიტერატურის თეთრის და შავის ერთმანეთისგან გამჩხრეკი.

კრიტიკოსის პროფესია თითქოსდა მოძველდა, წარსულს ჩაბარდა. სანთლით საძებარია კრიტიკოსი ჩვენში.

ვინც მიმდინარე ლიტერატურის პროცესზე ორიოდე ყურადღებამისაქცევ ნერილს გამოაქვეყნებს, მესამეს რასაც შექმნის, საკანდიდატო დისერტაციაა.

მერე კი უეცრად პოეტის ან პროზაიკოსის ცოცხალ ნიჭს აღმოაჩინს თავის თავში და კრიტიკოსის უმადურ საქმეს თავს ანებებს.

არსებობენ ზარმაცი ახალგაზრდა კრიტიკოსებიც. ლიტერატურაში პროფესიონალური ჩაღრმავების ნაცვლად ისინი ცალკეული ნიგნების ზოგადი მიმოხილვებით კმაყოფილდებიან. მერე საზღვარგარეთ ერთნლიან მივლინებას გამოიცხობენ, იქიდან უცხოური მოდური ლიტერატურული მიმართულების შესახებ შექმნილ ნიგნებს

ჩამოიტანენ და ცდილობენ თანამედროვე ახალგაზრდა მწერლებს ეგრეთ წოდებული მოდერნიზმის თუ პოსტმოდერნიზმის არტახები ჩამოაცვან თავზე.

ქართულ ლიტერატურას ხელთა აქვს უცხოური ნიგნებიდან მათ მიერ უფრო ბუნდოვნად თარგმნილი სტრიქონები, ვიდრე ეს უცხოურ ავტორთა ნიგნებშია. ცდილობენ ფაქტიდან განზოგადებისაკენ კი არა, არამედ წინასწარ აკვიატებული თეორიული დოგმიდან ლიტერატურის ფაქტისაკენ იარონ.

პოსტმოდერნიზმის ევროპული სტანდარტების სამ წერტილებში ქართული გვარების ჩასმა ლიტერატურული ცხოვრების სურათს ვერ ქმნის.

კრიტიკის არარსებობა კი უფრო და უფრო ხელს უწყობს ლიტერატურულ განუკითხაობას. ეს მკითხველისათვის თვალეზში ნაცრის შეყრაა.

ვინც უფრო ენერგიულია, დამერწმუნეთ, ყოველთვის უფრო ნიჭიერი არ არის.

ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების კიდევ ერთი, თვალში საცემი ნიშანი ის გახლავთ, რომ მხატვრული ნაწარმოები ჩვენ თვალწინ კარგავს მინიშნებით თქმის ხელოვნებას.

ჭეშმარიტი მწერალი ყოველთვის ოპოზიციამდე ედგა თავისი დროის ხელისუფლებას. ახლა კი, ოპოზიციური მხატვრული ნაწარმოები თითქმის აღარ არსებობს.

ცნება „გაბედული მწერალი“ დაიკარგა.

მაშინ, როცა ყველაფრის თქმა შეიძლება, მწერლის ოპოზიციონერობა აღარავის უკვირს.

საზოგადოება პოლიტიზებული გახდა.

მხატვრული ნაწარმოების შემეცნების ადგილი ადამიანის ფსიქიკაში ყოველდღიურმა პროზამ, პოლიტპუბლიცისტიკამ დაიკავა.

ზოგიერთმა მწერალმა ეპოქისათვის ფეხის აწყობა იმით სცადა, რომ ჟურნალისტს გაეჯიბრა სწრაფად წერაში.

ერთი-მეორის მიყოლებით გამოაცხო ცხოვრების ყოველდღიურობის ამსახველი, თითქმის ნატურალისტური რომანები.

მწერლისეულ განსჯას, განზოგადობას ფაქტების რეპორტაჟული აღწერა ამჯობინა და შედეგად მივიღეთ ჟურნალისტიკას გაჯიბრებული ფრაგმენტული „ბელეტრისტიკა“.

ეპოქის ასახვა ვიქტორ ჰიუგომ და ლევ ტოლსტოიმ რომ იცოდნენ, ისე უნდა, მაგრამ ამ გენიოსთა შემოქმედებაში ეპოქის პანო-

რამული სურათი ძირითადად რომანულ სიუჟეტურ ხაზზე დამხმარე მხატვრულ ელემენტად იყო შემოწყობილი.

დიახ, მწერლობა სხვაა, პუბლიცისტიკა კიდევ სხვა.

მათ შორის შეიძლება დიდი ზღვარი არ იყოს, მაგრამ როდესაც ნაწარმოებს რომანს თუ მოთხრობას არქმევ, უნდა იცოდე, რომ შენ პრეტენზიას აცხადებ იმ ჟანრებზე, ფლობერის, და ჩეხოვის ხელში ესთეტიკური ტკობის სასწაულებს რომ ახდენდა.

აჩქარებული ეპოქაა ჩვენი ეპოქა.

ისტორიული მოვლენები და ამ მოვლენებთან ადამიანის მიმართება ელვის სისწრაფით იცვლება.

შებედაც კი შეგეშინდება მწერალს, მხატვრული ნაწარმოებისათვის ისეთ, გლობალური მასშტაბის სულისშემძვრელ თემებს გვთავაზობს ჩვენი დრო.

რით არ არის გენიალური თემა ეპოქალური მწერლის ხელში:

თერთმეტი სექტემბრის ამერიკული ტრაგედია და ბენ-ლადენის პიროვნება.

1992-93 წლების საქართველოს ტრაგედია.

ერაყის ომის და სადამ ჰუსეინის თემა.

ან, თუ გნებავთ, ვარდების რევოლუციის ეპოქა.

კარგა ხანია ვუტრიალებ XXI საუკუნის კამიკაძეთა თემას და ჯერჯერობით ვერ შემობედავს.

წარმოიდგინეთ, რა ფიქრები უტრიალებდათ თავში, ან რა სიტყვებით ესაუბრებოდა ერთმანეთს ის ორი უბედური კაცი, ის ორი კამიკაძე, ვინც ჯერ თვითმფრინავის ეკიპაჟი განაიარაღა, მერე საჭეს მიუჯდა და არაადამიანური ხარხარით – „წავედიით!“ თვითმფრინავი ნიუ-იორკის 115-სართულიანი ცათამბჯენისაკენ მიმართა.

საიდან მოვიდა XXI საუკუნეში ასეთი ფანატიზმი, ასეთი ზიზლი, ასეთი სადიზმი ადამიანის მოდგმის მიმართ? დიახ, მაშინ როდესაც ირგვლივ სულისშემძვრელი ისტორიული კატაკლიზმები ტრიალებს, მაშინ როდესაც ჩვენი გონება გაოცების უნარსაც კარგავს, ამ დროს ზის ლიტერატურული ჭორიკანა მოდერნისტი თავის მოსაწყენ მაგიდასთან და ლიტერატურული პიჭი-პაჭუებით მკითხველის ყურადღების მოპარვას ცდილობს.

შედეგი?

უაღრესად სავალალო.

ქართველ მწერალს აღარ დასდევნ მყოცნებე ქალიშვილები ავტოგრაფისათვის გამზადებული უბის წიგნაკით და უნაზესი ჩურჩულით: „თქვენ ისეთი კარგი ხართ. თქვენ პოეტი ბრძანდებით“.

ყველაფერმა ერთად, მწერლისაგან თავისი ღვთიური ვალის და-ვინყებამ და მკითხველისაგან სრულიად აუხსნელმა უყურადღებობის ნაპერწკალმა შედეგად ის მოიტანა, რომ ადამიანი, რომელიც ლექსებს არ კითხულობს, ადამიანი, რომელიც შორენა კოლონკელიძის უნაზეს ფეხის თითებს საკოცნელად არ დაეღირება, იმ ტლანქ, უხეშარებად იქცევა, რომელსაც აღარც სამშობლოს ბედი ადარდებს და ვერც გაურბანისტებული სიყვარული მიანიჭებს იმგვარ ბედნიერებას, რა ბედნიერებასაც სიყვარული ანიჭებდა მადამ ბოვარს, ესმერალდას ცხედარზე გადამკვდარ კვაზიმოდოს, თუ თამარ შერვაშიძისკენ მსრბოლ თარაშ ემხვარს აქაფებულ, გაგიჟებულ ენგურში რომ შეაგდო ცხენი.

პირველი მინანერი:

ამას წინათ ოტია იოსელიანმა დამირეკა, ლიტერატურულ სარდაფში ახალგაზრდები შეხვედრას მიწყობენ და, თუ გცალია, გამოისერნეო.

რა თქმა უნდა, მივედი.

რუსთაველის პროსპექტზე მდებარე ლიტერატურული სარდაფი სავსე იყო ახალგაზრდებით.

ვერ ვიტყვი, რომ სარდაფში ლიტერატურული ატმოსფერო სუფევდა.

ეს იყო ჩვეულებრივი კაფე.

ახალგაზრდები ოთხ-ოთხად და ხუთ-ხუთად შემოსხდომოდნენ მაგიდებს. ნამცხვარს, ლუდს, კოკა-კოლას და ვისკის შეექცეოდნენ.

ოტია იოსელიანი შემოვიდა ჯუბაჩითა და განუყრელი სვანური ქუდით.

ჯერ კარებთან შედგა. ეგონა, ახალგაზრდები წამოხტებოდნენ და ტაშის დაკვრით ან სიხარულის ჟივილ-ხივილით გამოხატავდნენ იმ ჭეშმარიტად ისტორიულ ფაქტს, რომ წყალტუბოდან ჩამოსული 75 წლის კაცი თავის ახალგაზრდა მკითხველებთან მოვიდა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ოტიასკენ არავის გაუხედავს.

ოტია ცოტა ხანს მიდგა-მოდგა. ბუნხართანაც მივიდა, თავისი ფირმა ყალიონიც გააბოლა, მაგრამ ადგილიც რომ არავინ დაუთმო, უკან გაბრუნებას აპირებდა. კარებში წამოვენიე და სახელდახელოდ დადგმულ მიკროფონთან მივიყვანე.

ძვირფასო მეგობრებო-მეთქი, თქვენი სტუმარია სახელგანთქმული მწერალი, სიტყვის ჯავარი და კოლორიტი ოტია იოსელიანი და გთხოვთ, მოუსმინოთ-მეთქი.



არც ამ გამოცხადების შემდეგ დანგრეულა ტაშით დარბაზი. ოტია წამოდგა, ჯუბაც არ გაუხსნია, მიკროფონთან მივიდა, ქუდი კიდევ უფრო ჩამოინია თვალებზე და დაიწყო:

„რა გინდათ, რაზე ჩამომიყვანეთ აქანა, ამ შუა ზამთარში. გვიმტიბში სახლი მქონდა გადმოსათოვლი და ძროხა – საპატრონო.

მე რა უნდა ვთქვა, ჩემს სათქმელს წიგნით ვამბობ. წიგნის წაკითხვა თქვენ არ გინდათ.

თავს ნუ მოვიტყუებთ, არ გვესმის, არა, ჩვენ ერთმანეთის.

ვერ გავიგე, რას ელით ჩემგან. შესახედავად ლამაზი, ქე მხედავთ, არა ვარ, ფოკუსებს მე არ ვაკეთებ და არ ვმღერი. კიდევ ერთხელ გეუბნებით: მე მოთხრობებს და ლექსებს ვწერ. თქვენ არც ერთს კითხულობთ და არც მეორეს“.

– რა იცით, რომ არ ვკითხულობთ?! – დაიძახა დარბაზიდან ვილაცამ ნარკოტიკულ-განაზებულის ხმით.

– მე ვიცი, რასაც ვამბობ, – განაგრძო ოტიამ, – თუ ამ დარბაზში ერთი თქვენგანი მაინც დამისახელებს ჩემ რომელიმე მოთხრობას, ბოდიშს მოგიხდით და ჩემს სიტყვებს უკან წავიღებ.

დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

– კაი, – გაიღიმა ოტიამ და იმ ნუთიდანვე სიტუაციის ბატონ-პატრონად იქცა, – აგერ დგას ჩემი მეგობარი რევაზ მიშველაძე, იქნებ მისი ერთი ნოველა მაინც დამისახელოთ?!

სიჩუმე არ დარღვეულა.

– კაი, ჩემო ბატონებო, რევაზ ინანიშვილი ხომ გაგიგონიათ? რეზო ინანიშვილის რა გაქვთ წაკითხული?!

ისევ სიჩუმე.

მერაბ ელიოზიშვილის? რეზო ჭეიშვილის? არაფერი ხომ?

დარბაზში ბუზის გაფრენას გაიგონებდით.

სხვები, ყველანი ისხდნენ, მე და ოტია იოსელიანი ვიდექით მარტო.

დარბაზს რომ თვალი მოვავლე, უფრო იმან გამაკვირვა, რომ ახალგაზრდებიდან არც ერთს არ ჰქონდა თავი სირცხვილულად ჩაქინდრული...

და მე, ლამის, დავრწმუნდი, რომ საქმე გაცილებით უფრო ცუდად იყო, ვიდრე აქამდე მეგონა.

მინანერი მეორე:

უნივერსიტეტში თანამედროვე ქართული ლიტერატურის ისტორიას ვკითხულობ. XX და XXI საუკუნის ლიტერატურულ კორიფეებზე ვესაუბრები სტუდენტებს.

მე არ ვიცი, რა დონის და მასშტაბის მწერალი გახლავართ, მაგრამ ერთი რამ კარგად ვიცი: მე რომ ლექციას მიკითხავდეს სოფრომ მგალობლიშვილი, ქვას გავხეთქავდი, ურიის ვალს დავიდებდი, ჩემი ლექტორის წიგნს – „ჯორ ზაქარას“ შევიძენდი, საპროფესოროს კარებთან დავვხდებოდი მის ავტორს და ათასი ბოდიშის მოხდით გავუბედავდი: ბატონო სოფრომ, იქნებ თქვენი ავტოგრაფი წამინეროთ ამ წიგნზე, რაიც ჩემს ოჯახში ძვირფას რელიკვიად თაობიდან თაობას გადაეცემა-მეთქი.

არა, მე სამაგალითოდ თავმდაბალი კაცი არ გახლავართ, მაგრამ ამას უსათუოდ გავაკეთებდი.

ახლა კი მწარე სიმართლე: უნივერსიტეტის შემოსასვლელთან კიოსკში ჩემი 3 ახალი წიგნი იყიდება: ნოველების რჩეული, ლიტერატურული წერილების კრებული და სტუდენტთა სახელმძღვანელო – უახლესი ლიტერატურის ისტორია.

რაც XXI საუკუნე დაიწყო, უკვე 5 წელი გავიდა და ჯერ არც ერთი სტუდენტი არ მოსულა ჩემთან, ჩემი წიგნით და იმ სათხოვარით, რა სათხოვართაც მე მივმართავდი სოფრომ მგალობლიშვილს.

მე ვინ ოხერი ვარ, უნივერსიტეტის წიგნების ჯიხურში ეს მერამდენე წელია ხელუხლებლად აწყვია გალაკტიონის და შოთა ნიშნიანძის ერთტომეულები...

დანარჩენი ბრაცი-ბრუცის მოყვარული ჩვენი ახალგაზრდობის სინდისზე იყოს.

*სექტემბერი, 2006 წ.*

## ნიკო ლორთქიფანიძის სტილი

ნიკო ლორთქიფანიძის მწერლური ხელწერა გამორჩეულია.

ქართული პროზის ტრადიციული სტილი ხატვას ეყრდნობა. ტრადიციის ერთგული პროზაიკოსი დეტალების აღწერით გადმოგვცემს ამბავს და რაც უფრო მსუყე ფერებითაა დახატული პასაჟი, მით უფრო საცნაურია მწერლის მხატვრული ოსტატობა.

ასე დაიწყო იაკობ ხუცესმა და სულხან-საბას, ლავრენტი არდაზიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, ეგნატე ნინოშვილის, დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში

მხატვრული დეტალის აღწერის ანუ კონკრეტული სახეობრიობის ხელოვნებამ ნიკო ლორთქიფანიძემდე მოაღწია.

ნიკო ლორთქიფანიძე არ გაჰყვა ე. წ. გაკვალებულ („დატკეპნილ“ კინალამ წამომცდა) გზას.

იგი შტრიხებით აზროვნებს. მოკლე ფრაზით, მრავალწერტილებით გვანვდის სათქმელს.

ნიკო ლორთქიფანიძე სურათის დამთავრებას მკითხველს ანდობს.

აი, როგორ აღწერს ავტორი თავსაფრიანი დედაკაცის მეუღლის ფილიპეს ავადმყოფობას, გარდაცვალებას და დაკრძალვას.

„სიყვითლე! სამი საბანი.

„რავა ვიფიქრებდი მე თვალდასავსები, უშემური აყვა“.

ექიმი და მარჩიელი.

წამალი და შელოცვა...

„საშველი არ დაადგა“.

თმაგაშვებულები ქალები...

ზარი...

ფლავი...

„განუტევე, უფალო, სული მონისა შენისა“.

სენმა და სიკვდილმა გაანიავა ოჯახი“.

როგორც ხედავთ, ის რასაც სხვა შემთხვევაში გაცილებით უფრო ტევადი მსჯელობა – ხატვა დასჭირდებოდა, ნიკო ლორთქიფანიძემ ნახევარი გვერდიც არ მოანდომა, ხოლო თუ „ექიმი და მარჩიელი“, ან „წამალი და შელოცვა“ რაღაც შინაგან კავშირს მაინც გულისხმობს, „სამი საბანი“ და „ფლავი“ სრულიად განწყენებული, აბსტრაგირებულ დეტალებად მოგეჩვენებათ.

სწორედ ეს გახლავთ ფრაგმენტული აზროვნება ანუ სიტყვიერი შტრიხით ხატვა.

ერთ დროს არაერთი ლიტერატურათმცოდნე ჩვენში უცხოური ლიტერატურული სკოლების ქართულ ნიადაგზე გადმონერგვამ გაიტაცა.

ჯერ თვითონ არ ჰქონდათ კარგად გათვითცნობიერებული, რას გულისხმობდა ე. წ. სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი და თითო ხელჩასაჭიდი ნიშნის შეპირისპირებით ქართულ ლიტერატურულ სინამდვილესთან, დაიწყეს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაში რომელიმე იზმის „უტყუარი კვალის“ აღმოჩენა.

მწერლის სტილზე ძალდატანების ანუ უცხოური ქურქის ძალად მორგების პროცესი სამწუხაროდ დღესაც გრძელდება.

ჩანასახოვანი ლიტერატურული ცოდნის პატრონი, ევროპულ ლიტერატურაში საექვოზე მეტად გარკვეული „ახალგაზრდა ლიტერატურისმცოდნე“ აიხირებს, გინდათ თუ არა ესა და ეს მწერალი „პოსტმოდერნისტი“.

ჯერ საერთოდ არსებობს თუ არა „პოსტმოდერნიზმი“ (რა მსოფლმხედველობრივი სიახლით, რა ორიგინალური ხატვის ხერხით ხასიათდება იგი...) ესაა გასარკვევი და მერე შეინიშნება თუ არა იგი უახლეს ქართულ მწერლობაში კონკრეტულად.

ამ მიმართულებით კვლევას როდი უღრმავდება პოსტმოდერნიზმის ქართველი თეორეტიკოსი.

შთაბეჭდილება ისეთი რჩება, რომ იგი ამოიჩემებს რომელიმე ახალგაზრდა მწერალს, მიადგება ერთ მშვენიერ დღეს და გამოუცხადებს: „იცი, კოკა, შენ პოსტმოდერნისტი ხარო“.

კოკა კი, რომელსაც წარმოდგენა არ ჰქონდა პოსტმოდერნიზმზე საერთოდ, იძულებული ხდება გაუჩუმდეს მოდური ლიტერატურული სკოლის წარმომადგენლად მის გამოცხადებას.

იქნებ მართლა პოსტმოდერნისტი ვარ და არ ვიცოდით, ფიქრობს. ნიკო ლორთქიფანიძეც ასე, ან თითქმის ასე მიიყვანეს ერთ დროს იმპრესიონიზმის ყურეებთან.

მართალია, თვით მწერალს არასოდეს უთქვამს იმპრესიონისტი არა ვარო. პირიქით, ერთი-ორგან შენიშნა კიდეც, იმ დროს სხვებივით ევროპული „იზმებით“ ვიყავი გატაცებულიო, მაგრამ თუ დეპეშური სტილით გარეგნულად ჰგავს ნიკო ლორთქიფანიძის სტილი იმპრესიონისტის სტილს, სამაგიეროდ ამ ლიტერატურული სკოლის სხვა ნიშნებს არ (ან თითქმის „არ“) აკმაყოფილებს.

მაგალითად, იმპრესიონიზმის მკვლევარები ერთხმად ამტკიცებენ, რომ იმპრესიონისტი მწერალს არ აინტერესებს კონკრეტული დრო. იგი ეპოქის მემატანედ ან ცხოვრების ცხელ კვალზე მოსიარულე შემოქმედად ვერ გამოდგება. იმპრესიონისტი არ აძლევს მომავალ თაობებს უტყუარ სურათებს იმ ეპოქისას, რომელშიც ცხოვრება უხდებოდა. იმპრესიონისტს აინტერესებს ადამიანი ზოგადად და არა კონკრეტულ სიტუაციაში. მაგრამ, რადგანაც ადამიანის მოქმედებას კონკრეტული გარემო და ვითარება განაპირობებს, ამ თვალსაზრისით იმპრესიონისტის სინამდვილიდან განდგომა ან პოზაა, ან თვითმიზნური რეკლამა – გამორჩეული იქნეს ტრადიციული ლიტერატურული სკოლებისაგან.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ნიკო ლორთქიფანიძესთან?

დროის მძაფრი განცდა, ეპოქის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა, თავისი სამშობლოს ბედით დაინტერესება – ეს გახლავთ ნიკო ლორთქიფანიძის სტილის ორგანული თვისება და სწორედ ეს გარემოება ბადებს ეჭვს იმის შესახებ, გამოვაცხადოთ თუ არა ნიკო ლორთქიფანიძის პროზა იმპრესიონისტულად მაშინაც კი, როცა თვით ავტორი უწოდებს ზოგ თავის თხზულებას იმპრესიონისტულს.

განა შეიძლება ეპოქის დამლის გარეშე წარმოვიდგინოთ „ჟამთა სიავე“, „ბოროტმოქმედნი“, „ერთ ტაფაში“, „იყიდება საქართველო“, „მოუარეთ საქართველოს!“ და ა. შ?

მაშინაც კი, როცა ავტორი თავის მინიატურას თარიღს არ უსვამს, ან ადამიანის არსებაში ორი სანყისის – კეთილისა და ბოროტის ურთიერთმიმართებაზე ზოგადად მსჯელობს, თუ დაკვირვებით ნაიკითხავთ, ძნელი ამოსაცნობი როდია კონკრეტული დრო და ვითარება.

„იყიდება საქართველო“ ხომ ზუსტად სადღეისო ვითარებაზე დაწერილი გეგონებათ, მინდა მკითხველს გავახსენო 1922 წელს დაწერილი მინიატურა „მწერლის ხვედრი“ იმის ხაზგასასმელად, დროის მძაფრი განცდა, როგორც ნიკო ლორთქიფანიძის სტილის უპირველესი თვისება, როგორ იქცევა ხოლმე წინასწარმეტყველურ შეგონებად ათეული წლების შემდეგ.

მინიატურაში ასეთი ამბავი ხდება:

ლიტერატურულ საღამოს ატარებს ორი მწერალი.

ერთი მათგანი რომანტიკოსია. განყენებულ თემებზე მსჯელობს, ფილოსოფოსობს, ღრუბლებიდან ძირს არ ეშვება.

მეორე ცხოვრებას ისე ასახავს, როგორც არის იგი – შიმშილზე, მიუსაფრობაზე, გაჭირვებაზე წერს.

სხვა დროსა და ვითარებაში ერთსაც და მეორესაც ტაშის გრილით ხვდებოდა მსმენელი.

ახლა?

პირველს უკიჟინეს – ჩამოდი ძირს! ვის უნდა შენი ცაში ფრენა და რომანტიკული ბურუსიო.

ე. ი. სხვა დრო მოსულა. ადამიანმა დროებით განზე გასწია მისი სულის მესაიდუმლე, მისი კეთილი და ჭკვიანი მრჩეველი – მწერალი.

ზემოთ წინასწარმეტყველურ შეგონებაზე მოგახსენებდით.

ამ მინიატურის დაწერიდან თითქმის 90 წლის შემდეგ განა ზუსტად ასე არ არის?

ახლაც გაუგულგრილდა მკითხველი მწერალს.

ჩვენ ზოგჯერ თავს ვიტყუებთ, იხტიბარს არ ვიტყუებთ და კავალერიის ბებერი ცხენით ავაყოლებთ ხოლმე ფეხს თავბრუდამხვევი ეპოქის მარშს, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ საზოგადოებას ძველებურად აღარ ვაინტერესებთ.

სად გაქრა ის ყვავილები, ავტოგრაფებზე მონადირენი და სავსე დარბაზები?

სოციალურმა ვითარებამ, დრომ, გარემოებამ ადამიანის ფსიქიკაში სხვა ინტერესები წამოსწია და „მაღალი მატერიები“ დროებით მიივიწყა.

ლიტერატურისადმი ინტერესის ეს სიყვითლე, დარწმუნებულის ვარ, მკითხველს ისევე მალე გაუვლის, როგორც XX საუკუნის ოციან წლებში გაუარა.

ეს რაც შეეხება დროის მძაფრ განცდას ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში.

სანამ წერტილს დავსვამდე, ნიკო ლორთქიფანიძის სტილის კიდევ ერთ თვისებაზე უნდა მოგახსენოთ.

ეს გახლავთ იუმორის გრძნობა.

იუმორი ადამიანის მაღალი ინტელექტუალური დონის მაჩვენებელია და მისი უპირველესი საზომი გახლავთ.

სადღაც ამოვიკითხე: დავით კლდიაშვილი და ნიკო ლორთქიფანიძე თითქმის ერთ პერიოდში მოღვაწეობდნენ. ორივენი იმერეთის პრივილეგიადაკარგულ, გაუბედურებულ თავად-აზნაურებზე წერენ. დავით კლდიაშვილი ნიადაგ იუმორის, ირონიის მახვილს იშველიებს, ნიკო ლორთქიფანიძე კი ზომამდე მეტად მოლუშულია, თითქმის არ იცინის, მის შემოქმედებაში იუმორი სანთლით საძებნელიაო.

არა და არ არის ასე.

ვისაც წაუკითხავს „ეპისკოპოსი ნადირობაზე“ „ფეოდალები“ „რაინდები“, „რუმბი“, „ბებრები“, „კბილთხარაძე“, „ღვინის ქურდები“, „სოფლის აშიკი“ და ნიკო ლორთქიფანიძის სხვა ბრწყინვალე ნოველები, დამეთანხმება რომ „საქართველოს დაღვრემილი ჭირის-უფალი“ ყოველთვის როდია დაღვრემილი, მას როგორც ჭეშმარიტ არისტოკრატს და იმერელს გულშიჩამწვდომი, თბილი, მაღალესთეტიური და თანაგრძნობის გამომწვევი იუმორი აქვს.

ზემოთ ჩამოთვლილი ნოველები იმდენად ქრესტომათიულია, რომ მათში ჩადებული სიუჟეტური თუ სიტუაციური კომიზმი ყველას კარგად მოეხსენება და მკითხველს გატაცებით თავს აღარ

შევანწყენ. მხოლოდ და მხოლოდ „რაინდების“ რამდენიმე კომიკურ პასაჟზე შევჩერდები.

1. ომის სამზადისი მიმდინარეობს.

მეფე ჯარს აგროვებს.

როგორც იქნა, იპოვა სარდალი გიორგი და უბრძანა ზეგ სალაშქროდ მივდივართ და სპა გაამზადეო.

გიორგი შეიმშუშნა: ნისქვილი მაქვს დასამთავრებელი, იქნებ ცოტა ხნით გადაგვედო ომიო.

2. ომი სადაცაა დაიწყება.

„მტრები“ პირისპირ დაბინავდნენ.

ერთ მხარეს არიან ოდიში-იმერეთის მთავრები ლაშქრითურთ, მეორე მხარეს აფხაზები.

მონინააღმდეგენი ერთმანეთს მშვენივრად იცნობენ, სულ ბიძაშვილ-მამიდაშვილები და ნათლიიშვილები არიან.

შერვაშიძეებმა იმერეთის მეფეს მოციქული მიუგზავნეს.

იმერეთის მეფე ოდიშის მთავარს ჭადრაკს ეთამაშება.

– როდის ინებებთ ომის დაწყებასო – კითხულობს აფხაზეთის მოციქული.

– რაც უფრო მალე შევექცევით, მით უკეთესია – მოკლედ მოჭრა მეფემ.

გავიდა თუ არა შიკრიკი, აფხაზებმა ზარბაზანი ესროლეს მეფის კარავს.

ეს იმას ნიშნავდა, რომ ომი დაიწყო.

ჭურვი მეფის კარვის წვერს მოხვდა და ცეცხლი გაუჩინა.

„გამოიტანეთ რაც არის... კარავი წააქციეთ და ჩააქრეთ ცეცხლი, არ გადავიდეს – მშვიდად გასცა ბრძანება მეფემ და ჭადრაკი აიღო – წამობრძანდი შენს კარავში, იქ დავამთავროთ!

უთხრა ოდიშის მთავარს.

3. დაიწყო სისხლისმღვრელი შეტაკება.

ერთმა ცხენმარდმა, მარჯვე აფხაზმა იმერეთის ლაშქარს ავალ-იანი და აბაშიძე მოუკლა!

მეფის ძმა არჩილი გავიდა არენაზე.

აფხაზი არჩილის დანახვაზე ცხენიდან გადახტა და საყელო გაიხსნა.

– ვინ ხარ?!

– ალანელი, თქვენი ბიძაშვილი!

– მოდი აქ.

აფხაზი ეახლა. არჩილი ცხენიდან გადმოიხარა და ალანელმა გულზე აკოცა, არჩილმა – თავზე.

4. ომი ოდიში-იმერეთის გამარჯვებით დამთავრდა.

ტყვედრავარდნილ აფხაზთა მთავრის შვილს, რომელიც მეფესთან ერთად გამარჯვების ნადიმს უზის, ეკითხებიან:

– რატომ არ შეუტეე მეფეს, როცა ერთმანეთს შეხვდით, ხომ ეძებდი მას?

– მირონცხებული მეფე – მორცხვალ წარმოსთქვა ყმანვილმა – ჩემზე ხნითაც უფროსია და გვარიშვილობითაც. პირველი მას უნდა ენებებია ხმლის მოქნევა.

ცოტა ხნის შემდეგ მეფეს ჰკითხეს, რატომ არ შეებრძოლე აფხაზთა ბატონიშვილს.

– როგორც კი პირველად შევხედე, გავიფქვე: ასეთი ვაჟკაცის გაფუჭებას ღმერთი არ შეუნიდობს კაცს-მეთქი და ჩავუარე, მეორედ საბედნიეროდ, მის ცხენს ფეხი დაუსხლტა, და ნაქცეულთან შებმას როგორ ვიკადრებდი“.

ასე სიცილ-სიცილით, ღიმილ-ირონიით ამთავრებს ნიკო ლორთქიფანიძე ბრწყინვალე მოთხრობას.

ასე ებრძოდნენ ერთმანეთს აფხაზი და ოდიშელ-იმერელი რაინდები.

რაც მთავარია, მწერალმა კარგად იცის, რომ ორივე მხარეს ქართველები დგანან და რომ აფხაზეთი საქართველოს ერთ-ერთი კუთხის ისეთივე გეოგრაფიული სახელია, როგორც გახლავთ კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, ჰერეთი...

თუმცა... ამაზე სხვა დროს.

## როგორ შევაფასოთ აკაკი

უკანასკნელ წლებში კლასიკოსთა „გადაფასების“ ტენდენცია შეინიშნება. ნიჰილიზმის მახვილი განსაკუთრებით ილიასა და აკაკის დაატყდა თავს.

„ახალ ესთეტთა“ ამ გამოხტომებს ორი გარემოება განაპირობებს. პირველი ის გახლავთ, რომ კლასიკოსთა შემოქმედებაზე ცხვირაბზუებულთა შორის განსაკუთრებით ვაიპოლიტიკოსები აქტიურობენ.

რა ჯურის პოლიტიკოსნი არ დაჩევილან საქართველოში ამ ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში, მაგრამ არც ერთ მათგანს არ შეუბედავს მათთვის. ცოტა არ იყოს, ძნელად შესაცნობი, ხოლო ერისთვის სანუკვარი ისეთი თემისათვის, როგორც გახლავთ მწერლობა.

ვარდების წვიმას მოყოლილმა „პოლიტიკოსებმა“ კი შეჰბედეს.

ძნელი გამოსაცნობი სრულიადაც არ არის, რომ ილიას და აკაკის გმირობით, მათი დამცირებით, ამ არაკაცებს სურთ ქართველ ხალხს ეროვნული ორიენტირები მოუშალონ. ის სინმინდებები გააბიჯებენ, რაზეც ქვეყანამ სწორება უნდა აიღოს, თუ მას არსებობის შენარჩუნება სურს.

რასაკვირველია, ამით საქართველოს შეგნებული მტრები მათი ოკეანისგალმელი პატრონების დავალებას ასრულებენ. ეს ქართული ეროვნული ცნობიერების იმ ბარბაროსული შეტევის გაგრძელებაა, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შოთა რუსთაველის, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის და გამსახურდიას კაბინეტები გააუქმა.

თანაც დააკვირდით, რა ცინიკურად აკეთებენ თავიანთ შავბნელ საქმეს: აქაოდა, ჩვენ ილიას და აკაკის ეროვნულ იდეებს როდი ვაკრიტიკებთ. ჩვენ მხოლოდ ამ მწერალთა მხატვრული ოსტატობა არ მოგვწონსო.

და ამას ამბობენ ეს წერა-კითხვის მცირემცოდნენი, „ოთარაანთ ქვრივისა“ და „თორნიკე ერისთავის“ ავტორთა შესახებ.

რუსთაველის პატრონი ქართველი ერი არ მიიღებდა, არ შეისისხლხორცებდა და არ გაითავისებდა ამ დიდებულ მწერლებს, რომ მათში არ ეპოვა არა მარტო სალბუნო სულისა, არამედ უზადო მხატვრული ოსტატობაც, ნათლად, ლაპიდარულად, ლამაზად თქმის ხელოვნება.

მეორე მიზეზი კლასიკოსთა გადაფასებისა, ზოგი ახალგაზრდა თუ საშუალო თაობის ლიტერატორის გაუაზრებელი, ნაჩქარევი დასკვნები გახლავთ; ამ დასკვნებს ისინი კლასიკოსთა იმ თხზულებების „ანალიზის“ საფუძველზე აკეთებენ, რომლებთანაც მიდიან არა ეპოქის ლიტერატურული დონის ან ესთეტიკური აზროვნების გათვალისწინებით, არამედ თანამედროვე უმკაცრესი ესთეტიკური კრიტერიუმების მომარჯვებით და მაშინაც იმ უბირი ექიმით იქცევიან, ფონენდოსკოპს უადგილო ადგილას რომ მოუმარჯვებს ხოლმე პაციენტს.

ამჯერად მხოლოდ აკაკი წერეთელზე მოგახსენებთ.

თვალი გადავავლოთ ქართული პოეზიის ლექსიკურ-ვერსიფიკაციული განვითარების მრავალსაუკუნოვან გზას:

მეხოტბეთა ლექსიკა – დამორჩილებული ნაწილობრივ საეკლესიო სქოლასტიკას, ნაწილობრივ აღმოსავლური პოეზიის სტილს, დამძიმებული არქაული მეტყველებით – შოთა რუსთაველმა ნათელი, გენიალური – უბრალოებით, ხალხური მეტყველებით შეცვალა.

და შვიდასი წლის განმავლობაში წარმართავდა ქართული პოეზიის იერსახეს რუსთაველის ლექსი.

მეცხრამეტე საუკუნეში ქართველი ხალხის მეტყველება და პოეზიის ლექსიკა საგრძნობლად დაშორდა ერთმანეთს.

ამიტომაც დასჭირდა ანტონ კათალიკოსს უფრო ადრე „სამ შტილზე“ საუბარი.

რომანტიკოსთაგან ნიკოლოზ ბარათაშვილმა სცადა ლექსი მკითხველის ლექსიკისათვის მიესადაგებინა, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო მის სულზე დანაშრევი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციისა და ამალღებული არისტოკრატიული სტილისა, რომ ქართული ლექსის რადიკალური, სტილური განახლება ვერ შეძლო.

ეს საქმე ილიამ და აკაკიმ ითავეს და ბრწყინვალედ დააგვირგინეს.

ილიამ – პროზაში, აკაკიმ – პოეზიაში.

აკაკიმ ქართულ პოეზიაში განსაცვიფრებელი რეფორმა მოახდინა; ერთბაშად შემოაბრუნა ხალხური მეტყველებისაკენ ლექსი, ერთბაშად შემოუშვა პოეზიაში ფოლკლორული სტილი და ლექსს მანამდე უჩვეულო დემოკრატიული ელფერი მიჰმადლა.

აკაკის ლექსი ერთბაშად დამკვიდრდა საქართველოში. თუ მანამდე პოეზია ფუფუნების საგანი იყო, თუ მხოლოდ საეკლესიო და სალონური ფორმით აღწევდა იგი მსმენელამდე და მასასთან პოეზიით საუბარი ოდენ ხალხური შემოქმედებით მიიღწეოდა, აკაკის ლექსმა ყველა ქოხში, ყველა თემში შეაღწია და სრულიად საქართველო მოიცვა.

წარმოიდგინეთ რომანტიკული ლექსი „მუნ“ და „გარნას“ და წამდაუნუმ „ნართანიანი“ მრავლობითების შემდეგ რა გენიალური ლაპიდარიზმი, რა ხალხურ-მუსიკალურია აკაკის ლექსის ენა:

„სამად გამლილა ეს ერთი  
ვარსკვლავად, ბულბულ-ვარდათო,  
თქვენ ერთმანეთი ამქვეყნად  
რადგანაც შეგიყვარდათო...“

„დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ;  
შენს მიწას მიმაბარეო,  
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,  
ჩემო სამშობლო მხარეო“.

ყოველ რევოლუციას რადიკალურობა, მოუზომავობაც ახლავს და აკაკიმ თავისი ლექსის დასამკვიდრებლად იქნებ ზოგჯერ ზედმეტადაც გადახარა სასწორი ხალხურ-მესტიურიული პოეზიისაკენ.

იქნებ ამიტომაც იყო, რომ მისმა მრავალრიცხოვანმა მიმდევრებმა პოეზია არისტოკრატიული სალონებიდან ორლობეებში ჩამოიტანეს და კი არ გაახალხურეს, გაამდაბიურეს კიდეც.

მაგრამ ეს მხოლოდ დროებით, სულ რაღაც 30-40 წლის განმავლობაში ხდებოდა.

მერე მოვიდა გალაკტიონი და, დაეყრდნო რა აკაკის მიერ ლიბოდადებულ ტრადიციას, ლექსს მეტი ინტელექტუალობა, მეტი რაფინირება, თუ გნებავთ, ინტელიგენტურობაც შესძინა.

ოღონდ ისე, რომ აკაკის გრძნეულებას, მის უპირველეს განმახლებლობას წამითაც არ გამოეშინებია.

თვითონაც არ უარყოფდა, რომ აკაკის პოეზიის ფესვებზე ამოიზარდა ე. წ. „გალაკტიონის ლექსი“.

დიდი სიახლე, გაბედულება არ გახლავთ იმის ხაზგასმა, რომ აკაკის ლექსმა წარმართა შემდგომ პოეტურ თაობათა შემოქმედების სახე და მხატვრულ-ლექსიკური გასაგისი.

ერთი სიტყვით, აკაკის შემდეგ დაბადებული თითქმის ყველა პოეტი აკაკისებურად წერს და აკაკის მიერ გენიალურად ჩატარებული პოეტური რევოლუცია დღესაც მოქმედებს ქართულ პოეზიაში.

სრულიად ბუნებრივია, რომ დროთა ვითარებაში ლექსის ვერსიფიკაციული მხარე უფრო დაიხვეწებოდა და ახალ-ახალ მხატვრულ-მუსიკალურ სიმაღლეებს დაიპყრობდა.

ან ის ვისლა დაფუძნალთ, რომ აკაკის არაერთი ლექსი, იქნებ დღეს ქართული პოეზიის ამ დონიდან დანახულ-შეფასებული, მართლაც ვერ გამოსცემდეს სასურველ მხატვრულ ბრწყინვალებას.

ლიტერატურის კრიტიკოსებმა და ლიტერატურის მეისტორიემ ყველაფერს ეპოქის სარკმლიდან უნდა შეხედოს, ნაწარმოები იმ

დროის ესთეტიკური აზროვნების ჭრილში უნდა განიხილოს, თორემ მისეული შეფასება არასრულფასოვანი იქნება.

აკაკის ზოგიერთი ლექსის პრიმიტიულობას რომ თავი გავანებოთ, თვით დედამიწის უპირველეს პოეტს, შოთა რუსთაველსაც აღმოვუჩინებ „ნაკლს“ და ეს „ნაკლი“, პირველ ყოვლისა, „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრული არასრულყოფილება იქნება.

პოემის ჟანრული დიფერენციაციის თანამედროვე ეტაპზე ლიტერატურათმცოდნეობამ უკვე განსაზღვრა პოემის ჩარჩოები. ის, რაც ეკუთვნოდა პროზას, პროზას გადასცა, ხოლო პოემა პოეზიის ერთ-ერთ სახედ, მხოლოდ ლირიკულ, უსიუჟეტო პოემად დატოვა.

ეს იმას ნიშნავს, რომ რომანის გალექსვა საჭირო არ არის.

რომანი რომანად (პროზად) უნდა დაინეროს, ხოლო პოემა – პოეზიის ჟანრული კანონების დაცვით.

„ვეფხისტყაოსანი“ კი გალექსილი რომანია და რომ უსაყვედუროს ახლა რომელიმე ახალმოდის „ლიტერატურათმცოდნემ“ რუსთაველს, რა ძალა გადგა, რომანს რომ ლექსავდი, დაგენერა „ვეფხისტყაოსანი“ პროზადო, ხომ სისულელე იქნება?

ჰომეროსის, რუსთაველის, ნიზამი განჯელის, დანტი ალიგიერის და სხვა გენიოსთა ეპოქაში ხომ ჭეშმარიტი ლიტერატურის უმთავრესი სახე მხოლოდ პოემა იყო და პრესტიჟულად მხოლოდ „ლექსთა გრძელთა“ თქმა ითვლებოდა. მართალია, იმ დროს არის მცირე ლექსიც, მაგრამ „მოშაირე არა ჰქვია ვერას იტყვის ვინცა გრძელად“. ხოლო პროზა კი, როგორც მხატვრული შემოქმედების ჟანრი, შედარებით გვიან ჩამოყალიბდა. თითო-ოროლა პროზაული თხზულება, ადრე რომ იქმნებოდა, ლიტერატურის სახედ არ ითვლებოდა (მაგ. ჰაგიოგრაფია), ისინი საუკუნეთა შემდეგ შერაცხეს მხატვრულ ნაწარმოებებად.

აი, რატომ არ წერდნენ „პროზად“ სარაინდო ეპიკურ პოემათა ავტორები.

ახლა რომ აკაკის ვუსაყვედუროთ, რატომ აქვს ზოგიერთ შენს ლექსს ზედმეტი უბრალოება, რატომ არ ჩანს მათში ფრაზაზე, მხატვრულ სახეზე მუშაობის კვალი და რატომ ადევს ზოგ მათგანს ნაჩქარეობის ელფერიო, მართალი ვიქნებით?

არ ვიქნებით მართალი.

დიახაც, ჩქარობდა ზოგჯერ აკაკი. იგი დამწყები, პირველი იყო და „თავისი ლექსი“ უნდა დაემკვიდრებინა, მკითხველის ყური აკაკისებურად უნდა გაეხედნა.

ულრანში პირველ გამსვლელს კი, ბუნებრივია, ვერ მოვთხოვთ, მიმდევრებზე უფრო პენიანად გამოიყურებოდეს და ყველაფერი და-კოხტავებული-დალაგებული ჰქონდეს.

საქართველოში ყველაზე ხელუხვი პოეტი, საქართველოს ბულ-ბული, სწორედ ისე უნდა შევაფასოთ, როგორც ეკუთვნის ქართული ლექსის დიდ რეფორმატორს, ხოლო „თორნიკე ერისთავის“, „გან-თიადის“, „ნათელას“ და „ბაში-აჩუკის“ ავტორს რომ შეღავათი არ სჭირდება, ამას ნებისმიერი ჭკუადაძმადარი ლიტერატურის ისტორიკოსიც მიხვდება.

...და მაინც, მწერლობაში ბევრი რამ თვით აკაკის სიცოცხლე-შივე გადაფასდა.

აკაკის მახვილ თვალს არ შეეძლო არ დაენახა და არ გაესიგ-რძეგანებინა მის კვალზე მოსულთა პოეტური მიღწევები, ისიც არ გაეთვალისწინებინა, რომ ლექსის ვერსიფიკაციული დონე აშკარად ამალდა და ცალფა რითმით განყობილ სტრიქონებს თანდათანო-ბით ედებოდა გახუნებულის ელფერი.

„თორნიკე ერისთავის“ ავტორმა თავისი თავის ფასიც კარგად იცოდა და თავისი ზოგიერთი ლექსის ნაკლიც.

რაც წლები ემატებოდა, იგი ერთი მხრივ, როგორც ბრძენი და კეთილი მამა, სიყვარულით ესაღმებოდა ნიჭიერ ახალბედებს ლიტ-ერატურაში, ხოლო თავის თავს უფრო და უფრო ხშირად უწოდებდა მწერლობის „დღიურ მუშას“.

ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ აკაკი – ზეპირსი-ტყვიერების შემკრები და გამომცემელი, აკაკი – რედაქტორი და გამომცემელი, აკაკი – საქართველოში იმ დროს ყველაზე პოპუ-ლარული პოეტი – თავის მკითხველს ახალ-ახალი წიგნებით არ ან-ებივრებდა.

მიზეზი?

ერთი მხრივ – აშკარად გამოხატული მოქალაქეობრივი თავმდ-აბლობა, და, მეორე მხრივ – უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა ლიტერატურის წინაშე.

თუმცა... თვით აკაკის მოვუსმინოთ.

1892 წელს პოეტმა „ივერიაში“ (№81) გამოაქვეყნა სტატია „სა-პასუხოდ“.

აკაკი სტატიას ასე იწყებს: „ეს ერთი ხანია, მოსვენება აღარ მაქვს! ჩემიანი თუ სხვისიანი, ნაცნობი თუ უცნობი, ყველა ერთად და ერთნაირად მესაყვედურება: „რა მიზეზია, რომ შენს ნაწერს, ამ

ოცდაათის წლის განმავლობაში აქა-იქ გაბნეულს, არ მოაგროვებ და ცალკე წიგნად არ გამოსცემო?“

წერილის დანარჩენი ნაწილი იმ კითხვის აკაკისეული პასუხია.

ავტორი თავს იმ მარტოხელა ოჯახის თავს ადარებს, რომელსაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავს და იძულებულია, ყველაფერს და-ლაუნებურად წაეტანოს, ყველაფერს მოჰკიდოს ხელი და ცოტ-ცო-ტა ყველაფერი აკეთოს: „...ამ ყოფაში უნდა იყოს, სანამ შვილები არ წამოეზრდება და ოჯახი არ გაკაცრიელდება; მაშინ კი შეუძლიან მოისვენოს, რადგანაც მუშები გაინაწილებენ საოჯახო საქმეს“...

წამოზრდილმა შვილებმა რომ მოხუც მამას უსაყვედურონ, ცალ-ცალკე ჩვენ უკეთ ვაკეთებთ საქმეს, შენს წამუშევარს კი „აჩქარება, აფუსფუსება ეტყობაო“, არ იქნება სამართლიანო.

მე და ჩემი ამხანაგები ასპარეზზე რომ გამოვედით, სწორედ იმ მარტოხელა ოჯახის კაცებს ვგავდით, ამიტომაც ჩვენი გაზომვ-ანონვა „ამ დროით არ შეიძლებაო“. მე არც ერთ სამუშაო იარაღს არ ვთაკილობდი, რომ მისაშველებს მივშველებოდი, მავნეს და სანი-ნააღმდეგოს ყოველგვარი საშუალებით ვწინააღმდეგებოდი, „იმ დროს, აბა, ვინ იფიქრებდა, ჩემი ფარ-ხმალი მოვეჭედო და მოვექ-არგო, რომ ლამაზი და მოსაწონი გამოვიდესო“.

„მაშინ მე, – განაგრძობს აკაკი, – ხელოვნებაზე და მომავალზე კი არა ვფიქრობდი, მხედველობაში მხოლოდ ისა მქონდა, რომ ჩემს ნაწერს დღიურ ავკარგიანობაზე გაეჭრა. ის დრო წავიდა, ახლა სხვა დროა. მაშინდელი ჩემი ნაწერი და წამუშევარი იმ დროს თან გაჰყვა. რასაც მაშინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, დღეს სრულიად უმნიშვნე-ლოა!.. აი, რად არა მსურს, რომ ჩემი ნაწერები იბეჭდებოდეს! თუ ისე დაიბეჭდება, როგორც იმ დროის მასალა, მაშინ არას ვიტყვი, მაგრამ თუ ისე შეხედავენ, როგორც სახელოვნო და საპოეზო ნი-მუშებს, თანახმა არა ვარ!“

რა შეიძლება ითქვას დიდი მგოსნის ამ უაღრესად მოკრძალებულ სტატიასზე?

მხოლოდ ის, რომ იგი გაკვეთილად გამოადგება ყველა კალმის კაცს, ვინც თავის ნაწერს მხატვრული სიტყვის უზადო ნიმუშად მიიჩნევს და მელანშეუმშრალად სტამბისაკენ მიარბენინებს, რათა მდიდრულად გამოცემული ლიტერატურული ნახევარფაბრიკატი პიტნასავით შესწაროს ცხვირში მკითხველს.

აკაკი კი, უბრწყინვალესი აკაკი, რომლის ლექსიც პოეზიაში ახა-ლი ერის დასაწყისია, და დიდებული უბრალოებით ბრწყინავს, წიგ-

ნის გამოცემას, თურმე, იმიტომ აგვიანებდა, რომ თავისი სწორუპოვარი პოეზიის დიდი ნაწილი ოდენ „იმ დროის მასალად“ მიაჩნდა და არა „სახელოვნო და საპოეზიო ნიმუშებად“.

გრძნეული პოეტის მიერ მომავალ თაობათათვის მიცემული მაგალითი მით უფრო საგულისხმოა დღეს, როცა ლიტერატურა ლამის წალეკოს უმნიშვარა „მწერალთა“ ყალბპრეტენზიულმა, უნმანური გამოთქმებით სავსე, ფსევდოინტელექტუალურმა წიგნებმა.

საერთოდ კი, კლასიკოსთა თავმდაბლობის შეხსენება არავის აწყენს!

ნაადრევი პროფესიონალიზმის სენი, ზოგიერთ ჩვენს საეჭვო ნიჭის მქონე კოლეგას რომ შეეყარა, კარგს არაფერს მოუტანს მის სახელს.

მეცინება, ტელევიზიის ეკრანზე ზოგიერთ ჩემთვისაც კი უცნობ ახალგაზრდა „თანამოკალმეს“ რომ ვხედავ, რომელიც მორიგ პოლიტიკურ სისულელეს ამბობს (ერთი მათგანი ძალიან ჰგავს ფრანგ მსახიობ ბურვილს) და მის სახელს ქვეშ „მწერალი“ აწერია.

ჩახედეთ ნამდვილი მწერლების დღიურებს და ნახავთ, როგორ ეკრძალოდნენ ისინი მწერლის მაღალ წოდებას:

ყაზბეგს თავი მესცენე-მელეკურედ მიაჩნდა, შიო არაგვისპირელს – ბეითლად, შალვა დადიანს – „მცირე არტისტად“...

და რაკი ამ დიდებულ კაცებს მწერლის სახელისთვის ვერ შეეებდათ, შენ რამ გაგათამამა, შე ლიტერატურის კუნტრუშა ბატკანო?

*ივლისი, 2005 წელი.*

## არც ისე კლიერნი არიან დამპყრობელნი

ჭაბუა ამირეჯიბის მესამე რომანი დევს ჩემ წინაშე. ამ, „დათა თუთაშხიასთან“ შედარებით, მომცრო ტანის რომანს „გიორგი ბრწყინვალე“ ჰქვია. ბუნებრივია, იგი ეხება გიორგი მეხუთის ცხოვრებას და საქართველოში მონღოლთა ბატონობის პერიოდს, უფრო ზუსტად იმ დროს, როცა მონღოლთა იმპერია ნელ-ნელა იშლება და მაშინდელი მსოფლიოს თითქმის ნახევარზე ყვითელკანიან აზიელთა ბატონობის ეპოქა მთავრდება.

იქნებ არც იყოს საჭირო, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ „დათა თუთაშხია“ ოთხმოცს გადაშორებული ჩვენი სახელოვანი მწერლის შემოქმედების მწვერვალია.

რაკილა „დათა თუთაშხია“ დიდხანს რჩებოდა ჭაბუა ამირეჯიბის ერთადერთ ნაწარმოებად, ეს გარემოებაც აძლევდა საბაბს, ზოგიერთ ჭორიკანას ეჭვი შეეტანა იმაში, რომ მეგრელი აბრაგის ცხოვრებაზე დაწერილი ნაწარმოები, სრულიადაც არ იყო თბილისში დაბადებული ქართლელი არისტოკრატის, ჭკუისა და გონების ნაყოფი.

ჩემთვის პირადად „დათა თუთაშხიას“ ორიგინალობის საკითხი არასდროს მდგარა. რადგანაც კარგად ვიცნობ მწერლის პიროვნებას და ძნელი მისახვედრი არ არის, რომ „დათა თუთაშხია“ უხვად შეიცავს მწერლის ავტობიოგრაფიულ პასაჟებს და რაც მთავარია, ბევრი რამ აქვს მთავარ პერსონაჟს საერთო ჭაბუა ამირეჯიბის ხასიათთან.

„გორა მბორგალმა“ ხაზგასმული ავტობიოგრაფიულობით ლახვარი ჩასცა გამაღიზიანებელ ჭორს (ეს იყო ფაქტობრივად ჭაბუას „პაბეგების“ ქრონიკა), ხოლო „გიორგი ბრწყინვალემ“ საბოლოოდ დაუსვა ნერტილი.

დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს სამივე რომანისათვის დამახასიათებელ არა მარტო ენობრივ-ლექსიკურ სტილს, არამედ ცალკეულ დეტექტურ-კრიმინალურ ეპიზოდებზე ნაწარმოების კომპოზიციური შენობის აგების ხელოვნებას.

რა გარდასახვასაც უნდა ეცადოს ავტორი, თავის თავს ვერასოდეს გაექცევა.

და აი „გიორგი ბრწყინვალეც“ სავსეა დაცემის, ყაჩაღობის, აბრაგობის, გაუპატიურების, დამნაშავის ძებნის და მისი დასჯის, უალრესად საინტერესო თავგადასავლებით.

თუმცა აქვე უნდა შევნიშნო, რომ თუ „დათა თუთაშხიასა“ და „გორა მბორგალში“ კარგად ჩანს ოსტატი-ეპიკოსის ერთი თვისება: არც ერთი ფაქტი, არც ერთი პასაჟი თუ ეპიზოდი არ მოიტანოს თუ იგი ნაწარმოების კომპოზიციასთან მტკიცე კავშირში არ არის.

სამწუხაროდ „გიორგი ბრწყინვალეში“ ზოგი დეტექტური პასაჟი, თვითმიზნურ ხასიათს ატარებს და რომანის სიუჟეტურ ხვეულებთან საეჭვო კავშირი აქვს.

შეიძლება ეს იმის ბრალიც არის, რომ „გიორგი ბრწყინვალეში“ მკითხველს აოცებს ნაწარმოების საბოლოო შეკვრა-დაპროექტების (რასაც კინემატოგრაფისტები „კინომონტაჟს“ ეძახიან), ჭაბუა ამირეჯიბისეული სილალე და თავისუფლება.

„გიორგი ბრწყინვალეში“ თუმცა ერთი კონკრეტული ეპოქა დასურათხატებული, მაგრამ რომანის ფანტასტიკურ-რომანტიზებული



ხვეულებში მოქმედ პირებად ბუნებრივად გამოჩნდებიან ხოლმე თამარ მეფე, ილია ჭავჭავაძე, ცოტნე დადიანი და სხვანი. ხოლო ძველი ბერძნული ტრაგედიების ქურუმების მსგავსი კითხული, თუ გნებავთ, მემატინე, ფილოსოფიური რჯულმდებელი, ისტორიკოს-მოსამართლე და წინასწარმეტყველი ქრონი, თუმცა, ერთი შეხედვით, რეალური, ცოცხალი პერსონაჟია, მაგრამ განსაცვიფრებელი სისადავით ჰყვება სამივე დროში თავისი არსებობის შესახებ და მის წინაშე პირველად წარმდგარ საქართველოს მეფესაც მშვიდად ეუბნება:

შენ ერთხელ უკვე იყავი ჩემთან ორასი წლის წინათ. როცა ქვეყანას უჭირს, თქვენ მაშინ გამოჩნდებით ხოლმე. მძლე კაცთა მოდგმას განეკუთვნები და ახლა შენი ჯერია, რომ მამულს წუხილი მოაშოროო.

იმდენად საცნაურია მწერლის სურვილი რომ მხატვრული ნაწარმოები „გიორგი ბრწყინვალის“ ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებზე კი არ ააგოს, არამედ XXI საუკუნის მკითხველს დაეხმაროს სფინქსის გამოცანის ამოცნობაში (რამ გადაარჩინა პატარა საქართველო უზარმაზარი იმპერიების კვეთება ხეთქებაში?), რომ ვერავითარ შემთხვევაში ვერ აღვიქვამთ „გიორგი ბრწყინვალეს“ ისტორიული ჟანრის თხზულებად.

იგი თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში, მოდადქცეული, ფსიქოანალიზის მომარჯვებით შექმნილი მხატვრული ქმნილებაა და მწერალი, უპირველეს ყოვლისა, მაღალ ინტელექტუალურ მკითხველს გულისხმობს, თანაც ისეთ მკითხველს, ვისთვისაც საქართველოს ბედი თუ უბედობა სულერთი არ არის.

ეს გახლავთ მთავარი ღერძულა ჯაჭვი, რითაც „გიორგი ბრწყინვალე“ ჩვენს ეპოქასთან არის მიბმული.

მწერალს აინტერესებს, რა ემართება ერს და ქვეყანას, როდესაც იგი დაპყრობის მსხვერპლი ხდება.

ეგუება თუ არა სიცოცხლისუნარიანი ერი დამპყრობლის მართახის ტკაცუნს, მაშინაც კი, როცა თავისუფლების წამგვრელი უღელი საუკუნეზე მეტხანს ადევს ქედზე.

წარმოშობს თუ არა ერი თავის წიაღში უღლის გადაგდების სხვადასხვა მექანიზმს და რამდენად რეალურია პროტესტის ის ფორმები, ერი და ბერი რომ მიმართავს ქვეყნის გადასარჩენად.

საილუსტრაციოდ რომანის დასაწყისში მწერლის მიერ მოთხრობილ ერთ სულისშემძვრელ ეპიზოდს მოგაგონებთ.

გიორგი მეხუთე რომანის დასაწყისში სრულიადაც არ არის „გიორგი ბრწყინვალე“, ამ სახელით იგი ისტორიამ მოგვიანებით შერაცხა.

ჯერჯერობით იგი მონღოლეთის ხელში მარიონეტ მეფეთაგანია. ნოინებთან ურთიერთობას არ ამწვავებს.

ხშირად ახლავს დამპყრობელ მონღოლებს ნადირობისა თუ გართობის დროს და გარეგნულად ფრიად დამაჯერებლად ინარჩუნებს ნოინების ამფსონის პოზიციას.

ერთხელ გიორგი მეფე ასეთ უჩვეულო ამბავს წააწყდა: მომხიბვლელი ქართველი ქალი დილიკა მონღოლებთან მრუშობს.

ასეთი ფაქტი მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო ახალგაზრდა მეფისათვის, მაგრამ მარიონეტი მეფე გააოცა ქალის უცნაურმა საქციელმა, – იგი ერთიმეორის მიყოლებით „მასპინძლობდა“ მონღოლ კუროებს და გასამრჯელოსაც არ იღებდა მათგან.

მეფემ დაასკვნა, რომ დილიკა უბრალოდ ავბორცი ქალი იყო და სექსუალური ჟინის დაკმაყოფილების გარდა სხვა რამ სურვილი არ ამოძრავებდა.

ამ ფაქტში შემადრწუნებელი ის გარემოება გახლავთ, რომ დილიკა სექსუალურ აღვირახსნილობას სჩადიოდა, არც მეტი არც ნაკლები, მონღოლებისგან იავარქმნილ ქრისტიანულ საყდარში.

გიორგი მეფემ ქართველთა შემარცხვენილი დიაცია რომ დაიმართობელა, ჯერ მაგრად სცემა, მერე ჟინი დაიკმაყოფილა და ბოლოს მოითხოვა უცნაური მეძავისაგან, აეხსნა თავისი საქციელის მიზეზი.

დილიკას პასუხი მეფისათვის სრულიად მოულოდნელია.

მეო, დილიკა ამბობს, მეძავი კი არა, შურისმაძიებელი ვარო, ჭირივით მძულს მონღოლი დამპყრობლები, მაგრამ ვცდილობ, დამპყრობელთაგან შვილები გავაჩინო. ისინი, რა თქმა უნდა, სულთ და ხორციტ მონღოლები იქნებიან, მაგრამ ნესტოებთან ოდენ ორი წერტილის ნაცვლად წამონეული ცხვირები ექნებათო.

შემჩნეული მაქვს, უცხვირო მონღოლებს ცხვირიანი მონღოლები ჭირივით ეჯავრებათ და ეს უკანასკნელნიც განსაკუთრებით აგრესიულნი ხდებიან თავიანთ თანამომძეთა მიმართო.

რაკი ქართველი მამაკაცების ვაჟკაცობის იმედი არა მაქვს, ნახევრად ქართველი მონღოლები უნდა გავამრავლო, რომ მონღოლებს ერთმანეთი დავაჭამინოო.

გიორგი მეფის შეკითხვაზე, რამ გაგიტეხა გული ქართველ მამაკაცებზეო? დილიკა ანგარიშმიუცემლად პასუხობს:

„ქარველი მამაკაცები სულით, გონებით და ხორცილთა ც დაუძღვრებული ხართ და ამიტომაც მტრები ჩვენცა გვგვემენ – დედაკაცებს. ამ მიწაზე სიცოცხლე ქალის შემონახულია და ერს, თუ რამ ძლევა მოსილება შემორჩა, ჩვენგან მოდის. თქვენ საკუთარი უმწეობის გასამართლებლად მოიგონეთ: მარად გვგვემენ და მარად ვართო. მხოლოდ მგვემენი ერთხანს გვგვემენ და მხოლოდღა ერთხელ არსებობენო, საუკუნე სრულდება თქვენი გამარჯვება აღარავის უნახავს. აგერ, იმ ნადირთა მსახურებაში ეჯიბრებით ერთმანეთს“ (გვ. 44).

ამ, ენისა თუ ტვინის გასატეხში, „მეძავი“ ქართველი ქალის ბაგეთაგან რომ ესმა მეფეს, შემადრწუნებლად ყურადღებამისაქცევი ერთი რამ არის; რა უცნაური გზა მოუძებნია ქართველ ქალს მონღოლებზე შურისძიებისა.

მთავარი ის კი არ არის, დამაჯერებელია თუ არა დილიკას პასუხი, მთავარია მწერლის სურვილი, მკითხველს გააგებინოს, რომ შურისმაძიებელ ქართულ სულს არ სძინავს, რომ დაპყრობილი ქვეყანა, რომელიც თითქოსდა გარეგნულად მშვიდად დაატარებს მონღოლთა უღელს, თავისუფლებაზე და იმ უღელის გადაგდების გზებზე და საშუალებაზე ფიქრობს.

რომელიღაც ევროპული ნოველიდან მახსოვს: სიფილისით დაავადებული ფრანგი ქალი გერმანელ ოფიცრებს უშურველად რომ მასპინძლობდა საწოლში, რათა რაც შეიძლება მეტი ფაშისტისთვის შეეყარა იმ დროისათვის უკუზრუნებელი სენი.

ქართველი ქალის ფანტაზია უფრო შორს მიდის.

მას სურს ცხვირიანი მონღოლები უცხვირო მონღოლებს შეაბრძოლოს. ხოლო როგორც ეთანწყობება დილიკას მიერ მისი თანამედროვე ქართველი მამაკაცისთვის გამოტანილი განაჩენი ჩვენს ეპოქას („საუკუნე სრულდება, თქვენ გამარჯვება აღარავის უნახავს“) ამ ფრაზას ვფიქრობ, რომ კომენტარი არ სჭირდება.

დიახ, თავისუფლებისმოყვარე, მონობას ვერშეგუებული ქართული სული ბორგავს, ეძიებს, ვერ ისვენებს.

ვისაც რა შეუძლია და როგორც შეუძლია, მიმართავს საქართველოს გადასარჩენად:

ერთი შეხედვით, ისეთი არაეროვნული პროფესიის წარმომადგენელი, როგორებიც ქურდები არიან, ამ რომანში იშვიათად იმისთვისაც აბრაგობენ, რომ მათი ყაჩაღობით ნაშოვნი განძი საერთო ჯამში ქვეყნის მტერთაგან გამოსხნის საქმეს მოხმარდეს.

ლარგველმა ანანიამ თავისი ტყვე – მაღალი წრის წარმომადგენელი თურქი, სახედარში გაცვალა.

ანანიამ კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა.

დამპყრობლები უამრავ ოქროს აძლევდნენ გამოსასყიდად ანანიას, მაგრამ მან სახედარი ამჯობინა და ეს მხოლოდ იმიტომ გააკეთა, რომ საქართველოში ხმა გავრცელებულიყო: დამპყრობელი სახედარში გაიცვალო.

დაკვირვებული მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ეს ჩვეულებრივი სატირული პასაჟი არ გახლავთ.

ამ საქციელით ლარგველმა ანანიამ დაპყრობილ ქართველებში საკუთარი თავის რწმენა განამტკიცა: ნუ გეშინიათ, ჯაბანო, არც ისე ცუდადაა ჩვენი საქმე, როგორც მტერს ჰგონია, არც ისე ძლიერი არიან დამპყრობელი, რომ მათი უღელის გადაგდება ვერ შეეძლოთ. ხომ ხედავთ, ერთი მათგანი სახედარში გავცვალებო.

ეს ამბავი ქვეყანაში ელვის სისწრაფით გავრცელდებოდა და ანანიასაც ეს სურდა.

გარეგნულად ყურ საქართველოში ამდენი მიწისქვეშა დინებებია ერის ვაჟკაცობის, მებრძოლი სულის შესანარჩუნებლად მიმართული და მწერლის დამსახურება სწორედ ის გახლავთ, რომ დაანახოს თანამედროვე მკითხველს:

ხელს ნუ ჩაიქნევ, ერის სული ცოცხალია იქაც კი, სადაც შენ მის გადარჩენას არ ელი. იცოდე, ისეთ მოთვინიერებულ სტრუქტურებშიც კი, როგორც XXI საუკუნის საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებია, მოიძებნებიან „სხვაგვარად მოაზროვნენი“ მთავარი, მათი პოვნა-აღმოჩენა და საერთო მიზნისკენ მიმართვა.

რას აკეთებს თვით გიორგი ბრწყინვალე?

განა მას ოდენ ნოინების ამფსონობისთვის უწოდებს მემატთანე ბრწყინვალეს?

რომანში თითქმის ვერ ვხვდებით ბატალურ სცენებს.

გიორგი მეფე რომანის 230 გვერდზე ხმაღს თითქმის არ იქნევს დამპყრობელთა წინააღმდეგ.

წინარმოებში არსად ჩაგვესმის ძლევის ყიჟინა და ქართული „ჰკა მაგას“, მაგრამ მწერალმა დიდებულად მოახერხა ცალკეულ ეპიზოდთა ოსტატური დალაგებით გიორგი ბრწყინვალის, როგორც ბრძენი და მამაცი მეფის სახის გამოკვეთა.

მთელს კომპოზიციაში რომანისა იგრძნობა, რომ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს მართავს გამოცდილი და ბრძენი მეფის ნება.

თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, გიორგი ბრწყინვალე სიტუაციას ყოველთვის აკონტროლებს.

იგი მხოლოდ და მხოლოდ თითო-ორი პერსონაჟს გაენდობა თავის ზრახვებში და პოლიტიკურ გეგმებს გაუზიარებს, მაგრამ კარგად იცის რა მონღოლთა მმართველობის სისტემა (დამსმენთა ინსტიტუტზე დაფუძნებული), ცდილობს ბენვის ხიდზე გავიდეს, რათა ქვეყანა ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიყვანოს იმ დრომდე, როდესაც ბაღდადს მისული ჯელმე-ნოინი ქართველ სპასალარს, ყვარყვარე ათაბაგს შემოუთვლის:

– ყველაფერი ვიცი, რისთვისაც შუამდინარეთში მოხველ და, ისიც ვიცი, გიორგი მეფე 20 000 ლაშქრით ჩემი დემენის გასანადგურებლად რომ მოდის. აბა რაღა აზრი აქვს ჩემგან ომსა და წინააღმდეგობას. მივდივარ, თავი დამანებე, შენ შენთვის და მე ჩემთვისაო.

... და მონღოლები წავიდნენ, წავიდნენ არა იმდენად ქართველთა მეომრული სიჩაუქისა და მხედრული სიძლიერის წყალობით, არამედ იმის გამო, რომ იმპერიამ როგორც ეს ყველა იმპერიას ადრე თუ გვიან ემართება, ხრწნა დაიწყო.

„დაინგრა საყაენო, აინენა ნოინების ურთიერთობები, დაერივნენ ერთმანეთს და სულ რაღაც ორ თვეში განადგურდა ისიც, რამაც მრავალი ხალხი და სამეფო გაანადგურა – მონღოლთა იმპერია“ (გვ. 223).

ეს ხდება რომანის ფინალში, ხოლო რომანის დასაწყისში კი პატრიოტი ქართველი ქალის დილიკას შეკითხვაზე; შენ რისთვისა ხარ მაგათთან? რა საქმე გაქვს მონღოლებთანო? მეფე აუჩქარებლად მიუგებს: „იმისთვის რომ ძალაუფლება ვიპყრა, მაგათი ალგვის გზებს მივაგნო, დრო ვიხელთო, შევება და ვძლიო“ (გვ. 45).

დამპყრობელთა ალგვის გზების ძიებაა რომანის ლაიტმოტივი.

ისტორიულ პირებზე არაერთი მშვენიერი თხზულება წამიკითხავს. სწერენ ვიკინგებზე და რობინ ჰუდებზე, სწერენ ლუდოვიკოებზე და ინგლისის მესტორიეს მიერ დანომრილ ჰენრიებზე, სწერენ რიჩარდ III-ზე და პეტრე I-ზე... გენიალური ქართველი რომანისტი კონსტანტინე გამსახურდია საოცარი ფერწერულობით აცოცხლებს სვეტიცხოვლის ამგების და დავით აღმაშენებლის სახეებს, მაგრამ არ მაგონდება (ოთარ ჭილაძის რომანების გარდა) სხვა ნაწარმოები, რომელშიც მწერალს ისტორიული ჟანრისთვის მხოლოდ იმისთვის მიემართოს, რათა გვიჩვენოს, რა მოსდის დაპყრობილ ქვეყანას და

რაში მდგომარეობს ის უხილავი ძალა, რომელიც ერის სულის გადარჩენის გარანტიას ქმნის.

„გიორგი ბრწყინვალეში“ ორი პლანი მონაცვლეობს: ერთია ალეგორიული, უხილავი ე. წ. წყალქვეშა დინებები ქვეყნის გადარჩენისა, სადაც ადამიანთა საქციელი არცთუ იოლად ამოსახსნელია და მეორეა, ხილულ პასაჟთა ერთობლიობა, როცა სიტუაციის ხსნა ოდენ მკლავზე და სიმამაცეზეა დამოკიდებული.

რომანში დაჰქრის ხურცის პარტიზანული რაზმი, როგორც ქართველთა მოუხელთებელი და მოუთოკავი სულის სიმბოლო.

ხურცი სწორედ მაშინ გამოჩნდება, როცა საშიშროება ემუქრება მეფეს და ქვეყანას და თითქოსდა გამოსავალი არ ჩანს, ხსნა არსით არის.

ხურცი და მისი რაზმი ხორცშესხმული იმედია დაჩაგრული, დაპყრობილი საქართველოსი. იმედი იმისა, რომ „დავით აღმაშენებლის ქვეყანა“ ამ მიმე მოსახვევსაც გაივლის.

## წინათქმა ზაურ ბოლქვაძის 100 ლექსისა

ზაურ ბოლქვაძეს უბის წიგნაკი არ დარჩენია.

ტელეფონებჩანკნიკებულნი, მონესრიგებულნი უბის წიგნაკი მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ გულის ჯიბით ატარებს კაცი.

„უბის წიგნაკს“ გაცრეცილი ყდა ჰქონდა მხოლოდ და შიგ უწესრიგოდ ჩაყრილი უამრავი ქალაქის ნაგლეჯი.

ჯერ ერთი ზეპირად ახსოვდა ყველაფერი და თუ რამეს ვერ გაიხსენებდა, გაშლიდა „უბის წიგნაკს“ და რაგინდარას მოგანვდიდა.

ყველაფერს ატევდა იმ წიგნაკ-ენციკლოპედიაში.

მთელი ქვეყანა ეტეოდა გულში.

გაგაჩერებდა. „მომიცადე ლომო ერთ ნუთსო“ და შენზე დანერვილ „ლექსპრომტს“ გამოგინვდიდა.

თან ბოდიშს გიხდიდა რომ გაგაჩერა.

ახლა ოქროს ფასი აქვს მავანზე დანერილ მის სალალობოს კი არა, ნაჩუქარ წიგნზე წარწერილ მის უშურველ სტრიქონებსაც.

ზაურმა მის ირგვლივ ყველანი გააუკვდავა. ეს ათი წელია აღარ არის ამქვეყნად და ათი წელი ზაურისად ჩატარდა.

ნელ-ნელა დაეშვა და დაიჩუტა საბჭოური ლიტერატურის ცრუ

დირიჟაბლი. დრომ გაცხრილა და დავიწყების ნიავი შემოდგომის ფოთლებივით დააფარფატებს ერთ დროს „ნამყვან პოეტთა“ (?) ლექსებს.

ზაურ ბოლქვაძის ლექსი კი დარჩა.

და არა მარტო დარჩა, რაც დრო გადის, მეტ სხივმოსილებას იძენს და იმგვარ პოეტურ ათინათს გამოსცემს, რასაც მუდმივი ცეცხლი ჰქვია და წარმავლობის ქარბორია ვერას დააკლებს.

ის ცეცხლი ზაურ ბოლქვაძის ცეცხლია და ოდენ ზაურ ბოლქვაძის სახელზე ნათობს.

ჩვენ თვალწინ იწვოდა ჩირალდანივით და ისეთი მორცხვი ღიმილით გამოიმზირებოდა შინაგანი ცეცხლიდან, რომ თითქოს რცხვენოდა ასე ნიჭიერი რომ დაბადა გამჩენმა.

ოქროს ფასი ადევს. რასაკვირველია, იმისთვის, ვის სასთუმალთანაც ერთხელ მაინც გაათია ღამე პოეზიამ, არა მარტო განსაცვიფრებელი სიმწყობრე-სისადავით გამორჩეულ რიტმულ-ლექსიკურად ჩამოქნილ და შინაგანი ექსპრესიით დამუხტულ ზაურის ლექსებს, არამედ თითქოსდა შემთხვევით, სხვათა შორის, ჟურნალის ახალი ნომრის კორექტურის კითხვის დროს არშიაზე მიწერილ ერთსტროფედსაც:

„მიყვარს გალობა ჩიტების,  
სიამოვნებით ვისმენ.  
ღმერთს რალაცაში ვჭირდებით,  
არ გაგვაჩენდა ისე“.

იგი პოეტი-ორკესტრია – ათასხმოვანი და ათასფიქროვანი. ხან ტრიბუნია, ხან თვალმოჭუტული ორფეოსია, ხან ლალი ხუმარმღერალი, ხან სუსხიანი სატირიკოსი და, თუ კარგად დავაკვირდებით, ყველგან დაატარებს ცრემლივით სუფთა დიდ ადამიანურ სევდას, ასე ოსტატურად რომ მაღავს ხოლმე ბრწყინვალე სტრიქონებს მიღმა.

სწორედ, ეს სევდა გამოგვეპარა თანამედროვეთ.

ჭირვეულთა ჭირვეულობაზე რომ ჩამოუგდებდი სიტყვას, არ აგყვებოდა, აუგს ვერ დააცდენინებდი, ამოიხრებდა და ჩაილაპარაკებდა:

„არ გვანებვირებს ბედი გულცივი!  
ასე ინება მამაუფალმა!..“  
რა ნალვლიანად ამბობს პუშკინი:  
„ჩვენ, პოეტები, მკვდრები ვუყვარვართ“.

ეს ლექსი არ დაუსტამბავს.

სამაგიეროდ დაბეჭდა ცრემლიანი ლექს-ნოველა, რომელიც ჩემს მაგიდასთან კედელზე ზაურ ბოლქვაძის სურათის გვერდით მაქვს გაკრული და ლამის ყოველდღე ჩავიკითხავ ხოლმე: „მესიზმრა: მუხლებზე გკოცნიდით, გვედრებოდით, ბიჭებო: „ეგება, სიკვდილი მომცილდეს, არ მოიმარჯვოთ ნიჩბები, არ მომყაროთ მინა... აცალეთ! გიმეორებდათ სამარეც ჩემს ვედრებას და სურვილს: „აცალეთ, ნიჩბები დამალეთ, იქნება მოითქვას სული!“ თქვენ არ ისმინეთ, ჩქაროდით, გასაწირავი – გამწირეთ: ხელი მომკიდეთ, მინიდან მინის გულშივე ჩამნიეთ. დამმარხეთ... ყრუ ნაბიჯებით ბილიკს გაჰყვით ძლივ-ძლივ... ასე მესიზმრა, ბიჭებო, ასეც იქნება, ვიცი“.

აი, ახლაც, კიდევ ერთხელ რომ გადმოვწერე ეს ლექსი, თითები გამეყინა და ყელში ბურთივით მომანვა უმწეობის გრძობა იმის გამო, რასაც ველარაფერს უშველი, ველარასოდეს გამოასწორებ.

ეს მარტოოდენ ლექსი როდია.

ეს ბრალდებაა პოეზიისა და პოეტისადმი გულგრილთა მიმართ...

უფრო მეტიც: იგი ყველა ჭეშმარიტი პოეტის გამოსარჩლებათა, რამეთუ ჭეშმარიტი პოეტები ბედითაც ჰგვანან ერთმანეთს.

## ლაშა გახარია

მაღალი, ბეჭებში ოდნავ მოხრილი, განზე გაჭრილი, მოჭუტული, აღმოსავლური თვალებით, ნერვიული ლაპარაკით, გრძელი ხელებით და მძიმე, ფართო ნაბიჯებით გამორჩეული კოლხი ბიჭი ოცდაათი წლის განმავლობაში ერთგულად მაღავდა თავის თავში მშვენიერ პოეტს...

მანამდე, სანამ ლექსებმა ტანზე არ გამოაყარა და ყელში მონოლილმა პოეტურმა სევდამ თვითვე არ ჰპოვა სადინარი. მანამდე კი აქა-იქ სუფრაზე წაკითხული ლექსით და ჭეშმარიტ პოეზიაზე საუბრისას ლაშა გახარიას არაჩვეულებრივი ნთებით უნდა მივმხდარიყავით (და ვხვდებოდით კიდევც), რომ ჩვენ შორის ჭეშმარიტი პოეტი იდგა.

მთავარი გახეთის თანამშრომელს ლექსებს რომ მიუტანდნენ, პირველი დააცხრებოდა. კითხულობდა ბუტბუტით, შიგადაშიგ თავის აწევითა და ჭერსაპყრობილი მზერით. მერე გაბრაზებით გა-

დადებდა რვეულს და, თუ გაზეთის ღამის მორიგესთან ნამდვილი ლექსი ჩაფრინდებოდა, ღამა ბოლომდე „პატრონობდა“ სტამბაში იმ ლექსს. ასე გაალამაზეთო, განსხვავებული შრიფტით ააწყვეთო, ეს უბრალო, ყარტაყურტა ლექსი არ გეგონოთო.

თავად კი წერდა და აუჯროვებდა. ღიმილით უსმენდა პოეზიაზე გულუბრყვილო საუბრებს, სძულდა ლექსს გამოდევნებული „ჯიუტები“.

სიყრმის მეგობრები რომ ვკითხავდით, რატომ არ ბეჭდავო, გვეტყოდა, მე თვითონ „გაზეთიჩიკი“ ვარ და ვიცი, რას მართებენ ნამდვილ ლექსს გაზეთშიო. ამათ ხელში (საბჭოთა ნყობილებას გულისხმობდა) ჩემს ლექსებს როგორ ჩავაგდებო („სულ წვიმდა... სული სადღა გამეშრო“).

... და აი, წინ მიდევს ღამა გახარისას პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი წიგნი „მუზის პაუზა“ – სევდით, ტკივილით, მაღალი პოეზიით, სიცოცხლის სიყვარულით სავსე წიგნი.

ამ წიგნს მშვიდი ნერვებით ვერ ჩამთავრებთ. პირველი გვერდებიდანვე გაგიტაცებთ და აგიყოლიებთ პოეტი. იმ გრძნეულ რიტმზე დაროკებას გაიძულებთ, თვით რომ აუღია და ცხოვრების წესად უქცევია. უჩვეულოდ სუნთქავს და ბარბაცებს ის პოეტური სინამდვილე, „მუზის პაუზიდან“ რომ შემოგეფრქვევა. ეს ყველაფერი თითქოსდა შენეულია, შენც ხომ ამ მიწის ბელტი ხარ და ღამას თანამეინახე, მაგრამ შეგაშფოთებს კიდევ, რა პოეტური ყოფილა ის ყოველდღიურობა, რაშიც წიგნის ავტორთან ერთად მიაბიჯებდი. ეს წიგნი გარინდების, უკანმოხედვის საშუალებას იმიტომაც არ გაძლევს, რომ ყოველ ნაბიჯზე გრძნობ, როგორ იწვის და იფერფლება შენ გვერდით ჭეშმარიტი პოეტი.

„მუზის პაუზის“ ლირიკულ გმირს თავისი სამყარო აქვს, თავისი სულიერი ძმებით დასახლებული. აქ „ცის აკლდამიდან“ ამოღწეული ტერენტი გრანელი „საკუთარ საკურთხს უზის“, აქ პირადი თუ საქვეყნო „დარდით გამშრალი“ ვაჟა მისჯდომია ეულ ტაბლას, თავისი უზარმაზარი, დაძარღვული ხელები მუხლებზე დაუნყვია და ჩურჩულებს: „რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოველ წვიმად“...

რა ვიცოდით იმათ, ვინც ახლა ასე ენერგიულად ვცდილობთ ღამა გახარისას სტრიქონების დროულად დაბინავებას უკვდავებაში, რომ ჩვენი ბოჰემური ახალგაზრდობა და სტუდენტური სალონები ესოდენ ფაქიზად ილექებოდა ერთი გრძნეული კაცის იდუმალ სულში და მერე ასეთ ხალას, ღამაზე პოეზიად ჩამოიქნებოდა.

თვით ღამა კი ძველებურად ჩვენი ტკბილი მეგობარია, ღამისთევათა ციკლის მიხედვით, ხან ხმაძლიერი, ხან ყელჩახრინწული, მაგრამ ყოველთვის ალალი და სუფთა სულის მქონე. ხან კი სფინქსით ამოუცნობი, ასეთი მაღალპოეტურობით ჟრჟოლის მომგვრელი და მიუწვდომლობით შემაშინებელი სტრიქონების პატრონი:

„რაც ხილულია, არ მედარდება,  
ისე ახლოა ან ვარსკვლავები...  
რომ სირცხვილივით ღამის დავინვა  
სხვენზე გამომხმარ ნაძვის კვარავით  
და მეშინია, ყრუ დედამინა  
არ ჩამომემხოს თავზე ზარავით“.

## დიდი ხელოვანის მონოლოგი

მოგონებათა თითო წიგნი ყველა ხანდაზმულმა რომ დაწეროს, ყველამ რომ გვამცნოს თავისი ცხოვრების განვლილ გზაზე, დედამინის წიგნის თაროები გაივსებოდა უაღრესად საინტერესო წიგნებით და ვინ იცის, ოდენ ბედნიერ გამონაკლისთა გარდა, გამონაგონისთვის იქნებ ადგილი აღარ დარჩენოდა კაზმულ სიტყვას.

უინტერესო ცხოვრების გზა არ არსებობს.

„მოდარაჯე კაცის თვალი“ თუნდაც ყველაზე რუტინულ ყოფაში (ზოგნი უფერულს ეძახიან) აღმოაჩენს საოცარ დღეებს და ჭეშმარიტ დრამატიზმს.

მაგრამ მოგონებათა წიგნის ფასი განსაკუთრებით იზრდება, როცა საზოგადოებრივად ღირებული საინტერესო კაცი ჰყვება თავის გზა-ბილიკებზე და ჰყვება საინტერესოდ, ღამაზად, შთამბეჭდავად.

ამირან შალიკაშვილი ქართული პანტომიმის თეატრის მამაა.

ხელოვან შალიკაშვილთა ეს ღირსეული მემკვიდრე ქართული ხელოვნების ისტორიიდან არასოდეს ამოიშლება.

დაუცხრომელი ძიებით, სულის ფორიაქით, ჭეშმარიტი სახელოვნო ექსპერიმენტებით მან მიაგნო თეატრალური ხელოვნების იმ სახეს (გნებავთ ფორმას), რომელიც არამარტო უაღრესად თანადროულია – ჩვენს ბოჰემურ, მი და მო მსხლტომარე ეპოქას არა

მარტო ეთანწყობება, არამედ ღრმად ეროვნულიც გახლავთ. თავისი ბრწყინვალე სპექტაკლებით ამირან შალიკაშვილმა მსოფლიო აალაპარაკა. საქართველოში თეატრალური ცხოვრებისაკენ (და, რა თქმა უნდა, საქართველოსაკენ) გამოახედა მსოფლიო პანტომიმის კორიფეები. ლამის ერთხმად აღნიშნავენ მსოფლიოს ყველაზე სიტყვაძუნნი თეატრალეზიც, რომ დედამიწის თითზე ჩამოსათვლელ პანტომიმის თეატრებს შორის ამირან შალიკაშვილის თეატრი ერთ-ერთი უპირველესია, თვითმყოფადი, გამორჩეული.

გრძნეული მსახიობი და რეჟისორი, რომელმაც პანტომიმის თეატრის იდეამდე სიტყვიერ თეატრებში შემოქმედებითი მუშაობის დიდი გზა განვლო, თავისი ვირტუოზი მსახიობებით (და ისინი ძირითადად ახალგაზრდებია) გარდასახვის სასწაულებს ახდენს.

ამირან შალიკაშვილის თეატრს არ სჭირდება თუნდაც მცირედენი სიტყვიერი განმარტებაც კი (სიუჟეტისა და ეპიზოდების განმარტებულ ფურცლებს რომ დაარიგებენ ხოლმე ზოგიერთ თეატრში), აქ გულისყურიანი მაყურებლისათვის ისედაც ყველაფერი ნათელია.

სპექტაკლის უწვრილმანეს ნიუანსებსაც კი გულისფიცარზე უწერს მაყურებელს დიდი რეჟისორი პლასტიკის, მიმიკის, მუსიკის, მიზანსცენის ენით.

ამიტომაც იოლად ასახსნელია ის განსაკუთრებული ფურორი და სალაროსთან გაუთავებელი რიგები, რაც ამირან შალიკაშვილის თეატრის გასტროლებზე ხდება.

ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტზე დასახლდნენ ამირან შალიკაშვილის თეატრის ფილიალები, მამა თეატრის ნაბარტყი დაფუძნდა სხვადასხვა ქალაქში და ყველანი, ვინც გაბედა და ცათამბჯენთა ჩრდილქვეშ პანტომიმის თეატრები შექმნა, ერთხმად აღიარებენ, რომ ისინი უკლებლივ ბატონი ამირანის თეატრის ნეკნიდან არიან აღმოცენებული.

ჩემს მაგიდაზე დევს ამირან შალიკაშვილის მოგონებათა წიგნი „ცრემლიანი შემოდგომა“ (გამომცემლობა „ეგრისი“, 2005 წ. რედაქტორები თამაზ ანთაძე და ზაურ მოლაშხია, რეცენზენტი ტარიელ ხავთასი. წიგნისათვის მშვენიერი წინასიტყვაობა წარუმიძღვარებია დილარ ივარდავას).

ეს წიგნი მემუარული ლიტერატურის ჟანრს მხოლოდ იმდენად მიეკუთვნება, რამდენადაც იგი ხელოვანის მიერ განვლილ გზაზე გვიამბობს. სინამდვილეში კი ეს არის მაღალმხატვრულად, საოცარი უშუალოდ დაწერილი ერთი სევდიანი და ამავე დროს ხალასი

იუმორით აღსავსე მშვენიერი მოთხრობა იმის შესახებ, რაც ამირან შალიკაშვილის სულს სამუდამოდ დამჩნევია თავისი არცთუ უფათ-ერაკო, ძიებითა და შრომით დამუხტული და ბოლოს ჭეშმარიტად შემოქმედებითი ბედნიერებით დაგვირგვინებული (თუმცა „დაგვირ-გვინებამდე“ ჯერ კიდევ შორია) ცხოვრების გზაზე.

ბედის უკუღმართობით შუა აზიაში დაბადებული, გურიაში, ბათუმსა და თბილისში გაზრდილი ბიჭი, რომლის სიცოცხლესაც ნიადაგ თან სდევსა ლამის თანდაყოლილი სიამაყე, ჭეშმარიტი ხელოვანისათვის თანმზლები ეჭვი და დიდი სიყვარული, ათეული წლების განმავლობაში მისმა ნიჭმა, მონოდებამ, ჯიუტმა ნებამ, დასახული მიზნისკენ სვლის დაუცხრომელმა უნარმა ჩამოაყალიბა იმად, რასაც ახლა ამირან შალიკაშვილის ფენომენი ჰქვია.

იგი დღეს თავისი სახელოვანი მონაგარით ტკბობას კი არ განიცდის, დიდი შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობს. დღედაღამ სულს უბერავს და თავს დასტრიალებს მის მიერ გაღვივებულ თეატრალურ ქურას. დილიდან საღამომდე თეატრშია და საღამოს 7 საათზე ფარდის წინ, ავანსცენაზე გასული, შუბლზე ოფლგადამდინარე გაბრწყინებული სახით ეგებება მადლიერი მაყურებლის ტაშის გუგუნს.

ღმერთო ჩემო, რა ტკივილები გადაუტანია, რა ძნელად და გვიან „გამომცხვარა ობლის კვერი“, რა სულიერი წინააღმდეგობებით ჩატარებულა მისი სიყრმე და მონიფულობა.

ეს ხომ ჩემი თაობის ბიოგრაფიაა, ეს ხომ ჩემი ცხოვრებაცაა, არაერთგზის გავიფიქრე წიგნის კითხვის დროს, ჩემი გზაც ხომ იქვე გვერდით ლამის პარალელურად მიემართებოდა, ნუთუ არსად გადაკვეთა-მეთქი ამ გზებმა ერთმანეთი.

სიტყვები „ჰყვება“, „მოგვითხრობს“ ლამის უადგილოა შალიკაშვილის ამ წიგნის დასახასიათებლად. ბატონი ამირანი – დამცხრალი მემუარისტი როდია, იგი კრიალოსნის მარცვლით ან წლებით დამძიმებული სიბრძნეხმობილი სიდინჯით კი არ გვიყვება თავისი ცხოვრების ამბავს, იგი ღელავს, ბობოქრობს, ალაგ-ალაგ მხატვრულ პასაჟებს უხმობს, ხშირად საკუთარ ლექსებსაც შეურევს (პროზის ფორმით) მეტი შთამბეჭდაობისათვის (გნებავთ სიტუაციის გასამძაფრებლად), მონყენის საშუალებას არ გაძლევს, ყველაფერს აკეთებს, რომ წიგნის კითხვა არ შეწყვიტო და სახვალიოდ არ გადადო. ქრონოლოგიას არ დაგიდევთ, რაკილა თავისი ცხოვრება ხელისგულზე უდევს (ჩანს, ბრწყინვალე მესხიერება აქვს), გადასვ-

გადმოსვამს ხოლმე ცხოვრებისეულ ეპიზოდებს ისე, როგორც კონტექსტს მოუხდება და საბოლოო ჯამში ბრწყინვალედ აღწევს დასახულ მიზანს.

დიახ, ჩვენ წინაშეა მსახიობის მონოლოგი (თვითონ არქმევს ასე), საიდანაც ერთ ფურცელსაც ვერ ამოშლი, ერთ პასაჟსაც კი ვერ მიიჩნევ ზედმეტად. პირველად ვნახე, მემუარების წიგნი ესოდენ მტკიცე კომპოზიციით რომ იყოს შეკრული.

მერედა რა კეთილი, პატიოსანი, რა გულწრფელი, რაოდენ უშიშარი და ამავე დროს მღმობელი გულის კაცი ჩანს ამ წიგნის ლირიკული გმირი – ამირან შალიკაშვილი.

რა გადამდებია მისი სიყვარული და მოწინება ახლობელთა თუ მეგობართა მიმართ. რა თბილ ცრემლებად ეწვეთება მკითხველსაც სულში ომში დალუპული მამა, გატანჯული დედა, ბიძები და მამიდები, გაბო პაპა, აკაკი ხორავა, ბატონი ანტონი, ზურაბ ანჯაფარიძე, ლილიანა...

რა ბუნებრივია მოწინება, რომლითაც ჩვენი თაობა შესცქეროდა „ფეხით მოსიარულე კლასიკოსებს“, ჩვენს მასწავლებელ ოსტატებს. ყური დაუგდეთ:

„ყურებს არ ვუფერებ, ნუთუ იმ ადამიანების ხმები ჩამესმის, რომლებსაც ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ასე ახლოს გავიგონებდი. გრძელ დერეფანში გამოჩნდა კაცი, კაცი კი არა – მთა... ჩვენ ფეხზე ვდგებოდით და კედელს ვეკვროდით, ეს მთა კი გუგუნებდა: „დაბრძანდით, ბავშვებო“. ეს იყო აკაკი ხორავა – კაცი ლეგენდა, კაცი ზღაპარი, კაცი ღმერთის მიერ გამოგზავნილი, რომელიც თავისი სიმაღლით, სიდიდით, ნიჭით, ხმით, ღმერთს სწვებოდა“.

სად დაიკარგა ის რიდი, ის მოწინება, ის საოცარი ნდობა შეგირდისა ოსტატის მიმართ ამ ჩვენს მღელვარე XXI საუკუნეში?

სადაა კინემატოგრაფი, თორემ ამირან შალიკაშვილის „მონოლოგი“ მხატვრული ფილმისათვის დიდებულ მასალას იძლევა. სახელდახელოდ ორ პასაჟს გავიხსენებ. 1. 1956 წლის მარტის ტრაგედია. ამირან შალიკაშვილი აქტიური მონაწილეა სახალხო პროტესტის, ხან მიტინგზე გამოდის, ხან გორიდან დემონსტრანტები ჩამოჰყავს. „დომ სვიაზთან“ მომიტინგენი უმოწყალოდ დახვრიტეს. მერე კარგა ხანს ეძებდნენ და აპატიმრებენ აქტივისტებს. კინოსტუდიაში ამჟღავნებენ კგბ-ს მიერ გადაღებულ ფირებს. და ერთმა „უბრალო კაცმა“, კინოსტუდიის თანამშრომელმა ამირანის სახე ყველა კადრიდან ამოიღო. იყო თუ არა ეს „გმირობა“? 2. ქართველ ხელოვანთა,

მწერალთა და მეცნიერთა დელეგაცია ლენინგრადს მიემგზავრება. თვითმფრინავს რაღაც გაუფუჭდა. კატასტროფა მოახლოებულია. საჭიროა საავარიო დაჯდომა მოსკოვში. გახსნეს ლუკი და ცალი შასი არ გამოდის. თვითმფრინავში პანიკაა, ბენზინი თავდება და ამ დროს ერთადერთი კაცი ზის მშვიდად თავის სავარძელში. იგი აკაკი შანიძეა. ბოლოს მოხდა სასწაული და ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა.

უმთავრესი ღირსება ამ წიგნისა მაინც ის გახლავთ, რომ იგი ნამდვილი მწერლის მიერაა დაწერილი. რით არ არის გიორგი შაგვულის გარდაცვალება – ზარი ქეშმარიტი პროზაიკოსის კალმის მოსმა:

„... მზე თითქოს გაჩერდა და მარტო ჟორას სახეს ანათებდა. ანგელოზები შიშისაგან ცას გაეკრნენ. თანდათან ბნელდებოდა, ცრემლის ზღვა უერთდებოდა ყველა ჩვენგანის ტკივილს. შეჩერდა მუსიკა, ღამეს აღარ უნდოდა მოსვლა. მარჯანიშვილის თეატრი შეზანზარდა, თითქოს კედლები დასკდა, ფარდა ჩამოიქცა, მსახიობები გოდებდნენ, ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ... თეატრში სიკვდილის აჩრდილი დადიოდა...“

არაერთი ასეთი პასაჟი შეგხვდებათ ამირან შალიკაშვილის წიგნში.

„ცრემლიანი შემოდგომა“ იმ მაღალ თაროზე უნდა დაიდოს, სადაც დავით კლდიაშვილის, შალვა დადიანის, კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძის, მიხეილ თუმანიშვილისა და სხვათა ბრწყინვალე მემუარული წიგნები დევს.

## დაუმცხრალი ტაშის ექო

ამირან შალიკაშვილის პანტომიმის თეატრმა ამ ბოლო წლებში არაერთგზის სასიამოვნოდ გააოცა მაყურებელი.

თეატრმა ჯიუტად დაამტკიცა, რომ არ არსებობს ტკივილი და სიხარული, ვნება და აღმაფრენა, დაფუძნებული დრამატიზმის გამძლე საყრდენებზე და სიტყვიერი მასალით გადმოცემული, რომლის გამოხატვაც პანტომიმის ენით შეუძლებელია.

ნახევრადანგრეულ შენობაში შეყუჟული, ხელისუფლებისგან უსამართლოდ მიტოვებულ-მივიწყებული პანტომიმის თეატრი ყოველდღიურად ესაუბრება თავის ერთგულ მაყურებელს დუმილის

პოეზიის ენით, ესაუბრება იმ მარადიულ ჭეშმარიტებებზე, რომლის გარეშეც ხელოვნების არსებობას აზრი არა აქვს.

ერთადერთი, ვინც ბოლომდე ერთგულობს შალიკაშვილის თეატრს, მაყურებელია.

თითქმის ყველა სპექტაკლი იმ ძვირფასი ყურადღების თანხლებით მიმდინარეობს თეატრალური რომ „ანშლაგს“ ეძახიან.

ეს კი ცოტა როდია.

სიამოვნებით თუ არა მავანთ, ვის დაუფმლო, რომ პანტომიმის თეატრი ერთ-ერთი ცოცხალი და მოქმედი თეატრია იმ თითზე ჩამოსათვლელ თეატრთაგან, სასწაულებრივად რომ ჯერ კიდევ ფეთქავენ და ნათობენ გლობალიზაციის „თვალშეუდგამი მწვერვალებისკენ“ (ადრე „კომუნიზმი“ იყო) მსრბოლ ჩვენს ჟამკარარეულ საქართველოში.

სამ-ოთხ თვეში თითო პრემიერას გვთავაზობს პანტომიმის თეატრის ახალგაზრდული დასი და თუ მისი განწირული სულისკვეთება ჯერჯერობით გადამდები არ არის, იმის დასტური მაინცაა, რომ ჩვენს ერში ეროვნული სულისკვეთება ჯერ კიდევ ბოლომდე არ ჩამკვდარა და თუ მოტყუებული ახალგაზრდობის უმეტესობა იაფფასიან შოუკონცერტებზე მიდის. სამაგიეროდ, არსებობს რამდენიმე ჯგუფი ჭეშმარიტი ხელოვნების დასაცავად და შესაქმნელად მონოდებული ახალგაზრდებისა, ვისი იმედიცაა სულდგმულობს ყველა ჩემი ასაკის ლამის ხელჩაქნეული კაცი.

27 ივნისს პანტომიმის თეატრმა შექსპირის სონეტები დადგა.

ღიახ, არც მეტი არც ნაკლები – „შექსპირის სონეტები“.

რაკი პანტომიმის კედლებდახეთქილი თეატრი სპექტაკლზე დასწრების მსურველთ ვერ დაიტევდა, პრემიერა მარჯანიშვილის თეატრში შედგა.

დადგმა ამირან შალიკაშვილის ვაჟს, რეჟისორ დათო შალიკაშვილს ეკუთვნის.

მთავარ როლებს ამირან შალიკაშვილი (უმცროსი) და ლუკა ჩხაიძე ასახიერებდნენ.

თვით „მამა-მაცტროც“ მონაწილეობდა სპექტაკლში. იგი ჯერ კიდევ კულისებიდან კითხულობდა რეზო თაბუკაშვილის მიერ ბრწყინვალედ თარგმნილ შექსპირის სონეტებს და ბოლოს სცენაზე გამოვიდა. ჩვეული გრძნეულებით შეასრულა როიალზე დამკვრელის ეპიზოდური როლი.

სპექტაკლი რამდენიმე სურათისგან (ანუ რამდენიმე სონეტის-

გან) შედგება და თითოეულ სურათს გენიალური დრამატურგის სიტყვიერი მასალა ახლავს. პანტომიმის თეატრის სპექტაკლისთვის სიტყვა უჩვეულოა, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ამ შემთხვევაში, დათო შალიკაშვილი სწორად მოიქცა, რათა მაყურებელს გაადვილებოდა ემოციურ-აზრობრივი კავშირის დამყარება შექსპირის კონკრეტულ სონეტსა და სცენაზე მომხდარს შორის.

სცენაზე კი პირველივე სურათიდან ნამდვილი ქარიშხალი ტრიალებს.

ახალგაზრდა მიმი-მსახიობების (დასი საშუალო ასაკი 22 წელია) სიჩაუქე, მათი უკიდევანო ელასტიურობა, ცეკვით აზრის გადმოცემის ბრწყინვალე უნარი, ანსამბლურობის, კოლეგიურობის თვალსაჩინო შერწყმა დაუოკებელ ინდივიდუალობასთან იმის ილუზიას გიქმნით, რომ მსახიობები სცენაზე კი არ ცხოვრობენ ოდენ გარდასახვის ტრივიალური ნიღაბი როდი აქვთ მორგებული, არამედ დაფრინავენ და შექსპირის სონეტთა გენიალურ სევდას და სინაზეს თვალხილულს ხდიან ყველა ჯურისა და ინტელექტუალური დონის მაყურებლისთვის.

დათო შალიკაშვილს შექსპირის სონეტებიდან სწორედ ისინი შეურჩევია, რომელთა აზრობრივი მუხტი ზოგადსაკაცობრიოა, არ ბერდება და თავისი მსოფლიოობით, დაუბერებელი სიბრძნით და რკინისებური დრამატიზმით, ჩვენს თანამედროვე პრობლემებსაც ეხმაურება.

ცალკეული პასაჟი ანუ რეჟისორული მიმი-სურათი შესრულების უზადობითაც უაღრესად ემოციურია და დასაწყისიდანვე სულშეგუბებული მაყურებლის დამოკიდებულება ამა თუ იმ სურათისადმი სპექტაკლის მსვლელობის დროს ხშირად გადმოიღვრება ხოლმე აპლოდისმენტის ნიაღვრად.

უკანასკნელ წლებში სპექტაკლის მიმდინარეობისას ამდენი ტაში მე იშვიათად მინახავს, ხოლო სპექტაკლის დასასრულს, რაც დარბაზში ხდება, ქართული თეატრის ისტორიის ფურცლებზეა დასაგვირისტებელი: მაყურებელი გრგვინავს, თვალზე მომდგარ ცრემლს იწმენდს, ტაშის განუწყვეტელი კანონადა მსახიობებს აიძულებს მეთედ გამოვიდნენ თავისდასაკრავად... არა და არ თავდება ის გრძნეული წუთი, რომელმაც სცენა და პარტერი ერთ სულ-ხორცად შეაერთა და სპექტაკლის ნაწილად, სანუკვარ თეატრალურ ზეიმად აქცია.

ყველა სურათს ერთ გამად ჰკრავს ამირან შალიკაშვილი (უმცროსი), იგი ცალკეულ სონეტ-სურათს თავისი ცეცხლოვანი ტემ-



პერამენტი და უნაკლო გარდასახვით სიცხადეს აძლევს და ლოგიკის ნერტილს უსვამს. ამ ბრწყინვალე მსახიობმა შეიძლება თამამად ითქვას, „ტერენტი გრანელის“ შემდეგ „შექსპირის სონეტებში“ მეორე დიდებული გამარჯვება მოიპოვა და უკვდავი სცენური სახე შექმნა.

მაყურებლისთვის აღმოჩენაა ნიჭიერი მიმი ლუკა ჩხაიძე, რომელიც სიმბოლურ შექსპირს განასახიერებს. იგი ზედმინევიანთ ფლობს სხეულს, გამოირჩევა არაჩვეულებრივი პლასტიკურობით და ოსტატურად ახერხებს ყოველი პა კონკრეტული მიზნისკენ მიმართოს, მაღალი ხელოვნების სამსახურში ჩააყენოს.

ამირან შალიკაშვილმა არც ამჯერად უღალატა თეატრში მის მიერ დამკვიდრებულ ჩვეულ ტრადიციას: სპექტაკლის დაწყების წინ ავანსცენაზე გამოდის დიდი მანეტრო და მაყურებლის ცნობისმოყვარეობას აკმაყოფილებს არა სპექტაკლის შინაარსის გადმოცემით ან მომავლის გეგმებზე ყურადღების გამახვილებით, არამედ თეატრისადმი მისი ლირიკული დამოკიდებულებით პანტომიმის ხელოვნების ურთულეს ნიუანსებზე მინიშნებით, იმ წვლილის ხაზგასმით, რითაც ამირან შალიკაშვილის თეატრმა საზოგადოდ ქართულ თეატრში არსებული სიცარიელე შეავსო. პანტომიმის მეტრის გამოსვლა ყოველთვის ორიგინალურია და სიბრძნე-იუმორით გამსჭვალული.

ამირან შალიკაშვილის თეატრში დათო შალიკაშვილის – როგორც ბრწყინვალე რეჟისორის დაბადება ამ თეატრის სიცოცხლისუნარიანობის დასტური და გარანტიაა. განცვიფრებას იწვევს სპექტაკლის დამდგმელის დახვეწილი სტილი, სხვადასხვა სონეტის ერთ სცენიურ სხეულად გამთლიანების უნარი, ეპოქის რიტმის შეგრძნება და საკუთარი რეჟისორული ხელწერა.

სპექტაკლში შექსპირის გრძნეული თვალით დანახული და რეჟისორის მიერ პანტომიმად განსხეულებული მითაჟამიდან დღემდე. სურათს პირობითად „ნუთისოფლის ეტლის სრბოლა“ შეიძლება დავარქვათ, ეტლში შებმული, ერთმანეთზე გადაბმული ადამიანები, მიაქანებენ ეტლს. როლები იმთავითვე განანილებულია: ერთს სადავეები უპყრია ხელთ და მათრახს ატკაცუნებს, სხვები წახრილნი, თავჩაქინდრულნი გარბიან. სიმბოლური მონები ზოგჯერ წამით გაქვავდებიან, თავის დახსნის იმედის სიო გაკრთება მათს სახეზე, მაგრამ ისევ გაისმის მათრახის ტკაცუნის და ისევ განაგრძობს გზას ძალმომრეობის საბედისწერო ეტლი ცივილიზაციის გარიჟრაჟიდან ჩვენს დღემდე. დიახ, არაფერი შეცვლილა, პიროვნებათა დათრგუნ-

ვის მანქანა დღესაც ისევ წარმატებით მუშაობს, როგორც ადამიანთა არასრულფასოვნების გამო ერთხელ ამუშავდა – ასეთია სპექტაკლის დამდგმელის პოზიცია.

კაცობრიობის ბედს, სამწუხაროდ, უფრო სავალალო შიგა დინებები განაგებენ, ვიდრე ეტლში შებმულთა ადვილად დასანახი ხვედრია. რეჟისორი ნუთისოფლის ეტლის შთამბეჭდავი ილუსტრაციიდან მეორე სურათით უფრო ღრმა ჭრილით გვიჩვენებს ადამიანთა ცხოვრებას. იგი გველების ცეკვას წააგავს, დაასკვნის დათო შალიკაშვილი და თქვენ წინაშეა აღზევების, დაცემის, გადარჩენისთვის ბრძოლის, ხოხვისა თუ გარემოების გამო კანის გამოცვლის დაუფინყარი რუდუნება-წამება, საუკუნეთა განმავლობაში ადამიანთა ყოფის თანამგზავრად რომ ქცეულა. ამ სურათს პირობითად გველების ცეკვა შეიძლება ეწოდოს და აქვე უნდა გამოვყოთ ნინო ქუთათელაძისა და სალომე ფილიშვილის მაღალი, დახვეწილი ხელოვნება.

განწირულ მილიონთა უნუგემო ყოფას თავის დახსნის ილუზიას აძლევს, წელში გამართვას აიძულებს და საკუთარი ბორკილების მზერას მოაწყვეტინებს არწივი, რომელიც ადამიანებს აიძულებს ზეცას მიაპყრონ თვალი. თუმცა არწივნი მხოლოდ დროებით ახერხებენ კაცობრიობას იმედის სული შთაბერონ და ბორკილთა მსხვერვეა შეასწავლონ, ბოლოს მაინც ძალმომრეობა იმარჯვებს და ისევ უღელი ჩანს დროებით თავდახრილის ქედზე. ასეთი გახლავთ დედააზრი მესამე სურათისა, რომელსაც პირობითად შეიძლება „არწივი“ ვუწოდოთ.

მეოთხე სურათი სპექტაკლის სიმბოლური აპოთეოზია, იგი თავისუფლებისთვის ბრძოლის უაღრესად შთამბეჭდავი იერსახეა. ვულკანის ლავასავით ირწევა გაუმჭვირვალე ელასტიკური ხუფისქვეშ მოქცეული კაცობრიობა. ეს ლავა კაცობრიობის კოლექტიური ტვინის ასოციაციაციადაც აღიქმება. იგი ზოგჯერ ამოიფრქვევა ამბოხებად, ზოგჯერ – სიყვარულად.

სპექტაკლს ლოგიკურ ნერტილს მეხუთე სურათი უსვამს.

მიუხედავად ამდენი ბრძოლა-ჭიდილისა, ადამიანი მაინც გადარჩა, მისი კეთილი ნება ოცდამეერთე საუკუნეს მიეახლა და აჰა, საუკუნეგამოვლილ საკაცობრიო ტვირთს მხარზე იდგამენ ახალი თაობები.

თაობათა შეჯიბრი გრძელდება. სცენაზე ჩანან, მამა და შვილი – ამირან შალიკაშვილი (უფროსი) და ამირან შალიკაშვილი (უმცროსი).

საუკუნის ხმები ამ ორის მაღალ ხელოვნებაში განსხვავებულია. მამა როიალზე დამკვრელს განასახიერებს, შვილი ვიოლინოზე უკრავს. საოცარი თრთოლვა, თავგანწირული ერთგულება, თაობათა წვლილი-სადმი მოკრძალება და პატივისცემა იგრძნობა მამაშვილის ბრწყინვალე ჭიდილში, მაყურებელს დიდებულ მაგალითად რომ გადაედება.

დათო შალიკაშვილის მრავალმხრივი ნიჭის დასტური ისიც გახლავთ, რომ მასვე ეკუთვნის სპექტაკლის გაფორმება, წარმოდგენის ფერწერულ-გრაფიკული ანტურაჟი და ქორეოგრაფიული ხელოვნებაც.

... და ბოლოს... ამ უკანასკნელი წინადადებების წერის დროს ჩემს ყურებში ისევ აგუგუნდა დაუმცხრალი ტაშის ექო, უტყუარი ნიშანი სპექტაკლის გამარჯვებისა.

## ზურაბ კიკნაძის უნიჭობა

ქართული ენის უკვდავების დასტური ისიც გახლავთ, რომ „შუშანიკის წამებიდან“ დღემდე ძირეული ცვლილება თითქმის არ განუცდია. ბერძნებისგან, ან თუ გნებავთ, სომხებისაგან განსხვავებით ქართველი ძველ ქართულ ტექსტებს ლექსიკონის გარეშე კითხულობს.

მით უმეტეს, არ იყო საჭირო ბიბლიის „თარგმნა“ ე. წ. თანამედროვე ქართულზე. ჯერ ერთი, ხელთა გვაქვს ჩვენი დიდი წინაპრების მიერ გენიალურად თარგმნილი ტექსტები და ესეც არ იყოს, სახარება თუ ფსალმუნები უფრო შთამბეჭდავია იმ დროის ქართულით განყოფილი, როცა ქრისტიანობა შემოვიდა საქართველოში. სახარება კი არ უნდა „გავათანამედროვოთ“, კეთილი ვინებოთ და ჩვენ ავიდეთ მასთან, ანუ თუ რამეა გაუგებარი, ჩავწვდეთ და გავისიგრძეგანოთ წარსულის ანალებიდან ამოღებული სიტყვებით. ხომ ფაქტია, რომ წირვა-ლოცვა მთელ საქართველოში კვლავ ე. წ. ძველი ქართულით ტარდება და არა ზურაბ კიკნაძისეული ბიბლიით.

თურმე მაინც გახდა საჭირო „ღვთის სიტყვა უფრო იოლად მისაწვდომი გამხდარიყო“ და მთარგმნელ-რედაქტორად ზურაბ კიკნაძე მოუწვევიათ. ზურაბ კიკნაძის მსუბუქი ხელით კი თურმე „თარგმანი საფუძვლიანად გადამუშავდა და ლიტერატურულად გაშალაშინდა“.

ყველა მეცნიერსა აქვს კონკრეტული სპეციალობა, თავისი კვლევის სფერო; ზოგი ენათმეცნიერია, ზოგი ბიზანტიოლოგი, ზოგი

ფოლკლორისტი და ზოგი ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალისტი. ზურაბ კიკნაძეს კი კონკრეტული საქმე არა აქვს. იგი ყველაფრის სპეციალისტია (მეცნიერული უტიფრობა!) და სინამდვილეში არაფრის სპეციალისტი არ არის. წლების განმავლობაში უნივერსიტეტში ფოლკლორისტიკის კათედრას განაგებდა, მაშინ, როცა ამ დარგში ერთი სერიოზული გამოკვლევაც არ დაუნერია. მაგრამ ამაზე სხვა დროს.

ახლა მათეს სახარების მაგალითზე ვნახოთ, როგორი მთარგმნელ-გამშალაშინებელია ზურაბ კიკნაძე.

ძველი თარგმანის სახედ ავილოთ საკათალიკოსო საბჭოს მიერ 1963 წელს გამოცემული „ახალი აღთქუმაი“, ხოლო ახლისად 1992 წლის გამოცემა „ახალი აღთქმა და ფსალმუნები“, რომლის მთარგმნელ-გადამუშავებელ-გამშალაშინებელ-რედაქტორი პროფესორი ზურაბ კიკნაძეა.

მაღალმა ღმერთმა მაპატიოს ეს კომენტარები. მე მკრეხელობას როდი ჩავდივარ, უბრალოდ მსურს უფალს ავარიდო ის უხერხულობანი, რაც ჩვენს „მეცნიერს“ თავისი უვიცობის გამო ბიბლიის თარგმნის დროს ჩაუდენია.

ზურაბ კიკნაძის მჭლე ენა-გონებით „ახალი აღთქმის“ მეხუთე გვერდზე ვკითხულობთ:

„აჰა, ხმა ციდან მეტყველი: ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე“.

უფლისთვის ყველა შვილი საყვარელია, ზურაბ, და თუ მოხდა სასწაული და ღმერთმა რომელიმე შვილი გამოარჩია, ალბათ, იმიტომ რომ მას განსაკუთრებული მისია დააკისრა: ან „გრძნეულჰყო“, ან „სათნოჰყო“, ან „განაკაცა“, რათა ჯვარცმულს კაცობრიობის ცოდვები ეტვირთა... მაგრამ „მოვიწონე მე“ სრულიად უადგილოა. რა დღეში აგდებ უფალს მთარგმნელ-გამშალაშინებელი? „თუ საყვარელი ძეა, რა შუაშია მიამიტური „მოვიწონე?“ შეიძლება მამამ საყვარელ შვილებზე თქვას, ეს მოვიწონე, ეს კი არაო?

იქნებ მართლა სწერია ჩვენი გენიოსი წინაპრების თარგმანში მსგავსი რამ?

ჩავხედოთ:

„და ხმაი იყო ზეცით და თქუა: ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო-ვყავ“.

სად არის აქ „აჰა“, ან ხმა ციდან მეტყველი?“ საიდან გაჩნდა „მეტყველი?“ სიტყვა თუ ზეციდან მოისმის, „მეტყველის“ დამატება

რად უნდა? და რაც მთავარია: „სათნო ვყავო, უფალი ბრძანებს, ზურაბ მცირე კი უსწორებს უფალს – „სათნო კი არ ჰყავ, არამედ შენი საყვარელი ძე მოინონეო“. ე. ი. შეიძლება საყვარელი ძე იყოს და არ მოგწონდესო.

კითხულობს ზურაბ კიკნაძის მიერ შერყვნილ სახარების ამ ადგილს ათასობით მორწმუნე, ცოტა არ იყოს, უკვირს, „მოვიწინე“, მაგრამ ხმას როგორ ამოიღებს, მათეს ახალი სახარება ხომ პროფესორმა თარგმნა-გააშალაშინა.

ახლა სხვა „მარგალიტი“ ვნახოთ:

„ხმა გაისმა რამაში, ტირილი და დიდი გოდება, რახელი დასტირის თავის შვილებს და არ სურს თავი ინუგეშოს; ვინაიდან აღარ არიან ისინი“ (გვ. 4).

ნაგიკითხავთ უფრო იდიოტური, უფრო გაუმართავი წინადადება?

თურმე „ხმა გაისმა რამაში“, თუ იცით რა ხმა იყო? „ტირილი და დიდი გოდება“ (ტირილი არც ისე დიდი იყო, აი, გოდება კი დიდი გახლდათ). თურმე რახელი (აჰ, ეს რუსული... „რახელი“ ხომ „რაქელია“) დასტირის თავის შვილებს და არ სურს თავი ინუგეშოს, ვინაიდან აღარ არიან ისინი“.

თავი როგორ უნდა ინუგეშოს, ზურაბ, ქალმა, რომელსაც თვალწინ დაუხოცეს შვილები, რაქელი რომ თავს ინუგეშებს, ისე ინუგეშა თავი, ვინც შენ პროფესორობა დაგაბრალა...

სინამდვილეში კი ასეა:

„ხმაი ჰრამაით ისმა გოდებისა და ტირილისა და ტყებისა მრავალი, რაქელ სტიროდა შვილთა თვისთა და არ უნდა ნუგეშინისცემის, რამეთუ არა არიან“.

„ხმა გაისმა რამაში, ტირილი და დიდი გოდება“ კი არა გაუკუღმართებულად, არაქართულად რომ აშალაშინებ მათეს სახარებას რედაქტორო, ასე უნდა დაგეწერა:

„რამაში ტირილის და გოდების ხმა გაისმა“, ხოლო შენი მწირი გონების ნაყოფი „არ სურს თავი ინუგეშოს“ ფრიად საოცარია. თავს კი არ ინუგეშებს შვილებმოკლული დედა, არამედ სხვისგან არ სურს ნუგეში, რადგან შვილები აღარა ჰყავს. დაუგდე ყური: „არა უნდა ნუგეშინის-ცემის, რამეთუ არა არიან“.

ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს ზურაბ კიკნაძისეული „ნეტარ არიან სულით ღარიბნი, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი?“ (გვ. 7).

ჩავხედოთ ნამდვილ სახარებას. იქ ამოვიკითხავთ: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაი“.

„გლახაკი“ ძველი სიტყვაა, ჩვენი თანამედროვე „სულით გლახაკს“ ვერ გაიგებსო, უფიქრია „სულით მდიდარ“ ზურაბ კიკნაძეს და „სულით გლახაკი“ „სულით ღარიბად“ გადაუკეთებია.

კიდევ ერთი თავსატეხი:

„ერიდეთ სიმართლის კეთებას ადამიანთა თვალწინ, მათ დასანახად: თორემ ვერ მიიღებთ საზღაურს თქვენი ზეციური მამისგან“ – გვაშინებს ზურაბ კიკნაძე (გვ. 10).

რას უნდა ნიშნავდეს „სიმართლის კეთება“?

„იქნებ „სიკეთის ჩადენა“ სურდა ეთქვა ზურაბ-მცირეს? მით უმეტეს რომ სიკეთის ჩადენა ამ პროფესორის (ისემც რა ვუთხრა) განუყრელი თვისებაა. „სიკეთეს“ ხომ „სიქველე“ ჰქვია. ა, ბატონო:

„ეკრძალენით ქველის საქმესა თქუენსა, რათა არა ჰყოთ წინაშე კაცთა სახილველად მათა...“ (გვ. 14).

ზურაბ კიკნაძის მიერ გამშვენიერებული მათეს სახარების მეოცე თავი ასე იწყება:

„ვინაიდან სასუფეველი ცათა წააგავს ადამიანს – სახლის პატრონს, რომელიც დილაადრიან გავიდა თავის ვენახში მუშაკთა დასაქირავებლად“.

ისევ თავსატეხი:

ჯერ ის ვნახოთ, ათასი წლის წინათ რა „ბუნდოვნად“ აზროვნებდა ჩვენი წინაპარი:

„რამეთუ მსგავს არს სასუფეველი ცათა კაცთა სახლის უფალსა, რომელიც განვიდა განთიად დადგინებად მუშაკთა ვენახსა თვისსა“.

არის აქ რაიმე შენთვის გაუგებარი, ძვირფასო მკითხველო?

ათასი წლის მერე წერა-კითხვის მცირემცოდნე ზურაბ კიკნაძე აბუჩად იგდებს სახარების მთარგმნელს.

რამე ხომ უნდა შეეცვალა, ჩვენთვის სახარების გაგება რომ გაეადვილებინა და „კაცი“ „ადამიანით“ შეუცვლია, უფრო წინ წასულა: „განთიადს“ აბა ჩვენ რას გავუგებდით და უფრო გასაგები, უფრო „კეთილხმოვანი“ და თანამედროვე სიტყვით „დილაადრიან“-ით შეუცვლია.

ისე დაგიმშვენდა ცხვირი, ზურაბ, შენ რომ ბიბლია დაგიმშვენებია.

ადამიანი თავის ვენახში დილაადრიან გასულა, რომ მუშაკები დაექირავებინა.

თუ მის ვენახში იყვნენ უკვე „მუშაკნი“ დაუქირავებია და ეგ არის.

„თავის ვენახში“ კი არა, ბირჟაზე, უბანში, ან ბაზარში უნდა წასულიყო მუშათა დასაქირავებლად.

ასეცაა:

„და აღუთქუა მათ სასყიდელი თითოეულსა დრაჰკანი დღესა შინა და წარავლინა იგი ვენახსა თვისსა“.

ისევ პროფესორისეულ სახარებას დავუბრუნდეთ:

„მესამე საათი იქნებოდა, რომ გავიდა და დაინახა სხვები, ბაზარში უქმად მდგარნი“.

ღიახ, მუშები, ვენახში კი არა, ბაზარში დგანან და ელიან როდის მივა „ადამიანი“ და დაიქირავებს ვენახში სამუშაოდ.

„და განვიდა იგი მესამესა ჟამსა და პოვნა სხუანი მდგომარენი უბანთა ზედა უქმად“.

კიდევ კარგი „უბანი“ პროფესორს „ბაზრად“ უქცევია, თორემ ხომ დაიბნეოდა ბრინჯივით თანამედროვე მკითხველი, რომელსაც სიტყვა „უბანი“ ზ. კიკნაძის მოკლე მოსაზრებით, ალბათ, არასოდეს გაუგონია.

„და მისცენ იგი წარმართთა კიცხვად და ტანჯვად და ჯუარცმად, და მესამე დღესა აღდგეს“ (გვ. 49).

ეს ფრაზა ზურაბ კიკნაძესთან ასე გამოიყურება: „გადასცემენ მას წარმართებს, რომ შეაგინონ, გაშოლტონ და ჯვარს აცვან, და მესამე დღეს აღდგება“.

„კიცხვა“ თურმე თანამედროვე ქართულით „შეგინება“ „ყოფილა, მრავალგზის კიცხვა“ ალბათ „მრავალჯერ შეგინება“, მაგრამ სადაა „გაშოლტონ?“ „ტანჯვადო“, იქ სწერია. განა მარტო გაშოლტვით მიაყენეს ტანჯვა უფალს, პროფესორო?

იერუსალიმს რომ მიუახლოვდნენ, „მოჰგვარეს მას ვირი და ჩოჩორი, დაუფინეს ზედ თავითანთი სამოსლები და დაჯდა მათზე“ (ზ. კიკნაძე გვ. 45).

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რომელ მათგანზე შეჯდა იესო – ვირზე თუ ჩოჩორზე? ზურაბის თარგმანს თუ ვერწმუნებით, ორივე მათგანზე ერთდროულად შემჯდარა – ვირზეც და ჩოჩორზეც („დაჯდა მათზე“).

ხოლო ნამდვილ სახარებაში სრულიად გარკვევით წერია:

„და მოჰგვარეს ვირი იგი და კიცვ მის თანა და დაასხეს მას ზედა სამოსელი და დაჯდა მას ზედა“.

გაიგე ზურაბ? კიცვ (კვიცი) ანუ ჩოჩორი ვირს თან ახლავს, ხოლო ქრისტე ორივე მათგანზე კი არ დამჯდარა, როგორც „შენ გგონია, „დაჯდე მათზეო“, არამედ „დაჯდა მას ზედა“, ე. ი. ვირზე შეჯდა.

არა ხარ ახლა შენ ღირსი, უკულმა შეგსვან ვირზე და ლაფის სროლით შემოგატარონ მთელი საქრისტიანო საქართველო, როგორც უვიც პროფესორს?

კიდევ ერთ ზ. კიკნაძისეულ სიმახინჯეს ამოვწერ მათეს სახარებაიდან და სიტყვას აღარ გავაგრძელებ:

„ვინც სამსხვერპლოს დაიფიცებს, ეს არაფერია; ხოლო ვინც დაიფიცებს ძღვენს, რომელიც მასზეა, ის ვალდებულია“ (გვ. 51). გაიგეთ რამე?

რა „სამსხვერპლოზეა“ ლაპარაკი, რომელ ძღვენზე რა „ვალდებულია“...

და ეს მაშინ, როცა ბიბლიაში ყოველივე ეს ასე მარტივად და გენიალურადაა:

„და სთქვით: რომელმან ფუცოს საკურთხეველსა, არარაი არს; ხოლო რომელმაც ფუცოს შესანიშნავსა მას, რომელ არს საკურთხეველსა ზედა, ჯერ – არს“ (გვ. 56).

ასეა შერყვნილი ზურაბ კიკნაძის მიერ ოთხივე სახარება და ფსალმუნები, ძვირფასო მკითხველო.

ეს რომ ზურაბ კიკნაძის „მეცნიერული ნაშრომი ყოფილიყო, ხმას არ ამოვიღებდი, თავს არ გავუყადრებდი ყველა ხელისუფლების გვამში შემძვრალ-გამომძვრალ ჭინჭრაქა „პროფესორს“, მაგრამ ეს ხომ სახარებაა – ღვთის ნიგნი და გადავწყვიტე – არა ხამს გაჩუმება.

კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ზ. კიკნაძე თვითმარქვია სწავლულ-მთარგმნელია და თვალში ნაცარს აყრის საქართველოს.

თუ იმდენი ქართული არ იცოდა, რომ „მასზე დაჯდომა“ „მათზე დაჯდომისგან“ განესხვავებინა, ეკითხა შუქია აფრიდონიძისთვის და „შუქს მოჰფენდა“ კოლეგა-მეგობრის ნაცოდვილარს.

## ზაალ, შენ მწერალი არა ხარ!

ძალიან მინდა გული არ გატკინო. თუმცა ორმოცდაათი წლის კალმოსანს, რომელსაც მეგობარი ლიტერატორი „გამორჩეული ხმის მქონე პროზაიკოსად“ ახასიათებს, „ჩვენი“ ლიტერატურის მაქსველ პერკინსს (!?) უწოდებს, ასე სოლიდურ ასაკში აცნობო მწარე სიმართლე, არც მოსასმენადაა იოლი და არც სათქმელად.

ღმერთი, რჯული, რამდენი გრაფომანი დადის ამ ქვეყანაზე და სიტყვა არ მითქვამს. იკუნტრუმოს ლიტერატურაში, ადრე თუ გვიან

ხომ მიხვდება, რომ მწერალი არ არის-მეთქი, მაგრამ ამ ბარათის მოწერა ორმა გარემოებამ დააჩქარა: პირველს ახლავე მოგახსენებ, მეორეს წერილის ბოლოს.

ხელში ჩამივარდა ახალდაბადებული ჟურნალი „ლიტერატურული პალიტრა“ („კვირის პალიტრის“ დამატება). გადავშალე და ჟურნალის მიერ შენს ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად მიჩნეულ მინიატურას ჩავკარი თვალი. ამოვწერ მთლიანად“.

### „თოლიების დამპყრებელი“

„კაცს, რომელსაც ჯობით პური დააქვს თოლიებისთვის, კუთვნილი ულუფის ნახევარი, ყველაფერი ძველი და პენდაკარგული აცვია – პალტოც, შარვალიც, ფეხსაცმელიც. ქუდიც ძველმოდური ახურავს, თხუთმეტი წლის წინათ შეკერილი ბუკლეს კეპი...“

მას, რა თქმა უნდა, არ წაუკითხავს რიჩარდ ბახის „თოლია ჯონათან ლივინგსტონი“, მაგრამ იმის გამო, რომ ხიდზე მდგარს დიდხანს, ძალიან დიდხანს შეუძლია უყუროს ფრინველებს, იცის, როგორ გულმოდგინედ ხვენენ ისინი ფრენის ილეუებს“.

წავიკითხე და ვთქვი, აქ რაღაც ისე ვერ არის საქმე, როგორც ინტერვიუს ამლებს ჰგონია-მეთქი.

დააკვირდი, ფინალს, ზაალ. თუმცა იგი მხოლოდ ერთი წინადადებაა, მაინც ხელოვნური და გაჭიანურებულია.

მინიატურა იმით უნდა დამთავრდეს, რომ ამ კაცს შეუძლია „დიდხანს უყუროს ფრინველებს“. თურმე ნუ იტყვით, ამ კაცმა იცის, როგორ გულმოდგინედ ხვენენ ისინი ფრენის ილეუებს“. აი, სწორედ ესაა არამწერლური ფრაზა. თოლიები მდინარეზე სარჩოსთვის გარჯილან და არა „ფრენის ილეუებს ხვენენ“. ყალბი და უადგილოა აქ „ფრენის ილეუებს ხვენენ“. აღარაფერს ვამბობ იმაზე, წაკითხული აქვს თუ არა ხიდზე მდგარ კეთილ კაცს (რომელიც, რაკი „პურის ულუფას“ ახსენებ, ალბათ, პატიმარია) რიჩარდ ბახის „თოლია ჯონათან ლივინგსტონი“ (ისე როგორც შენ, მიხო მოსულიშვილის მტკიცებით, „ქართველი მაქსველ პერკინსი“ ყოფილხარ).

შენი შემოქმედების „მწვერვალის“ – „თოლიების დამპყრებლის“ წაკითხვით გულდანყვეტილმა იქვე მოთხრობა „დიმასთან მიმაგრებაში“ წავიკითხე და უფრო უკმაყოფილო დავრჩი.

ორი მოავარო („ძველ ბიჭებს“ რო ეძახდნენ) ახალგაზრდა მიმაგრებაში მყოფი მეგობრის სანახავად მიდის. თუ ტრახახში არ ჩამოვართმევთ, ჩვენი გმირები „დამრტყმელი ბიჭები“ არიან. „ვისთან და სად არ გვიჩხუბია მე და ლიოხას, მაგრამ „პრავადნიკებს“ და თანაც გაქანებული მატარებლის სახელურებზე ჩამოკონწიალებულემა პირველად ვურტყით“. ცოტა ძნელი წარმოსადგენი კია, რანაირად ურტყეს მატარებლის სახელურებზე ჩამოკონწიალებულემა ვაგონში მყოფ „პრავადნიკებს“, მაგრამ ყველაფერი ადგილზე დადგება, თუ გავითვალისწინებთ, რომ „პრავადნიკები“ „ვერ მიხვდებოდნენ, რომ ტამბურის ჩამსხვრეულ ფანჯარას მოსცილებოდნენ“. თურმე როცა „ჟაჟი“ მოუნდებოდათ, მორიგეობით გამოყოფდნენ „ტამბურში“ თავს პრავადნიკები და მაშინვე მოხვდებოდათ ცხვირ-პირში გაქანებული მატარებლის სახელურზე ჩამოკონწიალებულთა მუშტი.

ასე ერთობოდნენ დამრტყმელებიც და პრავადნიკებიც, სანამ ამ უკანასკნელთ „ცხვირ-პირი არ გაუერთიანეს“. ვინ იყვნენ ასეთი მიაშიტი „პრავადნიკები“? ნუ იტყვით და „პრავადნიკები“ „სომხები იყვნენ. მოსკოვ-ერევნის ბრიგადა“. აბა რა, თქვენ გგონიათ, ყოველ შემხვედრს ხელალებით უერთიანებდნენ ცხვირ-პირს ჩვენი დამრტყმელი ბიჭები?

ასეთი ულოგიკო, მხატვრულ-ფსიქოლოგიურ მოტივირებას მოკლებული პასაჟი ამ მოთხრობა-ნარკვევში უამრავია, მაგრამ ჩვენ მთავარი ვთქვათ:

ინახულეს დიმა ბიჭებმა. ლეგენდარული პატიმარი ნარზე წამონოლილიყო და „ამჟამად ცნობილი ქართველი მწერლის, ლამის ცოცხალი კლასიკოსის, დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილ რომანს“ კითხულობდა. მოგვიანებით შევიტყობთ, რომ ეს საყოველთაოდ ცნობილი რომანი გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველია“. იმ საღამოს გაგრიდან წამოსულმა დალილმა „დამრტყმელებმა“ დიმასთან ერთად მეგრულ ფაცხაში იქეიფეს (მე შენ გეტყვი, ზონიდან არ გაუშვებდნენ პატიმართან ერთად. ლიოხა ხომ დამრტყმელი იყო). სიმართლე უნდა ითქვას, იმ ღამეს ბიჭებმა ვერავის მოსდეს ყბაში (ალბათ, ახლომახლო ერთი სომეხიც არ აღმოჩნდა), ამიტომაც დასარტყმელი ინსტრუმენტები (მუშტები) უქმად ეწყობთ მუხლებზე. ერთი დამრტყმელი (და სხვა პლენხანოველებიც!) დიმასთან დარჩნენ ლამის გასათევად (ზონაში რომ ყველას არ უშვებდნენ ლამის გასათევადო? იკითხავს მკითხველი, რომელსაც შეიძლება შიგადაშიგ დაავინყდეს, რომ ლიოხა დამრტყმელი იყო), მეორე კი თბილისში დაბრუნდა („ჩვენები ინერვიულებენო“)!

ესაა სულ.

სამწუხაროდ, შენ არ იცი, ზაალ, რომ პროზა საინტერესო ამბის საინტერესოდ მოყოლაა. სხვა არაფერი.

ამ მოთხრობაში შენ მოსაყოლი არათუ საინტერესო ამბავი – საერთოდ არაფერი გაქვს.

შენი „მოთხრობა“ სინამდვილეში უგერგილოდ დაწერილი ნარკვევია. იგი მხოლოდ ექსპოზიციანა და სხვა არაფერი. იქ მთავრდება, სადაც ნამდვილი მოთხრობა უნდა დაიწყოს.

გული რომ არ დაგწყდეს, მკითხველს შენი „მოთხრობის“ ფინალს სიტყვასიტყვით გავაცნობ:

„გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში მომხდარ ამ ამბავს რომ წაიკითხავს, დაკვირვებულ მკითხველთა ერთ ნაწილს არ გაუჭირდება ლიოხას ამოცნობა, ხოლო რაც შეეხება მეორე, უფრო დიდ ნაწილს, ის იოლად მიხვდება, რომ რომანი, რომელსაც დიმა კითხულობდა...“

დიმიტრიც დონ დიეგოსავით წავიდა ამ ქვეყნიდან. ოღონდ ის, არტისტიზმით აღსავსე მეამბოხე, მდინარის ნყლებში არ დაწრეტილა სისხლისაგან.“

ჯერ ერთი „მდინარის ნყალში“ და არა „ნყლებში“ და მეორეც, ეს ფინალი წმინდა ნყლის „ლიტერატურშიწინაა“. ნამდვილი მწერლები ასე არ წერენ. ეს „ნიგნის ქის“ ფინალია. მოთხრობა მაშინ იქნებოდა, ეს შენი ჩანახატი, რომ გეამბნა მკითხველისთვის, როგორ დაიღუპა დიმა (მით უმეტეს, თუ იგი „მდინარის ნყლებში არ დაწრეტილა სისხლისაგან“).

აშკარაა, მთელი ნარკვევი იმისთვისაა დაწერილი, რომ გურამ დოჩანაშვილს ასიამოვნო. ამისთვის არ სჯობდა წერილი დაგეწერა გურამ დოჩანაშვილზე? თანაც, გურამს ისე ვერ განაადიდებ, შე კაი კაცო, რომ შეიძლება გურამისხელა ვერა, მაგრამ მაინც „არაუშავს მწერალი“ კონსტანტინე გამსახურდია არ დაამცირო? აი, რა ძუნწი ყოფილა „დიდოსტატის მარჯვენის“ ავტორი: „ისიც დაუზარებლად ჰყვებოდა, როგორ დაუჩეხა ორი თუ სამი კუბომეტრი შემა აგვისტოს ხვატში კონსტანტინე გამსახურდიას და როგორ დაასაჩუქრა მან ამის გამო ერთი ცალი „პელ მელსით“.

სუსტი, მშრალი ქართულით წერ, ზაალ. პირველივე აბზაციდან გავინყდება, რომ მოთხრობელი პლექსანოველი ძველი ბიჭია („დამრტყმელი“) და შენივე მოლიტერატორო სნობის ლექსიკით ალაპარაკებ, მაგ. „შერბილებული ფორმის მიუხედავად“... – „რალაც მოვლენა იმალეობდა“... „დილოგს“, „მოვლენას“ და „შერბილებულ

ფორმას“ იტყვის ლიტერატურისმცოდნე, ნიჭიერი, ნიგნიერი გოგო, შენი მეგობარი ბელა ნიფურია. პლექსანოველი ავარები 70-იან წლებში ამგვარი ლექსიკით არ საუბრობდნენ.

ზაალ, იმ ჟურნალშივე მკითხველს ერთ საიდუმლოებას უმხელ: „ძალიან მიყვარს გადანერა... დაახლოებით ათჯერ, თხუთმეტჯერ შემიძლია გადანერა და ვწერ კიდევ“...“

თუ ეს „მოთხრობა“ შვიდეჯერ მაინც გაქვს გადანერილი, წარმომიდგენია, რა ხილი (შენ „ფრუკტს“ იტყოდი) იქნებოდა იგი პირველი გადანერის დროს.

„სკოლაშიო, – ნერ, – ხუმრობით არალეგალურ კედლის გაზეთებს ვუშვებდით, მერე უნივერსიტეტშიც და ასე, რალაცნაირად, თამაშ-თამაშით მოვედი ლიტერატურაში“.

არა, ჩემო ზაალ. არ მოიტყუო თავი. მწერლობა ძალიან სერიოზული რამ არის და „თამაშ-თამაშს“ კი არა, გულის სისხლს მოითხოვს. მეშინია „თამაშ-თამაშით“ შემოსული „თამაშ-თამაშითვე“ არ გახვიდე ლიტერატურიდან.

ახლა იმასაც გეტყვი, კიდევ რალამ დააჩქარა მეთქვა შენთვის ეს მწარე სიმართლე:

ამას წინათ „იმედმა“ მარკა ლორთქიფანიძე და მე ერთ ყბადაღებულ ტელეპოუზე მიგვიწვია. ვიდექით ორი მოხუცი პროფესორი ტრიბუნაზე და განათლების მინისტრ ლომიას ვუმტკიცებდით, რომ მის მიერ წარმოდგენილი რეფორმის კანონპროექტი ამსხვრევს ქართულ ეროვნულ ცნობიერებას და წელში წყვეტს უმაღლესი განათლების სისტემას.

შევძრწუნდით, როცა საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ ინგა გრიგოლიას ჩვენი – ორი ხანდაზმული ლექტორის გასაბიბრუებლად ორმოცდაათამდე კუნთმაგარი, მაგრამ გონებასუსტი ამრევი მოეყვანა, რომელთა ამოცანა სტვენა, ხარხარი და „რეფორმის მონინალმდეგეთა“ წერვების მოშლა იყო. გული შემეკუმშა, როცა მოხარხარეთა პირველ რიგებში შენ გიხილე. კაცი, რომელსაც მწერლად მოაქვს თავი, როგორ დათანხმდა დარბაზის შემვსებთა შორის იმ ადამიანთა „ამრევად“ ჩამჯდარიყო, ასაკით მამად და დედად რომ ერგებიან-მეთქი.

მერე სხვებიც... სხვა შენი ამფსონებიც რომ იქვე აღმოვაჩინე, ყველაფერს მივხვდი. თქვენ სულ ერთად ხართ, „რუსთავი 2“-ის გამოგონილი ტელემწერლები, თვალში ნაცარს აყრით საქართველოს. ყველგან თქვენ გჩურთავთ ეს უდღეური ხელისუფლება – განათლების სამინისტროს კომისიებში, კულტურის სამინისტროს

ტენდერებში, ქალაქის მერიის მრჩეველთა საბჭოში და ახლა ტელ-  
ეხულიგნური დარბაზის წევრებადაც შეურჩევისხართ.

ასე მგონია, თქვენ ერთი საერთო გაქვთ – უნიჭობა, ამ უნი-  
ჭობის გამო იპოვეთ ერთმანეთი და ზევით-ზევით ექაჩებით.

არ გამოვა ასე. საქართველომ ყველაფერი იცის. გონიერი საქა-  
რთველო ყველაფერს ხედავს.

შენს კიდევ ერთ „გენიალურ მინიატურაში“ – „ვეტერანი“ ასეთი  
რამ ხდება:

„დილაადრიან რძის რიგში ახალგაზრდა კაცი, რა კაცი, ბიჭი –  
გამოუძინებელი, თმბაბურდგნული, შემცივნებული – მაღალ, ხმელ-  
ხმელ ბერიკაცს, მეორე მსოფლიო ომში მიღებული მედალი თუ ორ-  
დენი რომ მოუჩანს გაქუცული, კალთებშემოძენილი პალტოს ქვეშ  
და ცარიელი, საგულდაგულოდ გამორეცხილი ბოთლების ჩაბარებას  
ლამობს ურიგოდ – ხმამაღლა, ყველას გასაგონად ეუბნება:

– აღარ მორჩა თქვენი „ბაირამი?!“

„მწერლის“ თანაგრძნობა უფრო იმ „გამოუძინებელი, თმა-  
ბურდგნული, შემცივნებული“ ბიჭის მხარეზეა. ხოლო „მედლით თუ  
ორდენით“ მკერდდამშვენებულ მოხუცს, რომელსაც წესიერ გარე-  
მოცვაში ისედაც ეკუთვნის ბოთლების ურიგოდ ჩაბარება, ერთი  
მინიშნებითაც არავინ ესარჩლება.

„არ დამთავრდა თქვენი ბაირამი?!“ – ასეთია მწერლის განაჩენი  
მამა-ბაბუების თაობის მიმართ და სწორედ ამ განწყობილებამ მიგი-  
ყვანა შენ, ზაალ, იმ ღამით ტელეამრევთა შორის.

გაიხარე, მთავრდება ჩვენი „ბაირამი“, მაგრამ მეშინია, უფრო  
ადრე თქვენი – უნიჭო კალმოსნების და ამ ხელისუფლების „ბაირა-  
მი“ არ დამთავრდეს, ჩემო ზაალ, რომელსაც ესოდენი სიყვარულით  
შეჰვოფინებთ.

10. X. 2004, თბილისი

## რას სჩადიხართ?!

როცა ილია ჭავჭავაძეს საგურამოსკენ შაშხანის ლულა მიაც-  
ილებდა, მას უკვე გაკეთებული ჰქონდა უზარმაზარი ეროვნული  
საქმე; თავის ხალხში გადაგდებული ჰქონდა ის ღვთაებრივი თესლი,  
რომელიც დღემდე ღვივდება, და, რაც დრო გადის, უფროდაუფრო  
საშიშ გუგუნს გამოსცემს.

ყველაფრის წარმოდგენა შეეძლო ერის მამას. მასზე უკეთ ვინ იცო-  
და რას დამართებდა დამპყრობელი რუსი თავისუფლების ნიავისკენ  
სახემიშვერილ საქართველოს, მაგრამ ვერასოდეს წარმოადგენდა, თუ  
XXI საუკუნის პირველ ათწლეულში თითქმის დამოუკიდებელი საქა-  
რთველოს სათავეში მოექცეოდა ერის გამყიდველთა ბანდა, რომელიც  
ნაციონალისტთა სახელით ფეხქვეშ გათელავდა იმ მაღალ იდეალებს,  
რომელთა დამკვიდრებასაც ილია მართალმა სიცოცხლე შესწირა.

უმოწყალოდ გაჰყიდოდა და გაასხვისებდა ქართულ მიწას, ზღვას,  
წილისეულს – ყოველგვარ ეროვნულ სიმდიდრეს.

ყოველმხრივ შეავინროებდა ქართულ სამოციქულო ეკლესიას,  
ჩვენს სულიერ ბურჯს – მართლმადიდებლობას სექტათა სათარეშოდ  
აქცევდა.

სახელმწიფოებრივ საფუძველს წაართმევდა ქართულ ენას. სა-  
პარლამენტო რეგლამენტით არ დააკანონებდა ქართულს სახელმ-  
წიფო ენად საქართველოში.

გააუქმებდა ეროვნულობის ქომაგ ყველა უწყებას – უნივერ-  
სიტეტს, აკადემიას, ქართული ენის პალატას...

დაარბევდა მწერალთა კავშირს, რათა ილია ჭავჭავაძის მკვიდრნი  
ქუჩაში გამოეყარა და მათთვის სამოქმედო ტრიბუნა წაერთმია.

ხომ საფლავში გადაბრუნდებოდა დიდი ილია, რომ შეეტყო, თუ  
როგორ წაშალეს პირადობის დამადასტურებელ ყველა საბუთში საა-  
კაშვილმა და მისმა ხროვამ „ეროვნება ქართველი“ ოფიციალურ დო-  
კუმენტებში.

და ეს ყველაფერი მოითმინა დადებულმა, დალენჩებულმა ქა-  
რთველმა ერმა.

ოღონდ მოითმინა დროებით...

„საქმის პირველ დანყებაში ბევრი ჰაი-ჰუი ვიცით და სანამ ბო-  
ლომდე მივალთ, ჩალასავით ჩავქრებით ხოლმეო“, წერდა.

დღეს ისევ და ისევ ილია ჭავჭავაძის ნათელი იდეალები, რაზმავს  
ილაჯგანყვეტილ ერს ძალმომრეობის წინააღმდეგ.

რა მშვიდი სახით გვიმზერს 130 წლის ილია მიტინგზე აფრიალე-  
ბული დროშებიდან.

თითქოსდა არც ყოფილა წამი, როცა წარბშეკრული მოხუცი  
ეტლში წამოიმართა და დღევანდელი ხელისუფლების წინაპარ ბერბი-  
ჭაშვილებს შეჰყვირა:

რას სჩადიხართ?!

ეს კითხვისნიშნისანი ძახილი, მთელს ქვეყანას რომ ეკუთვნოდა,  
დღესაც საქართველოს მთებში წრიალებს და გასასვლელი ვერ უპოვია.

## ჩემთვის ცოცხალი ხარ...

ბატონო ლევან, ოთხმოცი წლის იუბილეს გილოცავ.

თუ სიცოცხლემოძულეებული სკეპტიკოსი, დღევანდელი საქართველოს შემეყურე, დაიჩვილებს: გაიგეთ ერთხელ და სამუდამოდ, აღარ არის თქვენი დრო, მწერლებს ყავლი გაგივიდათო, – შენს სახელს გავახსენებ.

თუ გულგატეხილი ქართველი ეჭვით შეხედავს ჩვენს განწირულ სულისკვეთებას და მეტყვის – რას აკეთებთ თქვენ, ქვეყანა რომ იქცევა, რატომ ხმას არ იღებთ მწერლებიო, ისევ შენს სახელს გავახსენებ და გავაჩუქებ.

შენ, შენი გაუბედურებული ქვეყნის ჭეშმარიტი მესიტყვე-მოურავი იყავი.

ორმოცი წელი მხარდამხარ ვიარეთ. პატიებას გთხოვ, რომ ვერ დაგიცავი ჩემი უპირველესი მეგობარი სიკვდილის იმ უღმობელი აჩრდილისაგან, საქვეყნო ფუსფუსში გართულს ასე ვერაგულად რომ წამოგეპარა.

შენს ბოლო წიგნს „მეოცე ვაი-საუკუნე“ დაარქვი. მახსოვს ყოველ შეხვედრაზე მიამბობდი იმ ახალი წიგნის თავებს და დასძინდი ხოლმე, წიგნი კი არა, განაჩენიაო.

შენმა მეგობრებმა და შთამომავლებმა დღემდე ისიც ვერ შევძელით, შენი ბოლო წიგნი გამოგვეცა ამ სპონსორულ, გალღეტილ ქვეყანაში.

გულს მითბობს და მტერთა დასათრგუნად ჩახმახს მომადებნინებს ხოლმე შენი მამლურ-ყინჩური დგომა სამშობლოს სადარაჯოზე, შენი ცნობისწამრთმევი ყივილი – არ დანებების, არ დათმობის, არ დაჩოქების!

აღარ ჰგავს საქართველოს რუკა ძველთაძველ ქართულ დროშას. იგი უკანასკნელად შარშანწინ დაიფხრინ-დაიტრუსა სასტიკ იმპერიასთან კვეთებაში, მაგრამ იგი მაინც არსებობს, უბიდან უბეში გადადის, ქართველთ ახალი ბრძოლებისათვის აღაგზნებს და რაზმავს.

შენს წიგნებს ერთი გრძელი თარო გაუვსია ჩემს ბიბლიოთეკაში, შენს მღელვარე წიგნებს. „მღელვარეს“ იმიტომ, რომ ჩაძინებული წიგნებიც არსებობენ. ერთხელ გაანათეს ასეთმა წიგნებმა ჩვენი სულები და ახლა, ვალმოხდილნი, ბიბლიოთეკის აკლდამაზე ჩანან კარგად შენახულ მუმიებად. შენი წიგნი კი, სადაც შემხვედრია, ან მაგიდაზე უდევთ, ან – სასთუმალთან. ყდაგაცვეთილ, ფურცლე-

ბაფუებულ, სახაზავჩადებულ შენს წიგნს ეტყობა, რომ იგი სულ ახლახან ეჭირათ ხელში და ისევ ჩქარა მიუბრუნდებიან.

რა შორიდან ამოჰყევი ისტორიას, სად არ მოიძიე ქართველთა ფესვები და ჩვენი ეროვნული ბედისწერის გაშიშვლებული ხმალი ჩვენს დღეებამდე შემოაბრიალე – როგორც დამამვრალმა მემბრანამ და ერის ჭირისუფალმა.

შენი ტემპერამენტის გადამკიდეს, შენ არ შეგეძლო, ცივი გონების მეცნიერ-ისტორიკოსის ჩაჩი მოგერგო თავზე და მშვიდად, აუღლეველად გენერა.

შენი წიგნი ყვირილსა ჰგავდა და ამიტომაც შენი სტრიქონები დატეხილი, ემოციებით, მხატვრული პასაჟებით სავსე.

შენი სტილიც უაღრესად ორიგინალურია: მეცნიერ-მწერლის მხატვრულ-ჩუქურთმიანი სტილი, ქართული ენის წიაღიდან, ამ გრძნეული სალაროდან ამოგვაქვს სიტყვები და ახალ ელფერს ანიჭებ.

იქნებ, ახლა, როგორც არასდროს, სჭირდება ქართველს შენი ცეცხლოვანი სიტყვა; იქნებ, ახლა, როცა ქვეყნის ჩაძინების მსურველნი რუსთაველის ერზე აგდებით ლაპარაკობენ, შენმა წიგნებმა უნდა მოჰგვაროს ხალხს ეროვნული სიამაყე და საკუთარ ტანჯულ ისტორიაში, როგორც სარკეში, ჩაახედოს, საკუთარი ღირსებაც დაანახოს და 309 სირცხვილიც გაახსენოს მათი არგამეორების მწარე გაკვეთილად.

ამ ქვეყნად არაფერიც არ შეცვლილა, ქართველთა ბედს ისევ აბურთავებს ისტორიის უღმობელი ნემეზიდა.

ისევ იპყრობენ იმპერიები მცირე ერებს, ისევ ცდილობენ, ჩაკლან ერში თავისუფლების და დამოუკიდებლობის სურვილი. დღისით-მზისით მსოფლიოს თვალწინ ართმევენ მიწებს და უმონყალოდ ხოცავენ უდანაშაულო ადამიანებს.

და როგორადაც უნდა გვიკვირდეს, დღევანდელ მსოფლიოში არ არსებობს საერთაშორისო სასამართლო, პოლიტიკური არბიტრი, რომელიც აგრესორს თუ არ ალაგმავდა, ბავშვთა კვლისაგან თავშეკავებისაკენ მაინც მოუწოდებდა.

1992–93 წლების რუსეთ-საქართველოს ომში საქართველო უმონყალოდ დაისაჯა თავისუფლების სურვილისათვის. სეპარატისტები თავის სახლ-კარიდან გამორეკილ ქართველებს დასცინიან და გამკითხავი არავინ არის.

კიდევ ერთხელ 2004 წლის ზაფხულში დაგვამცირა და დაგვაჩოქა



რუსმა. ნეტავი შენ, რომ ორმოცდაათი ქართველი ლაჩარ-პინგვინის ცხინვალის მოედანზე დაჩოქებას ვერ მოესწარი.

შენ, შენ – ნამუსიანმა ისტორიკოსმა, მხატვარ-მემატიანემ, დაარქვი მოვლენებს თავისი სახელი და ერს ჭირისაგან თავის დახსნის გზები უჩვენე.

ეროვნულმა სმენამ, პატრიოტის გეშმა არასოდეს გილაღატა, არ დალილხარ, ხმალი არ ჩაგიგია.

ჯერ საქვეყნო გზა გასანალდ-გასაკაფია, მტერ-მოყვარისთვის პასუხია გასაცემი. ჯერ სიმართლის ნერგი მოსავლელია, ბედის კვიცი გასახედნია, ერის სიმტკიცის ნაღვერდალი გასაღვივებელია, თავისუფლების კოცონი დასანთებია...

მოტყუებით ჩახოცილი ჩვენი შვილების სისხლი ასაღებია.

კვლავ დგახარ ქვეყნის გადარჩენის ბასტიონზე გულმაგრად, ბრძენ და ენამჭევრ მეციხოვნედ ლევან სანიკიძევ!

დღეს შენს უკვდავ საქმეს შენი წიგნები აგრძელებენ, შენი – უანგარო მამულიშვილის სიცოცხლე გვინთია ჩაუქრობელ ლამპრად და ერისკაცობის მაგალითად...

## პოეზიის ამორკალი

მაყვალა

როცა შენზე ვფიქრობ, თვალწინ მიდგას ხოლმე ჭეშმარიტი პოეზიის ნათლით მოსილი ყანაოთისფერი ქალი, ჯვარივით რომ უპყრია ზემემართული, თავისი ერისადმი მიძღვნილი ძვირფასი საჩუქარი – საკუთარი სულის ლირიული ხატი – წიგნი და ფეხშიშველი მოუძღვის მკითხველს განწმენდის ცისფერ ბილიკებზე.

შენ იცი, რა ძნელია საქართველოში „იყო პოეტი და იყო ქალი“.

რაოდენ ნაზი ჩურჩულით, კდემით და გულშიჩამწვდომი სინატი-ფით გვესაუბრები სათნოებაზე და სიკეთეზე.

რა კარგად იცი ადამიანის სულის ურთულეს ლაბირინთში პოვნა იმ ფერებისა, რასაც მხოლოდ შენ ხედავ და რაიც მაღალი პოეზიის მაღლით ბრწყინავს.

ამ ბოლო დროს შენმა მუზამ გარემოებისა გამო ახალი თვისება შეიძინა. მიტინგებზე ჩანხარ მუშტმემართული, ამორძალივით უშიშარი და გაბედული.

განგაშის ზარებს არისხებ იმათ წინააღმდეგ, ვინც შენი ამაყი ერი „ტელებედნიერად“, ხოლო ქვეყანა თოჯინების თეატრად გიქცია.

რა ძვირფასია წლებით დაღლილ-დამძიმებული შენი მწერალი ძმებისთვის შენი სიალალე და თანალმობა.

რა დროული და დიდებული ხარ მოშულარ ძმათა შორის ჩასაგდები მანდილით ხელში.

ვინძლო საქართველო არ ჩავაძინოთ, ვინძლო ერთგულად ვუგუშაგოთ ჩვენს ტანჯულ მამულს, ვინძლო ერთად გავიტანოთ ჩვენი ჩვენი ხნული ჩვენი შთაგონების ანეულში.

...და მერე, თუ შევატყვე, რომ ველარ მოგყვები და სადღაც ჩამუხლულს სამუდამოდ შემომალამდება, ბედნიერად ჩავთვლი თავს შენი წმინდა ცრემლის ერთი წვეთიც თუ დამეცემა.

## სიკეთის მთხველი

აკაკი მათიაშვილი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ იმ მამულიშვილთა შორის ნათობს, ვისთვისაც სამშობლო წმიდათაწმიდა გახლდათ და მამულის აღორძინებისათვის მუხლჩაუხრელი რუდუნება გულის ფიცარზე ეწერა.

სამოციანი წლების ბოლოს ეროვნული მოძრაობის ნაპერწკალი რომ გაფაჩუნდა, აკაკი უყოყმანოდ დადგა ზვიად გამსახურდიას გვერდით და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ უღალატია საქართველოს პირველი პრეზიდენტის იმ მაღალი იდეალებისათვის, იმ დროს რომ ბევრისთვის განსჯისა და ეჭვის საგანი იყო, და ახლა რომ მთელი საქართველო ერთხმად აღიარებს ქვეყნის გადარჩენის ერთადერთ, ქრისტესმიერ გზად.

აკაკი მათიაშვილს, როგორც საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრს, ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე და მისი სახელის უკვდავყოფის ერთ-ერთი გარანტი, რასაკვირველია, ესეც გახლავთ.

ჩემი უახლოესი მეგობარი იყო.

ჯერ კიდევ არ გაემარჯვა ეროვნულ რევოლუციას და იმპერია არსებობის ბოლო წლებს ითვლიდა, როცა სამეცნიერო ბიბლიოთეკიდან გამოსულებს და შინისკენ მიმავალთ, ერთი იდეა გაგვიჩნდა – იქნებ დავუბრუნოთ კალენდარს თვეების ქართული სახელწოდებები.

მეორე დღეს დილიდან გვიან ღამემდე ვიმუშავებთ ლექსიკონ-ფოლიანტებზე, საპატრიარქოს ბიბლიოთეკასაც ჩავაკითხეთ და სტატია თითქმის მზად გვქონდა, გვრჩებოდა მხოლოდ 3 თვის – იანვრის, თებერვლის და მარტის უცხოური სახელწოდებანი. ბევრი დავა-კამათის შემდეგ იანვარს ვუნოდეთ „ახალწლისთვე“. თებერვალს – „რუსთვე“, ხოლო მარტს – „განახლებისთვე“. ერთობლივი სტატია რამდენიმე გაზეთში გამოვაქვეყნეთ და იმდენი მოვახერხეთ, რომ წლის ბოლოს მოსახლეობას შევთავაზეთ კიდევ განახლებული ქართული კალენდარი, რომელიც ასე გამოიყურებოდა:

- იანვარი – ახალწლისთვე
- თებერვალი – რუსთვე
- მარტი – განახლებისთვე
- აპრილი – მზისათვე
- მაისი – ვარდობისთვე
- ივნისი – თიბათვე
- ივლისი – მნიფობისთვე
- აგვისტო – მარიამობისთვე
- სექტემბერი – ენკენისთვე
- ოქტომბერი – ღვინობისთვე
- ნოემბერი – გიორგობისთვე
- დეკემბერი – ქრისტეშობისთვე.

ეს ხდებოდა 1986 წელს. ჩვენი „კალენდარი“ ზვიად გამსახურდიას წარუდგინეთ. ძალიან მოეწონა. ერთ-ორ გამოსვლაში აღნიშნა კიდევ; ჩემმა მეგობრებმა თვეების ქართული სახელწოდებანი გააცოცხლეს და მალე დამოუკიდებელ საქართველოს ახალი კალენდარი ექნებაო, მაგრამ საუბედუროდ, ისე როგორც ზვიადის არაერთ ეროვნულ ნაოცნებარს, არც ამ სურვილს ეწერა ახდომა.

უზუნაესი საბჭოს წევრი იყო როცა ერთხელ, კარგა შეღამებულზე შინ მომაკითხა. სახეზე მღელვარება ესაბა.

რა მოგივიდა-მეთქი, ვკითხე.

ზვიადმა ახალგორის პრეფექტად დამნიშნა და ხვალ დილით მივმგზავრებო.

იმ ღამეს გვიანობამდე ვისაუბრეთ ჭიქა ღვინოზე.

უარი ვერ ვუთხარი, თორემ რა ჩემი საქმეა პრეფექტობაო. ხელმძღვანელ თანამდებობაზე ჯერ არსად მიმუშავია და ვაითუ ვერ გავამართლო პრეზიდენტის იმედით.

ნუ გეშინია-მეთქი, დავამშვიდე, სწორედ შენნაირი პატიოსანი,

ეროვნული და ქვეყნის ერთგული ხალხია დღეს საჭირო საქართველოსთვის-მეთქი.

ახალგორში, ალბათ, ეცივება, თბილი ჩასაცმელი ხომ არაფერი გაქვსო.

ჩემი სვიტრი და ნაქსოვი ქუდი ვაჩუქე.

ამას ხშირად იხსენებდა სუფრაზე, რეზოს ნაჩუქარი სვიტრით და ქუდით ჩავედი ახალგორში და იმ ქუდით და სვიტრითვე დავბრუნდი უკანო.

დახვენილი ინტელიგენტი იყო და, ბუნებრივია, ისეთი ეროვნულად ჭრელი რაიონის გაძლოლა გაუჭირდებოდა, როგორც ახალგორია.

პრეფექტობა თავისი სურვილით დატოვა.

მასსოვს, ხუმრობდა, სხვები კარს უტალახიანებდნენ ზვიადს რომ პრეფექტად დაენიშნა, მე კი ორი დღე ვეხვეწე, გავეთავისუფლებინეო.

მოგვიანებით აკაკი ასათიანმა მიამბო, რატომ მიატოვა აკაკი მათიაშვილმა ახალგორის პრეფექტობა:

ოსებმა ახალგორიდან თურმე 1000 ცხვარი გაიტაცეს.

ხეობაში მიერეკებოდა სამი ყაჩალი ფარას. აკაკი და პოლიციის უფროსი ვერტმფრენით დაედევნენ. დაენივნენ. პრეფექტს ქურდებისთვის მაღლიდან დაუძახნია: მე, პრეფექტი მათიაშვილი გელაპარაკებით, ახლავე დააბრუნეთ ფარაო.

წადი შენი პატრონი დედაცო, უპასუხიათ ოს თულებს. ერთ-ერთ მათგანს მხრიდან კარაბინი ჩამოუღია და ვერტმფრენისთვის უსვრია.

თუ ნებას მომცემთ, ავტომატის ჯერს მივუშვებ და სამივეს ჩავხოცავო, უთქვამს პოლიციის უფროსს.

შენ ხომ არ გაგიჟდი. ჩვენი მოქალაქენი არიან. ცხვრის გულისთვის კაცს როგორ მოგაკვლევინებო. გაუშვი წაიყვანონ. შერცხვებათ და ხვალ-ზეგ დავგიბრუნებენო, უთქვამს აკაკის და ჭილოფის შლაპა შეუტრიალებია.

ამ ამბავზე თვით ზვიადიც ბევრს იცინოდა ხოლმე.

მე კი მაშინ აკაკი მათიაშვილის უნაპირო სიკეთეზე და ტოლერანტობაზე ნოველა დავწერე, რომელსაც „პრეფექტი“ ჰქვია და ეს ამბავი მაქვს აღწერილი.

ბოლო წლებში „ზვიადისტა“ არც ერთ ღონისძიებას არ აცდენდა. ყოველთვის ქალბატონ მანანას გვერდით ჩანდა.

2005 წლის 7 აპრილს ისტორიკოსთა და მწერალთა ერთი ჯგუფი შეგვეკრიბა და თავის მშობლიურ სოფელ მარტყოფში ჩაგვიძლვა.

მარტყოფის ბრძოლის 380 წლისთავი აღვნიშნეთ სოფლის მოსახლეობასთან ერთად. სიტყვებით გამოვედით აკაკი მათიაშვილი, გივი ჯვამბურია, სილოვან ნარიმანიძე, ბადრი ქუთათელაძე, დევი კაჭარავა, ნუგზარ ნადარაია, ზურაბ ანთაძე და მე.

ჩემი გამოსვლა ასე დავამთავრე:

მარტყოფის ბრძოლა ისეთი დიდი ნიშანსვეტია საქართველოს ისტორიაში, რომ თქვენ წინაშე ვაყენებ საკითხს – დაარსდეს სახალხო დღესასწაული „მარტყოფობა“ და ან და მარადის 7 აპრილს, ხარება დღეს, ჩავატაროთ-მეთქი.

ბავშვივით გაეხარდა. გადამეხვია და ცრემლმორეულმა დაიძახა:

დღეს ისტორიული დღეა. დაარსდა სახალხო დღესასწაული და ინიციატორი გამოჩენილი მწერალი რევაზ მიშველაძეაო.

ყოველ შეხვედრაზე მახსენებდა: ხომ იცი, რეზო, 7 აპრილი ახლოვდება, მარტყოფობა არ დაგავინწყდესო.

არ მავინწყდება ჩემო აკაკი, არც მარტყოფობა მავინწყდება და არც შენი უნაპირო სიკეთე, რასაც ესოდენ უშურველად აფრქვევდი.

როცა პარლამენტის წევრი ვიყავი, კვირა არ გავიდოდა არ მსტუმრებოდი კაბინეტში. ზოგს საოპერაციო შუამდგომლობა უნდოდა, ზოგს სამსახური, ზოგს სასამართლო ჩაგრავედა და პარლამენტის ყურადღება სჭირდებოდა.

ვიცოდი, შენ ყველას სუფთად, უანგაროდ ეხმარებოდი და უარი არასოდეს მითქვამს.

მახსოვს, ერთხელ ინგილო მურთაზ ბათულაშვილს მოჰყევი. კაცი ფერეიდნიდან თავის სამშობლოში დაბრუნდა 400 წლის შემდეგ და სამსახურს არ აძლევენ რომ წვრილშვილი არჩინოსო.

მოსვენება დავკარგე.

ვინ არ შევანუხე, მაგრამ ამაოდ. ბოლოს „ავერსის“ პრეზიდენტს პ. კურტანიძეს ვთხოვე და აშენდა მისი ოჯახი – გაუჩინა ლუკმაპური ილაჯგანყვეტილ ფერეიდნელს.

დღეს მურთაზი შენი და ჩემი მადლობელია, ჩემო აკაკი.

...და ვინ მოსთვლის რამდენი კარგი საქმე გაგიკეთებია. რამდენისთვის გაგიტობია გული.

სამწუხაროდ, შენ ვერავინ შეგაშველა ხელი, შენი სიცოცხლის უკანასკნელ ღამეს, შენს საყვარელ მარტყოფში.

## უმინდესო და უნეტარესო

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს,  
უმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს

უმინდესო და უნეტარესო

30 ბედნიერი წელი მიიწურა თქვენი აღსაყდრებიდან.

ეს წლები საქართველოში რწმენის განმტკიცების, მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის გაძლიერების, ტაძრების მშენებლობის, მილიონთა ქრისტედ მოქცევის, ძე შეცდომილთა მონანიების წლები იყო.

თქვენ, ქვეყნის მწყემსი ერისა, მისი სულიერი წინამძღოლი განუხრელად, მამაცურად იდექით არა ოდენ ქრისტეს სჯულის და საყოველთაო სათნოების, არამედ ჩვენი ეროვნული ღირსების სადარაჯოზე.

თქვენი მაღალი ღირსება, ბიბლიურად მშვიდი სახე და მეტყველება, მიმტვევებლობა, ძმათა შერიგებისკენ მონოღება განსაზღვრავს დღეს საქართველოს კეთილ ზნესა და ხასიათს.

დიახ, საქართველო დღეს თქვენი დროშის ქვეშ დგას და უფალს უნდა ვუმაძღოდეთ, რომ სწორედ ქვეყნისთვის უმძიმეს წლებში თქვენ მოგავლინათ ერისა და ხალხის გადამრჩენად.

უმინდესო და უნეტარესო

თქვენ, თვით უზადო მწიგნობარსა და დიდებულ მესიტყვეს, კარგად მოგეხსენებათ ქართული მწერლობის ისტორიული როლი ქრისტიანობის დაცვის, ენისა და მამულის არსებობის გახანგრძლივებაში.

გილოცავთ აღსაყდრების 30-ე წლდისთავს, ვემთხვევით თქვენს მადლიან კალთას და გისურვებთ დიდხანს მორჩმით ჯდომას საქართველოს უპირველეს ტახტზე – კათალიკოს პატრიარქის ტახტზე, ქვეყნის გასახარად და სასახლოდ.

## ზოგი რამ „შემოქმედებით ლაპორატორიაზე“

ლიტერატურის ნიჭი, რომელიც, ალბათ, დაბადებიდან დამყვა, ჩემში ქართულის მასწავლებელმა – ვარა სამხარაძემ გააღვივა. ქუთაისის მეოთხე საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, ქალბატონი ვარა VII-XI კლასებში გვასწავლიდა. მახსოვს, არ უყვარდა „გარჩევის

ნიგნიდან“ რომ ჩავუბუღებულბდით გაკვეთილს. შენი თავი არ გაბია მხარზეო? სერგი ჭილაიას და შალვა რადიანის კი არა, შენი სიტყვებით მითხარი, შენი აზრი მითხარი, ათასწილად მიჩვენებიაო. ასე მიგვაჩვია დამოუკიდებელ აზროვნებას ქართულის მასწავლებელმა.

მხატვრულ ნაწარმოებებზე საკუთარი აზრის გამოთქმის სურვილმა ისე შემათამამა, რომ VIII კლასიდანვე დავინყე ლიტერატურული წერილების წერა. სკოლაში სწავლის დროს სტატიებს ვაქვეყნებდი გაზეთ „ქუთაისში“ (ადრე „სტალინელი“ ერქვა). ეს იყო, ძირითადად, რეცენზიები მწერალთა (უმეტესად ქუთაისელ მწერალთა) ახალ ნიგნებზე და საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებული გამომხატურებანი. ის პირველი წერილები, სამწუხაროდ, აღარ შემომჩნა. მახსოვს, „ჩემი აზრი“ ზურაბ კუხიანიძეზე, არჩილ გურჯიძეზე, ვასილ გვეტაძეზე... ერთი თბილი რეცენზია გაბრიელ ჯაბუშანურის პოემაზეც გამოვაქვეყნე. აღარ შემომჩნა-მეთქი ის პირველი წერილები და შეიძლება უკეთესიც იყოს. ყოველ შემთხვევაში ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიას ჩემი პირველი კრიტიკული „ცდების“ „გაბნევით“, დანამდვილებით ვიცი, არაფერი დააკლდება.

რა გასამხელია და შიგადაშიგ ლექსებსაც ვწერდი, ძირითადად, სკოლის კედლის გაზეთ – „მოსწავლის ხმისთვის“. მეშვიდე კლასელი გახლდით, ერთ დღეს სკოლის დირექტორმა რომ დამიძახა და „ნორჩ ლენინელში“ პირველი ლექსის გამოქვეყნება სამასწავლებლოში, საჯაროდ მომილოცა. როდის გაგზავნე ბიჭო, ლექსიო, გამინყრა ქართულის მასწავლებელი, – მე რატომ არ მითხარი, შენ უკეთესი ლექსები გაქვს და მე შეგიჩვენებდიო. მე არ გამიგზავნია, დედას გეფიცებით-მეთქი. მართლაც არ გამეგზავნა. თურმე ორი თვის წინ სკოლაში „ნორჩი ლენინელის“ კორესპონდენტს შემოევლო და კედლის გაზეთიდან ჩემი ლექსი ამოეწერა. ასე დაიწყო ჩემი გამოჩენა ე.წ. „რესპუბლიკურ პრესაში“ (გაზ. „ნორჩი ლენინელი“, 1955 წლის 27 მაისი, „შარშანდელი ამბავი“).

არ შეეშინდეს მკითხველს და აღარც ეს ლექსი შემომჩნა. იქნებ მე თვითონ ვიზრუნე, რომ არ შემომჩნენოდა, ვინ იცის.

ჩემი პოეტური საყმაწვილო ცოდვებიდან კიდევ ერთ შემთხვევას გავიხსენებ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის (ჟურნალისტიკის განყოფილება) მეორე კურსის სტუდენტი ვარ. ოპერის გვერდით, ლუნაჩარსკის ქუჩაზე, დედაჩემის დეიდასთან ვიყავი შეხიზნული და რაკილა ისინიც ვინწოდ ცხოვრობდნენ, სახლში მხოლოდ დასაძინებლად შევდიოდი, ან უნივერსიტეტში ვალამებდი, ან რუსთაველზე. შემოდგომაა. ვხედავ რუსთაველზე იოსებ ნონეშვილი მოაბიჯებს. საოცარია, ახლა ამდენი სატელევიზიო არხის გადამკიდე

საქართველოში ხელისუფლების ნებიერ პოეტებს რომ წამდაუნუმ გვიჩვენებენ ეკრანზე და მაინც ვერავინ ცნობს პოეტს ქუჩაში, მაშინ იოსებ ნონეშვილს ქვეყანა იცნობდა. მოაბიჯებდა გალიმებული იოსები. პენიანად ჩაცმული, პიჯაკგახსნილი პოეტი და წამდაუნუმ თითქმის ყველა გამვლელს ესალმებოდა განურჩევლად, იცნობდა თუ არა. მოგვიანებით, იოსებ ნონეშვილის რჩეულის წინასიტყვაობაში დავწერე: „იოსებ ნონეშვილი ისე გამოდიოდა სახლიდან, როგორც მსახიობი რამპის შუქზე“. მომიახლოვდა. რასაკვირველია, პირველად ვნახე ასე ახლოს, ეტყობა ძალიან „შევაშტერდი“ (ქუთაისურად რომ ვთქვა), რომ არათუ უბრალოდ მომესალმა, ჩემკენ წამოვიდა, ხელი ჩამომართვა და მითხრა: „შენი ლექსები ძალიან მომეწონა. მაპატიე, რომ დაბეჭდვა დაგიგვიანე. ახლებიც ხომ გაქვს, მოიტანე, მოიტანე...“ აშკარა იყო ვილაცაში შევეშალე. „გმადლობთ, მოგართმევთ-მეთქი...“ რალაც ამის მსგავსი ნავილულულე. იმ დღესვე უნივერსიტეტის სტუდენტთა სამკითხველო დარბაზში დავწერე ჩემი პირველი საბავშვო ლექსი, რადგანაც ვიცოდი, რომ ბატონი იოსები საბავშვო ჟურნალ „დილას“ რედაქტორობდა. კაცს ჩემი იმედი აქვს და ხომ არ გავანბილებ-მეთქი. კითხვა-კითხვით მივაგენი „დილას“ რედაქციას (პლენანოვზე, მარჯანიშვილის მოედანზე, რედაქტორი არ დამხვდა და ლექსი პასუხისმგებელ მდივანს – კუკური გოგიაშვილს დავუტოვე. გავიდა ერთი თვე, მეორეც, ალბათ, არ მოეწონათ-მეთქი, მიკითხვას როგორ გავბედავდი და ერთ მშვენიერ დღეს, ჩვენი დეკანის მოადგილე, გიორგი შალამბერიძე მეუბნება, როგორც ჩანს, შენ გარდა რევან მიშველაძე კიდევ ყოფილა პოეტი, აგერ „დილას“ ყდაზე მშვენიერი ლექსია დაბეჭდილიო. დავხედე. მე ვარ-მეთქი და ყურებიანად გავწითლდი. აი, ეს ლექსიც:

„ჩემი ბატის ჭუჭული  
სასეირნოდ გავუშვი,  
გაისწორა ბუმბული,  
გადაეშვა აუზში,  
გაცურა და გავიდა  
განა ბევრი ინვალა.  
მხოლოდ ორი დღის არი,  
ცურვა როდის ისწავლა?“

ეს იყო და ეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ლექსი მერე სახელმძღვანელოშიც შეიტანეს და „დილიდანაც“ არაერთგზის დამირეკეს, რატომ არ მოგაქვს ლექსებიო, პოეზიასთან ჩემი „შეთამაშება“ ამით

დამთავრდა. სულ განიე, გამოწიე, შვიდიოდე ლექსი მაქვს დაწერილი და მე რომ ჩემი კოლეგების ან თუნდაც ყველა ქართველის პოეზიასთან დამოკიდებულების ამბავი ვიცი ეს დიდი ცოდვა არ უნდა იყოს.

უფრო დიდხანს და მგონი სერიოზულადაც, სალიტერატურო კრიტიკას შემოვრჩი.

როგორც მოგახსენეთ, სანამ უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდებოდი, ქუთაისში უკვე მქონდა „კრიტიკული გამოცდილება“, მაგრამ ლიტერატურული მოვლენის აღმწერის როლი უკვე აღარ მაკმაყოფილებდა. სურვილი გამიჩნდა, უფრო აქტიურად ჩავრეულიყავი ლიტერატურულ ცხოვრებაში. აქტიური ჩარევა კი, ჩემი მაშინდელი გაგებით, „კრიტიკული ჩეხვის“ არსენალის მომარჯვებას ნიშნავდა.

და მეც დავინწყე...

ვნერ განმაქიქებელ კრიტიკულ წერილებს პოეზიაზე. ხან „ცისკრის“ პოეზია „მიმოვიხილე“, ხან „მნათობის“. რედაქტორები განმაქიქებელ წერილებს სიამოვნებით მიბეჭდავენ (რასაკვირველია, ვისი გაკრიტიკებაც თვით არ სურთ, დაუკითხავად ამოიღებენ ხოლმე სტატიიდან, მაგრამ რას დავეძებ...) და, თქვენ წარმოიდგინეთ, „პასუხებსაც“ ასევე, სიამოვნებით უთმობენ ხოლმე ადგილს. „პასუხი“ (ძირითადად თავის მართლება ან განცხადება იმისა, რომ ჩასაფრებული კრიტიკოსი ვარ) მაინცდამაინც არ მსიამოვნებს და მაშინვე ვაშანშალებ „პასუხის პასუხს“, რაზეც რედაქტორები უარს მეუბნებიან. „შენ ხომ შენი თქვი, რეზო, იმან თავისი გითხრა და ხომ ვერ გადაგყვებით ბოლოს და ბოლოსო“, – მიუბნებიან.

გადის დრო. მრისხანე კრიტიკოსის სახელი მოვიხვეჭე, მაგრამ სულ ეჭვის ჭია მღრღნის. მგონია, იმას არ ვაკეთებ, რასაც უნდა ვაკეთებდე. მეჩვენება, რომ ჩემ მიერ დაყენებული კრიტიკის კორიანტელი უშედეგო წყლის ნაყვია და მეტი არაფერი. გაკრიტიკებული ხომ სამუდამოდ შეგვიწყვეტს „გამარჯობას“ და ბევრს ეჩვენება, რომ ამა თუ იმ მწერალზე კრიტიკული წერილის წერას ვილაც მავალებს, რომ ზემოდან მართული კაცი ვარ. აბა, რანაირად შეიძლებაო, – ერთხელ მთვრალმა ოთარ მამფორიამ მითხრა: ლიტერატორმა კაცმა პროფესიად სხვა ლიტერატორის გაკრიტიკება გაიხადო. ვთქვათ, კაცმა სუსტი ნაწარმოები დაწერა, ვინ გკითხავს შენო, შენთვის ხომ არაფერი დაუშავებია, შენთვის ხომ არაფერი წაურთმევიანო.

ეჭვი ერთმა შემთხვევამაც განმიმტკიცა: გავაკრიტიკე პოეტი შაქრო სამადაშვილის ლექსები. ბატონ შაქროს მაშინ არ ვიცნობდი, მისი ახალი წიგნი შევიძინე და გავაკრიტიკე. ისე ვიყავი შემართული, რომ ვისი წიგნიც არ უნდა შემიძინა, უნდა გამეკრიტიკებინა, სისულე-

ლეა, აბა რა არი. დაიბეჭდა წერილი. ერთი თვის შემდეგ მწერალთა კავშირში რალაც ღონისძიება იყო, ფოიეში ვიდექი და ნაპოლეონის ძეგლის მაკეტს შევცქეროდი. ვილაცამ მხარზე ხელი დამადო. მოვიხედე, ჩემ წინ მაღალი, გამხდარი შავგვრემანი კაცი დგას.

– რეზო მიშველაძე შენ ხარ?

– დიან-მეთქი, თავი დავუქნიე.

– გავიდეთ ერთი ბაღში, შენთან სალაპარაკო მაქვს.

გავედი და ფიჭვის ძირას ძელსკამზე ჩამოვჯექით.

– შაქრო სამადაშვილი ვარ, – ჩაახველა და განზე გაიხედა, – მიცნობ, რეზო, შენ მე? დამიშავებია რამე შენთვის?

– რას ბრძანებთ, ბატონო შაქრო, რა უნდა დავგეშავებინა ჩვენ ერთმანეთისთვის-მეთქი, – უკვე ვიცი, რისთვისაც სურდა ჩემთან ლაპარაკი.

– აბა, რა გინდა, ძმაო, ჩემთან, რას დამჩხავი ყვავივით. შენხელა ჭრილობები მაქვს, ბიძია. შენ რომ დაიბადე, მე გაყინულ აკოპში ვეგდე და გერმანელებს ტყვიას ვესროდი. შენსავით პიონერთა სახლებსა და ოქტომბრელთა ბანაკებში კი არ გავზრდილვარ. რა გინდა? ჩემს ჭიას ვახარებ, ჩემი გაჭირვება მეყოფა. ვჯღაბნი რალაც რალაცებს. მე თვითონ კარგად ვიცი, რომ ერთი საშუალო პოეტი ვარ, მაგამ, ვეჩხირები ვინმეს თვალში? არ მგონია, შენ ისეთი სულელი იყო, რომ ფიქრობდე, შაქროს თუ კარგად გავაკრიტიკებ, უკეთეს ლექსებს დაწერსო. მე ესა ვარ, რაც ვარ. შენ გგონია, ამ შენი კრიტიკის მერე უკეთესი პოეტი გავხდები? შენ გგონია მე არ განვიცდი, რომ არც გალაკტიონი ვარ და, თუ გინდა, არც ლადო ასათიანი? დამიგდე ყური: კრიტიკა იმას სჭირდება, ვისაც დიდი ნიჭი აქვს, კარგი პოეტია და ხანდახან სუსტ ლექსს გამოურევს. იმას უნდა შესძახო, იმას უნდა დასჭყვივლო, ის უნდა შეაფხიზლო, იმას უნდა გაუწყნო, თორემ მე, გინდა მაკრიტიკო და გინდა, ბოდიში მომიტხოვია, ერთ ადგილას ნიშადური ამომისვა, რაცა ვარ, ეგა ვარ.

ბატონ შაქროს მეტი არაფერი უთქვამს, არც მე დამიწყია თავის მართლება, ის კაცი ცამდე მართალი იყო.

მერე პროზაიკოსების გაკრიტიკება დავინწყე. ბატონი შაქროს რჩევა იმაში გამომადგა, რომ ლიტერატურულ სამიზნედ შედარებით გახმაურებულ მწერლებს გავიხდინე ხოლმე.

თანამედროვე ქართულ პროზაზე სულ რამდენიმე წერილის დასტამბვა მოვასწარი და წამოვიდა ჩემს თავზე პასუხების ნიაღვარი.

არათუ საფუძვლიანად გაკრიტიკებას, მცირეოდენ შენიშვნებსაც ვერ იტანდნენ თურმე ლიტერატურული ელიტის წარმომადგენლები.

„ვის უბედავ!“ – ეს იყო ძირითადად, ჩემთვის გაცემული ყველა პასუხის ქვეტექსტი, ხოლო ერთმა პროზაიკოსმა, რომელსაც შევკადრე, ესა და ეს ნაწარმოები ცოტა არ იყოს გაჭიანურებულა-მეთქი, სასაცილოდ ამიგდო და დანერა: ერთი დამიხედეთ ამ ახალ-გამომცხვარ მეტროსო, თურმე მხატვრული ნაწარმოებების ზომაც მიშველაძემ უნდა დაგვიდგინოსო. კიდევ კარგი ტოლსტოის დროს რომ არ დაიბადა, თორემ ხომ შეამცირებინებდა ლევ ნიკალაევიჩს „ანა კარენინასო“.

არ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე, რედაქტორები, რომლებიც აქამდე ხელგამლით მხვდებოდნენ, ვგრძნობ, უკვე გამიბიან. არა და, გაზეთი თუ ჟურნალი ვერ გადამიშლია, რომ შიგ პასკვილი არ იყოს ჩემზე, როგორც „ყველაფრის განმაქიქებელ“, „ცხვირაბზუებულ“ „ლიტერატურულ კრაზანაზე“.

არც ვაცეი და არც ვაცხელე და მწერალთა კავშირის მდივანს – ბესარიონ ჟღენტს მივადექი. ბატონი ბესარიონი უნივერსიტეტის მწერალთა წრიდან მიცნობდა. იგი, მოგეხსენებათ, ამ წრის დამაარსებელი გახლდათ და მისი წასვლის შემდეგ, 1974 წლიდან წრეს მე ვხელმძღვანელობდი.

ბატონო ბესო, თქვენ რომ ობიექტურ, მეზრძოლ, სამართლიან კრიტიკას გვიკადაგებთ, ხომ უნდა დამიცვათ, გამოემეკიდნენ გაკრიტიკებული მწერლები და ლობეში გაჩრილი გოჭივით წინიდანაც მსკეპლავენ და უკნიდანაც-მეთქი.

ამ შედარებაზე ბესომ ბევრი იცინა. მერე უცებ დასერიოზულდა, წამოდგა, მომიახლოვდა, მხარზე ხელი დამადო და მითხრა: „რეზო, დაგპატიჟა შენ ვინმემ ქართულ მწერლობაში? დაგავალა ვინმემ კრიტიკოსობა! არა ხომ? შენს თავს შენ თვითონ გადაუწყვიტე ასეთი სვებედი. შენ ხომ იმიტომ წერ, რომ არ შეგიძლია, არ წერო. აბა, ჩემგან რა გინდა, შე კაი კაცო. მე თვითონ ჩემი თავი ვერ დამიცავს, შენ რანაირად უნდა დაგიცვა. ასეა ეს. ესაა ლიტერატურული ცხოვრება, ზოგი გაგლანძღავს, ზოგი მადლობელი დაგიჩრება. ისე დიდი იმედი ნუ გექნება, რომ დაფნის გვირგვინით შეგიმკობენ შუბლს. კრიტიკოსობა ბელინსკის სამშობლოშიც უმადური პროფესია იყო და საქართველოში მით უმეტეს. ვის უნდა შენიშვნა კი არა, თუნდაც მცირეოდენი რჩევა, ყველას გენიოსი ჰგონია თავიო“.

ეს საუბარი გუშინდელივით მახსოვს და ალბათ, ბატონი ბესოს გულახდილობამაც დიდი გავლენა მოახდინა ჩემს ლიტერატურულ ბედზე.

იმ დროიდან გამუდმებით ვფიქრობდი ლიტერატურული კრიტიკის დანიშნულებაზე, კრიტიკოსის ადგილზე, საერთოდ, ლიტერ-

ატურულ ცხოვრებაში. იმდენად მანუხებდა კრიტიკოსის ფუნქციის განსაზღვრის პრობლემა, რომ მოგვიანებით უკვე უნივერსიტეტის თანამედროვე ლიტერატურის პროფესორმა დავწერე სახელმძღვანელო: „მხატვრული ნაწარმოების შეფასების პრინციპები“.

კრიტიკული სტატიების წერას თანდათან მოუწყველი. ოღონდ ძველებურად ლიტერატურის ერთგული მკითხველი ვიყავი და შეიძლება გულახდილად ვთქვა, ვიტანჯებოდი გრაფომანთა და ცრუმწერალთა ნიგნების კითხვისას. ახლაც ძველებურად მაღიზიანებს სიყალბე, ლიტერატურული თვალების სრესა (ილია), თვითმიზნური „გამომგონებლობა“, სულელური ორიგინალურობა, გულისამრევი დიალოგები და ა. შ.

„სასადილოში ადამიანები სხვადასხვა მაგიდებს აქა-იქ შემოსხდომიან და თავ-თავიანთ კერძებს შეექცევიან“ – ამოვიკითხე ერთ მოთხრობაში. როგორ არ ვთქვა, რომ სწორედ ეს არის, რასაც არამწერლობა ჰქვია, რასაც არაპროფესიონალიზმი ჰქვია, რასაც ლიტერატურული ფალარათი ჰქვია. წინადადებაში სულ ათი სიტყვაა, გარეგნულად თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ჩაფუკვირდეთ, კბილი გავეუსინჯოთ (ილია). ჯერ ერთი „ადამიანები“ ზედმეტია რადგანაც მაგიდებს ცხოველები არ უსხედან და, მით უმეტეს, სასადილოში. მეორეც „სხვადასხვა“ სრულიად ზედმეტია, როცა არის „აქა-იქ და არც „აქა-იქ“ არის საჭირო, მერე ბუნებრივია, „ადამიანები“ სწორედ თავიანთ „კერძებს შეექცევიან“ უნდა, რაკილა სასადილოში რიკტაფელას სათამამოდ არავინ შედის. ასე რომ, ამ ათი სიტყვის ნაცვლად მწერალს შეეძლო ორად-ორი სიტყვა დაენერა – „სასადილოში ხალვათობა“.

ისე გავხდი ოცდაათი წლის, რომ პროზას ვერ შევბედე. ისე დიდი წარმოდგენა მქონდა ლიტერატურის ამ ჟანრზე, რომ პროზის წერად „თავი არ მეღირსებოდა“. არადა კითხვის დროს, სულ თან მდევდა მტანჯველი ფიქრი იმის შესახებ, რომ ასე კი არა, ასე დავწერდი და, სულო ცოდვილო, მე უკეთ დავწერდი-მეთქი.

ოცდაათ წლამდე მქონდა პატარ-პატარა პროზაული ექსპერიმენტები, მაგრამ ეს ცდები სერიოზულ მწერლობად არასოდეს ჩამითვლია. ასე გასინჯეთ, პანანინა ნოველების წიგნი ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს (1964, „შიგნიდან გატეხილი ცხენ“) გამოვაქვეყნე, მაგრამ არც ის იყო ჭეშმარიტი პროზის კარებზე დაკაკუნება.

ამას წინათ ჩემს არქივს რომ ვალაგებდი, აღმოვაჩინე მეცხრე კლასში დაწერილი ნოველა. ის, რაც იმ ნოველაში ხდება, მთელი ცხოვრება მახსოვს. სხვებისთვისაც ხშირად მიაბნია, მაგრამ დაწერ-

ილი თუ მქონდა, აღარ მახსოვდა: მეცხრე კლასში გახლდი. გლანდების ოპერაცია გამიკეთეს. ჩვენს პალატაში ერთი შუახნის კაცი იწვა – კუჭნაოპერაციევი. ოპერაცია კარგად გადაიტანა, მაგრამ მესამე დღეს გაიპარა საავადმყოფოდან და სამ საათში გახეთქილი მთვრალი საკაცით მოიყვანეს. აღარაფერმა უშველა. გამთენიისას გარდაიცვალა. მიცვალებული მორგში წაასვენეს და ორიოდე საათის შემდეგ პალატაში მისი მოხუცი, ლოყებდახოკილი, ცრემლგამშრალი დედა შემოვარდა, შვილის სანოლზე ხელი მოაფათურა, განსვენებულის პიჟამო, ფოსტლები, მაისური... აბგაში ჩაალაგა, სანოლთან სკამზე ნახევარი ქილა „პადუშკა“ კანფეტი ავადმყოფებს ყოველ საღამოს თითო პეშვს გვირიგებდნენ, ხალათის ჯიბეში ჩაიპირქვავა და გავიდა. ელდისგან და გაკვირვებისგან პალატაში ყველანი ვდუმდით. კარგახნის შემდეგ ჩემ გვერდით მწოლმა ოთარ სინაურიძემ (სწორი ნაწლავის ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული) ამოილაპარაკა: რა არი ადამიანი, თვარა კანფეტი მაინც რამ წაალებინა, ამ ოჯახაშენებულსო.

ეს იყო ჩემი სიყრმის დროინდელი ყველაზე მძაფრი შთაბეჭდილება და პიროვნების ამოუცნობ სამყაროში ცალი თვალთ შეჭვრეტის წამი. ჩანს, ცხელ გულზე ჩავინერე ეს ამბავი, მაგრამ მოგვიანებით რომ გადავიკითხე, არ მივიჩნიე წიგნში შეტანის ღირსად.

სტუდენტობის დროს ერთი ვრცელი მოთხრობა დავწერე, რომელსაც ერქვა „ყველა ვარსკვლავი როდი ანათებს“. მოთხრობა 1963 წელს გახლავთ დაწერილი და მოსწავლეთა ცხოვრებას ეხება. იგი გამომცემლობა „ნაკადულის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსზე წარსადგენად სწრაფად, ორ კვირაში დავწერე. ვიფიქრე, თუ დახურულ კონკურსში გავიმარჯვე, პალტოს ვიყიდი-მეთქი. პალტო არ მქონდა და თბილისის სიცივეში პლაშით დავდიოდი. კონკურსში ვერ გავიმარჯვე. დაბეჭდვის რეკომენდაციაც ვერ დავიმსახურე. სამი წლის შემდეგ გამოსაცემად მაინც წარუდგინე გამომცემლობას. საკონკურსო მოთხრობა რომ იყო, ალბათ, არ ემახსოვრებათ-მეთქი. მართლაც, არ ახსოვდათ, მაგრამ ცხრა მწერალ – არაბულთაგან ერთ-ერთმა ისეთი მკაცრი რეცენზია დამიწერა, რომ ქვეტექსტიდან ჩანდა, არათუ ამ მოთხრობის დაბეჭდვა არ შეიძლება მისი უიდეობისა და ანტისაბჭოთა განწყობის გამო, საერთოდ არ ვურჩევ ავტორს წერის გაგრძელებასო.

წამოვიღე გამომცემლობიდან „ყველა ვარსკვლავი როდი ანათებს“ და ორმოცი წელი უჯრაში მედო. ოდენ 1998 წელს დამიბეჭდა „ცისკარში“ (№2) ზაურ კალანდიამ, რასაც დიდად ვუმადლი.

დიახ, სამ ათეულს რომ გადავაბიჯე, მაშინ დავიწყე ნოველების

წერა და უნდა გენახათ ჩემი გაცემა, რომ სადაც მივიტანე, უყოყმანოდ, უსწრაფესად დამიბეჭდეს („ცისკარი“, „ლიტერატურული საქართველო“, „მნათობი“...).

პრესაში ჩემს ნოველებზე პირველი საქებარი სიტყვებიც გამოჩნდა. წერის დროს საოცარ შემოქმედებით სიამოვნებას განვიცდიდი. თითქოსდა ღმერთი მკარნახობდა. სიუჟეტი გონებაში სანამ ბოლომდე არ ჩამოიქნებოდა, კალამს ხელს არ ვკიდებდი. თუ დავინწყებდი წერას, ბოლომდე გავიდოდი, ფრაზა არ გამიმრუდებოდა. იშვიათზე იშვიათად გადავწერდი ხოლმე „შავს“ და ისიც ერთადერთჯერ.

ახლაც ასეა.

1971 წელს, ნახალწლევს, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ მიხმო. ვერაფრით ვერ გამოვიცანი, რისთვის მეძახდა.

ათი დაბეჭდილი ნოველა მომიტანე, წიგნად გამოგიცემო.

მეორე დღესვე ვახსლეთ.

ჩანთაში ჩაიდო, მე თვითონ წავიკითხავო.

სამ დღეში ისევ მიხმო.

ამის გარდა, რაც გაქვს ნოველა (იყოს დაუბეჭდავი), ყველა მომიტანეო.

დავუმატე 12 ნოველა.

მეტი არ მქონდა დაწერილი.

ორ თვეში გამოვიდა ჩემი ნოველების პირველი წიგნი პრეტენზიული სათაურით „ნოველები“.

მერე და რა გამოცემა იყო, არ იკითხავთ?! სუპერთ, სურათით, მაგარი ყდით, 20000-იანი ტირაჟით...

კრებულში ოცდამეორე ნოველა იყო უკლებლივ დაბეჭდილი.

დებიუტანტი პროზაიკოსი უფრო დიდ პატივისცემასა და ყურადღებას ვერ წარმოვიდგენდი.

ასე გახდა ნოველა ჩემი ლიტერატურული საქმიანობის მთავარი ჟანრი.

ნოველით ვიპოვე ჩემი თავი მწერლობაში.

ორმოცი წელია ნოველებს ვწერ და სხვა პროზაული ჟანრისკენ (მოთხრობა, რომანი, ამბავი...) არც კი გამიხედავს.

ნოველა ჩემი ლიტერატურული პოზიციის კერპი ან ამოჩემებული საქმე კი არ არის, იგი ჩემი სტილია. ასე მგონია, სქელტანიან ჟანრს, ვთქვათ რომანს, რომ მიემართო, ისიც ნოველების კრებული გამომივა-მეთქი. რაკილა მე ვარ ადამიანის ცხოვრების ერთი საინტერესო ეპიზოდის მოთხრობელი, თანაც ისეთი ამბისა, რომელიც

მოულოდნელი ფინალით მთავრდება. თუ ნაწარმოების დასასრულით მკითხველის გაოცებას ვერ შევძლებ, რა აზრი აქვს მწერლობას, შეგიძლია წერო და წერო... გააგრძელო დაუსრულებლად. მოკიდო ხელი მთავარ პერსონაჟს და ატარო აღმა-დაღმა, როგორც ეს გრაფომანთა უთავბოლო რომანებშია.

ორმოცი წლის განმავლობაში ნოველების 20 ტომი გამოვაქვეყნე (დაახლოებით, 600 ნოველა). ჩემი ნაწარმოებების წიგნის თაროს რომ შევხედავ, შემეშინდება ხოლმე, ნუთუ ეს ყველაფერი ჩემი დაწერილია? და თუ ჩემი დაწერილია, როდის მოვასწარი?

თუ გნებავთ, ჩამომართვით ტრაბახში (ანი ამას ჩემთვის მნიშვნელობა აღარა აქვს); ჩემს შემოქმედებაზე დაწერილია 250-ზე მეტი სტატია, 6 წიგნი და დაცულია 2 დისერტაცია.

ნოველები თარგმნილია 19 ენაზე, ხოლო ცალკე წიგნებადაა გამოცემული ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ, ესპანურ, ბულგარულ, უკრაინულ, სპარსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ვიეტნამურ, იაპონურ, ებრაულ და აფხაზურ ენებზე.

მიღებული მაქვს საქართველოში არსებული ყველა სახელმწიფო და ლიტერატურული პრემია, მაგრამ ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილს მიჩვენებია, სრულიად ახალგაჯობილი, შემთხვევით ამგზავრებული კაცი რომ ჩემი ნოველის სიუჟეტს მომიყვება, ან ციხიდან პატიმარი წერილს მომწერს; ბატონო რეზო, ამ ბარათს რუსთავის კოლონიიდან გწერთ. ბიბლიოთეკაში თქვენი ნოველების ერთადერთი წიგნი გვაქვს და ბევრი კითხვისგან ისეა დაჩონჩხილი, ლამის ხელში შემოგვადნეს. თუ შეიძლება, თქვენი რამდენიმე ბოლო წიგნი გამოგვიგზავნეთ. დარწმუნებული ბრძანებოდეთ, პატიმრობის მძიმე წლებს გადაგვატანინებსო.

ხშირად მეკითხებიან, როგორ ვწერ, როგორ იბადება სიუჟეტი, რა როლს თამაშობს ჩემს შემოქმედებაში რეალობა...

რასაკვირველია, ჩემთვის მთავარი წყარო ცხოვრებაა. სინამდვილეზე დაკვირვება, უფრო სწორად, ყელამდე ფლობა ყოველდღიურ მოვლენებში, მაძლევს უხვ მასალას, მაგრამ აქვე უნდა გავუსვა ხაზი, რომ მე არ ვხატავ სინამდვილეს, როგორც არის იგი. ცხოვრებისგან მოწყვეტა და საკუთარ კაბინეტში ჩაკეტვა ხომ დამღუპველია მწერლისთვის (არაერთ ჩვენს თანამედროვე მწერალს ნაატეხინა კისერი), არც რეალობის ლიტერატურული ფოტოგრაფირებაა წარმატების მომტანი. ნატურალიზმი მწერლობაში ფრიად მოსაწყენი რამ არის.

ცხოვრებაში იშვიათია სანოველო სიუჟეტი. არის, როგორ არ არის

უალრესად შთამბეჭდავი, მოულოდნელობით აღსავსე ამბები, მაგრამ თუ ზუსტად მომხდარს მივმართავ, მას აუცილებლად დოკუმენტურ ნოველას ვარქმევ. დოკუმენტური ნოველა საინტერესოა ჟანრია და, რასაკვირველია, მოქალაქეობრივი არსებობის უფლება აქვს. უფრო მეტიც, იგი მკითხველთა ცხოველ ინტერესს ინვესტს სწორედ თავისი დოკუმენტურობის გამო. ამას წინათ გამოვეცი დოკუმენტური ნოველების საკმაოდ სქელი წიგნი და ელვის სისწრაფით გაიყიდა.

თუმცა დოკუმენტური ნოველა მაინც არ არის ნოველის ის კლასიკური გზა, რომელსაც ვერთგულებდი მთელი ჩემი სამწერლო სიცოცხლის განმავლობაში. ნოველას მკვეთრად ჩამოყალიბებული ჟანრული სახე აქვს და მე ერთი მხრივ ყოველთვის ვიცავდი ნოველის ჟანრულ კანონებს, მეორე მხრივ კი ვცდილობდი, რაღაც ჩემიულის, ორიგინალური შემეტანა მასში.

ცხოვრება გაძლევს ფაქტს. ეს ფაქტი იმპულსია შემოქმედებით პროცესის დასაწყებად, მაგრამ სწორედ აქ არის საჭირო მწერალი. შენ უნდა შეალამაზო, შემოაბრუნო ცხოვრებისეული ფაქტი ისე, რომ იგი ნოველად აქციო. თუ ეს ვერ შეძელი, მშრალი ფაქტის მხატვრული აღნუსხვა შეგჩნდება ხელთ, მაგრამ ეს არ იქნება ხელოვნება. ხელოვანი სრულიად ახალ, ესთეტიკურ სინამდვილეს ქმნის და ხელოვნების ეს უპირველესი პრინციპი ყველას უნდა ახსოვდეს.

თუ მოსაწყენად არ მოეჩვენება მკითხველს, რამდენიმე შემთხვევას გავისხენებ, თუ როგორ ვაქციე ცხოვრებისეული ფაქტი სანოველო სიუჟეტად:

ზაფხულია, ცხელა. კარი ჩემმა მეგობარმა ნოდარ სივსივაძემ შემოაღო. სანამ რამეს იტყოდა, მაცივარს ეცა. წყლიანი ბოთლი მიიყუდა და თითქმის დაცალა.

– სად იყავი, ბიჭო, ასე აქლემივით რამ მოგანყურა წყალი-მეთქი, ვკითხე.

- კიტა ბუაჩიძეს დავყვები დილიდანო.
- რა საქმეზე დადიხარ, თუ საიდუმლო არ არის-მეთქი.
- ფულს ვარიგებთო.
- ვის ურიგებთ-მეთქი? – გამეცინა.
- ღარიბებსო.

ისევ გამეცინა, ამჯერად იმ კაცის სიცილით, რომელსაც თავისი თვალთაც რომ ენახა ბატონი კიტასა და ნოდარის ეს უცნაური საქმიანობა, მაინც არ დაიჯერებდა.

ჯერ ერთი, ნოდარ სივსივაძე უღარიბესი კაცი იყო და ახლაც ასეა. არ ენყინება, თუ გავამხელ, რომ უმეტესწილად ჩემი ნაფეშქა-



შევი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ეცვა. არც მხცოვან მწერალს – კიტა ბუაჩიძეს გადასდიოდა ქონი თავზე. ისიც საკმაოდ ხელმოკლედ ცხოვრობდა.

გაირკვა, რომ ბატონ კიტას დაუგროვებია ბოლო ოცი წლის განმავლობაში აღებული ჰონორარები. ჩაუნყვია ცალ-ცალკე რამდენიმე კონვერტში, ჩამოუნერია ქალაქის სხვადასხვა უბანში მცხოვრებ უღარიბეს მოქალაქეთა სია და გადაუნყვეტია, მათთვის ხელის გასამართად ფული შინ მიეტანა. თან, თურმე, გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად, ნოდარ სივსივაძე იახლა.

კეთილშობილება და ქველმოქმედება უფრო შორს ვერ წავა. ხომ ისედაც დიდ პატივს ვცემდი ბატონ კიტას და ამ საქციელით უფრო ამაღლდა ჩემს თვალში.

გადის ერთი დღე, მეორე, ეს უანგარობა ტვინს მიბურღავს, როგორ შეიძლება ლიტერატურას დაუუკარგო ასეთი ფაქტი, მაგრამ იგი მაინც არ არის საკმარისი ნოველის შესაქმნელად. ამ ამბავს რაღაც სჭირდება, რომ ნოველის სიუჟეტად ჩამოიქნას, ვიფიქრე და უეცრად მოვარდა ის, რაც ნოველას სჭირდებოდა.

ღარიბი კაცის მიერ მასზე ღარიბისთვის ფულის მიტანის პასაჟს მოჰყვა სხვა ამბავი: ვისაც ნოველის გმირმა ფული მიუტანა, მან არ დაიჯერა ეს უნაპირო სიკეთე. დაეჭვდა კაცი. რაღაცაშია საქმე, ან ჩემგან რაღაც სჭირდება, ან ეს ფული მთავრობამ გამოატანა ჩემთან და, ვინ იცის, იქნებ „მომიტეხა“ კიდევ ფულის ნაწილიო. „ქალაღდი რამე, კვიტანცია არ მოჰყვა იმ ფულსო?“ ჯიუტად ეკითხება სტუმარს და ბოლოს უჩივლებს კიდევ. სიქველე ნოველის გმირს ისეთ თავსატეხად შემოუბრუნდა, რომ თავის მოკვლაც კი გადაწყვიტა, მაგრამ ერთმა ბედნიერმა ნამმა იხსნა.

ესაა, რაც ბატონი კიტას საქციელს წაუფრატე. მერე კრიტიკოსებმა დაწერეს; ამ ნოველაში დახატულია XX საუკუნის მეორე ნახევრის მოქალაქის ურთულესი ბუნება, კაცისა, რომელსაც ქველმოქმედებისა თითქმის აღარ სჯერაო!

იქნებ, მართლაც ასე იყოს. ყოველ შემთხვევაში, წერის დროს მე ამაზე არ მიფიქრია.

ერთხელ შოთა ნიშნიანიძე მეუბნება: შენთვის გენიალური სანოველე მასალა მაქვსო.

აბა, აბა-მეთქი? –სმენად ვიქეცი.

სასაფლაოს გვერდით მცხოვრებმა კაცმა, თავისი ეზო საფლავის მიწებზე ნაწილ-ნაწილ დაჰყიდა და ბოლოს სასაფლაო ზედ კიბეზე მოადგაო.

მართლაც, შთამბეჭდავი დეტალია. კაცთა სიხარბისა და ჩვენი დუხჭირი ცხოვრების ცხადყოფი, მაგრამ ეს ნოველის სიუჟეტი მაინც არ არის. ნოველას მოულოდნელი ფინალი სჭირდება. აი, ისიც: ერთ დღეს თავისი ეზოს საფლავის მიწებზე გამყიდველი კაცი, თავის სანოლთან მკვდარი იპოვეს. მეზობლებს თავსატეხი გაუხდათ, სად დაასაფლავონ? ადგილი აღარ არის და ბოლოს, გადაწყვიტეს კაცი, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე სხვის საფლავებს დარაჯობდა და საფლავის მიწებს ჰყიდიდა, მოშორებით, ქალაქის ახალ სასაფლაოზე დაასაფლავონ. ნოველას „უსაფლავო კაცი“ დავარქვი.

ქუთაისში მივდივარ ამას წინათ სამარშრუტო ტაქსით და ერთი ოთხმოცს მიტანებული ქუთაისელი დამემგზავრა. უსაზღვრო სიამოვნებას მგერის ქუთაისური კილო, მაგრამ ეს ჩემი თანამგზავრი სიტყვაძუნნი აღმოჩნდა. საიდან არ მოვუარე, რა შეკითხვა არ დავუსვი, მაგრამ სამი-ოთხი წინადადებით მპასუხობდა, როგორც ჟურნალისტისაგან თავგაბეზრებული რესპოდენტი. ერთი ამბავი მაინც დავტყუე. ერთხანს ცირკში (ქუთაისში თითქმის ყოველ წელიწადს ჩამოდიოდა მოსკოვის ცირკი საგასტროლოდ) ვმუშაობდი ცხოველების მომვლელ-დარაჯადო. ბუგრიმოვას ერთი ბებერი ლომი ჰყავდა, რომელიც ძლივს დადიოდა. სცენაზე აღარ გაყავდაო. ძალიან მომეჩვია ეს ლომი და რომ მიდიოდნენ, ვთხოვე, მოეყიდათ ჩემთვის, მაგრამ უარი მითხრესო.

მთელი ღამე არ დამაძინა ამ ამბავმა... და მეორე დღეს, იქვე, ქუთაისში დაიბადა ნოველა „ლომი“. სიუჟეტი ასეთი გახლავთ: არუქეს დარაჯს ბებერი, ცირკისთვის გამოუსადეგარი ლომი და აი, ქუთაისის ქუჩებში დააბიჯებს უცნაური მოქალაქე, რომელიც მოკლე საბლით, არც მეტი არც ნაკლები, ლომს დაატარებს. სადაც შევიდა, ქუთაისელი ჩინოვნიკები თვალის დახამხამებაში უსრულე-ბენ ყოველგვარ თხოვნას, ოღონდ ჩქარა გაშორდეს ლომიანი კაცი იმ ტერიტორიას. სამსახურიც იშოვა ლომის წყალობით, პოპულარულიც გახდა (სკოლებიდან მასთან ექსკურსიაზე დაჰყავთ მოსწავლეები ლომის სანახავად...) ბოლოს ლომი სიბერისგან გარდაიცვალა და... მეორე დღესვე ლომის პატრონიც მოსვენს თავის ადგილზე. მისი უკვე აღარც ეშინიათ და, შესაბამისად არც ხათრი აქვთ...

„ოპერაცია ტელევიზორში“ მომხდარი რეზო ჭეიშვილს მართლა გადახდა. ქუთაისში ტელევიზორი მომპარეს და მსოფლიო ჩემპიონატს მეზობელთან ვუყურებო, შემომჩივლა ერთხელ. მერე? არ განაცხადე პოლიციაში-მეთქი? – ვკითხე. განვაცხადე მარა, რად გინდა, ოთხი გამომძიებელი მთელი კვირა მეჯდა სახლში. ჯერ ერთი,

მაგათ გამასპინძლებაზე იმდენი ფული დამეხარჯა, სამ ტელევიზორს მიყიდიდა. მეორეც, სახლიდან გარეთ არ გასულან, სამჯერ ამიღეს თითის ანაბეჭდები და კინალამ მე გამომაცხადეს ჩემი ტელევიზორის ქურდადო. დაწერე, მზა სიუჟეტია-მეთქი, – შევთავაზე. იცი რა, მე რომ დავწერო, ვაითუ ეწყინოთ პოლიციელებს, მოდი, შენ დაწერეო. მე კი რეზო ჭეიშვილის ტელევიზორის ამბავი ასე გავაგრძელე: პოლიციელები რომ გაისტუმრა, ნოველის გმირმა თვითონ გამოიძია ტელევიზორის ქურდობის საქმე, სამი დღის შემდეგ შინ მიაღვა დამწყებ (უკანონო) ქურდს კონსტანტინე დადიანს და ამ უკანასკნელმაც მიკიბვ-მოკიბვის გარეშე დაუბრუნა ტელევიზორი.

ერთმა ჩემთვის ფრიად პატივსაცემმა მხატვარმა დამხატვა. ჩემი პორტრეტის შექმნას სულ ხუთიოდე სეანსი დასჭირდა. მეხუთე დღეს პორტრეტი შემიხვია და შინ გამომატანა.

კედელზე ჩამოვკიდე.

მეც და ჩემი ცოლ-შვილიც აშკარად ვხედავდით, რომ პორტრეტი ყველას ჰგავს ჩემ გარდა, მაგრამ არაფერს ვამბობთ. მხატვრობაში ათასი მიმდინარეობა და სტილია, ის კაცი, ალბათ, ასე მხედავს-მეთქი, – ვფიქრობ. ცოლ-შვილი? თუმცა ისინი მხატვრის აუგს როგორ გამიბედავენ.

ჩემი მეგობარი გურამ თავდიშვილი მეწვია.

უყურა, უყურა ჩემ პორტრეტს და ბოლოს მითხრა: დარწმუნებული ვარ მხატვარს შეეშალა და სხვისი პორტრეტი გამოგატანაო. სანაძლეოს ჩამოვალ, თუ ასე არ იქნებაო.

მურმანის ამ ნათქვამმა ბიძგი მომცა, რომ დამეწერა ნოველა სათაურით: „როგორ იბადება ნოველა“. მოქმედება პარიზში ხდება, ორი მეგობარი – საშუალო ნიჭის მხატვარი და საშუალო ნიჭის მწერალი თავიანთი უღიმღამო ღარიბული ცხოვრებით ცხოვრობენ. მხატვარმა დახატა მეგობარი მწერლის პორტრეტი. რასაკვირველია, ვერ გაყიდა და ბოლოს მწერალს უთხრა – შედი ჩემს სახელოსნოში, კარს უკან, მარცხნივ, შენი პორტრეტია. შენ მაინც წაილე, არ დამეკარგოსო! მოაქვს მწერალს პორტრეტი. გზაში ცნობილი ხელოვნებათმცოდნე შეხვდა. ნახე, რა კარგად დამხატვა ჩემმა მეგობარმა. გული მწყდება, რომ ასეთი ნიჭიერი მხატვარია და დაუფასებელიო. ახლა, ქუჩაში ნუ გაშლიო, ხელოვნებათმცოდნემ, წავიღებ შინ და გულდასმით დავათვალიერებო. ორი კვირის შემდეგ პარიზის სამხატვრო აკადემიაში გამოჩნდა სტატია: „ახალი მიმდინარეობა თანამედროვე პორტრეტისტიკაში“ ... წავიდა და წავიდა. პორტრეტი სხვა გამომცემლებმაც გადაბეჭდეს. საშუალო ნიჭის მხატვარი ერთბაშად

პოპულარულ მხატვრად იქცა. გამოფენები... დიდება... ფული. ერთ დღეს მხატვარი და მისი მეგობარი მწერალი ეტლით მოდიან. იცი თუ არა, რომ შენ იმ დღეს სხვისი პორტრეტი წაგიღიაო. ვიციო, მიუგო მეგობარმა და ორივემ გულიანად გაიცინა.

ასე იბადება, ასე ირანდება, ასე ჩამოყალიბდება ნოველის სიუჟეტი. არ ვიცი, სხვები როგორ წერენ, მაგრამ ჩემი შემოქმედებითი ლაბორატორია ასეთ მუშაობას (შემოქმედებისთვის ძალიან ტლანქი სიტყვა ხომ არ არის?) გულისხმობს.

როგორც კი ამბით დავიმუხტები, იწყება უაღრესად მტკივნეული პროცესი, იმ ამბის ნოველის სიუჟეტად გარდაქმნისა. შეიძლება ითქვას, დღედაღამ იმ სიუჟეტზე ვფიქრობ, ვწერ, ვაშალაშინებ გონებაში. ბოლოს, თითქმის ჩემთვის მოსაწონი ფორმა და თითქოს სიზიფეს ტვირთი მომეხსნაო, ვმშვიდდები. ზღაპრული ხარისთვის რქებში ხელი უკვე ჩავლებული მაქვს, მერე ყველაფერი ტექნიკის საქმეა. თუმცა ისეც მომხდარა, რომ დამინყია ნოველა, შუამდე მივსულვარ და უეცრად აღმომიჩენია, რომ ფინალი, რომელიც მოფიქრებული მაქვს, სიუჟეტის განვითარებას არ მიესადაგება. მიმიტოვებია წერა და ხშირად ორი-სამი თვე მიფიქრია სიუჟეტის ჩემთვის სასურველ წერტილზე.

საზოგადოებაში ყოფნის დროს მე უფრო მოლაპარაკე კაცი ვარ, ვიდრე მსმენელი. ეს ჩემდაუნებურად ხდება. ჩანს, ასეთი ხასიათი ჩამომიყალიბდა. წინასწარ გაუაზრებლად ვიწყებ აქტიურობას და მერე, რომ იტყვიან, სიტუაციის ბატონ-პატრონი ვხდები ხოლმე. ამ სიბერეში, მით უმეტეს, სხვები მაშინვე გაჩუმდებიან და, ჩემი განზოგადებული ცხოვრების გადამკიდეს შეკითხვებს დამაყრიან ხოლმე („გვეშველება რამე?“ „როგორ იქნება ჩვენი საქმე, ბატონო რეზო?“). მეც, იძულებული ვარ, ვიღალადო, ვიკითხო ლექცია, ვინინასწარმეტყველო რალაც-რალაცები ჩემი შეზღუდული ცოდნის პოზიციებიდან. სიმართლე გითხრათ, ეს როლი ძალიან არ მსიამოვნებს. მირჩევნია სხვებს ვუსმენდე, ვაკვირდებოდე... მე ხომ გამუდმებით ვმუშაობ. თუ საინტერესო ამბავს, იშვიათ სიტყვას მოვკრავ ყურს, მაშინვე ბლოკნოტს ამოვიღებ და ჩავინიშნავ. ვაკვირდები ადამიანთა სახეებს, სიარულის მანერას, მეტყველებას... ჩემი უბის წიგნაკი კი სავსეა ასეთი „მასალებით“. მერე, წერისას ზოგიერთ მათგანს ვიყენებ ხოლმე, ზოგი კი სამუდამოდ რჩება უბის წიგნაკში.

რაც შეეხება პოლიტიკურ აქტიურობას, რის შესახებაც ხშირად მეკითხებიან და ზოგიერთი პოლიტიკაში ჩემს ყოფნას მწერლობისთვის წართმეულ დროდაც კი მითვლის, მე ამაზე ჩემი აზრი მაქვს.

ჭემმარიტი მწერალი განმარტოებით ბუჩქებზე მაგალობელი ბულბული კი არა, უპირველეს ყოვლისა, თავისი ქვეყნის, თავისი ერის ჭირისუფალია. იქნებ ზოგჯერ თავი მოაჩვენოს ქვეყანას „ხან უგურად და ხან ბრძენად“, მაგრამ ერთი წუთითაც არ უნდა დაავინწყდეს, რომ მას „ცა ნიშნავს და ერი ზრდის“, რომ მას ნიადაგ ხელში უნდა ეჭიროს თავისი ხალხის მფეთქავი მავა და, თუ საჭირო გახდა „ნარუძღვეს წინა ერსა“.

ამ შეგნებით ვიცხოვრე და ამ შეგნებითვე ჩავალ საფლავში. ჩემი ქვეყნის საგუშაგოზე, მე მგონი, მეც ერთ მეცხოვრებელ ვიდექი. არასოდეს უკან არ დამიხევია ეროვნული პოზიციიდან. ჩემი უამრავი პუბლიცისტური წერილი და ინტერვიუ, საზოგადოებრივ ასპარეზზე ჩემი ტრიალ-წრიალი, არის ალბათო, დასტური იმისა, რომ როგორც შემეძლო, ისე ვემსახურე ქვეყანას.

პარლამენტის წევრობის კანდიდატად რომ დამასახელეს, ცოტა არ იყოს, შემეშინდა, ვაი, თუ უფრო მეტს ხედავენ ჩემში, ვიდრე სინამდვილეში შემოძლია-მეთქი. ვაითუ პარლამენტარობამ, ჩამომაცილოს ჩემს უმთავრეს მოწოდებას – მწერლობას-მეთქი. მივედი და რჩევა ვკითხე ჩემს უახლოეს მეგობარს – ლევან სანიკიძეს.

სწორედ ლევანმა მირჩია პარლამენტში შესვლა. დღესო, – მითხრა ლევანმა, ხელისუფლებამ მწერალს ტრიბუნა თითქმის წაართვაო. წიგნი მცირე ტირაჟით იბეჭდება და ცოტა კითხულობსო, რადიო-ტელევიზიაც გაგვიგულგრილდა მწერლებსო, პარლამენტის ტრიბუნა ჯერჯერობით მაინც ავტორიტეტიანი პოლიტიკური ტრიბუნაა და იქედან უფრო გააგებინებ ქვეყანას ქართველი მწერლის სათქმელსო.

პარლამენტში ყოფნის ხუთი წლის (1999-2004) განმავლობაში იმდენი ვიყეფე, თუ ხშირად ყრუ კედელს ვანყებობდი და, პრაქტიკულად, ბევრი ვერაფერი შეეძელი, იმდენი მაინც მოვახერხე, რომ ჩემი ერი შევალვიძე და ხელისუფლებისაგან განწირული ეროვნული ფენომენისკენ ყურადღება გავაფხავებინე. ვინც არ დამიჯერებს, ვთხოვ წაიკითხოს პარლამენტში ჩემი გამოსვლების კრებული – „ოთხი საპარლამენტო წელი“.

აქვე უნდა შევნიშნო, რომ ჩემს ლიტერატურულ საქმიანობასაც წაადგა ჩემი პარლამენტში ყოფნა. ცხოვრებას უკეთ გავეცანი. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ხელისუფალთა უმეტესობა თავისი სკამის შენარჩუნებას ცდილობს და არსად დედამიწაზე ჯერჯერობით უბრალო ხალხზე მზრუნველი მთავრობა არ მოსულა.

რაც შეეხება სალიტერატურო კრიტიკას, ყოველთვის გული-

სყურით ვეკიდები, სიამოვნებით ვკითხულობ და მიმაჩნია, რომ კრიტიკოსი ლიტერატურას შეწირული, უანგარო კაცია (ჭემმარიტი კრიტიკოსზე მოგახსენებთ). არავინ იფიქროს, რომ კრიტიკა ლიტერატურული „მომსახურების სფეროს“ წარმოადგენს, პირიქით, იგი ეპოქის თავისებურების შესაბამისად ზოგჯერ ჭემმარიტების ლამპრით წინ უძღვის ხოლმე მწერლობას და მას საეჭვო ქარბორიებისაგან იცავს. ლიტერატურული კრიტიკა ოდენ მეცნიერული კი არა, სწორედ ლიტერატურული ჟანრია (თუ გნებავთ, სანახევროდ მეცნიერული და ნახევრად ლიტერატურული).

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩემს შემოქმედებაზე დაწერილი უამრავი წერილის უკლებლივ ყველა ავტორს გულწრფელი მადლობა მოვახსენო. მათი გამხნელება თუ მეგობრული რჩევები ყოველთვის სულს მითბობდა და ახალი ნაწარმოების შესაქმნელად მაგულიანებდა. რაც შეეხება შურისგან გულგახსნილ პასკვილიანტებს (ასეთებიც არ მაკლდა) ხატზე შემოძლია დავიფიცო, რომ ორიოდე გამონაკლისის გარდა, არც ერთი მათგანის „შედევი“ არ წამიკითხავს. მოწმედ ჩემი ერთგული მეგობარი – სოსო სიგუა დამიდგება. ხდებოდა ხოლმე, სოსოს ხელში რომელიღაც „ლიტერატურული გამვლელის“ ახალი გაზეთი ან ჟურნალი უჭირავს და ხვნეშის. „მლანძღავენ?“ – ვეკითხები – „რა დაგიძალო და კი“. გამოვართმევ და ისე რომ ავტორსაც არ ვეკითხები: ურნაში ვაგდებ. ახლა ვხვდები, რომ სწორედ ვიქცეოდი. რატომ უნდა შემძულებოდა კაცი, რომელმაც წლების წინათ ჩემზე, რალაციტ განაწყენებულმა, სისულელე დაწერა. დრო გავიდა. იქნებ წყენამ გაუარა და ახლა სხვაგვარად ფიქრობს. რატომ უნდა ჩავუხერგო ჩემკენ მოსასვლელი გზები. თუ შეხედულება არ შეუცვლია, ღმერთმა მაინც კარგად ამყოფოს, იმ მხატვრისა არ იყოს, იქნებ იგი ასეთად მხედავს და გონებას ხომ ვერ შეიცვლის.

მეცნიერებით ჩემი გატაცება ათეული წლების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციების კითხვას უკავშირდება. უნივერსიტეტში ბატონ სერგი ჭილაიასთან ერთად დავაარსე თანამედროვე ლიტერატურის კათედრა, შევექმენი გალაკტიონის კაბინეტი, მე და სოსო სიგუამ გავხსენით კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტი... ლამის ორმოცდაათი წელი დავყავი უნივერსიტეტში და სიამაყეს მგვრიდა ის გარემოება, რომ ეროვნულად მოაზროვნე ქართველ ინტელიგენტთა გაზრდაში ჩემი წვლილიც იყო. ვფიქრობდი, სანამ პირში სული მიდგას, ვემსახურები ჩემს საფიცარ უნივერსიტეტს-მეთქი, მაგრამ თურმე კაცი ბჭობდა და

ღმერთი იცინოდა. 2006 წელს სააკაშვილის ბრძანებით, ლომაიამ და ხუბუამ პირქვე დაამხეს უნივერსიტეტი, ჩვენი წინააღმდეგობის დასათრგუნად უნივერსიტეტს პოლიცია შემოუსიეს, გააუქმეს ყველა კათედრა, ყველა სამეცნიერო კაბინეტი და უკლებლივ ყველა ეროვნულად მოაზროვნე პროფესორი გამოგვადევნეს უნივერსიტეტიდან... თუმცა ეს სხვა თემაა და სჯობს ისევ იმ საკითხს მივუბრუნდეთ, საიდანაც გაჩნდა მეცნიერება ჩემს შემოქმედებაში.

ხანდახან მგონია, რომ მეცნიერული საქმიანობა ნოველებისგან თავისუფალ დროის შესავსებად გამოვუგონე ჩემს თავს (ამას, რა თქმა უნდა, ნახევრად სერიოზულად მოგახსენებთ). მაგალითად, სტუდენტობის დროს „ნიანგში“ ვთანამშრომლობდი და მაინტერესებდა, „ნიანგის“ გარდა საქართველოში სხვა სატირული ჟურნალები არსებობდა თუ არა. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ასპირანტურაში დამტოვეს და თემად ქართული სატირული ჟურნალისტიკა ავირჩიე. ასე დაიწერა ჩემი საკანდიდატო დისერტაცია: „აკაკის სატირული ჟურნალები“. მოგვიანებით ბევრს ვფიქრობდი ლიტერატურულ ჟანრებზე და ვცდილობდი ამეხსნა, რატომ წერდნენ მოთხრობებსა და რომანებს ლექსად პოეტები, იყო თუ არა აუცილებელი XX საუკუნეში რომანის გალექსვა, მაშინ, როცა უკვე ცალ-ცალკე არსებობდა პროზისა და პოეზიის ჟანრები? ასე დაიწერა ჩემი სადოქტორო დისერტაცია – „თანამედროვე ქართული პოემა“.

მეცნიერებაში შეტანილ ჩემს ასე თუ ისე მნიშვნელოვან წვლილად „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის სრულყოფისთვის ჩემი გარჯა მიმაჩნია, რისთვისაც აკადემიკოსებმა ლამის ჯვარს მაცვეს. როგორ შეიძლება-მეთქი, ვტიროდი, „იგი წავა და სხვა მოვა“, „იგი წარხდების, სხვა მოვად“ გადავაკეთოთ, ან „ვეგობ კაცსა აუგიანსა“ შევეცვალოთ ასე: „ვეგობ კაცსა უაუგოსა“. ან რუსთაველისეული „მკერდამდის გასაპოხელად“ ვაქციოთ: „ქვე მკრდამდის გასაპოხელად“ და რაც „მთლად ჭკუიდან შესარყევია“ „კაცს შუბი ვკარ, ცხენი დავეც“, ზოგიერთი „აკადემიკოსის“ ბეცი მოსაზრებით, გადავაკეთოთ: „კაცსა შევეც, ცხენი დავეცად“ და ა. შ. რომელი, ერთი ჩამოვთვალო.

\* \* \*

ვგრძნობ, რა უხერხულია საკუთარ შემოქმედებით ბუნებაზე წერა, მაგრამ რატომღაც ჩემი ცხოვრების შემოდგომაზე მომინდა, ჩემი ე. წ. „შემოქმედებითი ლაბორატორიის“ ზოგიერთი საიდუმლო მკითხველისთვის გამემჟღავნებინა უკვე გამოთქმულ თუ მომავალ მცდარ განმარტებათა თავიდან ასაცილებლად.

დღეს ლიტერატურაში სრული ქაოსია. კომპიუტერის ეპოქაში კაზმული სიტყვა ძველებური პოპულარობით აღარ სარგებლობს. ამით დრო იხელთეს განდიდების მანიით შეპყრობილმა „ლიტერატურულმა ავანტიურისტებმა“ და გააესეს წიგნის თაროები უხამსი, უნიჭო, გულისამრევი ლიტერატურული პროდუქციით (მართლაც რომ, „პროდუქციით“).

ახლა გემოვნების დევალვაციის დროა.

გემოვნების დევალვაციის ერთ გამოვლინებად ისიც შეიძლება ჩაითვალოს, რომ მკითხველი საეჭვო ორიენტაციის ავტორთა უწმანურ წიგნებს უფრო ეტანება, ვიდრე ჭეშმარიტ ლიტერატურას.

ვილას ესმის, მაგრამ ვისაც ჯერ კიდევ შერჩა გონების სასმენელი, შევასხენებ, რომ ხელოვნება ესთეტიკაა, ესე იგი მშვენიერებაა ანუ მშვენიერების სამსახურია. როგორც კი მწერალი ესთეტიკის ზღვარს გადააბიჯებს, მისი ნახელავი, ფეხისგულზე შესალიტინებელ, გასართობ ტექსტად იქცევა, რომელიც ანანიზმით ზედმეტად გატაცებული ახალგაზრდის ნამიერი ყურადღების საგნად შეიძლება იქცეს, მაგრამ ნორმალური, სერიოზული მკითხველისათვის გულისამრევი.

იქნებ ოდესმე დადგეს ჭეშმარიტი ლიტერატურის ეპოქა და ჩემ შემდეგ მოსულმა თანამოკალმემ ეს ჩემი რჩევაც იგულისყუროს.

2 აგვისტო, 2008, თბილისი.

## მეამბოხეც და მშვიდიც

გარეგნულად დინჯი და წყნარი კაცია. საუბარში და თავყრილობებზე მდგომარეობის ბატონ-პატრონობას არ მიეღტვის. არც მღელვარე მსმენელია და არც დაუდგრომელი მაყურებელი. ყოველთვის სხვები ასწრებენ მიკროფონთან მისვლას. სხვები უკეთ ახერხებენ „სიტუაციებზე რეაგირებას“. იგი ბოლოს ამბობს თავის სათქმელს და როცა მოყაყანენი ფიქრობენ, რომ უკვე ყველაფერი ნათელია რაღააო საკამათო, შოთა ნიშნიანიძე თავის აზრს დასძენს სხვების ნათქვამს. მისი აზრი ხშირად რადიკალურად განსხვავებულია: „აქამდე თუ გვექონია შემთხვევა დაგვეძახნა და გაგვეფრთხილებინა? გარიცხვა უკიდურესი ზომაა, იქნებ გაკიცხვა გვეკმარებინა?“ ამგვარი ვერდათანხმებებით საესეა მწერალთა კავშირის პრეზიდენტი სხდომათა ოქმები. იმ ოქმებში ოდესმე მაინც ვინმე ჩაიხედავს. შოთა საოქმოდ როდი იქცევა ასე. მას სხვანაირად არ ძალუძს. ჭეშმარიტი პოეტის

პრინციპია მისი ცხოვრების პრინციპი: „ამ ხელებით კაცი არ უნდა მოიკვეთოს, ამ ხელებმა ცოდვა არ უნდა ჩაიდინონ“. მერე როცა „უმრავლესობას“ მაინც თავისი გააქვს, იგი ჩემად წამოდგება და გულატკივებული სახლში მიდის. მეორე დღეს გაუთავებელი თავის მართლება ჭირვეულ მედროვეთა წინაშე: „ეს თქვენ გგონიათ, რომ შეცდომა დავეუშვი. მე არავის დავპირისპირებოვარ, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო, როგორც ჩანს არა ვარ მე ამ დღეების კაცი. აქ სხვა კაცია საჭირო. დამანებეთ, თავი თუ ღმერთი გწამთ“.

იგი ბრბოს სიყვარულს ვერასოდეს ვერ დაიმსახურებს თავისი ყუჩი ბუნებისა და ძალიან გაპრანჭული ტერმინი რომ ვიხმარო, არაკომუნიკაბელურობის გამო. მაგრამ ვინც ახლოს იცნობს, მხოლოდ მან იცის, რა ღვთაებრივი სიკეთეა ამ ხარისთვალეა ნაღვლიანი გამოხედვის, დუნე მიმოხვრა-სიარულის მქონე კაცში. იგი ზოგჯერ ლექსში მის მიერვე დახატულ ვეფხვის ფიტულს წააგავს; დამცირებას რომ ვერვინ გაუბედავს და თავისი, თითქოსდა შეჩერებული მგზავრობითა და სიდიადით შიშს ალტაცებას და მოკრძალებას რომ იხარჩუნებს. მაგრამ ეს მხოლოდ ზოგჯერ, მაშინ როცა ფუყე გონებისანი მხრებს დაატოლებენ, ან აღმაცერად გახედავენ ხოლმე. ხშირად კი მისი ბუნება იმ კეთილი აბატის ბუნებაა, ქუდზე ჩიტები რომ ნისკარტს იწმენდნენ და ჯვალოს ხალათის ჯიბეში ყოველთვის უდევს გამხმარი პურის ნაჭრები უპატრონო ძაღლ-კატების დასაპურებლად.

აი, დავნერე ეს სტრიქონები და უკვე მგონია, რომ მაინც არ ძალმიძს ჩავწვდე ხასიათს იმ პიროვნებისას, ვისთანაც ოცდაათწლიანი ერთგული მეგობრობა მაკავშირებს. მართლა ჩუმი და ყუჩია? იქნებ ის მორიდება და ყაყანს გარიდება, შემოქმედებით საღამოებსა და ტაშის დარბაზებზე უარის თქმა ნიღაბად აუფარებია მემამბოხე და ხმაურიანი ბუნების დასამალავად? როგორ შეიძლება წყნარი ნერვებისა იყოს კაცი, რომლის ლექსებშიც ამდენი კენესა და კივილია ჩვენი ეროვნული სიდუხჭირისა და კაცთა უგულობა-გაუტანლობის გამო? რომლის სტრიქონებიც ხან იერიქონის საყვირია და ხან მოქნეული მათრახი, ხან ქართული სულის უტკბილესი საგალობელია და ხან ამორძალთა უნაგირზე დარწმუნული უდაბნოს ქარის ნაღვლიანი სტვენა?

შოთა ნიშნიანიძე პოეტი – მოსამართლეა მას ხშირად განაჩენი გამოაქვს და ეს განაჩენი მით უფრო მრისხანეა, რაც უფრო დიდი მანკიერება ზის ჩვენი ყოფის საბრალდებო სკამზე. და ხშირად ის პოეტური განაჩენი (სურთ თუ არა შეიგნონ მავანთ) საბოლოოა.

შოთა ნიშნიანიძე საქართველოს სჭირდება და მისი პოეზია

სწორედ რომ ეპოქალური პოეზია, არც ერთი დღითა და ნაბიჯით რომ არ განშორებია პოეტი ერის წყლულს მაშინაც ვიგრძენი, როცა შარშან 25 ნოემბერს შიმშილისგან გათანგული ყმანვილი ჩემს თვალწინ წამოდგა მთავრობის სასახლის ცივ კიბეებზე და გალუული ხმით შოთა ნიშნიანიძის ლექსი თქვა:

სტუმარს არათუ პატივი ვეცით –  
აქ ყველა მასპინძელივით ცხოვრობს.  
მაგრამ დედის რძე ბუნების წესით,  
შვილებს ეკუთვნით მხოლოდ და მხოლოდ.

ჩვენც ყველა გვიყვარს თუ დაგვიჯერებთ,  
მარტო სამშობლო რა სათქმელია,  
მაგრამ ეს სისხლი გულს რომ გვიძგერებს,  
მხოლოდღა მისთვის დასაღვრელია.

შოთა ნიშნიანიძეს საქართველო უსმენს და იგი თავისი ღვანლისა და ფასის მცოდნე, დაბადების სამოცი წლის თავზე საოცრად მშვიდი და მორჭმული ზის თანამედროვე საქართველოს უპირველესი პოეტთაგანის ტახტზე.

1987 წ.

## ხელს გვიშლიან...

საუბარი იმით უნდა დავიწყო, რომ მწერლობა უფრო მეტი რამ არის, ვიდრე ზოგიერთ საქმეში ჩაუხედავს ჰგონია. იდეოლოგიური ბრძოლის ფორმათა რიგში რომელიღაც ადგილზე მწერლობის ჩაყენებისას, კეთილი უნდა ვინებოთ და გავიხსენოთ ლიტერატურის მიერ ათასწლეულთა მანძილზე განვლილი გზა და ადამიანთა თუ სახელმწიფოთა გარდასაქმნელად მის მიერ მოხდენილი სასწაული.

როგორც კი მწერალს ერის ბელადის, ერის წინამძღოლის მანტიას უბოდიშოდ მოვხდით და მხოლოდ პროპაგანდისტის ფრიად საპატიო, მაგრამ მაინც ლოკალურ ფუნქციას დავეუტოვებთ, ამით ჩვენდაუნებურად ლევ ტოლსტოის და ილია ჭავჭავაძის ტიტანურ ღვანლს სათანადოდ ვერ ვაფასებთ.

დაბეჯითებით ვამტკიცებ, რომ უკანასკნელ ხანებში ბევრი ჩემი კეთილი ნაცნობი ცდილობს მწერლობა სამომხმარებლო, ფუნქციო-

ნალურ უჯრედად გამოაცხადოს და ისე წამოჰკრავს ხელს ერისკაცის მისიას, თითქოსდა მის ნება-სურვილზე იყოს დამოკიდებული ერის მებაირახტრედ მოვლენილის მრავალმილიონიან მრევლთან ურთიერთობის ანი და ჰოე.

ლაპარაკია მწერალთა ხელოვნურ აღზრდაზე, მათი შემოქმედების იქნებ დაპროგრამებულ მართვაზეც. მწერალს ხან ხელქვეითს უწოდებენ და ხან თანაშემწეს. ზოგმა ისე შეაჩვია თვალი მუზათა მსახურს, რომ თავს ნებას აძლევს ქირქილით ილაპარაკოს იმაზე, რომ კლასიკოსებმა დიდი ხანია ფრთები დაკეცეს, დღეს კი საზოგადო მოღვაწე მწერლები როდი გვყვანან, არამედ, უბრალოდ, ლიტერატორები, რომლებიც „მუშაობენ“ და თავიანთი „მუშაობისთვის“ გასამრჯელოს იღებენ.

არ არის ასე. მიუხედავად სკეპტიკოსთა ეჭვისა, დღევანდელ საქართველოში მწერალთა შორის ერის ღირსეული თავკაცნი გვყვანან. მათ წინაპართაგან მიღებული ეროვნული დროშა ხელიდან არასოდეს გაუგდიათ და არც მომავალ თაობათა წინაშე ქვეყნის ბედზე პასუხისმგებლობის აღთქმა გაუტეხავთ.

მერე რა ვუყოთ, თუ მავანთ მწერალი თვალში ეპატარაგება, თუ თავის კაბინეტიდან ვერ გაუზომავ-აუნონავს მწერლის ავტორიტეტი. ვერშემჩნევს და ვერდაფასების ბედს აგერ ა, ჩვენგან გუშინ წასული გალაკტიონი და გამსახურდიაც ვერ აცდნენ წლების განმავლობაში. მე რამდენიმე მწერალი ვიცი დღეს ბედის ირონიის გამო მათივე სიცოცხლე რომ უშლის ხელს მათს საყოველთაო აღიარებას და მათს სტრიქონებთან მოწაფის ყურადღებით იმ ადამიანების მისვლას დღეს რომ ჭკუის სასწავლებლად ვინმესთან მისვლა ვერ წარმოუდგენიათ.

ჭეშმარიტმა მწერალმა უნდა ირწმუნოს ის აზრი, რომ მისი სვე ერთხელ და სამუდამოდ დადგენილია. ესაა ფეხშიშველი წმინდანის სვლა წუთისოფლის ეკლიან გზებზე. საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვა ქვეყნად სიკეთისა და სათნოების დასამკვიდრებლად.

უშლიდნენ ხელს შემოქმედს თავისი მაღალი მისიის გასრულებაში. მიუხედავად ოფიციალური ხელისუფლების მხარდაჭერისა, ახლაც ენერგიულად ელობებიან კაბინეტის ვირთხები და მომხვეჭელთა სამყაროს მესვეურნი მწერალს სიმართლის თქმის გზაზე. ზოგი ასოკირკიტა ტექნოკრატი კი საქმეს ისე წარმოაჩენს, თითქოს სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქას თან ჭეშმარიტებათა გადაფასება მოეგანოს და ლიტერატურისადმი მკითხველის დამოკიდებულებების შეცვლის გამო მწერლის საზოგადოებრივი ფუნქციაც გაფერმკრთალებულიყოს.

მტკნარი სიცრუეა. ლიტერატურის მაღალი ტრიბუნისკენ კვლავ მთელი არსებითაა მოპყრობილი არაერთგზის იმედგაცრუებული მოქალაქის გულისყური. მწერლის ბაგეთაგან კვლავ მოელის იგი მართალ სიტყვას. მწერალი კვლავ რჩება იმ მოუსყიდველ ქადაგად, ვინც მკითხველს ყალბი ილუზიებით კი არ შეიტყუებს, არარსებული ამქვეყნიური სამოთხის ქიმერებს კი არ უხმობს, არამედ შეულამაზებლად და პატიოსნად გვეტყვის იმაზე, რანი ვართ, საიდან მოვედით და რას გვიქადის ძველი გზით სიარული.

გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, ყველა მწერალს შეგნებული აქვს, რომ იგი პასუხისმგებელია მილიონთა სულიერი წონასწორობისათვის, რომ მის ყოველ სიტყვას ქვეყანა უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებს და სახელმწიფო ოქროს ფასსა სდებს? თუ ეს კარგად უწყის, მაშინ როგორ ახერხებს ამდენი ყალბი, ბუნდოვანი და უპოზიციო „თხზულების“ შექმნას ზოგიერთი კალმის კაცი? როცა ტალანტის პატივისცემასა და კეთილმოსურნეობაზე ვლაპარაკობთ, ამ ზარივით სიტყვების ქვეშ თავს როგორ გრძნობენ ისინი, ვისაც ირონიულად ელიმება მწერლის წინამძღოლობა-ბრძენობაზე რომ ჩამოუგდებ სიტყვას, ვინც ძალზე საეჭვოდ ერკვევა მწერლურ თეთრსა და შავში, მაგრამ თავისი „მაღალი სკამის“ გამო ჩვენდა წარმმართველად განწესებულა? ამოუჩემებია სამიოდე თავისი ამქრის კაცი და ტალანტის პატივისცემა“ და „კეთილმოსურნეობა“ მხოლოდ მათთან მიმართებაშილა ახსენდება? სწორედ რომ შემოქმედებითი კავშირების ამგვარ არაპრინციპულ, არაობიექტურ ხელმძღვანელებს უნდა მოვკიდოთ ყურში ხელი.

მთელი პასუხისმგებლობით უნდა დავარწმუნო მკითხველი, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურა ღირსეული მემკვიდრეა ჩვენი კლასიკური მწერლობისა. ხშირად მიხდება ყოფნა სხვადასხვა ლიტერატურულ შეკრებებსა და სიმპოზიუმებზე ჩვენშიც და საზღვარგარეთაც და სიამაყით ვიმართებით წელში, როცა ერთხმად აღნიშნავენ ჩვენი თანადროული მწერლობის მიღწევებს, როცა ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ სამოციან წლებში კრიტიკული და პოლემიკური პათოსი იმპერიის ლიტერატურას, უპირატესად, ქართული მწერლობიდან მოევიდნა, ხოლო ცოტა მოგვიანებით, როცა ადამიანს სურვილი გაუჩნდა კეთილშობილი გმირის სულიერ კამერტონზე შეემონებინა თავისი განწყობილება, ასეთი გმირიც სწორედ ქართული მწერლობიდან მოვიდა დათა თუთაშხიას სახით. ჩვენი თანამედროვე პოეზიის მაღალი დონე რომელიც გნებავთ დიდ ლიტერატურას დაამშვენებდა არა მარტო თავისი მაღალმხატვრულობით და ზნეობრივი კათარზისისკენ მომწოდებელი სტრიქონებით,

არამედ იმ ფორმალური ძიებებითაც, რითაც ქართული პოეზია მსოფლიო პოეზიის წრედში ჩართულად გამოიყურება.

და მაინც ხშირად მწერლისგან დამოუკიდებელი ზოგი პრობლემატიკა კი გვიშლის ხელს იმაში, რომ პირნათელნი ვიყოთ ხალხისა და ისტორიის წინაშე. ზოგ რედაქციაში და სხვა უწყებაშიც მხარს არ უჭერენ მწერალს შეეხოს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მტკივნეულ, მწვავე პრობლემებს.

როცა მკითხველი, გონივრულად მოგვიწოდებს: თავი ვარიდოთ ფუჭსიტყვაობასა და აღფრთოვანებულ შეძახილებს, ვიბრძოლოთ თვითდამშვიდების, წარმატებით თავის მოტყუების წინააღმდეგ, მაშინ ქვემოთ ზოგი მათგანი, ვისაც უშუალოდ ეხება ნაწარმოებთა გამოქვეყნების ბედი, კანში ძვრებიან, რათა ხელი დააფარონ მწვავე საკითხების შემცველ თხზულებებს, სწორედ ისინი აძლევენ მწვანე გზას „ფუჭსიტყვაობასა და აღფრთოვანებულ შეძახილებს“, ახალისებენ უნებისყოფო ლიტერატორებს სწორედ რომ თვითდამშვიდების, წარმატებებით თავის მოტყუებით გამსჭვალული ნაწარმოებების შესაქმნელად.

სსრკ მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა გ. მარკოვმა თავის გამოსვლაში XXVII ყრილობაზე, სხვათა შორის, განაცხადა: „ბოლო წლებში გაიზარდა ისეთი ნაწარმოებების რიცხვი, სადაც ცხადი ცხოვრებისეული პოზიციით, სულიერი სამყაროს სიმდიდრით, ხასიათის დიალექტიკით გამორჩეული ადამიანის ნაცვლად, მკითხველს წარუდგება ჩვენი თანამედროვის, თუმცა კი თავისი დროის ნიშან-თვისებების მქონე, მაგრამ მაინც ბუნდოვანი ასლი“ – სრული ჭეშმარიტებაა.

რატომ მოხდა ასე? განა ჩვენი ცხოვრება ლამის ყოველ ფეხის ნაბიჯზე არ გვთავაზობს მზამზარეულ სიუჟეტებს და მსუყე, ეპოქალურ ხასიათებს? განა თანამედროვეობის სოციალური კონფლიქტები და პიროვნების სულიერი მეტამორფოზა (ზოგი მათგანის მგლური მადის გამო სავალალოდ რომ დამთავრდა) არ იძლევა მასალას პანორამული, მაღალმხატვრული ტილოს შესაქმნელად? მაშ რატომ შეიმჩნევა, სწორედ რომ „თანამედროვეობიდან გაქცევა“ ზოგი ნიჭიერი მწერლის შემოქმედებაში? რატომ მოხდა, რომ დიდი ნაწილი იმ თხზულებებისა უკანასკნელ ხანებში ფართო აღიარება რომ ხვდა წილად, სწორედ სხვა ეპოქებზეა დაწერილი და თანამედროვეობის პრობლემებს მხოლოდ ალეგორიულად და მოიარებით შეიცავს? ეს ავტორთა მიერ მხოლოდ თემის არჩევის სიჯიუტით არაა გამოწვეული. ლიტერატურის კრიტიკოსი და სოციოლოგი ამ პრობლემებზე ღრმად უნდა დაფიქრდეს.

ვიმეორებ, მწერალმა კარგად იცის, რომ დიდი სიმართლის დამკვიდრებას დიდი ბრძოლა სჭირდება და „შეკაზმული ცხენის“ ანდა-ზა, იქნებ, დღესაც ძალაში იყოს, მაგრამ მას გუნებას უმღვრევს და ხალხის უკარგავს თავისი ნააზრევის კომპრაჩიკოსი ლიტერატორ-მეთვალყურის მიერ დამახინჯებულად წარდგენა მკითხველთა აუდიტორიისათვის. ჯერ ერთი, ამბობს ავტორი, წლების განმავლობაში დამკვიდრებული ინერციებით თვით ჩემშივე ზის ფრთხილი რედაქტორი და ისედაც ნახევრად სიმართლე ვთქვი და ამასაც, ამ ნახევრად სიმართლესაც, „ზედმეტ გაბედულებად“ მითვლიან, ან თვით „არბილებენ“ ან მე „მარბილებინებენ“. თუ გვსურს მწერლობამ კვლავ დაიბრუნოს თავისი ავტორიტეტი და საზოგადოების წინსვლის მძლავრ ბერკეტად იქცეს, არამკითხე ლიტერატურულ ნათლიათა თვითნებობას ბოლო უნდა მოელოს. დღეს ჩვენი ეროვნული აზრი მოძრაობის ჭეშმარიტ ხელმძღვანელთა სიტყვით და საქმით მწვავე საკითხთა დასმა-გადანყვეტის მაგალითს იძლევა, ამასვე მოუწოდებენ მწერალსაც; მაშ, ნუ იმღვრევა სათავიდან წამოსული ანკარა წყალი ქვემოთ, სხვადასხვა ინსტანციაში. ილფმა და პეტროვმა „ოქროს ხბოში“ დიდებულად დასცინეს ჩინოვნიკთა მიერ შემოქმედისთვის მოგონილ პროკურუსტეს სარეცელს („რაკი საბჭოთა ქვეყანაში ცხოვრობთ, სიზმრებიც საბჭოური უნდა გქონდეს“) და მიუხედავად იმისა, რომ იმ ეპოქას ჩვენ ახლა რედაქტორული სიმკაცრის დროს ვეძახით, სამწუხაროდ იძულებული ვართ ნატვრით მოვიხსენიოთ სიტუაცია, რომელშიც სოციალურ სატირას დიდ ნდობას უცხადებდნენ. საკმარისია დღეს მოთხრობაში სადმე გაგეპაროს „კლიმენტიმ სადილს ჭიქა ღვინო დააყოლა“, რომ ფხიზელი უმცროსი რედაქტორი მაშინვე გაგისწორებს: „კლიმენტიმ სადილს ჭიქა ვაშლის წვენი დააყოლა. ესაა საყოველთაო სიფხიზლისათვის ბრძოლა“.

რასაც მოგახსენებთ, ნურავინ მიიჩნევს პატარა, ლოკალურ პრობლემად. ეს გარემოება მარტო ცალკეული მწერლის ლიტერატურულ ბედზე კი არ ახდენს გავლენას, თქვენ წარმოიდგინეთ, ლიტერატურის მომავალზეც. როგორც ჩანს, მებრძოლ მწერალზე სოციალური მოთხოვნა არ არისო, იტყვის ჩემი ახალბედა მეგობარი და იწყებს ბულვარული, კოსმოპოლიტური, მსუბუქი ჟანრის, გასართობი თხზულებების წერას. ამგვარმა ზერელე, რეზუსურმა, წვრილმანთემიანმა ნაწარმოებებმა ლამის წაღვეკოს ჩვენი ლიტერატურული პერიოდიკა.

არა და ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს წინსვლას სწორედ მოქალაქეობრივი მძაფრი, მუშტმემართული ძლიერი, ხაფიანი ხმის მქონე მხატვარი სჭირდება. თანამდგომი კაცის მართალ სარკეში უნდა ჩაახე-

დოს მან საზოგადოება, ცხოვრების უკეთ წარმართვისთვის კეთილი რჩევა მისცეს და მომავლის გზები უჩვენოს.

ამოვუდგეთ მხარში ხალხს. ქვეყანა დიდი ისტორიული ძვრების წინააღმდეგ ცხოვრობს. ყველანი – უბრალო მშრომელიცა და კაპიტანის საჭესთან მდგომნიც არსებულ, არცთუ მთლად სახარბიელო მდგომარეობიდან გამოსასვლელ გზებს ვეძებთ. დიდი სახელმწიფო გარდაქმნების წინაშე გვაყენებს ჟამი.

ფიქრისა და განსჯის, გონივრული ანალიზის მოვლენათა ბუნებრივი დაჩქარების, რუტინის წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევის ეპოქაა ჩვენი ეპოქა. ჩვენი, მწერლების ამოცანად იყო და რჩება შევქმნათ თანამედროვეობის მხატვრული მათიანე, ვნერგოთ ჰუმანიზმისა და სიკეთის პრინციპები, ვამხილოთ ნაკლოვანებანი, ეპოქის კომპლექსური კვლევის შედეგად მიღებული სასარგებლო რჩევად ასკვნები არ მოვაკლოთ საზოგადოებას.

ამ დიდი მისიის ხორცშესახსმელად საჭიროა ტალანტთან ერთად იოგის მოთმინება და საქვეყნო საქმეებისთვის ძალუმად მფეთქავი გული, მოკვდავთა ჭირვეულობასა და ამბიციურ საზრუნავზე უარის თქმა, ჩვენი რიგების ისე შემჭიდროება, რომ ვერ გაგვერიოს მედროვე და სახელის იოლად მაძიებელი. საჭიროა მტკიცე ნებისყოფა და ომახიანი შემართება, ღონიერი კალამი და რაც მთავარია, რწმენა იმისა, რომ შენ – თანამედროვე მწერალი, პასუხს აგებ შენი ერის მომავლისთვის კი არა მხოლოდ, პასუხს აგებ პლანეტის მშვიდი დღეებისათვის.

1979 წ.

## ბრძენი ბავშვები

რა ბრძენი ბიჭები იყვნენ.

რა სუფთა და უშუალოა მირზა გელოვანის თაობის პოეტთა ურთიერთობა ერთმანეთთან. როცა საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელთაგან შემდგარი სატინისხალათიან მეოცნებეთა ეს წმინდა ორდენი ომმა დაშალა და მისი წევრები მიმოფანტა, როგორ დაეძებნენ, როგორ უხმოებენ ერთმანეთს მიკოტებივით. როგორ სწუხან წერილის დაგვიანებას და თითქოს იციანო, ოცი წლის მერე იმ წერილებს საქართველო რომ მიუბრუნდება, რა რაინდული თავდაჭერა აქვთ, არავითარი პირადული, არავითარი წუნწინი. თუ რამე შიგნიდან უმტვრევთ გულისფიცარს, ისევ და ისევ სიყვარულია – ადამისშვილის ყველაზე ძლიერი, ყოვლის წამლეკავი გრძნობა.

და მაინც ბავშვები არიან. შესაყვარებლად მიამიტი და სათნო ბავშვები. წუხან დაბეჭდვას რომ დაუგვიანებენ, ლექსს რომ გაზეთის ბოლო გვერდზე გადაუგდებენ.

ლადო ასათიანის თაობის ერთ-ერთი შნო და ლაზათი მირზა გელოვანი იყო.

ხელში მჭერია მისი გაცრეცილ-გახუნებული ფრონტული ბარათები. რა არტისტიზმია, რა ჰაერი, რა ნაზი ლირიკაა იმ ლექსებსა და იმ ბარათებში. სანგარში, ტყვიის კანონადაში დაწერილს კი არა ჰგავს, ე მანდ საუკუნის ბოლო წლების ახალგაზრდასთან არ გავნითლდეო, რამდენჯერმე მიბრუნებია წერილს სასვენი ნიშნებიც კი თავის ადგილზეა.

და რა საშინელ კონტრასტს შესთავაზებს უეცრად სინამდვილე. პოეტმა კაცმა ცალთვალმოჭუტვით ტყვიამფრქვევთან წაწოლილმა უნდა ისროლოს. „ცეცხლი უნდა გახსნას“, როგორც სამხედროები იტყვიან ხოლმე.

„მე შენი თმები დამაბრუნებენ“.

ახლა ისინი სამოცდაათის მოხუცები იქნებოდნენ. წარმოიდგინეთ სამოცდაათის მირზა გელოვანი, სამოცდაათის ლადო, სამოცდაათის სევერიან ისიანი...

ოჰოჰო, რა მდიდარი იქნებოდა მათი ამქვეყნად დარჩენით ჩვენი ჭეშმარიტი პოეზიის ბიბლიოთეკა. რა სათნო ბერები იქნებოდნენ, რა სხვანაირი შუქი და მადლი ექნებოდა ჩვენ შორის მათი ყოფნით ჩვენს მწერალთა ოჯახს.

მე მათ ზოგჯერ სიზმარში ვხედავ. წმინდა სირიელ მამათა მსგავსად მოველინებიან ქვეყანას, ლოცვად დაცემულნი ციურ შუქს ღვრიან ირგვლივ, მერე თითქოს რაღაც ავმა სიომ გაჰქროლაო, გაგვეცლებიან, ჰორიზონტზე ჩაგვივლიან, ისე ჩაგვივლიან, ჩვენ ცოდვილთ, ხელსაც არ დაგვიქნევენ.

რა დიდებული იყო მათი გამოცხადება და რა უღვთო იყო მათი გარდასვლა.

1979 წ.

## პროზაული ფიქრები

სანამ კითხვას დაიწყებდეს, ჩემი სულგრძელი მკითხველი მოთმინებით აღიჭურვოს და თვალი ჩაკრას ამ სტატიის ნაკლოვან მხარეებს, რასაც ავტორი მაშინაც კი ვარაუდობდა, როცა წერა დაიწყო და ახლა ხომ გრძნობს და გრძნობს.



პროზისთვის მწერალთა ყრილობიდან ყრილობამდე გასული ოთხი წელი, მოგეხსენებათ, მცირე პერიოდი და არ მეგულება მწერალი, რომელიც სერიოზულად ფიქრობდეს; მოდი, ახლა ამ ყრილობიდან იმ ყრილობამდე ამასა და ამას შევქმნიო. იმისთვისაც კი, ვინც ეს ოთხი წელიწადი რიგიანად მოიხმარა, იგი შეიძლება სამუშაო დროის მონაკვეთსა წარმოადგენდეს, რადგანაც ამ ხნის განმავლობაში, სერიოზულ რომანს ვერ დაამთავრებ და თუ დაამთავრე, მის გამოცემას ვერ მოასწრებ. ამ მიზეზმა განაპირობა სტატიის ფრაგმენტულობა.

მეორე ნაკლი ჩემი სტატიისა ის გახლავთ, რომ მიუტყვევლად ბევრი ნაწარმოები მოექცა „და სხვაში“. ამაზე ავტორს თავისი აზრი გააჩნია. „და სხვაში“ ძირითადად ის ნაწარმოებები მოექცა, რომელმაც ყურადღება კი მიიქცია, მაგრამ განსაკუთრებული ადგილი ვერ დაიჭირა ერის სულიერ ცხოვრებაში. ქარში გადგმული სანთელივით გაქრა ლიტერატურის ჰორიზონტიდან. ასე რომ „და სხვა“ ჩემთვის კრიტიკის ფორმაც გახლავთ და რაკი საბოდიშოს ვერაფერს ვხედავ, უფრო იმ ნაწარმოებთა ბედი მანუხებს, „და სხვაშიც“ რომ ვერ ვიგულისხმე.

მოგახსენებთ, ჩემს პირად შეხედულებებს და გულით ვცდილობდი ნაკლებად გამეხსენებინა პრესა, რომელიც ამა თუ იმ ნაწარმოებს ჰქონდა დამსახურებულად თუ დაუმსახურებლად.

როგორია საერთო სურათი?

ქართველი პროზაიკოსი აგრძელებს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მწერლობის სასახელო ტრადიციებს და, თუმცა უჯავახნიშვილოდ და უგამსახურდიოდ ცხოვრება ცოტა გაჭირდა, ჩვენ შეგვიძლია თამამად ვუთხრათ ჩვენს ხალხს; რომ თანამედროვის სულის მხატვრული კვლევის ძნელ გზაზე ახალი გამარჯვებებია მოპოვებული. მწერლობის ურთულესი ჟანრი – პროზა საიმედო ხელშია და მის სიცოცხლისუნარიანობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ახლა როცა ეს სტრიქონები იწერება, თავიანთ უკეთეს წიგნებს ქმნიან ჭაბუა ამირეჯიბი, გრიგოლ აბაშიძე, გურამ ფანჯიკიძე, ლადო მრელაშვილი, რევაზ ინანიშვილი, ნოდარ დუმბაძე, ოტია იოსელიანი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, სერგო კლდიაშვილი, რევაზ ჯაფარიძე, ვახტანგ ჭელიძე, ოთარ ჭილაძე, გიორგი ნატროშვილი, არჩილ სულაკაური, გურამ დოჩანაშვილი, თამაზ ჭილაძე, ლევან სანიკიძე, ნიკა აგიაშვილი, მერაბ ელიოზიშვილი, გრიგოლ ჩიქოვანი, ჯემალ ქარჩხაძე, რეზო ჭეიშვილი, ნუგზარ შატაძე, თამაზ ბიბილური, ლადო ავალიანი, თენგიზ გოგოლაძე, გურამ გეგეშიძე, კარლო კობერიძე, ელიზბარ მაისურაძე, ნოდარ ნულეისკირი, დავით კვიციანიძე, გივი მალულარია, როდიონ

ქორქია, ილია რურუა, ალექსანდრე სამსონია, კარლო ტაბატაძე, ვანო ურჯუმელაშვილი, გიორგი ქავთარაძე, ნოდარ ჩაჩანიძე, ოთარ ჩიჯავაძე, ოთარ ჩხეიძე, ალექსანდრე კალანდაძე, გოდერძი ჭეიშვილი, როსტომ ბუჟანიშვილი, აკაკი გენაძე, თამაზ გოდერძიშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, თინა დონუაშვილი, გივი ჯოხაძე, დოდო ვადაჭკორია, ელიზბარ ზედგინიძე, თეიმურაზ მაღლაფერიძე, მირონ ხერგიანი, გიორგი ხორგუაშვილი...

ნურგინ იგრძნობს ამ სიაში ვინროდ თავს და უკმაყოფილოდ ნუ შეიშმუშნება, როცა მის გვერდით იმ მწერალს მოჰკრავს თვალს, რომლის შემოქმედებაზე მაინცდამაინც დიდი აზრისა არ არის. დასამშვიდებლად გაიხსენოს 1941 წლის გადაღებული ერთი ძვირფასი ფოტო: ქართველ მწერალთა ასეული, მარცხნივ თავმიბრუნებული, შაშხანით მხარზე ბრძანება „სმენაზე“ გარინდულა. ჩვენ ყველანი ამგვარ მწყობრში ვდგავართ და მწერალთა სატელეფონო ცნობარშიც ერთი შრიფტითაა ჩვენი გვარები აწყობილი. მნიშვნელობა როგორ არა აქვს ომის დაწყების წინ ვის უკეთია გენერლის სამხრეები და ვის – რიგითი ჯარისკაცისა, მაგრამ განა ჩემზე უკეთ არ მოგეხსენებათ; რამდენი ჯარისკაცი აიყვანა ცხოვრებამ დიდების კვარცხლბეკზე და რამდენი გენერლის სახელი სამუდამოდ მივიწყა.

ახლა კი, ახალი საქართველოსთვის დაწყებული დიდი შეტევის წინა დღეს, ჩვენ, ყველანი მხედრულად გაჭიმულნი და გატრუნულნი ვდგავართ, ჩვენ, ადრე თუ გვიან ჩამოსავარდნი ფოთოლნი იმ მუხისა, რომელსაც საქართველო ჰქვია.

ორიოდე სიტყვით ეპოქაზე, რომელსაც განვიცდით.

ამ საუკუნის სამოციანი და სამოცდაათიანი წლები ისტორიაში შევა, როგორც უაღრესად რთული სოციალური პერიოდი, რამაც ადამიანების შეგნებაში საფუძველი მისცა ახალი ურთიერთობების, ზოგიერთ მოძველებულ შეხედულებასთან ახლებური დამოკიდებულების გამომუშავებას.

„გამარჯვებული სოციალიზმის ეპოქას“ თან მოჰყვა მთელი რიგი ახალი პრობლემებისა, რომელთა ერთ ნაწილში გარკვევა არცთუ იოლი აღმოჩნდა, ცხოვრებამ მწერლობის წინაშე დააყენა უაღრესად რთული საკითხები და ქართული მწერლობა თვისობრივად ახალი მოვლენებით დაიმუხტა.

ჩვენმა რთულმა ეპოქამ, კომუნიკაციების საშუალებათა ფართო ქსელმა თითქოსდა მსოფლიო „დააპატარავა“. ადამიანი დღეს პლანეტის ბედზე ფიქრობს და კაცობრიობის მერმისზე პასუხისმგებლადაც თვლის თავს. შუასაუკუნური მეკობრეობის, მუხანათური წაყრუების, განხალხების და გაჩანაგების დრო წავიდა. ჩვენს წლებში ენათა და

ერთა გაქრობის ცდისათვის ყველაზე ცუდი ამინდი დადგა. სახელმწიფოთა საზღვრებზე დღეს ყოველგვარ საექვო ორომტრიალს მსოფლიო განიცდის, მსოფლიო ისმენს და ხედავს. და თავიანთ ტერიტორიებს ნელ-ნელა იბრუნებენ ისტორიულად კანონიერი მფლობელები, უსამართლოდ განთესილნი თავიანთ მინა-წყალს უბრუნდებიან, ისტორიკოსნი და გეოგრაფნი გულმოდგინედ იკვლევენ სახელმწიფოთა მიჯნებს და მათს მეცნიერულ საბუთიანობას, მსოფლიოს პროგრესული აზრი ნაციონალური თვითმყობადობის, ნაციონალური კულტურის არნახული პატივისცემით განიმსჭვალა. მსოფლიო თანდათანობით მოწესრიგებულ სახეს იღებს. გარდა ეროვნული პრობლემების სწორად გადაწყვეტისა, ჩვენს ქვეყანას გაუჩნდა სხვა მრავალი, წინა თაობებისათვის უცნობი თვისება განპირობებული მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციით, ახალი ეკონომიური პრობლემებით და ცხოვრების ახლებური, დროის შესატყვისი წესით.

ჩვენი თანამედროვე ოციანი წლების მოქალაქისაგან განსხვავებული, უფრო ფიქრიანი, უფრო დაეჭვებული გახდა. ურანთუზიაში დღეს სხვაგვარად აღიქმება. „იდეალური სქემები“ აღარ აინტერესებს სამოციანი წლების კაცს. ღიმილით ვკითხულობთ დღეს ათეულ წელთა წინ დანერგულ რამდენიმე რომანს, რომლის ავტორსაც შეცდომით წარმოედგინა, რომ თანამედროვე ადამიანის განზოგადებული სახე ეს იყო უმნიშვნელო, უშეცდომო, კრისტალური ზნეობის პიროვნება და გადადიოდა ერთი სქელტანიანი რომანიდან მეორეში „მისაბაძი“ გმირი, სათნოებისა და სინმინდის ეტალონი, მერე ერთბაშად გამოირკვა, რომ ასეთი ცალმხრივი, სქემატური სახე მკითხველმა არცთუ, დიდი ინტერესით მიიღო, მკითხველს სწორედ წინააღმდეგობრივი, აქტიური გმირი აინტერესებს და არა აბატის სახის, სისპეტაკის მანტიამოსხმული მოქმედი პირი.

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მოახერხა შეეთვისებინა ეპოქის შინაგანი სირთულე, მხატვრულად გაეანალიზებინა სადღეისო პრობლემები და ერის განწყობილების ბარომეტრად ქცეულიყო.

უკანასკნელ წლებში არნახულად ამაღლდა მწერლის ავტორიტეტი. მალაზიათა თაროებზე აღარ რჩება საექვო მხატვრული ღირსების პროზაული ქმნილებებიც კი. საქართველო ყურადღებით უსმენს თავის მწერალს. უპირველეს ყოვლისა მისგან მოეღოს მართალ სიტყვას ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მოეღოს გამხნევებას და სამომავლო გზების ჩვენებას. მწერალი თვლის პასუხისმგებლად თავს ერის ხვალისდელი დღისათვის და როცა საჭირო ხდება, სწორედ იგი გადაეფარება მკერდით ერის საუნჯეს, ერის პასპორტს, ერის ღირსებას.

საქართველოს დღეს თავისუფლებისთვის მებრძოლი ქვეყნის ათინათი ამშვენებს. კარგა ხანია გალღვა თვითკმაყოფილებისა და გულგრილობის ყინული. მაგრამ იქნებ, როგორც არასდროს, სწორედ დღეს სჭირდება ჩვენს ხალხს ლოზუნგებთან და ლიტერატურულ კანტატებთან ერთად კრიტიკული თვალი და ალლო. მხატვარი, რომელიც მის დღევანდელ სახესაც დაანახვებს, აღმართ-აღმართ მიმავალ გზასაც გაუნათებს და იმაზეც მიანიშნებს, საით მიდის ეს გზა. ხომ არ გამრუდდა იგი სადმე, ან ხომ არ ჩაეშვა იმ ხევსუვებში, საიდანაც უკან მობრუნება სულ უფრო ძნელი გახდება?

ათვალწუნებით ნურვინ შეხედავს მწერალს, რომლის შემოქმედებაშიც კრიტიკული პათოსი სჭარბობს. რომანტიკოსი მწერლისგან განსხვავებით თუ მის შემოქმედებაში აღტაცების ტაში და მუდმივსაზეიმო განწყობილება არ ჩანს, არ გვეგონოს, რომ იგი ნაკლებად გამეცადინებული და გამარჯვებებს თვალს არიდებს. ასეთ მწერალს „ორიგინალური კრიტიკოსის“ პოზა კი არ მიუღია, უბრალოდ მისი ლიტერატურული სტილი და ალლო ოდას ვერ ჰგუობს და უფრო სატირა-ირონიის, სარკაზმისა და პაროდის არსენალს იმარჯვებს. ნუ ვიკამათებთ იმაზე, გვეჭირდება თუ არა დღეს ჩეხოვები და დავით კლდიაშვილები. დიახაც რომ გვეჭირდება. ჩვენი წინსვლისა და საზოგადოებრივი გამოფხიზლების ზარებს უპირველესად სწორედ ისინი არისხებენ.

უკანასკნელ წლებში გამრავალფეროვნდა და გამრავალხმიანდა ქართული პროზის ჟანრული არსენალი. ჩემს მაგიდაზე დევს ლიტერატურის „მძიმე არტილერია“ თანამედროვეობის აქტიუალური პრობლემების ამსახველ-გამომხატველი უაღრესად საყურადღებო რომანები („მარადისობის კანონი“, „აქტიური მზის წელიწადი“, „ყორნალი“, „ყაბახი“, „ძეგლები მინას არ ამძიმებენ“, „ფერიცვალობა“ „მუსიკა ქარში“, „მდგმური“, „სძლიე სიხარბესა შენსა“, „ჟამი კითხულისა“, „ზაფხულის ცხელი დღეები“, „შავი და ცისფერი მდინარე“, „მაკო ცხვედაძე“, „ჯვარცმა“, „ოთხი წელი ჭექა-ქუხილიში“, „ზოგი რამ ფიქრიანი კაცის ცხოვრებიდან“, „დაჭრილი არყის ხე“, „რწმენა“).

ფორმით უაღრესად თანამედროვე, სადღეისო აქტიუალური საკითხების შემცველი, სიმბოლურ-ალეგორიული რომანები („დათა თუთაშხია“, „ყოველმან შენმან მპოვნელმან“, „სამოსელი პირველი“, „ხმა მლაღადებლისა“).

საქართველოს ძნელბედითი წარსულის ახლებურად ამსახველი, ჩვენი ისტორიული რომანის ღირსეული მემკვიდრენი („მძიმე ჯვარი“, „ცოტნე, ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“, „ღვანლი და წამება აბოსი და იოანესი“, „წიშნის ფიცი“, „დეული მგლის ველზე“).

ახალ სიახლეებს ეზიარა ჩვენში მხატვრულ-დოკუმენტური პროზა, ქართული მწერლობის საუკეთესო ძალების ხელდასხმითა და რუდუნებით (ლ. სანიკიძე, ე. მაღრაძე, ვ. ჭელიძე, ს. ჭილაია, მ. ხერგიანი, ნ. კეცხოველი, კ. ლორთქიფანიძე, ნ. აგიაშვილი, თ. მაღლაფერიძე, თ. გოგოლაძე, ს. დემურხანაშვილი, ე. უბილავა, ა. გელოვანი, მ. კვესელავა) ეს ჟანრი დღით-დღე იხვეჭს მკითხველთა სიყვარულს და პოპულარობას. საინტერესო ძეგლები შეინიშნება მოთხრობის ტრადიციულ და ჩვენი ლიტერატურისათვის უაღრესად ორგანულ ჟანრში (კ. ლორთქიფანიძე, ს. კლდიაშვილი, თ. ჭილაძე, ა. სულაკაური, გ. ხორგუაშვილი, თ. გოდერძიშვილი, ა. ჩაჩიბაია, მ. ელიოზიშვილი, ო. ჩიჯავაძე, ლ. ავალიანი, ო. ჩხეიძე, ა. გენაძე, კ. ტაბატაძე, ა. ჩხიკვიშვილი, ი. რურუა, ო. იოსელიანი, ე. ზედგინიძე, მ. ჯოხაძე, ქ. ჭილაშვილი, ვ. ჩეკურიშვილი, დ. ჯავახიშვილი, გ. ჯოხაძე, ო. პაჭკორია, გ. მალულარია).

საბოლოოდ ჩამოყალიბდა და გამძლე ლიტერატურულ საყრდენებზე დადგა შ. არაგვისპირელისა და კ. გამსახურდიას მიერ ლიბოდადებული ქართული კლასიკური ნოველა (რ. ინანიშვილი, გ. დოჩანაშვილი, ნ. შატაიძე, კ. კობერიძე, თ. ლანჩავა, ა. სამსონია, რ. ჭეიშვილი, ჯ. ქარჩხაძე, თ. აბულაშვილი, გ. ლომაძე...) ჩვენს თვალწინ დაიბადა და ჭეშმარიტ მწერლობას ორგანულად შეეწყო სათავგადასავლო-დეტექტიური პროზის მოდური და დიდი შემეცნებითი მნიშვნელობის მქონე ჟანრი (რ. ჩაჩანიძე, ი. ჩადუნელი).

ამ ბოლო წლების ქართული პროზის მაღალი დონე თითო-ორჯოდა სხვა რომანებთან ერთად უპირველეს ყოვლისა ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ განაპირობა. ამ რომანმა რეკორდულად მოკლე დროში გააკეთა თავისი საქმე – დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს სულიერ ცხოვრებაზე. არსებობენ „ჩავლილი“ ნიგნები. ისინი ერთ ლოკალურ პერიოდში ახმაურდებიან, ალაპარაკებენ ცასა და ხმელეთს და მერე სწრაფად იწყებენ უდროოდ დაბერებას და მალე დავიწყებას ეძლევიან. „დათა თუთაშხიას“ ბედი სხვაგვარია. მას დიდი გზა უდევს. მჯერა, რომ იგი სამუდამოდ დარჩება ქართული პროზის მაღალ თაროზე, რადგანაც დაბერება არ უწერია იმ ჭეშმარიტებას ამ რთული, ქვეტექსტებიანი ნიგნით რომ ეუნყა მკითხველს.

პირველყოფილი სინდისისათვის, სიკეთისათვის ვაჟკაცობისა და რაინდობის ტრადიციებისათვის მებრძოლი, ხასიათის არაჩვეულებრივი სიმტკიცისა და რკინის ნებისყოფის პიროვნება; მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ფონზე ეს კეთილშობილი აბრაგი თავისი, ზოგჯერ გაუცნობიერებელი, ბრმა ბრძოლით სინდისისათვის, ერთი შეხედვით, ანაქრონიზ-

მად მოჩანს, მკითხველს მოეჩვენება, რომ ვაჟკაცობის და გულუბრყვილო სიკეთის ნიადაგ მფრქვეველი ლაზი შუასაუკუნეებიდან მეოცეში შემთხვევით გადმოსულს წააგავს, მაგრამ ვინც რომანის პერიპეტიებს ღრმად ჩაუკვირდება, დამეთანხმება, რომ დათა თუთაშხია დროული და საჭირო იყო ჩვენი საუკუნის სამოციანი წლების მოქალაქისათვის და ეს უაღრესად კოლორიტული, შთამბეჭდავი ტიპი ყოველთვის დასჭირდება მკითხველს, როგორც სიკეთისა და სიმართლის კამერტონი.

„დათა თუთაშხია“ ეპოქალური რომანია. ეპოქალურია იგი არა იმდენად დროის რეალიების ხატვით, რამდენადაც თანამედროვე ეთიკურ-ზნეობრივ პრობლემათა დაყენებით, მასშტაბურობით, ფსიქონალიზის სიმართლით და დახვეწილი, უაღრესად თანამედროვე ფორმით.

დათა თუთაშხია და მუშნი ზარანდია – ეს ორი, ოსტატურად დაპირისპირებული ხასიათი თითქმის ერთნაირი ინტერესით აღიქმება: პირველი მაგალითია იმისა, თუ რა ძნელია კეთილშობილებამ, სიკეთემ აიდგას ფეხი და ცარიზმის საქართველოში თავისი პრინციპების შენარჩუნება შეძლოს, ხოლო მეორე თვალსაჩინო ფაქტია იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ წამლავს, რა დახვეწილი მანქანებით ითრევეს თავის სამსახურში და „თავის კაცად“ აქცევს იმპერია კოლონიის იმ ახალგაზრდა წარმომადგენელს, რომელსაც თავიდან ერის უანგარო სამსახურის სურვილი ჰქონდა და პატივმოყვარეობის ჭია რომ არ შეჰყროდა, დათა თუთაშხიაზე ნაკლებს როდი შეძლებდა ერის სამსახურში.

ორ „ფრონტზე“ იქნედა ხმაღალ გრიგოლ აბაშიძე. ფრიად ნაყოფიერი გამოდგა ეს წლები „ზარზმის ზმანების“ ავტორისთვის. რამდენიმე გულზე მოსახვედრი ლექსით გაამდიდრა თავისი შემოქმედების მაგისტრალური ხაზი და ახალ მუზას - პროზასაც ორი მშვენიერი რომანი შემატა: თანამედროვეობის ამსახველი – „ყორნალი“ და მე-13 საუკუნის საქართველოს ცხოვრებისა და ბრძოლის უტყუარი მხატვრული ქრონიკა – „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“. ორივე რომანი გამოირჩევა გრიგოლ აბაშიძისათვის დამახასიათებელი ეპიური სიღინჯით, აკადემიზმით და მწერლური კეთილსინდისიერებით.

განსაკუთრებით „ცოტნე“ გახმაურდა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეპოქა, რომელსაც ეს რომანი ეხება, ლიტერატურაში ხომ არა და არა, ჩვენს ისტორიოგრაფიაშიც ნაკლებადაა გამოხატული, მეორეც ცოტნეს სწორუპოვარი გმირობის ლეგენდა თითქმის ხელუხლებელ ოქროს ზოდად იდო ჩვენი ისტორიის ანალებში. და, თუ ერთის

მხრივ, მწერალს ამ გმირობის ეგზოტიკური ფორმა აცდუნებდა, მეორე მხრივ – უმძიმეს ტვირთად დაანგებოდა ეპოქის სინამდვილის ხატვასთან დაკავშირებული უამრავი უხერხულობა ისტორიული ფაქტების უქონლობით გამოწვეული. ამ თემას გრიგოლ აბაშიძემ შეჰბედა და წარმატებითაც დასძლია. „ცოტნე“, გურამ ასათიანის თქმისა არ იყოს, მართლაც რომ „გონებისა და გრძნობის საწვრთნელი წიგნია“. ჩემთვის აქ მთავარია იმის ხაზგასმა, რომ გრიგოლ აბაშიძემ თავისი სამი ისტორიული რომანით („ლაშარელა“, „დიდი ლამე“, „ცოტნე“...) თანმიმდევრულად და ჯიუტად დაამკვიდრა ახლებური (სწორედ რომ გრიგოლ აბაშიძისეული) ისტორიული რომანის ყანრი. მისი ექსპერიმენტის არსი პრიმიტიულად ასე გამოითქმის: გრიგოლ აბაშიძეს მკითხველი კი არ დაჰყავს წარსულამდე, არამედ წარსული ამოჰყავს მკითხველამდე. ამიტომაც შეგნებულად უარს ამბობს ხატვის რომანტიკულ სტილზე და ენობრივ არქაიზაციასაც გაურბის. მკითხველი თავად განსჯის, რომელი გზა უფრო სწორია, მაგრამ ჩვენს ისტორიულ რომანისტიკაში კონსტანტინე გამსახურდიას მიერ მკვიდრად ჩამოყალიბებული ტრადიციული ისტორიული რომანის გვერდით, გრიგოლ აბაშიძისეულიც რომ გაჩნდა, ეს ფაქტია და ამ ურთულეს ყანრში ქართველი მწერლის დაუცხრომელი ძიების სასიამოვნო გამოხატულებაც გახლავთ.

„ცოტნეში“ თვალსაჩინო პასაჟები სანთლით საძებნი როდია, მაგრამ ამ სტატიის ავტორს სურდა უფრო მაღალმხატვრულად და დამაჯერებლად ყოფილიყო დახატული რომანის ცენტრალური ეპიზოდი – ნოინის ბანაკში ცოტნეს გამოცხადებისა და უსამართლოდ დასჯილთა ხვედრის გაზიარების სცენა.

ოც წელზე მეტია დააბიჯებენ ამ ქვეყნად ნოდარ დუმბაძის გმირები. გურიის სანახებიდან მათ („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“) ადვილად დაიპყრეს ჩვენი სული და მსოფლიოს ბევრი ქვეყანაც გაიდარბაზეს. დააბიჯებენ სიკეთის სიმბოლოებად ეს სიკვდილთან შეხუმრებული ბიჭები (სოსოია, ზურიკელა, თემო ბარამიძე) და მშობელ ქვეყანას დღითიდღე ახალ-ახალ მეგობარ-მოყვარეთ სძენენ. მეც ბევრ უცხოელს შევხვედრივარ ქართველ კაცს მარტო ნოდარ დუმბაძით რომ იცნობდა და მისი პერსონაჟებითლა ჰქონდა მაღალი წარმოდგენა ჩვენს ეროვნულ ხასიათზე. უკანასკნელ წლებში ცნობილი მწერლის პალიტრამ ახალი თვისებები შეიძინა. უნაპირო იუმორმა და ლილინისმაგვარმა თხრობის მანერამ შეუმჩნევლად მეორე პლანზე გადაინაცვლა, ნ. დუმბაძის პერსონაჟებს ხმაში ხაფი მოემატათ, სტრიქონებიდან ერთბაშად აღიმართა ჩვენს თვალწინ ხშირად შუბლშეკრული, უკომპრომისო და ბრძოლად გამზადებული

მთხრობელი. ნ. დუმბაძემ თავისი შემოქმედების ამ ახალ ეტაპზე ჯერ აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციით („თეთრი ბაირალები“) მიიპყრო ჩვენი ყურადღება და ახლახან ზოგადსაკაცობრიო ფილოსოფიური პრობლემების ორიგინალური გააზრებით („მარადისობის კანონი“). მე ვფიქრობ, ნოდარ დუმბაძის გამარჯვების საიდუმლო, უპირველეს ყოვლისა, იმაში გახლავთ, რომ მან სწორად მიაგნო მწერლის უმთავრეს მონოდებას – ეროვნული სულის ნიუანსებში გარკვევისა და ნაციონალური ფსიქოლოგიის გამოხატვის ამოცანას. ამიტომაც მწერალი იმ ნაწარმოებებში უფრო ძლიერია, სადაც ქართულ კოლორიტს, ქართულ ხასიათს უშუალოდ ასახავს და „ფსევდონტიტული ტუალის“ ბუნდოვან მსჯელობებს არ გვთავაზობს.

ნ. დუმბაძის შემოქმედებაში სიცოცხლეზე შეყვარებული ქართველი კაცის განზოგადებული პორტრეტი დაიხატა. ჩვენი თანამემამულის საუკუნის ქართველებით გახშირებული სუნთქვა ჩაგვესმის მისი წიგნის ფურცლებიდან და ეს იმდენად თვალსაჩინო მიღწევაა მწერლისა, რომ უნებლიედ გავიწყებს იმ მცირეოდენ საკამათოსაც (ჭარბი ავტობიოგრაფიულობა, არაესთეტიური ადგილები, გულუბრყვილო ჰუმანიზმი) ნ. დუმბაძის გულდასმითი კითხვისას იშვიათად რომ გაკრთება ხოლმე კრიტიკოსის გონებაში.

გამორჩეულია ჩვენს მწერლობაში რევაზ ინანიშვილი. იგი, იმ ბედნიერ გამონაკლისთა რიცხვს ეკუთვნის, ვისაც შეუძლია მშვიდად იყოს; მან საკუთარი მონეტა მოჭრა ჩვენს ლიტერატურაში, ახალი, განუმეორებელი მხატვრული სამყარო შექმნა. რევაზ ინანიშვილი იუველიერის სიზუსტით ეკიდება სიტყვას. მისი ფრაზა გამჭვირვალე და ტევადია. მოვლენებთან მწერლის დამოკიდებულება კი უალრესად პოეტური და ფაქიზი. რ. ინანიშვილი ძირითადად ლირიულ ეტიუდებს წერს. პროზის ამ მცირე ფორმაში შეძლო მან ყველაზე მეტად თავისი სტილის გამოხატვა და დამკვიდრება. ორად-ორი ნაწარმოები „ამოუხტა“ მარტო ლირიულ ნაკადიდან ეპიურისაკენ – „ზღისფერი გორგალი“ და „ვილაცას ავტობუსზე აგვიანდება“. მე ვფიქრობ, მიუხედავად საყურადღებო ძიებებისა, ვერც ერთ მათგანში ვერ მიაღწია მწერალმა მისთვის ჩვეულ მხატვრულ სრულყოფილებას. რ. ინანიშვილის ეტიუდების კითხვისას განწმენდის, სულიერი კათარზისის განწყობილება გეუფლება. უნებურად ხელებზე დაიხედავ კაცი და პერანგის ღილებს მოსინჯავ ხელით, ამ სუფთა წიგნთან მოშვებული ხომ არ მოვედიო. მოყვასისთვის ატკივებული დიდი გული ფეთქავს „ცოცხალი ჯვრების“ ავტორის შემოქმედებაში და იგი ისევე ვერ უძლებს გამონვილვით განჩხრეკას, ცივი გონებით შეფასებას, როგორც ბალის ბოლოს, ფოთოლგაცვენულ კაკალზე შე-

მომჯდარი „ზამთრისპირის სევდის“ დიდი უცხო ფრინველები კაცის მიახლოვებას. რ. ინანიშვილის პროზა განმარტოებით დგას ჩვენს მწერლობაში, როგორც ღარიბი კაცის ხელისგულებით ნალესი ქოხი, მიზეზის გამო უფრო ახლობელი და საყვარელი.

სურვილი? მაინც უნდა ვთქვა, რაკი შემფასებლის მანერით მივდივარ ჭეშმარიტი მწერლის ხელითა და გონებით ნაგვირისტალთან და აქვე დავსძენ, ღმერთმა ნუ ჰქნას ჩემი შენიშვნის გათვალისწინებით თუნდაც მცირე რამ შეიცვალოს იმ ჰარმონიაში რ. ინანიშვილმა თავის პოეტურ ქვეყანაში რომ დაამყარა. მე მსურდა, უფრო ხაზგასმულად გამოხატავდეს რ. ინანიშვილი ეპოქის ხასიათს, უფრო მგრძობიარედ განიცდიდეს სადღეისო პრობლემებს, განსაკვიფრებლად დახატულ ხასიათებთან ერთად მკვეთრ, ზუსტ სიუჟეტებზეც იფიქროს. ზოგი მისი ეტიუდი ბრწყინვალე მოთხრობის დასაწყისს ღვაგონებს, რომელსაც მწერლის ხელითვე გაგრძელება არ უნერია და ამიტომ არ გვამახსოვრდება. და მესამე: ფარმაცევტის სიზუსტით ასწონოს მის ნოველებში სიკეთე-ბოროტების ჩვენების დოზა. მე მიმაჩნია, რომ „ჩიტების გამომზამთრების“ ფინალში გამოხატული სადიზმი (დედის მიერ ჩიტისთვის თავის ნაწყვეტა) რ. ინანიშვილის ლირიული პროზისათვის ორგანული არ არის.

რუსუდანმა და ფარნამ ოთხი შვილი გაზარდეს – ლეონი, ვატიუტი, ბაკური და მამუკა. სოფლის ინტელიგენტთა ამ პატიოსან ოჯახს თავისი სერიოზული პრობლემები გაუჩნდა. შელერებული ბიჭების დაოჯახება, მარტო დარჩენის შიში (შვილები ქალაქისაკენ ინევენ, ოჯახის გაყოფასთან დაკავშირებული მრავალი ეთიკურ-ზნეობრივი საკითხი თავსატეხად წამოჭრილა მშობელთა წინაშე) და სწორედ ამ დროს, სრულიად ულოგიკოდ და მოულოდნელად, ამ ოჯახის (და ქვეყნის) თავზე დამოკლეს მახვილივით ჩამოწვა კაცობრიობის გაუგონარი უბედურება – ომი. ოტია იოსელიანის ახალ რომანის ექსპოზიცია, სოფლის ჩვეულებრივი ყოფითი სცენებით დატვირთული, ერთბაშად იცვლება ომის ზარის ყოვლისწამლევადი ნერვიულობით. ცოტა ხანიც და ყველაფერი თავის ადგილს იჭერს. ომის გადატრუსულ გზებზე დააბიჯებენ ფარნას შვილები, თითქოსდა რადიკალურად შეცვალა ისინი თავსატეხილმა ცეცხლის ქარიშხალმა, მაგრამ ოჯახიდან გამოყოლილი დიდი შინაგანი სინძინდე და გულწრფელობა, სიცოცხლის ხალისი და იმერული ღრმა-ზომიერი იუმორი სიცოცხლის ყველაზე მძიმე წუთებშიც შეინარჩუნეს. „შავი და ცისფერი მდინარე“ ომის თემაზე დაწერილ რომანთა გაგრძელება-დამატება, უკან მიდევნებული ლამპარი კი არ არის, არამედ ერთი ოჯახის მრავალწლიანი ცხოვრების (და აქედან გამომდინარე ომისა და ქართველი კაცის

ურთიერთობის) შთამბეჭდავი ეპოპეა. მწერალი ცდილობს ომის თემა ახალი შრეებით წარმოგვიდგინოს: ხომ ცნობილია, რომ საომარი თემატიკის გაშუქებისას ავტორები უმეტესწილად გამირებზე სწერენ, – ოტია იოსელიანი კი ჩვეულებრივ მებრძოლებზე – ფაშისტთა განადგურების სურვილიც რომ აქვთ, მაგრამ სიკვდილისა რომ ძალიან ეშინიათ, მწერალი ქართველი მებრძოლის ბუნებას გასაოცარი დამაჯერებლობით გვიხატავს; გმირთა შორის ისეთი მებრძოლიც არის, რომელსაც თავისი სამშობლოდან ასე შორს მოუწია ცეცხლის წვიმამ და ჯერ კიდევ ბოლომდე გაცნობიერებული არა აქვს – ვის ებრძვის, ვის იცავს, რა ხდება მის თავს. ასევე პირველად ჩვენს ლიტერატურაში ოტია იოსელიანის მიერ ფართოდ და მართლად დაიხატა ფრონტისა და ზურგის ურთიერთობა.

„შავი და ცისფერი მდინარე“ კომპაქტურობით ვერ დაიკვეხნის. სად არის მკაცრი რედაქტორი, თორემ ამ საინტერესო რომანს ძალიან მოუხდებოდა „შეთავისუფლება“ ზედმეტი პასაჟებისა და ხელოვნური ეპიზოდებისაგან.

ომი დამთავრდა. გიგა ვარდოსანიძე მშობლიურ დაბას დაუბრუნდა. თითქოსდა ცხოვრება კალაპოტში ჩადგა. წლები გარბიან, ყოფილ პარტიზანთაგან კი ვერა და ვერ დაიწყოს ის, რაზეც ტყე-ღრანტეებში სისხლისგან დაცლილნი ოცნებობდნენ – მშვიდი ცხოვრება. გიგა და მისი პარტიზანი ძმები იმდენ წინააღმდეგობას აწყდებიან, იმდენ უსამართლობას ხედავენ რომ ამ „მშვიდობიანი მშენებლობის ეტაპზე“ ბრძოლაში უწევთ ჩაბმა და კაცმა არ იცის, როდის უფრო ჭირდა ცხოვრება, მაშინ, როცა სამიზნე საოცრად გამარტოვებული იყო (იქეთ მტერი, აქეთ შენ) თუ ახლა, როცა ათასი შენიღბული მტერი გახვევია სინდისის, პატიოსნების, კაცობის ხელყოფად. ამ პრობლემას (ომგადახდილი ვაჟკაცების ადგილს ჩვენს საზოგადოებაში) ეძღვნება დავით კვიციანიძის რომანი „ძეგლები მინას არ ამძიმებენ“. ჯერ არ განელეებულა ამ კარგი წიგნით მიღებული შთაბეჭდილება და ჩვენმა მაღალპროდუქტიულმა მწერალმა ახალი რომანი შემოგვთავაზა. ეს გახლავთ ქუთაისის გუშინდელ და დღევანდელ დღეზე, გარდასულ და თანამედროვე ადამიანებზე დაწერილი ერთი შეხედვით მემუარულ-სალალობო რომანი „მწვანე ქალაქი“. ავტორმა მიზნად დაისახა საქართველოს ამ განსაკვიფრებლად კოლორიტული ქალაქის ხასიათი დახატოს ჩვენს მწერლობაში. ეს უაღრესად რთული საქმეა. ჯერ რომანი არ დასრულებულა და დასკვნის გამოტანა ნაადრევია, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნო, რომ რომანის გამოქვეყნებული ნაწილები სანუგეშოსთან ერთად გულსატკენსაც ბევრს სთავაზობენ მკითხველს. პრიმიტიულად და ყალბად გამოიყურება

რომანში ზოგი ისეთი დეტალი ცხოვრებაში რომ მართლა ჰქონდა ადგილი და თვით დავით კვიციანიძე პირად საუბარში უფრო მომხიბვლელად რომ ჰყვება ხოლმე, ვიდრე წერს.

ამ ნახევარი საუკუნის წინათ კონსტანტინე ლორთქიფანიძემ განახლებულ ქართულ სოფელზე თქვა მწერლის კომპეტენტური და შეუვალი სიტყვა. ახლა, როცა ჩაიარეს ათწლეულებმა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „კოლხეთის ცისკარმა“ დროის გამოცდას გაუძლო. ვისაც მოესურვება წარმოიდგინოს როგორი იყო პირველი ხუთწლეულის პერიოდის ქართული სოფელი და რა იმედებით იწყებდნენ ცხოვრებას წითელი კომუნის გლეხები, მისთვის უტყუარი მხატვრული გზამკვლევი სწორედ „კოლხეთის ცისკარია“. ახლახანს თანამედროვე ქართული პროზის პატრიარქი, ოთხმოცმეტწევრული ოსტატი ჩვენი მწერლობისა, კვლავ დაუბრუნდა სოფლის თემატიკას. მას, როგორც მწერალსა და მოქალაქეს, აინტერესებდა პასუხი გაეცა ზოგიერთი იმ კითხვისთვისაც, ოცინა წლებში რომ აწუხებდა და „კოლხეთის ცისკრით“ მხოლოდ მწერლური წინასწარმეტყველებით რომ დააკმაყოფილა მკითხველი. საით წავიდა ცხოვრება, როგორ გაამართლა მიწის მუშის იმედები ეპოქამ, რა პრობლემები დგას სამოცდაათიანი წლების სოფლის წინაშე და ვინ არიან ისინი – ტარასი ხაზარაძის და მექი ვაშაკიძის მემკვიდრენი? ამ კითხვებს უპასუხა მწერალმა მხატვრულ-პუბლიცისტური ნარკვევებით „რა ხდება აბაშაში“ და „მთას დაუბრუნდა მთიელი“. ამ ნარკვევებში დაინტერესებული მკითხველი ბევრ რამეს იპოვის სოფლის გასაღონიერებლად სამომავლოდ დასაფიქრებელს.

თუ ამ ნარკვევებში ჩაკირკიტებულ მკითხველს მაინც შეუძლია „აღმოაჩინოს“ საკამათო რამ (ალაგ-ალაგ პათეტიურობა, იშვიათად უსაბუთო, ოპტიმისტური ნიაღვრეები), სამაგიეროდ კ. ლორთქიფანიძის მოთხრობა „სიტყვა იყო ღმერთი“ ერთ-ერთი საუკეთესო მწერლის შემოქმედებაში და დიდი შემეცნებითი ღირებულებებით გამოირჩევა.

ახლახან მიიღო მკითხველმა ლადო მრელაშვილის „ყაბახი“ შევსებული და მწერლის მიერ საბოლოოდ რედაქტირებულ-გადაკეთებული გამოცემა. დიდხანს რანდა და აჩუქურთმა ავტორმა თავისი ლიტერატურული ცხოვრების ეს მთავარი წიგნი და ახლა, როცა კიდევ ერთხელ წავიკითხე, საშუალება მომეცა ერთხელ კიდევ დავრწმუნებულიყავი იმაში, რომ „ყაბახი“ ქვეყნის მთელ მხატვრული და მთამბეჭდავი რომანია.

ჭალისპირის ყოფის მრავალმხრივი, ოსტატური ჩვენებით მწერალმა გამოააშკარავა და ამხილა ის ნაკლოვანებანი, წლების განმავ-

ლობაში რომ უშლიდა ჩვენი სოფლის წინსვლასა და განვითარებას. დაგვიხატა კოლორიტული ხასიათები, რომელთა ერთი ნაწილი (ნიკო კუპრავა) გადაულახავ ბარიერად აწევს თანამედროვე სოფელს და საკოლმეურნეო დოვლათის მითვისებით ჯიბეს ისქელებს, ხოლო მეორე ნაწილი (შავლეგო, რევაზი, რუსუდანი) შეუპოვრად ამხედრებული სოფლის მყველფავთა წინააღმდეგ და თანმიმდევრული ბრძოლით სიმტკიცისა და პატიოსნების მაგალითს იძლევა.

ავტორი შეურიგებელ ბრძოლას უცხადებს რესპუბლიკის ზოგიერთ უწყებაში წლების განმავლობაში დამკვიდრებულ ცხოვრებისა და საქმიანობის მანკიერ სტილს – მექრთამეობას, მომხვეჭელობას და შესრულების კონტროლისადმი ზერელე დამოკიდებულებას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ლადო მრელაშვილი ერთ-ერთი პირველი პროზაიკოსი იყო, რომელიც თავისი ამ რომანით მკვეთრად გამოიჩინა მოჭარბებული პანეგირიკული-მაამებლური ნაწარმოებების ფონზე და თავდაუზოგავად ამხილა შემწინეული ხარვეზები. ვოლუნტარიზმისა და საყოველთაო მოშვეტულობის პერიოდში ეს თვალსაჩინო მოქალაქეობრივი გაბედულება იყო.

„ყაბახი“ ხასიათდება ღრმა, ცხოვრებისეული დაკვირვებებით, საინტერესო სიუჟეტით, ოსტატური კომპოზიციური შენობითა და მდიდარი, ხატოვანი ენით. ხოლო ნიკო ბალიაშვილისა და შავლეგო შამრელაშვილის სახით ქართულ პროზას ორი უაღრესად საინტერესო ხასიათი შეემატა. ისინი ეპოქის ღვიძლი შვილები არიან. ნიკო ბალიაშვილი ცხოვრების ახალ პირობებს შეგუებული, გაქნილი და გაიძვერა თავმჯდომარეა, რომელიც სოფლის ძარცვის საკმაოდ დახვეწილ არსენალს ფლობს, ხოლო შავლეგო შამრელაშვილი – მისი ანტიპოდი, პატიოსნებით აღსავსე გულადი და შეუპოვარი ახალგაზრდა.

„ყაბახში“ დიდი ვნებები, ძლიერი წინააღმდეგობანი, თანამედროვეობის ნიშნით დალდასმული სულისშემძვრელი სოციალური მოვლენებია დახატული.

არსებობენ სარედაქციო საქმეს „შენიერი“ მწერლები. მათზე განსაკუთრებული სიყვარულით უნდა იმსჯელოს კრიტიკოსმაც და მკითხველმაც. ამ მწერლებს ისეთი დიდი ტვირთი დააკისრა ცხოვრებამ, ისე ბევრი დრო და ენერჯია წაართვა მათ სხვათა ნაწერების გალამაზებამ, რომ იმისთვის, რითაც რედაქტორებმა მომავალ საუკუნეს უნდა ესაუბრონ, დრო აღარ რჩებათ. ასეთ შემოქმედთა რიცხვს მიეკუთვნება გიორგი ნატროშვილი. გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, ჩვენ, ყველანი ბევრს ვლაპარაკობთ გიორგი ნატროშვილზე, როგორც კრიტიკოსსა და პუბლიცისტზე (ვის არ

უგრძენია მხარზე მის მიერ დაკრული გამხნეების ხელი, მაგრამ გიორგი ნატროშვილზე, როგორც პროზაიკოსზე ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში თითქმის არაფერი (ან ძალიან ცოტა) თქმულა. მკითხველს ვთხოვ ერთხელ კიდევ მიუბრუნდეს და ყურადღებით ჩახედოს მწერლის თვითმყობადი პროზის ახლახან გამოცემულ სქელტანიან ტომს) თხზულებანი, ტომი I; მთლიან პროზას ეთმობა) და თავად დარწმუნდეს იმ ჭეშმარიტებაში, რომ „უდარდელი კაცის სიკვდილის“ ავტორის სახით ჩვენ ფრიად ნიჭიერი ბელეტრისტი გვყავს. „გაზაფხული იყო იორზე“, „შიში“, „თუმის ქალი“, „შინდისფერი ყელსახვევი“ და „ხუთასი ობოლი“ იმდენად მაღალპროფესიონალური მოთხრობებია, რომ ამ სტატიის ავტორი უფლებას იტოვებს ლოდინით დადლილი მკითხველის მომთხოვნელობით ელაპარაკოს გიორგი ნატროშვილ-პროზაიკოსს.

რევაზ ჯაფარიძემ წერტილი დაუსვა „მძიმე ჯვარს“ და მკითხველის თაროზე დაიდო მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების ფრიად მნიშვნელოვანი მხატვრული მატანე. უპირველესი, რაც რევაზ ჯაფარიძის ამ ნაწარმოებს ტრადიციული ისტორიული რომანებისაგან განასხვავებს, ის გახლავთ, რომ „მძიმე ჯვარი“ ერთი კაცის – სოლომონ მეფის ტრაგიკული ცხოვრების ქრონიკა კი არ არის, არამედ მთელი ერის იმდროინდელი სოციალ-პოლიტიკური ყოფის პანორამული სურათია ნაჩვენები. ძნელია კაცმა წარმოიდგინოს უფრო დრამატული სვე, ვიდრე „სოლომონ დიდს“ ხვდა წილად. ფაქტობრივად იმ ეპოქაში გადაწყდა საკმაოდ დიდი ხნით საქართველოს მომავლის საკითხი და მწერლის დიდ გამარჯვებად მიმანია ის ფაქტი, რომ მან უაღრესად სწორად განჭვრიტა და თითქმის ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლის სულის ნიალ ამოწმა ჩვენი სახელმწიფოებრიობის ყოფნა-არყოფნის სისხლხორცეული პრობლემა. ერეკლესაგან განსხვავებით მაინც ბოლომდე იქნია ხმალი სოლომონ მეფემ, ბოლომდე ებრძოლა და ეჯაჯგურა გაუტანელ წუთისოფელს, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ედგა ბჭედ თავის მამულს და რისხვად შინაურსა და გარეშე მტერს („ჩვენ მაინც ღვთის განგების მადლიერი ვიყავით და თავიდან ვინყებდით ცხოვრებას! აღარ დამცალდა, ერთი თავისუფლად ვერ ამოვისუნთქე... მადლობელი ვარ ყველასი, ვინც ჭირსა თუ ლხინში გვერდით ამომიდგა, ჩემი უსიხარულო ხვედრი გაიზიარა და გაუტანელ წუთისოფელში მარტო არ დამტოვა“). ათასგვარი სფეროა დახატული რ. ჯაფარიძის რომანში ეპოქის ხასიათის საჩვენებლად. კითხულობთ წიგნს და გრძნობთ რა სასტიკი დროა. თითქოსდა არცთუ ბევრი წელი გასულა სოლომონ მეფის

ეპოქიდან და როგორ შეცვლილა საზოგადოებრივი ფსიქიკა, როგორ გვჭირდება დღესაც ის უნაპირო ფანატიზმი ქვეყნისა და რჯულის დაცვაში რომ ამჟღავნებდნენ ქართველები. ამ იდეის ქადაგებას ეძღვნება მთელი წიგნი, ქართული სულის უკვდავება ლაიტმოტივად გასდევს „მძიმე ჯვარს“. ეს აზრი მარტო გმირთა ლაღადისში კი არა შეთქმულ ბაჭუა სოფრომადის სიტყვებშიც ჟონავს: „... ჩემი დღე და მოსწრება გზაზე ვარ გაკრული! ხან ლეკი დამდევს მოსაკლავად, ხან თათარი და ხან ქრისტიანი! რომელ ერთს გავუძლო?!“

– გაგიძლია და ეგ არი, რაღაი აქამდე მოსულხარ!“

ის, რაც რ. ჯაფარიძის ამ სქელტანიან ეპოპეაში საკამათოა (ალაგ-ალაგ ერობრივი კოლორიტის აღრევა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ სასაუბრო მეტყველების ჭარბად გამდაბიურ-გათანამედროვეობა, რომანის უდავო ღირსებებთან შედარებით ზღვაში წვეთია.

მხატვრულ-დოკუმენტური პროზა ახალ სიმალეებს აზიარა ლევან სანიკიძემ „უქარქაშო ხმლების“ ოთხი წიგნით. პიონერობა ჩვენი ისტორიის მხატვრულად გადმოცემისა, მართალია „უქარქაშო ხმლების“ ავტორს არ ეთქმის, მაგრამ ეს ნაწარმოები მკითხველთა ფართო აუდიტორიას იზიდავს იმით, რომ თხზულებაში პირველად შეერთდა ისტორიკოსი – მეცნიერი და მწერალი. „უქარქაშო ხმლები“ მკითხველთა მასისთვის გამიზნული მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და მხატვრული სრულყოფით გამორჩეული წიგნია. ვინ ვართ ჩვენ – ქართველები, საიდან მოვედით, რა გადაგვხდა ათანლეულებში ხეტიალისას და რას გვიქადის მომავალი – ამ კითხვებზე პასუხი განსაკუთრებით სჭირდებოდა ქართველ კაცს დღეს, როცა არსებობს კოსმოპოლიტიზმისა და ეროვნული აღრევის საშიშროება. მიუხედავად იმისა, რომ „უქარქაშო ხმლების“ ავტორს ალაგ-ალაგ ზომიერების გრძნობა ლაღატობს (ისტორიული წყაროების უქონლობის გამო ყველაფერი როდია მეცნიერულად სანდო) ეს წიგნი ყველა ქართველის ოჯახში უნდა იდოს ჩვენდა თავმოსანონებლად.

გურამ ფანჯიკიძეს განსაკუთრებით გამახვილებული აქვს თანამედროვეობის გრძნობა. მოქალაქეობრივი გაბედულობით, შეუპოვრობით, სადღეისო პრობლემების დაყენებითა და თანამედროვეის სულის ნიუანსებში ღრმად წვდომის უნარით იგი კარგა ხანია გამოირჩა ჩვენს პროზაში და სიამოვნებით უნდა დავსძინო, რომ დღითი დღე სრულყოფს თავის მხატვრულ ოსტატობას.

„აქტიური მზის წელიწადი“ სწორედ რომ ეპოქისმიერი, ღრმა ფსიქოლოგიური ძიებებით აღსავსე ნაწარმოებია. ნოდარ გელოვანის სახით პირველად გამოჩნდა ჩვენს ლიტერატურაში სამოცდაათიანი წლების ინტელექტუალი, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის შვი-

ლი, კაცი, რომელიც ქვეცნობიერად ებრძვის თავისთავში ბუნების შვილსა და ტექნოკრატს. იგი პირდაპირი მსხვერპლია იმ საოცარი ზღვრისა ადამიანის გონებრივ შესაძლებლობასა და სინამდვილეს შორის რომ გაჩნდება ზოგჯერ. უალრესად დამაჯერებელია ნოდარ გელოვანის ხასიათის ფონზე მისი სიყვარულიც, მეცნიერებისადმი დამოკიდებულებაც, ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ურთიერთობა. ჩვენ თამამად შეგვიძლია ვილაპარაკოთ მასზე, როგორც სრულიად ახალ ტიპზე ქართულ პროზაში. ამავე რომანში უფრო ტაქტიკურად და ზომიერად გაგრძელდა მწერლის მიერ „თვალი პატიოსანში“ აღებული გეზი ნაკლოვანებებთან, ადამიანურ მანკიერებებთან შეურიგებლობისა.

ერთადერთი, რაც შეიძლება სამომავლო ვუსურვოთ გ. ფანჯიკიძეს, ის გახლავთ, რომ უფრო ლმობიერი იყოს თავისი გმირებისადმი. სტრესული განწყობილება, რაც მის პერსონაჟებს ახასიათებთ, ხშირად მთხრობელსაც გადაედება ხოლმე. ეს სრულიად ბუნებრივია, რადგანაც ავტორიც ამ დროის ღვიძლი შვილია, მაგრამ იქნებ საჭირო იყოს თავს მეტი ძალა დაატანოს მწერალმა და შესამჩნევად ჰუმანური, შეუვალი აღმწერის დამოკიდებულება დაამყაროს თავისი გმირებთან.

ოთარ ჭილაძის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ რთული სიმბოლოებითა და ღრმა ალეგორიებით დატვირთული რომანია. მაკაბელების ოჯახის ცხოვრების ასნლოვანი ისტორიის დანვრისებით გადმოცემა მწერალს იმად აინტერესებს, რომ გვიჩვენოს, რა სოციალური და ინტელექტუალური – პოლიტიკური ცვლილებები განიცადა საქართველომ დამოუკიდებლობის დაკარგვიდან იმ დრომდე, როდესაც კაპიტალიზმი ფარვატერში შესულმა ქვეყანამ ირწმუნა, რომ ფენიქსივით მისი აღდგენა კიდევ შეიძლებოდა და ეს საქმე ახალ თაობას უნდა ეტვირთა.

რომანი იწყება ანას, თათრისა და მაიორის უალრესად შთამბეჭდავი ეპიზოდით. ეს ეპიზოდი განზოგადებულ მნიშვნელობას იძენს და მთელი რომანის ლაიტმოტივადაც გამოდგება. თათრისგან დაბრიყვებულ ქალს, რომელიც მისდაუნებურად იქცა მოძალადის ხასად, უეცრად მხსნელი მოევილინება. თითქმის უსამშობლო მაიორმა, ქაიხოსრო მაკაბელმა მართალია, თათარი მოაშორა დედაკაცს (და შეურაცხყოფილ სოფელსაც) მაგრამ დაბეჩავებულ დედაშვილს ბედნიერება ვერ მოუტანა. თათრის ბრიყვული უხეშობიდან ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა მაიორის ანგარებიან სიკეთემდე. ავტორი ამკარა ალეგორიულობით მიანიშნებს მკითხველს, რომ ანამ (და მისი სახით სოფელმა) თავის თავში უნდა აღმოაჩინოს თათრის (და ყოველი მოძალადის) დათრგუნვის ძალა, თორემ დაკაბალების ერთი

ფორმის მეორეთი შეცვლა ქვრივს ბედნიერებას ვერ მოუტანს. აკი ასეც მოხდა. „დამაცადონ, იქნებ თათარი სანატრელი გაუხდეთ“ – ამბობს გამარჯვებული მაიორი.

ვინ არის ქაიხოსრო მაკაბელი? მეცხრამეტე საუკუნის პარმალზე გაჩენილი ბავშვობანართმეული, თავისუფლებანართმეული, სასონარკვეთილი კაცის ტიპური სახე. „მას კი ყველაფერი აშინებდა: ალამაჰმადხანიც, რომელსაც ყველგან სწყევლიდნენ და თეთრი ჯარიც, რომელსაც ყველგან მოუთმენლად ელოდებოდნენ, თუმცა წესიერად არც იცოდნენ, საიდან უნდა გამოჩენილიყო, ანდა როდის. არც მან იცოდა, რომ იმ საბედისწერო დღეს, როცა აივნიდან გადმომხტარი თუ გადმოვარდნილი ქვაფენილზე დაენარცხა, მისი სამშობლო დაცემულიყო, კიდევ საკითხავი იყო, შეძლებდა თუ არა ფეხზე წამოდგომას“.

ოთარ ჭილაძის ამ რომანში სამშობლოსა და ადამიანების ბედი მჭიდროდაა ერთმანეთზე გადახასკვული. მწერალი თვალეში უყურებს ისტორიულ სიმართლეს და მეცხრამეტე საუკუნის უბრალო ქართველი კაცის ყოფის სურათებს ზემოთ მოტანილი ციტატის დრამატული ქვეტექსტებით ტვირთავს.

ბევრი ქართველი მოანია ცხოვრებამ მაკაბელთა ოჯახის თავზე. ულმობელმა სინამდვილემ, სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ და ამავე მიზეზით გამონვეულმა ტკივილებმა (ენისა და რჯულის დაკარგვის შიში, ეკონომიური გაჩანაგება, რწმენის შერყევა) ნაფოტივით მიმოფანტა მაკაბელთა ერთ დროს ძლიერი, ტრადიციული ოჯახი, მაგრამ რომანს ნითელი ზოლივით გასდევს აღდგენისა და განახლების პათოსი. მწერალს სამართლიანად სჯერა რომ ჭირთამთენი ქართველი კაცი სწორედ თავისი სიჯიუტით და მინის ყივილის გამახვილებული გრძობით გამოაღწევს მეცხრამეტე საუკუნის საშიში ისტორიული ლაბირინთებიდან, ეს პათოსი ყველაზე თვალსაჩინოდ რომანის ფინალში გაცხადდა: „ახლა, როცა მშობლიურ სახლამდე დათვლილი ნაბიჯებიღა დარჩა, საბოლოოდ რწმუნდება რაც ხდება. ცხადში რომ ხდება ყველაფერი, ის ხომ მართლა ალექსანდრეა და ნამდვილად მართაა, რომ მიაბიჯებს მის წინ, ნიკოს შვილი; მისი სისხლი და ხორცი, მისი არსებობის გამმართლებელი და განმამტკიცებელი, ჯერ კიდევ სუსტი, ჯერ კიდევ პატარა სიცოცხლე, მაგრამ მაინც სიცოცხლე: „ჯიუტი, მზარდი, თამამი, ხალისიანი... ბიძამისის, ამ ცალხელა ახმახის წყალობით სამუდამოდ გადარჩენილი და სამუდამოდ დაბრუნებული შინ“.

ოთარ ჭილაძის რომანს ატყვია პროფესიონალი მწერლის გამოცდილი ხელი. ნანარმოები იმდენად მოწესრიგებულია, ისე კარგად



ფლობს ავტორი მკითხველის ყურადღების მიპყრობის რთულ მხატვრულ ილუტებს, ისე ლოგიკურად ხატავს სიტუაციებს, რომ, წიგნი ერთი სულის მოთქმით უნდა წაიკითხო. თუმცაღა ოთარ ქილაძის სტილს მაინც ეტყობა გამალიზიანებლად ზედმეტი სიფრთხილე, მთავარი სათქმელი ხშირად ძალიან ღრმად დევს და ზედმეტი აღწერილობის ბურუსში გახვეულს სანამ მიაგნებდე, ილღები კაცი.

რეზო ჭეიშვილის შემოქმედებას, ჩემთვის ადვილად ასახსნელი მიზეზების გამო, განსაკუთრებული მღელვარებით აღვიქვამ და განვიცდი. ჯერ ერთი, ნაცნობი და ახლობელია ის გეოგრაფიული გარემო, სადაც „დალის“ ავტორის გმირები ცხოვრობენ და მეორეც ჩემზე შთამბეჭდავად მოქმედებს ის ირონიულ-პაროდიული მანერა წერისა რ. ჭეიშვილი რომ წლების განმავლობაში უერთგულეებს და თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში ლამის მოდად რომ ქცეულა. ნიჭიერი მწერლის ბოლოდროინდელი ნაწარმოები – „მუსიკა ქარში“ საყურადღებო და ორიგინალურია მარტო ომისდროინდელი მოზარდის ფსიქიკაში ღრმად წვდომითა და სიცოცხლის სიყვარულის დაუოკებელი ჟინით კი არა, ჟანრული თვალსაზრისითაც. ეს გახლავთ რომანი ერთიანი ფაბულისა და სიუჟეტური ღერძის მქონე. რომანი, რომელიც ცალკეული ნოველებისაგან შედგება და თითოეული ნოველა მხოლოდ რომანის ეპიზოდის ფუნქციას კი არ ასრულებს, არამედ დასრულებული მხატვრული ნაწარმოებია (იმდენად დასრულებული, რომ ზოგჯერ ვერც კი ჯდება რომანის კომპოზიციურ ქსოვილში). ჩვენი ლიტერატურიდან მიჭირს ამგვარი ფორმის თხზულების გახსენება. „მუსიკა ქარში“ ფრაგმენტული მოგეჩვენებათ, მხოლოდ იმის გამო, რომ ავტორმა უაღრესად თამამი ნაბიჯი გადადგა ნაწარმოების ფორმის ძიების გზაზე. ზემოთქმულს თუ დავუმატებთ ამას წინათ „ნობათში“ დაბეჭდილ ნოველებს (მათგან განსაკუთრებით დამამახსოვრდა „მესამე მგზავრი“, „ხელები“, „ნობელი“) შეიძლება დავასკვნათ, რომ რ. ჭეიშვილმა ნაყოფიერად იმუშავა და თავისი მომხიბლავი ლიტერატურული ციხე-გოჯი საიმედო ბურჯებით გაამაგრა.

ხმა რომ დაირხა ნოდარ წულეისკირი აბო ტფილელის ცხოვრებაზე რომანს სწერსო, უნდა გამოვტყდე, ცოტა არ იყოს სკეპტიკურად განვენყვე მწერლის ამ სურვილის მიმართ. ჯერ ერთი „აბო ტფილელის წამება“ ერთხელ უკვე დაწერილია და მეორეც, ნაწარმოების უმთავრესი ეროვნული რელიგიური პრობლემის თუნდაც ორიგინალური ინტერპრეტაცია რას მისცემს თანამედროვე მკითხველს-მეთქი, გავიფიქრე. რა სინანულით მიმაქვს ჩემი ნაჩქარევი ფიქრი უკან ახლა, როდესაც ჩემ წინ დევს „განთიადში“ დასტამბული „ღვანლი და წამება

აბოსი და იოანესი“. შორეულ წარსულში წამებულმა აბო ტფილელმა რომანის ავტორი თანამედროვეობის აქტუალური საკითხებიდან კი არ გაიტყუა, პირიქით დაეხმარა ნ. წულეისკირს მკითხველისთვის ეთქვა, რომ ნეტარ არიან სიმართლისათვის, პატიოსნებისათვის, მაღალი ზნეობისათვის, პროგრესისათვის წამებულნი. ავტორმა ცნობილი ლიტერატურული სიუჟეტის ახლებური გააზრებით გვიჩვენა, რომ საუკუნეებმა მხოლოდ ნანილობრივ უმკურნალეს ერთა უმთავრეს სატკივარს, რომ სიკეთისა და ბოროტების ბრძოლაში ხშირად ათასი წლის მერეც იგივე პრობლემები წამოტივტივდება ცივილიზაციის გარიჟრაჟზე რომ იდგა კაცობრიობის წინაშე.

ღრმა ფსიქოლოგიური და ფერწერული სიცხადით დახატა ნ. წულეისკირმა აბოსა და იოანეს ტრაგიკული ცხოვრების ფურცლები. მთავარი აქცენტი გარეგნულ რეალობაზე კი არაა გამახვილებული (ნ. წულეისკირი თავს არ გვანონებს ისტორიული სინამდვილის ღრმა ცოდნით) არამედ გმირთა სულიერ წონასწორობაზე, მათი ფსიქიკის ურთულესი ნიუანსების მხატვრულ გარდასახვაზე. ჩამთავრებთ წიგნს და გონების თვალიდან არ გშორდებათ მოძალადეთა სისასტიკით დათრგუნვილი შიშის გამო ერთმანეთისადმი ნდობადაკარგული, გამცემთა და უნებისყოფითა მაგალითი რწმენაშერყეული, მაგრამ მაინც მუშტად აღმართული ერი.

ამ საინტერესო რომანში ჩემი აზრით, დაკარგულ შესაძლებლობად რჩება ფინალი: იოანეს ჩაქოლვის სცენა (ბრბო უმაღურია!) მხატვრულად მოტივირებული არ არის და სიუჟეტის ამგვარ „თავისუფალ“ გადაწყვეტას ვერ დავეთანხმები.

ნიჭიერი მწერალი გამოჩნდა ჩვენს ლიტერატურაში ნუგზარ შატაიძის სახით. ჩვენს თვალწინ იზრდება და სრულყოფს იგი თავის ოსტატობას (ამ მხრივაც არა ჰგავს იმ „მინისქვეშა ტალანტებს“ ათი წლის წინათ ერთი პატარა მოთხრობა რომ დაბეჭდეს და მეორე მოთხრობის შექმნამდე ნერვების დაწყვეტამდე გვალოდინებენ). მხიბლავს ნუგზარ შატაიძის პასუხისმგებლობის გრძნობა ლიტერატურული საქმისადმი, ნოველაში ახალი ხასიათების შექმნის სურვილი და კომპოზიციის გამახვილებული გრძნობა. ზედმეტს არაფერს ამბობს, ხატავს ზედმინევნითი სიზუსტით და გულისგამანვრილებელი დეტალიზაციით თავს არ გაბეზრებთ. რაც მალე განთავისუფლდება რევაზ ინანიშვილის სახიფათო მსგავსებისაგან და საკუთარი გზით ივლის – მით უკეთესი.

ინტერესით მიიღო მკითხველმა სერგი ქილაიას ქრონიკები. მსოფლიოს მრავალ ენაზე თარგმნილ „ეკატერინე ჭავჭავაძეს“ (რომელიც ავტორის პირველი ცდა გახლდათ დოკუმენტურ-მხატვრული

პროზის რთულ ჟანრში) ამ ბოლო წლებში სერგი ქილაიამ ხუთი ახალი ქრონიკა ამოუყენა მხარში – „საუბარი ლანდებთან (ეგნატე ნინოშვილის ცხოვრებაზე), „იყო ერთი პოეტი“ (ტერენტი გრანელზე), „ერთია ქვეყანაზედა“ (რაფიელ ერისთავზე), „ცისფერი კომუნარები“ (პირველი საბჭოთა ინჟინრების ტრაგიკულ ცხოვრებაზე) და მხილების პათოსით გამსჭვალული, კომბინატორთა და საქმოსანთა წინააღმდეგ მიმართული „ადექით, სასამართლო მოდის“. ამ ნაწარმოებებმა ჩვენი ყურადღება მიიპყრო არა იმდენად მხატვრული ხარისხით, რამდენადაც დოკუმენტური სიზუსტით და ავტორის გულწრფელი სურვილით არა მარტო აცოცხლებდეს გარდასულთა წმინდა აჩრდილებს, მხარში ედგეს ჩვენს მღელვარე თანამედროვეობას.

1980 წ.

## სიმაართლის ფარი იფარა

იყო წლები, როცა კრიტიკოსის გაგონებაზე მწერალს ტანში აჟრჟოლებდა, რადგანაც ჩვენი ისტორიის ავადმოსაგონარი რამდენიმე წლის მანძილზე ლიტერატურაში „პარტიული ჩეხვის“ პოლიტიკამ შედეგად მიხეილ ჯავახიშვილის, ბენიტო ბუაჩიძის... უდროოდ შეწყვეტილი სიცოცხლე დაგვიტოვა და წლების შემდეგ რეაბილიტაციითა უკან მიდევნებულმა ლამპარმაც ვერ გაანელა პატიოსანი მკითხველის გულისწყრომა კრიტიკოსის მოუზომავი სიტყვის მიმართ, ნებით თუ უნებლიედ „კაენის სულის აღზევება“ რომ გამოიწვია.

ათეული წლები დასჭირდა იმას, რომ ქართველი მწერლის ფსიქიკაში განელებულიყო იმ ელდით გამონვეული შიშისა და ზედმეტი სიფრთხილის გრძნობა, ასე დამლუპველი რომ გახლავთ საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსული კაცისათვის.

„მოყვარეს პირში უძრახე“ სწორედ ის ზნეობრივი სიბრძნეა, დღეს განსაკუთრებული აქტუალობა და ძალმოსილება რომ შეიძინა.

მაგრამ სიმაართლის ბოლომდე თქმის გაუბედაობა ჯერ კიდევ მრუმე ფარდად აწევს ზოგი ჩემი თანამოკალმის შემოქმედებას. ესაუბრები ყალბი რომანსების, გულისამრევი ოდების, „სბოს პათეტიკის“ განწყობის მწერალს და უსიამოდ დაუბერავს მის ბაგეთაგან აუტიკვარი თავის ფილოსოფია: „ეჰ, შენ არ იცი, შენ არ გახსოვს, შვილისა. ეს, ყველაფერი ქათმის მოსატყუარი საკენკი არ იყოს. დემოკრატიულობას და კრიტიკულობას კატის მიერ შეპყრობილი

თავის ბოლო თამაშის სუნი არ დაჰკრავდეს. ჯერ მოვიცადოთ, დავფიქრდეთ, განვსჭვრიტოთ, ავწონ-დავწონოთ“.

არა და განა რამდენი ათწლეულებისგან შედგება კაცის ცხოვრება? ვის და რას უნდა დაუცადო, როცა შენს ხალხს ასე სჭირდება მწერლის მართალი სიტყვა?

იგი, ტაშის მოყვარული, კურდღლისგულა მოკალმე, როდი იცდის. პიტნასავით წამდაუნუმ აჩრის მკითხველს ცხვირში თავის უმწიფარ თხზულებებს, უპოზიციო, რებუსურ მოთხრობებს, ან უკიდევანო, უსაფუძვლო ხოტბის შემცველ ლექსებს.

ამგვარი ლექსი ზოგი ორგანოს რედაქციამ მიიღო და პირველ გვერდზე დაბეჭდა, საგანგებო შრიფტით ააწყო და გვერდით დაფნის ფოთლებიც მიუხატა, მაგრამ მკითხველმა არ მიიღო იგი, თავისად არ გაიხადა, გულისა და გონების ფიცარზე არ დაიწერა.

მე რომ ლიტერატურის უკეთეს ნარმომადგენელთა სიის შედგენა მთხოვონ, უპირველესად იმათ ჩამოვთვლიდი, ვისი სუსხიანი სიტყვაც მახვილივით ქრის და ჰკვეთს ჩვენი წინსვლის ხელისშემშლელ ხავსსა და მუმლს. იქნებ ზოგჯერ გულშემატკივრის, ქირისუფლის პოზიციის ნათქვამი მათი სიტყვა ავყიათა განქიქების მსხვერპლად იქცეს, მაგრამ ერის უკეთესმა შვილებმა კარგად იციან, თუ საით არის გამიზნული ქეშმარიტი მწერლის რუდუნება. იმ სანუკვარი მიზნისკენ, რომელიც ერსა და ბერს ერთ მუშტად, ერთ სულ-ხორცად ჰკრავს და უკვდავ წინაპართა შუქსხივით მოსავს.

ჩვენი მწერლობის საბრძოლო იარაღის გაფერვა-გაფხავებისა და ლიტერატურის სასიკეთოდ მობილიზების საქმეში განუზომელია კრიტიკის როლი.

თუ რუსთველის ან დავით გურამიშვილის დროს მწერლობა „იოლას გადიოდა“ კრიტიკის გარეშე, დღეს ჯანსაღი სალიტერატურო კრიტიკის უქონლად ლიტერატურის წინსვლა წარმოუდგენელია.

კრიტიკამ უკვე დაიბრუნა, ერთ დროს ჩრდილმიყენებული სახელი მწერლობის ფხიზელი გუშაგისა და მის უკეთეს გამონათებათა უანგარო პროპაგანდისტისა.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე შეიქმნა ჩვენში კეთილმოსურნე, ობიექტური კრიტიკის ტრადიცია (მის დამკვიდრებაში ლომის წილი სამოც, სამოცდაათიან წლებში მოსულ კრიტიკოსთა თაობას მიუძღვის), ჯერ კიდევ არ შექმნილა ჯანსაღი კრიტიკისადმი მომთმენი, გულისყურიანი დამოკიდებულების ატმოსფერო.

ყველას უნდა პირუთვნელი, სუსხიანი კრიტიკა, ოლონდ სხვისთვის. როგორც კი კრიტიკა მის შემოქმედებას შეეხება, მეგობარი მწერალი აიძრის და განზე გაიხედავს.

ძნელზე ძნელი (და რატომღაც ზოგჯერ უმადური) საქმეა კრიტიკოსობა. დღესაც უაღრესად რთულ პირობებში უხდება მუშაობა სამწერლო ასპარეზზე კრიტიკოსის მანტიით გამოსულ ახალგაზრდა კაცს და თუ არ მიწყენს იგი, რამდენიმე რჩევას მივცემ. ეს რჩევა მხოლოდ და მხოლოდ ჩემი მცირე ლიტერატურული გამოცდილებიდან მოდის და არამც და არამც „დამოძღვრის“ სურვილიდან.

კრიტიკოსს ახალგაზრდობით არაფერი ეპატიება, ამიტომაც თამამი აჩქარება, თუმცა ვისთვისაა სასარგებლო, მაგრამ განსაკუთრებით საზიანოა დებიუტანტი კრიტიკოსისთვის. „ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერის“ სიბრძნე უნდა აქციო შენს პრინციპად, თუ ლიტერატურის ჭეშმარიტ მსახურად ხარ მოვლენილი.

შეფასებაში ყოველთვის იყავი ნათელი და მყარ პოზიციაზე მდგომი, მაგრამ ეცადე მოკრძალებულად, თავმდაბლად სთქვა შენი სათქმელი. ხშირად იხმარე სიტყვები: „მე ასე ვფიქრობ“, „მე ასე მეჩვენება“, ნუ მიიღებ ყოვლისმცოდნის იერს და, რაც მთავარია, ცინიზმი, უადგილო, მომაკვდინებელი ირონია განაძევე შენი არსენალიდან, როცა მოყვას მწერალზე საუბრობ.

ნუ დაიმკვიდრებ რადიკალური, ოდენ განმაქიქებელი კრიტიკოსის სახელს. რამდენიმე ახალგაზრდა კრიტიკოსი ვიცი, ჯერ არც ერთი თბილი სიტყვა არ უთქვამთ. არავინ ნაუხალისებიათ. ნუთუ მათი მოსაწონი არაფერი დაინერა ამ ქვეყანაზე? მართალი კაცი მაშინ იქნები. კარგსაც რომ შეამჩნევ და ავსაც. სარეველას რომ მოთხრი, მაგრამ სამამულე რქას რომ მოუვლი და მოეფერები.

შემოქმედის, კაცის ყადრი იცოდე. ნაბან წყალს ბავშვიც არ გადააყოლო. თუ მწერლის საერთო პოზიცია მოგწონს, თუ იგი შენი და შენი თაობის სათქმელსაც გამოხატავს და როცა საჭიროა ხმალ-ამოღებული დგება ერის ღირსების ტრიბუნაზე, მოუზომავი კრიტიკით გულს ნუ ატკენ. უთხარი, რაში შეცდა, ოღონდ მის ნააზრევში კარგიც შენიშნე და დააფასე.

იცოდე, მთვარი სამშობლოა, ამიტომაც მხატვრული სიტყვა ყოველთვის ეროვნულის პოზიციიდან განსჭვრიტე, ნურც „შიშველ იდეურობას“ ნააქეზებ და ნურც მანკიერებათა ალაღ მამხილებელს, საყოველთაო წინსვლისთვის კრიტიკული მახვილით მებრძოლს მიუმატებ უიდეოთა და განზე განდგომილთა ავბედით სიას.

უპირველესად პატივი ეცი გულწრფელობას და პროფესიონალიზმს. მედღეხვალზე მწერალს უკიჟინე, ნაჯექ-უკუჯექობა არავის აპატიო. იცოდე, ყველაზე საზიზლარი თვისება შემოქმედისა (და ადამიანისა საერთოდ) ფარისევლობა და მლიქვნელობაა.

იოლად სახელის შოვნის ცდუნებამ არ გაგიტაცოს. ყური არ

დაუგდო სენსაციის მოყვარულ ქარაფშუტას, რომელიც იტყვის: „რა მშვენიერი კრიტიკოსია ესა და ეს დიდი მწერლები ჰყავს გაკრიტიკებულო“. გაბედულება კარგი თვისებაა, მაგრამ მაშინაა მოსაწონი, თუ ჭეშმარიტება უმშვენებს მხარს. თორემ ისე, უსაფუძვლო გაბედულება სირეგვნეს უახლოვდება.

კრიტიკოსის უმთავრესი მოვალეობაა შეამჩნიოს ყოველივე, რაც კარგი შეიქმნება მწერლის მიერ. მზის სინათლეზე ამოიტანოს და საზოგადოებას ყურადღება მიაქცევინოს. ამიტომ ძალიან ნუ გააზვიადებ შენს მისიას; კრიტიკოსი ვერც უკეთეს მოთხრობას დაგანერინებს და ვერც ნიჭს მოგმადლებს. პირიქით, ნიჭიერ კაცს იქნებ თავისი „ლიტერატურული სითავხედით“ გულიც კი აუცრუოს საქმეზე.

არავის „უბეში არ შეიყუყო“ და არც ერთი ლიტერატურული დაჯგუფების იარაღად არ იქცე. იყავი მართალი და შეუვალი, მწერალთა ყველა თაობის მიმართ ერთნაირად ობიექტური და უპირველესად ნიჭის დამფასებელი.

1982 წ.

## მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის სადღეისო პრობლემები

ერის სულიერ ცხოვრებაში მწერლობის განუზომელი ადგილი ძირითადად იმ გარემოებამ განაპირობა, რომ კაზმული სიტყვა ტრადიციულად ადამიანთა მალალი იდეალების სამსახურში იდგა, ერის გულისთქმას გამოხატავდა, სამშობლოს თავისუფლებისათვის იბრძოდა, ფხიზელ გუშაგად ედგა თავისი ქვეყნის დვრიტას.

ლიტერატურის ეს დიადი მისია დღის წესრიგიდან არასოდეს მოიხსნება. მწერალი ეროვნული იდეალების მეზაირახტრის ფუნქციას მეხობისა და თვალდახუჭული მგალობლის როლზე რომ გაცვლის, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი უარს ამბობს თავის ჭეშმარიტ მოწოდებაზე და იგავის ღამურას სავალალო ბედისთვის განემზადება.

თანამედროვე ქართველ მწერალთა მენინავე რაზმი მხარს უჭერს და შემოქმედებითად კვერს უკრავს იმ ფართო მოძრაობას ქართველი ერის ღირსების საქმედ რომ ქცეულა. ამიტომაც სრულიად ბუნებრივია ის სიყვარული და ყურადღება, რითაც მკითხველი საზოგადოება მისი გულის მესაიდუმლეს და მწერალს უპასუხებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ლიტერატურის კაცი ყოველთვის როდი ამართლებს ჩვენი სულგრძელი მკითხველის იმედს. სახელდობრ:

არაერთმა მწერალმა უკანასკნელ ხანებში დათმო მებრძოლისა და ტრიბუნის პოზიციები და გამართობის უჩვეულო ფუნქცია დაიტოვა. მომრავლდა არაფრისმთქმელი, ყალბირონიული ლექსები და აშკარად რებუსური პოემები. სიტყვით ჟონგლიორობა იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთი „ლიტერატურისმცოდნე“ აშკარად აღიარებს ავანგარდიზმისა და ფუტურისმის ალორძინების ცდებს ჩვენი საუკუნის ოთხმოციან წლებში. ჟურნალები და მათი დამატებები დღითი დღე ივსება აქტუალური, საჭირობოროტო პრობლემებისაგან დაცლილი არა მხოლოდ ახალგაზრდა მწერალთა თხზულებებით.

სადღეისო პრობლემებისაგან ზოგიერთი მწერლის გაქცევამ რებუსურობის და მკვეთრად გამოხატული პოზიციის უქონლობის გარდა კიდევ ორი, არანაკლებ საშიში ფორმა მიიღო: პირველი გახლავთ, არაერთი ნიჭიერი მწერლის ქარბი გატაცება ისტორიული თემატიკით, რაც ხშირად ერის აქტუალური საკითხებისადმი ზურგის შექცევის ხარჯზე ხდება, ხოლო მეორე – იდეურობის რუბრიკით ყალბპათეტიკური, სახობტო პანეგირიკული ნაწარმოებების მომრავლება.

ჩვენი ხალხის წინაშე არანაკლებ მძაფრი სასიცოცხლო პრობლემები დგას, ვიდრე ოდესმე მდგარა. მწერლობის ვალია მასათა ეროვნულ შემართებას სალი აზრის გარშემო, შემჭიდროება-შეკავშირებითა და ახალი, მოქალაქეობრივად აქტუალური მებრძოლი ნაწარმოებებით უპასუხოს.

თანამედროვე ქართული მწერლობისადმი მკითხველის ეს პრეტენზიები მწერლისა და მკითხველის ურთიერთობის მედლის ერთი მხარეა. ყალბპათეტიკური ნაწარმოებების მომრავლებას, რასაკვირველია, საერთო ჯამში მოსდევს ხოლმე მკითხველთა ინტერესის შესუსტება ლიტერატურისადმი, მაგრამ ამ მიმართულებით ჯერჯერობით საგანგაშო არაფერი გვაქვს, რადგანაც ქართველ მწერალთა საუკეთესო ძალებს მშვენივრად ესმის თავისი მოვალეობა ქვეყნის წინაშე. ისინი სახელოვნად აგრძელებენ ჩვენი ლიტერატურის დემოკრატიულ ტრადიციებს და მაღალი სამწერლო კულტურით ესაუბრებიან ხალხს იმ სასიცოცხლო პრობლემებზე, რაზეც ერის ქვემარტივი გულშემატკივარი პასუხს აგებს მომავალ თაობათა წინაშე.

მწერალი რომ ერის მეზარახტრეა, მისი ნათელი იდეალებისათვის მებრძოლი და წინსვლის გზათა მაჩვენებელი, ეს სადავო აღარ არის და მსოფლიო ლიტერატურის ისტორია ამის უტყუარი ბეჭედი, მაგრამ იმისათვის, რომ მწერლის მართალმა სიტყვამ თავისი ფუნქცია შეასრულოს, იგი, უპირველეს ყოვლისა, მკითხველამდე უნდა მივიდეს. მწერლისა და მკითხველის ურთიერთობის გზაზე ამ ბოლო დროს არაერთი ბარიერი გაჩნდა. ეს პრობლემები ცხოვრებამ წარმოშვა და მათი გადაწყვეტის გზებზე სერიოზულად უნდა დავფიქრდეთ.

სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ფართო მკითხველბამდე ვერ დადის ყოველივე საუკეთესო, რასაც სიტყვაკაზმული მწერლობა ქმნის. გატეხილად რომ ვთქვათ, ჩვენ მკითხველს თანდათან ვკარგავთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არსებობს „ნიგნის ბუმი“, მაღაზიათა თაროებზე იშვიათად შეხვდებით მხატვრულ ლიტერატურას (არა მარტო კარგი ნიგნი სალდება სწრაფად), რომ ხშირად ენცობა შეხვედრები ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებთან და ა. შ. ყოველივე ამის მიუხედავად შეკითხვაზე: „თანამედროვე ქართველი მწერლის რა ნაწარმოებები წაიკითხეთ ამ ბოლო დროს?“ დიდი დარბაზები რომელშიც სხვადასხვა განათლებისა და სოციალური მდგომარეობის მოქალაქენი სხედან-სდუმან. შთაბეჭდილება ისეთი იქმნება, რომ ნიგნს ყიდულობენ, მაგრამ თავისუფალი დროის უქონლობის გამო ვერ ასწრებენ წაკითხვას. როგორც ირკვევა განსაკუთრებით ცოტას კითხულობს ახალგაზრდობა, სოციოლოგიური გამოკითხვით დასტურდება, რომ ჩვენი მკითხველების სამოცდაათი პროცენტი დიასახლისები (რისთვისაც დიდი მადლობა მათ) ბრძანდებიან, მაგრამ მსგავსი სოციოლოგიური „მწარე სიმართლენი“ სანუგეშო ვერაფერს აძლევს იმ ტიტანურ ესთეტიკურ სკოლას, რომელსაც მწერლობა ჰქვია და რომელიც საზოგადოების სულიერი ბელადისა და წინამძღოლის ფუნქციის დათმობას არა და არ აპირებს.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ მწერლის სიტყვა კვლავინდებურად იპყრობდეს მილიონთა გონებას, რომ მხატვრული სიტყვის ადგილი ადამიანთა სულზე ზემოქმედების სხვა (და მათ შორის ხშირად საეჭვო ღირებულების) საშუალებებმა არ დაიკავოს?

გარდა საკუთრივ მწერლობის თემატურ მხატვრული ხარისხის ამაღლებისა (რაზეც ზემოთ უკვე მოგახსენებთ), საჭიროა მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის ყველა საშუალების მობილიზება, ჩაყენება ქვემარტივი მხატვრული ფასეულობების გახმაურებისა და მხარდაჭერის სამსახურში.

ამ მხრივ საქმე არცთუ სახარბილოდ გვაქვს.

მხატვრული ლიტერატურის შეფასებისა და პროპაგანდის უპირველესი ლიტერატურული სამსახური, მწერლობის უძველესი დარგი – კრიტიკა რომ თავის პირდაპირ მოვალეობას სათანადოდ ვერ ასრულებს, ეს ახალი ამბავი არ გახლავთ და მიზეზებზეც არაერთხელ გამახვილებულა ყურადღება. ჯერ ერთი კრიტიკა, მიუხედავად ამ დარგის სპეციალური აღმანახის არსებობისა, ვერ წვდება ყოველივე კარგსა და საუკეთესოს, რაც მწერლობაში იქმნება. სალიტერატურო კრიტიკის სუბიექტური, კომპანიური ხასიათი საქმეს ვნებს,

მით უმეტეს მაშინ, როცა ზოგი კრიტიკოსის კალამმა მხარდაჭერისა და თანამდგომელის ფუნქციის გარდა ცალკეული ლიტერატურული დაჯგუფების დაქირავებული პანეგირიკისა და ლიტერატურული ან-გარიშგამსწორების ფუნქციაც შეიძინა.

მხატვრული წიგნის პროპაგანდის და გავრცელების მშვენიერი ტრიბუნა – წიგნის მოყვარულთა საზოგადოება, რომელიც თანდათანობით ფართოვდება და ფეხზე ღონივრად დგება, ჯერჯერობით მაინც მკრთალ გავლენას ახდენს ფართო მკითხველის გემოვნებაზე. მან ჯერ კიდევ ვერ მიიზიდა მწერლების საუკეთესო ძალები, ვისაც მხარში ამოუდგებოდა და თავის ფართო აუდიტორიას წარუდგენდა. განსაკუთრებით წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციები ბევრ კეთილშობილურ ღონისძიებებთან ერთად ხშირად მდარე ხასიათის შეხვედრებს აწყობენ საშუალოზე დაბალი ნიჭის ლიტერატორებთან და პომპეზური გამოსვლებით მკითხველის გემოვნების დეზორიენტირებას უფრო ენევიან, ვიდრე მის აღზრდასა და ამაღლებას.

მწერალთა კავშირის პროპაგანდის ბიურო თანდათანობით ხვეწს თავისი მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, იგი მართლაც რომ საიმედო შუამავალია მკითხველსა და მწერალს შორის, საშუალებას აძლევს ორივე მხარეს ცოცხალი დიალოგით მეტად გაუგონ ერთმანეთს, წვდება ქვეყნის შორეულ კუთხეებსაც და მწერლის მართალი სიტყვა მიაქვს იმის ყურამდეც კი, ვისაც წიგნის საკითხავად დიდად არ სცალია, მაგრამ ამ ბიუროს აქილევსის ქუსლად რჩება ის, რომ წამყვანი მწერლები ნაკლებად მონაწილეობენ მის მუშაობაში. იქნებ რაიონებში მწერალთა გუნდურ მივლინებასთან ერთად პროპაგანდის ბიურომ დანერგოს ინდივიდუალური შეხვედრების პრაქტიკაც?

რაც შეეხება რადიოსა და ტელევიზიას, ჩვენი პრესის ეს მძიმე არტილერიაც მხატვრულ ლიტერატურასთან მიმართებაში ჯერ კიდევ ძიების პროცესშია. მისი სპეციფიკური დანიშნულებისა და ჟანრული ბუნების გამო რადიო და ტელევიზია ჯერ კიდევ ვერ იქცა მწერლობის ღონიერ და მაღალ ტრიბუნად. ეს შეიძლება ითქვას რადიო-ტელემუშაობის მუშაობაზე საერთოდ და არა მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკის მასშტაბით. უაღრესად პოპულარულია „პოეზიის ხუთი წუთი“, მსმენელი თუ მაყურებელი არაერთხელ მოხიბლულა ლიტერატურული გადაცემათა მაღალი დონით, მაგრამ ცოცხალი გამხელილი სჯობს, რადიოსა და ტელევიზიაში მწერალი ჯერ კიდევ არ არის შინაური კაცი. ჯერ კიდევ იშვიათია მწერლის ხელოვნებაზე პროფესიონალური, შთამბეჭდავი საუბრები ეთერში თუ ცისფერი ეკრანიდან.

დრო მიდის, ჩვენი ეპოქა ტექნიკის სასწაულებს ახდენს. მწერლის ნახელავის მკითხველამდე მიტანის ფორმები კი ჩვენში ლამის უცვლელია. მწერალი კონსერვატიული პროფესიის პიროვნებად გამოიყურება. მაგნიტოფონების და ვიდეოკასეტების ფოიერვერკი ჩვენში მწერლის პოპულარიზების საქმეს თითქმის არ შეხება. არა და დრო კია. ამერიკაში და იაპონიაში მინახავს მაგნიტოფონის კასეტებზე ჩანერილი ცნობილ მწერალთა ლექსები, მოთხრობები და რომანებიც კი. ან თვით ავტორი კითხულობს, ან მსახიობი. როცა მხატვრული სიტყვის ამგვარი ტექნიზაციის მიზეზი ვიკითხე, ამიხსნეს: დღიური შრომით დაღლილ თანამედროვეს, ზოგჯერ ძალა აღარ ჰყოფნის იმგვარი ძნელი ფიზიკური სამუშაოს შესასრულებლად, რასაც კითხვა გულისხმობს. წამოწვება, თვალეხ დახუჭავს, მაგნიტოფონს ჩართავს და მისი საყვარელი მწერლის ხმას ისმენს, ან ახალ ნაწარმოებს მოსმენით ეცნობაო. არის ამაში რაღაც საგულისხმო, ურბანიზმის მოქალაქისათვის დამახასიათებელი და ნიშანდობლივი. რატომ არ გვინდა ტექნიკის „ჩათრევას“ „ჩაყოლა“ ვარჩიოთ და ჩვენშიც საინტერესო წიგნებთან ერთად იყიდებოდეს კასეტებზე ჩანერილი მხატვრული ლიტერატურა. მაშინ როცა ყოველ გაჩერებაზე იაფფასიან მუსიკალურ „ხელოვნებას“ კასეტებზე უგემოვნოდ გადაწერილს პიტნასავით გვარჩიან ცხვირში, რა დაშავდება რუსთაველის და გალაკტიონის კასეტებიც გამოვუშვავთ? ამით, ჯერ ერთი მაგნიტოფონით გატაცებულ ახალგაზრდობას მხატვრული სიტყვისაკენ მოვაბრუნებთ და დეკლამაციის ოსტატ მსახიობებსაც მათთვისვე ეკონომიურად ხელსაყრელ საქმეს გავუჩინებ.

მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის და საერთო ჯამში მწერლის პოპულარობისათვის ხელშეწყობის წინაშე ვალშია ჩვენი კინოც. საინტერესო ახალი ნაწარმოების ეკრანიზება რატომღაც პროფესიონალიზმის დათმობად ითვლება, რეჟისორის თანავტორობით „ორიგინალური“ საეჭვო მხატვრული ღირსების კინოსცენარის გადაღება კი კარგ ტონად. ხშირია კინოინტერვიუები და კინონარკვევები წარმოების მოწინავე ადამიანებზე, მაგრამ იშვიათზე იშვიათად ვქმნით ცოცხალ მწერალთა კინობიოგრაფიებს, კინოდალოგებს, და კინოპორტრეტებს. ჩვეულებრივ, მწერლის გარდაცვალებიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ გაირკვევა ხოლმე, რომ ესა და ეს მწერალი, რომ იტყვიან, „არ იყო დასაკარგი კაცი“. მერე დაუწყებთ კინოქრონიკებს ჩხრეკას და კინოარქივებს თვალთვრებას, მაგრამ გვიანაა და ვქმნით დოკუმენტურ ფილმებს მწერალზე, რომელშიც ყველა კარგად ჩანს გარდა თვით ადრესატისა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სიცოცხლეში ამ მწერლის „გადაღებით“ არავინ დაინტერესებულა.

ლიტერატურა ადამიანის აზროვნების ის უნიკალური სფეროა ჩვენს თანამედროვეს სულის უტყუარ სარკეში რომ ჩაახედებს და მომავალს ეჭვმიუტანელ, პანორამულ სურათებს რომ შეუნახავს, ამიტომაც ყოველი ღონე უნდა გამოვიყენოთ, რათა მწერალს თავისი განუმეორებელი შარავანდედი შევუნარჩუნოთ და მკითხველის გულისკენ მწვანე შუქი გავუნათოთ.

1981 წ.

## თავის კოხტაგორასთან\*

ამ წიგნში ზღვის კიდეზე ხომალდით დარწმუნებული მზის სხივი წარსულიდან კოლხთა მიერ ნატყორცნი შუბივით ეცემა ცის ტაძარში მლოცველივით მდგარ მყინვარს. სოფლის ბოლოს თოვლქვეშ მიძინარი სასაფლაო ია-იების ლურჯი ღილებით გაღებულ გულ-მკერდს შეიბნევს, არყოფნის მალალ აივანზე გარდასულთა აჩრდილები სხედან და ყურს უგდებენ, როგორ ბორგავს და ბობოქრობს საუკუნე თავისი ოსვენციმებით და წასაქცევად განწირული პიზას კოშკებით. აქ კი, ზღვის პირას, მეგრულ ფაცხაში სულისდამამშვიდებელ იდილიას დაუსადგურებია; მოხუცი დედა წინდას ქსოვს, ძირს დაგდებულ ძაფის გორგალს კატა ეთამაშება.

წარსულიდან ნატყორცნი შუბი, მყინვარი, სოფლის სასაფლაო, ოდის აივანზე მსხდარი აჩრდილების შეშფოთებული მზერა თერმობირთვული საუკუნისკენ და მოხუცი დედა – გორგალთან მოთამაშე კატის გადამდები სიმშვიდე... ასე მასშტაბური და შთამბეჭდავია ვაჟა დოლბაიას ლექსების გეოგრაფია და ლირიკული თვალსაწიერი. მკითხველს საშუალება ეძლევა თვალი გაადევნოს ჭეშმარიტ პოეტიკულ მსვლელობას ამ უკიდევანო მზისქვეშეთში და დარწმუნდეს იმაში, რომ შემოქმედს გრძნეული ხილვები თავის ათასფეროვან დეკორატიულ პანოზე ოდენ სილამაზისთვის კი არ გამოუხმია, არამედ და, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს შეგნებაში სანაღმართო ფიქრთ აღსაძვრელად და ამ ქვეყნად წინაპართა კვალზე მოსული ქართველისათვის თავისი მამულიშვილური ვალის შესახსენებლად.

რვა საუკუნის მერე მოველ  
კოხტაგორასთან

\* ვაჟა დოლბაიას წიგნის წინასიტყვა.

და სამშობლოსთვის აგიზგიზებულ  
მამულიშვილთა  
ერთგულების კოცონზე ვთბები.  
არა ჩანს ცოტნე...

არც გაგელი  
და არც ჯაყელი...  
შეთქმულებივით ისევ სდუმან  
მოხუცი მთები  
და უჩანთ თოვლის თეთრი საყელო.

ვაჟა დოლბაიამ წლების განმავლობაში მიგვაჩვია თავის ლექსს. ეს გახლავთ აღმოსავლური მინიატურული ნახატივით მცირე ზომის, მეტაფორებით და დრამატიზმით დამუხტული პოეტური ჩანახატი. პოეტმა ამ ფორმის ერთგულებით მოახერხა თანამედროვე მკითხველის განწყობილებასთან მისადაგებული და თავბრუდამხვევი სიჩქარით დაღლილი მოქალაქისთვის ადვილად აღსაქმელი თითო სტროფიანი ლექსით მშვენივრად მოეტანა ჩვენამდე თავისი პოეტური სათქმელი. ნატიფი ხელნერით და ნათელი სახეებით ჩამოქნილ-ჩამოგვირისტებული სხარტი სტრიქონები თითქოსდა ლიტერატურული ქამანდი გახლავთ უეცრად რომ შეგაჩერებს, თავისი სიმოკლით და ლაპიდარულობით ყურადღებას რომ მიგაქცევენებს, მის სტრიქონებთან ღამე გაათიო.

მერე უალრესად თანადროული და ეროვნული პოეტური აზროვნებით გაიძულებს ჩამოგდე და პოეტის ფიქრი გაიზიარო, მიუხედავად იმისა, დღეს მიიპყრობს თუ ხვალ ლიტერატურის კრიტიკოსთა მალალ ყურადღებას ვაჟა დოლბაიას ლექსი, მთელი დაბეჯითებით უნდა გაუნყოთ, რომ თქვენ წინ გიდევეთ ორიგინალური ხმის მქონე, ჭეშმარიტი პოეტის წიგნი.

იგი, ვაჟა დოლბაია, ეპოქის მღვლვარე სულით და ათასი მიზეზის გამო დაბნეული ჩვენი თანამედროვეის ერთგული ჭირისუფალი.

ზის მაგიდასთან სიჩუმის სკამზე  
და ულამაზეს  
დღეების თვლაში –  
აყოლებს ფიქრის აქატს და მარჯანს.  
და გაცეხულ  
დედამინას  
ჩასცქერის თვალში,  
და ცისკენ მზირალ საუკუნეს  
უსინჯავს მაჯას.

## ე ქ ო \*

1907 წლის 30 აგვისტოს წინამურზე გასროლილი თოფის ექომ საქართველოს გულისგულში გაიარა.

ანარქიით, რევოლუციებით, ამაო იმედებით, კინკლაობით დაღლილი ქვეყანა თითქოსდა ერთბაშად გამოფხიზლდა, ერთ მუშტად შეიკრა და ილიას კუბოსთან გაირინდა.

ჩეხმა მწერალმა ვაცლავ ჩერნიმ თქვა, რომ ვაკვირდები, ილია ძალიან გვიან მოუკლავთო.

დიახ, როცა მეცხრამეტე საუკუნის უპირველეს ქართველს საგურამოსკენ ბერდენკის ტყვია მიაცილებდა, მას უკვე გაკეთებული ჰქონდა უზარმაზარი ეროვნული საქმე; თავის ხალხში გადაგდებული ჰქონდა ის ღვთაებრივი თესლი, რომელიც დღემდე ღვივდება და რაც დრო გადის, უფრო და უფრო საშიშ გუგუნს გამოსცემს.

როგორ გვაკლია დღეს ერისთვის დაფერფლილი ილია და რა ტიტანური ძალით გვაგრძნობინებს ყოველდღიურად, რომ მის მიერ აღმართულ დროშას წამითაც არ მოჰკლებია ელვარება და სიდიადე.

რა კარგად გვიცნობდა.

„საქმის პირველ დანყებაში ბევრი ჰაი-ჰუი ვიცით... და სანამ საქმემდის მივალთ ჩალასავით ჩავქრებით ხოლმეო“.

და როცა ერის ნყლულთან ბრძენი დასტაქრის მანტიით მოსულს ჭირვეული ავადმყოფის წუნუნი ჩაესმოდა, მისებურად, აუჩქარებლად გვმოძღვრავდა: „როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინებაო“.

განა დღესაც, ზოგიერთ ვაი მწერალს ხელი რომ წასცდება ხოლმე რუსთველის ქვეყნის ავად გასაკენწლავად, ფარზე ასაზიდი არ არის ერის მამის მრისხანე ბუბუნი:

„ყველაზე საშიშარი და საზიზლარი ბეზლობა ის ბეზლობაა, რომელსაც საგნად მთელი ერი ჰყავს, ნამეტნავად იმისთანა ერი, რომელიც „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა ყოველ ღონეს მოკლებულია, რომ თავი იმართლოს“.

ჩვენი ნაკლი მასზედ უკეთესად ვინ იცოდა და განა დღეს ერის უკეთეს შვილთა ვერდაფასების მწარე სენზე დაფიქრებულმა ქართველმა არ იცის, რომ ილიას მოწამებრივი სიკვდილიდან ერთი ნაბიჯია გალაკტიონის თვითმკვლელობამდე?

დღეს საითაც კი გაიხედავთ ერის ბურჯის ნათლითმოსილს,

\* ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის იუბილეზე, ავტორისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო უთქმელი სიტყვა.

მშვიდს, საოცრად ნაცნობსა და საყვარელ სახეს ნაანყდებით. თითქოსდა არც კი ყოფილა წამი როცა წარბშეკრული მოხუცი ეტლში წამოიშარათა და რევოლვერით ხელში მრისხანედ გამომზირალმა შეჰყვირა მომხდურთ: რას სჩადიხართ?!

ეს კითხვისნიშნანი ძახილი, მთელ ქვეყანას რომ ეკუთვნოდა, დღესაც საქართველოს მთებში წრიალებს და გასასვლელი ვერ უპოვია.

დიახ, ილიას მშვიდმა სახემ თითქოსდა მისი სიკვდილი გვაპატია, მაგრამ იმას კი არასოდეს გვაპატიებს, რო ერის ბედის მჭედლებმა ეს გაუხუნარი ანდერძი დავივიწყეთ:

„ჩვენ უნდა ვსდით ახლა სხვა ვარსკვლავს  
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!“

## „მოგესაქართველოები“

თუ ამჩნევ, ჩემო ზაურ, თბილისი ისე მყუდრო აღარ არის, როგორც ჩვენს სიყმანვილეში იყო.

მაშინ ყველაფერი ხელისგულზე და გულისფიცარზე გვედო, ყველაფერი ახლოს იყო – შოთა ჩანტლაძე და გურამ რჩეულიშვილი უნივერსიტეტის ბაღში, მთვრალი გალაკტიონი ვერის ბაზართან, „ველიამინოვის სახინკლე“...

ნეტა იმ დროს!

ჩვენი თაობის „ბიჭები“ კარგა ხანია დავცხრით, „ცხოვრების დიდ სპექტაკლს ფეხზე დამდგარი“ ველარ ვუცქერით, შენლა შეგვრჩი დაუდეგარი და სულ შემართული.

რა ცრემლიანი და ალალი სიყვარული იცი.

ამ ბოლო დროს ხშირად წასულ მეგობრების ხსოვნის საღამოებზე ვხვდებით ერთმანეთს. რა გულიანად ტირი და ჩვენც გვატირებ.

ამ ბოლო დროს ჩვენი ცოცხალი მეგობრების შემოქმედებით საღამოებზე ვხვდებით ერთმანეთს. რა აღტაცებით გვეფერები და გვაგულიანებ.

შენ... შენ განსაკუთრებულად სუფთა და ნამდვილ პოეტს მოგესმა ჩვენ შორის პირველს საფლავიდან ადრე წასული კაცის ჩურჩული: „რომ არ დაეღენათ, ამ ძვლებით ძმებო, საფლავშიაც გავძლებდი“.

ამ ხმის გამოა, სულ გრძნეულივით რომ დადიხარ, ოდნავ ალენილი და განსაცვიფრებლად მგრძნობიარე. მკვდრებსა და ცოცხლებს შორის გაბმულ სიმებს რომ უდგებხარ დარაჯად, უკეთურმა ხელი რომ არ შეახოს.

თუმცა შენ ჩვენ შორის ყველაზე ნაკლებად დაგიზოგავს თავი, მაგრამ ძალიან ახალგაზრდა და ღონიერი ორმოცდაათიანელი ხარ.

მოგილოცავ და როგორც შენ იტყვი ხოლმე: „მოგესაქართველოები“.

## ბატონი კოლაუ

ოცი წლის წინანდელ ამბავს მოგახსენებთ. კინოსტუდიასთან შალვა დემეტრაძემ (ჩვენი ოჯახის ახლობელი იყო) დამიძახა: „აქვსენტიის ბიჭო, მოდი აქეთ!“ დეკემბერი იყო, ციოდა. სკოლიდან გამოყოლილი ნაცრისფერი მოსასხამი მეცვა და ჩემს სტუდენტურ საქმეებზე მივიტუზებოდი. გზა გადავჭერი და შალვა დემეტრაძის წინ ორივე ფეხით რომ დავხტი, დრაფის შავ პალტოში გამოწყობილმა, კოხტად ასხმულმა კაცმა თვალი ამკრა და განზე გაიხედა. ზუსტად ასეთი პალტო მოგვიანებით აკაკი წერეთლის სახლში ვნახე სხვიტორში. „აქვსენტიის ხომ იცნობ შენ, მიშველაძეს?“ – ჰკითხა ბატონმა შალვამ. ასეთ დროს, ჩვეულებრივად, დაინტერესდებიან ხოლმე. „რომელი აქვსენტი“ გამახსენეო“, მაინც იკითხავენ. დრაფისპალტიიანმა კი თვალისდაუხამხამებლად უპასუხა, არაო და კიდევ უფრო შორს გაიხედა. „გაიცანი, ეს კოლაუ ნადირაძეა“ – ღირსეულად მითხრა ბატონმა შალვამ. მის ნათქვამში იგრძნობოდა, თუ ხვდები, როგორ დაგასაჩუქრე ამ დილითო. ბატონმა კოლაუმ ხელი ჩამომართვა, თქმით არაფერი უთქვამს. მონუსხულივით შევყურებდი, „პაოლო, ტიცციანი ვალერიანი კოლაუ!“ – ზარივით რეკავდა ჩემს ყურებში. მოხდა ისე, რომ შალვა დემეტრაძეს ვილაცამ უხმო და ცისფერყანწელთა ორდენის ამ მედიდურ წევრს მარტო შევრჩი. უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე და „რამდენი წლის ბრძანდებითმეთქი“, ძლივს ამოვღერდე. მწყრალად შემომხედა, ჯიბიდან ხელები ამოიღო, თითები ერთმანეთში გაუყარა და დასჯაგარეული ნიშნის-მოგებით გადმომიგდო: „შენი ტოლი ვარ“. მეტი არაფერი უთქვამს. ჯიბეში ჩაიბრუნა ხელები და კვლავ განზე გაიხედა.

დრო რომ გავიდა და ლიტერატურაში დიდის ვაინაჩრობით ფეხი ოდნავ მოვიკიდე, მაშინვე მივხვდი ბატონი კოლაუს იმდღევანდელ ქარაგმას.

საქმე შემდეგში გახლავთ: არსებობენ მწერალი მამები. ისინი ყოველთვის შეგირდებად გვთვლიან და მუდამ მომართული აქვთ ბაგე – უმრწემესთათვის ჭკუის დასარიგებლად.

კოლაუ ნადირაძეს კი ჩვენ, ახალგაზრდა მწერლები, ყოველთვის ისე განვიცდიდით, როგორც თანატოლს. იგი თავისი ჯიუტი ნებით თითქოსდა შეჯიბრშიც იყო ჩაბმული ჩვენთან, ჩვენი მოქიშპეც იყო, ლიტერატურულ ხელისგადაწევ-გადმონევაში იმასთანაც კი გავიდოდა, ვინც გუშინ მიიტანა პირველი ნაწერები რედაქციაში. დიახ, იგი – მართალი და ძვირფასი პოეტი, ოლიმპიელი და განზე მდგარი არასოდეს ყოფილა.

ასეთად ვიცნობთ და ასეთი გვემახსოვრება ყველას ბატონი კოლაუ. მწერლობაში ამ ოცი წლის წინათ მოსულები ჩვენ ვბერდებით და კოლაუ ნადირაძე ისევ ისეთია – დაბადებით იტელექტუალი, დენდი, ზნემაღალი ევროპიელი.

ამ რთულ ეპოქაში ოთხმოცი წელი რომ გაძლო კაცმა, ჯერ მარტო ეს არის გმირობა და სამოცი წლის განმავლობაში ერისკაცის ტვირთი გიმძიმებდეს ბეჭებს, ხომ ორმაგი გმირობა გახლავთ.

„მერანის“ მოსაცდელში გარინდებულს ხანდახან რომ მიუახლოვდები და სიტყვას ჩამოუგდებ, პირველ სიტყვებს თითქოსდა გალმიდან გეპასუხება, მაშინვე იგრძნობ იგი ახლა იქ იყო, თავის ცისფერ ძმებთან და თავისთვის ვერ გიპატიებია, რომ ასე ანგარიშ-მიუცემლად დააბრუნე მინაზე.

კოლაუ ნადირაძემ თავისი „სიმბოლისტი“ მეგობრების უდროოდ შეწყვეტილი სიცოცხლის ჯინაზე ყველაზე მეტხანს იცოცხლა.

თითქოსდა იმად მოავლინა ამ ქვეყნად ბუნებამ, რომ ცისფერყანწელთა ლამაზი სიცოცხლის ნათელი ხსოვნაც შეენახა და სიკვდილზე შური ეძია.

ცოტნესავით მოჯირითდა იგი წლების შემდეგ ქართული პოეზიის საძეგლო მინდორზე, თვალთ ისინი მოძებნა, ვისთანაც სულიერად განუყოფელი იყო ყოველთვის, ეპოქის ტკბილ-მწარე თაფლი წაისვა ბეჭებზე და მათ გვერდით დაჯდა. და აგერ ამდენი წელია ნელ-ნელა იწვის ეპოქის ლადარში პოეტის მიერ მუციოს სცევოლასავით განვდილი მარჯვენა.

დგას ეპოქის ფიქრით დაღლილი ოთხმოცი წლის პოეტი ახლა ჩვენს წინაშე და ჩურჩულით ამბობს:

„კვალდაკვალ მდევდა მუდამ ლალატი და ორგულობა, კაცთა, მაგრამ ჩანგს ჩემი სულის სიმები მაინც ბოლომდე განვდა.“

გაძლებას, გამაგრებას, გაძარღვებას, დიდ სიცოცხლეს ვუსურვებ შენი სულის სიმებს, ბატონო კოლაუ.

1975 წ.



## ერთი ქოზის მაღალი შეგნებით

ინტერნაციონალიზმი ქართველი ხალხის ეროვნული ნიშანია. ჩვენი ქვეყნის ძნელბედი ისტორიაა ამის მტკიცე საბუთი. დღეს, როცა მსოფლიოში მცხოვრები არა ერთი ერის წარსულის ფურცლები დამპყრობლური ომების, სხვა ერთა დამონების სავალალო ფაქტებითაა სავსე, საქართველოს შეუძლია თავანუელად იაროს ერთა ურთიერთობის ახლაც ძნელადგასაღწევ ლაბირინთში, რადგანაც ჩვენ სუფთად შეგვინახავს ჩვენი ეროვნული მანტია. ჩვენი წინაპარი ხმალს თუ მოიქნევდა, მხოლოდ მომხვედურთაგან თავდასაცავდა. ივერთა მინაზე არასოდეს დაურბევ-შეუვიწროვებიათ სხვა ეროვნების წარმომადგენლები, სამოყვროდ კარი ლამის მსოფლიოს ყველა ერის შვილთათვის გაგვიღია. საუკუნეები ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ ჩვენს მინაზე ებრაელები, სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, ქურთები, იეზიდები, უკრაინელები, ესტონელები, ბერძნები... ვერც იმის მაგალითს იპოვის ჩვენს ისტორიაში ჩასაფრებული მკითხველი, რომ ქართველ კაცს ხმალ-აბჯარი აესხას და სხვა ქვეყნების დასაპყრობად გაჰყოლოდეს აზია-ევროპის მტვრიან გზებს. ჩვენ ჩვენი გვყოფნიდა სარჩო-საზრუნავი. თუ ბედი მოიგანდა და ქართველი კაცი სხვის ლაშქარში ხმალს იქნევდა, ან თავისუფლები-სათვის მებრძოლი ერის მამაცური კვეთების შემწე იყო, ან, თვისტომთაგან ბავშვობიდანვე გაყიდულ-გადახვენილი, მამლუქის გაუცნობიერებელ ყოფას უხდიდა ხარკს.

რაც შეეხება ქართულ მწერლობას, იგი მარადჟამს ერის გულისთქმას გამოხატავდა და ამიტომაც ჩვენი ლიტერატურის ისტორია სავსეა ხალხთა მეგობრობის თემის მრავალწინაგოვანი გაშუქების თვალსაჩინო ფაქტებით. უძველეს ფოლკლორულ მასალებს გადავხედავთ თუ თანამედროვე ქართული ლიტერატურის ნიმუშებს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე დავრწმუნდებით, რომ ქართველისთვის მარადჟამს ღირსების საქმე იყო სტუმრის პატივისცემა, ისტორიაში გზარეული ტომის შეხიზვნა-შეფარება და დაპურება. ქართველი ერის ინტერნაციონალისტურ ბუნებას შესანიშნავად გამოხატავს ბრწყინვალე ლექსი „ვეფხისა და მოყმის ბაღადა“, რომლის სტრიქონებიდანაც საუკუნეებს გადმონვდა შვილმოკლული ქართველი დედის პაციფისტური ლაღადისი: „იქნება ვეფხვის დედაი, ჩემებრ მწარედა სტირისა; ნავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა ჭირისა“.

ჩახედეთ „შუშანიკის წამებას“, „აბო თბილელის წამებას“, „ვეფხისტყაოსანს“, „სიბრძნე-სიცრუისას“, „დავითიანს“... ჩვენი ეროვნუ-

ლი ხასიათის გამომხატველ რომელ მხატვრულ ძეგლსაც გნებავთ და ერთხელ კიდევ დარწმუნდებით, რომ ხალხთა მეგობრობა ქართველისთვის ოდენ მარქსისტული ეპოქის მონაპოვარი კი არ არის, მისი სულიერი მოთხოვნილებაა ათასწლოვანი ტრადიციებით განმტკიცებული.

რაც შეეხება ჩვენს უშუალო მეზობლებს – სომხებს და აზერბაიჯანელებს, ობიექტური მემატიაზე ყველაზე ძუნწად შედგენილ ცნობარშიც კი გვერდს ვერ აუვლის იმ მაორგანიზებულ, კეთილშუამავლურ როლს, რაც საქართველომ კავკასიაში მცხოვრებ ერთა კონსოლიდაციის საქმეში შეასრულა.

ისტორიასთან ჩვენი შეხლა-შემოხლა არასოდეს ყოფილა ვინრო ინტერნაციონალისტური იდეებით ნასაზრდოვები. ჩვენმა წარსულმა იმ ნიშნით ჩაიარა, რომ მცირე ერთა ტრაგიკული ბედი ერთნაირად გვიხუთავდა სულს და ჩვენი ერის მამებიც იმ დროს შენატროდნენ, როცა კავკასიელი „შავი ზღვიდამ კასპიამდე“ ერთი ფიქრით იქნებოდა გამსჭვალული და ის ფიქრი – „მთელ კავკასიის თავისუფლება“ ერთ მუშტად შეკრავდა გარემოების გამო (და ხშირად წინასწარდაგეგმილად) დაქსაქსულ ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხებს.

ახლა საიდუმლოებას აღარავისთვის წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ეს „ერთი ფიქრი“ სასიკეთოდ დამკვიდრდა სამივე ერის ეროვნულ ცნობიერებაში. პოეტის თქმისა არ იყოს, „ერთ ბედქვემა ვართ აზიის ტყეში“ და ჩვენი ხელით, შეთანხმებულად უნდა ვჭედოთ ჩვენი ხალხების მომავალი. ამ ძნელ ბრძოლაში ისტორია მცირე შეცდომასაც არ გვაპატიებს, უმნიშვნელო ურთიერთგაუტანლობა და წვრილმანი კინკლაობა მონინალმდეგის მიერ მაშინვე იქნება ჩვენი თანაცხოვრების საზიანოდ გამოყენებული და ერთა დაქსაქსვა-გათიშვის მსურველის ნისქვილზე დაასხამს წყალს.

ჩვენი ცხოვრების ერთი საჭირბოროტო საკითხი დღეს ერთა ურთიერთდამოკიდებულების საკითხია. იგი დღის წესრიგში ბევრისათვის სრულიად მოულოდნელად დადგა. ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრების ათეული წლების თავზე გაირკვა, რომ ვერც იმ ფაქიზ სფეროში მიგვიღწევია სასურველი მდგომარეობისათვის რასაც ცალკეულ ხალხთა ინტერნაციონალური განწყობილების გაღვივება ჰქვია ხალხისავე ეროვნული ღირსება-სიამაყის შენარჩუნებითა და ნაციონალური თავისუფლების შეუღალხავად.

ერი უმჭიდროესი ეთნიკური, ეთნოგრაფიული, ეკონომიური, პოლიტიკური და ეროვნული უჯრედი. იგი ვერ იტანს ძალადობას გახლეჩა-გათქვეფას, უნებლიე თუ წინასწარდაგეგმილ იმგვარ ზე-

მოქმედებას, რასაც მისი სახე-ფორმის შეცვლა შეიძლება მოჰყვეს. ერი საუკუნეებმა ჩამოაყალიბა და სრულიად ბუნებრივია, რომ იგი კბილებით იცავს თავის შეუვალობას, ნაციონალურ სისუფთავეს, ტერიტორიულ სიმყარესაც.

ჩვენ კი ავდექით და ნაციონალურად ასეთ ჭრელ სახელმწიფოში ეროვნული საკითხი ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრილად გამოვაცხადეთ. წარსულის „დიდ“ პოლიტიკურ მოღვაწეთა თვალში ირონიულ ღიმილს ინვევდა და ნაციონალურ ჭირვეულობად აღიქმებოდა საკუთარი ეროვნული ღირსების დაცვისა და სახელმწიფოს შიგნით გეოგრაფიული საზღვრების შენარჩუნებისათვის ყოველგვარი გაბრძოლება. რა ტრადიციებზე და საპასპორტო სუვერენიტეტზეა ლაპარაკი, როცა ყველაფერი ერთა და კულტურათა შერწყმის ხაზით მიემართება და მალე რესპუბლიკათა შორის პირობითად ჯერ კიდევ არსებული საზღვრები მუზეუმთა და ისტორიულ რუკათა კუთვნილებად იქცევაო.

არ მოხდა და არც მოხდება ისე. ერის ისტორიაზე ძალდატანებას სასურველი შედეგი არასოდეს გამოუღია. ქვეყანა თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა. რაც მეტი იყო ზემოდან ერთა „ათქვეფის“ ემმაკური თუ გულუბრყვილო ღონისძიებანი, მით უფრო ძლიერდებოდა თვითმყობადობის შენარჩუნების განწყობილება. ერმა იცოდა და იცის, რომ ხალხთა მეგობრობა მაინცდამაინც ერთი რომელიმე ხალხის ირგვლივ გაერთიანებას როდი ნიშნავს. სწორედ რომ „უფროსი ძმის“ ენობრივ – სახელმწიფოებრივი გალაღებისა და უმცროსი ძმის ნაციონალური ატრიბუტების შეკვეცა – ნიველირების დამამცირებელი საშუალებებით მოქმედებამ ის შედეგი გამოიღო, რომ უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად დაიძაბა ერთაშორისი ურთიერთობა.

ნამდვილი ეროვნული სურათის მიფუჩჩეხება, სერიოზული პრობლემების შემთხვევითობად მიჩნევა და ანგარიშგაუწველობა დანაშაულზე დანაშაულის დამატებაა. თურმე ნუ იტყვით, ამ „არნახულ გამარჯვებათა“ ტრიუმფალური პარადისა და ორკესტრული სოციალისტური ლაშქრობების წლებში ეროვნული ნერვიც ფეთქავდა. იგი ყრუ გუგუნით ხვდებოდა ენისა და კულტურის შერყვნის უმნიშვნელო ცდასაც კი, სევდიანი თვალებით გასცქეროდა თავისივე ურგებ პოლიტიკურ „ძე შეცთომილთა“ მიერ გულუხვად გაჩუქებულ ტერიტორიებს.

ბრუნავდა და ბრუნავდა ეროვნულ ტრადიციათა „არტახებისგან“ ერთა განთავისუფლების ჩარხი, გადაივლიდა ერთიან სუმბურულ

კულტურად „პატარ-პატარა“ კულტურების გაერთიანების უსიამოვნო კომპანია, იმართებოდა სიმპოზიუმები იმის დასამტკიცებლად, რომ მცირერიცხოვან ერთა კულტურა დროთა განმავლობაში შეისრუტება მრავალრიცხოვანი ერის კულტურის მიერ, ეროვნულ საკითხზე მხატვრული ნაწარმოების შექმნა მხოლოდ გარდასულ საუკუნეთა ფაქტებზე დაყრდნობითა შეიძლებოდა, ეროვნული აყვავების საუკუნეთა ნოსტალგია პატრიოტულ პროვინციალიზმად მიიჩნეოდა, ხოლო ერის ქომაგობა და საკუთარი ენის დაცვისათვის შემართება „ნაციონალიზმის გამოვლენად“ ინათლებოდა.

არავინ იფიქროს, თითქოს ეროვნული ინტერესების დაცვისათვის ამგვარ „სახელმწიფოებრივ ზრუნვას“ თავისი შედეგი არ გამოეღოს: მინსკში მხოლოდ ერთადერთი ბელორუსული სკოლა დარჩა, საბჭოთა კავშირის ბევრ რესპუბლიკაში მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება ფაკულტეტურად გამოცხადდა (ე. ი. სავალდებულო არაა), არაერთი რესპუბლიკის დედაქალაქში ეროვნული მწერლის საიუბილეო საღამოც კი სხვა ენაზე ტარდება და მწერალთა საკავშირო პლენუმის ტრიბუნიდან ცნობილი ყირგიზი რომანისტი მწერლებს ორენოვნებისკენ მოუწოდებს, აქაოდა ჩვენი სახელმწიფოს განვითარების ამ ეტაპზე ჭეშმარიტი მწერალი ორ ენაზე მაინც უნდა წერდესო. გასაკვირზე მეტი არ არის გამოცდილი ლიტერატურის პირით ამგვარი „ჭეშმარიტების“ ლაღადისი? განა მწერალი იმ ერის მსახური და ეროვნული ინტერესების გამომხატველი არ არის, რომელ ენაზეც წერს? განა შესაძლებელია, ერთბაშად ორი ერის ფიქრისა და განწყობილების გამომხატველი იყო, ან სერიოზულად ინოდებოდე რუს-ყირგიზ, ლიტველ-ესტონელ, ბელორუს-აზერბაიჯანელ მწერლად?

საკუთარი თავისა და ღირსების შეცნობა ისტორიული ვითარების გათვალისწინება, ეროვნული კონსოლიდაცია დღეს გვჭირდება როგორც არასდროს.

ერის ბედზე პასუხისმგებლობის ღომის წილი ქართული მწერლობის კისერზეა და ჩვენი წმინდა ვალია ერს სწორად განვუმართოთ მისი ეროვნული არსებობის ანი და ჰოე.

ჩვენ ჭეშმარიტად ინტერნაციონალური ქვეყანა ვართ, ჩვენი წმინდა ისტორია და დღევანდელია ამის დასტური, მაგრამ ერთა მეგობრობისა და დაახლოების ეს ძვირფასი თვისება სტუმარმასპინძლის აღრევა-გაურჩევლობაში როდი უნდა გადაიზარდოს.

ერთა დამეგობრების და მშვიდობიან თანაცხოვრებას არაფერი ისე არ უწყობს ხელს, როგორც კულტურულ ფასეულობათა გაცე-

ლა-გამოცვლა, ეროვნული ლიტერატურის მიღწევათა გაცნობა-გასი-გრძელება.

ამ თვალსაზრისით ქართული მწერლობის ტრადიცია ხომ სამაგ-ალითა და დღესაც შეძლებისდაგვარად ვაგრძელებთ წინაპართა მიერ დაწყებულ სამვილიშვილო საქმეს. არნახულ მასშტაბებს მიაღ-წია თარგმნის ხელოვნებამ, მწერალთა კავშირში არსებობს სომხური, აზერბაიჯანული, რუსული და ქურთული ლიტერატურის სექციები. გამოდის მოძმე ლიტერატურების აღმანახები და კრებულები. მეც-ნიერები გულდასმით იკვლევენ ლიტერატურულ ურთიერთობათა თვალსაჩინო ფაქტებს.

ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორია ფილოლოგიის ერთი საინტერესო დარგია, მაგრამ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი კვლევა ზოგჯერ არასწორ გზაზე დგას. შეცდომათა წყებას ორი ძირითადი გარემოება უდევს საფუძვლად: პირველი ის გახლავთ, რომ ლიტ-ერატურულ ურთიერთობათა ზოგი ახირებული მკვლევარი პროფე-სიონალურ მწერლობებს ჰყოფს მთავარ და მეორეხარისხოვან, ანუ მასწავლებელ და მოსწავლე მწერლობებად. ამ წინასწარაკვიატე-ბული თვითმიზნით ჰკიდებს რა საქმეს ხელს, ცდილობს აუცილე-ბლად დაამტკიცოს, რომ ერთი ერის ლიტერატურამ აღზარდა, აალორძინა, თემატურ-პრობლემურად გაამდიდრა და დაავაჟკაცა მეორე ერის ლიტერატურა, რომ ერთი ლიტერატურა მოწოდებული იყო გაეცა, ხოლო მეორე კი მოწოდებული გახლდათ მიეღო სხვა ერის სამწერლო გამოცდილება. მეორე ნაკლი ლიტერატურულ ურთიერთობათა ზოგი მკვლევარის ნაშრომისა ის გახლავთ, რომ გაფაციცებით ეძებონ; რა გავლენა მოახდინა ერთი ერის წარმომად-გენელმა მწერალმა, მეორე ერის წარმომადგენელი მწერლის შემო-ქმედებით ფორმირებაზე. ჭოგრიტით დაეძებს მკვლევარი სიუჟე-ტურ და პრობლემურ დამთხვევებს, ჟანრულ-სტილურ ანალოგიებს. ხოლო მძებნელი, მოგესხენებათ, ხშირად პოულობს კიდევ, თუნდაც ეს „ნაპოვნი“ ფრიად საეჭვო არგუმენტებით იყოს განმტკიცებული. ორივე გზა, პირველიც და მეორეც, ლიტერატურის ისტორიის გამ-დიდრების არასწორ გზად მიმართა – პირველი იმიტომ, რომ ხე-ლოვნური და ხაზგასმულად ტენდენციურია. ურთიერთგავლენისა კი არა, ცალმხრივი გავლენის დამტკიცებით უნებლიედ ვამცირებთ მეორე ერის ღირსებას და ლიტერატურულ სუვერენიტეტს, ხოლო მეორე შემთხვევაში ლიტერატურათმცოდნეობითი ცნებების აღრევა ხდება: თუ ორი ნაწარმოების სიუჟეტური ქსოვილი ან ნაწარმოების ეპიზოდთა წყება, ან თუ გნებავთ კომპოზიციურ-სტილური შენობა

ერთმანეთს ემთხვევა (თუნდაც ძალიან ჰგავს), ობიექტური კრი-ტიკოსი ამას თავის მკაცრ სახელს – პლაგიატობას უწოდებს. ხოლო ლიტერატურულ ურთიერთობათა სახეგაბადრული მკვლევარი კი ლიტერატურული გავლენის უწყინარი სახელით ნათლავს.

ეს რაც შეეხება ლიტერატურულ ურთიერთობათა არასწორად კვლევას. თავად ლიტერატურულ ურთიერთობებს კი (თუ ისინი სწორადაა წარმართული) და ლიტერატურულ ურთიერთობათა კვ-ლევისაც (თუ ეს კვლევა სწორი მეთოდებით წარმოებს) უზარმაზ-არი მნიშვნელობა აქვს ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისა და ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნების საქმისათვის; და არა ერების გათქვეფა-მერწყმის ხელოვნური, თავსმოხვეული პროცესისათვის, ზოგ ახირებულ მკვლევარს რომ წარმოუდგენია. ამ სტრიქონების ავტორს ასევე შეგნებული აქვს ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევის დიდი მნიშვნელობა გარდაქმნის იმ ისტორიულ ეტაპზე, რომელსაც ამჟამად განვიცდით.

ფილოლოგიური მეცნიერების დარგი, რომელიც ლიტერატუ-რულ ურთიერთობებს შეისწავლის, ამ ბოლო დროს უფრო მოქნილი და მასშტაბური გახდა. მხედველობაში მათქვს ის გარემოება, რომ თუ აქამდე იგი ფაქტების ფიქსაციით კმაყოფილდებოდა და ლიტერატუ-რულ ურთიერთობათა მაგალითებს ძირითადად ნაწარმოებთა პასა-ჟების ურთიერთ ფრიად საეჭვო მსგავსება-დამთხვევებში ეძებდა, დღეს თანდათანობით აფართოებს კვლევის სფეროს. გარდა უშუა-ლოდ მხატვრული ლიტერატურისა, მოიცავს ლიტერატურათმცოდ-ნეობის და კრიტიკის სფეროებს, უფრო კომპლექტურად და ყურ-ადღებით სწავლობს ურთიერთობათა ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს – მხატვრული თარგმანის სფეროს და ამრიგად ფაქტების აღმსახ-ველის ფუნქციიდან გაბედულად გადადის ერთა შორის კულტურულ ურთიერთობათა ანალიზატორისა და ამ ურთიერთობების შემდგომი გაუმჯობესებისთვის ახალ-ახალი გზების მაძიებლის ფუნქციაზე.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საბჭოთა იმპერიის ცხოვრების ამ ეტაპზე, საყოველთაო გარდაქმნის, დემოკრატიზაციისა და სა-ჯაროობის პირობებში ახლებურად წარმოგვიდგება ხალხთა შორის ლიტერატურული ურთიერთობანი და, ბუნებრივია, ამ ურთიერთ-ობათა კვლევის მეთოდებიც. ერების სუვერენულობისა და მათი ნა-ციონალური სპეციფიკისადმი უაღრესი პატივისცემის ამ პირობებში სასურველი როდია ლიტერატურული ურთიერთობების კვლევა ჩავ-ატაროთ ეროვნულ ლიტერატურათა ნიველირების, მათი „მერწყმის“ შედეგად რალაც სუმბურული ე. წ. მთლიანი კულტურის შექმნის

განასერში. უმჯობესია ხაზი გავუსვათ იმ გარემოებებს, თუ რა უწყობს (ან შესაბამისად უშლის ხელს) ორ მოძმე ხალხს მათი კულტურის საუკეთესო გამოჩენის ერთმანეთთან მიტანაში და რა დონეზეა ეს კულტურული მეგობრობა; სხვა (მესამე) კულტურის სფეროების და მაგისტრალის გავლით არის, თუ ერების მიერ ერთმანეთისკენ ნაპოვნი ბილიკებით.

მოძმე ლიტერატურათა ცხოვრებაში ჩაისახა და განვითარდა ურთიერთობის ახალი ფორმები, ქართველი მწერლების შემოქმედებაში გაჩნდა სხვადასხვა ერების ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებები. ამჟამად, მთარგმნელობითი ფორმის ვითარებაში, იმასაც კი მივალნი, რომ უნივერსიტეტების დაუცხრომელი მეცადინეობით თითო-ორი სსრკ ხალხთა ენების მცოდნეებიც კი გამოვზარდეთ, მაგრამ გამორჩეულ ნაწარმოებთა ურთიერთ-მთარგმნის საქმე ახლა, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ხშირად თვითდინებაზეა მიშვებული. მარტო საკავშირო ლიტერატურულ დღეებზე და სადეკადო კომპანიებზე თუ გავიხსენებთ ერთმანეთს და გამოვაქვეყნებთ ლექსთა სახელდახელოდ გამომცხვარ თარგმანებს, თორემ გეგმაზომიერების და უკეთეს ნაწარმოებთა გულდასმით შერჩევისა ამ ურთიერთობას, სამწუხაროდ, არა ეტყობა რა. ისინი, უკანასკნელ წლებში ვისი იმედიც გვქონდა, ვინც წლები დახარჯა ენების შესასწავლად, ამ ბოლო დროს დისერტაციების დაცვის არანაკლებ ღირსეულმა საქმემ გაიტაცა და ურთიერთობის ყველაზე მთავარი საქმე – ნაწარმოებთა თარგმნა განზე გადასდეს. წინაპართა ღვანლისა თუ მაგალითის შესხენებით თანამედროვე მწერლებსა და მკითხველებს ერთხელ კიდევ მოვუწოდებთ: რომ ჭეშმარიტი მეგობრობისთვის და კულტურული ძმობის დასამყარებლად საზეიმო სიტყვებზე მეტად საქმეა საჭირო, სულიერ მონაპოვართა ურთიერთმიტანის მაგისტრალური გზა კი, ძირითადად, თარგმანზე გადის. მეგობრობის კოცონს ნიჟარად სული უნდა უბერო და შეშაყ ნაუმატო, რომ არ მიინავლოს და ნაცრად არ იქცეს.

მოძმე ხალხთა ლიტერატურის თარგმნის კეთილშობილურ საქმეში ნაცად ოსტატებს ახლახან ამოუდგნენ გვერდით ახალბედა მთარგმნელებიც. ზოგმა მათგანმა (ჰრაჩია ბაირამიანი, იმირა მამედოვი, ლუდმილა კრავჩენკო...) უკვე მიიპყრო მკითხველის ყურადღება. ასე რომ, ჩვენი ლიტერატურების დაახლოების და შესაბამისად ჩვენი ერების ძმობის განმტკიცების მომავალს კარგი პირი უჩანს.

1981 წ.

## თანამედროვე ქართული ლექსი

ჩემს ბავშვობაში მახსოვს, საკლასო ოთახში ეკიდა ქართველ მწერალთა პორტრეტ-პლაკატი, ვილაცის მიერ შეგემოვნოდ შესრულებული და უფრო უგემოვნოდ დაბეჭდილი, მაგრამ ისეთი დიდი იყო ამ პორტრეტის ზემოქმედების ძალა თითოეული ჩვენგანის სულზე, რომ კლასიკოსებს მე ახლაც იმ პლაკატზე წარმოვიდგენ ხოლმე. პლაკატი კურსდამთავრებულთა ე. წ. „გამოშვების“ სურათს ჰგავდა – შუაში რუსთაველის მოზრდილი პორტრეტით. რა გასაიდუმლოებულიც უნდა გვექონდეს ჩვენ – კრიტიკოსებს პოეტური კოლიზეუმის არენა, როგორც უნდა მოვერიდოთ სიების შედგენას, გარემოებათა გამო რამდენადაც უნდა ვმალეთ კეისარი და პირველობის გვირგვინი მაინცდამაინც მკვდრებს შევუნახოთ (ლამის ჩვენს ეროვნულ თვისებად იქცეს მკვდრების უფრო დაფასება, ვიდრე ცოცხლებისა) შეგნებული მკითხველის წარმოდგენაში მაინც არსებობს თანამედროვე ქართველ პოეტთა „გამოშვების“ სურათი.

რა არის ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო ქართველი პოეტის ტრადიცია თანამედროვეთა პოეტურ გენში გადმოსული? უპირველეს ყოვლისა ის, რომ ქართველ პოეტს არ დაუთმია ერის მეზარაზტის პოზიცია.

რა თვისობრივ სიახლეებს ვატყობ თანადროულ პოეზიას? უპირველეს ყოვლისა, სამ სიახლეს: მეტაფორული აზროვნების შესუსტებას, კლასიკური ლექსის ნიაღმი ვერლიბრის გაჩენასა და დამკვიდრებას, და კრიტიციზმის გაძლიერებას, რაც ძირითადად ირონიულ-პაროდიული ნაკადის მომძლავრებით გამოიხატა.

უმიზეზოდ არაფერი ხდება და ქართული პოეზიის ეს სამი სიახლეც დრომ განაპირობა, როგორც ვხედავთ, პირველი ორი „ნოვაცია“ ლექსის ფორმას უკავშირდება, მესამე კი თემატიკას.

ცოტა ინერება დღეს მეტაფორული ლექსი (ამ სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით). ღმერთმა უწყის კარგია ეს თუ ცუდი, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ქართველი პოეტის საუბარი უფრო ლაკონური, კატეგორიული, პირდაპირი გახდა. რა არის ამის მიზეზი, ურბანისტული ეპოქა? სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია? აჩქარებული დრო? ტრადიციული ლექსის ფორმალურ სამუშაოებათა ნაწილობრივი ამონურვა? იქნებ ცალ-ცალკე და ყველა ერთად.

მეტაფორული ლექსის ე. წ. „დაბერებას“ უშუალოდ უკავშირდება ვერლიბრის მომძლავრება. ოღონდ ვერლიბრი „ლექსის განთავისუფლების“ უკიდურესი ფორმაა და ამდენად თვალშისაცემიც. ფაქტობრივად ლექსის ორივე უახლესი მეტამორფოზა ერთი მედლის ორი მხარეა, ისინიც კი, ვინც თეორიულად ასაბუთებენ ვერ-

ლიბრის უნიადაგობას ჩვენს პოეზიაში და გააფთრებით ებრძვიან მას, კარგა ხანია განთავისუფლდნენ რომანტიკული, მეტაფორული აზროვნების სტილისაგან; საიდანაც ერთი ნაბიჯია ვერლიბრამდე.

ამ სტრიქონების ავტორის სურვილის მიუხედავად (ავტორისა, რომელიც რუსთაველის, ვაჟას და გალაკტიონის ჰანგებზეა გაზრდილი და კარგა ხანს ეჩითიერებოდა კიდეც თავისუფალი ლექსის მხატვრული უსამანობა) ჩვენს პოეზიაში ამ ბოლო ათწლეულში დიდი თვისობრივი ცვლილება მოხდა. ქართული ლექსის ობიექტური მემატიაზე იტყვის რომ ამ საუკუნის სამოცდაათიან წლებში კანონიკური, ტრადიციული ლექსის გვერდით ქართულ პოეზიაში აღმოცენდა ვერლიბრი და (არ ეწყინებათ ფსალმუნთა და საგალობელთა ავტორებს, არც თითო-ოროლა ეპიზოდური ცდის ავტორს სამოცდაათიანწლებამდე) ამ სალექსო ფორმის პიონერებად გვევლინებიან: ბესიკ ხარანაული, ლია სტურუა, მამუკა ნიკლაური, გივი ალხაზიშვილი, გურამ პეტრიაშვილი, ჯარჯი ფხოველი და სხვანი.

სასაცილოდ მეჩვენება იმაზე ლაპარაკი, უქმნის თუ არა რაიმე საშიშროებას ვერლიბრი რითმიან ლექსს. პირიქით, ამ ორსახეობით ჩვენი პოზიცია უფრო მდიდარი და თანამედროვეობასმეგუებული ჩანს. გული არ დანყდეთ ვერლიბრისტებს და ქართულ ვერლიბრს დიდხანს მოუწევს ცდა, რომ ტრადიციულ ლექსს ჩვენში სერიოზული მეტოქეობა გაუწიოს. ვერლიბრი ჯერ მუხლებგაუმაგრებელი ყმანვილია, ხოლო კანონიკურ ლექსს მთელი კლასიკური ქართული პოეზია უმაგრებს ზურგს.

იარსებოს ერთმანეთის გვერდით ტრადიციულმა და ნოვატორულმა, რითმიანმა და თავისუფალმა, ამით ჩვენი პოეზიის ფორმალური მასშტაბები უფრო გაიზრდება და გაფართოვდება, „მე სხვა მანუხებს, ისა ვთქვათ: „ურითმობას უნიჭობა ნუ შეეფარება. ერთ მშვენიერ დღეს არ გაირკვეს, რომ ურითმო ლექსს ზოგი თავისი უუნარობის გამო იშველიებდა. ნუ დაინერება მშვენივრად განყოფილი რითმებით დემაგოგიური, დეკლამაციური, ყალბი სტრიქონები. ნუ ვაქებთ იმას, რაც არ გვჯერა, ნუ შევქმნით ამღერებული ლექსით საყოველთაო კეთილდღეობის და ჰარმონიულობის ილუზიას, ქვეყანას შენი ხელმომართული ცხოვრების გადასახედიდან ნუ უმზერ, დააკვირდი როგორ ფიქრობენ, რა დღეში არიან ათასები“.

ამ ათი წლის წინათ მე დავიცავი სადოქტორო დისერტაცია თემაზე „თანამედროვე ქართული პოემა“. პოემის განვითარების შესწავლამ ასეთ დასკვნამდე მიმიყვანა: სიუჟეტთანმა პოემამ თავისი დრო მოჭამა, გალექსილი მოთხრობები აღარ სურს მკითხველს. მომავალი ლირიკულ პოემას ეკუთვნის. რადგანაც პროზის გაჩენამ

და გაძლიერებამ დღის წესრიგში დააყენა ლიტერატურულ სახეთა გამიჯვნის პრობლემა. ის რაც პროზაულია, პროზას დავუთმოთ, პოეტური კი პოეზიას-მეთქი.

ეს წიგნი იმ დროს გამოვაქვეყნე, როცა ლირიკული პოემა მაშინდელ ახალგაზრდა პოეტთა რუდუნებით ეს-ესაა იბადებოდა, ხოლო ქართველ პოეტთა უმეტესობა ერთგულად წერდა სიუჟეტთან პოემებს. როგორც მწერალთა V ყრილობაზე ირაკლი აბაშიძემ თქვა: – ეგონა პოემას წერდა და სინამდვილეში მოთხრობას ლექსავდა. თავის ქებაში წურავინ ჩამომართმევს და დრომ ჩემი ვარაუდის სასარგებლოდ იმუშავა. არნახულ მწვერვალებს ეზიარა ლირიკული პოემის ჟანრი. სიუჟეტთან პოემები კი უიმედოდ შემოგვადნა ხელში. უფრო მეტიც, ერთმა საყვარელმა პოეტმა მთელი მონდომებით დანყებული ეპიკური პოემა, რომლის არცთუ ურიგო ნაწყვეტიც გამოქვეყნებული მქონდა, აღარ დაამთავრა. ეტყობა, იგრძნო, რომ თანამედროვის სულის მხატვრული კვლევა სიუჟეტთან, ე. წ. თხრობითი პოემის ბებერი ჟანრული კანონებით აღარ ხერხდება.

პოეზიის უძლიერეს ზემოქმედებას მილიონიან მასებზე ისიც განაპირობებს, რომ იგი სიტუაციასთან მისადაგების, მანევრირების, გასაოცარ უნარს ფლობს, განსხვავებით პროზისაგან ლექსი უპირატესად განწყობილებისმიერი ფენომენია. არის სიტუაცია, როცა სრულიად ზედმეტია და უადგილო ინტიმური, მედიტაციური ლექსი (ერთი ნუთით წამოიდგინეთ გალაკტიონი, რომელიც ბარიკადებზე შედგება და ტყვიების კანონადაში დაიწყებს: „მთვარემ ღამე გაათია შეწყდა ფიქრთა დინება, ღამის ორი საათია შენ კი არ გეძინება“...) თუ ბარიკადულ სიტუაციას „მეგობრებო, წინ-წინ გასწით“ სჭირდება, სამაგიეროდ „მთანმინდის მთვარეს“ აღტკინებული განწყობილებით ვერ ნაიკითხავთ. ამამია პოეზიის უნივერსალიზმის საიდუმლო.

რაც შეეხება მოქალაქეობრივი და პატრიოტული ლირიკის განვითარების ტენდენციებს, უნდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ პოეზიის ორივე დარგი თუ სახე, მანამ იარსებებს, სანამ პოეზია იარსებებს საერთოდ. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ქართველ პოეტს ერთი დღითაც არ უცხოვრია საქვეყნო საზრუნავის, თავის სამშობლოს მომავალზე ფიქრის გარეშე და არც მომავალში აპირებს.

ახალგაზრდები?

ქართველ პოეტთა ბევრი თაობა ვერ დაიკვეხნის დებოუტიდანვე იმდენი სიახლის მოტანითა და დამკვიდრებით, რაც ჩვენმა სამოცდაათიანწლებმა შეძლეს. ეს ფაქტი ბევრისმეტყველია. ჩვენ პირველხარისხოვანი ახალგაზრდა პოეტები გვყვანან: თედო ბექიშვილის, გივი ალხაზიშვილის, ბესიკ ხარანაულის, იორამ ქემერტელ-

იძის, მამუკა ნიკლაურის, ირაკლი ბაზაძის, ლია სტურუას, ენვერ ნიჟარაძის, ჯარჯი ფხოველის, გრიგოლ ჯულუხიძის, გურამ პეტრი-აშვილის, რაულ ჩილაჩავას, ვანო ჩხიკვაძის, დოდო ჭუმბურიძის, ჯემალ ჩახავას, ზაალ ებანოიძის, ავთანდილ ყურაშვილის, თემურ ჩალაბაშვილის, დალილა ბედიანიძის, მზია ხეთაგურის, ვაჟა ხორ-ნაულის, ვახტანგ ხარჩილავას, დავით მჭედლოურის, იმედი ჯახუას, თამაზ ბაძალუას და ერთი ორი სხვა ახალგაზრდა პოეტის სახით.

ახლა უკვე უიმედო სკეპტიკოსებიც აღარ კამათობენ იმაზე, რომ ზემოთ ჩამოთვლილ პოეტებს აქვთ ლიტერატურული თაობის ყველა ნიშანი, ისინი გაბედულად ამკვიდრებენ მწერლობაში ახალ ფორმებსა და თემატიკას – სიახლის გრძნობა მათი უპირველესი და სანაქებო თვისებაა. თუმცა გამარჯვებულებს არ ასამართლებენ, მაგრამ მე მაინც მინდა ჯიუტად შევახსენო ამ ჩემს მეგობრებს მათი შემოქმედების მთავარი ნაკლი: წმინდა, თვითმიზნური ესთეტიზმით ზედმეტი გატაცება, ლექსის დემოკრატიულობის მეორეხარისხოვან საქმედ მიჩნევა, საშიშროება იმისა, რომ მკითხველ მასას დაშორდნენ. იქნებ ეს გახლავთ მთავარი მიზეზი იმისა, რომ ორმოცს მიღწეული ბევრი ნიჭიერი „ახალგაზრდა პოეტი“ დღეს გაცილებით ნაკლებპოპულარულია, ვიდრე წინა თაობის შემოქმედნი იყვნენ მათ ასაკში.

ლიტერატურაში კრიტიციზმი და სატირული ჟანრები მაშინ ძლიერდება, როცა ძველის, დრომოჭმულის მსხვრევის დრო დგება („რათა კაცობრიობა სიცილით გამოეთხოვოს თავის წარსულს“). ჩვენი საზოგადოება თავგამეტებით იბრძვის თვითგანახლებისათვის და პოეზიაში ირონიულ-პაროდიული ნაკადის მომძლავრებაც ამ გარემოებამ განაპირობა.

ვერ მოგახსენებთ, რა აზრისაა მკითხველი, მაგრამ ირონიულ-პაროდიული ლექსი მე ლირიკის მძიმე არტილერიად მიმაჩნია ჩვენი ცხოვრების ამ ეტაპზე. ტარიელ ჭანტურიას ერთ ლექსს „საქმოსანი“ ჰქვია: „ვერ მეზობლების ოთახები შემოიერთა. მერე – სოფლები, ქალაქები, მერე ქვეყნები. ხოლო სულ ბოლოს – ჯოჯოხეთი. თავისი დიდი ქვაბებით და საწინანი მუგუზლებით“. მე ახლაც ჩამესმის ყურში პოეტის მიერ თანამედროვე მომხვეჭელისადმი გამეტებით განწული სილის ექო. ახლახანს გივი აღხაზიშვილის ლექსების ახალი საინტერესო წიგნი წავიკითხე და ბევრ კარგ პოეტურ პასაჟთან ერთად მეხსიერებაში ღრმად ჩამრჩა პაროდიული სახე დაქირავებული თოვლის ბაბუასი, რომელიც ტაქსით დარბის ერთი საბავშვო ბაღიდან მეორისაკენ. ირონიულ-პაროდიული ლექსი ამ ბოლო დროს თითქმის ყველა ქართველი პოეტის მუზის საგანი გახდა, მაგრამ განსაკუთრებით მოერგო იგი ტარიელ ჭანტურიას, ვახტანგ ჯავახ-

აძის, შოთა ნიშნიანიძის, გივი გეგეჭკორის, ემზარ კვიციანიშვილის, ზაურ ბოლქვაძის და იორამ ქემერტელიძის შემოქმედებას.

პოეტი რომ სულიერ თანამგზავრად და ფიქრთა ჩემთა მოზიარედ მივიჩნიო, უამრავი კრიტიკიუმით ვაკვირდები, ამიტომ ერთბაშად ყოველთვის მიჭირს ხოლმე თანამედროვეთა შორის ჩემი საყვარელი პოეტის დასახელება. ჩვენ, ყველანი, მღელვარე შემოქმედებითი პროცესის მონაწილენი ვართ და გასაკვირიც არაფერია იმაში, რომ ჯერჯერობით ბოლომდე არც ერთმანეთის ფასი ვიცით და არც საბოლოოდ გვაქვს გამორკვეული ჩვენი დამოკიდებულება ამა თუ იმ პოეტის შემოქმედებისადმი. ერთს კი ხატზე დავიფიცებ: ლექსის კაცს – თუნდაც ყველაზე მოკრძალებული ნააზრევის პატრონს, დიდ პატივს ვცემ და სიყვარულით ვუცქერი. იგი ჩემთვის წმინდა კაცია იმ გასაგები მიზეზის გამო, რომ თავს პოეზიის ნათელი ადგას და შვიდფერი მუზისათვის შეუწირავს სიცოცხლე. რაც შეეხება სიყვარულს – არაჩვეულებრივი სიტბო ჩამეღვრება სულში, როცა ჭეშმარიტ პოეზიას წავანყდები და ტკივილით შემეკუმშება გული, როცა პოეტს რაიმე „შეეშლება“, როცა (სამწუხაროდ ასეც ხდება) ეშმაკს მიყიდის სულს, როცა იმედებს ვერ გამიმართლებს, მაშინ ჩემს გულში მისი სიყვარულის ნათურა საეჭვო ციმციმს იწყებს.

აი, ახლაც, ამ სტრიქონების წერისას, ჩემს მაგიდასთან შემოჯარულან ისინი – ჩემი საყვარელი ქართველი პოეტები – ერთი ხარივით ღონიერ ქედს ატრიალებს და, სიის შედგენის დროს ზემოქმედება რომ არ მოახდინოს ჩემზე, თვალს მარიდებს, მეორე ძვალჩაკირული და გაუტყხელი, თავის მღვიმეში განმარტოებულა, მესამე თვალისჩინზე უფრო უფროთხილდება თავის საფიცარს – თავის ქვეყანას და ტკივილადქცეულ ლექსს. მეოთხე ამ ქვეყნის ყაყანს სასწაულებრივად გადარჩენილი, ქალწულური კდემით გვეჩურჩულებს, მეხუთე იშვიათად ესთეტის მანტიას იხსნის და აკაკივით შარავზაზე ყეფად დგება, მეექვსე მაცებს იმპროვიზაციის არაჩვეულებრივი უნარით და მოქადაგის შესაშური ომახიანობით, მეშვიდე და მერვე ირონიულ-პაროდიული ლირიკით აკეთებენ პოეტის დიდ საქმეს, მეცხრეს და მეათეს ბერის ჩოხით წარმოვიდგენ, ერთად დაფუსფუსებენ ქართული პოეზიის ტალანებში; მართალ სიტყვას ამბობენ და მართალ კრებულებს ადგენენ, თავიანთი ცხოვრების წესითაც მაგალითს აძლევენ საქართველოს. მეათე... მეთერთმეტე... მეთორმეტე...

არა, ისინი არც ისე ბევრნი არიან, ამიტომაც როდი მიჭირს მათი ხმების გამოცნობა ქართული თანამედროვე პოეზიის ტკბილხმოვან ორკესტრში.

1981 წ.

## მსოფლიო ჟურნალის ხათრით

ძვირფასო მკითხველო, მე, როგორც „კრიტიკის“ რედაქტორი, დიდხანს ვყოყმანობდი, დამებეჭდა თუ არა ლევან სანიკიძის პოლემიკური წერილი. ვფიქრობდით, ხომ არ ჩამოგვერთმეოდა ეს ნაბიჯი „ქართველ კინკლაობად“, ან გახმაურებული რეჟისორისადმი უსაფუძვლო ამხედრების ფაქტად. ბოლოს, მაინც გამოვაქვეყნე, რაკილა ვცანი, რომ ქართული თეატრისა და ეროვნული საქმის ინტერესებითაა ნაკარნახევი ლევან სანიკიძის სტატია.

სამწუხაროდ, რობერტ სტურუას მიმართ კრიტიკულმა აზრმა საკმაოზე მეტად დაიგვიანა. ათეული წლების განმავლობაში ჩვენს თვალწინ, ჩვენივე წაყრუებით საქართველოს უპირველესი თეატრი ეროვნული თეატრიდან ლამის „მოხეტიალე დასად“ იქცა, რომელსაც მსოფლიო თეატრების ბაზარზე გაჰქონდა არა ქართველი კაცის ხასიათი და ქართული პრობლემები, არამედ კლასიკური უცხოური დრამატურგიის მოყირჭებული თემები ჟონგლიორულ-საესტრადო ინტერპრეტაციით. საეჭვო დონის ფესტივალებზე და სენტიმენტალურ ემიგრანტთა საღამოებზე დაკრულ ტაშს კი თეატრის მშვენივრად ორგანიზებული პრესა „მსოფლიო გამარჯვებად“ და თეატრალური ბასტილიების აღებად მიიჩნევდა. ასე შევქმენით ჩვენ თვითონ „გამარჯვებული თეატრის“ ყალბი ფენომენი და იგი საქართველოს თეატრალურ ცხოვრებას დავუპირისპირეთ. რობერტ სტურუამ კი მშვენივრად იცოდა, რასაც აკეთებდა; საზღვარგარეთ ქართული თემა მომგებიანი არ არის, ამიტომაც არას დაგიდევდათ საქართველოს სატკივარს და სცენაზე ბოგინობდა თავდაყირა მდგარი უცხოური „კლასიკა“ ეპიგონური სცენებითა და უწმანურ-სკარბეზული პასაჟებით.

ღირდა უცხოეთის ცის ქვეშ დარხეულ საეჭვო ტაშად შენი ქვეყნის სატკივარისთვის ზურგის შექცევა, ორიოდ მსახიობის გაფეტიშება და მსახიობთა მთელი თაობების სახელოვნო სიკვდილი (თანაც ნელი წვით დაუსაქმებელი მსახიობის სამინელ კოცონზე), ახალგაზრდა რეჟისორებისადმი უზურპატორული დამოკიდებულება; ბოლო რეპეტიციებზე „რობიკასეულ“ შესვლებით და ისედაც ფერგაცრეცილი რეჟისორული ინდივიდუალობის ფეხქვეშ გათელვებით რომ გამოიხატა? და ბოლოს, რატომ მივეცი თუ რობერტ სტურუას უფლება, წლების განმავლობაში უარეყო ქართული მწერლობის ყველა მიღწევა და რუსთაველის თეატრი (ფიცში ჩასაყოლებლად) უსუსურ გრაფომანთა ორიოდ პიესით და თავისი საეჭვოზე საეჭვო დრამატურგიული „ნააზრევით“ ეკვება? ვინ მოსთხოვს მას პასუხს თანამედროვე

ქართული მწერლობისადმი ამგვარი ცინიკური, აგდებული (კინალამ ნამოგვცდა – „თავხედური“) დამოკიდებულების გამო?

საქართველო შესძრა ამ ბოლო დროს აზვირთებულმა ეროვნულმა მოძრაობამ. ამ ტკივილს რობერტ სტურუას პანტომიმური რეზუს-ბალეტით, უსიტყვო, უსუსური სპექტაკლით „დედაო ღვთისავ“ უპასუხა. სიტყვის თეატრში უსიტყვობა აი, როგორ გაამართლა სახელოვანმა „რობიკამ“. „როცა გადავწყვიტე ცხრა აპრილის ასახვა სცენაზე, მივხვდი, რომ სიტყვა უძლური იყო ჩვენი გრძნობების, განცდებისა და აზროვნების წარმოსაჩენად... ამიტომ გადავწყვიტე უსიტყვო სპექტაკლის შექმნა“. („თბილისი“, 23 სექტემბერი, 1989 წ.) ხედავთ? თურმე სიტყვა უძლური ყოფილა „ჩვენი გრძნობების“ წარმოსაჩენად და ამიტომაც იძულებული გამხდარა რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელი, პანტომიმა-ბალეტის ენით წარმოეჩინა გრძნობები სცენაზე. თურმე, რა კარგად შეუთვისებია მას მისივე ინგლისელი მასწავლებლის – შექსპირის „სიტყვა სუნთქვა, სუნთქვას კიდევ სიცოცხლე მოსდევს“.

ლამის საფლავში ჩასდიოს მისი მიკერძობული რეჟისორული თვითნებობით „მოკლულ“ მსახიობებს რობერტ სტურუამ: „ობიექტური სინამდვილე გვაიძულებს და... რამდენიმე მსახიობმა სურვილი განაცხადა პენსიაზე გავიდეს. ქართული თეატრის მოღვაწეთა კავშირს შეუძლია პენსიისა და ხელფასის სხვაობა აუნაზღაუროს აქტიორს“ (იქვე) – მისივე ერთი თეატრალური პერსონაჟის ცინიკურ-უტიფრული ინტონაციით აცხადებს „თეატრის ხელმძღვანელი“. მერედა იმ „პენსიაზე გასვლის“ უკან არშემდგარი ხელოვანის მოქალაქეობრივი ტრაგედია რომ დგას? მსახიობის პენსიაზე გასვლა ხომ მწერლის პენსიაზე გასვლას უტოლდება. რომელ კაპიკებზე, რა „პენსიისა და ხელფასის სხვაობაზე“ ლაპარაკობს ანტიქართული განწყობის რეჟისორი, რომელმაც კამათლებივით ათამაშა ათეული ნიჭიერი მსახიობის ბედი და ახლა მათს პენსიაზე გაცილებას ზეიმობს? თანაც ირონიულად ეღიბება თავისივე ვერაგულ ბოლო სვლაზე, იქნებ „პენსიისა და ხელფასის“ სხვაობაზე დაფიქრებულ მზრუნველ რეჟისორად ჩამთვალოსო მკითხველმა.

დროა დამთავრდეს მკითხველთა და მაყურებლისთვის თვალში ნაცრის შეყრის რობერტ სტურუასეული ეპოპეა. დღეს, როცა დემოკრატიზაციის პროცესი სახელოვნო დაწესებულებებსაც ძალუმად შეეხო, როცა მარჯანიშვილის თეატრს თვით თემურ ჩხეიძისვე ინიციატივით ხუთეული მართავს და არა ერთი რეჟისორი, როცა თეატრალურ საზოგადოებაში სუფევს კოლეგიალობისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო, ჩვენ ვფიქრობთ, საჭიროა ერთხელ

და სამუდამოდ წერტილი დაესვას რუსთაველის თეატრში ოცდაათი წლის განმავლობაში არშემდგარ თეატრალურ ექსპერიმენტს და ქართველი ხელოვანი, რომელსაც სამშობლოს სიყვარული „პუშკინისგან უსწავლია“, გონს მოეგოს, ქართული ეროვნული მოძრაობის სამსახურში ჩადგეს.

1988 წ.

## ღია წერილი

ახალგაზრდა თეატრმცოდნეებს და კრიტიკოსებს (!) კოტე აბაშიძეს, თამარ ბოკუჩავას, მათა გაბუნიას, მათა გოშაძეს, მაკა ვასაძეს, კახა ტრაპაიძეს, გია ცქიტიშვილს, ლევან ხეთაგურს, მანანა ტურიაშვილს, ანა ჭავჭავაძეს, ფიქრია ყუშიტაშვილს, მარინე ჯალაღანიას, ნინო დავითაშვილს და მათი „პოზიციის გამზიარებელ“ „ახალგაზრდა კომუნისტის“ თანამშრომლებს გულნარა ბაშარაულს, რუსუდან ლებანიძეს, მალხაზ რაზმაძეს და თამაზ სულაძეს.

ჩემო პატარა მეგობრებო, –

„ახალგაზრდა კომუნისტში“ (7/XI-89 წ.) გამოქვეყნებული თქვენი წერილი ჩემთვის ორი რამითაა სასიამოვნო: ჯერ ერთი, ორიოდვე გამოწკლისის გარდა, ერთბაშად ამდენი ახალგაზრდა თეატრმცოდნე და კრიტიკოსი გაგიცანით. მეორეც; გამოუქომაგეთ თქვენს აღმზრდელ მასწავლებელს და „კრიტიკსაგან“ დაჩაგრული რობერტ სტურუას დაცვა განიზრახეთ.

მართლაც რომ კეთილშობილური საქციელია და კიდევ უფრო კეთილშობილური იქნებოდა, მართალი რომ იყოთ.

„შეგძრაო,“ ბრძანეთ „კრიტიკის“ №5-ში გამოქვეყნებულმა ლევან სანიკიძის წერილმა და განსაკუთრებით მინანქრმა „რედაქციისაგან“. ჩანს, მართლაც, ძალიან „შეგძრაო“, რაკი ერთსულოვნად დარაზმულხართ და საპასუხო ბარათი მეყვესულად გამოგიცხვიათ.

ყოველთვის მაინტერესებდა, როგორ იწერება ამგვარი კოლექტიური წერილები. ერთბაშად შეიკრიბებით ხოლმე ჩვიდმეტი „შეძრული“ ახალგაზრდა თეატრმცოდნე და კრიტიკოსი და ჯგუფურად წერთ პასუხს, რომელსაც მერე გაუსწორებლად ლინოტიპისკენ მიარბენინებთ, თუ ერთი თქვენგანი (განსაკუთრებით „შეძრული“) დაჯდება და დაწერს პასკვილს, მერე მეგობრებს ჩამოურბენ-ჩამოურეკავს და ხელს მოაწერინებს? უფრო მოხარული ვიქნებოდი წერილის შექმნის ეს მეორე ფორმა რომ აღმოჩნდებოდა, ამ შემთხვევაში, თქვენი კოლექტიური ქმედების გამომხატველი.

თუ ასეა, ელემენტარულ თვალთმაქცობასთან, ერთ-ერთი თქვენგანის მიერ სხვებისთვის საკუთარი აზრის მექანიკურად თავზე მოხვევასთან გვექნება საქმე და, თუ ასე არ არის, უფრო მძიმე მდგომარეობაა: შეიძლება, ერთბაშად გამიტყდეს გული ჩვიდმეტი დიპლომიან ახალგაზრდა თეატრმცოდნესა და კრიტიკოსზე.

„რალაც გაუცნობიერებელი ეჭვი არღვევდა სასტიკი იდეებით შეიარაღებული ადამიანების მიერ ჩვენს სულსა და გონებაში გაბმული ხაფანგების აბლაბუდასო“, წერთ თქვენ, ძვირფასო მეგობრებო, და ცრემლი როგორ არ მომადგეს თვალებზე, როცა თქვენს „გონებაში გაბმული ხაფანგების აბლაბუდას“ წარმოვიდგენ. და თუ, როგორც თქვენ ამბობთ, რ. სტურუამ მართლაც აგიხილათ თვალი და თქვენი გონების აბლაბუდაში რალაც სინათლე შეიტანა, როგორ არ უნდა უმადლოდეთ. მართლაც, ცერბერივით უნდა დარაჯობდეთ და თუ ვინმემ შენიშვნა მისცა; ძვირფასო რობერტ, აღზევებულს და გამსოფლიოვებულს, ხანდახან შენი პატარა სამშობლო, მისი სატკივარი და საფიქრალი რატომ გავიწყდებაო, კოლექტიურად უნდა მივარდეთ და ქოქოლა დააყაროთ. მერე რა, რომ ჭირვეულ ყმანვილებად მოგნათლავენ, თქვენ ხომ თქვენი საქმე გააკეთეთ რ. სტურუას მიერ „ახლადთვალახელილებმა“.

ახლა, ამის შემდეგ, როგორ გავკადნიერდე და ჩემი ცოდვილი თავი როგორ მოგაგონოთ. თქვენი თვალისამხელისგან მოგვირღო ჟრუანტელსა და ჟრუანტელს შორის ჩემი წიგნებისთვისაც რომ გადაგეხედათ, იქნებ გულში მაინც დამთანხმებოდით, რომ ამ ოცი წლის განმავლობაში რევაზ მიშველაძის ნოველებმაც შეიტანა თავისი წვლილი ჩვენი ეროვნული გამოღვიძებისა და „გისოსებით შემოსაზღვრული ჩვენი სამყაროს“ მხილების საქმეში, მაგრამ თქვენ (ახალგაზრდა თეატრმცოდნეებს და კრიტიკოსებს) გაინტერესებთ მხოლოდ თქვენი თავი რობერტ სტურუას დამცველებად, სხვა არაფერი. გგონიათ კარგი პოზაა: „ახლადთვალახელილი“ დემოკრატიის პირმშობი იცავენ „სანყალ“ რობერტ სტურუას თავისავე თანამებრძოლთაგან.

თქვენი მოუზომავი ჯგუფური ეპითეტები და „პარალელები“ თქვენს სინდისზე იყოს, მაგრამ ვინც ახალგაზრდა თეატრმცოდნეებად და კრიტიკოსებად გაკურთხათ, ნუთუ არ უსწავლებიათ თქვენთვის, რომ როცა ვინმეს რამეში არ ეთანხმები, ჯერ ის უნდა თქვა, რას ამბობს „ვინმე“ და მერე, რატომ არ ეთანხმები. არ შეიძლება, არ ესწავლებინათ თქვენთვის რომ საბუთის გარეშე თქვენს ოხვრასა და გულზე მჯილის ცემას ფასი არა აქვს მკითხველის თვალში.

ახლა მშვიდად, ყოველგვარი ვნება-ცახცახისა და აღშფოთების გარეშე გავერკვეთ, რაშია საქმე.



რედაქციის მინანქრში „კრიტიკის“ უმთავრესი პრეტენზია რობერტ სტურუას მიმართ გახლავთ ის, რომ თეატრმა წლების განმავლობაში ზურგი შეაქცია საქართველოს სატკივარს. „ღირდა უცხოეთის ცის ქვეშ დარხეული საეჭვო ტაშად შენი ქვეყნის სატკივრისთვის ზურგის შექცევა“? – ვნერთ ჩვენ ყოველგვარი მიკიბზ-მოკიბვის გარეშე.

ნუთუ მკრეხელობაა, მოვითხოვთ სახელოვანი რეჟისორისაგან თავისი მაღალი ნიჭიერება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მოახმაროს. რუსთაველის თეატრიდან ორიოდ ნაბიჯზე სულისშემძვრელი, საქართველოსთვის სასიცოცხლო მოვლენები ხდება. ძირმომპალ რეჟიმთან საქართველოს შემართებას მთელი მსოფლიო ისმენს და ხედავს და ამ დროს უზარმაზარი ეროვნული ტრიბუნა-თეატრი რობერტ სტურუას ხელმძღვანელობით მორიგი საგასტროლო ფუსფუსითაა გართული. დეკორაციებს „კონტინენტებში“ დიდი მონდომებით ალაგებს, რათა რაც შეიძლება ჩქარა გაეცალოს ეროვნული ბრძოლის ასპარეზს და უცხოელ მაყურებელს ეახლოს „დასაპყრობად“ და „ჭკუიდან შესაშლელად“. ბრუნდება დიდი ხნის შემდეგ გამარჯვებული თეატრი და შეიტყობს, რომ რუსთაველის პროსპექტზე სისხლი დაღვრილა. სისხლი უკვე მორეცხილია, ყვავილების ზღვაც თვით მგლოვიარეებსვე ააღებინეს მონამლული „ველიდან“. რა ქნას თეატრმა? იქნებ ახლა მაინც უპასუხოს სახალხო ამბოხებას? კარგი იქნებოდა, მაგრამ მორიგი საგასტროლო მოგზაურობისთვის მზადებას რომ უკვე შევუდექით? თანაც რობერტ სტურუა რომ საბერძნეთშია წასასვლელი? საბერძნეთსაც ხომ სჭირდება გამათავისუფლებელ ბრძოლაში შემინება. იქნებ გასტროლებიდან გასტროლებამდე დარჩენილ თითზე ჩამოსათვლელ დღეებში მოვასწროთ და ვუპასუხოთ. აჯანყებული საქართველოს შემანუხებელ გულისთქმას? არ მოესწრება? ევრიკა! არის გამოსავალი: გამოვაცხადოთ, რომ „სიტყვა უძღურია ჩვენი გრძნობების, განცდისა და აზროვნების წარმოსაჩენად!“ მორჩა და გათავდა. არ დაგვიჯერებენ თუ რა?.. და იხილეთ სახელდახელოდ ორიოდ რეპეტიციით „შექმნილი“ უღიმღამო სპექტაკლი პანტომიმა – „დედაო ღვთისავ“. დააბიჯებენ წინ და უკან სახელოვანი მსახიობები. ისინი, ვის ბაგეთაგან ნათქვამ ქართულს სხვა ემზი და ჟღერადობა აქვს, ისინი, ვის მხარდაჭერასაც ასე ელოდება დღეს თავის დასახსნელად ქუჩაში გამოსული საქართველო! რატომ? რამ ჩაუგუბათ პირში წყალი? „სიტყვა უძღურია ჩვენი გრძნობების, განცდისა და აზროვნების წარმოსაჩენად“ – ასეთია თეატრის ხელმძღვანელის განაჩენი. სადაა სიტყვა უძღური გრძნობების წარმოსაჩენად, ბატო-

ნო რობერტ? რუსთაველის თეატრში? სიტყვის თეატრში? როდის შემდეგ გახდა?

ამ ფაქტმა რატომ არ „შეგძრათ“ და ასე ერთსულოვნად არ დაგრაზმათ „ახალგაზრდა თეატრმცოდნეებო და კრიტიკოსებო“?

თქვენ რომ თქვენს „ესტეტიურ“ ფიქრებში იყავით გართული, ჩვენი ეროვნული ბრძოლის არაერთმა მონაწილემ მიტინგზე ხმამაღლა თქვა; რუსთაველის თეატრი საქართველოს შემართებას მხარში არ უდგასო. „მსგავსი პოზიცია რახანია გააცხადეს გარკვეულმა პირებმა – ზოგმა პრესის ფურცლებზე, ზოგმა სადისკუსიო ტრიბუნიდან, ზოგმა – ქუჩაში მრავალათასიან თავყრილობებზეო“, ლამაზ ტუჩებთან ირონიული ღიმილი გიკრთით და „ესტეტიური“ ჩურჩულით ამბობთ თქვენ.

მერედა იცით ვინ არიან ის „გარკვეული პირები“? იქნებ „კრიტიკის“ რედაქციის თანამშრომლები? არა, ჩემო კარგებო, ისინი ცოტათი ჩვენზე და თქვენზე დიდი ვაჟკაცები არიან. დღედაღამ იბრძვიან და ხშირად ტყვიისთვისა აქვთ შუბლი მიშვერილი. ასე რომ „გარკვეული პირების“ ამრეზილად ხსენების ნაცვლად, სჯობდა, იმაზე დაფიქრებულიყავით, თუ რატომ გაისმის მიტინგებზე; საქართველოს უპირველესი თეატრი ჩვენს გვერდით არ არისო.

კიდევ ვინ ჰყოლია წინაპრად განცხადებას „რედაქციისაგან?“ ვახტანგ როდონაია თავისი ადრეული პუბლიკაციით „ვარიაციები „შუშანიკის ნამების“ თემაზე“.

რაო, არ ჰქონდა უფლება ვახტანგ როდონაიას თავისი აზრი გამოეთქვა ოპერაში „შუშანიკის ნამების“ თემაზე დადგმული რეზუსური სპექტაკლის შესახებ? თუ ეს საქმე მხოლოდ თქვენი, „ახალგაზრდა თეატრმცოდნეების და კრიტიკოსების“ მონოპოლიად მიგაჩნიათ? არა, ჩემო კეთილებო, არ არის ასე. ნეტა ვ. როდონაიას, ბარემ, იმის შესახებაც დაენერა, რა ნამება განიცადა ოპერის თეატრის სცენაზე ვიქტორ დოლიძის მშვენიერმა ოპერამ და როგორ წაართვეს ბრწყინვალე კომპოზიტორს თავის დაწერილ ოპერაზე საავტორო უფლება რობერტ სტურუამ და კომპანიამ. ვახტანგ როდონაიამ ჩანს, იფიქრა, ამას ჩემი უმრწემესი მეგობრები გააკეთებენო და სხვა არანაკლებ სასარგებლო წერილი დაწერა: რატომ გააუბედურებინეთ „სურამის ციხე“ ფარაჯანოვსო, რატომ, რა უფლებითაა ეს ქართული მოთხრობა სომხური პასაჟებით სავსეო.

თქვენ კი, თქვენ, ვიქტორ დოლიძეს როგორ გამოესარჩლებოდით. გამოსარჩლების ხაზით თქვენი ვინრო სპეციალობა ხომ თქვენი „თვალამხილველის“ – რობერტ სტურუას გამოქომაგებაა. მითუმეტეს, რომ ხელოვნების ეროვნულობისკენ მონოდების

საკითხში თქვენ უკვე გქონიათ თქვენი მტკიცე თვალსაზრისი (რაც იქნებ, ღმერთო შეგცოდეთ, არც თუ თქვენი მოძღვრის მონაწილეობის გარეშეა ჩამოყალიბებული): „ამჯერად ეროვნული რეალიზმის დოგმების დანერგვას ცდილობენ. დოგმებისა, რომლებიც უნიჭობას უხსნიან და უადვილებენ გზას“.

რეალიზმის ახალი სახე „ეროვნული რეალიზმი“ ხომ აღმოაჩინეთ და აღმოაჩინეთ, რატომ გგონიათ, რომ თქვენივე „აღმოჩენა“ უსათუოდ დოგმაა და უსათუოდ უნიჭობას უხსნის გზას? ნუთუ წრეგადასული კოსმოპოლიტიზმის ნაცვლად ეროვნულობისკენ მონოდება თქვენს მიერ ათვალისწინებული ეროვნული რეალიზმისკენ მონოდება? და ასეც რომ იყოს, რითაა ცუდი ეროვნული რეალიზმი?

როცა ამ თქვენს თეორიულ ნიაღვრებს ვეცნობოდი, უნებურად გავიფიქრე; იქნებ მართლა ჩამოვრჩი და ეროვნულობისკენ ჩემი ძალისხმევით ხელს ვუშლი-მეთქი „ახალგაზრდა თეატრმცოდნეების და კრტიკოსების“ აზრის განვითარებას?

ვაი ჩემს მოსწრებას, თუ ასეა და ჩემი ახლადფეხადგმული თეატრმცოდნეების კოტეს, მაკას, მაიას, კახას, გიას და სხვების აღსაზრდელად ვიქეცი?

იცით თუ არა თქვენ, ჩემო ახალგაზრდა „აღმზრდელებო“, რომ ბოლო ოცი წლის განმავლობაში იშვიათობად იქცა პრემიერა თეატრში, რის გამოც დასის ნევრთა ლამის ნახევარი დაუსაქმებლად ბერდება? ღმერთმა ნუ გამოგაცდევინოთ უნაყოფობის ტრაგედია. იცით, რა მტკივნეულია მოლოდინი იმისა, რომ ხვალ მაინც ჩამოვა თავისი ექვსთვიანი საზღვარგარეთული თუ მოსკოვური „პაეზდკი-დან“ რობერტ სტურუა და ხვალ მაინც გაღირსებს თავის მაღალ ყურადღებას? ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ და, ვერ წარმოიდგენთ, რა ჩქარა გარბის წლები, ვერ წარმოიდგენთ, რა ძნელია „დაუსაქმებელი მსახიობის ნელ ცეცხლზე წვა“. იცით თუ არა, თქვენ, რომ თვით რ. სტურუას ამოჩემებულ მსახიობებსაც წლების განმავლობაში საგასტროლო ფსიქოლოგია გამოუმუშავდათ, ხოლო ჩემოდნებზე მჯდომი თეატრი ეროვნულ ბრძოლას ვერა და ვერ წაადგება?

რატომ არ გამოექომაგებით ხოლმე თქვენს თანატოლ რეჟისორებს, რომელთა ნიჭიც რობერტ სტურუას ჩრდილში დაიგვალა და გახმა? აბა, დაფიქრდით, თუ გაიზარდა ამ ბოლო ოცი წლის განმავლობაში რუსთაველის თეატრში რომელიმე თვითმყობადი ახალგაზრდა რეჟისორი? არაფერს გეუბნებათ ის ფაქტი, რომ დებიუტანტების მიერ დადგმული სპექტაკლები რუსთაველის თეატრში ასე ჰგავს რობერტ სტურუას დადგმებს? არც იმისთვის მოგიკრავთ ყური, რომ თეატრის ხელმძღვანელს სჩვევია თავისი უმრწემესი

კოლეგის „ბოლო რეპეტიციებზე“ შესვლა და ყველაფრის გაკეთება იმისათვის, რათა სხვათა ჩანაფიქრში ენერგიულად ჩაურიოს ხელი და „საკუთრისგან“ გამოიგნული ახალგაზრდა რეჟისორი დაიმსგავსოს, რათა მისი ეპიგონების ამაღლაში მოყურებულად ჰყავდეს და მერე თეატრალურ პლენუმებზე იმის ილუზია შექმნას, რომ ახალგაზრდა, ნიჭიერი რეჟისორები არ არსებობენ?

თუ დაფიქრებულხართ იმაზე, რატომ ჰგავს ასე უღმერთოდ რობერტ სტურუას „ყვარყვარე“ (ვგონებთ, ქართველი დრამატურგის პოლიკარპე კაკაბაძისა უნდა იყოს ეს პიესა?!“ გულწრფელად კითხულობთ თქვენ და ეს არის ერთადერთი მართალი ადგილი მთელ თქვენს წერილში. დიახ, პოლიკარპე კაკაბაძისაა, ჩემო კარგებო, მაგრამ ვაი, რომ თვით ბატონ პოლიკარპეს სპექტაკლის მიხედვით გაუჭირდებოდა ამის დამტკიცება) ბერლინის ბრეტის თეატრში დადგმულ „არტურ უის კარიერას“?

რაო, დაბალი გემოვნების მაყურებლის მოსაზიდად, ან დასავლეთის სენტიმენტალური მაყურებლის სისხლის ასაჩქოროლებლად ხომ არ არის რობერტ სტურუას სპექტაკლებში „მარგალიტებად გაბნეული“ იმგვარი უნმანურ-სკაბრეზული სცენები განზე რომ გაიხედავ კაცი, მით უმეტეს, მაშინ, როცა ოჯახის მოზარდი წევრებით ხარ თეატრში?

თუ გიფიქრიათ თქვენ, ახალგაზრდა თეატრმცოდნეებს და რეჟისორებს, იმაზე, რომ ოცი წლის განმავლობაში იგნორირებულ-ჰყოფს რობერტ სტურუა ქართული მწერლობის ყველა მიღწევას და ფიციში ჩასაყოლებლად როცა დასჭირდება, თავისი საეჭვო დრამატურგიით და ქართველ ავტორთა თითო, რეჟისორის მიერ კომპრაჩიკოსის ნახელავივით დამახინჯებული, პიესითა კვებავს.

ღმერთმა დამიფაროს იმის ფიქრისაგან, თითქოს ბატონი რობერტი ამასაც შეგნებულად აკეთებდეს; არა გვყავს, ძმაო, მწერლები და რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდეთ?

იქნებ იმ პრობლემებს, რაც მშვენივრად დააყენა მაყურებლის წინაშე რობერტ სტურუამ თავის უკეთეს სპექტაკლებში, დაკვირვებულნი, პატრიოტი კაცი ქართველ მწერალთა ნაწარმოებებშიც იპოვიდა? გიფიქრიათ თქვენ „ახალგაზრდა თეატრმცოდნეებს და კრიტიკოსებს“ ამის თაობაზე? გიგა ლორთქიფანიძემ ნოდარ ღუმბაძე მოიყვანა თეატრში, ნუკრი ქანთარია რეზო ინანიშვილის მშვენიერი პროზა აამეტყველა თელავის თეატრის სცენაზე. რობერტ სტურუამ რომელ თანამედროვე ქართველ მწერალს გაუხსნა კარი? რაო, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს?

ესაა ჩვენი პრეტენზიები რობერტ სტურუას მიმართ და სწორედ ესაა გაცხადებული მინაწერში „რედაქციისაგან“.

სხვათა შორის, თქვენ რომ მრავალმნიშვნელოვნად სანდრო ახმეტელს ახსენებთ, სანდრო ახმეტელი უკეთურებმა დასაჯეს სწორედ ეროვნული სატკივარის წინ წამოწევისათვის, ჩვენ კი ჩვენს მეგობარს რობერტ სტურუას მოკრძალებულ შენიშვნებს ვაძლევთ ეროვნული სატკივარის იგნორირებისათვის. ხანდახან ტემპერამენტი უნდა დაიოკოთ ხოლმე, თქვენი „გადაფარება“ ამჯერად სრულიად უადგილოა, რობერტ სტურუას წამებულის გვირგვინს ნუ დაადგამთ. ამჯერად ჩვენი თაობის სახით თქვენ რობერტ სტურუას იმ „მტრებთან“ გაქვთ საქმე, ვინც ცოტა როდი იღვანა სწორედ სანდრო ახმეტელის დასაცავად, ვისი ცხოვრების პრინციპი ხელოვანის თავისუფლების მოთხოვნა იყო ყოველთვის (გაკვადნიერდები და დაგისახელებთ ჩემს ნოველას „გიყვარდეთ მტერნი თქვენნი“, რისთვისაც მისი ავტორი კინალამ ჯვარს აცვეს).

ასე რომ, თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ, რობერტ სტურუას თავის სამართლიან ბრძოლაში ამ სტრიქონების ავტორი ყოველთვის მხარში ედგა და ასე იქნება მომავალშიც.

რაც შეეხება ჩვენს მკვახე შეძახილს რობერტ სტურუას თეატრიდან წასვლის შესახებ, იქნებ მიმხვდარიყავით, რომ ჩვენ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის სკამიდან გადადგომას ვგულისხმობთ და არა ნიჭიერი რეჟისორის თეატრიდან წასვლას საერთოდ. თუ კიდევ გამოიჩინთ კეთილგონიერებას და ყურს ხუთიოდე წუთით მათხოვებთ, უფრო კონკრეტულად მოგახსენებთ.

ოცი წელია რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრის შეუცვლელი სამხატვრო ხელმძღვანელია. დემოკრატიული ხელმძღვანელობის ილუზიის შესაქმნელად რუსთაველის თეატრს მთავარი რეჟისორიც ჰყავს – გიზო ჟორდანიას. რას აკეთებს თეატრში მთავარი რეჟისორი? ფაქტობრვად არაფერს. იგი განზე გასწია სამხატვრო ხელმძღვანელმა და სტუდენტური თეატრი „მცირე სცენა“ ჩააბარა.

გკითხულობ მე, მაყურებელი რევაზ მიშველაძე, რუსთაველის თეატრი ოცი წლის განმავლობაში არენდით ხომ არ აქვს ალებული რობერტ სტურუას? ნუთუ აღარ დადგა დრო თეატრი ერთი რეჟისორის მკაცრად გარკვეულ ხელნერას და გემოვნებას აღარ დაემორჩილოს? ნუთუ არაა ღირსი ქართველი მაყურებელი და რუსთაველის თეატრიც, ხანდახან სხვა თეატრიდან მოწვეულმა რეჟისორმაც დადგას სპექტაკლი ამ დიდებული თეატრის სცენაზე? იქნებ გავაუქმით სამხატვრო ხელმძღვანელის ინსტიტუტი და სამხატვრო საბჭომ განაგოს თეატრი, ან ხუთიოდე კაცისგან შემდგარმა კოლექტივმა როგორც ეს მარჯანიშვილის თეატრშია?

შეილახა რობერტ სტურუას თავმოყვარეობა?

არამც და არამც. რობერტი ხომ უპირველესად რეჟისორია და თავისი სპექტაკლით ელაპარაკება მაყურებელს. აი, ამ წასვლაზეა ლაპარაკი და რობერტ სტურუას ნიჭისა და დამსახურების სრულ იგნორირებაზე არც გვიფიქრია.

ჩვენ მხოლოდ ჩვენი მოსაზრება გამოვთქვით „კრიტიკის“ ფურცლებზე და მადლობა უნდა გითხრათ, ჩემს ახალგაზრდა კოლეგებს, რომ გაზეთში ჩვენი ციტატები შავი პეტიტით აწყობილი ერთხელ კიდევ წააკითხეთ მკითხველს.

თქვენ მიერ მოტანილი ის ციტატები ერთხელ კიდევ რომ ჩავიკითხე, ვერ დავმალავ და ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ „კრიტიკამ“ თავისი სამშობლოსკენ მოხმობით შემოქმედებითი ჯან-ლონით სავსე რობერტ სტურუას ცუდი სამსახური როდი გაუწია.

...ლევან სანიკიძეზე უფრო ფართო მოცულობით წერილს ვამზადებთო, იმუქრებით თქვენ, „ახალგაზრდა თეატრმცოდნეები და კრიტიკოსები“. არ გირჩევთ, არ გირჩევთ. თქვენი მასწავლებლის არამკითხე დაცვით, ე მანდ, ლევან სანიკიძეს რობერტ სტურუას ინტერვიუებიდან და სპექტაკლებიდან ახალი „მარგალიტები“ არ ამოაკრეფინოთ.

და საერთოდ, სანამ კოლექტიური მედიატორის მძიმე ტვირთს აიკიდებდით, ხომ არ სჯობდა, დაფიქრებულიყავით, ვის იცავთ ვისგან და რატომ?

გულწრფელი პატივისცემით  
რევაზ მიშველაძე.

1989

## ლია წერილი ვალენტინ რასკუტინს

ვალენტინ გრიგორის ძეგ, –

მწერალთა ბოლო ყრილობაზე თქვენ ასტაფიევის სამარცხვინო პასკვილს გამოექომაგეთ და ქართველი ერი ავადმყოფ ერად მოიხსენიეთ. მაშინ „ავადმყოფი ერის წარმომადგენლებმა“ ჩვენი „გალატაკებული მორალის“ სკივრში დიდსულოვნება მოვიძიეთ და არ გიპასუხეთ. მივიჩნიეთ, რომ თქვენი აზრი სამკურნალო ერის შესახებ სიტყვის გაქცევის შედეგი იყო და თქვენივე ბუნებიდან არ გამომდინარეობდა.

სამერმისოდაც გვეყო მოთმინება და ქართველ მწერლებს თქვენი ეროვნული თავმოყვარეობის შეურაცხმყოფელი მხატვრული ქმნილება არც იმის შემდეგ შეგვიქმნია, რაც „ჭიჭყინებზე ნადირობამ“ ლამის

სათავე დაუდო უღვაშიან კავკასიელთა შესახებ განმაქიქებელი თხზულებებისა და ფილმების სერიას. ძალიან რომ მოგვენდომებინა, იქნებ, ჩვენც „უკვდავგვეყო“ ზღვის სანაპიროზე მოგასტროლე ოქროსფერთომოსანი მეძავი, ან არბატზე რწევით მიმავალი ლოთი, მაგრამ ასეთი რამ არ ვიკადრეთ, რაკილა ზემოთ ხსენებულ ორ ნაცნობ პერსონაჟს რუსი ერისთვის არცთუ მთლად ტიპურ მოვლენად ვთვლით.

მწერალთა ყრილობაზე თქვენი გამოსვლის შემდეგ კარგა ხანი გავიდა. „ავადმყოფმა ერმა“ რუსული (და არა მარტო რუსული) ლიტერატურისადმი ყურადღება და ინტერესი არაერთხელ გამოამჟღავნა და პირადად თქვენი („ერის მორჩენის კეთილმოსურნე მწერლის“) ნაწერებიც არაერთხელ ააჟღერა ქართულ ენაზე. ამით გაგრძობინათ, რომ ქართველთა ეროვნულ თვისებებს რუსთაველის სიბრძნე აგვირისტებდა და ჭირვეული ანგარიშიანობა უცხო იყო მისი ბუნებისთვის.

როგორც ჩანს, ამ ბოლო დროს აზრი ქართველი ერის მკურნალობის საჭიროების შესახებ უფრო და უფრო განვიმტკიცდებით. ალბათ, გულწრფელად არ მოგეწონათ, რომ უკანასკნელ ხანს ჯიუტმა ქართველებმა არაერთხელ შეარყიეს „დიადი ქვეყნის“ იმპერიული მყუდროება და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის დროშა ააფრიალეს.

თქვენ, „ცნობილმა ქართველთმცოდნემ“ სახალხო დეპუტატთა ამ ყრილობაზეც გადაწყვიტეთ განკურნების კიდევ ერთი გაკვეთილი ჩაგეტარებინათ და მსოფლიო გლობალური პრობლემებით დაინტერესებული მწერალი სამჯერ შეეხეთ ქართულ თემას.

„ბოროტებას საზღვრები არა აქვსო“, ბრძანებთ და ამ ბოროტების თვალსაჩინო გამოვლენად ის მიგაჩნიათ, რომ სილამაზის კონკურსზე საბანაოკოსტუმინამა ლამაზმანებმა ცხრა აპრილის ტრაგედიის მსხვერპლთ ნუთიერი დუმილით სცეს პატივი.

„ნუთუ ასეთი ცირკი თქვენს ნაციონალურ გრძნობებს არ შეურაცხყოფსო“, ეკითხებით ქართულ დეპუტაციას. იმ დეპუტაციას, რომელიც ისედაც გაოგნებული იყო ცხრა აპრილის აქციის მიმართ დარბაზის გაორებული განწყობილებით, საყოველთაოდ ცხადი ჭეშმარიტებისთვის გაურკვეველი დროით ხელის დაფარებით და დამსჯელი ექსპედიციის ხელმძღვანელისთვის გამართული ოვაციით.

როგორ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ იმ ოვაციაში თქვენი, არცთუ უნიჭო მწერლის, ხელების ტყაპა-ტყუპიც ერია.

რა ბოროტებას, ან „ცირკს“ ხედავთ იმაში, რომ ლამაზი გოგონები გაზაფხულის მკვლელობის გახსენებამ წამით გაარინდა?

მეორეგან კერენსკის, მილიუკოვის და გუჩკოვის გვერდით ჩხეიძეც ახსენეთ და ირონიულად დაუმატეთ: „იმედი მაქვს საქართველოს დელ-

ეგაცია ქართული გვარის ხსენებას თავის თავზე არ მიიღებსო“.

იხუმრეთ, თამამად იხუმრეთ, ვალენტინ გრიგორის ძევ, თქვენივე ხუმრობისა ნუ შეგვემინდებიათ. რატომ გეჩვენებთ, რომ იუმორის გრძნობას მოკლებული, სულსწრაფი ქართველები გისხედან წინ და ყოველ თქვენს უკბილო ირონიაზე საკუთარი ყელის გამოლადვრით რეაგირებენ. მესამე ბრალდება ყველაზე საშიშია და სიტყვა-სიტყვით შეგახსენებთ: „რუსოფობია გავრცელდა ბალტიისპირეთში, საქართველოში, სხვა რესპუბლიკებშიც შეაღწია. მეტნაკლებად ყველგან იგრძნობა. ანტისაბჭოთა ლოზუნგები ანტირუსულს ერწყმის. ლიტვისა და ესტონეთის ემისარნი ამ ლოზუნგებით საქართველოში ჩადიან, ერთიანი ფრონტის შესაქმნელად. საქართველოდან ადგილობრივი აგიტატორები სომხეთს და აზერბაიჯანს მიეშურებიან. ეს უკვე აღარ არის ბიუროკრატიულ მექანიზმთან ბრძოლა. ეს სხვა რამეა...“

არას ვიტყვი იმის შესახებ, რომ ამ ციტატის ზემოთ, თქვენ, რუსი მწერალი, აღფრთოვანებით აცოცხლებთ სტოლიპინის ლოზუნგს მძლავრი რუსული იმპერიის საჭიროების შესახებ, უბრალოდ მინდა გკითხოთ; ეროვნული ბრძოლის გეოგრაფია ასე კარგად რომ შეგისწავლიათ, ნუთუ სინდისს არ გიმძიმებთ პატარა ერების დამსმენის მანტია?

საიდან მოიტანეთ რუსოფობიის ყბადაღებული ბრალდება? ყველა მცირერიცხოვანმა ერმა თავისი საქმე თვითონ იცის, მაგრამ, ჩვენ, ქართველები, დიახაც წინააღმდეგი ვართ იმ რუსეთისა, რომელიც მშვიდობიან მომიტინგეებს ხელბარითა და შხამით გაგვიმასპინძლდება და გალახულთ წამალსაც არ გაგვიმხელს, იმ რუსეთისა, ეროვნულ სკოლებს რომ დაგვიხურავს, იმ რუსეთისა, მცირე ერთა შორის შუღლს რომ გააღვივებს, იმ რუსეთისა, ერთა გათქვეფის მიზანს რომ დაისახავს და ეროვნულ თვითმყობადობას „საბჭოთა ხალხის“ ერთა სახისწამშლელი სახელით მონათლავს, იმ რუსეთისა, დემაგოგი ჟურნალისტის პირით რომ გლანძღავს და საპასუხოდ სიტყვას არ გათქმევინებს.

ჩვენ ჰუმანური, ერთმოყვარე, მშვიდობიანი, დამოუკიდებელი რუსეთის წინააღმდეგი როდი ვართ. როგორ გვინდოდა, პირადად თქვენც ამგვარი რუსეთის წარმომადგენელი ყოფილიყავით.

„იქნებ ჩვენ, რუსები გავსულიყავით საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდანო“, პათეტიურად აცხადებთ თქვენ და ამაყად ელოდებით „აგრესიულად მორჩილთა“ ტაშის დამთავრებას.

ისე ლაპარაკობთ, მამაცხონებულო, თითქოს თბილისში გვიგზავნიდეთ დასამტკიცებლად მოსკოვში დაცულ დისერტაციებს, თითქოს თბილისში მტკიცდებოდეს მოსკოვის ან ლენინგრადის კინოსტუდიათა სცენარები, თითქოს თბილისში, ან ტალინში

გამორბოდნენ თქვენი ჩინოვნიკები გასაუბრება-დამტკიცებისთვის, თითქოს რიგასთან ათანხმებდეთ დიადი ეკოლოგიური „რევოლუციების“ გრანდიოზულ გეგმებს.

თუ ასეა, ბოდიშს გიხდით მცირერიცხოვანი ერის წარმომადგენლები იმ მრავალათეულწლოვანი ჩაგვრისთვის, რაც ჩვენდაუნებურად თქვენი (თქვენი, ვალენტინ გრიგორის ძევ...) რუსეთისთვის მიგვიყენებია.

ვამთავრებ ამ წერილს და დამერწმუნეთ, ჩემივე ბუნებიდან გამომდინარე, პირზე როდი მადგას გინების ის „ვალშებნოე, რუსკოე სლოვო“ თქვენს თავხედ გენერალს რომ მოადგა.

თქვენი სიტყვის დასასრულს მშვენიერი აზრი გამოთქვით: სახალხო რეფერენდუმები დავნერგოთ პრაქტიკაში და პირველი რეფერენდუმი ატომურ ელსადგურთა არსებობა-არარსებობაზე ჩავატაროთ.

ჩავატაროთ ვალენტინ გრიგორის ძევ. სხვა რეფერენდუმებიც ჩავატაროთ.

ამ სტრიქონების ავტორი კი მოთმინებით დაელოდება იმ რეფერენდუმს, რომელზეც ერმა თვით უნდა გაარკვიოს, რა ნავსაყუდელთან მიაცუროს თავისი ეულაფროსანი ეროვნული ხომალდი.

იმ რეფერენდუმს თუ მოვესწარით ორივენი, მერე შევხვდეთ ერთმანეთს და მეგობრულად ვისაუბროთ.

1989 წ.

## **მეთოდური მითითებანი უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის ახლებური სწავლების შესახებ**

უკანასკნელ წლებში საქართველოში ფართოდ გაშლილმა ეროვნულმა მოძრაობამ, ქართველი ერის საბოლოოდ გამოღვიძებამ, სამოცდაათი წლის განმავლობაში ბევრ ადგილას დახვასებულ-დაკორძებული საზოგადოებრივი ძარღვი შედეგებული სისხლისგან განმინდა და ახალი მჩქეფარება მისცა.

განახლების პროცესი ფილოლოგიური მეცნიერების მრავალ დარგს შეეხო და, განსაკუთრებით კი, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიას.

კათედრის წინაშე ახლებურად წარმოჩინდა ამ საგნის სწავლების საკითხი. ამიტომაც ჩვენი ვალა, დროულად ავუწყოთ ნაბიჯი ვი-

თარებას და ერის (და აქედან გამომდინარე სტუდენტობის) განწყობილებას შევუფარდოთ ჩვენი ლექცია-სემინარები.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ისტორია გაცდეს პარტისტორიას და საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიის შემქმნელთა მიერ დაკანონებულ სტერეოტიპებს და იგი მხატვრული აზროვნების ჭეშმარიტ ისტორიად იქცეს.

წლების განმავლობაში ჩვენ არასწორად ვაფასებდით მეცხრამეტე საუკუნის დასასრულის და მეოცე საუკუნის დასაწყისის პოლიტიკურ-ეკონომიურ და ლიტერატურულ-ფილოსოფიურ ატმოსფეროს. მარქსიზმის გაფეტიშებისა და კლასთა ბრძოლის მაგალითების მაქსიმალისტური გაანალიზების შემთხვევებმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის როლის შეუფასებლობამდე მიგვიყვანა. სათანადოდ არ ვაფასებდით ამ პერიოდის მწერლობაში ილია ჭავჭავაძის და მისთა თანამებრძოლთა ღვაწლს. საჭიროა ასევე გავაცოცხლოთ იმგვარი ეროვნული მოღვაწეების სახელები როგორცაა არჩილ ჯორჯაძე.

თვითმიზნური და საეჭვო ლიტერატურულ მაგალითებზეა დაფუძნებული ჩვენი სახელმძღვანელოების ის პარაგრაფი, რომელიც ქართველ მწერალთა 1917 წლის რევოლუციებთან დამოკიდებულებას ეხება. საჭიროა, უფრო რეალურად ჩავიხედოთ რევოლუციების პერიოდის ლიტერატურულ ცხოვრებაში.

აუცილებელია, სტუდენტებს სწორი, ობიექტური წარმოდგენა შევუქმნათ ე. წ. მენშევიკების პერიოდის საქართველოზე; უფრო ზუსტად 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნაზე, რუსეთთან 1920 წლის 7 მაისს დადებულ ხელშეკრულებაზე და 1921 წლის 25 თებერვალს წითელი რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის სავალალო ფაქტზე. ამავე დროს ფართოდ უნდა შევასწავლო სტუდენტებს მენშევიკური პერიოდის ქართული მწერლობა და ქართული ემიგრანტული ლიტერატურაც. სამწუხაროდ, ჩვენ წლების განმავლობაში გაუმართლებლად ვდუმდით ვ. ნოზაძის, შ. ამირეჯიბის, გ. გამყრელიძის, პაპავების და სხვათა შემოქმედებაზე.

დაუყოვნებლივ უნდა დავუბრუნოთ მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიას გრიგოლ რობაქიძის სახელი.

ტენდენციურად ვაფასებდით ოციანი წლების ლიტერატურულ დაჯგუფებებს. ზოგი ჩვენგანი სრულიად გაუმართლებლად პრიორიტეტს ანიჭებდა ე. წ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას თავისი უღიმღამო ლიტერატურული პროდუქციით, სხვა ევროპულ და მოდურ, ჭეშმარიტ ინტელექტუალურ ლიტერატურულ სკოლებთან (სიმბოლიზმი, ექსპრესიონიზმი...) შედარებით, საჭიროა, გადაჭრით

აღმოვფხვრათ სოციალისტური რეალიზმის არტახებით ლიტერატურულ დაჯგუფებათა ტენდენციური შეფასების მავნე პრაქტიკა.

დადგა დრო, უფრო გაბედულად გავაკრიტიკოთ სოციალისტური რეალიზმი იმ მეთოდურ-ფილოსოფიურ დოგმებისათვის, რითაც მან ნლების განმავლობაში ფრთები შეაკვეცა, წინასწარგაჭრილ კალაპოტში მოაქცია არაერთი ნიჭიერი მწერლის შემოქმედება. სტუდენტებს ფართოდ უნდა მივანოდოთ სოციალისტური რეალიზმის დასავლეთელ რევიზიონისტთა შეხედულებანი.

ათეული ნლების განმავლობაში პარტია იჩემებდა რა მწერლობის იდეური წარმმართველის და აღმზრდელის როლს, დათვურ სამსახურს უწევდა ჯანსაღ ლიტერატურულ აზროვნებას, ადმინისტრაციულ-ჩინოვნიკური მეთოდებით არამკითხე გუშაგად ედგა ლიტერატურულ ცხოვრებას. საჭიროა, ჩვენს ლექცია-სემინარებზე სწორი შეფასება მივცეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს ლიტერატურის საკითხებზე. აღვნიშნოთ მათი (1924 წლის, 1932 წლის, 1945 წლის...) ანტიჰუმანური, ადმინისტრაციული ხასიათი.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა უარვყოთ XX საუკუნის ქართველი მწერლის შემოქმედებაში ორი პერიოდის არსებობა. თამამად ვილაპარაკოთ გ. ტაბიძის, კ. გამსახურდიას, გ. ლეონიძის, მ. ჯავახიშვილის და სხვათა იმ ნაწარმოებებზე სოციალისტური ეპოქის გარდაქმნებს რადიკალურად რომ ეწინააღმდეგება.

საჭიროა, ვრცლად შევეხოთ 60-იან წლებში ქართული მწერლობის განახლების პროცესს.

ვილაპარაკოთ იმ კრიტიციზმსა და პოლემიკურ პათოსზე, რაც მწერლობაში „ახალ სამოციანელთა“ თაობამ მოიტანა.

მიმდინარე ლიტერატურული პროცესის შეფასებისას ხაზი გავუსვავთ მის რთულ, წინააღმდეგობრივ ხასიათს.

საჭიროა, სტუდენტებს ფართოდ გავაცნოთ ქართველ მწერალთა დამოკიდებულება საქართველოს თანამედროვე ეროვნული მოძრაობისადმი.

გავანალიზოთ ის ნაწარმოებები, სადაც ცხადად გამოიკვეთა ქართველი მწერლის პოზიცია 1988 წლის 24-29 ნოემბრისა და 1989 წლის 9 აპრილის, 23 ივნისისა და 15 ივლისის ცნობილი მოვლენებისადმი.

საჭიროა შევეხოთ ე. წ. არაფორმალთა პრესის ლიტერატურულ პროდუქციასაც.

უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის სწავლება მიმდინარე მომენტის ღრმა ანალიზსა და ობიექტურობის შეუვალ კანონს უნდა დაემორჩილოს.

1988 წ.

## ლია წერილი ფაზილ ისკანდერს

თქვენმა ახალმა სტატიამ („წერილი მეგობრებს“, „პრადა“, 1990, 2, 3, დეკემბერი) სევდიან გუნებაზე დამაყენა. სიმართლე გითხრათ, ადრე საქართველოსადმი „მოძღვნილი“ თქვენი რამდენიმე ღვარძლიანი მოთხრობა რომ წავიკითხე, შეპასუხების სურვილი არ გამჩენია. გავიფიქრე, რა ვუყოთ ცდება, მაგრამ თავისი ხალხის სიყვარული აბრმავებს და ამ ურაპატრიოტული შეცდომების განქიქება არ ღირს, „...მიუშვი ნებათა თვით შეეყრება სნებასა“-მეთქი.

ახლა კი „წერილი მეგობრებს“ რომ ჩავათავე, აშკარად ვიგრძენი მანქურთის უბედური ყოფაც და იმპერიას სულმიყიდული კაცის ორცეცხლშუა ჩალიჩიც. მე ქართველი მწერალი რევან მიშველაძე, წერილს გწერთ, თქვენ, ფაზილ ისკანდერს, მე შემოძლია თამამად დავინყო ამ სიტყვებით წერილი, თქვენ კი აფხაზთა ქომაგი, თქვენს თავს აფხაზ მწერალს ვერ უწოდებთ, რადგანაც რუსი მწერალი ბრძანდებით, აფხაზურად (ადილეურ ენაზე) ერთი სიტყვაც არ დაგინერიათ.

ამ ბოლო დროსო, ასე იწყებთ, მკითხველები ხშირად მწერენო, „ჩვენი უძველესი რუსული ტრადიციისამებრ“ მკითხველს იმედი აქვს, რომ მიიღებს პასუხს შეკითხვებზე რაც აწუხებსო. იმ კითხვებს შორის, რომელიც თურმე თქვენს მკითხველებს აწუხებს, არის „რა ხდება ჩემს აფხაზეთში?“ „ჩვენი რუსული უძველესი ტრადიციისამებრ“, როცა წერთ, ბუნებრივია, რუსად ჩანხართ (სხვა შემთხვევაში უძველეს ტრადიციებს თქვენად არ მიიჩნევიდით), მაგრამ უეცრად გაგახსენდათ, რომ იმპერიის შეკვეთით დაწერილ ამ წერილში თქვენს მშობლიურ კუთხეზეც უნდა თქვათ ორიოდ სიტყვა და მორცხვად დააბრალებთ მკითხველს არარსებულ ინტერესს იმაზე, თუ „რა ხდება თქვენს აფხაზეთში“. „ჩემს აფხაზეთს“ ჭკვიანურ კონტექსტში აქცევთ, პატრონი – რუსი ვერ შეგედავებათ. წერილის დასასრულს, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, გაიფიქრებთ და კიდევ ერთხელ დაამტკიცებთ რუსობას: „ამერიკაში ჩვენს ემიგრანტებს შორის ვცხოვრობდი. ეს არის ჩვენი ჩვეულებრივი ინტელიგენცია“. მაგრამ საქმეში ჩაუხედავ მკითხველს „ჩვენი“, ხომ შეიძლება, აფხაზი ინტელიგენცია ეგონოს? ამ ეჭვის გასაფანტავად, ქვეყნის გასაგონად, იქვე დასძინთ: „მითხრეს, ამერიკის კონგრესმა მაძლიოთა გადაუხადაო რუს ემიგრანტებს ამერიკულ მეცნიერებაში შეტანილი წვლილისათვის“.

აი, ასე ნემსის ყუნწში ძვრებით, რუსობასა და აფხაზობას შორის, მი და მო აწყდებით, რათა არც მწვადი დაწვით და არც შამფური. დამქირავებლებსაც ასიამოვნოთ და „თქვენს აფხაზეთსაც“

მოუფონოთ. ერთგან ამ ლავირება-ქამელეონობით დაღლილი, რჯულდაკარგული კაცი, ვერ მალავთ გულისთქმას და ამბობთ იმას, რაც მხოლოდ უეროვნო კაცის შემადრწუნებელი ფილოსოფიაა და სხვა არაფერი: „ჩვენი სახელმწიფო მოქალაქეთა ეროვნებებით რომ მანიპულირებს (ყალთაბანდობს, რ. მ.) იქიდანაც ჩანს, რომ საბჭოთა პასპორტში ეროვნებაა მითითებული. თითქოსდა ადამიანს თვითონ არ ახსოვდეს თავისი წარმომავლობა“.

საით უკაკუნებთ, ბატონო ფაზილ? რაო, ზედმეტია პასპორტში ეროვნების მითითება? ეს ხომ „ეროვნებათა შერწყმის“ კოსმოპოლიტიური თეორიის უტიფარი გამეორებაა თქვენ მიერ, მწერლის მიერ. ნუთუ სერიოზულად ფიქრობთ, ეროვნება კაცს პასპორტში იმიტომ უწერია, რომ დაავინყდეს? განა თქვენთვის ასე გაუგებარია, რომ მწერლის უპირველესი მოვალეობა თავისი ერის ჭირისუფლობა და ეროვნული თვითმყოფადობისთვის ბრძოლაა? მესმის თქვენი, რუსის სამსახურში შესული, რუსი მწერალი რუსული ოსპის წვეს უზიხართ და ხანდახან უსიამოვნოდ გაგაჟრჟოლებთ იმის შეგნება, რომ გვარტომით რუსი არ ბრძანდებით (არც აფხაზი ხართ, მაგრამ თქვენი თურქული წარმოშობით აფსუობა არ გეუცხოვებათ). ხომ აჯობებდა, დამთავრდეს ჩემი ღამურობის, უხერხული დღეები და ერთ მშვენიერ დღეს საბჭოთა პასპორტში გაქრეს ეროვნების მაჩვენებელი გრაფაო, ოცნებობთ.

ყოველივე ამის შემდეგ ხომ უნდა შემცოდებოდით, ბატონო ფაზილ, და გულწრფელად გითხრათ, შემეცოდეთ. როცა ჩემთვის ამკარა გახდა თქვენი „წერილის“ მიზანი და შექმნის ტექნოლოგია, დაესძინე, არ შეიძლება ამ მდგომარეობაში მყოფი კაცი გულწრფელი იყოს-მეთქი, მაგრამ „წერილში“ შეკრებილმა უმეცრებისა და თავალერილი ცილისწამების გვირგვინმა ისე გამაღიზიანა, რომ ბოლომდე უნდა ჩავყვე თქვენს ინსინუაციურ თხზულებას.

„ვილაც ისტორიკოსი“ წერთ, პავლე ინგოროყვას, უთქვამს აფხაზეთში აფხაზები სამასი წლის წინათ გამოჩნდნენო. ქვემოთ პავლე ინგოროყვას ამ მოსაზრებას „ფანტაზიის ნაყოფს“ და „სისულელეს“ უწოდებთ. გაპატიებდით „ვილაც ისტორიკოსის“ კი არა, ბრწყინვალე ქართველი ენციკლოპედისტის პავლე ინგოროყვასთვის თქვენი უბოდიშო დამოკიდებულების ფორმასაც ჭკუასთან ოდნავ ახლოს მყოფი ერთი არგუმენტიც რომ მოგეტანათ მისი „ფანტაზიის“ ნაყოფის“ გასაბათილებლად.

როგორია თქვენი მეცნიერული რკინის ლოგიკა იმის დასამტკიცებლად, რომ აფხაზები (აფსუას ტომი, რ. მ.) სამასი წლის წინათ არ მოსულან საქართველოს შავიზღვისპირეთში?

„ოდესლაც იყო აფხაზეთის სამეფო. მერე, თამარ მეფის დროს, იგი საქართველოს ფარგლებში მოექცა. თამარ მეფემ თავის შვილს გიორგი მეოთხეს „ლაშა უწოდა, რაც აფხაზურად ბრწყინვალეს ნიშნავს. ჩვენამდე მოღწეული ლეგენდების მიხედვით თამარს აფხაზეთში დასვენება უყვარდა და შეიძლება ჩვენი წყლებით უშვილობასაც კი მკურნალობდა. თუ აფხაზები თამარის გარდაცვალებიდან ხუთასი წლის შემდეგ გამოჩნდებიან საქართველოში, როგორ მიხვდა თამარი, რომ ასე უნდა მომხდარიყო? ან საიდან გაიგო თამარმა, რომ ლაშა აფხაზურად „ბრწყინვალეს“ ნიშნავს?

რა თქმა უნდა, საქმე უფრო მარტივადაა: თამარ მეფე აფხაზეთში ყოფნისას აფხაზური ენის გარემოცვაში აღმოჩნდა, ანუ იმ ენის წიაღში, რომელზეც ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ. ამკარაა, რალაც მიზეზის გამო, ეს ენა თამარს მოსწონდა და აკი შვილსაც ამიტომ უწოდა აფხაზური სახელი“.

ესაა სულ თქვენი ცოდნა, ბატონო ფაზილ? „რალაც მიზეზის გამო“-ს უტიფრული ქვეტექსტი თქვენს სინდისზე იყოს, თამარის წმინდა სახელს ჩემი დაცვა არ სჭირდება, მაგრამ ნუთუ სირცხვილის გრძნობა არ გიპყრობთ თამარის უშვილობაზე თქვენამდე მოღწეულ აფხაზურ ლეგენდებს რომ ეყრდნობით და მეთორმეტე საუკუნეში საქართველოში აფსუათა ცხოვრების უმთავრეს არგუმენტად ის მიგაჩნიათ, რომ თურმე მეფემ თავისი მომრჩენი აფხაზეთის ხათრით თავის შვილს აფხაზური სახელი – ლაშა უწოდა? მერე და ვინ გითხრათ, სად ამოიკითხეთ რომ „ლაშა“ მაინცდამაინც აფხაზური (ადილეური) სიტყვაა? ჩახედეთ ლექსიკონებს და იოლად დარწმუნდებით რომ ლაშას ადილეურთან (იმ ენასთან ახლა თქვენ რომ წერთ და ლაპარაკობთ) საერთო არაფერი აქვს და ჩვეულებრივი არაბული სიტყვა გახლავთ.

გარდა ამისა „ლაშა“ გვხვდება თურქულ და სპარსულ ლექსიკონებშიც. დამერწმუნეთ, „ლაშას“ მსოფლიოს დაახლოებით ოცდახუთ ენაზე მაინც ექნება სხვადასხვა მნიშვნელობა. ჯერ ერთი აფსუას ენაზე „ლაშა“ კი არ ნიშნავს ბრწყინვალეს, არამედ „ალაშა“. გარდა ამისა ჩვენ ლაშარის ჯვარიც გვაქვს და იქნებ ესეც ადილეური წარმოშობისაა და თქვენებური აფხაზურია? იქნებ „ლაშქარიც“ (თამარ მეფემდეც რომ არსებობდა) აფსუს სიყვარულით დაერქვა მხედრონს? ან „ლაშიჭალა“ სოფელს და „ლაშურა“ მდინარეს?

„ლაშა“ იმერულ დიალექტზე ტუჩას, დიდტუჩიანს ნიშნავს. დავიჯერო, თამარ მეფისთვის ადილეური უფრო ახლო იყო, ვიდრე იმერული დიალექტიკა? გარდა ამისა ლაშა ერთ-ერთ ბალახს ჰქვია

ქართულად (იხ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი), იქნებ ესეც აფსუების ხათროთ?

თქვენ, ბატონო, ფაზილ, რუსულ სკოლაინტერნატებში ხანგრძლივი განსწავლის და რუსული ლიტერატურის მრავალწლიანი უანგარო სამსახურის გამო დრო არ დაგრჩებოდათ თქვენი სამშობლოს – აფხაზეთის ისტორიაში გარკვეულიყავით თუ არ მიწყენო, ჩაგახედებთ:

ძველი წელთაღრიცხვის მეექვსე მეხუთე საუკუნეების ისტორიკოსი ჰეკატე მილეთელი შავი ზღვის პირას (სადაც ახლა თქვენ, აფსუები ცხოვრობთ, რაც შეეხება წერას იგი ახლახანს ორმოცდაათი წლის წინათ ისწავლეთ რ. მ.) კოლხებს და კოლხეთის მთებს იხსენებს! შემდგომში პლინიუსი, არიანე და სტრაბონიც ეხებიან ამ ადგილებს, ჩამოთვლიან კიდევ იქ მცხოვრებ ტომებს, მაგრამ არსად სიტყვა აფხაზის ამ აფსუას ჭაჭანება არ არის. სამაგიეროდ ყველგან იხსენებიან ეგრისელები (მეგრელები), ლაზები, ჭანები, სანიგები (სვანები) და მისიმიელები. ქართულ სამეფოს რომელიც დასავლეთ საქართველოს მოიცავდა; კოლხიდა, ეგრის, ლაზიკა ხოლო მერვე საუკუნიდან აფხაზეთი ერქვა.

ნაადრევია სიამაყით სახის განათება, ბატონო ფაზილ. ქართულ სამეფოს (დედაქალაქი ქუთაისი) მისი ერთი ეთნოგრაფიული ქართული კუთხის სახელი აფხაზეთი ერქვა და, არავითარი საერთო არ ჰქონდა აფსუას ტომთან. ანუ იმ ერთან, რომლის ენაზეც თქვენ ახლა ლაპარაკობთ.

თუ ერთი წუთით დაფუძვებით, რომ აფხაზეთის პირველი მეფე ლევან ერისთავი აფსუა გახლდათ, მაშინ უნდა დაფუძვათ, რომ მისი მემკვიდრენი დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე და სხვანიც ადიღეველნი იყვნენ, „გალობანი სინანულისანი“ დავით აღმაშენებელმა ადიღეურ ენაზე (თანამედროვე აფხაზური) დაწერა და მერე თარგმნა ქართულად. არაქართულ ენაზე მიმართავდა თამარი მხედრონს, ქუთაისი ადიღეურ ენაზე მეტყველებდა, ხოლო მარტვილის, ბედიის, ლიხნის, ბიჭვინთის, მოქვის, გელათის, ბაგრატის და სხვა მონასტრები „აფხაზეთში“ აფხაზთა მეფეებმა ააგებინეს და აიხირეს: მოდი, ქართული წარწერებით დავამშვენოთ, რომ შთამომავლებს გზა-კვალი ავურიოთო, ასეთივე მეცნიერული სოფიზმით შეიძლება იმისი დამტკიცებაც რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი აფსუა იყო და „ვეფხისტყაოსანი“ თავიდან აფსუას ენაზე შეიქმნა. აკი სცადეთ კიდევ ეფრემ მცირეს აფხაზად გამოცხადება, ხოლო ეფრემ მცირედან შოთა რუსთაველამდე ერთი ნაბიჯია.

ხედავთ, როგორაა საქმე ბატონო ფაზილ? სინამდვილეში აფხა-

ზეთი იყო საქართველოს კუთხის სახელი და არსად არასოდეს არ არსებულა არც აფხაზური ენა და არც აფხაზური კულტურა.

თქვენს ენაზე (ადიღეურ ენაზე) თამარ მეფე ერთ სიტყვასაც ვერ გაიგონებდა, რადგანაც არც ერთი აფსუა – ადიღეველი არ იყო ჩამოსული ჩრდილოკავკასიის კლდეებიდან და არ ცხოვრობდა საქართველოში.

აფხაზთა სამეფოს ცალკე საქართველოსაგან მოწყვეტილად, ბატონო ფაზილ, ერთი კვირაც არ უარსებია.

გარდა თამარ მეფის მკურნალობის „თქვენამდე მოღწეული“ ცრულეგენდებისა სხვა რაიმე ამტკიცებს იმას, რომ თქვენ წარსულში თუნდაც ელემენტარული კულტურა გქონდათ, ან შავი ზღვის პირას, დღეს თქვენ მიერ მიტაცებულ ტერიტორიაზე ცხოვრობდით? ან თუნდაც ერთი მატერიალურ კულტურის ძეგლი, ან ენობრივი ფენომენი, ან უძველესი ტოპონიმიკა (თქვენეულ ფალსიფიკაციას რომ თავი დავანებოთ) ამტკიცებს თქვენს მკვიდრ ერობას შავიზღვისპირეთში?

წყეულმა ბოლშევიკებმა შეცდომაში შეიყვანეს გულუბრყვილო ადიღეველნი, როცა საქართველოს დასაქუცმაცებლად მათ აფხაზეთის ავტონომია გამოუგონეს და პასპორტებში არსებული ეროვნება – აფხაზი ჩაუნერეს.

სიმართლე თუ გინდათ ეს არის, ბატონო ფაზილ, მაგრამ თქვენ სიმართლე არ გინდათ, თქვენ რომ ჭეშმარიტება ირწმუნოთ, მაშინ სხვისი მიწის მიტაცებაზე უარი უნდა თქვათ, ეს კი ხელს არ გაძლევთ.

წყლის ნაყვას ახლა თქვენთან კამათი. რა გამოვა? მე და თქვენ ფრაზებს გავუცვლით ერთმანეთს, მერე თქვენისთანა ცრუპატრიოტებისაგან მოტყუებული აფსუა თავს დაესხმის ჯვრით ხელში მიმავალ კათალიკოსს, ან აბიტურიენტთა ნაწერებზე დახრილ გამომცდელს; ილიასა და აკაკის სურათებს დახევს, რუსთაველის ბიუსტს ცხვირს მოატყუავს, ქართულ დროშაზე ბინძურ ფეხსაცმელებს შეინმენდს და როცა შეურაცხყოფილი ქართველი ქვას მოიმარჯვებს; ე მანდ, მომხდურ ყაჩაღს ზურგში ვდრუზოვო, თქვენ არ შეგეშინდეთ. იმ ქართველს თავისივე ძმა ქართველი გადაელობება, ქვას გააგდებინებს და ხელს გადაუგრისხავს; არ გრცხვენია, მოძმე აფსუას ჭკუას ასე ასწავლიო? ეგ ხომ შენი ძმააო, ჩვენ ხომ კავკასიურ საერთო სახლს ერთად ვაშენებთო. აფსუა კი არ დაესხა თავს ქართველს და უწმინდესი აფსუამ კი არ შეარუცხყო, არამედ ინსპირირებულმა ძალამო. ძალიან ხალისიანად ხომ არ მონაწილეობს



იმ ინსპირაციასა თუ ინსცენირებაში მთელი აფსუოზა (აფხ. ასსრ-ს 17%), რაკილა ერთხელ ათი ათასი აფსუა ესხმის თავს ორასამდე ქართველ აბიტურიენტს, გამომცდელსა და მშობელს, მეორეჯერ ექვსი ათასი აფსუა მოითხოვს სტადიონებზე საქართველოს ჩემპიონატის არჩატარებას, მესამეჯერ ორიათასი გაცოფებული აფსუა ელობება კათალიკოსს და მანქანაზე მუშტ-ნიხლს უბრაზუნებს.

ნუ შეგეშინდებათ და ნუ შეგაკრთობთ ეს წერილი, ბატონო ფაზილ. განაგრძეთ თქვენი ბინძური საქმე საქართველოში ქართველისათვის თავისი კარ-მიდამოს წართმევის კამპანია და სტუმარი ერის მკვიდრობის დამტკიცების სასურველი პროპაგანდა. თქვენ და თქვენს ნათესავებს ხომ ყველაფერს გაპატიებენ. მოსკოვი ღმერთმა კარგად გიმყოფოთ და აკი დღემდე არც ერთი კაცი არ დაისაჯა ივლისის ხოცვა-ჟლეტისათვის. აკი საქართველოში ლამის კურდღელი შეიტანონ წითელ წიგნში, ხოლო ოსისა და აფსუას მიერ ქართველის მოკვლისთვის ხომ არავის არა სჯიან? აკი დაუსჯელნი დარჩნენ კათალიკოსის თავდამსხმელები. თქვენ რას გერჩით, თქვენ მომხვდურები ხართ და თქვენს საქმეს აკეთებთ.

ჩვენ რაც გვჭირს, ჩვენი ჭკუისაგან და ჩვენი დედლობისაგან გვჭირს.

თქვენ ხომ იმის „დამტკიცება“ შესძელით (ლეგენდებზე დაყრდნობით!) თამარ მეფე აფხაზეთში უშვილობის სამკურნალოდ დადიოდაო და ლაშა თავის შვილს გიორგის აფხაზეთა სიყვარულით დაარქვაო, მე რომ თქვენი ამბავი ვიცი; იმის დამტკიცებაც არ გაგიჭირდებათ, რომ უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე 27 ნოემბერს თავს დაესხა ორიათას აფსუას, მშვიდობიანმა აფსუებმა მათკენ მომავალი გაგულისებული კათალიკოსი რომ დაინახეს, ჩანს, ხასიათზე ვერ არისო და გზა დაუთმეს, კათალიკოსმა კი ანაფორის კალთები აიკეცა და ორიათას მტრედივით მშვიდ აფსუას გამოენთო, სანყალი აფსუები ერთმანეთს ასწრებდნენ რომ გაანჩხლებული მღვდელმთავრისთვის გაესწროთ.

ენას ძვალი არა აქვს. ამასაც დაამტკიცებთ და წუნუნს მოჰყვებით, ასე და ასეო, რა ვქნათ აღარ ვიცითო, პირდაპირ სასონარკვეთილებაში ვართ ჩავარდნილნი, შეგვჭამეს ქართველებმაო.

იტყვი, ამასაც იტყვი, ბატონო ფაზილ, მაგრამ ღმერთს სადღა წაუხვალთ, ღმერთს, რომელიც კარგა ხანია აღარ გწამთ და აქედან გამომდინარე, არც განკითხვის დღის მოლოდინი გაკრთობთ.

1990 წ.

## აი, მიზეზი, სულო ჩამო...

მოსკოვში კიდევ ერთმა ახალმა გაზეთმა იწყო გამოსვლა.

ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ლანძღვის ახალი კერა გაჩნდა.

ახალ გაზეთს ჰქვია „სრულიად საიდუმლოდ“ („სოვერშენო სეკრეტნო“). რედაქტორია ჩვენთვის კარგად ცნობილი იულიან სემიონოვი.

გაზეთში დაბეჭდილი მასალა რომ სრულიად საიდუმლოდ ვერ დარჩება, მოგეხსენებათ, მაგრამ სახელწოდება მაინც მიმზიდველია და შევიძინე შარშანდელი ბოლო ნომერი (№ 15), რომელიც ახლახან გამოვიდა.

გითხრათ სიმართლე, უფრო იმიტომ შევიძინე, რომ იქნებ დავრწმუნებულიყავი, ყველა გაზეთში კი არ გვაქილიკ-გვაკრიტიკებენ რუსები, გამონაკლისიც არსებობს-მეთქი. გამოვა გაზეთი და მთელ ნომერს ისე ჩაათავებ, ვერსად საქართველოს გინებას ვერ წააწყდები-მეთქი.

ვფიქრობდი ჩემთვის, გულუბრყვილოდ.

მაგრამ არც ამჯერად გამიმართლა.

იულიან სემიონოვის გაზეთიც „მშვენივრად“ ჩამდგარა ერთი მუჭა საქართველოს მადაგებელთა რიგებში.

დრამატურგი იური კროტკოვი სტატიაში „საბჭოთა მწერალთა თვითმკვლელობა“, გვიამბობს ალექსანდრე ფადეევის, გალაკტიონ ტაბიძის და ვალენტინ ოვეჩკინის თვითმკვლელობის მიზეზებზე.

„თვითმკვლელობათა სპეციალისტი“ ჯერ ა. ფადეევის შესახებ გვესაუბრება და ამტკიცებს რომ ა. ფადეევის თვითმკვლელობის მიზეზი იყო მისი ვაჟკაცური ბუნება.

სსრკ მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, მწერლებიდან სტალინთან ყველაზე დაახლოებულ კაცს, „ახალგაზრდა გვარდიის“ ავტორს, თურმე მთელი ცხოვრების მანძილზე სძულდა სტალინი, რასაც იგი სიმთვრალეში ბ. პასტერნაკთან (მ) საიდუმლო საუბრებში ამჟღავნებდა კიდევ. ეს ვაჟკაცური ბუნების კაცი ღამით სტალინს ლანძღავდა, დილით კი „პახმელიაზე გამოსული“ სტალინთან მიდიოდა და მწერალთა დასმენის (და მათ შორის, ვინ იცის, პასტერნაკისაც) ქალაღები მიჰქონდა.

„როგორ უნდა ჰყვარებოდა ა. ფადეევის სტალინი, სინანულით და თანაგრძნობით შენიშნავს, ი. კროტკოვი, როცა „იგი (სტალინი რ.

მ.) აიძულებდა ფადეევს ვიზა დაედო ამხანაგებისა და მეგობრების დასაპატიმრებლად“.

მართლაც რომ გულისამაჩუყებელი მიზეზია თვითმკვლელობისათვის.

თითქმის ასეთივე მიზეზითაა გამონვეული, კროტკოვის აზრით, ვალენტინ ოვეჩკინის თვითმკვლელობაც.

ვ. ოვეჩკინმა ხრუშჩოვის წინააღმდეგ გაილაშქრა. პრინციპული კაცი იყო და ტრიბუნიდან ამხილა ხრუშჩოვი სოფლის მეურნეობაში სისულელების ჩადენისათვის.

ვ. ოვეჩკინი ამ საქმეში „პარტიულმა ბოსებმაც“ შეაგულიანეს, მაგრამ ბოლოს, როგორც ეს პარტიულ ელიტას ახასიათებდა, გასწორეს, მარტო დატოვეს, მხარი არ დაუჭირეს.

პრინციპულმა ოვეჩკინმა პრინციპულად მოიკლა თავი.

ჯერი გალაკტიონზე მიდგა.

გალაკტიონის თვითმკვლელობის მიზეზებიც ხომ უნდა დაქარგოს და აგვირისტოს თვითმკვლელობათა საიდუმლოების ვინრო სპეციალისტმა, დრამატურგმა და სცენარისტიმა ი. კროტკოვმა.

სახელდობრ? გალაკტიონი ხომ არც ხელმძღვანელ ამხანაგებთან დაახლოებული პირი იყო და არც ოფიციალური მაღალი თანამდებობა ეკავა. არც მწერალთა დასახვრეტ-დასაჭერი სიით ხელში ადი-ჩამოდიოდა ცეკას კიბეებზე ა. ფადეევივით. გალაკტიონს არც ვალენტინ ოვეჩკინის მსგავსად ამბიციები ხრავდა და სოფლის მეურნეობის გარდაქმნაში თავისი წვლილის შეტანაზეც ნაკლებად ფიქრობდა, რომ ამის ბარობაზე ჰქონოდა მთავრობასთან კონფლიქტი. სხვა რაღა დარჩა?

ნუ შეკრთებით, მოიფიქრებს რაღაცას. კროტკოვი რისი კროტკოვია, გალაკტიონის თვითმკვლელობის საიდუმლოებასაც რომ არ ახადოს ფარდა.

მე, თბილისში, ტიცინ ტაბიძის, პაოლო იაშვილის და ნიკოლა მინიშვილის (?) წრეში გავიზარდეო.

უბნის ბიჭები გუნდებდად დავდევიდითო გალაკტიონს.

ახალგაზრდობის წლებშიც კი გალაკტიონს „მრგვალი და შემუშპებული, ქალური სახე ჰქონდაო“, „ხრინნიან ხმას“ რომ თავი დავანებოთ, „სიარულითაც კი უცნაურად დადიოდაო, გვერდულად, თითქოს დიაგონალზე“.

ყოველივე ამის მიზეზი ის იყო, რომ გალაკტიონი მუდამ მთვრალი გახლდათო.

ამ „გარეგნულ შტრიხებშიც“ კარგად ჩანს, როგორ ჰყვარებია

და რა სითბო-სიმპათიითაც შესცქეროდა თურმე ბავშვობიდანვე ი. კროტკოვი „მთანმინდის მთვარის“ ავტორს.

მაგრამ გალაკტიონის „ლოთობა“ მას თურმე უფრო იმიტომ აინტერესებს, რომ მთელ საქართველოს გადანვდეს:

„მაგრამ მთვრალი ქართველი პოეტი – ნორმალური პოეტი – ასკვნის ი. კროტკოვი და აქვე განაგრძობს თავის აღმოჩენების ფორვერკს: „მუზები, როგორც წესი, ბახუსთან მეგობრობენ. ხოლო საქართველოში ღვინოს წყლის მაგივრად სვამენ, რადგან წყალი ბევრგან დასაღვეად უვარგისია. მე გავიზარდე ქართველი პოეტების – ტიცინ ტაბიძის, პაოლო იაშვილის და ნიკოლა მინიშვილის წრეში. ისინი ყველანი ძალიან ბევრს სვამდნენ და მშვენიერ ლექსებს სწერდნენ“.

გავახსენო ახლა კროტკოვს რამდენჯერ ბეჭებით გამოგვიტანია სრულიად ფხიზელ, ნორმალურ ქართველ მწერლებს სუფრიდან (აქაც და მოსკოვშიც) მშრალი კანონის ერთგულებით გულშელონებული მშვენიერი რუსი პოეტები (და არა მარტო კაცები)?

ქართველ მწერალთა ლოთობის თემას გალაკტიონთან დაკავშირებით უფრო აღრმავებს ი. კროტკოვი და წერს: „გალაკტიონი დაუცხრომლად ლოთობდა. ერთხელ იგი ქუჩაში დაგდებული ვნახეო“. გამიკვირდა, რადგან „ქუჩაში დაგდება მთლად ქართული ჩვევა არ არისო“.

კიდევ კარგი, ერთი შეღავათი მაინც გაგვიჩინა-მეთქი სტატიის ავტორმა. მაშ, რა არის ქართული?

„ყოველი მთვრალი ქართველი სახლამდე მიიტანს თავს და იქ (სახლში) უკვე იატაკზე ეცემა“.

გამონაკლისები, ალბათ, არსებობს. ზოგი მთვრალი ქართველი შინ მიღწევისას, სანამ იატაკზე ზღართანს მოადენდეს, იქნებ ცოლს შეეხმაუროს, ან სიდედრს გადაუგდოს ორიოდ საფერებელი სიტყვა, მაგრამ ეს ნიუანსები ი. კროტკოვს არ აინტერესებს.

მაშ, ასე, გალაკტიონის თვითმკვლელობის მთავარი მიზეზი ლოთობაა, ა. ფადეევისა და ვ. ოვეჩკინისა კი პრინციპული შეუთანხმებლობა ოფიციალურ ხელისუფლებასთან.

თუ რუსი პოეტები სვამენ, ეს გამონვეულია მათი ვაჟკაცური ბუნებით, თვალთმაქცობა არ შეუძლიათ, გალაკტიონს კი, სანამ სმას დაიწყებდა, მანამდეც „ახალგაზრდობაშიც შემუშპებული სახე ჰქონდა და დაუცხრომლად სვამდა“.

გალაკტიონის გალოთების მიზეზს სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებში ნუ დავუნყებთ ძებნას, თურმე, ი. კროტკოვის აზრით,

## როგორ ვპატრონობთ მარბალიტს

„მთვრალი ქართველი პოეტი – ნორმალური პოეტია“, ხოლო ქართველი პოეტების (და მათ შორის უპირველესად გალაკტიონის) გალოთების მიზეზი საქართველოს ფლორასა და ფაუნაშია საქებნელი.

ქართველები ხომ ღვინის მაგივრად წყალს სვამენ რადგანაც, განსხვავებით რუსული ჭაობიან-ლეყებიანი წყლებისაგან, საქართველოში კლდეების ნაჟური დასალევად თურმე უვარგისია.

ლოთობით ხომ ყველა ქართველი ლოთობს (სასმელი წყლის უვარგისობის გამო) განა ეს საკმარისია თვითმკვლელობისთვისო? უფიქრია ი. კროტკოვს და დამატებითი მასალის ძებნას ჩასჭიჭინებია.

აი, დამატებითი საბუთებიც:

გალაკტიონმა ლენინის ორდენი დაკარგა. „დაკარგა ორდენი გალაკტიონმა სადღაც დუქანში. თავის სამემთვრალეო საქმეზე“ – წერს ი. კროტკოვი.

ბუნებრივია, გული დაწყებოდა ლენინის ორდენზე ლოთ პოეტს და ესეც გადაანყვეტინებდა თვითმკვლელობას. იქნებ კიდეც, კიდეც გამოჩნრიკოთ ამგვარი „მიზეზი?“

გალაკტიონი აკადემიკოსად აირჩიეს, რადგანაც მუდამ ერთგულად ჰქმნიდა პანეგირიკულ პოემებს სტალინზე და, რაც უფრო მეტს წერდა სტალინზე, მით უფრო უმატებდა სმასო, წერს ი. კროტკოვი.

ხოლო როცა სტალინი მოკვდა, და კრიტიკა დაუწყეს, გალაკტიონმა დაირცხვინა სტალინზე დაწერილი პოემების გამო, ამას „ენერგიული ლოთობაც“ დაემატა და გალაკტიონმა თავი მოიკლაო.

ასეთია ი. კროტკოვის ლოგიკა.

დეტალები რა მოსატანია: „გალაკტიონი თავისი სახლის ფანჯრიდან გადმოხტა“... „გალაკტიონი ახლა წევს ვაკის სასაფლაოზე მწერალთა პანთეონში“... მთავარს ხომ სწორად მიაგნო. გალაკტიონის თვითმკვლელობის საიდუმლო ამოცნობილია.

ახლა ისლა დაგვრჩენია, გალაკტიონის მიერ სტალინზე დაწერილი პოემები აღმოვაჩინოთ.

იქნებ თვით ი. კროტკოვი დაგვეხმარებოდა?

რა „მშვენივრად დაუწყვია ეს სტატია რუს დრამატურგს და სცენარისტს.

ისე დაგენყო თავზე ბანალიო, ამ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე, მაგრამ ამ ბანალურ ფრაზას ვერც რუს მწერალს ვაკადრებ და ვერც ჩემს თავს.

1991 წ.

„ვეფხისტყაოსანი“ რომ საქართველოს უპირველესი ეროვნული განძია და მსოფლიო პოეზიის მწვერვალი, მაღლობა ღმერთს, ამას მტკიცება აღარ სჭირდება. იგი ერის სიამაყეა და ერის კუთვნილება, ამიტომაც რუსთაველთან მიმართებაში კიდეც უფრო უმწეო ჩანს აკადემიკოსური ამბიციები და „ვეფხისტყაოსნის“ სპეციალისტობის დაჩემება. სანყენად არავის უნდა დარჩეს თუ ვიტყვით, რომ ჩვენ უბრალო მკითხველის მანტიით თუ ფილოლოგი პროფესორის ლუპით რუსთაველის „გასაჩხრეკად“ მისულნი, ისე ვჩანვართ მასთან, როგორც ლილიპუტები გულივერის ხელისგულზე და რაკი ასეა, დიდი სიფრთხილის ქურაში უნდა ვატარებდეთ გენიოსთა გენიოსზე ნათქვამ ყოველ სიტყვას, უფაქიზესად უნდა ვეპყრობოდეთ „ვეფხისტყაოსნის“ ყოველ სტროფს.

ორი ათეული წელია ჩვენი გამომცემლები სცემენ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ ხელდასმულ პოემას. ამ კომისიას მრავალწლიანი გულისხმიერი მუშაობისათვის მაღლობის მეტი რა ეთქმის, მაგრამ ჩანს, „ვეფხისტყაოსნის“ საბოლოო ტექსტის დადგენა უფრო ძნელი საქმე ყოფილა, ვიდრე ზემოთ ხსენებულ მაღალი რანგის კომისიას ამის უნარი შესწევდა. ტექსტში შეტანილი შესწორებების მცირე ნაწილი სწორია, ერთი ნაწილი სადავოა და ბევრი აშკარად მიუღებელი. რუსთაველის პოეტურ სიტყვას გრამატიკის კანონების გარდა უპირველესი მთქმელის, გრძნეული კაცის პოეტური კანონები აწესრიგებდა და, ჩანს, ეს გარემოება ხშირად როდი გაუთვალისწინებიათ პატივცემულ აკადემიკოსებს ტექსტზე მუშაობისას. სხვა საკითხია „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული მოტივების სადავო მეცნიერული ინტერპრეტაცია და სხვა „ვეფხისტყაოსნის“ დამახინჯებული ტექსტის ნამდაუნუმ ბეჭდვა, რითაც კომისიის ავტორიტეტის გამო ჩასწორებების უფლებას მოკლებული ჩვენი გამომცემლობები გაერთვნენ ამ ბოლო წლებში.

ორნაირი „ვეფხისტყაოსანი“ დევს დღეს ჩვენი წიგნის თაროზე 1966 წლამდე გამოცემული და 1966 წლის შემდეგ გამოცემული.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენას, ვახტანგ მეექვსიდან მოყოლებული არაერთი ქართველი მამულიშვილი თვლიდა ღირსების საქმედ. კარგა ხანს ილია ჭავჭავაძისა და მის თანამდგომთა მრავალწლიანი რუდუნების შედეგად დადგენილი ტექსტი ლამის საბოლოო ვარიანტად მიაჩნდათ.

რაც უფრო ღრმავდებოდა რუსთაველის პოემის მეცნიერული შესწავლა, მით უფრო ცხადი ხდებოდა, რომ საჭირო იყო კვლავ

გადაგვეხედა „ვეფხისტყაოსნისთვის“. შერყვნილი ადგილები შეგვესწორებინა და ჩვენი უპირველესი ნიგნი ავტორის ხელიდან გამოსულისთვის მიგვეახლოებინა.

შეიქმნა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კიდევ ერთი კომპეტენტური კომისია, რომელმაც 1966 წელს თავისი მოღვაწეობის ერთი მთავარი ეტაპი დაამთავრა და პოემის ტექსტის თითქმის საბოლოო ვარიანტით წარუდგა მკითხველს. ამის შემდეგ ჩვენს ლიტერატურულ თუ სამეცნიერო ჟურნალებში არაერთხელ გაივლევებდა მეცნიერ-ტექსტოლოგთა ცალკეული აღმოჩენები „ვეფხისტყაოსნის“ რომელიმე თანდებულის თუ შორისდებულის შესწორების თაობაზე, მაგრამ პოემის დადგენილ ტექსტზე, საბედნიეროდ, იგი უშუალო გავლენას ვერ ახდენდა.

ელემენტარული ლოგიკით 1966 წლის შემდეგ გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი ადრინდელზე უფრო სრულყოფილი უნდა იყოს, მაგრამ სამწუხაროდ პირიქით მოხდა.

ნათქვამი რომ უფრო დამაჯერებელი მოგეჩვენოთ, ფაქტების ერთ ვისაუბროთ. შევადაროთ ერთმანეთს 1937 წელს პავლე ინგოროყვას რედაქცია-წინასიტყვაობით გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ 200 000-იანი ტირაჟით, რომ მიაწოდა მკითხველს „საბჭოთა საქართველომ“ (მკითხველს ვთხოვ მხედველობაში მიიღოს ის გარემოება, რომ გამომცემლობა დიდი სურვილის შემთხვევაშიც კი ვერას გახდებოდა. მის განკარგულებაში იყო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ დაკანონებული ტექსტი და უნდა გამოეცა ისე, როგორც წარუდგინეს).

1937 წლის გამოცემაში ვკითხულობთ:

მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;  
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასაადარი;  
იგი სხვაა, სიძვა სხვაა შუა უზის დიდი მზღვარი,  
წურვინ გარევთ ერთმანერთსა, გესმას ჩემი ნაუბარი.

1986 წლის გამოცემაში ეს სტროფი ასეა „დახვეწილ-გაუმჯობესებული“:

მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;  
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასაადარი;  
იგი სხვაა, სიძვა სხვაა შუა უზის დიდი მზღვარი,  
წურვინ გარევთ ერთმანერთსა, გესმის ჩემი ნაუბარი?  
(ხაზი აქაც და სხვაგანაც ჩემია, რ. მ.)

რა დიდი ტექსტოლოგობა და გრამატიკოსობა უნდა იმის მიხედვით, რომ ტექსტი შერყვნილია. საიდან გაჩნდა ეს მკვახე „გესმის ჩემი ნაუბარი“? ქართველიშვილისეულ გამოცემაში „გესმას“ სწერია, ინგოროყვასთან „გესმას“ და ნუთუ რაიმე ლოგიკური აუცილებლობა მოითხოვდა ტექსტის დამდგენ კომისიას პრიმიტიული, ფამილარული და ჭირვეული – მასწავლებელი „გესმის“ ჩაენერა, თუნდაც რომელიმე ხელნაწერში ასე ყოფილიყო? განა სტროფის მთელი სხეული და ეპიკური თხრობა იქითკენ არ მიდის, რომ მეფე-პოეტმა ხელშემართვით, ბრძენი კაცის იერით გვიჩინოს „გესმას ჩემი ნაუბარი“? ხომ ანაქრონიზმად ჩანს თავსმოხვეული და ბოლოში კითხვის ნიშნით „დამშვენებული“ შეძახილი „გესმის ჩემი ნაუბარი?“ თუ გასწორება აუცილებელი იყო „გესმას“ – „გესმათ“-ი შეეცვალათ (თუმცა „გესმას“ სრულიად ბუნებრივი ფორმაა), ოღონდ არავითარ შემთხვევაში ისე, როგორც ახლაა.

ახლა ვნახოთ რა მანიპულაცია განიცადა იმ ბრწყინვალე სტროფმა, რომელშიც მონათა მიერ ტარიელის შეპყრობის ცდა იყო გადმოცემული.

1937 წლის გამოცემაში ვკითხულობთ:

მონათა ხელი გამართეს მის ყმისა შესაპყრობელად.  
მან, გლახ, იგინი დახადნა მტერთაცა საწყალობელად:  
ჰკრა ერთმანერთსა, დახოცნა თავსა ხელ-აუპყრობელად,  
ზოგსა გადაჰკრის მათრახი მ კ ე რ დ ა მ დ ი ს გასაპობელად.

შესწორებული (1937 წელი ნაღმა-უკუღმა რომ არ ვატრიალო, სამუშაო ტერმინად შემოვიღებ ადრინდელ „ვეფხისტყაოსანს“ და შესწორებულ „ვეფხისტყაოსანს“ რ. მ.) ტექსტი გვაუწყებს:

მონათა ხელი გამართეს მის ყმისა შესაპყრობელად.  
მან, გლახ, იგინი დახადნა მტერთაცა საწყალობელად:  
ჰკრა ერთმანერთსა, დახოცნა თავსა ხელ-აუპყრობელად,  
ზოგსა გადაჰკრის მათრახი ქვე მკრდამდის გასაპობელად.

„მკერდამდის“ ნაცვლად „ქვე მკრდამდის“ რომ ვიხილე, პირველად თვალს არ დაფუჯერე. საიდან გაჩნდა ეს ენის გასატყეხი „ქვე მკრდამდის?“ რა ლალია და რა თავისუფლად „სუნთქავს“ სტრიქონი როცა „მკერდამდის“ სწერია და რა ხელოვნურ, დამტვრეულ-დაღვარყვნილ იერს იღებს „ქვე მკრდამდით“ შესწორებული. დაფუშვით, რომ ძველ ქართულ ტექსტებში (რუსთაველამდე და თუნდაც

რუსთველის შემდეგ) ყველგან „ქვე მკრდამდის“ გვხვდება, განა ეს გარემოება გვაძლევდა იმის უფლებას, რომ ასე უღმერთოდ გაგვენი-რა რუსთველისეული „მკერდამდის?“ განა ჩემგან ესწავლებათ კომი-სიის პატივცემულ ნევრებს, რომ რუსთველმა ახალ სალიტერატურო ენას დაუდო საფუძველი და ჰაგიოგრაფთა მეტყველება ხალხურს დაუახლოვა? მაშ რატომ არ ექნებოდა იმის უფლება და უნარი გაბა-ტონებული „ქვე მკრდამდის“ გადაეგდო და უფრო მსუბუქი და კონ-ტექსტში გამოსადეგი სიტყვით შეეცვალა? უცნაურია ღმერთმანი.

ენის რჯულმდებელსა და მებაირახტრეს – შოთა რუსთაველს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის „შემსწორებლები“ რატომღაც სხვა ადგილასაც ჯიუტად უუფერულებენ ენის გადემოკრატიულების გზაზე მის მიერ მოხდენილ რევოლუციას და მორცხვობაგაშვებით კვლავ იმ კონსტრუქციებს ახვევენ თავზე, რაც გენიალურმა პოეტმა ასე ღონივრად მოიქნია და გადააგდო.

„მესამე ლექსი კარგია სანადიმოდ, სამღერელად“ – ენერა ადრინდელ „ვეფხისტყაოსანში“.

„მესამე ლექსი კ ა რ გ ი ა რ ს სანადიმოდ, სამღერელად“ – ვკითხულობთ შესწორებულში.

რატომ? რატომ? შეიძლება ძალდატანება ვეფხისტყაოსნის ტექს-ტზე? განა იქვე იმავე გვერდზე ვერ წაიკითხეს? „ი გ ი ა ჩემი სიცოცხ-ლე უწყალო ვითა ჯიქია“, ან „ი გ ი ა საქმე საზეო, მომცემი აღმაფრე-ნათა“? კიდევ კარგი, რომ „არსის“ დაბრუნება აღარ გააგრძელეს და „იგი სხვაა სიძვა სხვაა შუა უზის დიდი მზღვარი“ ასე არ შეაკეთეს: „იგი სხვა არს, სიძვა სხვა არს, შუა უზის დიდი მზღვარი“.

ადრინდელ „ვეფხისტყაოსანში“ ვკითხულობთ:

„რასაცა გასცემ – შენია, რას არა – დაკარგულია!“

შესწორებულში:

„რასაცა გასცემ! – შენია, რაც არა – დაკარგულია!“

რატომ? რატომ? რუსთველი ხომ მშვენივრად წერდა „რასაცა გასცემ შენია“ და რასაც არა (ე. ი. „რას არა“) დაკარგულიაო. თუ პოეზიის (უფრო რთულ) კანონებს ხშირად უგულებელეჰყოფენ, გრამატიკის ელემენტარული კანონი მაინც რაღატომ დაივიწყეს გრამატიკის ასე კარგად მცოდნე გამსწორებლებმა? რანაირი ქარ-თულია „რაც არა?“

ადრინდელ „ვეფხისტყაოსანში“ ვკითხულობთ:

„ფათერაკი სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი; მარტოობა ვერას მიზამს, მცავს თუ ცისა ძალთა დასი;

შესწორებულ „ვეფხისტყაოსანში“ ასეა:

„განგებაა, სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი; მარტოობა ვერას მიზამს, მცავს თუ ცისა ძალთა დასი“;

ავთანდილს შერმადინი სთხოვს მეც „თან წამიტანეო“. იგულისხ-მება, რომ ძებნაში შემწეობას გაგინევ, შენს გვერდით ვიქნებიო. ავთანდილი უმტკიცებს, – ფათერაკი, ე. ი. ხიფათი „სწორად მოჰ-კლავს, ერთი იყოს, თუნდა ასიო“. რა შუაშია განგება? განა განგება ასე ხელაღებით, სწორედ ხოცავს ერთი იქნება თუ ასი? განა ასეთი წარმოდგენისაა ავთანდილი განგებაზე? პირიქით, სწორედ განგებაა წინდახედული და, თუ გაჭირდა, შერჩევით „მკვლელი“, ხოლო ფათ-ერაკისთვის სულ ერთია, „ერთი იყოს, თუნდა ასი“.

ადრინდელ „ვეფხისტყაოსანში“:

„ერთსა წავსწვდი უტევანსა, წავგრძელდი და წავე გრძელად“;

შესწორებულშია:

„ერთსა წავსწყდი უტევანსა, წავგრძელდი და წავე გრძელად“.

რატომ? რატომ? ამ განსაცვიფრებლად მაღალმხატვრულსა და პლასტიურ სტრიქონში ჩადებული ინფორმაცია გვაუწყებს, ერთ უტე-ვანზე წავინიე, ანუ „წავსწვდი“ „წავგრძელდი და წავე გრძელადო“. რა შუაშია „წავსწყდი“? შემსწორებლები წაწყდომას რელიგიური გაგებით რომ არ გულისხმობენ, ცხადია, იგულისხმება წავსწყდი – „წავსწყ-დიო“ მაგრამ როცა არც ესაა სწორი? ტარიელ კი არ „წასწყდა“, არ-ამედ მანამდე მთელი სტრატეგიული, წინასწარგანჭვრეტილი სვლა ჩაატარა რამაზის მუხანათური გეგმის ჩასაფუშავად.

ადრინდელშია:

„მოახსენა: ეგე სწავლა ჩემთვის ყოვლად სოფლად ღირდეს. გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს“.

შესწორებულშია:

„მოახსენა: ეგე სწავლა ჩემთვის ყოვლად სოფლად ღირდეს – გონიერთა მწვრთნელი უყვარს, უგუნურთა გულსა ჰგმირდეს“.

რატომ? რატომ? რა აუცილებელი იყო მრავლობითში ჩასმა „გო-

ნიერის?“ რიცხვში შეთანხმების დარღვევას რომ თავი დავანებოთ, განა ყურსაც უხერხულად არ ხვდება სრულიად ზედმეტი „თან“-ი?

ადრინდელ, სანატრელ „ვეფხისტყაოსანში“ ყურს ატკობდა სტროფი:

„მოვიდან შესამკობლად ქვეყნით ყოვლი სულიერნი,  
კლდით ნადირნი, წყალშიგ თევზნი, ზღვით ნიანგნი, ცით მფრინველნი,  
ინდო – არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მალრიბელნი,  
რუსნი, სპარსნი მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი.

შესწორებულ „ვეფხისტყაოსანში“ ეს სტროფი არ ჩანს, ამოულიათ. სადაც რუსთაველს შესწორება სჭირდებოდა ხომ „შეუსწორეს“, ამ სტროფს, ჩანს, ვერაფერი მოუხერხეს და საერთოდ შეელივნენ.

მერედა რისთვის? დავიჯერო ასე ცხადად ეტყობა რომ „ჩამმატებლის ნახელავია? არამც და არამც; დააკვირდით რა მუსიკალური სტროფია, რა რუსთველისეული სითამამითაა მიჯრილი სიტყვები. შემრყველი პოეტი „კლდით ნადირნი“, „ცით მფრინველნი“ და „რუსნი, სპარსნი, მოფრანგენის“ დამწერია?

გამომდინარე ზემოთ თქმულიდან ამ პატარა წერილის ავტორმა, მისდა სამწუხაროდ, უნდა დაასკვნას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში ავად ჩარეულან და მართლაც რომ შეურყენიათ.

განა შეიძლებოდა ასე თამამად, ახირებული სურვილით მისვლა რუსთველთან; რაკი ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი ვარ, უსათუოდ რალაც ცვლილება უნდა შევიტანო?

კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა „ვეფხისტყაოსანმა“ რომ მის ავტორს ამ უზადო პოემაში ჰაიჰარად კი არ დაუხვავებია სიტყვები, არამედ მოზაიკის მკეთებლის სინატიფით ჩაუსვამ-ჩაუგვირისტებია თავის ადგილას.

როგორც ზღვა არ იღებს უცხო სხეულს და ადრე თუ მალე გამოირიყავს ზედაპირზე, ისე ადრე და მალე გამოსარიყად ტივტივებენ „ვეფხისტყაოსანში“ ტლანქი ხელით (კინალამ წამომცდა ტლანქი გონებით-მეთქი) ჩასმული „ახალი“ სიტყვები.

რა კადნიერებაა, რა უსაბუთო სითამამე!

ამ წერილს რომ ვწერთ, გამახსენდა რუსთველის საოცრად ფერწერული სტრიქონი: „მისნი მკვახედ მოუბარნი მათრახითა შეგვამნიფნა“.

როგორც ჩანს, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის წევრებს ეს სტრიქონები არც ერთხელ არ გახსენებიათ.

1988 წ.

## ოლონდ საქმეს ეხველოს

„კრიტიკამ“ ამას წინათ (№ 2, 1988 წ.) წამოიწყო საუბარი რუსთველოლოგიურ პრობლემებზე. რედაქციაში უამრავი წერილი დაგვიგროვდა იმის თაობაზე, რომ უკანასკნელ წლებში „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი უცნაური, გაუმართლებელი ცვლილებებით, შერყენილი სახით იბეჭდება. რაკი ამ ბოლო დროს „ვეფხისტყაოსნის“ დახვეწა-გამოცემისა და პოპულარიზაციის საქმეს აქამდე არნახული, კარგი დარი დაუდგა; შეიქმნა რუსთაველის საზოგადოება; ხვალ-ზეგ გაიხსნება „ვეფხისტყაოსნის“ მალაზია-სალონი; ტექსტის შემდგომ სრულყოფაზე საუბრის წამოწყება დროულად მივიჩნიეთ და დავისახეთ მოკრძალებული მიზანი; ჩვენი დისკუსიით თუნდაც მცირეოდენი შემწეობა მაინც აღმოგვეჩინა „ვეფხისტყაოსნის“ კომისიის დამამწერალ წევრთათვის.

ისე გულუბრყვილო როდია „კრიტიკის“ რედაქცია, რომ არ სცოდნოდა, ვის „შეჰბედა“ ამ საუბრის წამოწყებით. დოცენტი თამაზ კვაჭანტირაძეს სტატიაში („კომუნისტმა“ იგი პოლემიკის წესით გამოაქვეყნა 13 ივლისის ნომერში) ჩამოთვლილი არიან ისინი, ვინც 1962 წლიდან დღემდე „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის წევრებად ითვლებოდნენ: აკაკი შანიძე, ილია აბულაძე, პავლე ინგოროყვა, გიორგი ლეონიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, არნოლდ ჩიქობავა, ვუკოლ ბერიძე, გიორგი წერეთელი, ივანე გიგინეიშვილი, ირაკლი აბაშიძე, შოთა ძიძიგური, სარგის ცაიშვილი, ელენე მეტრეველი, ცოტნე კიკვიძე, გურამ კარტოზია... მცირე გამონაკლისის გარდა მართლაც რომ ძვირფასი სახელები. ისინი ქართული მეცნიერების თავკაცებად მიგვარჩნია დღესაც. დოცენტი თ. კვაჭანტირაძის სინდისზე იყოს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის ან გარდასულ აჩრდილთა შეწუხება. ჩვენ ამ სიის გამოქვეყნება ფიქრადაც არ მოგვსვლია. მართლაც რომ ავტორიტეტულ კომისიას უშრომია, რათა „ვეფხისტყაოსნის“ ის ტექსტი გვექონოდა ხელთ შარშან და შარშანწინ რომ დასტამბეს ჩვენმა გამომცემლობებმა.

მაგრა რუსთაველი მაინც რუსთაველია და ნუ დაგვძრახავს პატივცემული დოცენტი, თუ სურვილი გვაქვს დედანთან უფრო მიახლოებული „ვეფხისტყაოსანი“ იდოს ჩვენი წიგნის თაროზე. ესეც არ იყოს, ხომ არ შეგვეძლო იმ მწერალთა და სწავლულთათვის, ვისაც ხშირ შემთხვევაში საკმაოდ დასაბუთებული წერილი მოჰქონდა (და მოაქვს) რედაქციაში, კომისიის მაღალი ატორიტეტი შეგვეხსენებინა, ჩამოგვეთვალა აკადემიკოსთა გვარები და გვეთქვა: როგორ

ფიქრობ, ეს დიდი აკადემიკოსები შეცდებოდნენ და შენ იქნები მართალი – გუშინ გამომცხვარი პროფესორი ან ნვივმოუმაგრებელი მწერალი?

განა სხვადასხვა კომისიის შემადგენლობაში ასე კარგად გარკვეულმა პატივცემულმა დოცენტმა არ იცის, რომ ჭეშმარიტება პლატონზე მაღლა დგას?

მე, როგორც „კრიტიკის“ რედაქტორი, ბედნიერად ჩავთვლიდი თავს თუ დისკუსიის წამოწყებისთანავე ერთი ფაქტი მაინც აღმოჩნდებოდა ყურადღების ღირსი. ჩვენს დისკუსიაზე გამწყარალი თ. კვაჭანტირაძეც კი იძულებულია აღიაროს, რომ „ლევან მენაბდის წერილში კორექტულად არის წარმოდგენილი რუსთველოლოგიის ერთი სადავო პრობლემა – შევიტანოთ თუ არა ინდო-ხატაელთა ამბავი აკადემიურ გამოცემაში“. „ასევე ჩემთვისაც და, ალბათ, ყველასათვის გასაზიარებელი ჩანს თენგიზ ჩხაიძის გულისტყვილი – ჩანართად არ უნდა მიგვეჩინა და არ უნდა შევლეოდით რუსთაველის „ნაჭედ“ სტრიქონებს: „კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე“.

ხედავთ, „კრიტიკამ“ მეორე ნომრიდანვე მიაღწია მიზანს! დოცენტი თ. კვაჭანტირაძეც კი დაგვირწმუნებია იმაში, რომ ინდო-ხატაელთა ამბავი შეიძლება დაუბრუნდეს „ვეფხისტყაოსანს“ ასევე სისხლგამშრალნი რომ დავეძებდით უაზროდ ამოღებულ სტრიქონს – „კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ ჩავაკარაბაკე“, თურმე ნუ იტყვი, მისი დატოვება პოემის ტექსტში თ. კვაჭანტირაძისათვის „და, ალბათ, ყველასათვის გასაზიარებელი ჩანს“. ვაი, რომ მკითხველის სიხარული ნაადრევია. ხომ კადნიერებაა – „ჩემთვის და ალბათ, ყველასათვის“ (დოცენტს არ შეჰფერის ასე მსჯელობა), მაგრამ არა მარტო ამ მოუზომავ ფრაზას, მთელი სტატიის გამაღიზიანებელ, მენტორულსა და ამავე დროს აბიტურიენტულ ტონს სულგრძელად შევუნდობდით დოცენტ თ. კვაჭანტირაძეს, რომ შეძლებდეს იგი „კრიტიკის“ რედაქციას მხარში ამოუდგეს და თუნდაც მისთვისვე ჭეშმარიტებად აღიარებული ეს ორი „მცირე“ გასწორება მაინც შეიტანოს „ვეფხისტყაოსნის“ იმ ტექსტში, რომელიც ეს-ესაა გააქვთ დასაბეჭდად და ხვალ რუსთაველის ტექსტის დამდგენი კომისიის მსუბუქი ხელით ისევ ისე შერყვნილი მოველინება საქართველოს, როგორც შარშან.

ამ ორმა მაგალითმა ხომ გაგვიმართლა, ახლა თ. კვაჭანტირაძის მიერ დაწუნებულ „შესწორებასაც“ გაფუსინჯოთ კბილი:

დოცენტი რომ ირონიულად მოიხსენიებს სწორედ იმ მწერლურ-

მა ალლომ დამაეჭვა მავანთა გადანყვეტილებაში, „მკერდამდის“ შეეცვალათ – „ქვე მკრდამდის“. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალ „მაცნეს“ ენისა და ლიტერატურის სერიაში გამოქვეყნებული სტატიიდან დიდი ამონაწერი „გაიხსენა“, დოცენტმა მაინც ვერ დამარწმუნა, თითქოს ენის გასატეხი „ქვე მკრდამდის“ უფრო სწორი იყოს, ვიდრე ლალი „მკერდამდის“. მართალია, თ. კვაჭანტირაძე მოწყალეა და აღნიშნავს: „არ ვდავობ, მწერალს ყველაზე მეტად აქვს გამახვილებული ენობრივი ალლო“, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ გრამატიკოსს ეს ნიჭი არამც და არამც არ უნდა გააჩნდეს. აი, მე არ მომწონს „ქვე მკრდამდის“ დოცენტი თ. კვაჭანტირაძეს მოსწონს. ამ შემთხვევაში, ეს განსხვავებაა ჩვენ შორის. მაგრამ ჩვენი მოწონება – არ მოწონება რა მოსატანია მეცნიერულ ჭეშმარიტებასთან. მეცნიერული ჭეშმარიტების გასაღები კი ჩვენს დოცენტს ჯიბეში უდევს და ამტკიცებს: „ძველებურ „მკრდამდის“ ფორმას რა სჭირს დასაწუნო მეთორმეტე საუკუნის პოეტის მეტყველებაში“.

თუნდაც რუსთაველამდეც და რუსთველისდროინდელ ქართულში „მკრდამდის“ ყოფილიყო გაბატონებული და რუსთაველს პირველად ეხმარა „მკერდამდის“, მაინც გამართლებული იქნებოდა გენიოსის ნაბიჯი. რუსთაველი ხომ ენის სწორუბოვარი რეფორმატორია, მაგრამ, სამუხაზოდ, დოცენტი თ. კვაჭანტირაძეს, ჩანს, ამ ბოლო დროს აღარ გადაუკითხავს მოსე ხონელის „ამირან-დარეჯანიანი“ თორემ „აღმოაჩენდა“, რომ რუსთაველი „მკერდამდის“ ფორმის ხმარების პიონერი სრულიად არ გახლავთ.

მაგ. „შეუტივა, ჰკრა ხრმალი ჩაბალახსა ზედა და მკერდამდის ჩაჰკვეთა და მოკლა“ (მოსე ხონელი – „ამირანდარეჯანიანი“, ქართული პროზა, 1982, წიგნი მეორე, გვ. 222).

„ჰკრა დარეჯანისძემან ჩაბალახსა ზედა ხრმალი და მკერდამდის ჩაკვეთა და მოკლა ბალხამ ყამის ძე, (იქვე, გვ. 235).

„ამირანდარეჯანიანი“ რომ „ვეფხისტყაოსანზე“ ადრეა დაწერილი („ამირან დარეჯანისძე მოსეს უქია, ხონელსა...“) ამას გრამატიკოსი თ. კვაჭანტირაძე მშვენივრად ასწავლის თავის ტელეექციებში აბიტურიენტებს. ალბათ შემთხვევა, რომ მიეცემა, იმასაც ეტყვის თავის მრევლს სხვა გადაცემაში, რომ მკერდამდის ჩაჰკვეთაში რუსთაველი მოსე ხონელს დასესხებია. მე მგონი ამ სესხების კვალი რომ წაეშალა, ამიტომ, რომ იტყვიან, „ნამუსი მოწმინდა“ კომისიამ გენიალურ პოეტს „მკერდამდის“ ამოუღო და სრულიად უადგილო „ქვე მკრდამდის“ ჩაუნერა.

ახლა სხვა შენიშვნებს გადავხედოთ:

როგორ ფიქრობთ, პატივცემული მკითხველო; ადრინდელ გამოცემებში დაკანონებული „ნურვინ გარევეთ ერთმანერთსა, გესმას ჩემი ნაუბარი“, სჯობს, თუ 1986 წლის გამოცემის „ნურვინ გარევეთ ერთმანერთსა, გესმის ჩემი ნაუბარი?!“ (რატომ აარიდა ამ ჩემს შენიშვნას დოცენტი „მორცხვად“ თავი? მართლა და მართლა, რაშიც ცამდე მართალია, იმაშიც ხომ არ შევედავები ტექსტის დამდგენი კომისიის სიყვარულით ამ კაცსო, გაიფიქრა ალბათ). ადრინდელი „რას არა – დაკარგულია“ უფრო სწორია, თუ გასწორებული „რაც არა დაკარგულია“ უფრო სწორია, თუ გასწორებული „რაც არა დაკარგულია?“ განა აუცილებელი იყო „გონიერსა მწვრთნელი უყვარს“ შეგვეცვალა და სწორად მიგვეჩნია „გონიერთა მწვრთნელი უყვარს?“

დოცენტი თ. კვაჭანტირაძე წერს: „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიას აღმანახმა „კრიტიკამ“ ბევრი სხვა ცოდვა აპყვიდა: „აკადემიკოსური ამბიციები“, „ვეფხისტყაოსნის“ სპეციალისტობის დაჩემება“, პროფესორის ლუპით მისი „ჩხრეკა“, უვიცობა, სიყრუე, სიბრმავე და, თქვენ წარმოიდგინეთ, სიშლევაც კი“. ჯერ ერთი, ხაზგასმული სიტყვები შესავალში სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა კონტექსტშია ნათქვამი და ტექსტის დამდგენ კომისიას სრულიად არ ეხება, მაგრამ კომისიის წევრთა „ჩემეულ“ დახასიათებაში ისე გაერთო დოცენტი თ. კვაჭანტირაძე, რომ თავისი აზრიც წაამატა. ნუთუ არ ეტყვიან კომისიის ის წევრები, ვისაც აქამდე ასე ენერგიულად იცავდა „კრიტიკისაგან“, „აბა, აბა, ძალიან ნუ შესტოპე, „უვიცობა, სიყრუე, სიბრმავე და სიშლევაც“ შენი სიტყვებია და „კრიტიკის იმ ნომერში არათუ ჩვენი მისამართით, საერთოდ არ სწერიანო?“

ძნელი წარმოსადგენია კამათში დემაგოგიის ისე ოსტატურად გამოყენება, როგორც თ. კვაჭანტირაძე ეკამათება პოეტ თამარ დაუშვილს: თ. დაუშვილი ჩამოთვლის რა იმ ღირსეულ მოღვაწეებს, ვინც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენას ამაგი დასდო, სხვათა შორის ასახელებს „საქართველოსთვის თავნაკვეთილ დიმიტრი ყიფიანს“ („კრიტიკა“ № 2, გვ. 24). ეს გახლავთ სულ სხვაგან დ. ყიფიანი სტატიამი არსადაა ნახსენები, ახლა დოცენტი თ. კვაჭანტირაძეს მოვუსმინოთ: „პოეტი თამარ დაუშვილი სიტყვას „თავნაკვეთილი“ აღიქვამს როგორც „თავგაჩეჩქელი“, ან – კიდევ უარესი – დიმიტრი ყიფიანს ურევს მეფე დიმიტრი თავდადებულში“. სად ჩანს, ძვირფასო მკითხველო, რომ თ. დაუშვილი სიტყვას „თავნაკვეთილი“ აღიქვამს როგორც „თავგაჩეჩქელი?“ რაო დ. ყიფიანისთვის თავი არ მოუჭრიათ, – გაუჩეჩქვესო, ამას გულისხმობს დოცენტი? განა საქართველოსთვის

თავნაკვეთილი არ არის ყველა საქართველოსთვის დალუპული მოღვაწე? განა არ შეიძლება ტიცინაზე, ან მიხეილ ჯავახიშვილზე ვთქვათ – საქართველოსთვის თავნაკვეთილნი? მიუხედავად ამისა, რა მეთოდებით გაუსწორდნენ ჯალათები მათ? წარმოიდგინეთ, რომ თ. დაუშვილს „თავნაკვეთილი დიმიტრი ყიფიანის“ ნაცვლად დაენერა „თავგაჩეჩქელი დიმიტრი ყიფიანი“, არ შეიშმუშნებოდა უხერხულად ის მკითხველი, ვისაც ზომიერების გრძობა და სიტყვის ალლო ცოტა მაინც გააჩნია? როგორ ვწუხვარ, რომ, თურმე, მათ შორის ვერასოდეს მოხვდება დოცენტი თ. კვაჭანტირაძე, რომელმაც ამას წინათ, გულზე მჯილისცემით მოითხოვა რეპრესიების მსხვერპლთ ძეგლი ავუგოთო. ახლა ის ვიკითხოთ; როგორ შეატყო თ. კვაჭანტირაძემ, რომ თ. დაუშვილი „დიმიტრი ყიფიანს ურევს მეფე დიმიტრი თავდადებულში?“ თ. დაუშვილის წერილში სიტყვა „თავდადებული“ ნახსენებიც არსადაა. შეიძლება, როგორ არ შეიძლება, ტენდენციურ, დემაგოგიურ კამათში „მსხვერპლს“ დააბრალო, რაც არ უთქვამს: ერთი ნუთით დავუშვათ, რომ თ. დაუშვილმა დიმიტრი ყიფიანს „თავდადებული“ უწოდა, განა მკრეხელობად უნდა ჩავუთვალოთ? დოცენტი თ. კვაჭანტირაძემ, მიზეზთა გამო, კარგად იცის სასკოლო ქრესტომათიები. რაღაც ახლა არ გაახსენდა მას, გრამატიკოს კაცს (ლიტერატურის საკითხებზე ასე ათამამად მოსაუბრეს), რომ „თავდადებული“ დიმიტრი ყიფიანს თვით სულმნათმა აკაკიმ უწოდა? მოვაგონო „განთიადი“ რომლის უცოდინარობასაც აბიტურიენტთაგან არავის აპატიებდა, პატივცემული დოცენტი?

სხვა გზა არ არის, უნდა მოვაგონო:

მთანმინდა ჩაფიქრებულა,  
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა,  
მნათობი სხივებს მალლით ჰფენს  
თავდადებულის საფლავსა.

ახლა ვნახოთ, როგორ „აკრიტიკებს“ თ. კვაჭანტირაძე თავის მასწავლებელს, პროფესორ ალექსანდრე ლლონტს. ჩემი მცდარობა ხომ კარგად დაამტკიცა, ასეთივე ლოგიკით ალ. ლლონტის დამოძღვრებასაც არ ერიდება. მრავალტანჯული სტროფი „მოვიდიან შესამკობლად“ თუნდაც იმიტომ უნდა ამოვარდეს „ვეფხისტყაოსნიდან“, რომ „და მაშრიყით მალრიბელნი“ შინაარსობრივად შეუსაბამოა – აღმოსავლეთიდან დასავლეთელები მოდიოდნენო. ასეთ უცნაურობას კი რუსთაველი ვერ იტყოდა“. (თ. კვაჭანტირაძე) ასეთს კი არა, უაზრობას და უცნაურობას რუსთაველი, ზოგიერთთაგან გან-



სხვაგვებით, საერთოდ არ ამბობს. ამიტომ ვუთითებ ასე დაჟინებით ადრინდელ „ვეფხისტყაოსანს“, სადაც „და მაშრიყით მალრიბელნი“ კი არ სწერია, არამედ „მაშრიყით და მალრიბელნი“. აქ იყო სწორედ საჭირო ტექსტოლოგობა – გრამატიკოსობა. კომისია თავის რომელიმე სხდომაზე იმსჯელებდა და, თუნდაც ვერც ერთი ხელნაწერი ვერ აღმოეჩინა, თვითონვე მივიდოდა იმ დასკვნამდე რომ გადამწერის ლაფსუსთან გვაქვს საქმე. უნდა იყოს არა „მაშრიყით და მალრიბელნი“ არამედ „მაშრიყნი და მალრიბელნი“. ასეთ სწორებას კომისიას „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შერყვნად არავინ ჩაუთვლიდა. ამ ბრწყინვალე სტროფის ამოღება, აქაოდა, ვერ მივხვდითო, ისაა სწორედ რასაც „კრიტიკა“ თავის დისკუსიაში სადავოდ მიიჩნევს, ძვირფასო თამაზ.

მირჩევნოდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის რომელიმე საქმიანი წევრი გამოხმაურებოდა დისკუსიას და დილეტანტ ოპონენტთან კამათით არ გავმცდარიყავი, მაგრამ მაინც არ ვნანობ, „კოკასა შიგან...“ მართლაც რომ დიდი ზნეობრივი სიბრძნეა.

ახლა ისევ დავუბრუნდეთ ჩვენს სურვილს, „კრიტიკის“ დისკუსიით მცირე დახმარება მაინც გაგვეწიას „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენთათვის. დისკუსიას ოპერატიულად გამოეხმაურა საქართველოს გამსახკომი და მკითხველს გავაცნობ გამსახკომის განკარგულებას, რომელიც თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ე. სიხარულიძის ხელმოწერით 1988 წლის 1 ივლისს დაეგზავნა გამომცემლობათა დირექტორებს:

„1988 წლის 24 ივნისს საქართველოს სსრ გამსახკომში გაიმართა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის წევრები, გამომცემლობათა ხელმძღვანელები, ცნობილი მეცნიერები, რუსთველოლოგები, აღმანახ „კრიტიკის“ მთავარი რედაქტორი.

თათბირის მონაწილეებმა იმსჯელეს აღმანახ „კრიტიკისა“ და გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული სტატიების შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავდნენ შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შემდგომი სრულყოფის საკითხებს, გამოითქვა საყურადღებო წინადადებანი და მოსაზრებანი.

მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემები განხორციელდეს მეცნიერებათა აკადემიის მიერ დადგენილი ტექსტის შესაბამისად.

რესპუბლიკის გამომცემლობათა დირექტორებმა ყურადღებით მიადევნონ თვალყური აღმანახ „კრიტიკის“ მიერ წამოწყებულ

დროულ დისკუსიას და შესაბამისი სამეცნიერო დანებებულებების მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების შედეგები გაითვალისწინონ „ვეფხისტყაოსნის“ მომავალ გამოცემებში“. (განკარგულების ნომერია 02–17 122).

ხომ ყოფილა „დროული“ და „ყურადღების ღირსი“ „კრიტიკის“ მიერ წამოწყებული საუბარი? ჯერ დისკუსია მხოლოდ დაიწყო და უკვე გამოიღო მან მცირე, მაგრამ კეთილი ნაყოფი. ჩვენი მიზანიც ეს იყო.

რაც შეეხება დოცენტ თ. კვაჭანტირაძის „მამიდობას“, უნდა ვაუწყოთ მკითხველს, რომ ჩასაფრებული ოპონენტის სურვილმა, ამ შემთხვევაში ძლიერ დაჯაბნა მისი შესაძლებლობა. ვერა და ვერ შეძლო სახელი გაეტეხა „კრიტიკის“ რედაქციის კეთილშობილური წამოწყებისათვის.

საიდან მოდის თ. კვაჭანტირაძის ჯიუტი ვნება მაინცდამაინც ჩემ დაწერილს შეხედოს მკაცრი, მაგრამ არაობიექტური კრიტიკოსის თვალთ?

ამ რამდენიმე წლის წინათ „სკოლა და ცხოვრების“ დამატების („ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“) მაშინდელმა რედაქტორმა, მეცნიერებათა კანდიდატმა, თ. კვაჭანტირაძემ გამომიგზავნა რამდენიმე შეკითხვა, მთხოვდა შემეფასებინა დამატება – „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“.

მეგონა ქათინაური კი არა, საქმიანი შენიშვნები აინტერესებს-მეთქი და სურვილები პუნქტებად ჩამოვუწერე:

1. „ეცადეთ ნაკლებად ბეჭდოთ ისეთი ვიწრო-მეცნიერული გამოკვლევები, უფრო თეორიულ-მეცნიერული ორგანოს საქმე რომ არის და სკოლასთან შორეული და საეჭვო კავშირი აქვს.

2. ავტორები უფრო მეტად მათი საზოგადოებრივი წონისა და პროფესიონალიზმის მიხედვით შეარჩიეთ და ნაკლებად პირადი სიმპათია-ანტიპათიით.

3. ყოველივეს შეხედეთ ეროვნული პოზიციის მაღალი პიედესტალიდან. არასოდეს დაეშვათ პირად, წვრილმან კინკლაობამდე და ისე არ ამჩატდეთ, რომ თქვენი ჟურნალის ოქროდ ღირებული ფურცლები მოკამათებთან ანგარიშის სწორებას დაუთმოთ“.

თურმე ეს ჩემი მეგობრული შეგონებანი ისე ეწყინა უფალ რედაქტორს, რომ თავისი „დამატების“ ფურცლებიდან ნაცრის გუდის კორიანტელი დააყენა, „ჟურნალის“ სანგრიდან აინუნში არ მყოფს პოლემიკის თექისთავიანი ისრები დამიშინა.

მაშინ სხვა დონეზე დაშვებად მივიჩნიე კამათში ჩარევა და არ

გავეპასუხე. ახლაც სიამოვნებით არ გავცემდი პასუხს საქმე ჩემთვის უძვირფასეს საგანს – შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ რომ არ შეხებოდა.

„კრიტიკა“ კვლავაც გააგრძელებს „ვეფხისტყაოსნის“ შერყენის თაობაზე წერილების ბეჭდვას. რუსთაველი ერის სიმდიდრეა და წურას უკაცრავად, მასზე წურას და ლაპარაკს ვერავის აფუკრძალავთ, აქაოდა გრამატიკოს-ფილოლოგებს შემოუღობავთ იგი საკვლევ-საჯიროთოდ. ათასი მადლობა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიას აქამდე განეული მუშაობისათვის, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ არც მას უშრომია უნაკლოდ: პოემიდან გენიალური „კარვის კალთა ჩახლართული“, გაუძევებია, ინდო-ხატაელთა ამბავი (პოემის საკმაოდ მოზრდილი ორგანული ნაწილი) უსაბუთოდ ამოულია. „გესმას ჩემი ნაუბარის“ ნაცვლად ჭირვეულ-პრიმიტიული „გესმის ჩემი ნაუბარი? ჩაუნერია. ამოულია ბრწყინვალე სტროფი „მოვიდიან შესამკობად“ – ასე გულში ჩამწვდომად რომ დასურათხატდა გამოჩენილი მხატვრების მიერ.

რაც შეეხება პროფესორ ა. ნიკოლაიშვილის წერილს, ასე ჯიქურ და უმართებულოდ რომ დაესხა თავს დოცენტი; იგი ორიოდ სიტყვით გამოთქმული სურვილია: „კომუნისტის“ მკითხველებს აუწყებს; „კრიტიკამ“ პოლემიკა წამოიწყო და მიაყურადეთ, ამ დემოკრატიის ეპოქაში „ვეფხისტყაოსანი“ ახალი შეცდომებით არ გავამდიდროთო. პროფესორ ა. ნიკოლაიშვილის მხარდაჭერას ძალზედ გაულიზიანება პატივცემული დოცენტი და იგი გაზეთ „კომუნისტის“ პოზიციად მიუჩნევია. სამაგიეროდ, ჩვენ როდი გაგვაგულისა იმ გარემოებამ, რომ გაზეთმა ასე ოპერატიულად დაბეჭდა დოცენტის ფრიად საეჭვოარგუმენტებიანი წერილი.

დრო გარბის. „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტის საბოლოოდ დაზუსტებას სხვა თაობა აიღებს ხელში. დარწმუნებული ვარ იგი დინჯად და მიუყვებულად განსჯის, კამათის კულტურაც უფრო მაღალი ექნება, თავის გამოჩენის სურვილით აცახცახებულ-ამჩატებულ დოცენტსაც და „უჩემოდ“ ვინ იმღერეთას“ აკვიატებული ფიქრით ცხვირაბზუებულ სწავლულსაც თავის ადგილს მიუჩენს.

ღმერთი, რჯული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დაცვის გარდა „კრიტიკას“ სხვა განზრახვა არ ჰქონია და როგორ ვნანობ, რომ ჩვენმა უწყინარმა შენიშვნებმა კომისიის წევრთა და თანამგზავრთა ჯვაროსნული ლაშქრობა გამოიწვია. 15 ივლისს „ლიტერატურულმა საქართველომ“ ცოტნე კიკვიძის წერილი გამოაქვეყნა. განსაცვიფრებელია თ. კვაჭანტირაძის და ც. კიკვიძის მეცნიერული მსჯე-

ელობისა და არგუმენტთა მსგავსება. პატივცემული ცოტნე „უფრო შორს“ მიიწევს და „მშვენივრად“ ასაბუთებს, რომ „გესმის ჩემი ნაუბარი“ უკეთესია, ვიდრე „გესმას ჩემი ნაუბარი“. „ლიტერატურული საქართველოს“ საპასუხოდ მე, ჩანს, ველარ მოვიცლი და მკითხველს ვთხოვ ეს წერილი ც. კიკვიძის პასუხადაც ჩამითვალოს.

1988 წ.

## „ვის შევივლო...“

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გარშემო „კრიტიკაში“ გამართული დისკუსიის შემაჯამებელ წერილს („კომუნისტი“, 7 აგვისტო) ხუთი აკადემიკოსი აწერს ხელს: ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე ბარამიძე, ელენე მეტრეველი, სარგის ცაიშვილი, შოთა ძიძიგური. გულწრფელად უნდა მოგახსენოთ, რომ ეს მართლაც დიდი პატივისცემაა „კრიტიკის“ უპრეტენზიო წამოწყებისთვის. ჩვენ ერთ-ერთი მათგანის გამოხმაურებასაც მონყალებად ჩავთვლიდით. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ჩვენი დილეტანტური კამათით, ანუ კოლექტიურ ავტორთა ტერმინი რომ ვინმაროთ, „არაკომპეტენტური თავდასხმებით“ დიდი მეცნიერების ძუძუს მოვწყვიტეთ აკადემიკოსი და „რამდენიმე საჭირო განმარტების“ წერად დავსვით აკადემიკოსებისთვის ისედაც ყველაფერი ნათელია, მაგრამ ხომ შეიძლებოდა საქმეში ჩაუხედავ მკითხველს მოჩვენებოდა, რომ არაკომპეტენტურ მოკამათებს შემთხვევით, მათდაუნებურად, აქა-იქ სიმართლეც კი წამოსცდათ. აი, სწორედ ამ „ჩვენების“ გასაბათილებლად იყო საჭირო აკადემიკოსური განმარტება და აკადემიურმა აზრმაც არ დააყოვნა. თანაც ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რაც მეტი აკადემიკოსი მოაწერს წერილს ხელს, იმ წერილში მოთხრობილი, მით უფრო ჭეშმარიტი იქნება.

გითხრათ სიმართლე, „რამდენიმე საჭირო განმარტების“ ავტორთა სიას რომ ჩავავლე თვალი, სახე გამინათდა. აქამდე „კრიტიკა“, როგორც მოგეხსენებათ, მეტად საეჭვო მეცნიერული თავდასხმებით (თ. კვაჭანტირაძე, ც. კიკვიძე, გ. კარტოზია) გახლდათ განამებული და საქმის წინ წაწევის მონადინე პირებს კი არა, დისკუსიის დათრგუნვით სახელის შოვნის ვნებით აცახცახებულ ავტორებს ეპაექრებოდა. ახლა კი, მადლობა ღმერთს, ერთბაშად ხუთი ცნობილი აკადემიკოსი გამოგვეხმაურა. – ავშენდით, ახლა კი ვეზიარეთ სიმართლეს. „რამდენიმე საჭირო განმარტებაში“ შეუმცდარად, იქნება განმარტებული, ვინ რაში სცოდავს და რაშია მართალი-მეთქი. ამ

ფიქრით „გაბრწყინებული“ შევუდექე „განმარტების“ კითხვას.

პატივცემული აკადემიკოსები, სხვათა მსგავსად, პირდაპირ საქმეზე ხომ არ გადავიდოდნენ. თავიდანვე ხომ არ მოჰკიდებდნენ ხელს „კრიტიკაში“ გამოქვეყნებულ წერილთა თუნდაც რამდენიმე არგუმენტს. ყველაფერი შესავლით უნდა დაიწყოს კაცმა და განმარტებასაც დიდი შესავალი ახლავს იმის ნათელი მტკიცებით, რომ „ვეფხისტყაოსნის“ „ტექსტის დადგენა და სარერთოდ პოემის ახალი გამოცემების მომზადება... თუ რა სიძნელებთან არის დაკავშირებული, კარგად მოეხსენება ყველას, ვინც კი ოდნავ მაინც არის ჩახედული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიურ საკითხებში“.

რაკი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის სიძნელე დამტკიცდა, ახლა ის უნდა გაირკვეს, რა სჭირდება ამ ეტაპზე „ვეფხისტყაოსანს“ – ტექსტის დადგენა თუ ტექსტის აღდგენა. აკადემიკოსები ამ საკითხსაც ნათელს ჰფენენ: „ამდენად, ფაქტიურად აქ უბრალო ტექსტის დადგენაზე კი არა, არამედ ტექსტის აღდგენაზეა საუბარი“. ესეც შენ, ბატონო ილია ჭავჭავაძე, კომისიას თავის დროზე „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია რომ უწოდებ. ხომ დამტკიცდა, რომ ტექსტის დადგენაზე კი არა, აღდგენაზეა ლაპარაკი. „ვეფხისტყაოსანთან“ მიმართებაში „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აღდგენასა და დადგენას შორის განსხვავება აკადემიკოსებმა უკეთ უწყიან, მე კი ამ საკითხზე თავისმტვრევას სჯობია, დროზე მივადგე განმარტების იმ ადგილებს, სადაც უშუალოდ ჩემი და ჩემი არაკომპეტენტური კოლეგების შენიშვნებია უტყუარი მეცნიერული ლამპრით განათებული-მეთქი და სულმოუთქმელად განვაგრძე კითხვა.

გულმა რეჩნი მიყო, როცა ასეთ ადგილს წავაწყდი: „ქართული მეცნიერების განვითარების დღევანდელ ეტაპზე სრულ ანაქრონიზმად გაისმა ისეთი პოზიცია, რომელიც დაიკავა ამ საშვილიშვილო საქმის მიმართ აღმანახმა „კრიტიკამ“ და პირადად მისმა რედაქტორმა რევაზ მიშველაძემ“. ერიჰა, მართლაც რომ ძალიან შემიტოპავს. ეს რა ჩამიდენია, ლამის შემიფერხებია მეცნიერების განვითარება: „ანაქრონიზმი“ რა არის იმ სალანძღავ სიტყვებთან შედარებით, მე რომ თ. კვაჭანტირაძისა და ც. კიკვიძის წერილებიდან დამფრქვევია. მართლაცდა რა ხათაბალაში ჩავიგდე თავი. იქნებ მართლა „გესმის ჩემი ნაუბარი“ უნდა იყოს, „გესმას ჩემი ნაუბარის“ ნაცვლად, იქნებ „ქვემოკვდრამდის“ უკეთესია, ვიდრე „მკერდამდის“, რაზე გადავიკიდე და გავანაწყენე ეს ჩემთვის ფრიად პატივსაცემი პირები. მერე რა, რომ ისინი ობიექტურნი და სულგრძელნი არიან, არც ერთ მეცნიერულ კიბეზე არ ჩაგისაფრდებიან და სამაგიეროს არ გადაგიხ-

დიან. ბოლოს და ბოლოს ბოროტად ხომ არ უნდა ისარგებლო მათი კეთილგანწყობით, ჩადი, ჩაყევი „განმარტებას“ ბოლომდე, ნახე, რა რკინის ლოგიკით იქნება გაცამტვერებული შენი და დისკუსიის სხვა მონაწილეთა არგუმენტები. აკადემიკოსების დონე შენ თ. კვაჭანტირაძის და ც. კიკვიძის დონე ხომ არ გგონია. როცა დარწმუნდები შენს შეცდომებში, მერე მაინც მოუხმე ჭკუას, თავზე ნაცარი გადაიყარე და განაცხადე, რომ მართალი არა ხარ-მეთქი, ვუთხარი ჩემს თავს.

„დისკუსიის ზოგიერთი მონაწილე ამ საკითხების გარკვევისას, მეტი რომ არა ვთქვათ, მოუმზადებელი აღმოჩნდა“... გვაუწყებს „განმარტება“. სულო ცოდვილო, ამ ფრაზამ ცოტა არ იყოს ამაღელვავა. ეს აზრი ცოტნე კიკვიძის წერილიდან ხომ არ ისესხეს აკადემიკოსებმა, ან დისკუსიის მონაწილენი (მათ შორის პროფ. ალ. ლლონტი და პროფ. ლ. მენაბდე) საკუთარ ასპირანტებში ხომ არ აერიათ-მეთქი, მაგრამ ენას კბილი დავაჭირე. აკადემიკოსი იმის აკადემიკოსია, რომ თუ შენი აზრი არ მოეწონა, „მოუმზადებელი“ უნდა გინოდოს და, შეიძლება, მამაშვილურად დაგტუქსოს კიდევ. თანაც დისკუსიაში ხომ მონაწილეობდა, რა გარანტია გვაქვს, რომ „მოუმზადებელი“ იმათაც არ ეხება-მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ, ოთხიოდე სტრიქონის შემდეგ ეს ეჭვიც გამეფანტა. „მოუმზადებელი“ ჩვენმა კომპეტენტურმა და ერთგულმა უმცროსმა კოლეგებმა, ე მანდ, თავის თავზე არ მიიღონო; და აკადემიკოსს ავტორთა კოლექტივის ზემონათქვამში ასეთი სინათლე შეაქვს: „თუ რა მეცნიერულ დონეზეა შესრულებული ეს წერილები, არსებითად წარმოჩენილია თამაზ კვაჭანტირაძის, ცოტნე კიკვიძის და გურამ კარტოზიას გამომხატურებაში, რომლებიც გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტსა“ და „ლიტერატურულ საქართველოში“. რა განუსჯელი მიკერძობებაა, რა ერთგულების დამტკიცება და თავზე ხელის გადასმის სამარცხვინო რიტუალია მეცნიერული ეთიკის დაცვით ობიექტური განსჯისა და მტყუან-მართლის დადგენის ნაცვლად.

ამას მაინც ხომ უნდა მოჰყვეს ფაქტების ენით საუბარი, ახლა მაინც ხომ უნდა დაამტკიცონ აკადემიკოსებმა თავიანთი პოზიციის სისწორე? მართლა და მართლა თ. კვაჭანტირაძის, ც. კიკვიძის და გ. კარტოზიას პასკვილების იმედად ხომ არ დარჩებიან? სამწუხაროდ, ამჯერადაც ავტორთა კოლექტივმა, სრულიად მოულოდნელად, განზე გაუხვია. თავი აარიდა კონკრეტულ კამათს და ასეთი ქრესტომათიული ჭეშმარიტებით გაგვამდიდრა, ჩვენ, მოუმზადებელი ოპონენტები:

„ვეფხისტყაოსნის“ (და საერთოდ კლასიკურ ქმნილებათა) ფილოლოგიური კვლევა ემყარება ტექსტოლოგიური მეცნიერების თანამედროვე მეთოდებს და იგი მით უფრო რთულია, რამდენადაც ძველია ესა თუ ის ძეგლი“. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ხომ შეიძლება ეს „მეცნიერულად ნათქვამი“ ვერ გავიგოთ, ნუთუ სხვანაირად თქმა (გაუნათლებელი კაცისთვის გასაგებად... „მგზავრის წერილები“ მოიგონე, ძვირფასო მკითხველო, რ. მ.) ამ აზრისა არ შეიძლება? როგორ არ შეიძლებაო, მონყალედ ბრძანებენ აკადემიკოსები: „სხვანაირად რომ ითქვას, უნდა აღვადგინოთ, უნდა დავუბრუნოთ მათ პირვანდელი სახე და არა გავამარტივოთ, გავაუბრალოვოთ ჩვენამდე ისედაც დაზიანებული სახით მოღწეული ტექსტები“.

ამ „სხვანაირად ნათქვამმა“ შიში მომგვარა. აკადემიკოსები ხომ ისე უბრალოდ, სიტყვის მასალად, არაფერს იტყოდნენ, სადმე ხომ არ გვაქვს ჩვენი, მოკამათე ცოდვილთ, გატარებული აზრი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პირვანდელი სახე კი არ უნდა დავუბრუნოთ, არამედ პირიქით უნდა გავამარტივოთ და გავაუბრალოვოთ ჩვენამდე ისედაც დაზიანებული სახით მოღწეული ტექსტები-მეთქი. ვეძებ და „კრიტიკის“ დისკუსიაში ამის კვალიც ვერსად აღმოვაჩინე. მინიშნებითაც კი არსად გვითქვამს. თორემ აკადემიკოსები ხომ ციტატას მიაშველებდნენ ნათქვამს, ამასაც ხომ არ დაგვიკარგავდნენ.

იქნებ გამარტივებად მიიჩნიეს „გესმას ჩემი ნაუბარის“ აღდგენის ჩვენებური სურვილი მათ მიერ სრულიად უსამართლოდ, სწორედ რომ უღვთოდ გამარტივებული „გესმის ჩემი ნაუბარის“ ნაცვლად? იქნებ „მკერდამდის“ ძალიან გაუბრალოებაა მათ მიერ დაკანონებულ „ქვემკერდამდის“-თან შედარებით? „ამირანდარეჯანიანის“ მაგალითით ხომ დავამტკიცეთ, რომ „მკერდამდის“ „ვეფხისტყაოსანზე“ ადრე შექმნილ ძეგლებშიც იხმარებოდა. მაშ ვის გაუმარტივებია და გაუბრალოებია რუსთაველისეული ტექსტი, ჩვენ, თუ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აღმდგენი კომისიის პატივცემულ წევრებს?

რაკი ჩვენს კამათში გამარტივება-გაუბრალოების აკვიატებულ აკადემიკოსური ბრალდების დამადასტურებელი ერთი მაგალითიც ვერ იპოვეს, ავტორებმა თვითონვე საკუთარი, მდიდარი გამოცდილებიდან მოიტანეს გაუბრალოების მაგალითი, რომელსაც ჩვენს დისკუსიასთან არავითარი კავშირი არა აქვს. აი, ეს აკადემიკოსური მაგალითიც:

„იმის გამო, რომ ზოგ გადამწერს არ ესმოდა სტრიქონის შინაარსი და განსაკუთრებით კი სიტყვა „მიშერისა“, იგი შეუცვლიათ გასაგები სიტყვით „მიშერისა“. როგორ მოვიქცეთ, მივიღოთ ეს გამარტივებული ანუ ვულგარული ნაკითხვა, თუ აღვადგინოთ იგი ისე,

როგორც ექნებოდა იგი მის ავტორს და შემონახულია კიდევ ზოგიერთ ხელნაწერში?“

მართლაც რომ, თავისი სირთულით, აკადემიკოსური მაგალითია. უბრალო სწავლული ხომ ვერ გაარკვევდა „მიშერისა“ უნდა დაინეროს თუ „მიშერისა“ (ზოგიერთ ხელნაწერში შემონახულიც რომ არ იყოს, რ. მ.), მაგრამ რა შუაშია რიტორიკული შეკითხვა? ჩვენ რა კავშირი გვაქვს „მიშერის“ „მიშერად“ შეცვლის რთულ, აკადემიურ ოპერაციასთან?

როგორც ჩანს, მართლა გაუჭირდა კოლექტივს ჩვენი დისკუსიის მასალებში მიუღებელი, ან თუნდაც სადავო მაგალითის მოტანა, რაკილა საკუთარ „აღმოჩენებს“ მიუბრუნდა.

ასეა ბოლომდე. არც ერთი ჩვენებური არგუმენტი არ ცქეულა აკადემიკოსების მსჯელობის საგნად. მთელ „განმარტებაში“ ახალი ის არის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიას ავტორები სხვა ადგილას „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიურ კომისიად იხსენიებენ ჩანს, ამით მეტი ავტორიტეტი და აკადემიური წონა ეძლევა ტექსტოლოგთა ჯგუფს, რომელმაც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში ბევრი, აუტანლად ბევრი, მცდარი შესწორება შეიტანა.

ამ კომისიისგან ასეთ საქმეს არ ველოდი-მეთქი რომ ვამტკიცო, გულწრფელი არ ვიქნები, გაკვირვებით, მე, ერთი რამ მიკვირს:

„ვეფხისტყაოსნის“ აკადემიურ კომისიაში პოეტური სიტყვის აღლოს უნარით დაჯილდოვებულ და, საერთოდ, სიტყვის გემო-სუნში ჭეშმარიტად გარკვეული ჩემი საყვარელი პოეტი და მეგობარი ირაკლი აბაშიძე გახლავთ. ამის თქმის საფუძველს მარტო ბატონი ირაკლის მაღალი პოეზია კი არა, წლების განმავლობაში ჩვენი ურთიერთობა და ერთმანეთზე პრესაში გამოთქმული შეხედულებები მაცდევს. მით უფრო ძნელი დასაჯერებელია ჩემთვის, როგორ დაეთანხმებოდა ირაკლი აბაშიძე „გესმას“ შეეცვალათ ფორმით „გესმის“, ან „მკერდამდის“ – „ქვემკერდამდის“. როგორ მისცემდა დასტურს ბ-ნი ირაკლი რუსთაველისეული „ფათერაკი სწორად მოჰკლავს“ შეეცვალათ ასე – „განგებაა სწორად მოჰკლავს“. ეს ხომ ავთანდილის (და იქნებ რუსთაველის, რ. მ.) მიერ ღვთის უარყოფაა? განგება თუ ვერ არჩევს, ვინაა მოსაკლავი, მოჰყვება და ხოცავს „ერთი იყოს თუნდა ასი“ ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ღმერთიც უსამართლოა? ხომ ხედავთ, როგორ მივყავართ უბოროტო აჩქარებას „ვეფხისტყაოსნის“ თეოლოგიური სისტემის მსხვრევამდე. რუსთაველს, ბოლოს და ბოლოს ისეთ რამეს ნუ დავაბრალებთ, რაც არ შეიძლებოდა ეფიქრა მე-12 საუკუნის ქართული რენესანსის ამ სწორუპოვარ წარმომადგენელს. როგორ დაეთანხმებოდა ირაკლი აბაშიძე „გო-

ნიერსა მწვრთნელი უყვარს“, ასე დაემახინჯებინათ – „გონიერთა მწვრთნეოლი უყვარს,“ როგორ დაუკრავდა კვერს ირაკლი აბაშიძე „ვეფხისტყაოსნიდან“ ბრწყინვალე სტროფის – „მოვიდიან შესამკობლად“... გაძევებას. ნუთუ ბ-ნი ირაკლის თანხმობითაა „მესამე ლექსი კარგი არს სანადიმოდ, სამღერელად?“ ყველა-ყველა და როცა აკადემიური კომისია ამ პრობლემას წყვეტდა, ბ-ნი ირაკლის არ გაახსენდებოდა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ბევრგან გვხვდება „კარგიას“ მსგავსი ფორმები: „იგია ჩემი სიცოცხლე“, „იგია საქმე საზეო“, „იგი სხვაა, სიძვა სხვაა“, „რასაცა გასცემ – შენია“ და ა. შ.?

ერთადერთი უწყება, რომელმაც „კრიტიკის“ დისკუსიას კეთილი თვალთ შეხედა, გამსახკომი გახლდათ. გამსახკომის წერილი რომელიც გამომცემლობათა დირექტორებს დაეგზავნა, ასე მთავრდებოდა: „მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემები განხორციელდეს მეცნიერებათა აკადემიის მიერ დადგენილი ტექსტის შესაბამისად.

რესპუბლიკის გამომცემლობათა დირექტორებმა ყურადღებით მიადევნონ თვალყური აღმანახ „კრიტიკის“ მიერ წამოწყებულ დროულ დისკუსიას და შესაბამისი სამეცნიერო დანებსებულებების მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების შედეგები გაითვალისწინონ „ვეფხისტყაოსნის“ მომავალ გამოცემებში“ (02-17/22).

როგორ თუ „თვალყური მიადევნონ? ეს უწყინარი ფრაზაც არ აპატიეს გამსახკომს აკადემიკოსებმა და „კომუნისტის“ ფურცლებიდან თითი დაუქნიეს: „ჩვენი გაოცება გამოიწვია აგრეთვე გამსახკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ე. სიხარულიძის ნაჩქარევმა განკარგულებამ, რომელშიც სრულიად გამრუდებულია გამსახკომში ჩატარებული თათბირის შინაარსი“. რა გაამრუდა გამსახკომმა? იქნებ აკადემიის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის კომპეტენტურობაში შეიტანა ეჭვი, ან გამომცემლობებს განკარგულება მისცა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემები აკადემიის მიერ დადგენილი ტექსტის შესაბამისად არ განხორციელდესო? კარგ მთქმელს, მართლაც რომ, კარგი გამგონე უნდა. ნუთუ ისე ზღვარდაუდებელია ამ აკადემიური კომისიის ამბიციურობა, რომ ისინიც იზიარებენ გამსახკომის სხდომაზე კომისიის ერთ-ერთი წევრის მოუზომავ განცხადებას: „პრინციპის გულისთვის თქვენს არც ერთ შენიშვნას არ მივიღებთო?“

რა პრინციპია? ვინ ართმევს ქართველ ხალხს უფლებას თავის „ვეფხისტყაოსანს“ გამოექომავოს და იგი ერთ მუჭა სწავლულებს არ შეატოვოს ხელში?

სამწუხარო ის გახლავთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შერყვნილი ტექსტი ყოველ წელს ათიათასობით იბეჭდება და მწერალთა კავშირი – შოთა რუსთაველის უპირველესი მემკვიდრე, ზრუნვისმოვალე დანესებულება დუმლილის პოლიტიკას ადგას.

უმორჩილესად გთხოვთ, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური კომისიის წევრებო, ნუ გაჯიუტდებით, უცილებლობა ქეშმარიტების დადგენისთვის ფრიად საეჭვო პოზიციაა. თქვენს დიდ ცოდნას და დამსახურებას მოქალაქეობრივი გულისხმიერებაც მიაშველეთ და ის რამდენიმე უდავო ცვლილება მაინც შეიტანეთ თქვენს დადგენილ ტექსტში „კრიტიკის“ დისკუსიამ რომ დააყენა.

თაობები იცვლებიან. ნუ გაიკვირვებთ, თქვენთვის კონსერვატორობა არავის დაუბრალეია. ამპარტავნობა ეროვნულ საქმესთან რა მოსატანია. განა გისაყვედურათ ვინმემ თავის დროზე, თქვენც რომ განსჯის საგნად აქციეთ „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვისეული გამოცემა, რომლის ტექსტის დამდგენ კომისიას ილია ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ივანე მაჩაბლის, იონა მეუნარგიას და სხვათა ნათელი სახელები ამშვენებდა? ჩვენ შორის დარჩეს და ჩვენ ხომ უფრო მეტი საბუთი გვაქვს (თუ სახელებს ავწონით, რ. მ.) ილიას კომისიის მიერ დადგენილი ტექსტის თქვენ მიერ განუკითხავ სწორებაში ცოტათი მაინც დაეჭვებული ვიყოთ?

„ვეფხისტყაოსნის“ უკეს გამოცემის სურვილმა დაბადა ჩვენი დისკუსია. კაცმა რომ თქვას, თქვენც ეს სურვილი გამოძრავებთ და გასაყოფი არაფერი გვაქვს.

„კრიტიკას“ თხოვნა-აჯის მეტი არაფერი დარჩენია. „ვის შევჩვილო, რუსთაველი მკვდარია“. ჩვენც გვაპატიოს შეცოდებანი მისმა ნათელმა სულმა და იქნებ თქვენც სთხოვთ შენდობა იმისათვის, რომ, აქაოდა, თვითონ ველარ წაიკითხავსო, ერთ ღრუბლიან დღეს ადექით და „გესმას ჩემი ნაუბარი“ განსაცვიფრებელი, აღმამფოთებელი „გესმის ჩემი ნაუბარით“ შეცვალებთ.

1988 წ.

## წერილი რედაქციას

თქვენ სარედაქციო ჩანთაში, ალბათ, „კრიტიკის“ მიერ წამოწყებული დისკუსიის განმაქიქებელი სხვა წერილებიც იქნება, – ერთი კი გავიფიქრე, ბარემ ჩამოიბეჭდოს ყველა წერილი და, თუ შეეძლება, ყველას ერთად გავცემ-მეთქი პასუხს, მაგრამ ამჯერად იმიტომ

ვიჩქარე, რომ გაგაფრთხილოთ: „კრიტიკაზე“, ან მის რედაქტორზე სხვა წერილებს რომ დაბეჭდავთ, ცოტა რედაქციული დამუშავებაც მოიხმარეთ. თქვე დალოცვილებო, სხვა წერილებში ასე „კარგად“ თუ იცავთ პოლემიკის კულტურის პრინციპებს, ახლა რა ღმერთი გაგინყრათ? „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიის წევრს – ბატონ ცოტნე კიკვიძეს ვერ ურჩიეთ, რომ ლანძღვა-გინების კორიანტელი არ დაეყენებინა თავის სტატიის მიხედვით? მე თურმე „ვეფხისტყაოსნის“ ენა VIII–IX კლასების მოსწავლის დონეზეც არ მცოდნია, ხოლო ა. ნიკოლეიშვილი „იმდენს ბედავს, რომ წერს“. ქალბატონ თამარ დაუშვილს კი სრულიად უცერემონიოდ და რაინდული კანონების უგულვებელყოფით „უვიცს“ უწოდებს. შორსა ვარ იმ აზრისაგან, თითქოს თქვენც ეთანხმებოდეთ პატივცემული ც. კიკვიძეს სალანძღავი ეპითეტების უხვად გაცემაში, თუმცა მეშინია, რომ იმ ჯიუტმა ფაქტმა ჩვენს მომავალ ურთიერთობაზე ურიგოდ არ იმოქმედოს.

მე რომ წერა-კითხვა ვიცი, არაერთხელ დამიმტკიცებია ჩემი ერისათვის და თუ ღმერთმა დამაცადა, შეიძლება თქვენც დაგიმტკიცოთ. მაგრამ მე უფრო ც. კიკვიძის წერილის გაუსწორებლად, ოპერატიულად დაბეჭდვამ შემაფიქრინა. ჩვენ ხომ ჩვეულებრივ ასე ვიცით: აბა, ჰე, რაკი მიშველადის კრიტიკას მწვანე შუქი მიეცა, არ დავახანოთ და გავუხსნათ ცეცხლი ყველა სანგრიდანო.

შეიძლება მედიდურობად მოგეჩვენოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა მოგაგონოთ, რომ მე, მწერალი რევაზ მიშველაძე ვარ, ხოლო ისინი, ვინც პრესაში ჩემ წინააღმდეგ გაჩაღებულ მოძრაობას სულს უბერავს და წერილს წერილზე უკვეთავენ ხელმოცარულ კრიტიკოსებს ერთი მხრივ, ლიტერატურასთან ცა და მიწასავით დაშორებული, შემთხვევითი პირები არიან, ხოლო მეორე მხრივ, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის უნებლიედ დამმახინჯებელი. ასე რომ, ამ პასუხს პროზაიკოსი რევაზ მიშველაძე არამც და არამც არ მოგწერდათ (მას თავისი საქმე ჰყოფნის). ამ წერილს „კრიტიკის“ რედაქტორი გწერთ და მხოლოდ და მხოლოდ ერთი სურვილით – ვინდლო თქვენზე უფრო კომპეტენტურ და საქმეში ჩახედულ პირებს ნააკითხ-გაასწორებინოთ ჩემზე შეთხზული სხვა სალანძღავი წერილები.

ც. კიკვიძის წერილით სავალალო რამ გაირკვა – თურმე ისე გაუტაცნია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის წევრები საყვარელ საქმეს – რუსთაველის პოემის გაუთავებელ ჩხრეკა-ჯიჯგნა-სწორებას, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ანდერძებით ბოძებულ, მემკვიდრეობით რგებულ ნივთად მიუჩნევიან და მედიდურად ჩაუბღუჯავთ. ყური მქონდა მოკრული, – რამდენიმე ცრუ სწავლულია

საქართველოში „ვეფხისტყაოსანს“ რომ ისე ექცევიან, როგორც საკუთარ ხელთათმანსო და შეუპოვრად სდევნის ყველას, ვინც რუსთაველს მეცნიერის ლამპრით მიუახლოვდებაო, მაგრამ სანამ ჩემს კისერზე არ გამოვცადე, არ მჯეროდა.

ლანძღვა-გინების გარდა, რა წერია ც. კიკვიძის წერილში?

„ორივე ფორმა: გესმის, გესმას დასაშვებია, მაგრამ რედაქციამ უპირატესობა მისცა „გესმის“ ფორმას, რადგან მას მხარს უჭერს „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად ხელნაწერთა აბსოლუტური უმრავლესობა (მხოლოდ ორ ხელნაწერთა „გესმას“), – წერს ც. კიკვიძე.

ხომ ხედავთ, ძვირფასო მკითხველო, რა ყოფილა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის ძირითადი მეთოდი. ჯერ დათვლიან საერთოდ ხელნაწერებს, მერე დათვლიან რამდენ ხელნაწერშია ფორმა „გესმის“, მერე დათვლიან რამდენ ხელნაწერშია ფორმა „გესმას“. მორჩა და გათავდა! რაკი „გესმას“ „მხოლოდ ორ ხელნაწერშია“ (ც. კიკვიძე) და „გესმის“, ვთქვათ, ცხრაში, რაღაა სადავო? ცხრით – ორია, მაშასადამე, ფორმა „გესმის“ უნდა დაკანონდეს. ამას მოანდომეთ ოცდაორი წელი, ძვირფასო ტექსტოლოგებო? ფორმათა მექანიკურ დათვლას რად უნდოდა აკადემიკოსობა, ამას ხომ ისეთი „უპრეტენზიო“ მეცნიერიც მშვენივრად შეძლებდა, როგორც ც. კიკვიძე გახლავთ.

ამიტომ იყო განგაში რომ ავტეხე „კრიტიკის“ ფურცლებიდან, არიქა, მეცნიერების კორიფეები წავიდნენ, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენა შედარებით უბრალო მოკვდავთ შერჩათ ხელში, ოცი წელია საეჭვოდ სდუმან, რაღაც ფარსავი არ სჭირდეს „ვეფხისტყაოსანს“-მეთქი.

მარტო ერთ ხელნაწერში რომ ყოფილიყო ფორმა გესმას“ და ორმოც ხელნაწერში „გესმის“, ძვირფასო ც. კიკვიძე, ლიტერატურული ალლოთი დაჯილდოებული მეცნიერი უპირატესობას უსათუოდ ფორმა „გესმას“ მისცემდა და თავისი მსუბუქი ხელით არ ჩასწერდა „ვეფხისტყაოსანში“ რუსთაველის თავისმომჭრელ კითხვისნიშნის ჩივილს – „გესმის ჩემი ნაუბარი?“ გესმის ჩემი ნაუბარი, ბატონო ცოტნე?

ამიტომ გამოვთქვი შიში, ვაითუ რუსთაველს მწერლის, პოეტის თვალთ არ უცქერიან და მარტო გრამატიკის უკვდავი კანონებით ასწორებენ-მეთქი.

პატივცემულო რედაქციავ, იქნებ დამეხმაროთ, ჩანს, მე ვერაფრით გავაგებინებ ც. კიკვიძეს – რატომ არ ვარგა „გესმის“... ჩვენ რადიკალურად განსხვავებული გემოვნების ადამიანები აღმოვჩნდით.

იქნებ, მართალი არა ვარ? იქნებ მარტო ამ ერთ შემთხვევაში გადაწყვიტა ყველაფერი არითმეტიკამ, არითმეტიკამ, რომელიც ც. კიკვიძემ, IV კლასის გრამატიკასთან ერთად მშვენივრად იცის?

ვნახოთ, როგორ გადაწყდა 1937 წ. გამოცემის „გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს“. 1986 წლის გამოცემაში შეცვლილიყო ასე – „გონიერთა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს“. იქნებ აქ მაინც მოქმედებდა მწერლური ინტუიციის, გემოვნების პრინციპი უმჯობესი-უარესი ფორმის შერჩევისას? მოვუსმინოთ ც. კიკვიძეს: „რედაქციის სხდომაზე გაიმართა სპეციალური მსჯელობა ამ ნაკითხვებზე და დადგინდა, რომ მრავლობითი რიცხვის ფორმები უფრო მისაღებია, რადგან „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების 4 რედაქციიდან 3 რედაქციის ხელნაწერები ამ ნაკითხვას უჭერენ მხარს“.

ისევ არითმეტიკა. ამჯერად მინიმალური ანგარიშით – 4:3 გაიმარჯვა უხერხულმა, არაბუნებრივმა, არაპოეტურმა ფორმამ.

ასევე „მშვენივრად“ დაასაბუთა ც. კიკვიძემ, რომ ფორმა „ქვე მკრდამდის“ უკეთესია, ვიდრე „მკერდამდის“. რით დაასკვნა? თურმე „ძველ და რუსთველისდროინდელ ქართული ჩვეულებრივია „მკერდ“ სიტყვის შეკუმშული ფორმები“.

თუ ასეა, „ვეფხისტყაოსანზე“ ადრე დაწერილ „ამირანდარეჯანიანში“ (მოსე ხონელი, რ. მ.) როგორღა გაჩნდა „მკერდამდის“ ვნახოთ: „ჰკრა დარეჯანისძემან ჩაბალახსა ზედა ხრმალი და მკერდამდის ჩაკვეთა და მოკლა ბალხამ ყამის ძე („ქართული პროზა“, მოსე ხონელი, „ამირანდარეჯანიანი“, ნიგნი მეორე, გვ. 235, 1982 წ.). თუ მოსე ხონელი იყენებდა ამ ფორმას „მკერდამდის“ რატომ ნავართვით რუსთაველს ამ ფორმის გამოყენების უფლება? ესეც არ იყოს, რატომ არ მოუხმეთ მწერლურ გუმანს, მწერლურ ალლოს, ძვირფასო მოანგარიშე-ტექსტოლოგებო? სად „მკერდამდის გასაპოხელად“ და სად ენის გასატეხი „ქვე მკრდამდის გასაპოხელად“.

ც. კიკვიძის წერილში უხვად წარმოდგენილი მსგავსი კურობების მოტანით მკითხველს აღარ გადავლლი.

ბატონი ც. კიკვიძე წამდაუნუმ მიმითითებს, ტექსტის დამდგენი კომისიის ამა და ამ სხდომის ოქმში რომ ჩაგვხედათ, თქვენთვის ყველაფერი ნათელი იქნებოდაო. სხდომათა ოქმები „მაცნეში“ იბეჭდებოდა. კითხვით როგორ არ ვკითხულობდი და ხშირად გაოცებულიც ვიყავი ისეთ „აღმოჩენას“ შემოგვთავაზებდნენ ტექსტის დადგენის ოსტატები, მაგრამ იმ ოქმებზე სპეციალური წერილის დაწერას ვაპირებ და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

მინდა ვკითხო პატივცემულ ც. კიკვიძეს, რატომ უნდა მერბინა სპეციალურ სამეცნიერო ჟურნალში დაბეჭდილი ოქმების ნასაკითხად? რატომ გამიხადეთ უოქმო საოქმოდ?

ვთქვათ, შევიძინე მე უბრალო ქართველმა მკითხველმა ამ ბოლო წლებში „ვეფხისტყაოსანი“. ნავიკითხე და ელდა მეცა, სადღაა ჩემი უსაყვარლესი სტრიქონი... „კარვის კალთა ჩახლართული ჩავეჭერ, ჩავაკარაბაკე“, სადღაა დიდებული სტროფი „მოვიდიან“ შესამკობლად... სადღაა ინდო-ხატაელთა მშვენიერი ამბავი“. ხოლო რაცაა დარჩენილი ისიც უცნაურად, გაუგებრად შერყვნილი და გაუბედურებულია. რაო, არა მაქვს უფლება მე, ქართველ მკითხველს, ვიკითხო: სად ნაიღეთ „კარვის კალთა ჩახლართული“, ან რატომ ათქმევინეთ რუსთაველს „ქვე მკრდამდის“ და „გესმის ჩემი ნაუბარი“?

ამაზე ნათელი და „ამომწურავი პასუხის მისაღებად“, „მაცნე“ უნდა მქონდეს ილლიაში ამოჩრილი? ვთქვათ, მეცნიერულად „დამიმტკიცა“ „მაცნეში“ დაბეჭდილმა ოქმმა, რომ „კარვის კალთა...“ ვეფხისტყაოსანში არ უნდა იყოს. რა შეღავათია ეს ჩემთვის? „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის წევრებზე გულსგატეხვის მეტს რას მომცემს ასეთი „მტკიცება“?

გთხოვთ, ძვირფასო კოლეგებო, რაკი ც. კიკვიძის წერილი უცვლელად დაბეჭდეთ, ჩემს წერილსაც ნუ დაუნყებთ ნამეტან კირკიტს. დაბეჭდეთ და, თუნდაც თქვენებურად, დიდსულოვნად, მინანური გაუკეთეთ: „რ. მიშველაძის ამ წერილის პათოსს არ ვეთანხმებით, მაგრამ მაინც ვაქვეყნებთ-თქო“.

პატივისცემით რევაზ მიშველაძე

1988

## არ ენდოთ!

სამწუხარო ამბავი უნდა ვაუწყო მკითხველს. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენმა კომისიამ, როგორც მოველოდით, აღასრულა თავისი საქმე – ოცი წლის განმავლობაში ერთგულად დამახინჯა ჩვენი უპირველესი ნიგნი და აჰა, საბოლოოდ შერყვნილი სახით გამოსცა („მეცნიერება“, 1988 წ. ტირაჟი 50 000). ყელი მიშრება და ხელი მიკანკალეხს ახლა, როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ. ამაო აღმოჩნდა წლების განმავლობაში კომისიის არანევერ სპეციალისტთა მიერ გამოთქმული შენიშვნები, ამაო აღმოჩნდა მკითხველთა მიერ

უანგაროდ გამოთქმული ვარაუდები, ამოდ დაშვრა „კრიტიკა“, რომელმაც ბოლო ხუთი ნომერი გულუხვად დაუთმო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აღდგენის პრობლემებს. 1966 წლამდე მომუშავე კომისიამ რუსთაველის პოემაში აუხსნელ „შესწორებათა“ დაკანონება საბოლოოდ ვერ მოასწრო, მაგრამ 1968 წელს შექმნილმა კომისიამ საბოლოოდ მოუთავა „ვეფხისტყაოსნის“ ხელი. წინა კომისიის შეცდომებიც გაიმეორა და თავის მხრივ ახალიც დაამატა. როგორც იქნა, დაიყვანეს გენიალური პოეტი შუასაუკუნეთა საშუალო პოეტის დონეზე. როგორც იქნა მიაღწიეს „ვეფხისტყაოსნის“ საბოლოოდ შერყვნას. ამ მხრივ ჩვენს ინდუსტრიულ საუკუნეში „ვეფხისტყაოსნის“ ჯიჯგნამ არნახული ტემპი შეიძინა (ნეტავ ასეთი ტემპით ჩვენი სახალხო მეურნეობა განვითარებულიყო). უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე გაკეთდა „ვეფხისტყაოსნის“ შერყვნის საქმეში ოცჯერ უფრო მეტი, ვიდრე მთელი რვაასი წლის მანძილზე. როგორ ფიქრობთ, ვინ ჩაიდინა ეს საჯაყი საქმე? პოემასთან მეცნიერის ლუპით მისულმა სწავლულებმა. აი, „ვეფხისტყაოსნის“ საბოლოოდ დადგენილი ტექსტის მთავარი რედაქცია: ალექსანდრე ბარამიძე (მთავარ რედაქტორი), გიორგი ნერეთელი (მთავარი რედაქტორი), სარგის ცაიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), გურამ კარტოზია (მთავარი რედაქციის სწავლული მდივანი), ირაკლი აბაშიძე, ილია აბულაძე, ივანე გიგინეიშვილი, ცოტნე კიკვიძე, ელენე მეტრეველი, შოთა ძიძიგური. დაიმახსოვრეთ ეს გვარები, ძვირფასო მკითხველებო. პატივცემულმა მეცნიერებმა ოცი წლის განმავლობაში შემოივლეს „შეუვალი ზღუდე“, დაიხშვეს ჭეშმარიტი მეცნიერული კამათის სასამენელი, არ მიუშვეს ამ საერთო-ეროვნულ საქმესთან არც თავიანთი სხვა კოლეგები და არც ქართველი მწერლები. თითქოსდა შეთქმულება მოაწყვესო სალი აზრის წინააღმდეგ, არცთუ მთლად მეცნიერული ტერმინი რომ ვიხმაროთ: აამღვრიეს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი და ასე მოსრილ-არეული წარმოგვიდგინეს.

წინასწარ ვგრძნობ ჩემს დონკიხოტურ მდგომარეობას. გამკითხავი არავინ არის. ახლა ამ ჩემს წერილს (წერილს კი არა ყვირილს მთელი საქართველოს გასაგონად) მოჰყვება აკადემიკოსთა პასუხი გაზეთ „კომუნისტში“. აკადემიკოსები ამცნობენ ქვეყანას, რომ მე წინასწარგანზრახვით ვაბიპრუებ მათს კეთილშობილურ შრომას. მერე სწრაფად გამოაცხადებენ, ამით ვწყვეტთ კამათსო და ისევ თავიანთ მაღალ აკადემიურ გალავანში შეიკეტებიან. ავი საქმე ძველი გზით წავა. კვლავ ჩამოებჭდავს მანქანა და ქვეყანას მოჰფენს შერყვნილ „ვეფხისტყაოსანს“. ნუთუ არავის ესმის სიტუაციის მთე-

ლი სივალაღე? ამ ერთი წლის განმავლობაში არაერთ ჩვენს სახელოვან პოეტს ვთხოვე: შენს სიტყვას წონა აქვს, გადახედე, „გასწორებულ“ „ვეფხისტყაოსანს“, ამოიღე ხმა, არ შეიძლება მთელი ცხოვრება შენი წიგნის ბეჭდვა-გვირისტით იყო დაკავებული, ცოტა შენს დიდ ძმას, შენზე ამაგგანეულ შოთა რუსთაველსაც მიხედეთქი. მხოლოდ ორიოდ პოეტმა გადადგა „ვეფხისტყაოსნის“ დაცვის კეთილშობილური ნაბიჯი. დანარჩენი დუმილით შეხვდა ჩემს ღალადისს. „მოცლილი“ მარტო მე აღმოვჩნდი.

რაი მერე? თუ გახსოვთ, თავშივე დაგვპირდა აკადემიური კომისიის ერთ-ერთი წევრი; ცამდე მართალიც რომ იყოთ, არც ერთ თქვენ შენიშვნას არ გავითვალისწინებთო. დაგვპირდა და შეასრულა კიდევ. საგანგაშო და საყოველთაოდ ცხადი, ეჭვმიუტანელი ლაფსუსებიც არ გაუხსნორებია. მერედა, რაზე ცდიან, მკითხველო, თავიანთ ჯიუტ ნებისყოფას? საქართველოს მარგალიტზე; ვის უდგანან კრიჭაში? – შოთა რუსთაველს! ღმერთი არ არის? ასე როგორ დაყრუვდა ქვეყანა, რომ შვიდი კაცის ბუტიობას უნდა გადავყოლოთ ჩვენი უპირველესი განძი? არ ეყო, არა, ნიჭი, ცოდნა, ალლო, პოეზიის, სიტყვის მაღლსა და ღირებულებაში გარკვევის უნარი კომისიას. მერე რა მოხდა? ქვეყანა არ დაიქცეოდა თუ მათი ოცნლიანი ნამუშავევი ტექსტის დადგენის ცდად და ერთ-ერთ ვარიანტად დარჩებოდა. ქვეყანა იმიტომ იქცევა, რომ კომისიას პრეტენზია აქვს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე მუშაობა დასრულებულად მიიჩნიოს და სარეცენზიო წიგნი „ვეფხისტყაოსნის“ საბოლოო ვარიანტად წარუდგინოს მკითხველს.

სწორედ ამ „საბოლოო ვარიანტზე“ მოგახსენებთ და არა რომელიმე გამომცემლის ვარაუდებზე, ბატონებო.

გადაშალეთ ზემოთ ხსენებული გამოცემა და 72-ე გვერდზე, 444-ე სტროფის მესამე ტაეპი ნაიკითხეთ:

„კ ა ც ს ა შ ე ვ ე ც, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიჰხდეს მზესა“;

ახლა ილია ჭავჭავაძის (შეგახსენებთ იმ კომისიის ზოგ წევრს: თვით ილია, აკაკი ნერეთელი, გრიგოლ ორბელიანი, ივანე მაჩაბელი, იონა მეუნარგია...) კომისიის მიერ დადგენილ ტექსტს ჩაჰხედეთ:

„კ ა ც ს შ უ ბ ი ვ კ ა რ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიჰხდეს მზესა“.

აკადემიურმა კომისიამ გამოთქვა „კაცს შუბი ვკარ“, შეცვალა გამოთქმით „კაცსა შევეც“. ვიმსჯელოთ და ვიკამათოთ ამაზეც“ ვიმტვრიოთ თავი, დანერდა თუ არა რუსთაველი „კაცსა შევეც-ს?“ კიდევ გაასავსავებენ ხელებს „ამხანაგები“, „ეგ რთული საკითხია



და, თუ ძმა ხარ, ნუ ჩაგვრევ ამ საქმეშიო?“ რა არის რთული? „კაცს შუბი ვკარ“ შეიცვალა ჭკუიდან შესარყევი „კაცსა შევეც-ით“ და ესაა რთული, სპეციფიკური საკითხი?

იქნებ კორექტურააო, იკითხავს მკითხველი, რომელსაც არამც და არამც არა სჯერა, რომ ათი სერიოზული მეცნიერი ამას შეგნებულად ჩაიდენდა. ნეტავ კორექტურა იყოს. ამ საკითხზე ნ. ნათაძემ ჯერ კიდევ „კრიტიკის“ 1988 წლის მეხუთე ნომერში ატეხა განგაში: „როგორც „მაცნეში“ გამოქვეყნებული ოქმებიდან ვტყობილობთ, განზრახული ყოფილა, რომ ტრადიციული ნაკითხვა:

„კაცს შუბი ვკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიჰხდეს მზესა, შუბი გატყდა, ხელი ჩავყავ, ვაქებ, ხმალო, ვინცა გლესა!“

შეიცვალოს ასე: „კაცსა შევეც, ცხენი დავეც...“ როცა ნ. ნათაძემ ეს აზრი დასაბეჭდად რედაქციაში მოიტანა, ალმაცერად შევხედე. მთლად ასე როგორ იქნება-მეთქი საქმე, ბატონმა ნოდარმა „მაცნე“ გამოიმინოდა. და აი, ახლა „საბოლოო“ ტექსტში შავით თეთრზე სწერიან ის, რის დაუყოვნებლივ გასწორებას მაინც მოველოდით, სხვას თუ არა. „განზრახული ყოფილაო“ ნოდარ ნათაძე წერდა, განზრახული სისრულეში მოუყვანიათ. დავჯდეთ და ვიკამათოთ, პატივცემულო მკითხველებო და გამომცემლობათა მესვეურებო? ვისთვის ვიკამათოთ, რისთვის? ხომ ხედავთ, რომ ჩვენს კამათს წისქვილში ლაყბობად თვლიან აკადემიკოსები, ხომ დარწმუნდით ნოდარ ნათაძის შენიშვნას უგულისყურობის აკადემიური კომისიის მიერ აღმართული რა ცივი კედელი დახვდა?

მოვალეობად მიმაჩნია მივუთითო მკითხველს კიდევ რამდენიმე „მარგალიტზე“ აკადემიურმა კომისიამ რომ შემოგვთავაზა. იმიტომ კი არა, რომ დიდი იმედი მაქვს; ჩემს შენიშვნებს ყურად იღებენ-მეთქი, უბრალოდ ქვეყანას მინდა გავახსენო; ილია ჭავჭავაძის მიერ ხელდასმული რა მშვენიერი „ვეფხისტყაოსანი“ გვეკონდა ხელთ, სანამ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია თავის „სასახელო ეპოპეას“ დაინყებდა და დაასრულებდა.

შედარებისას ისევ ქართველიშვილისეულ გამოცემას მივმართავ, გამოცემას, რომელსაც ვენდობი იმიტომ, რომ ილია ჭავჭავაძის მაღლიანი ხელი ეტყობა და ილია – რედაქტორის ნათელი ადგას: („ვეფხისტყაოსანი“ ილ. „ქართველიშვილისეული გამოცემა“ „საბჭოთა საქართველო“, 1988 წ.). პირველად ამოვწერ ილია ჭავჭავაძის კომისიის მიერ შერყენილს. მე დავიღალე უშედეგო მტკიცებით, განსჯა თქვენთვის მომინდვია:

„ნუვინ გარევთ ერთმანერთსა! გ ე ს მ ა თ ჩ ე მ ი ნ ა უ ბ ა რ ი“. „ნუვინ გარევთ ერთმანერთსა! გ ე ს მ ი ს ჩ ე მ ი ნ ა უ ბ ა რ ი!“

ამ შემთხვევაზე საკმაოდ ვიხუმრეთ და თავს აღარ შეგანყენთ.

„ი გ ი ნ ა ვ ა დ ა ს ხ ვ ა მოვა ტურფასა საბაღნაროსა,–“  
„ი გ ი ნ ა ხ დ ე ბ ი ს, ს ხ ვ ა მოვა ტურფასა საბაღნაროსა;“

ნახეთ, როგორაა წელში გადატეხილი ბრწყინვალე სტრიქონი. ჩაქუჩითაა დამსხვრეული „იგი ნავა და სხვა მოვა-ს“ დიდებული მუსიკალურობა.

„ს ხ ვ ა გ ა ნ ჰ ქ რ ი ს მისი გონება, მისმან თავისა წონამან!“  
„ს ხ ვ ა გ ა ნ ქ ნ ი ს მისი გონება მისმან თავისა წონამან“.

რატომ? რატომ? რაო, რაკი გონებასთან გვაქვს საქმე „ქრის“ შეუფერებელიაო? განა ცოტა მაგალითი ვიცით იმისა, რომ კაცი სრულიად სხვა საქმისთვის არის მონოდედებული და მისი გონება კი ჯიუტად „სხვაგან ქრის?“

„ზოგსა გარდაჰკრის მათრახი მ კ ე რ დ ა მ დ ი ს გასაპოებლად“.  
„ზოგსა გარდაჰკრის მათრახი ქ ვ ე მ კ რ დ ა მ დ ი ს გასაპოებლად“.

ამაოდ ვამტკიცებ „მკერდამდის“ ფორმის რუსთაველის ეპოქაზე ადრინდელობა. კომისიამ ჯიუტად „გაიტანა თავისი“.

„ფ ა თ ე რ ა კ ი სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი;“  
„გ ა ნ გ ე ბ ა ა სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს თუნდა ასი;“

არც ამ ტაეპს ეშველა, ფათერაკის“ ნაცვლად ყოვლად გაუმართლებელი „განგება“ დაკანონდა.

„ს ა ნ ო ლ ს მ ე კ ა რ ე შემოდგა, მოლარე გაიყვანა მან;“  
„ს ა ნ ო ლ ი ს მ ე კ რ ე შემოდგა, მოლარე გაიყვანა მან;“

ზაფრანის ფერი როგორ არ დაგედება კაცს, როცა წარმოიდგენ, რომ სანოლ ოთახს მომდგარ მეკარეს ვინრო სპეციალობა „სანოლის მეკრეობა“ დააბრალეს. აქ „მეკრე“, იქ „მკრდამდის“, აფსუს, რუსთაველის სიტყვის სილაღე და სიმსუბუქე?

ვფიქრობ, მაგალითების მოტანას აზრი აღარა აქვს. ამ ფაქტე-  
ბითაც დასტურდება რისი თქმაც მსურდა: არ ენდოთ „ტექსტის“ აღ-  
მდგენი აკადემიური კომისიის მიერ აღდგენილ „ვეფხისტყაოსანს“.   
იგი შერყენილი, ცრუ „ვეფხისტყაოსანია“!

1989 წ.

## ნუ გავაზვიადებით

დიდი გამოხმაურება გამოიწვია „კრიტიკის“ მეხუთე ნომერში  
გამოქვეყნებულმა ლევან სანიკიძის პოლემიკურმა სტატიამ „მინც  
საკუთარ გორისთვის“ და მინაწერმა „რედაქციისაგან“.

„კრიტიკის“ ამ პუბლიკაციას ჯერ „ახალგაზრდა კომუნისტის“  
ფურცლებიდან ახალგაზრდა თეატრთმცოდნეებმა „უნმანური“  
უნოდეს, მერე კინემატოგრაფისტთა კავშირის სამდივნომ „უხამსად“  
მონათლა, ხოლო ბოლოს თეატრალურმა საზოგადოებამ ჩათვა-  
ლა, რომ თუ რაიმე უმლის საქართველოს კონსოლიდაციას ხელს,  
სწორედ ლევან სანიკიძის ეს წერილი და განსაკუთრებით მინაწერი  
„რედაქციისაგან“.

გამოხმაურებათა ქარავანი გრძელდება.

ამთავითვე უნდა განვაცხადოთ, რომ, როგორც ჩანს, სიტყვე-  
ბი „უნმანური“ და „უხამსი“ ჩვენ და ჩვენს მეგობრებს სხვადასხ-  
ვაგვარად გვესმის რაკილა ამ ცნებათა სწორი, ტრადიციული მნიშ-  
ვნელობიდან გამომდინარე ზემოთ ხსენებულ წერილებში ჩვენ  
უხამსობის და უნმანურობის ნატამალიც ვერ აღმოვაჩინეთ.

რაც შეეხება ეროვნული კონსოლიდაციისთვის ხელშეწყობას,  
ჩვენ გვსურს თავისუფალ საქართველოსთვის მეტობოლი ეროვნული  
ლაშქარი წარსულის შეცდომათა მტკვრისგან (მეტნაკლებად ყველა  
ჩვენგანს რომ გვაყრია ბეჭებზე) განმენდილი, ამაყად თავანუელი,  
ერთი დროშის ქვეშ მდგარი, ერთი რწმენით ანთებულ ადამიანები-  
სგან შედგებოდეს და არა ორჭოფულად მოაზროვნე, ხმასაყოლილი  
„მოლამქრეებისგან“.

აქაოდა „კონსოლიდაციის“ ეპოქაა, ერთმანეთს შენიშვნას ნუ  
მიცემთო, ამ პრინციპს თუ დავადექით, მაშინ ჩვენი სახელოვნო  
ნისქვილების გადამკიდეთ კრიტიკოსები და კრიტიკული პრესა აღარ  
დაგვჭირდება და „დათხოვნილად“ უნდა გამოვაცხადოთ.

ერთი ნუთით დავუშვათ, რომ ლევან სანიკიძის და „კრიტიკის“  
რედაქციის პოზიცია თავიდან ბოლომდე მცდარია. ამ შემთხვევა-

შიც კი, აქვთ თუ არა ლევან სანიკიძეს და „კრიტიკის“ რედაქციას  
უფლება, ჰქონდეთ მოვლენებზე თავიანთი, თუნდაც რადიკალურად  
მცდარი, თვალსაზრისი? და განა მავანთა დემოკრატიული განწყო-  
ბის ან პლურალიზმისათვის მხარდაჭერის სულგრძელი გამოხატ-  
ულებაა „კრიტიკისა“ და წერილის ავტორზე კარგად ორგანიზებული  
კოლექტიური თავდასხმები და კატეგორიული მოთხოვნები; მსჯ-  
ელობის საგნად აქციეთო ეს „შემადრწუნებელი“ ფაქტი?

ახლა ვნახოთ, რაში შეცდნენ ასე უმოწყალოდ ლევან სანიკიძე  
და „კრიტიკა“:

ლევან სანიკიძემ რობერტ სტურუას ტალანტისადმი დიდი პა-  
ტივისცემით (ვინც წერილი ყურადღებით წაიკითხა, ალბათ, ახსოვს  
რომ ბ-ნი ლევანი რობერტ სტურუას არაერთგზის უწოდებს „ვირ-  
ტუოზს“, „ნოვატორს“, „მსოფლიო სახელის მქონე“ რეჟისორს)  
მოუწოდა საქართველოს სატკივარს, საკუთარ ფესვებს, „საკუთარ  
გორს“ მეტი ყურადღებით მოეკიდოს.

რედაქციის მინაწერში კი ოთხ რამეზეა ყურადღება გამახვილე-  
ბული: რობერტ სტურუა წლების განმავლობაში ქართული მწერ-  
ლობის მიღწევებს იგნორირებულყოფს, თეატრში იშვიათობად  
იქცა პრემიერა, რის გამოც დასის ერთი ნაწილი დაუსაქმებელია,  
თეატრს საზღვარგარეთ არ გააქვს საქართველოს თანამედროვე  
ყოფის ამსახველი პიესა (იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი რამ  
რეპერტუარში თითქმის არ გააჩნია) და საერთოდ, საჩემოდნო, სა-  
გასტროლო განწყობილებამ ჩვენი უპირველესი თეატრი ეროვნულ  
პრობლემებს მოსწყვიტაო.

ეს არის და ეს. „კრიტიკასთან“ პოლემიკაში ღრმად ჩართულმა და  
განმაქიქებელი ეპითეტების ძებნაში გაფაციცებულმა ოპონენტებმა  
გულზე ხელი დაიდონ და თქვან: სიცრუეა რომელიმე მათგანი?

რაც შეეხება მინაწერის ტონს, ჩვენც იმ აზრისა ვართ, რომ რედაქ-  
ციის გაცხარება იგრძნობა. ხოლო კრიტიკოსთაგან ხელზე დახვეული  
„წავიდეს თეატრიდან“, რა თქმა უნდა, უკმეხადაა ნათქვამი, მაგრამ  
ნიშნავს თეატრის ხელმძღვანელობის ფორმის რეორგანიზაციას,  
ერთი რეჟისორისადმი თეატრის მრავალწლიანი დაქვემდებარების  
პრაქტიკის შეცვლას კოლექტიური ხელმძღვანელობით (თუნდაც საზ-  
ღვარგარეთ რომელიმე რეჟისორის ხანგრძლივი მივლინების დროს,  
თეატრში შემოქმედებითი ცხოვრება რომ არ ჩაკვდეს) და არამც და  
არამც რობერტ სტურუას, როგორც რეჟისორის, წასვლას თეატრი-  
დან, ან როგორც ზოგმა გაიგო, მისი დამსახურების „ხელშეწყობა“.

ასე რომ, სახელოვანი რეჟისორისადმი ერთსულოვანი „გამოქო-  
მაგებით“ თვით რობერტ სტურუას ვუწევთ ცუდ სამსახურს. მას

კრიტიკული ხელშეუხებლობის ყალბ არეალს ვუქმნით და კრიტიკოსებს სხვების მიმართ თავიანთი მომავალი გამოსვლებისთვის გუნებას ვუფუჭებთ.

„კრიტიკის“ რედაქციას ასე „ორგანიზებულად“ უფრო მაშინ ვუ-საყვედუროთ, როცა იგი პირში წყალს დაიგუბებს და კრინტს არ დაძრავს, იმათ წინააღმდეგ, ვინც ქართული მწერლობის ყველა მიღ-წევას წლების განმავლობაში უგულვებელჰყოფს.

გვსურს დავარწმუნოთ მკითხველო, რომ რა სუსხიანი რეაქციაც უნდა მოჰყვეს და ვისაც როგორც უნდა ემცხეთოს, „კრიტიკის“ ეს ნაბიჯი თავის საქმეს მაინც გააკეთებს; ეროვნული ფესვების-გან განმდგარ ყველა ხელოვანს თუ მშობლიური მიწისკენ ვერ მოა-ბრუნებს, დააფიქრებს მაინც. ხოლო თუ როგორ სჭირდება დღეს საქართველოს მის უკეთეს შვილთაგან ეროვნული ზარების რეკვა, ამის მტკიცებას აქ აღარ შევუდგებით.

„კრიტიკას“ უკეთესად ვერავინ დაუჭერდა მხარს, ვიდრე თეატ-რის მოღვაწეებმა უნებლიედ დაუჭირეს თავიანთ მრისხანე წერილში („ახალგაზრდა კომუნისტი“, 14 ნოემბერი): „ცხადია, ზოგჯერ რ. სტურუასაც ლალატობს ალლო. ისიც შესაძლებელია, რომ იგი ბო-ლომდე ვერ გასწვდა ისეთი რთული და მრავალპლასტიანი ორგა-ნიზმის მართვას, როგორც რუსთაველის თეატრია“...

ამაზე მეტი „კრიტიკასაც“ არაფერი უთქვამს.

ის, რაც რუსთაველის თეატრს შესძახა „კრიტიკის“ რედაქ-ციამ, საქართველოს ყველა სახელოვნო დაწესებულების დროუ-ლი გაფრთხილება გახლავთ. ახლა ჩვენი ქვეყანა განახლების, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მღელვარებას განიცდის და სწორედ მაშინ, როცა სცენიდან უნდა ისმოდეს ერის ომახიანი შემართების მხარდამჭერი ჰეროიკული ხმები, მოდით, გავუტყდეთ ერთმანეთს და ვალიაროთ, რომ ზოგ თეატრს თვლელა მორევია.

„კრიტიკა“ არას გავნებთ, თვლელას კი ისტორია არ გაპატიებთ.  
1989 წ.

## ბონს მოდით

თუ კაცი ორივე თვალთ ბრმა არ არის, უნდა ხედავდეს, რომ საქართველოს მწერალთა კავშირმა ამ ბოლო ხანს დაიბრუნა ეროვნული კერის სახელი და ღირსება.

მწერალთა კავშირში დაბრუნდნენ სხვადასხვა დროსა და ვითა-

რებაში კავშირიდან გასული მწერლები და მწერალთა სასახლეში ყოველდღიურად კეთდება ის, რაც ქართველ მწერალთა ფედერა-ციას ევალება და ეკადრება: იმართება დისკუსიები, ლიტერატურუ-ლი შეხვედრები, შემოქმედებითი და საიუბილეო საღამოები.

მწერალთა კავშირი გაცოცხლდა და მისი მაღალი ტრიბუნიდან ქვეყანას კვლავ მოეფინა ეროვნული ცნობიერების შენარჩუნების-თვის აუცილებელი სიტყვა.

ქართველი მწერლები მხარს უჭერენ საქართველოში მიმდინარე სასიკეთო ძვრებს, იმედის თვალთ შეჰყურებენ ახალგაზრდა პრე-ზიდენტის მცდელობას ქვეყანას დაუბრუნოს წართმეული ტერიტო-რიები, გააერთმთლიანოს საქართველო.

ერის სულისკვეთების ერთი მიზნისკენ წარმართვის აუცილე-ბლობის ამ ისტორიულ მომენტში ზოგიერთი ხელისუფლებასა და მწერლობას შორის წყლის ამღვრევას ცდილობს.

ამას წინათ ერთმა სატელევიზიო არხმა განაცხადა: მინისტრთა კაბინეტმა გადაწყვიტა მწერალთა კავშირს გალაკტიონის ლიტერა-ტორთა სახლი (მაჩაბლის 11) ჩამოერთვას და ფიროსმანის საზოგა-დოებას გადაეცეს, რადგანაც შემოქმედებითი კავშირების დრო უკვე წავიდაო.

ვისი და რისი დრო წავიდა, მამავ და შვილო?

როცა ასეთი გადაწყვეტილების მიღებას აპირებ, ხომ უნდა ჰკითხო მწერალთა კავშირს, რაკილა საქართველოს პრეზიდენტმა ეს სასახლე 1991 წელს სწორედ რომ მწერალთა კავშირს გადასცა შემოქმედებითი საქმიანობისთვის?

ნუთუ ერთი წამით მაინც გაივლეთ გულში, რომ 350 ქართველი მწერალი ვინმეს მისცემდა უფლებას სრულიად უკანონოდ და უს-ამართლოდ განკარგოს შემოქმედებითი კავშირის ქონება?

რაო, განუკითხაობის ისეთი დროა, რომ კანონიც ხართ და სამართალიც?

რაო, ცხინვალში შესვლა, ცოტა არ იყოს, გაჭირდა და მწერ-ალთა სასახლეში ცდილობთ ვარდებითა და წიხლებით შემოჭრას?

ვისი დრო წავიდა?

მწერალთა საერთო კრების გადაწყვეტილებით მაჩაბლის თეატრ-ში განთავსდა რუსთაველის მუზეუმი, გალაკტიონის ლიტერატორ-თა სახლი, კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიების მემორიალური ნივთები და ლიტერატურული თეატრი!

ვისი დრო წავიდა, ბატონო, რუსთაველის, გალაკტიონის თუ კონსტანტინე გამსახურდიასი?

ჩვენ მწერალთა კავშირი საქართველოს მწერალთა ფედერაციულ კავშირად გადავაკეთეთ და ყველა ლიტერატურულ ასოციაციას გავუღეთ კარი.

დღეს მწერალთა კავშირის კლუბში ნებისმიერ ლიტერატურულ დაჯგუფებას შეუძლია გამართოს თავისი ღონისძიებები, ხოლო ისინი, ვინც თქვენ გიჩუხებენ, არც ერთ ასოციაციას არ ეკუთვნიან, საეჭვო ლიტერატურული ღონის ტელემწერლები არიან და ავანტიურისტული გზებით ცდილობენ სახელის შოვნას.

ნუ წამოეგებით მოლიტერატორო ელემენტების პროვოკაციაზე, ძვირფასო ხელისუფალნო.

ამ შენობაში აკაკის, ილიას, გალაკტიონის, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ტიციან ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, შოთა ნიშნიანიძის, ნოდარ დუმბაძის და სხვა სულკურთხეულ შემოქმედთა სული ტრიალებს და არ დაიჯეროთ, რომ, სანამ ერთი მწერალი მაინც ცოცხალია, რომელიმე ცნობილი მხატვრის სახელს ამოფარებული საეჭვო ფორმის უფრო საეჭვო მიზნებისთვის დათმობს ან უკვე ძვირფას რელიკვიად ქცეულ სამწერლო სახლებს.

გირჩევთ, დროულად გონს მოეგოთ, ქართველი მწერლის მაღალ ტრიბუნას რევოლუციური „ურა-ურათი“ ნუ ეპოტინებით, თორემ ფეხს წაიტეხთ.

*იენისი, 2004 წ.*

## დიდი რბევა

ბატონებო!

21 აგვისტოს, დილის 4 საათზე, საქართველოს ხელისუფლებამ მწერალთა კავშირი დაარბია.

გამთენიისას ნიღბიანი სპეცნაზელები შეიჭრნენ მწერალთა სასახლეში და გაუგონარი ცინიზმით იავარქმნეს მწერალთა თავშესაფარი.

ენით გამოუთქმელი, უპნრეცედეტო ამბავი მოხდა.

მსგავსი რამ ფაშისტებსაც არ მოსვლიათ აზრად.

ისტორიამ იცის მაგალითები, რომ სიმართლის თქმისთვის დაეტუსალებინოთ ესა თუ ის მწერალი, დაეხვრიტათ კიდეც კაენის სულის აღზევების ეპოქაში, მაგრამ ხელისუფლებას ერთბაშად ამოეშანოს 475 მწერლის ბუდე, მოეშალოს მათთვის ტრიბუნა და

ამით მოესპოს მწერლებისთვის თავშეყრის საშუალება, აეკრძალოს მათთვის საჯაროდ აზრის გამოთქმა, დედამინაზე ჯერ არ მომხდარა.

აღსრულდა ის, რისიც ყველაზე მეტად გვემინოდა, გააფთრებულმა ხელისუფლებამ წაგვართვა ისტორიული სასახლე და ამით თავისი საზიზღარი სახე გამოაჩინა.

ამ ვანდალური საქციელით ხელისუფლებამ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ საქართველოს სათავეში მოვიდა ჩვენი ეროვნების დაუძინებელი მტერი, ფაშისტური კლანი, მაგრამ თუ ფაშიზმი გერმანელთა ნაციონალურ ნიშნებს, ასე თუ ისე, პატივს სცემდა, სააკაშვილის ხელისუფლებას ჩვენი ნაციონალური სახე არ დაენახვება და არც გაეგონება.

ქუჩაში მოისროლეს ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის ნიგნები და პორტრეტები, შეურაცხვეს კლასიკოსთა ხსოვნა და შენობიდან განდევნეს მათი წმინდა აჩრდილები.

რუსთაველის სახლი დაარბიეს, ბატონებო!

ნუ გაიხარებენ საქართველოს დაუძინებელი მტრები.

საქართველოს მწერალთა კავშირი არსებობას ერთი წამითაც არ შეწყვეტს და მეტი მონდომებითა და გაბედულებით ეტყვის ქართველ ერს მისთვის ესოდენ აუცილებელ, გულისმოსაფხან სიტყვას.

მწერლებო!

ისტორიამ დიდი გამოცდა მოგვიწყო.

ახლა ჩვენი ვალია, მთელ მსოფლიოს გავაგებინოთ, რომ ის, რაც საქართველოში ხდება, ფაშისტური ხელისუფლების ფაფხურია, ქართული ეროვნული ცნობიერების ამოსაშანთავად.

ეს საქართველოს მოსასპობად გადადგმული ყველაზე ამაზრზე-ნი ნაბიჯია.

ამ სავალალო ფაქტზე საუკუნეები ილაპარაკებენ.

არ შევუნახოთ ნამუსი გარენრებს, დაუნდობლად ვამხილოთ ისინი ჩვენს ნაწერებში.

„უკვდავჰყოთ“ სააკაშვილის სისხლიანი ხელისუფლების წრეგადასული თავხედობა.

ჩვენ ვცოცხლობთ!

მრავალჭირგამოვლილ ქართულ მწერლობას, თავისუფალ ქართულ სიტყვას ასე იოლად ვერ მოერევია.

*23 აგვისტო, 2007 წ.*

## შავალპიკოთ ერი, მწარლავო!

მამულიშვილნო!

საქართველოს ცაზე რომ ორიოდე დღით გადაიკარა და დამპყრობელმა მანანასავით არ დაგვაყარა ბომბები, დამშვიდების საბაზს როდი გვაძლევს.

საქართველოს დასჯის პუტინისეული პროგრამა სრული სვლით მოემართება.

ეგ არის, ამერიკამ და ევროსაბჭომ ცოტა არ იყოს შეაფიქრიანა რუსი გენერლები.

ბუშის განცხადებამ, თუ ვინმე შეეცდება ჩაერიოს პანკისის ოპერაციაში მესამე ძალად, ამით საფრთხე იქ მყოფ ამერიკელ ჯარისკაცებსაც შეექმნებათ და ჩვენ უყოყმანოდ დავდგებით საქართველოს მხარეზე, მადა დაუკარგა რუსის გენერლებს, კბილებს რომ ილესავდნენ ჩვენი ქვეყნის კიდევ ერთხელ დასაპყრობად.

გალმა შემოდავებებს და ცილისწამებებს ბოლო არ უჩანს.

26 სექტემბერს, თურმე პანკისში განვრთნილი 180 ბოევიკი გადასულა პანკისიდან სამაჩაბლოში, სამაჩაბლოდან ჩრდილოეთ ოსეთში და ჩრდილოეთ ოსეთიდან ინგუშეთში. იმ ასოთხმოც „ბოევიკს“, თურმე ლამის დაუმარცხებია ხუთიათასამდე რუსი ჯარისკაცი, მაგრამ ბოლო წუთებში პუტინის ვეფხვებს უმარჯვიათ და 50 მოუკლავთ, 6 ტყვედ აუყვანიათ.

ამ „ოპერაციაში“, თურმე, თავიდან ბოლომდე საქართველოა დამნაშავე.

რუსული მასმედია ახალ ზღაპარს თხზავს, თითქოსდა შვამერს ოპერატიულად ეთქვას, ამ დანაშაულზე საქართველომ პასუხი უნდა აგოსო.

კრილოვის „მგელი და კრავისა“ არ იყოს, რა შუაშია საქართველო? იქნებ ჩეჩნეთ-რუსეთის ომიც საქართველომ წამოიწყო?

იქნებ საქართველოა დამნაშავე იმაშიც, რომ თურმე, 180 ჩეჩენი ბოევიკი თავისუფლად გადავიდა რუსის მიერ კონტროლირებად სამაჩაბლოში, იქიდან ოსეთში, ოსეთიდან ინგუშეთში და ინგუშეთიდან ჩეჩნეთში. რაო? რუსეთის საზღვარიც ჩვენ უნდა დაგვეცვა?

აქვეა საზიზღარი ტყუილიც: თურმე, ჩეჩენ ბოევიკებს გზამკვლევადა ქართველი ჰყავდათ, რომელმაც ამ სამსახურისათვის ფული ჩაიფიბა.

ასე უსინდისოდ, ყოველგვარი ლოგიკის გარეშე იქმნება რუსეთში მტრის ხატი. უტიფრად აცხადებენ, რომ სამხრეთიდან დიდი

სამიშროება ელის დედარუსეთს. ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ქართულმა თვითმფრინავებმა მოსკოვი დაბომბონ!

რას ველოდებით, მოთმინების რუსული ფიალა ხომ კარგა ხანია აივსო, დავკრათ საქართველოსო და გავათავოთო, – აღმფოთებას ვერ მაღავს დუმა.

უშიშროების მინისტრის მოადგილის, ლამა ნაცვლიშვილის უწყინარ განცხადებას, ვცდილობთ დაუპატიჟებელი სტუმრები თავიანთ მინაზე დავაბრუნოთო, რუსეთის მრისხანე გამომხაურება მოჰყვა – აკი ვამბობდითო.

თურმე ჩეჩენი ლტოლვილები პანკისის ხეობაში, ადგილზე უნდა ჩაგვეხოცა.

ჯერ ერთი, ქართული ჯარის შესვლამდე „ბოევიკები“ იქიდან გაიკრიფნენ. ჩვენი მხარე ყოველდღიურად აპატიმრებს ეჭვმიტანილებს, ლტოლვილებს (ჩვენმა სიკეთემ რომ ახალი თავსატეხი გაგვიჩინა) წინადადება მიეცათ, დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში...

არაო, უნდა დაგეხოცათო... რასაკვირველია, ეს ხელს აძლევს რუსეთს.

ამას მოჰყვება კავკასიის შინა ომი.

მთელი მუსლიმანური კავკასია საქართველოს წინააღმდეგ აიფოფრება, რუსი კი ჯერ სეირს ნახავს, მერე ძერასავით ადვილად დააცხრება დასუსტებულ მოქიშპეებს.

ამერიკა, მართლაც რომ, გადაგვეფარა ამ დღეებში.

საქართველოზე რუსის ხიშტის ავმა დამიზნებამ ამერიკას ერაციის ოპერაცია გადაადებინა.

დიდი პატივია ამერიკის პრეზიდენტის მიერ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მიღება და მასთან ორსაათიანი საუბარი. საქართველოსთანა ნახევრად სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებს კი არა, ბუში არაერთი ქვეყნის პრეზიდენტების მისაღებადაც ვერ იცლის ამ დღეებში.

არც თბილისში გამართული ნატოს სემინარია შემთხვევითი.

ნატო თავის მომავალ წევრად რომ მოგვიპირებს აშკარა ხდება, ხოლო რუსეთის დელეგაციის ჩამოუსვლელობა თბილისის ნატოს სემინარზე – ცუდის ნიშანია.

სად არიან, რატომ არ იღებენ ხმას სერგეი ივანოვის აგრესიულ განცხადებისაგან უდანაშაულო საქართველოს დასაცავად. ელდარ შენგელიას, ჯანსულ ჩარკვიანს, თამაზ ქილაიას და გენო კალანდიას მეგობრები, საქართველოზე სიზმრებით შეწუხებული ევტუშენკო, ვოზნესენსკი, როჟდესტვენსკი, ახმადულინა? რაო, აღარ ენატრებათ „ნაპარეული“ და „ჩახოხბილი“?

საბჭოთა ინტერნაციონალიზმის იდეა კარგა ხანია გაკოტრდა. რუსეთი იმპერიულ მიზნებზე ხელს არ იღებს და კვლავინდებურად ჩასანთქმელად გველერება.

ამ ისტორიულ ჟამს მხოლოდ და მხოლოდ თქვენ ბრძანდებით, საქართველოს მწერალთა დარბაზის ირგვლივ შემოკრებილი ეროვნული მწერლები, ის შემოქმედნი, ჭეშმარიტების ღალადისი რომ შეგიძლიათ და გვევალბათ.

შევაღვიძოთ ერი, ჩვენი დამოუკიდებლობის დასაცავად აღვანთოთ და დავრავნოთ მილიონები. გაბედულად, შეუპოვრად ვაუწყოთ მსოფლიოს, რომ საქართველო იმპერიის ყულფში თავის გაყოფას აღარ აპირებს, რომ ილია ჭავჭავაძის სამშობლო რუსის უღელს აღარ დაიდგამს ქედზე.

2002 წ.

## გალაკტიონი ხატავდა

მწერლის დამოკიდებულება მხატვრობასთან ყოველთვის მაინტერესებდა. ვსაუბრობ არა ორი მუზის მსახურებაზე, არამედ დიდი მწერლებისა და პოეტების მხატვრობით გატაცებაზე. ვიცი, კარგად ხატავდნენ ტერენტი გრანელი, რეზო ინანიშვილი, ზაურ ბოლქვაძე, მორის ფოცხიშვილი. თანამედროვე მწერლებიდან კარგად ხატავს ოტია იოსელიანი, რეზო ამაშუკელი, გურამ პეტრიაშვილი, რეზო გაბრიაძე. რაც შეეხება გალაკტიონის ნახატებს – ისინი მუზეუმში არაერთგზის მინახავს, მაგრამ არა ერთად თავმოყრილი...

გალაკტიონი ლექსის წერის დროს ხატავდა ფურცლის არშიაზე, სადღაც კუთხეში. ხატვა იყო მისი ფიქრთა მდინარების თანამდევნი. ხატავდა უბრალო ქაღალდის ხელსახოცებზე (ე. წ. „სალფეტკზე“), წიგნის ყდაზე. ეტყობა, ამ ნახატებს შემოქმედების პროცესში დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, მაგრამ რაკი არ გადაყარა, უნდა ვიფიქროთ, რომ მაინც რაღაც განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა მათ მიმართ. ის ხატავდა კალმით, ფანქრით. ფერწერაში მას არ უმუშავია. სხვათა შორის, ცალკე შესწავლის საგანი უნდა იყოს გალაკტიონის ხელნაწერები. თურმე, ავტოგრაფიდან ადამიანის ხასიათის დადგენა შეიძლება, მისი სულიერი წონასწორობისა და ბევრი სხვა თვისების. გალაკტიონის ხელნაწერი აჩქარებული-ნამღერებულია, თითქოს ჩქარობს, რომ საკუთარ აზრთა მდინარება დროზე გადაიტანოს ფურცელზე, მოიშოროს, ამიტომ ზოგიერთი

ასო დაუმთავრებელია. აი, ეს ნერვიულობა ეტყობა გალაკტიონის ნაწერს – ლექსი დასასრულისაკენ რომ მიდის, ასოები ირევა – ჩქარობს, ჩქარობს... რაც ხელთ გვაქვს მისი ლექსები, მეორედ გადაწერილია. პირველქმნილ ლექსებში სიტყვების გარჩევა ჭირს, რაღაც სიმბოლოებივით აქვს ერთმანეთზე მიბმული ასოები.

გალაკტიონის ნახატები პირველად შეიტანა თავის ბრწყინვალე წიგნში „უცნობი“ ვახტანგ ჯავახიძემ. გალაკტიონს დახატული აქვს ავტოპორტრეტები, თავისი ორეულები. ამ ნახატებს ოქროს ფასი აქვთ გალაკტიონის ბევრი ლექსის შესაცნობად, მისი განწყობისა და სულის ამოსაცნობად, ამ ნახატებით ის თითქოს თავისუფლდება. აქ ორი ხაზი შეიმჩნევა – აბსოლუტურად რეალისტური და კარიკატურის ჟანრი. აქვს სივრცის, კომპოზიციის გენიალური გრძობა. გალაკტიონს რომ გაცილებით ბევრი ეხატა, ძალზე საინტერესო მხატვარს მივიღებდით. მაგალითად, ერთგან დახატული აქვს ხის ცარიელი სავარძელი, რომლის იქით მავთულხლართების ღობეა, სადღაც შორს ჩანს ადამიანთა სილუეტები. იოლი ამოსაცნობია, რომ ეს სავარძელი გალაკტიონის სარეცელია, სხვათა შორის, რამდენიმე კუბოც აქვს დახატული, შიგნით თვითონვეა ჩასვენებული. ერთი ნახატი ასეთია: ზის პოეტი, დიდი ფანჯარა ჩანს მის წინ, ფანჯარაში – რკინის გისოსები. ამით გალაკტიონს უნდა თქვას, რომ ის მთელი სიცოცხლე პატიმარია, რომ ამ რკინის გისოსებისა და მავთულხლართების მიღმა დარჩენილი კაცია. დახატული აქვს მუზა – თავზე დაფნის გვირგვინით, მაგრამ ამ დაფნის შიგნით ეკლებიც ჩანს – ეკლის გვირგვინი. ბევრგან დახატული აქვს გადამლილი წიგნი, ვაზა ხილით, თმებგაშლილი ქალი – ქვემოთ მიწერილი აქვს: დედის ფიქრები, ერთ ნახატს ჰქვია „დიპლომატის საიდუმლო“. ფურცელზე მოხაზულია ათი თავი, რომლებიც ნელ-ნელა ჩრდილით ივსება – პირველიდან მეათემდე. ბოლო ნახატი მთლიანად შავი წრეა – აი ესენი არიან ჩვენი დიპლომატებიო.

ბევრ ნახატზე არის გამოსახული ვირთხა – შემჯდარი წიგნებზე, პოეტის მაგიდაზე, წიგნების კარადაზე. ასევე დახატული აქვს ყვავები. აი, ეს ორი სულთამხუთავი – ვირთხა და ყვავი არის მისი ეპოქა, ცენზურა, სულის შემხუთველი ატმოსფერო. გალაკტიონს დახატული აქვს თავისი ნაცნობებისა და მეგობრების კარიკატურები. სხვათა შორის, ერთი-ორგან გამოსახული აქვს ჯვარზე გაკრული საკუთარი თავი, მინაწერებიდან ჩანს მისი დამოკიდებულება პოლიტიკურ პროცესებთან. გალაკტიონი დღიურსაც აწარმოებდა, სადაც ისეთი ფაქტები აღწერილი, რომლის გამოქვეყნება დღესაც არ შეიძლება.

აქილიკებს თავისი დროის „გამოჩენილ“ პარტიულ და ლიტერატურულ მოღვაწეებს, გამომცემლობის დირექტორებს, საბაბიც ჰქონდა. გალაკტიონ ტაბიძე საკავშირო ყრილობის დელეგატად არ აირჩიეს მწერალთა კავშირში – ხმები არ ეყო. საიუბილეო საღამოებზე არ იწვევდნენ. მივიდოდა გალაკტიონი, კულისებში გაივლ-გამოივლიდა. შემდეგ თუ ვინმე ყურადღებას მიაქცევდა და ჰკითხავდა – გალაკტიონ, რა გინდაო? ეტყოდა, ლექსს წავიკითხავ, ძამიკო. ზრდილობის გამო მიუგებდნენ გამომსვლელთა სია წინასწარ არის შედგენილი, ადრე რატომ არ გვითხარი. თუ რამე მოვახერხეთ, წაგაკითხებთო. იცდიდა, იცდიდა გალაკტიონი და სახლში ბრუნდებოდა. მაშინ ასეთი ვითარება იყო, ახლა სხვაა. ჩვენი ახალგაზრდობა გალაკტიონს არ კითხულობს, სამაგიეროდ სააკაშვილისგან ტვინშერყეული და გემოვნებადგერადირებული ახალგაზრდობა, რომელსაც გამორეცხილი აქვს ტვინი პატრიოტული ბანაკებით, კუტუნის კონცერტებზე გარბის და არ ენაფება ჭეშმარიტ კულტურას, ჭეშმარიტ ლიტერატურას.

გალაკტიონის ნახატების პერსონალური გამოფენა ჯერ ვერ მოხერხდა.

ამ ყველაფერს ორგანიზება უნდა. ნახატები ჩარჩოში ხომ უნდა ჩასვა, „კნოპკებით“ ხომ არ მიაკრავ კედელზე, ვინ გააკეთებს ამას? კულტურის მინისტრი ნიკა ვაჩიშვილი ცუდი ბიჭი არ ჩანს. ამას წინათ რეზო ჩხეიძის ბოლო დროს გადაღებული ფილმის ჩვენებაზე მოვიდა. სამების ტაძარში ჩავატარეთ ჰამლეტ გონაშვილის და რეზო ინანიშვილის იუბილეები. სხვა უამრავი ღონისძიება. ნიკა ვაჩიშვილი ვერ გამოვიტყუეთ კაბინეტიდან. მაგრამ გამიხარდა, რომ ყურადღება გამოიჩინა. რატომღაც სულ მგონია, ვიღაც უკრძალავს ეროვნული დაინტერესებას. გოკა გაბაშვილს სძულდა ეს ეროვნული, ამას – არ უნდა სძულდეს. რეზო ჩხეიძეს იმ საღამოზეც გადაეხვია ნიკა და მიულოცა ახალი ფილმი (ეს რომ დავინახე, ვიფიქრე, ყველაფერი ჯერ კიდევ დაკარგული არ არის-მეთქი), მაგრამ ხანდახან უკან იხედებოდა, ჩემთვის ვიფიქრე – ნეტავ, რატომ იხედება, ალბათ, ეშინია, სააკაშვილი რომ არ უყურებდეს-მეთქი.

ფიქრით, კალმით, კარიკატურისტის მახვილი თვალი ჰქონდა. ხატავდა ყვავილებსაც. რამდენიმეგან ქალბატონებს – ისეთი ფაქიზია ქალებთან დამოკიდებულებაში. ზოგიერთები ამბობდნენ – გალაკტიონი ქალების მიმართ გულგრილი იყოო. კაცო, როგორ იყო გულგრილი, რამდენიმე ცოლი ჰყავდა, სიყვარულზე წერდა.

პირველი მეუღლე გახლდათ ოლია ოკუჯავა. მეორე – თუ არ

ვცდები, ლიტველი ებრაელი ქალი, შემდეგ – ნინო კვირიკაძე. სხვათა შორის, გალაკტიონის პირველი ცოლიც ებრაელი იყო, ოლია ოკუჯავას მამა გახლდათ სტეფანე ოკუჯავა, რომელიც მარტვილის რაიონის სოფელ თამაკონიდან იყო. მონაწილეობდა რომელიღაც ომში, საქართველოში ჩამოიყვანა პოლონელი ებრაელი ქალი. დასახლდნენ ქუთაისში, შეეძინათ ცხრა შვილი, მათ შორის ნაბოლარა ოლია. მათი შვილები იყვნენ ვიქტორ ოკუჯავა – ბულატ ოკუჯავას მამა, მიხეილი – ვაჟა ოკუჯავას მამა, ვლადიმერ ოკუჯავა, ერთი შვილი კიდევ როსტოვის საოლქო კომიტეტის მდივანი იყო. სახლში რუსულად ლაპარაკობდნენ, გალაკტიონის ნახატებსაც კი ზოგიერთგან რუსული წარწერები აქვს – ცოლისადმი წერილებიც რუსულადაა დაწერილი. ოლიას დედა ებრაელი იყო – ესე იგი, ოჯახიც ებრაულად ითვლებოდა. გალაკტიონი, არც იმ ოჯახმა მიიღო. ეს ბოჰემური პოეტი, გენიოსი. მაგრამ ამ წყვილს კი ერთმანეთი ძალიან უყვარდა, თუმცა, გალაკტიონი წერს თავის დღიურში მივდივართ მოსკოვში. ჩვენს კუპეში ვიღაც ოფიცერი შემოვიდა, ოლღას ლაპარაკი დაუნყო, მე ვნერვიულობ, ვინ არის ეს ოფიცერი. ოლოო, – ვუთხარი, – ვინ არის ეს კაცი, გაისტუმრე-მეთქი. – არა, საინტერესოდ ლაპარაკობსო... შემდეგ ოლიამ გალაკტიონს უთხრა: გალაკტიონ, შენ ნუ გეწყინება, ცოტა ხანს ამ ოფიცერს გავყვები, რალაც უნდა მაჩვენოსო. გავიდა ერთი საათი, ორი, სამი, გალაკტიონი წერს – ოლიას გავუნყერიო...

რატომ დახვრიტეს გალაკტიონის პირველი მეუღლე?

ომი დაიწყო, 1941 წელია. პოლიტპატიმრებზე ბერიას ჰკითხეს – ამ ხალხს რა უყყოთ. დახვრიტეთო! – გაიცა ბრძანება, სია შევიდა სტალინთან. სხვათა შორის, არქივში იპოვეს დოკუმენტი, სადაც ოლია ოკუჯავას სახელისა და გვარის გასწვრივ სტალინის წარწერაა: გადაამონმეთ, ცნობილი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის მეუღლე ხომ არ არისო. მაგრამ, ეტყობა, ამას არავინ მიაქცია ყურადღება და მაინც დახვრიტეს. სანამ ცოცხალი ვარ, მინდა მოვუარო გალაკტიონის ხსოვნას. უნივერსიტეტში ჩემი ინიციატივით გავსენი გალაკტიონის კაბინეტი. მაგრამ ლომაია-ხუბუას ისტორიული შეტევის შემდეგ, უნივერსიტეტში დახურეს გალაკტიონის კაბინეტი, ილიას, აკაკის, კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტები. აღმოვაჩინე გალაკტიონის ნიღაბი – ერთი გალაკტიონის კაბინეტში მივიტანე, მეორე – მის მუზეუმში. აღმოვაჩინე ასევე გალაკტიონის ჭილოფის ქუდი. მაგრამ რად გინდა, ახლა ეს მუზეუმშიც გაძარცვეს – ახალი რჯულის ქურდებმა გალაკტიონის ხელჯოხი მოიპარეს, მისი რუსთაველის ბი-

უსტი. სანამ ეს ქურდობა მოხდებოდა, ვილაცამ ამ სახლმუზეუმის აბრიდან ჩამოგლიჯა სპილენძის ბარელიეფი. გავგიჟდი ამაზე, ჩემს მეგობარ მოქანდაკეებს ვთხოვე და მარმარილოს დაფაზე ზედვე ამოკვეთეს გალაკტიონის პროფილი. ახლა რას გაძარცვავენ? თავის დროზე დაინვა მისი აგარაკი წყნეთში. დაინვა თუ დანვეს – საკითხავი აი, ეს არის. ეტყობა, ის ტერიტორია მოსწონდა ვილაცას... როგორც ადრე, გალაკტიონს დღესაც ებრძვიან. რაღაც უიღბლო იყო.

*ივლისი, 2008 წ.*

## მაყვალა

როცა მაყვალა გონაშვილზე ვფიქრობ, მანია წყნეთელის, თინა ვაშლოვნიელის და სხვა კალთაკურთხეულ ქართველ ქალთა სახეები გამახსენდება და ეს შემთხვევითი გახსენება სრულებითაც არ არის.

ყურს ნუ მოგვჭრის ისტორიულ გმირებთან თანამედროვეთა შედარებანი; ეს ჭეშმარიტება რომ არ გვასაზრდოვებდეს, საქართველო ხომ ისედაც დაქცეულია და მთლად დაღუპული იქნებოდა.

ცხრა აპრილის საბედისწერო დღეებში შიმშილით გათანგულ მონამეთა შორის იჯდა და ხალხს გამაგრება-გაძლექვების მაგალითს აძლევდა.

იმპერია რომ პირველი პრეზიდენტის დამხობის ოპერაციას ატარებდა, ახალგაზრდა პოეტი მაყვალა გონაშვილი ეროვნული ხელისუფლების მომხრეთა მიტინგებზე გამოდიოდა და დევნილთა დიდი ლაშქრის წინა რიგებში ჩანდა.

საკაშვილმა და მისმა ნიღბოსანმა ბანდამ მწერალთა სასახლეზე რომ თავდასხმა მოაწყო, გამთენიის 4 საათზე ერთ-ერთი პირველი მაყვალა გონაშვილი მოვარდა. ქუჩაში გამოყრილ კლასიკოსთა ნივთებს გულში იკრავდა და თმაგაშლილი ანათემას უგზავნიდა სოროსელი მთავრობის მესვეურებს.

რუსეთთან ომში სამარცხვინოდ დამარცხებული საქართველოს და ათასობით ოტებული უმწეო ლტოლვილის საცოდაობით გულმოკლული კარდაკარ დადიოდა, უპატრონოდ მიტოვებული, ღალატით გაოგნებული ადამიანებისთვის დახმარების საგნებს აგროვებდა და ხან გორში ჩაჰქონდა, ხან თბილისში არიგებდა.

ახლა ყოველდღე, ან საქართველოს გადარჩენის გზების მაძიებელ სხვადასხვა კომისიათა სხდომებს ესწრება, ან მუშტმომართული

მიტინგებზე გამოდის და მოტყუებულ ხალხს თვითმარქვია პრეზიდენტის დამხობისკენ მოუწოდებს.

მეტი რა ჰქნას ერთმა ქართველმა პოეტმა ქალმა?

თქვენ როგორ ფიქრობთ, მართლა ასე უწყინარია ხალხის ყველფით გამდიდრებული და ქართველი ერის ზიზლით გამსჭვალული არაქართული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა? არამც და არამც.

მაყვალა თავის თავზე, თავისი ოჯახის სიმშვიდის დარღვევაზე, თავის უძილო ღამეებზე იღებს რაინდობისგან შორს მდგარ უთოფო ყაჩაღების შემოტევებს.

ისე როგორ უნდა ეშინოდეთ ამ არამზადებს, რომ ერთ ღამეზე და მამაც ქართველ ქალს ტელევიზიით გამოსვლაც კი აუკრძალეს?

დიახ, მთელი კატეგორიულობით ვამბობ, რომ ისე, როგორც არსებობს დღეს საქართველოში ნონა გაფრინდაშვილის ფენომენი, ასევე არსებობს მაყვალა გონაშვილის ფენომენიც.

დააკვირდით მის საზოგადო ღვანლს და დარწმუნდებით, ნაიკითხეთ მისი ლექსები და დამეთანხმებით, რომ მართლს ვამბობ.

მაყვალას ყოველი ახალი ლექსი ან ყუმბარასავით სკდება და მავანთ ძილს უფრთხობს, ან შეჭირვებული, ალალ-მართალი ქართველის გულს მალამოსავით ედება.

იგი ჩვენი დაბნეული თანამედროვის სულში ახალ-ახალ შრეებს ეძიებს და ამიტომაც თუ ჩაკვირდებით, უალრესად თანამედროვე, სწორედ რომ ორიგინალური ხმის, პირველმთქმელის, პირველალ-მომჩენის მადლით ცხებული პოეტია.

მიყვარს და ოქროს ფასს ვდებ მის რუდუნებას ამ ჩვენს ოღრო-ჩოღრო ნუთისოფელში.

**ზაურ პოლქვაძე – 75**

## ვულკანივით მშფოთვარე

იგი ვულკანივით მშფოთვარე, ძმობის თავი, იუმორის მეფე, მთლად ერთგულება და თანგადაკვდომა, ყველაზე უკეთ მსმენელი და ყველაზე კარგად მთქმელი, ბოლო დროს გულს უჩიოდა.

ერთ შეხვედრაზე ბათუმში შევეცადე ჩვენი უსაყვარლესი რძლის – ნანას მკაცრი დავალება შემესრულებინა და სამ ჭიქაზე ხელი დავუფარე – შენთვის აღარ შეიძლება-მეთქი.



მხოლოდ სამ ქიქაზე... ზაური ის კაცი იყო, რომ აკრძალვას და-  
ჰყოლოდა და მით უმეტეს ღვინისას?

ერთ ოთახში ვინეკით. დილით ცუდად გახდა. ოფლში ცურავდა.  
სასწრაფო გამოვიძახე. ადამიანის ფერი აღარ მედო.

ექიმთა თეთრ ხალათებში მზერა გამოაძვრინა და თვალი ჩამიკრა:

– ნუ გემინია, ლომო, მე უკვდავი ვარ.

ვიცოდი, რომ მართალს ამბობდა.

... გამოანგრია კუბოს ფიცარი და ახლა, როცა საქართველოს  
ისე უჭირს როგორც არასდროს, მოვარდა ჩვენთან.

ჩვენ გვერდით დგას, ჩვენთან ერთად იბრძვის, ჩვენთან ერთად  
შიმშილობს – სამოცდათხუთმეტი წლის ზაურ ბოლქვაძე.

ვენაცვალე შენს უბერებლობას, შენს ცრემლიან ღმილს, შენს  
ჩაუმქრალ სიტყვას, ჩემო ზაურ!

## პატრიარქს მიჰყვირო, პატრიარქს!

შარშან, 2007 წლის 17 იანვარს პანტომიმის თეატრის ხელმძღ-  
ვანელმა ამირან შალიკაშვილმა დამირეკა და მითხრა: წმინდა გიორ-  
გიზე სპექტაკლის დადგმას ვფიქრობ და რას იტყვიო.

კეთილშობილური ჩანაფიქრია-მეთქი.

რაკი იდეა მოგონს, უნდა გთხოვო, პიესის დაწერაო.

სიამოვნებით დავთანხმდი.

ჩემს ხელთ არსებული ლიტერატურა ორიოდ კვირაში დავა-  
მუშავე, მერე ჩემს ძველ ნაცნობს, სასულიერო აკადემიის პრორექ-  
ტორს, მამა გიორგი ზვიადაძეს მივაკითხე და წმინდა გიორგიზე  
დანერილი თხზულებების მოძიებაში შემწეობა ვთხოვე, თანაც გა-  
ვუმუქდავნი: პანტომიმის თეატრის დავალებით, წმინდა გიორგიზე  
პიესას ვწერ-მეთქი.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაუხარდა.

დიდებული საქმე წამოგინციათო, საპატრიარქო დიდად დაგი-  
მადლებთ, რომ ახალგაზრდების გამრყენელი „ტელეშოუებისა“ და  
„ჯეობარების“ ვითარებაში თქვენ მაყურებელს წმინდა გიორგის  
მადლს აზიარებთო.

იქვე უხმო აკადემიის ბიბლიოთეკის ახალგაზრდა თანამშრომელს  
და დაავალა: ბატონ ლევანს ლიტერატურის მოძიებაში ხელი შეუწყვეო.

მამა გიორგის ყურადღებით ფრთაშესხმული ვწერდი.

ამირან შალიკაშვილს სცენარი მოეწონა. სანამ რეპეტიციებს და-  
ვინწყებდე, იქნებ, „წმინდა გიორგის“ ერთი ეგზემპლარი საპატრიარ-  
ქოში მივიტანოთ და პატრიარქის ფონდს მატერიალურ მხარდაჭერ-

აც ვთხოვოთ, რაკილა პანტომიმის თეატრი უაღრესად გაჭირვებულ  
თეატრთა რიგს განეკუთვნებაო.

8 აპრილს ორივენი მივედით მამა გიორგისთან, სცენარის  
წარმატებით გასრულების ამბავი ვაცნობეთ და თეატრის ხელ-  
მოკლეობის შესახებაც მოვახსენეთ.

მე დავესძინე, რომ ამ სპექტაკლის შექმნაში თქვენი დიდი წვ-  
ლილიც არის, თავიდანვე თქვენი თანაგრძნობა ლიტერატურის  
მოძიებაში თქვენი დახმარება რომ არა, ასეთ ურთულეს თემაზე  
პიესის შექმნა გამიჭირდებოდა-მეთქი.

მამა გიორგი გაახარა ჩვენმა ცნობამ, მადლობაც თავაზიანად  
მიიღო და გვირჩია, სცენარი, სათანადო განცხადებით, პატრიარქ-  
ისთვის წარგვედგინა.

2007 წლის 12 აპრილს, შეთანხმებისამებრ, გიორგი ზვიადაძეს  
პატრიარქისთვის გადასაცემად ვახსლეთ განცხადება:

„წმინდესო და უნეტარესო

უფლის შთაგონებით გადავწყვიტეთ პანტომიმის თეატრში გან-  
ვახორციელოთ წარმოდგენა „წმინდა გიორგი“, რათა განვუმტკი-  
ცოთ ერს რწმენა და ხაზი გავუსვათ წამებულ წმინდანის ღვაწლის  
მნიშვნელობას საქრისტიანო კაცობრიობისათვის საერთოდ და კერ-  
ძოდ, საქართველოსთვის.

მონივნებით გაახლებთ ლიბრეტოს და უმორჩილესად გთხოვთ  
სპექტაკლის დადგმისთვის ფონდის მატერიალურ მხარდაჭერას  
10000 (ათი ათასი) ლარის ფარგლებში.

წინასწარ გიხდით უღრმეს მადლობას. რევაზ მიშველაძე,  
ამირან შალიკაშვილი“.

მამა გიორგიმ ლიბრეტო და განცხადება დაიტოვა, და როგორც  
ჩვენმა გულშემატკივარმა გვითხრა – 25 აპრილს პატრიარქი უნდა  
მობრძანდეს, იქნებ შევხვდეთ და სათხოვარი პირდაპირ მოახსენოთო.

დათქმულ დროს, 2 საათზე ბატონი ამირანი და მე, რუსთავე-  
ლის პროსპექტზე, საპატრიარქოს ფონდში შევხვდით უწმინდესს და  
ჩვენი განზრახვის შესახებ ვაუწყეთ.

გაზებდეთ და ისიც მოვახსენეთ, რომ „წმინდა გიორგის“ სცენარს  
და ჩვენს განცხადებას მამა გიორგი მიართმევდა უახლოეს დღეებში.

„ძალიან საინტერესოა. მახარებს თქვენი ჩანაფიქრი. წარმატებას  
გისურვებთ, დამილოცინხართ“, – ბრძანა უნეტარესმა.

უდიდესი მადლობისა და სიყვარულის დასტურად საქართველოს  
სულიერ მწყემსს ხელზე ვეამბორეთ და თეატრისკენ გამოვეშურეთ.

ამირან შალიკაშვილმა მისთვის ჩვეული შემართებით დაიწყო  
„წმინდა გიორგის“ დადგმა.

რაც შეეხება მატერიალურ დახმარებას. სექტემბრის ბოლოს შევეხმიანე მამა გიორგის, ჯერჯერობით ფონდის გამგეობა არ შეკრებილა, პატრიარქისგან სიტყვიერი თანხმობა მიღებული მაქვს, მართალია, ფონდსაც უჭირს, მაგრამ სადადგმო ხარჯებისთვის 5 000 ლარს მაინც გადმოგირიცხავთო.

მერე აღარც თვითონ შემხმინებია და, დელიკატური მოსაზრებით, არც მე დამირეკავს.

2008 წლის 29 თებერვალს უწმინდესმა და უნეტარესმა ქართველი მწერლები საპატრიარქოში მიგვილო.

ენით აღუწერელია ის სიტბო და სიყვარული, რაც პატრიარქმა ჩვენ მიმართ გამოამჟღავნა.

მწერლებს უდიდესი მისია გაკისრიათო. თქვენც უნდა უჩვენოთ გზადაბნეულთ გზა ჭეშმარიტებისაკენო. გიშუამდგომლებთ პრეზიდენტის წინაშე, რათა თქვენი კუთვნილი სასახლე დროულად დაგიბრუნდეთო. სანამ სასახლეს დაგიბრუნებენ, სამების ტაძარი ჩათვალეთ თქვენს სახლად, შეგიძლიათ ყოველ ხუთშაბათს ტაძარში ჩაატაროთ ლიტურგიატურული ღონისძიებებიო.

ამ განცხადებას ღვთის ნყალობად ვთვლით მწერლები.

მართლაც, ხუთშაბათობით სამების ტაძარში ვმართავთ შემოქმედებით საღამოებს და ყოველი ჩვენი გამოსვლა უწმინდესისა და უნეტარესისადმი განუზომელი მადლობის სიტყვებით იწყება.

იმ დღეს, ე. ი. 29 თებერვალს, მოწინებით შევახსენე უწმინდესს: „წმინდა გიორგის“ დადგმა დასასრულს უახლოვდება და ბედნიერი ვიქნებით, თუ დროს გამოძებნით პრემიერაზე დასასწრებად-მეთქი. უსათუოდ მოვალ, ძალიან მაინტერესებსო, უწმინდესმა.

რაკი პანტომიმის თეატრის მცირე დარბაზი „წმინდა გიორგის“ ნახვის მსურველთ ვერ დაიტევდა, პრემიერა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე დაენიშნეთ – 13, 14 მაისს.

11 აპრილს თეატრში მამა დავითი მობრძანდა მხლებლებითურთ. საპატრიარქოს წარმომადგენლად გაგვეცნო.

ჩვენს ყურამდე მოაღწია ცნობამ, იმის შესახებ, რომ „წმინდა გიორგიზე“ სპექტაკლს დგამთო. გირჩევთ დაუყოვნებლივ აიღოთ ხელი ამ მკრეხელურ განზრახვაზეო.

ამაო გამოდგა ჩვენი საბუთიანი მტკიცება იმის შესახებ, რომ წმინდანთა შესახებ ფილმები, სპექტაკლები და მხატვრული ნაწარმოებები არც მსოფლიოში და არც საქართველოში სიახლე არ არის, რომ ჩვენ გვეგონა მადლობის სათქმელად იყვნენ მოსული. შევახსენეთ „ქეთევან ნამებული“, „შუშანიკ დედოფალი“, „ქრისტე“ და ა. შ.

აპაპაპაპა, გაგონებაც არ სურდათ სტუმრებს. ჩვენ თხოვნაზე,

იქნებ ენახათ სპექტაკლი და შემდეგ გამოეთქვათ აზრი, სასტიკი უარი გვტყვიცეს. მე თეატრში საერთოდ არ დავდივარო მამა დავითმა. თქვენს სპექტაკლს როგორ ვნახავ, რომ მომეწონოს, ხომ დავილუბე, ხომ წავინწყმედ სულსო.

მამა დავითის ვიზიტი, ზედმეტად „ფხიზელი“, მაგრამ ხელოვნებაში სრულიად გაურკვეველი მღვდლის საქციელად მივიჩნიე, აგერ არა მყავს-მეთქი, ჩვენი მფარველი და მხარდაძეერი მამა გიორგი?

დაუფრეკე მაშინვე.

საპატრიარქოში მამა დავითს თუ იცნობენ-მეთქი.

აქ ბევრი „მამა დავითიაო“.

ასე და ასე იყო. მოვიდნენ სამნი და რეპეტიციების შეწყვეტა გვირჩიეს-მეთქი.

ეგ როგორ გაბედესო, ეკლესია საერთოდ ხელოვნებას კი არ ებრძვის, არამედ აღვირახსნილობას და შიშველ სექსუალიზმს ხელოვნებაშიო. დარწმუნებული ვარ, თქვენი ნამუშევარი ასეთი საშიშროებისაგან შორს იქნებაო.

მშვიდად განაგრძეთ რეპეტიციები და პრემიერაზე თუ დაგვპატიყვებთ, მე ხომ მოვალ და მოვალ, უწმინდესს და უნეტარესსაც ვთხოვ მობრძანდესო.

ა, კაცი, გულში ვთქვი, რაოდენი გულწრფელობა და სინმინდე ჩანს ხელოვნებისადმი მის დამოკიდებულებაში-მეთქი.

მაშ, ასე, მოვა 13 მაისი და „წმინდა გიორგი“ დაიწყებს სვლას ჩვენი ახალგაზრდობის სულის გასანმენდად.

ქალაქში გაიკრა აფიშები, იყიდება ბილეთები.

კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო.

3 მაისს საპატრიარქოში დაგვიბარეს მე და ამირან შალიკაშვილი.

ჩემდა გასაოცრად, მთავარ დამბარებელს – მეუფე თეოდორეს გვერდით მამა გიორგი ზვიადაძე იჯდა.

მამა დავითის ფრაზები მენიშნა წმინდა მამათა სიტყვებში.

გთხოვთ, ყურად იღოთ ჩვენი შეგონება და ამოიღოთ გულიდან „წმინდა გიორგიზე“ სპექტაკლის შექმნის განზრახვაო, გვირჩიეს.

ბოლოს, სიტყვის მასალად დასძინეს:

ჩვენ, რასაკვირველია, სპექტაკლს არ ვკრძალავთ, ჩვენ მხოლოდ გირჩევთო.

ამ უკანასკნელ ფრაზას ჩავებლაუჭეთ და რეპეტიციები ცოცხალ-მკვდრებმა გავაგრძელეთ.

უნდა გენახათ 8 მაისს ჩვენი გაოცება, როცა „რუსთავი 2“-ის ეკრანზე გამოჩნდა ძვირფასი მამა გიორგი, რომელმაც საქვეყნოდ განაცხადა:

საერთოდ, წმინდანებზე სპექტაკლის შექმნას სჯულის კანონი და საეკლესიო ტრადიცია კრძალავს. როგორ შეიძლება ცოდვილმა მსახიობმა წმინდანის როლი შეასრულოსო.

ღმერთო შეგცოდე!

მამ, ანათემას გადავცეთ ყველა მსახიობი, ვინც კინოში ქრისტე და მარიამ ღვთისმშობელი განასახიერა? ავკრძალოთ ფილმები და სპექტაკლები დავით აღმაშენებელზე, თამარ მეფეზე, ქეთევან წამებულზე, ილია მართალზე...?

სად? რომელ საღვთო სჯულში წერია ასეთი რამ?

შენ იცი და მე არ ვიცი ეს ამბავი, მამაო გიორგი? მე, რომელმაც ოთხივე სახარება თითქმის ზეპირად ვიცი?

ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ სპექტაკლის შექმნა წმინდა გიორგიზე რომ არ შეიძლებოდა, როდის გაიგეთ ეს ამბავი მამაო?

თუ ადრეც იცოდი, რატომ არ მითხარი შარშან, სასულიერო აკადემიაში ეს განზრახვა რომ გაგანდე, ან რატომ არ გაგვიმხილე მაშინ, როცა მე და ამირანმა „წმინდა გიორგის“ სცენარი მოგართვით?

დამერწმუნე, მიუხედავად იმისა, რომ გული სამუდამოდ მატკინე, ახლად დიდ პატივს გცემ, მამაო გიორგი, როგორც ღრმად მორწმუნეს, კეთილშობილ კაცს და ჩემი კარგი სტუდენტის მამას.

ეგ არის მხოლოდ, ვერ ამიხსნია შენი საქციელი.

მამინ, როცა ჩვენს განზრახვას „წმინდა გიორგიზე“ კურთხევას აძლევს თვით პატრიარქი, რას მივანერო თქვენი თავგანწირული კვეთება ქართული თეატრის საქმეში არამკითხველ ჩარევით პრემიერა ჩაუშალოთ პანტომიმის თეატრს და 2 წლის კეთილშობილური ნაშრომი წყალში ჩაუყაროთ?

ვერ დავიჯერებ, რომ იმ დღეს ტელევიზიის ეკრანიდან, შენ, მამაო გიორგი, შენს სათქმელს ამბობდი, შენს გულისთქმას გამოხატავდი.

ხომ არ გაცდუნეს ბნელმა ძალებმა, მამაო გიორგი?

ხომ არ იჩინა ამ საქციელში თავი იმ თითო-ოროლა მედავითნის აზრებმა, ჩადგნენ საპატრიარქოსა და ქართულ თეატრს შორის?

იქნებ იმ ძალების გამოა, რომ ზვიად გამსახურდიას მოძღვარს, ჭირგამომვლილ მამა ამბროსის სალოცავად ერთი საყდარიც არ აღირსეს და დიაკვანი მამა ელიოზი (მწერალი მერაბ ელიოზიშვილი) მღვდლად არა და არ აკურთხეს?

გირჩევთ გონს მოეგოთ და ქართული სამოციქულო ეკლესიის ბრძენთაბრძენ წინამძღოლს, ყოველთა ქრისტიანთა მფარველს, უწმინდესს და უნეტარესს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ჩაუდგეთ კვალში.

12. V. 05

## მერაბუსა ჰაიმიცინიერი

ირმა რატიანი პროფესორია. თანაც ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ-პროფესორი კი არა – სრული პროფესორი.

ირმა რატიანის წიგნს, რომელიც ახლა მაგიდაზე მიდევს, ჰქვია „ქრონოტომი ანტიუტოპიურ რომანში ესქატოლოგიური ანტიუტოპიის ინტერპრეტაციისათვის“ (2005).

გაიგე, რამე ძვირფასო მკითხველო?

როგორც ჩანს, ქ-ნი ირმა ფიქრობდა: თუ წიგნის სახელს ვერმიხვედრის ბურუსში გავახვევ, მკითხველს (თუ ძალიან ახლობელი არ არის) ხალისი დაეკარგება, გადაშალოს და წაიკითხოსო.

მაგრამ მე იმ მცირე გამონაკლისთა კატეგორიას ვეკუთვნი, ვინც წიგნი გადაშალა და წინათქმაში მეორე გვერდზევე ასეთ წინადადებას წაანყდა:

„... დასაბუთებულია ქრონოტროპული კატეგორიების მაკოორდინირებელი ფუნქცია ლიტერატურული ანტიუტოპიის მეტატექსტის ჟანრული დეტერმინაციის პროცესში და აქცენტირებულია ესქატოლოგიური ანტიუტოპიის ლიტერატურული მოდელი, ლიტერატურული ანტიუტოპიის ჟანრთან შეჯერებულია ლიმინალობის ანთროპოლოგიური თეორია და დადგენილია მისი იმპლანტაციის ხარისხი ზოგადად ლიტერატურული ანტიუტოპიის ჟანრის და კერძოდ, ესქატოლოგიური ანტიუტოპიის ფარგლებში...“

ასე აჯამებს ირმა რატიანი თავისი კვლევის შედეგებს.

იმ კარგ მამას გაფიცებ, მკითხველო, გაიგე რამე?

ღვთის გულისათვის, თუ გაიგე, ნუ დამიმაღავ. სასონარკვეთილმა მოვიმარჯვე ლექსიკონები და უფრო დავიბენი. უმეტესობა ამ უცხო სიტყვათაგან ან საერთოდ არ არის ლექსიკონში, ან სრულიად არალიტერატურული ტერმინი გახლავთ.

არა და ლაპარაკია ორგვერდიან წინათქმაზე. წინათქმაზე, რომელიც მთლად ნათლად თუ არა, ნაწილობრივ გასაგებად მაინც უნდა იყოს დაწერილი. ჩანს, ქ-ნი ირმას უფიქრია, წინათქმაშივე რომ ასეთ თავსატეხს ვაჯახებ მკითხველს, რა ღმერთი გაუწყრება და წიგნის დანარჩენ ნაწილს როგორ წაიკითხავსო.

თუმცა მე იმ უმცირეს გამონაკლისთა შორის აღმოვჩნდი, ვინც თავს ძალა დაატანა და ირმა რატიანის ეს წიგნრებუსი თავიდან ბოლომდე წაიკითხა.

ფიცში რომ არ ჩავიყოლო და წინათქმიდან ამონარიდი ჩასაფრენად არ ჩამითვალოთ, დავხურავ წიგნს და ნებისმიერ გვერდზე გადავშლი; აჰა, 173-ე გვერდზე ვკითხულობ:

„ტრანსფორმაციის პროცესის არსებით მხარეს წარმოადგენს ლიმინალური ფაზა, როგორც ალტერნატიულ სამყაროებს შორის განფენილი ტრანზიციული სივრცე, არსებული და წარმოსახული სისტემების წყალგამყოფი, ამბივალენტური ონტოლოგიური ლანდშაფტი...“

გაიგე რამე ძვირფასო მკითხველო?

თუ რაიმე გაიგე, სიყრმეს გაფიცებ, ნუ დამიმაღავ.

გადაშალე ნებისმიერი გვერდი ჩემ გასამტყუნებლად და თავად დარწმუნდები, ყოველ გვერდზე ამაზე მეტ გაუგებრობას იხილავ.

ეს, რაც შეეხება წიგნის ენობრივ მხარეს.

ნუ გელიმება, გერონტი ქიქოძისა და გურამ ასათიანის ნათელ ფრაზებზე ყურმიჩვეულს. იქნებ ახალბედა მკვლევარს ქართული არ „ეკერკება“, მაგრამ სამაგიეროდ აზრები აქვს „ხელიხელ საგომანებო“, – იქნება ფიქრობდე.

ნეტავ, ასე ყოფილიყო.

ირმა რატიანამდე ყველა ქართველი ფილოლოგი მხატვრული ნაწარმოების ცალკეული კომპონენტების კრიტიკული ანალიზის და შეპირისპირების მეთოდით არკვევდა ამა თუ იმ მხატვრული ქმნილების ადგილს ქართული თუ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში.

ირმა რატიანის კვლევის მეთოდი კომპარატივისტიკის მეთოდი გახლავთ.

ირმამ არ იცის, რას ნიშნავს კომპარატივისტიკის მეთოდი, მაგრამ „საუცხოოდ“ ალერილ ქალბატონს გულში ჩაუხუტებია ა. ო. ალდრიჯის განცხადება და თვალმინაბული იმეორებს:

„ა. ო. ალდრიჯის მართებული შენიშვნით, კომპარატივისტიკის მეთოდი გულისხმობს არა ცალკეული ნაციონალური ლიტერატურის შეპირისპირებით ანალიზს, არამედ იმ უნივერსალური მეთოდის რეალიზებას, რომელიც ზოგად პერსპექტივაში გაიაზრებს კონკრეტულ ლიტერატურულ ნაწარმოებს, ანუ სცდება ნაციონალური მახასიათებლების საზღვრებს და ადგენს განსხვავებული ნაციონალური კულტურებისა და ლიტერატურების ინტეგრაციის ხარისხს“.

რაკი ალდრიჯის გლობალური იდეა მოირგო ბეჭებზე, ირმა რატიანი, რა თქმა უნდა, შორს არ მიდის და იქვე ალდრიჯის ბოსტანში დაფათურობს: „კომპარატივისტიკის მეთოდი, ჩვენი აზრით, – წერს იგი (დახეთ, საკუთარი აზრიც ჰქონია) ზედმინევით კარგად ესადაგება ლიტერატურული ანტიუტოპიის ჟანრში აქცენტირებული სპეციფიკური ქრონოტოპული მოდელების, როგორც ზოგადი და კანონზომიერი სტრუქტურების კვლევას და ადასტურებს ლიტერატურულ პროცესში ინტენსიური ინტეგრაციის ტენდენციას“ (გვ. 15).

აი, რაში ყოფილა საქმე. აი, სადაა დამარხული ძაღლის თავი.

მთავარი ინტეგრაცია, თანაც ინტენსიური ინტეგრაცია.

ინტეგრაცია ხომ შერწყმას, შეერთებას, შეზრდას, გათქვეფას ნიშნავს. ესე იგი ეს ჩვენი მშობლიური კულტურა, რომლის თვითმყოფადად ჩამოყალიბებას ათასწლეულთა რუდუნება შეეწირა, თურმე სხვა კულტურას უნდა შეერწყას, სხვა კულტურაში უნდა გაითქვიფოს და მკვლევარის მთავარი ამოცანა დღეს თურმე ის გახლავთ, დაადგინოს იმ შერწყმა-ინტეგრაციის ხარისხი.

მაგრამ ეს ხომ ეროვნული ცნობიერების მოსპობის სოროსულ-გლობალური გეგმის ნაწილია, ირმა?

დავიჯერო, არ იცი ვის წისქვილზე ასხამ წყალს?

დავიჯერო, არ გაგიგია, რომ ვარდების რევოლუციამ პარლამენტში ეროვნულ საქმეთა კომიტეტს სახელი შეუცვალა და ევროპული ინტეგრაციის კომიტეტი დაარქვა?

იცი, ძალიან კარგად იცი და ამიტომაც ხარ „ინტეგრირებული“ არაეროვნულ ხელისუფლებასთან.

თქვე საცოდავებო, ქარველო მეცნიერ-ფილოლოგებო, აქამდე რომ ნაციონალური ლიტერატურის ტაფაზე იხრაკებოდით და ამაოდ დაშვრით ისე, რომ ნაციონალური ლიტერატურის ინტეგრაციის ხარისხისკენაც არც გავიხედავთ, მოვიდა ირმა რატიანი და გიხსნით ნაციონალური სირცხვილისაგან.

მოიმარჯვებს კომპარატივისტიკის მეთოდს და იალა!

ირმა რატიანამდე არსებობდა უტოპიის თეორია, ანუ ავტორისთვის სასურველი, მაგრამ რეალურ მეცნიერულ საყრდენს მოკლებული და ამიტომაც განუხორციელებელი თეორია საზოგადოების განვითარების, სოციალური ცხოვრების მოწყობის შესახებ.

უტოპიურ ნაწარმოებებში პირდაპირ, მიკიბ-მოკიბვის გარეშე, დოქტრინის სახით იყო გაცხადებული უტოპიური საზოგადოებრივი წყობის ანი და ჰოე.

ირმა რატიანი „ავითარებს“ ნასესხებ თეორიას და უფრო შორს მიდის, ანტიუტოპიას ახალ, დამოუკიდებელ ჟანრად აცხადებს:

„წინამდებარე ნაშრომში ლიტერატურული ანტიუტოპია მოაზრებული იქნება არა როგორც უტოპიის მარტივი სოციალურ-პოლიტიკური ოპონენტი, არამედ როგორც დამოუკიდებელი და სრულყოფილი ანტიუტოპიური ჟანრი“ (გვ. 11).

მამ ასე, ლიტერატურის აქამდე ჩვეთვის ცნობილ სახეებს (ეპოსი, ლირიკა, დრამა) და ლიტერატურულ ჟანრებს (რომანი, მოთხრობა, ნოველა, პოემა, პიესა, ბალადა, ოდა, სონეტი, იგავი...) ირმამ ამიერიდან ახალი ჟანრი – „ლიტერატურული ანტიუტოპია“ დაუმატა.

მაგრამ ჟანრული სახე რომ საუკუნეებში ყალიბდება და ჟანრის

სახელწოდებას მარტო ერთი ნიშანი (არსებულთან დაპირისპირება) კი არა, თვისებათა მთელი წყება განსაზღვრავს, ამას ქალბატონი ირმა არ დაგიდევთ.

მას ასე უნდა, მორჩა და გათავდა.

ირმა რატიანის ნაშრომი დიდთავა, მახინჯ, რახიტიან ყმანვილს ჰგავს. უდევს წინ სხვისი სტატიები და დაბალახობს ციტატებში. ჯერ უტოპიის ცნების განმარტებით გვანათლებს, მერე კრონოსის მითს, პლატონს, თომას მორს, კამპანელას, ბეკონს და სხვებს (ციტატების კონგლომერანტი!) აწუხებს და მერე 170-ე გვერდიდან იწყებს „მსჯელობას“ თავისი კვლევის ძირითად მიზანზე – ნაბოკოვის ორი რომანის და „ჯაყოს ხიზნების“ განხილვას ცდილობს კომპარტივისტიკის მეთოდის მომარჯვებით, ანტიუტოპიურ ჟრისში.

შეიძლება 270-გვერდიან ნაშრომში 179-გვერდიანი შესავალი ჰქონდეს?

ეს ხომ დაახლოებით იმას ჰგავს, გალაკტიონის „მერიზე“ რომ ჩავიფიქრო წერილი და ამოვყვე ისე შორიდან (ჯერ „განსაზღვრო“ რა არის პოეზია საერთოდ, მერე ჩავუფილოსოფოსდებ მსოფლიოს ცნობილი პოეტების შემოქმედებას, მერე „გავარკვიო“ – რა არის სიყვარული საერთოდ და კერძოდ უარყოფილი სიყვარული...). რომ საკუთრივ „მერიზე“ სალაპარაკოდ დრო აღარ დამრჩეს.

ამაოდ ცდილობს ჩვენს მოტყუებას ირმა რატიანი.

„ჯაყოს ხიზნები“ ამ ნაშრომში ხელოვნურად მიტმასნილად, ღარიბი ნათესავით ხატრით ჩართულად გამოიყურება.

მას, მსოფლიო უტოპისტებით და ნაბოკოვით გართულს, როგორც ეს კომპილიატორს და გრაფომანს სჩვევია, მოუნდა მშობლიურ ლიტერატურაშიც მიმოეხედა და ქართული მაგალითი ჩაერთო თავის „ნააზრევში“.

სტაცა ხელი „ჯაყოს ხიზნებს“ და სრულიად თვითმიზნურად, უსაბუთოდ „ანტიუტოპიურ“ რომანად გამოაცხადა.

თურმე, რას აღარ ჩაგადენინებს ეს კომპარატატივისტიკის მეთოდი.

დაახ, უცხოელ თეორეტიკოსთაგან აიღო ირმამ ანტიუტოპიის მოდელი და იგი ძალით ჩამოაცვა ქართულ ლიტერატურას. თუმცა ამ სხვისგან მოპარულ თეორიულ დოგმებში თვითონვე გაიხლართა და ვერაფრით დაამტკიცა „ჯაყოს ხიზნების“ ანტიუტოპიურობა.

თუ „ჯაყოს ხიზნები“ ანტიუტოპიურია, მაშინ უტოპიურად რომელი ნაწარმოები მიგაჩნია, ირმა, ქართულ ლიტერატურაში საერთოდ და, კერძოდ, მე-20 საუკუნის ქართულ მწერლობაში?

აქვე ირმა რატიანის რამდენიმე საკუთარ „ბრძნულ აზრს“ ამოვწერ:

„რომანის ჟანრი დიალოგური ფორმით წარმოჩენილი რეალობის მოდელს წარმოადგენს, ანუ ენა ავტომატურად მიიჩნევა რომანის წარმოშობის ისტორიულ წინაპირობად“ (გვ. 83).

„ჟანრის ჰოლისტიკური თეორია ამთლიანებს ჟანრის გააზრების სინქრონულ და დიაქრონულ რაკურსებს ანუ აერთიანებს ჟანრის შინადასტრუქტურული სტატიკურობისა და გარე სტრუქტურული დინამიკურობის კონცეფციებს და ამკვიდრებს ჟანრს, როგორც შიდა და გარე განსაზღვრულობას“ (გვ. 91).

„პირველი ნიშანი, რომლითაც, ჩვენი აზრით, „სოფლის“ სივრცული მოდელი განსხვავდება „ქალაქის“ მოდელისაგან, არის მისი „სიმწვანე“, ერთი შეხედვით, ვიზუალური მახასიათებელი, რომელიც თხრობის მსვლელობაში აპოკალიპტიკურ სიღრმეს იძენს“ (გვ. 259).

„დექანი დესაკრალიზებულ სივრცესთან პერსონაჟის გაუცხოების მეტაფორული რეალიზაცია“ (გვ. 263).

„თეიმურაზის ბრინკად ქცევა კი უდავოდ მოასწავებს ხევისთავის ინტეგრაციას კვაზინომინაციის ანტიუტოპიური ნიშნით აღბეჭდილ მასაში“ (გვ. 219).

უტოპიური (ან, შესაბამისად, ანტიუტოპიური) შეიძლება იყოს თეორიული დოქტორინა, მწერლის შეხედულება რომელიმე პასაჟში გამოხატული, ან პერსონაჟის პირით გამოთქმული, მაგრამ როგორ შეიძლება მხატვრული ნაწარმოები მთლიანად ანტიუტოპიური იყოს. თომას მორი „კუნძულ უტოპიას“ თავიდან ბოლომდე თავისი ფილოსოფიური შეხედულების გადმოცემას უძღვნის. იგი მხატვრულ ნაწარმოებად ბევრს არც კი მიაჩნია, მაგრამ რა შუაშია „ჯაყოს ხიზნები“?

ჯერ ერთი, პერსონაჟის აზრი იშვიათზე იშვიათადაა თვით ავტორის შეხედულება და, ესეც არ იყოს, მხატვრულ ნაწარმოებს ხომ სხვა უამრავი განზომილება გააჩნია (იმ „სხვა განზომილებებზე“, სამწუხაროდ, ირმა რატიანს წარმოადგენა არა აქვს).

როგორ ფიქრობს ჩვენი ახალ გამოჩეკილი პროფესორი, საბჭოთა წყობილებისადმი არზაყან ზვამბაიას ფანატკური ერთგულების გამო „მთვარის მოტაცება“ უტოპიური ნაწარმოებია?

უფრო მეტიც, რაკი კოლმეურნეობის აპოლოგიას წავანყდებით „გვადი ბიგვას“ ზედაპირული (მხოლოდ ზედაპირული) გადახედვის დროს, ამიტომ „გვადი ბიგვა“ უტოპიურ ნაწარმოებად მივიჩნიოთ?

თუ ღრმად ჩაიკითხავს, თვით შენისთანა დაბალი გემოვნების და ლიტერატურის ლაბირინთებში აშკარად გაურკვეველი მკვლევარც კი აღმოაჩენს „გვადი ბიგვაში“ მწერლის აშკარა ირონიას, სოციალისტური წყობილების წინააღმდეგ მიმართულს. როგორ შეიძლება პიროვნება სამ დღეში რადიკალურად გარდაიქმნასო, ჩაგვძახის ავტორი რომანის ქვეტექსტიდან.

აი, სწორედ იმ ქვეტექსტში წვდომა გიჭირს შენ, ძვირფასო ირმა, რაკი ლიტერატურა შენი საქმე არ არის.

შენ დაიბრალე თეორეტიკოსობა და უცხოელ მიამიტ მკვლევართა აზრების მითვისებით ქართული მწერლობის ურთულეს, მრავალპლანიან ნიაღში სცადე შეღწევა, მაგრამ არ გამოგივიდა.

როგორ ფიქრობ, ძვირფასო, შოლოხოვის „წყნარი დონი“ უტოპიური რომანია თუ ანტიუტოპიური?

მე რომ შენი „ლოგიკის“ ამბავი ვიცი, ირმა, თუ მოინდომებ და უტოპიურობის თეორიით შეიარაღებული ამოხედავ „წყნარ დონს“, ადვილად დაამტკიცებ მის უტოპიურობას, მაგრამ თუ მოინდომებ შოლოხოვის ამ გენიალური რომანის ანტიუტოპიურად გამოცხადებას, არც მაშინ გაგიჭირდება „სათანადო საბუთების“ მოძიება.

მაინტერესებს, ბიბლია საერთოდ, და განსაკუთრებით ოთხივე სახარება. ირმა რატიანის ანტიუტოპიური დოქტრინის შუქზე დანახული, უტოპიაა თუ ანტიუტოპია?

ღმერთო შეგცოდე, ქრისტეს მოძღვრებაც, ჩვენ რომ სრულიად ბუნებრივად, უმაღლეს ჭეშმარიტებად მიგვაჩნია, თავის დროზე ხომ სხვა მოძღვრებას, სხვა რელიგიას დაუპირისპირდა და ამ თვალსაზრისით, იგი მაშინ ხომ ანტიუტოპიური იყო? და დღეს, როცა ახალ აღთქმაში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით საიქიო ცხოვრების, თანასწორობის, საყოველთაო ჰარმონიის იმ მოდელს, საითკენაც ისწრაფვის გონიერი კაცობრიობა, ხომ შეიძლება სხვა რელიგიის წარმომადგენლის (რომელთა რწმენას პატივი უნდა ვცეთ), ან სრულიად ურწმუნო კაცის შეხედულებით ქრისტეს თეორია სამუდამოდ სასუფევლის შესახებ სრულ უტოპიად გამოცხადდეს, რისი მაგალითიც მილიონობით იცის ისტორიამ?

მაშ, როგორ გამოდის, ირმა? ერთი და იგივე მოვლენა ერთსა და იმავე დროს შეიძლება უტოპიურიც იყოს და ანტიუტოპიურიც?

აი, სადამდე მიგიყვანა შენმა ბავშვურ-გულუბრყვილო ექსკურსიებმა ლიტერატურასა და ფილოსოფიაში, ირმა.

შენ ერთმანეთისგან ვერ ასხვავებ საკუთრივ მხატვრულ ლიტერატურას, წმინდა ფილოსოფიას და რელიგიას, აჯაფსანდალივით ურევ ამ სამ მოვლენას ერთმანეთში და სავალალო შედეგსაც იმკი.

როცა სხვათა ციტირებით გადიხარ ფონს, უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან ამოღებული ტერმინებით თავბრუს გვახვევ და წიგნიდან წიგნი დამაკრატელობ, არა გიშავს, ბეჯითი, მაგრამ მოზეპირე მონაფის შრომისუნარიანობით გვართობ, მაგრამ ვერ კი გვაჯერებ, მაგრამ როცა ხანდახან შეკუნტრუმები და შენს ბრძნულ ავტორმწვრთნელებს ხელს გაუშვებ, მოდი, ვცდი, იქნებ ჩემითაც გადავდგარამდენიმე ნაბიჯო, მტრისას, ისეთი სანყალობელი ხდები.

შენ თვითონვე ვერ გაგიკვევია, რისი თქმა გსურს. ტექსტს ძალას ატან და შენი მარტივი აზრის სარეცელისკენ მიათრევ, მაგრამ მხატვრული ფენომენი არ გემორჩილება და ჭირის ოფლში ცურავ.

რატომ აუტეხე შენს თავს ასეთი სატიკივარი, ირმა?

გეცხოვრა დედისა და მეუღლის მშვიდი ცხოვრებით.

რა არ გყოფნიდათ თქვენ, ოთხ მშვენიერ დაქალს, იმ სფეროდან, რომელიც ოთხივემ კარგად იცით, ერთ მშვენიერ დროს ყავის სმის დროს მსოფლიო სევედა რომ დაგეუფლათ და გამეცნიერებაც მოინდომეთ?

გამეცნიერება ვერ შესძელით, მაგრამ თქვენსავე მასწავლებლებს ინფარქტები და ინსულტები ხომ ჩამოურიგეთ.

გამეცნიერება ვერ შესძელით, მაგრამ ქვეყანა სიმწრით ხომ გააცინეთ.

\*\*\*

ძვირფასო მკითხველო!

ყველა ყველა და ახალგაზრდა მკვლევარის უმწიფარი აზრები მე არ უნდა გამკვირვებოდა. მით უმეტეს, რომ ირმა რატიანის უფროსი თუ უმცროსი თაობის ათეულობით წარმომადგენელს (და, მათ შორის, ირმას განუყრელ მეგობარს – ბელა წიფურიას) ჩემი ხელმძღვანელობით აქვს დაცული საკანდიდატო დისერტაცია, მაგრამ ამჯერად უწყინარ ლიტერატურულ შეცდომებთან როდი გვაქვს საქმე.

ირმა რატიანის კვლევის მიმართულებაში მე საქართველოსთვის საზიანო ტენდენციები დავინახე, ეს გახლავთ, უპირველეს ყოვლისა, გლობალიზაციის და კულტურათა ინტეგრაციის მტრული თეორიის მომარჯვებით ბრძოლა მშობლიური ეროვნული ლიტერატურის, ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ.

აი, ასეთი საშიში აზრების ქალბატონი წამოასვეს თავზე შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტს.

სხვათა შორის, ჩვენმა „ღრმა ფილოსოფოსმა“ აკვიატებული უტოპიურობის ნიმუში შოთა რუსთაველსაც მოუძებნა!

„თხა და მგელი ერთად სძოვდეს“ – ეს ფრაზა თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ჭეშმარიტად უტოპიურ ტექსტად ქართულ ლიტერატურაში და ვივარაუდოთ ის საინტერესო გაგრძელებანი, რომლებიც შესაძლოა მოჰყოლოდა მას შემდგომ საუკუნეებში. მაგრამ, სამწუხაროდ, ისტორიულმა რეალობამ არ მისცა ქართულ ლიტერატურას საშუალება, განვითარებულიყო ევროპული ლიტერატურული სტანდარტების კვალდაკვალ“, – წერს ირმა რატიანი (გვ. 23).

უფრო დიდი სისულელის მოფიქრება შეუძლებელია.

თავისი გონების სივინროვისგან შეთამამებული ირმა რატიანი რუსთაველის მხატვრულ-აფორისტულ გამონათქვამს (ფოლკლორიდან გამომდინარე) „თხა და მგელი ერთად სძოვდეს“ ქართული უტოპიის ბალავერად მიიჩნევს და გული სწყდება, რომ რუსთაველმა ამით შეწყვიტა უტოპიასთან კავშირი, ხოლო შემდგომ საუკუნეებში, სამწუხაროდ, ქართული ლიტერატურა „ევროპულ ლიტერატურულ სტანდარტებს არ გაჰყვა“.

იმის ნაცვლად, რომ რუსთაველის თხა და მგელზე საინტერესო უტოპიური შენობები აეგო, ადგა და „სიბრძნე სიცრუისას“, „ქართლის ჭირის“, „მერანის“, „ოთარაანთ ქვრივის“ და „დიდოსტატის მარჯვენის“ წერას მიჰყო ხელი.

ვაი, იმ ინსტიტუტს, ჩემო ძვირფასო მასწავლებლებო – კორნელი კეკელიძე და ალექსანდრე ბარამიძე, რომელსაც თქვენს სავარძლებზე შემოსკუპებული ასეთი გონებაშეზღუდული დირექტორი ჰყავს.

ახლა კი ნათელია, თუ რატომ დაცუნცულდნენ ირმა რატიანი, ბელა ნიფურია, გიგი თევზაძე, გია ხუბუა და სხვა მათი მსგავსი ანტიეროვნული პერსონები საზღვარგარეთ.

დაცუნცულდნენ იმისთვის, რომ ეროვნული ცნობიერების დამორგუნველი ბაცილა ჩამოეტანათ.

ახლა ხომ ხვდები, ძვირფასო მკითხველო, რატომ გააუქმეს კახა ლომიაძე და მისმა დამქაშებმა ეროვნული წისქვილები, რატომ გარეკეს ქუჩაში ეროვნული მეცნიერები...

მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზნით – ეროვნულ პროფესორებს სტუდენტების და ასპირანტებისთვის სამშობლოს სიყვარული არ შეეხსენებინათ.

ასე მიჰყავთ საქართველო ჩვენს „ახალყოილთ“ გლობალიზაციის უფსკრულისკენ.

გლობალიზაციის საბედისწერო უთოს ემსახურება ირმა რატიანის შემოქმედება.

ხოლო რა დამართა ირმა რატიანმა ილია ჭავჭავაძეს, საიდან გადმოიღო მან ძირითადი მოდელი (და ხშირად აშკარად მთელი ფრაზებიც) თავისი ანტიუტოპიურობის თეორიისთვის და როგორი კრიტიკოს-მეცნიერები არიან „ჩემი აღზრდილები“ ბელა ნიფურია, თამარ პაიჭაძე და რუსუდან ნიშნიანიძე, ამის შესახებ შემდგომ წერილებში მოგახსენებთ.

დეკემბერი, 2008

11 აპრილს გაუგონარი, შემადრწუნებელი ამბის მოწმე გავხდი: პანტომიმის თეატრის ხელმძღვანელმა ამირან შალიკაშვილმა დამირეკა, როგორც მაცნობეს, პირველ საათზე საპატრიარქოდან სტუმრები გვეყოლება და იქნებ მოხვიდეთო. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ამირან შალიკაშვილი დგამს სპექტაკლს „წმინდა გიორგი“, ლიბრეტოს ავტორი მე გახლავართ.

თეატრში სამნი შემოვიდნენ, ერთს ანაფორა ეცვა და „მამა დავითად“ გაგვეცნო. ორნი შედარებით ახალგაზრდები, სამოქალაქო ტანსაცმელში გამონყობილნი, მამა დავითს ახლდნენ. ერთი შავწვეროსანი, მეორე – ქერათმიანი.

მამა დავითმა მიკიბვ-მოკიბვის გარეშე დაიწყო: მოგესხენებათ, ეკლესია ყოველგვარ ხელოვნებას და განსაკუთრებით თეატრს უარყოფს. ვავიგეთ, რომ წმინდა გიორგიზე წარმოდგენას ამზადებთ, მოვედით, რათა შთაგაგონოთ, წმინდანებზე ყოველგვარი სახელოვნო ნაწარმოების შექნა მკრეხელობაა, ამიტომაც დაუყოვნებლივ ხელი უნდა აიღოთ განზრახვაზე და რეპეტიციები შეწყვიტოთო.

– თქვენ თეატრში თუ დადიხართ, რელიგიურ ფილმებს თუ უყურებთ ან ქრისტეს ცხოვრების პასაჟებით სავსე მხატვრულ ლიტერატურას თუ კითხულობთ-მეთქი.

– რა თქმა უნდა, არაო, ბავშვობაში ერთად ერთხელ წამიყვანეს თეატრში და იმის შემდეგ ახლოს არ გავკარებივარო. – თუ გაგიგიათ მაინც, რომ მსოფლიოში ქრისტეზე 5 შესანიშნავი ფილმია შექმნილი და მათ შორის ერთს „ოსკარი“ აქვს მიღებულიო, – ჰკითხა ბატონმა ამირანმა.

– არ გამიგიაო.

– რელიგიური თემა რამდენად დასაშვებია, მხატვრულ ნაწარმოებში-მეთქი.

– მხოლოდ სახარების ციტირება შეიძლებაო.

– მაშინ რა ვუყოთ წმინდანებზე დაწერილ აგიოგრაფიულ თხზულებებს ან კონსტანტინე გამსახურდიას, ბულგაკოვის, ჭაბუა ამირეჯიბის, ნოდარ დუმბაძის, მერაბ ელიოზიშვილის, ოთარ ჭილაძის და სხვათა რელიგიური მოტივებით გაზუზღულ ნიგნებს-მეთქი?!

– ჩემთვის ყველა მათგანი მიუღებელიაო.

– თეატრში ზოგჯერ ფრთიანი ანგელოზები რომ გამოჰყავთ-მეთქი?

– ჩვენი ნება რომ იყოს, საქართველოში ყველა თეატრს დავხუდრვითო, მამა დავითმა.

– მიქელანჯელოს და ლეონარდო და ვინჩის ბიბლიურ მოტივებზე შექმნილ გენიალურ ქმნილებას როგორ უცქერითო, – ბატონმა ამირანმა.

– ორივენი ავადმყოფები იყვნენ და მკრეხელურ სურათებს ხატავდნენო, – მამა დავითმა.

– ზაქარია ფალიაშვილის გენიალურ ოპერაში რელიგიურ თემას რა ვუყოთ-მეთქი.

– თქვენ რა, არ იცით, რომ „დაისიც“ და „აბესალომ და ეთერიც“ მკრეხელური ნაწარმოებებია და მათი ავტორი სრულებითაც არ იყო მართლმადიდებელი ქრისტიანიო (თურმე კათოლიკობა დანაშაული ყოფილა – რ. მ.)

სიბრაზისგან თმები ყალყზე დამიდგა, მაგრამ რას ვიზამდი.

– ე. ი. შევწყვიტოთ-მეთქი რეპეტიციები; ახალი ჯურის ცენზორებო? ცოტა უკმეხად გამომივიდა.

– ჩვენ გირჩევთ და დანარჩენი თქვენ იცითო.

– რასაკვირველია, თქვენ უკვე ცოდვით დაიმძიმეთ სული და წარმოიდგინეთ, სპექტაკლში დაკავებული 25-ივე ახალგაზრდა მსახიობი ცოდვილნი გახლავან, რაც მალე მოინანიებენ, უკეთესიაო.

– ხომ არ ჩქარობთ ჩვენთვის ჯოჯოხეთის საგზურის გამოწერას, მამაო, იქნებ დაგვსწრებოდით რეპეტიციაზე, გენახათ წარმოდგენა, ჩვენ ეს სპექტაკლი სწორედ რომ წმინდა გიორგის თაყვანის საცემად ჩავიფიქრეთ-მეთქი.

– როგორ გეკადრებათ, გენიალურიც რომ იყოს, წარმოდგენას როგორ დავესწრები, თეატრში რომ ფეხი შემოვდგით, ამითაც ცოდვა ჩავიდინეთო, – „ღვთის მოციქულმა“.

– თუ ხელოვნება და მწერლობა მკრეხელობაა, როგორ ხდება, რომ უწმინდესი და უნეტარესი გალაკტიონს, ვერიკო ანჯაფარიძეს, ლევან სანიკიძეს, სოფიკო ჭიაურელს, სერგო ზაქარიაძეს, ვასო გოძიაშვილს და სხვებს პარაკლისს უხდის, ანა კალანდაძეს სამების ტაძრიდან ასვენებენ, ხოლო ხელოვნების გამოჩენილ ცოცხალ მოღვაწეებს პატრიარქი შუბლზე კოცნის-მეთქი.

ამაზე ვერაფერი მიპასუხა სტუმარმა.

– კეთილი და პატიოსანი, თუ წმინდა გიორგის მაინც წარვუდგენტ მაყურებელს, პირადად თქვენ რა ზომებს მიმართავთ-მეთქი.

– რას და, პრემიერის დღეს ათასამდე მორწმუნეს მოვიყვანთ თეატრთან და სპექტაკლს ჩაგიშლითო, – მამა დავითმა.

წავიდნენ თუ არა სტუმრები, საპატრიარქოში მამა გიორგისთან დავრეკე და პანტომიმის თეატრში „სამთა საიდუმლო სერობის“ ში-

ნაარსი მოკლედ მოვახსენე როგორ მოვიქცეთ-მეთქი, – ვკითხე სასონარკვეთილმა.

– ასეთ პიროვნებებს საერთოდ არ ვიცნობო, – მამა გიორგიმ – მით უმეტეს წარმოუდგენელია, რომ ისინი საპატრიარქოს დავალებით ყოფილიყვნენ თქვენთან მოსული, ჩვენ ჭეშმარიტი ხელოვნების უარმყოფელნი კი არა, პირიქით, ქომაგნი ვართო, მოგეხსენება, უწმინდესი როგორ მფარველობს მწერლებს და, საერთოდ, შემოქმედებით ინტელიგენციას, ისე როგორც ყველა ქართველსო.

ჩვენო, უხამსობის, სკაბრეზულობის, სექსუალური აღვირახსნილობის წინააღმდეგ ვართ, როგორც ხელოვნებაში, ისე ცხოვრებაშიო. დადგით სპექტაკლი, ჩანაფიქრი ფრიად კეთილშობილურია, თუ პრემიერაზე მოგვიწვევთ, მაღლობელი ვიქნებით, იქნებ კათალიკოსმაც მოიცალოს და მობრძანდეს სანახავადო.

სხვა პასუხს არც ველოდი.

კათალიკოსი ჩვენი სულიერი მამა და კეთილი მწყემსია, გვსურს, ჩვენი „წმინდა გიორგი“ ჩვენი სამოციქულო ეკლესიის სამსახურში ჩადგეს.

კათალიკოს-პატრიარქის მიერ მწერალთა მიმართ ახლახან გამოჩენილი გულისხმიერება ოქროს ასოებით შერჩება ჩვენი ეკლესიის ისტორიას. ხელისუფლების მიერ საკუთარი შენობიდან გამოძევებული მწერალთა კავშირი პატრიარქმა სამების ტაძარში შეიფარა, სადაც ჩვენ, მწერლები, 17 აპრილს ქართული ენისადმი მოძღვნილ მორიგ ღონისძიებას ვმართავთ. ვფიქრობთ, სამთა ვიზიტი პანტომიმის თეატრში ან არამკითხე მოამბეთა მოუფიქრებელი ნაბიჯი იყო, ან კათალიკოსის წინააღმდეგ ბრძოლის გამოხატულება! მით უმეტეს, რომ უწმინდესს მე პირადად ორჯერ მოვახსენე თეატრის გადწყვეტილების შესახებ და რაკი იდეა მოიწონა, წმინდა გიორგის ლიბრეტოც მივართვი!

მაისი, 2008 წ.

## კეისარს კეისრისა

შოთა ჩემი უპირველესი მეგობარი იყო.

რას ჰქვია უპირველესი?

ახლა ხომ ყველაფრის დანომვრის დროა და, ალბათ, მეგობრების დანომვრაც შეიძლება.



ბედმა ისე დამსაჯა, რომ ჩემი უპირველესი მეგობრები შოთა ნიშნიანიძე, ლევან სანიკიძე, ზაურ ბოლქვაძე, მორის ფოცხიშვილი, გურამ შარაძე, ვახტანგ ქარუმიძე, სოსო ბუხაიძე იმ ქვეყნად არიან. იმხელა წუხილი დამიტოვეს ამ ნათელმა აჩრდილებმა, იმდენი უთქმელი სიტყვა გაიყოლეს თან რომ დავდივარ ახლა მათ საფლავებს შორის დაგვიანებული მგზავრით და მრცხვენია, ცოცხალი რომ ვარ, ამ ბოლო დროს წამდაუნუმ ვიმეორებ: ერთმანეთი გვიყვარდეს, ერთმანეთი გავიტანოთ-მეთქი.

შოთა მაინც სხვა იყო.

მისი სტრიქონები ხან იერიქონის საყვირია და ხან მოქნეული მათრახი, ხან ქართული სულის უტკბილესი საგალობელია და ხან ამორძალთა უნაგირზე დარწეული უდაბნოს ქარის ჯიუტი ფეთქვა.

ხშირად ერთად ვიდექით მიტინგზე სიტყვით გამოსვლა არ უყვარდა. შენ გამოდი, მე აქ დაგიცდიო. იდგა სევდიანი, ჩაფიქრებული, თავჩაკიდებული... ღონიერი ხარისქედი უჩანდა. საცრისხელა თვალები გასცემდნენ ხოლმე შინაგან მღელვარებას. რევოლუციური ექსტაზით შეპყრობილი ვერც ამჩნევდნენ მათ შორის მდგარ ამ ღვთაებრივ კაცს, ერთ-ერთმა პირველმა რომ გაანა სილა საძულველ რეჟიმს და ბოროტ სულს დუელიანტის მრისხანებით მიმართა: „ბარიერთან!“

მახსოვს სამოქალაქო ომის დროს მის წინ ჩარბენილი ავტომატიანი ბიჭი შეაჩერა. ღონიერ მკლავებში მოიქცია და შეაჯანჯღარა: „სულ გაგიყვდით, ბიჭო!? ერთმანეთს ესვრით ქართველები?!“ იმავე საღამოს დაწერა ბრბოს უგუნურების ლექს-განაჩენი: „ზიგ ფაილ! ზიგ ფაილ!“

ამ დროს რა მღობილი გული ჰქონდა და სათნო ფაქიზი კაცი იყო.

ერთხელ მოსკოვში ვიყავით მწერალთა კავშირის პლენუმზე. ერთ ოთახში გვეძინა. საუზმეს ან სადილს რომ მოვრჩებოდით, შოთა პურის ნაჭრებს ქალაღდში შეახვევდა და ჯიბეში იდებდა! რად გინდა-მეთქი, ღამე მოშიება ვიციო. ერთხელ შევესწარი, ყვავებს უფხვნიდა, არაფერი მითქვამს, რაკი თავიდანვე არ გამიმხილა. გამიღიმა. ყვავები რატომღაც არავის უყვარსო, მთელი ყურადღება ხალხს მტრედებზე აქვს გადატანილიო, – მორცხვად, ცელქობაზე წასწრებული ბავშვით მითხრა.

ჩემი უბედურების დროს გვერდიდან არ მომშორებია. დასაფლავებიდან ერთი კვირა არ იყო გასული, გურამ გოგიაშვილთან ერთად მოდიოდა. არ უთხრაო, გურამს უჩურჩულა. მეორე დღეს „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა შოთას მიერ აჩიკოზე დაწერილი უბრწყინვალესი ლექსი, რომელსაც დღემდე, ცრემლგამმრალი, ლოცვასავით ვიმეორებ ხოლმე.

ნიღბის ამღებმა დაგვალალატა და დასაფლავებამდე ნიღბი ვერ ავუღეთ. დაკრძალვის შემდეგ კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით შუალამისას სამარიდან ამოვასვენეთ და ასე შემოვუნახეთ შოთას ნამდვილი სახე შთამომავლობას (ეს ამბავი აღწერილი აქვს შოთას ღირსეულ მეუღლეს ქ-ნ თამარს თავის ბრწყინვალე მემუარულ წიგნში: „მე და შენ“).

გამოსათხოვარ სიტყვაში ვთქვი: „მორჩა!“! შენ ველარაფერს გავნებენ ის არამკითხე მედროვენი სიცოცხლეში თავიანთ ღინღღმეპუტულ ფრთებს რომ გატოლებდნენ და შენი დიდება შურდათ.

შეუნდე ყველას ბრძენკაცო.

შენ, შოთა ნიშნიანიძეს, იქ, მაღლა, მთანმინდაზე გალაკტიონის გვერდით ხვალინდელი, უფრო ჭეშმარიტი და ღირსეული საქართველო მიგიჩენს საუკუნო განსასვენებელს.

იქნებ...

იქნებ ამაო არ გახდეს ჩემი მოლოდინი.

იქნებ ახლა მაინც მივუზლოთ კეისარს კეისრისა?

## „არ მომკვდარა...“

ერთი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა მსოფლიო ცივილიზაციის წინაშე გაუგონარი, უმაგალითო დანაშაული ჩაიდინა.

შარშან, ამ დროს, 21 აგვისტოს, იგი პოლიციის ნიღბიანი რაზმებით თავს დაესხა მწერალთა სასახლეს და იავარჰყო.

ასეთი სისასტიკით დამნაშავეთა ბანდას და „ქურდების სხად-ნიაკსაც“ არ ესხმიან თავს.

როცა განვრთნილი ჯომართ-ბანდიტები მწერალთა სასახლეში შეცვივდნენ და ჩვენი კლასიკოსების პირად ნივთებს, სამუზეუმო ექსპონატებს, ავტოგრაფიან წიგნებს, ილიას, აკაკის და გალაკტიონის პორტრეტებს უმონყალოდ ქუჩაში ჰყრიდნენ, იქვე, ახლომანლო ჩაცუცქული, ავტომატმეყენებული პოლიციელები ოპერაციის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ.

ასე დაღუნეს, დაარბიეს, მოშალეს სააკაშვილის ბრძანებით ეროვნულად მოაზროვნე მწერალთა ბუდე და ამით შეურაცხვეს არა მარტო ქართული კლასიკური და თანამედროვე მწერლობა, არამედ მსოფლიოს კულტურაც აბუჩად აიგდეს.

საკაშვილის მიერ ჩადენილი საერთაშორისო დანაშაული მეორე დღესვე გახდა ცნობილი დედამიწის ყველა კუთხის პოლიტიკური წრეებისა და საერთაშორისო სამწერლო ორგანიზაციებისათვის.

ამ ერთი წლის განმავლობაში დიქტატორმა „პრეზიდენტმა“ მსოფლიოს ლიტერატურული ანსამბლების თუ შემოქმედებითი კავშირების არაერთი წერილი მიიღო თხოვნით: მწერალთა კუთვნილი სასახლე მწერლებისთვის დაებრუნებინა, მაგრამ იმდენად დიდია ზიზღი მძვინვარე პრეზიდენტის გულში მშობლიური კულტურისადმი, რომ მიღებულ წერილებს წაუკითხავად ჰყრის ურნაში და უფრო და უფრო აცოფებს ის გარემოება, რომ ამ რეპრესიული ზომებით მან ქართველი მწერლები ვერ დააჩოქა.

დღეს „პრეზიდენტის“ ნებით ოკუპირებულ მწერალთა სასახლეს პოლიციელები სდარაჯობენ. ჯალათები დააბრახუნებენ ბინძურ ჩექმებს მუხათა სავანეში და დროდადრო ჩამოსასვენებლად ფეხებს შემოაწყობენ ხოლმე იმ სკამ-მაგიდაზე, რომლებზეც ილია და აკაკი თავიანთ ახალ ნაწარმოებებს კითხულობდნენ.

ქართველი მწერლები ერს აფრთხილებდნენ და ახლაც აფრთხილებენ იმის შესახებ, რომ სოროსელი დემოკრატიის ნიღბით საქართველოში მოვიდა ეროვნულობის დამთრგუნველი, სახელმწიფოებრიობის ნამღეკავი, ბანდიტური ხელისუფლება მიხილ სააკაშვილის წინამძღოლობით.

რომ მშობლიური კულტურის, „დედა ენის“ შეურაცხმყოფელი პირისხლიანი ხელისუფლება არ დაინდობდა არავის და არაფერს.

რაკილა მწერალთა სასახლის დასაცავად იმ დღესვე თბილისში ქუდზე კაცი არ გამოვიდა, ბანდამ წარმოიდგინა, რომ ილია ჭავჭავაძის შეურაცხყოფა აპატიეს და ეროვნულობის დასამხობად უფრო თამამად გაუტია.

ქართველ ხალხს უნდა სცოდნოდა, რომ მწერალთა დარბევას მოჰყვებოდა 7 ნოემბერი, 5 იანვარი, 21 მაისი... და საქართველოში დემოკრატიის ის ნატამალიც გაქრებოდა პოსტსაბჭოთა პერიოდში ნებით თუ უნებურად რომ დაამკვიდრა.

დღეს ჯალათის მათრახი ზეობს საქართველოში.

მწერლებს წაართვეს შეკრებისა და აზრის თავისუფლად გამოთქმის ტრიბუნა, მეზობლ ჟურნალისტიკას „სამშობლო“ თავზე დააქციეს, „იმედი“ მინასთან გაასწორეს, „მაესტროსა“ და „მზეს“ კასტრაცია ჩაუტარეს, აკადემია ფაქტობრივად გააუქმეს, ფაქტობრივად გაკოლეჯებულ-დაყრუებულ ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტში ნიგნი და გაზეთი აღარ იყიდება (ლომიას და ხუბუას ოცნება!). მუხლზედაცემულ პოზიციას ე. წ. „საზოგადოებრივი არხიდანაც“ პანლური ამოჰკრეს.

აი, ასეთი, მოჩვენებით-პოლიტიკური სიმშვიდე სუფევს დღეს საქართველოში, მაგრამ ნურავის ჰგონია, რომ ეს ძალადობრივი „სი-

ჩუმე“ ხელისუფლების თვითნებობისადმი საზოგადოების შეგუების ნიშანია.

ისევე ჩვენი კლასიკოსის სულისდგმა გვაიმედებს:

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს“.

20. VII. 08 წ.

## კვლავ ჭეშმარიტების კიებაში

პოეტის დაბადებისთვის ხელსაყრელ დროს ვერ დაარქმევ ჩვენს ეპოქას.

ვერა და ვერ ამიხსნია, სად წავიდა ჩვენი თეთრი ლამეების თანამგზავრი – ჩვენი სულგრძელი მკითხველი.

ნუთუ აღარასოდეს გამეორდება ჟამი, როცა მწერალთა კავშირში წაკითხული პოეტის ლექსები ხელნაწერებად ვრცელდებოდა და ავტობუსში დამგზავრებული ნაცნობი ძვირფასი განძივით ამოიღებდა ოთხად გაკეცვისგან გაცრეცილ ლექსს, ხმის თრთოლვით წაგიკითხავდა, დაკეცავდა და ისევე უბეში შეინახავდა.

არადა, სხვა რა უნდა იყოს უკეთესი სალბუნი სულისა ამ მგლურ დროში? მეკობრეების, ლალატის, სასონარკვეთის ამ ეპოქაში სხვამ რამ უნდა განმინდოს დამტვერილი ნერვები ჩვენი და სიკეთისკენ რამ უნდა მიგვახედოს, თუ არა პოეზიამ? რწმენა რამ უნდა დაგვიბრუნოს?

სწორედ მაშინ შეაქცია ზურგი მკითხველმა პოეზიას, როცა ყველაფერზე მეტად სწორედ პოეზია სჭირდება.

მიზეზი? პრაქტიციზმით დასნებოვნება? უსახსრობა? დაბნევა?

იქნებ ერთიც და მეორეც, მაგრამ მიზნების რაღაც პროცენტით იქნებ ჩვენშივე დევს?

ვკითხულობ არაერთი პოეტის სტრიქონებს და ამაოდ დავეძებ პასუხს ამ უბედური დროის თავსატეხ კითხვებზე.

ბოლო ათწლეულში ქვეყანა დაიქცა, ლამის მესამედი ტერიტორია მტრებმა წაგვართვეს, იმპერიის ნანგრევებში მოგყვებით და სავალალოდ აფართხლებულებმა თავისუფლების სამწლიან ნიავს მივუშვირეთ შუბლი, მაგრამ გონს მოსულმა ორთავიანმა არწივმა კვლავ ჩავგვასო თავისი მსახვრალი ბრჭყალები, ძმათა ომით შეძრწუნებული გმირი რუსთაველზე თავს იწვავს, საქართველოს განწირული კვილი ზეცას წვდება და მშველელი არსით ჩანს... შენ კი ამ დროს რას ჩხირკვედლაობ, ძვირფასო კოლეგავ, რატომ დგები სირაქლემის პოზაში, რას იტყუებ თავს ყალბი ილუზიებით და მკითხველსაც რატომ

ატყუებ? რაო, ამ საუკუნის ტკივილებმა ოდნავადაც ვერ შეარხია შენი სულის სიმები? რა დროს კმაყოფილის პოზაში დგომა და ჩირგვში მალვაა, როცა მოედანზე უნდა გხედავდე თავისუფლებისთვის მებრძოლი კაცის ფარაჯით ტანზე და ბაირალით ხელში?

გალაკტიონის ლოზუნგი „დრო, დრო აღნიშნე“ ლექსისთვის ოდენ თარიღის მიწერას კი არა, დროის, ეპოქის ტკივილის გამოხატვასაც ნიშნავს.

ამ ფიქრით გამსჭვალულმა ავიღე ხელი ჯანსუღ კორძაიას ახალი წიგნის („აზრის მონოლოგები“, საქართველო, რედაქტორი ჯანსუღ ლვინჯილია) და როცა კითხვა დავამთავრე სიამოვნებით მივამატე ჩემს დღიურში ავტორი ჩემს საყვარელ თანამედროვე პოეტთა იმ მწირ სიას, ქვეყნის დვრიტა რომ ანუხებთ და საქართველოს საზრუნავში რომ ჩაფლულან.

დავუგდოთ ყური პოეტს: „აღარ თენდება! უთვალავ სფინქსად ქცეულა ფიქრის მრავალწლობა და მიზანს, როგორც ამათ მიზანს, დუმილით გლოვობს სულის ჭრილობა“.

განა არ ჩანს სულში დაჭრილი ლირიკული გმირის ამ ამონაკვესზე დროის დამლა? იმპერიის ავბედითი სუნთქვა არ იცნობა ამ მონოლოგში? „გამარჯვებული შემოდის რომი, შემოდის რომი, ვით ზეცის ძლევა, მე კი ღმერთების და ზეცის წყრომით ძლეული, მაგრამ... ჯერ ისევ მე ვარ.“

დიდი ხანი როდია, რაც ჯანსუღ კორძაიას სახელი გამოჩნდა ქართული პოეზიის კაბადონზე. „კაბადონი“ ნუ შეგვაშინებს, ამ წიგნის ავტორმა მალალი ნიჭიერებით, უშუალო, ფილოსოფიური სიღრმით და სიტყვის მალალი კულტურით იმთავითვე მოგვხიბლა და მისი ვარსკვლავი სწორედ მისეულად დაინთო, რომ აღარასოდეს ჩაქრეს.

„ქართულ პოეზიაში მოსვლა მან მხოლოდ დიდი ყოყმანის და აწონ-დაწონის შემდეგ გადაწყვიტა – წერს მშვენიერ ბოლო სიტყვაში ჯანსუღ ლვინჯილია – თავისთავად იგულისხმება რიდი და მოწინება ქართული პოეტური კულტურის წინაშე. რიდსა და მოწინებაში გამოსჭვიოდა ღირსეული პიროვნების პოზიცია. თუ შიში და ეჭვი გარკვეული დოზით არ ახლავს პოეტის შემოქმედებას, ის შიში და ეჭვი, რომელიც მარადიული უკმარისობის გრძნობით აღავსებს ადამიანს, ღირსეული რამ არც შეიქმნება“.

ჯანსუღ კორძაიას „პოეტურ მოვლინებაში“ მცირეოდენი წვლილი მეც მიმიძღვის:

ჯანსუღ კორძაიას ყოველი სტრიქონი ჭეშმარიტი პოეზიით სუნთქავს. იქნებ ზედმეტი სითამამეა ჩემგან ამ საიდუმლოს გამხელა, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, სანამდე ვინახო.

ჯანსუღ კორძაიას ვიცნობდი ჩემს უნივერსიტეტულ კოლეგად, ნიჭიერ ფილოსოფოსად, სტუდენტებისთვის საყვარელ ლექტორად.

ორმოცს გადაშორებული იყო უმაღლესი განათლების სამინისტროს განყოფილების გამგედ რომ გადაიყვანეს.

იქაც მისებურად, კაცურად, პატიოსნად უძღვებოდა საქმეს.

ერთხელ კიბეზე შემხვდა. შენთან სათხოვარი მაქვსო. ერთი მეგობარი მყავს, ლექსებს წერს, მაგრამ დაბეჭდვაზე დღემდე არ უფიქრია. იქნებ ნაიკითხო და ურჩიო, ღირს თუ არა იმ ლექსების გამოქვეყნებაო.

მეორე დღეს მომიტანა ლექსებით სავსე რვეული; ვერაფრით დავითანხმე შენთან შესახვედრად ის კაცი, მორცხვია, წაიკითხე, მე მითხარი შენი აზრი, გადავცემო.

წავიკითხე და მესამე დღესვე მივვარდი სამინისტროში, გამაცანი თუ ძმა ხარ, ამ ლექსების ავტორი ნამდვილი პოეტია-მეთქი. სახე გაებადრა, მეც ასე ვფიქრობდიო. გადავცემ, გაეხარდებაო.

არ გასულა ორი თვე. „ცისკარში“ წავიკითხე ის ლექსები ჯანსუღ კორძაიას ხელმოწერით.

რატომ „გამაცურე-მეთქი, საპროფესოროში ვკითხე სიცილით, არ გეწყინოს თუ ძმა ხარ, რალა დროს ჩემი ახალგაზრდა პოეტობა იყო, შენ რომ არ შეგეგულიანებინე, არ გავრისკავდი დაბეჭდვას, აწი შენ მიუგე მკითხველს პასუხი, ჩემთან ერთად დამნაშავე ხარო.

ასე დაიწყა, მერე წავიდა და წავიდა.

დაიბეჭდა ერთგან, მეორეგან, მესამეგან, გამოსცა პირველი წიგნი, მეორე...

მკითხველმა ინტერესით მიიღო. გაჩნდა რეცენზიები, ჯანსუღ კორძაია დღეს ქართველ პოეტთა ოჯახში დგას, როგორც მისი სრულუფლებიანი და უშეღავათო წევრი.

რით არ არის მის ახალ წიგნში დაბეჭდილი ეს ლექსი ჭეშმარიტი პოეზიის ნიმუში:

რალაც განამებს... სხვა მისანვდომი,  
სხვა გზა, სხვა ზეცა, სხვა მოლანდება,  
სხვა სივრცეები და სხვა ნახტომი.  
სხვა სიყვარული და მონატრება.

სხვა საოცრება, სხვა ზმანებები,  
სხვა ნაპირი და სხვა დასაპყრობი,  
სხვა გაელვების ცეცხლის ენები,  
სხვა ელვარებით სავსე მნათობი.

სხვა სიცოცხლე და სხვა ამაღლება,  
სხვა გაზაფხულთა მწუხრის ფერები,  
სხვა ოცნებათა ამონათება  
სხვა ზარი, სხვა ხმა, სხვა სიმღერები.

სულ სხვა სანყისი და სულ სხვა ბოლო,  
სხვა განგება და სხვა ღმერთები,  
... ენამე სულო! ესაა მხოლოდ,  
რითაც სამყაროს გზებს უერთდები.

ეს პატარა მოგონებაც, ზემოთ რომ გავისხენე, პოეტის მოქალაქობრივი თავმდაბლობის და სამწერლო ტვირთისადმი მაღალი პასუხისმგებლობის დასტურია მხოლოდ.

დადის ამ წიგნის ლირიკული გმირი სევდით, მწუხრის მზით სავსე მშვიერ ქალაქში, აუხდენელი ოცნებების ქალაქში, დადის შავი სიზმრების და საქვეყნო კაემნის წიაღ, ხან დავითისა და თამარის ძლევის ყიჟინა ჩაესმის, ხან ცოტნეს ნაღვერდალზე ითბობს გათოშულ სულს, ხან ოცდაჩვიდმეტის მსხვერპლთა – ტიცვიანის, პაოლოს, ევგენი მიქელაძის, სანდრო ახმეტელის, მოსე გოგიბერიძის, ვახტანგ კოტეტიშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის აჩრდილები ააფორი-აქებენ, სხვა დროს კი ჭეშმარიტად დიდებულ ძეგლს უდგამს ჩვენს ეროვნულ გმირს გია აბესაძეს; ვაგლახ, ქართველთა მიერ ჯერ ბოლომდე შეუცნობელ და გაუაზრებელ ღვანლს კაცისას, რომელმაც ერის გამოფხიზლებას თავისი სიცოცხლე ზვარაკად უძღვნა: „და ცეცხლნაკიდებელი ცისკენ ნახვალ ნისლივით, ცეცხლად ამოელვარდი, ცეცხლად ამოგიზგიზდი... და აფეთქდა სამყარო, მრუმე, ყრუ, უდაბური და კიოდა სამრეკლო, რეკდა ზარი გაბმული... შენ კი, ვინც ქაოსიდან ცეცხლად ამოიტყორცნე, კვლავ გრძელდები! უკვდავ და მარადიულ სიცოცხლედ“...

... და მოაბიჯებს ჯანსუღ კორძაიას ლირიკული გმირი სევდიანი, სამშობლოს დამტყვერილ გზებზე, დადის დაჭიმული ნერვებით, ათასი ძაფით მიბმული დროსთან, დადის ადამიანის არსისა და მიზნის ძიებით შუბლდაღარული, დადის ჰამლეტის მარადიული კითხვის პასუხის მოლოდინით შეპყრობილი, დადის ადამიანის, სამშობლოს ხსნის გზების ამაო ძებნით გართული, ხანდახან ნახანძრალ-ნამეხარ ძეგლთან შეჩერდება და ჩაილაპარაკებს:

რალაც აკლია ამ სინამდვილეს,  
ანთებს, კვლავ ანთებს ფერებს გოგენი,  
კვლავ უხმობს სული უცხო ნაპირებს,  
ისევ დაეძებს კაცს დიოგენი.

## ლიბილი?

ხშირად მეკითხებიან, ბატონო რეზო, რამ განაპირობა თქვენს ნოველებში ასე უხვად იუმორი და ირონია?

ალბათ, ჩემმა სტილმა. იცით, მე ზუსტად ისე ვხედავ მოვლენებს, როგორც ვწერ. ირონია თავისთავად მოდის. წერის დროს არ ვფიქრობ, ადამიანთა ცხოვრება სატირით ან იუმორით შევაფერადო. შეიძლება ჩემი ირონია ეპოქის ხასიათმაც განაპირობა. მტერმა უყურა სერიოზულად ამდენ მატყუარას, ამდენ ავანტიურისტს, ამდენ პარანოიკს, სკამისკენ ხელგამძლილ ამდენ ნაძირალას...

სატირული ნოველის „სისხლსავსე“ პერსონაჟებს ყოველ ნაბიჯზე ვხვდები ან ტელეეკრანზე ვხედავ. როგორ ფიქრობთ თქვენ, დაუხატავს დავტოვებ ჩვენი ეპოქის ყვარყვარეს ან ლომიას და ბოკერიას? სხვათა შორის, გუშინ დავუსვი წერტილი უნივერსიტეტის ცხოვრებაზე დაწერილ ნოველას, რომელსაც ჰქვია „ზოოპარკი შიმშილობს“. ირონიულად, მაგრამ დეტალურად მაქვს აღწერილი, როგორ გამოუძახა სპეცრაზმს უნივერსიტეტის დასარბევად, როგორ ჩაკეტეს მისი ბრძანებით კლუბში დამსახურებული პროფესორ-მასწავლებლები და როგორ დაითხოვეს გამოჩენილი მეცნიერები. აქვე იმასაც ვუსვამ ხაზს, როგორ „მოერგნენ“ თავიანთი მოძღვარ მასწავლებლების სკამებს უმნიფარა, მაგრამ ლომიას ერთგული ლექტორ-ნაძირალები. როგორ უჭირთ მათ, რომ სტუდენტს თუ ასპირანტს უხელმძღვანელონ, რჩევა მისცენ, გზა გაუკვლონ. როგორ დაისადგურა ქაოსმა და განუკითხაობამ წერა-კითხვის მცირე მცოდნე ლომიას მიერ რეფორმირებულ განათლების სისტემაში.

სატირისა და იუმორის გაბროვოს მსოფლიო ფესტივალის ლაურეატიც ვარ, 1982 წელს მიმინვიეს გაბროვოს ფესტივალზე. მოსკოვიდან ოთხნი გავემგზავრეთ: მიხეილ ჟვანეცკი, გრიგოლ გორინი, არკადი არკანოვი და მე.

ჩემ გარდა სამივენი საბჭოთა იუმორის მეფეები იყვნენ. მათ ყოველდღე ვხედავდი ტელევიზიით და ვისმენდი რადიოთი. გარდა ამისა, ისინი „ლიტერატურნაია გაზეტას“ ბოლო გვერდს („თორმეტი სკამი“) უძღვებოდნენ. ასე რომ, მამაჩემისა და ვოროშილოვის არ იყოს, მე მათ ვიცნობდი, ისინი მე – არა!

თავიდან, ცოტა არ იყოს, უნდობლად შემომხედეს, მაგრამ გზაშივე დავმეგობრდით. აეროპორტში ანკეტას რომ ვავსებდი, ჟვანეცკიმ სიცხლით იკითხა: გრაფაში – ცელ პაეზდკი – რა ჩავწეროთო. მე ვუთხარი, სერიოზული ხალხი ვართ, სასაცილოდ და საღადაოდ რომ მივდივართ, გზაში მაინც ნუ გავამხელთ, ჩავწეროთ „ცელ პაეზ-

დკიში“ – „დელავაია“-მეთქი, მოეწონათ. ამაზე თითქმის ყოველდღე ვხარხარებდით. რა კარგად მოიფიქრეო, მეუბნებოდნენ. „ცელ პაეზ-დკი?!“ დაიძახებდა ჟვანეცკი „დელავაია!“ – უპასუხებდა არკანოვი.

გარდა ლიტერატურული კონკურსისა (თითოეულმა ხუთი მცირე ზომის ნაწარმოები წარვადგინეთ) ჟიური ზეპირ გამოსვლასაც ითხოვდა.

ჩვენი გუნდის გამოსვლა რომ დაინყო, რატომღაც პირველი მე გამომიძახეს.

მოგეხსენებათ ჩვენთან, საბჭოთა კავშირში, წიგნი იაფი ღირს-მეთქი, დავინყე.

პირველი წიგნი ოცდაორი წლისამ გამოვეცი, პატარა წიგნი იყო და 20 კაპიკი ღირდა-მეთქი.

ჩემს ქუთაისელ ძმაკაცს სოსო ბუხაიძეს რომ ვაჩუქე ჩემი პირველი წიგნი, პირველ ყოვლისა, ფასს დახედა და სიცილი აუტყდა – ბიჭო, სუფთა საერთო რვეული ორმოცი კაპიკი ღირს და შენ რა დაწერე, ამნაირი, ოც კაპიკად რომ ჩამოუფასებიათო.

შემკრთალი, ტაშმა გამომარკვია, ჟიურის წევრებიც კი ხარხ-არებდნენ.

შესავლის შემდეგ მეორე მოთხოვნა იყო, ისეთი იუმორი გაგეხსენებინა, შენი ერის ხასიათს რომ გამოხატავდა.

ორი რამ მოვეყვი:

პირველი: „ორი კაცი ხვდება ერთმანეთს, ერთი ცუდ ხასიათზეა, რა მოგივიდაო, ეკითხება მეორე.“

დავიღუპე კაცი. ძალლი მყავდა, მარა რა ძალლი. ძალლი კი არა, ვეფხვი იყო ნამდვილი, ჩემ გარდა არავის იკარებდა, მისი შიშით ჩიტი ვერ ჯდებოდა ჩვენი სახლის სახურავზე და ჭიანჭველა ვერ შემოდოდა ეზოში.

– მერე? მოგიკლეს?

– არა, მომპარეს.“

მეორე: „ბაზარში დგას კახელი გლეხი ვანუა და კაკალს ჰყიდის. ცხელა, საქმე ის გახლავთ, რომ ვანუა იქვე, ბაზარში ყიდულობს კაკალს 10 მანეთად და იქვე ჰყიდის კილოგრამს 10 მანეთად.“

ეკითხებიან: ვანო, თხა ვიყიდე, თხა გავყიდე გამოგდის. კაპიკს არ იგებ, რატომ იკლავ თავს ამ სიცხეშიო?

– მე, შვილოსა, ფულის მოგება როდი მაინტერესებს, უბრალოდ, კაკლის ჩხრიალი მიყვარსო, მიუგო ვანომ.“

ამაზეც ბევრი იცინეს.

თქვენ წარმოიდგინეთ, ჟიურის ერთი წევრი წამოდგა და განაცხადა – ბედნიერი ვართ, რომ ამ საუკუნეში ჯერ კიდევ არსებობს ისეთი რომანტიკული და პოეტური ერი, რომლის წარმომადგენელიც ბაზარში

თუნდაც იმიტომ დგას, რომ კაკლის ჩხრიალი უყვარსო, მე მისთვის „ფრიადი“ დამინერია და ამ ზეპირ გამოსვლასაც ფრიადზე ვაფასებო.

ჟვანეცკის, გორინის და არკანოვის გამოსვლებმა ხომ ფურორი მოახდინა.

ჟვანეცკიმ ასე დაიწყო: მე ჯერ უნდა გავარკვიო, აქვს თუ არა იუმორის გრძნობა ჟიურის და აქ შეკრებილ საზოგადოებას. ერთ ანეკდოტს მოვყვები, თუ გაგეცინათ, ხომ კარგი, თუ არა და უარს ვამბობ კონკურსში მონაწილეობაზე.

„შუალამეა. ქარბუქია. ლუმელზე ცოლ-ქმარი წვანან.“

ვილაც ფანჯარაზე აკაკუნებს.

– ბოდიში, შეშა გჭირდებათ?!

– არა! – ერთხმად უპასუხეს თანამეცხედრეებმა.

გათენდა.

ეზოში შეშა აღარ არის, მოუპარავთ.“

მასსოვს. გრიგორი გორინმა წაიკითხა თავისი ბრწყინვალე სატირული ნოველა – „ხაჩუ ხარჩო“ (ეს უკანასკნელი „ლიტერატურნაია გაზეტაში“ მქონდა წაკითხული).

მეორე დღეს ჟიურიმ გამოაცხადა, რომ ოთხივენი გაბროვის ფესტივალის ლაურეატები გავხდით.

ფესტივალი რომ დამთავრდა, ბელგრადში გაგვიმართეს შეხვედრა. ერთი თვის შემდეგ „სამეული“ თბილისში მოვიწვიე და, თუ გახსოვთ, ტელევიზიით გამართეს სატირის საღამო. მოგვიანებით ოთხივეს ერთად გვექონდა გამოსვლები მოსკოვსა და ლენინგრადში.

ახლა მოგახსენებთ, სამივენი თანამედროვე სატირული ლიტერატურის კლასიკოსები არიან. გორინი პიესებს წერს, – არკანოვი – მოთხრობებს, ჟვანეცკი – მცირე სატირულ ეტიუდებს.

სხვათა შორის ჟვანეცკი დიდ გაცვეთილ რვეულს გამოიტანდა სცენაზე და პირწმინდად კითხულობდა, გორინი ენაბლუ გახლავთ, არკანოვი – მწუხარე სახიანი „რაინდი“...

სახელდახელოდ დავასახელებ ჩემს მასხოვრობაში შემოსულ იუმორის სამ გარდასულ გენერალს – ნოდარ დუმბაძეს, ქართლოს კასრაძეს და ნიაზ დიასამიძეს. მაღალი ჭეშმარიტი იუმორის ნიჭით გამოირჩევიან. გიგა ლორთქიფანიძე, ბიძინა კვერნაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, რეზო ჭეიშვილი, ოტია იოსელიანი, ვაჟა აზარაშვილი, მერაბ დონაძე, თეიმურაზ ლანჩავა...

რას ვუსურვებ საახალწლოდ ჩვენს მკითხველს?

ექვს იანვარს სიცილისა და ლიმილის ხასიათზე შეხვედროდეს. არ დარჩენილიყოს საქართველო სიცრუის, ორპირობის, ეროვნული ფენომენის ფეხქვეშაათელვის ჭაობში!

იანვარი, 2008 წ.

## როცა სიბრტყეები არაა

ბოლო 6 წლის განმავლობაში ხელისუფლების დამოკიდებულება მწერლობისადმი, ინტელიგენციისადმი და საერთოდ, ქართული კულტურისადმი ყოვლად აუტანელი და ამაზრზენი იყო. საქართველოს ისტორიაში შავ-ბნელ წარსულად დარჩება ის წარმოუდგენელი ცინიზმი, ყოველდღიური გალიზიანება ინტელიგენციისა, მათი დაცინვა, აკადემიისათვის შეკვეცა, ფიზკულტურის აკადემიის გაუქმება, ფაქტობრივი გაუქმება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, რომელიც დღეს ყველაზე სამარცხვინო უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში... შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს სასწავლებლებში ქართველი ეროვნული ინტელიგენტი აღარ მზადდება, ანუ რისთვისაც იყო მოწოდებული ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ის უკვე აღარ არსებობს. ლომიას მიერ ჩადენილი წარმოუდგენელი სიგიჟეები კიდევ დიდხანს გაჰყვება ავბედით დამლად ჩვენს ცხოვრებას. ავიღოთ თუნდაც „მწერალთა კავშირი“, ორი წელია, ჩვენს იქ შესვლას საშველი არ დაადგა, მიუხედავად იმისა, რომ დაპირებები ყოველმხრივ ისმის. ახლა, ამ წუთში რომ მიხვიდეთ იქ და როგორც ესენი ამბობენ, არც რემონტი ტარდება „მწერალთა კავშირში“ და არც არაფერი... არ ვიცი, რას ელოდებიან, ეტყობა, მოქმედებენ პრინციპით – ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონი!... ან თვითონ ქართველი მწერალი აღარ იარსებებსო, ან „მწერალთა კავშირი“ დაიშლებაო, ან სურვილი აღარ ექნებათ, შევიდნენ თავიანთ ბუდეებშიო... თუ ამას ფიქრობენ, ძალიან ცდებიან, იმიტომ, რომ არც „მწერალთა კავშირი“ დაიშლება და არც მწერალი მიატოვებს თავის ღვთაებრივ საქმეს, ღმერთმა ნუ ქნას, საქართველო ერთი დღე მწერლისა და მეცნიერის გარეშე დარჩეს.

მე მწერალი ვარ და უნდა ვთქვა სიმართლე: თუ სულ იმას ვიძახებთ, რომ არ დაიჯეროთ, ამ პრემიებს რომ არიგებენ, მწერლებს რომ აჯილდოებენ, ლიტერატურულ ცხოვრებას რომ ყურადღებას აქცევენ, „მწერალთა კავშირის“ შენობის გარემონტებას რომ აპირებენ, ეს ყველაფერი წინასაარჩევნო პიარია და ხელისუფლების მზაკვრული ჩანაფიქრო, ჩვენი ცხოვრება ასე გათავდება და სულ იქნება ხელისუფლებასა და ხალხს შორის „დიდი-დიდი მამალო“... აბა დააკვირდი, ჩვენ განა სულ საარჩევნო რეჟიმში არ ვცხოვრობთ? საქართველოში სულ წინასაარჩევნო სიტუაციაა. არ მინდა მე ამას დავარქვა და ვთქვა, რომ ეს არის წინასაარჩევნო პიარი. მოვუწონოთ ხელისუფლებას, თუკი რამე კარგს გააკეთებენ და ნუ დავარქმევთ ამას მაინცდამაინც წინასაარჩევნო პიარს. სულ რომ არაფერი გააკეთონ, რა გინდა რომ ქნა, რომელ დამწვარ „სუდში“ უჩივლებ ამ

ხელისუფლებას მაშინ, როცა იეთიმ გურჯისა არ იყოს, „ვის შევჩივლო, რუსთაველი მკვდარია“? ამიტომ, ვინც თქვენ დაასახელეთ, ვინც დააჯილდოვეს, ამ დაჯილდოების ფაქტს მივესალმები, ძალიან კარგია... თუმცა, იქ ცოტა არ იყოს სიბრტყეები არეულია...

რატომღაც მეცნიერებათა აკადემიამ „მწერალთა კავშირის“ ფუნქციებიც შეითავსა, რასაც მე მაინცდამაინც დიდი მოწონებით ვერ ვხვდები, მაგრამ ისე, კაცმა რომ თქვას, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ დააჯილდოვებს?.. კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პრემიის გაცემა, „მწერალთა კავშირის“ პრეროგატივაა და არა „მეცნიერებათა აკადემიისა“, ვინ კითხავს „მეცნიერებათა აკადემიას“ მაგის გაცემას? მეცნიერებათა აკადემიას შეუძლია გასცეს ივანე ჯავახიშვილის, ილია ვეკუასა და სხვათა პრემიები. რაც შეეხება მუხრან მაჭავარიანის აკადემიკოსად არჩევას, რა თქმა უნდა, მუხრან მაჭავარიანს პოეტი-აკადემიკოსის ტიტული ეკუთვნის და მას ეს ნოდება დამსახურებულად ერგება, მაგრამ ამის წინა ისტორიასაც გეტყვით... ქალბატონი ანა კალანდაძის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც პოეტი-აკადემიკოსი იყო, მე თამაზ გამყრელიძესთან მივედი და ვუთხარი: ჩვენ, ქართველ მწერლებს „მეცნიერებათა აკადემიაში“ ყოველთვის გვექონდა ერთი პოეტ-აკადემიკოსის ადგილი და რატომ არის, რომ ცხოვრებული ანას გარდაცვალების შემდეგ ეს ადგილი ვაკანტური-მეთქი? თამაზ გამყრელიძემ რომელსაც მეგობრობად მივიჩნევ მიპასუხა: ეს კომუნისტური გადმონაშთი იყო და არავითარი მსგავსი რამ არ არსებობს, რომ პოეტ-აკადემიკოსსა და მწერალ-აკადემიკოსს „მეცნიერებათა აკადემიაში“ ადგილი ჰქონდესო. თამაზი მეგობრად მიმჩნია და ამასთან დაკავშირებით მას მე დიდ პრეტენზიას ვერ გამოვუცხადებდი, რა თქმა უნდა, მაგრამ სიმართლე გითხრათ, წერილიც კი მოვამზადე იმის შესახებ, თუ რატომ გააუქმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ მწერალი აკადემიკოსისა და პოეტი აკადემიკოსის ადგილები. თამაზ გამყრელიძემ მაშინ ისიც კი მითხრა: სიმართლე გითხრათ, ანა კალანდაძის შემდეგ ვერ ვხვდავ ქართულ მწერლობაში სხვა კანდიდატსო!.. მაშინვე ვუპასუხე, – კი მაგრამ, ჭაბუა ამირეჯიბი, მუხრან მაჭავარიანი, ოთარ ჭილაძე არ არიან თქვენი აკადემიის ღირსნი-მეთქი? ამაზე არავითარი პასუხი არ მიმიღია. მერე ეტყობა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ ამაზე იფიქრა, მისმა ყოვლისმცოდნე და ყოვლის მნახველმა ხელმძღვანელობამ, რომელიც ასევე ლიტერატურაშიც ძალიან კარგად არის გარკვეული, ეტყობა, ითათბირა და მუხრან მაჭავარიანის ღვანლი ღირსეულად დაფასდა – იგი პოეტ-აკადემიკოსად აირჩიეს!.. მე ამ ტიტულს მუხრანს სრულიად გულწრფელად ვულოცავ.

ოთარ ჭილაძეს ჩვენ მივეცი უამრავი პრემია, მას აქვს რუსთაველის პრემია, რომელიც „მწერალთა კავშირის“ წარდგინებით მიენიჭა, ილია ჭავჭავაძის პრემია ჩვენ მივეცი შარშან... ასე რომ, ოთარ ჭილაძეს, როგორც ღირსეულ მწერალსა და ღირსეულ კაცს, პრემიები არ დაჰკლებია, მაგრამ ახლა აკადემიამ გადანყვიტა ოთარ ჭილაძისთვის მიეცა კონსტანტინე გამსახურდიას პრემია. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რა მნიშვნელობა აქვს ამ პრემიას ვინ გასცემს, მაგრამ კაცმა რომ თქვას, მნიშვნელობა როგორ არა აქვს... ასე მაგალითად, ჩვენ რომ ხვალ, რომელიმე მეცნიერს ილია ვეკუას, ან ნიკო მუსხელიშვილის სახელობის პრემია მივანიჭოთ, მე მგონი, მთლად ლამაზი არ იქნება, იმიტომ რომ ეს არ არის „მწერალთა კავშირის“ საქმე. უფრო მეტსაც გეტყვით, მე პირში მთქმელი კაცი ვარ და ძალიან არ მესიაოვნა, როცა „მეცნიერებათა აკადემიას“ ამ პრემიის მინიჭების თაობაზე ჩვენთვის არაფერი უკითხავს. ჩემი დასკვნა ის არის, რომ მე სულითა და გულით მივესალმები ამ ჯილდოს გაცემას. ან ნახალისებას ქართული ინტელიგენციისას! მუხრან მაჭავარიანს ჩვენი დღევანდელი ხელისუფლებისადმი ერთგულება არც ადრე არ აკლდა და მით უმეტეს აი, ამ აკადემიკოსობით ის უფრო მჭიდროდ დაუახლოვდება საქართველოს გადამრჩენელს – მიხეილ სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას!...

დეკემბერი, 2009 წ.

## ბატონ ნიკოლოზ კურტიანიძეს

ბატონო ნიკოლოზ

თქვენი ახალი ლექსების წაკითხვამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა თქვენი, როგორც პოეტის და მოქალაქის, სამაგალითო კეთილსინდისიერებაში, სიტყვის ფლობის ოსტატობაში და პოეტურ პროფესიონალიზმში, ხოლო დედისადმი აღვლენილმა სულში ჩამწვდომმა წერილმა თვალზე ცრემლი მომგვარა.

ჩემთვის ახლობელი და გასაგებია თქვენი სულიერი დვრიტა, თქვენს პოეზიაში თქვენი ალალი გულის ფეთქვა ძალუმად იგრძნობა და მიხარია, რომ ჩემს მეგობართა შორის თქვენი სახით მეგულება არა მარტო ჩემი დედულეთის (საჩხერე) სანახებიდან აფრენილი პოეტი, არამედ სამშობლოსა და სიკეთეზე შეყვარებული სულის თანაზიარი და მართალი, პატიოსანი ქართველი მამულიშვილი.

გილოცავთ 65-ს. ყოველივე სიკეთეს გისურვებთ.

რევაზ მიშველაძე

## მამულიშვილის ომრი

ფრიდონ ხალვაშის ომრი რომ მომიტანეს, მესიამოვნა. ვიცოდი, რომ ამ გაუსაძლის დროს კიდევ ერთ კვირას გამოვტაცებდი, თავზე ჭერიც რომ დამეცეოდა, ეს ერთი კვირა მართალი კაცის მართალი წიგნით ვიქნებოდი გატაცებული.

რამ განმანყო ნდობით და სიყვარულით ფრიდონ ხალვაშის წიგნის მიმართ?

საქართველოს ამ უანგარო ჭირისუფლის, აჭარის უტყუარი მემაციანის, ჭემმარიტი მამულიშვილის ცხოვრების ჩემთვის ცნობილმა ნაწილმა.

სამოციანი წლებია, მწერალთა კავშირისკენ გზა ახალი ნასწავლი მაქვს. პოლენუმია, ტრიბუნასთან მზით გარუფული მეტყველთალება, სიმპათიური კაცი დგება.

„ამხანაგებო, შეიძლება, ჩემი გამოსვლა მთლად ვერ ჩაჯდეს ჩვენი პლენუმის დღის წესრიგში, მაგრამ სად ვთქვა, რაც მანუხებს, თუ არა აქ, ჩვენს ოჯახში. აჭარის ავტონომიაზე მოგახსენებთ, არის საჭირო საქართველოში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა? რატომ ვაქუცმაცებთ საქართველოს ეროვნულ სხეულს? საიდან მოვიდა ეს ავტონომია? ვის უნდა ცალკე ავტონომია თავის სამშობლოში?“

გამოსვლა იმდენად მოკლე იყო, რომ თავმჯდომარემ ვერც კი მოასწრო შეეჩერებინა და ეთქვა, რა მწერლების გასარჩევია ეს პოლიტიკური საკითხიო. იქნებ განგებ „ვერ მოასწრო“ და ბოლომდე ათქმევინა სათქმელი.

დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

პაუზის შემდეგ განცალკევებით, თავის სავარძელში მჯდომმა კონსტანტინე გამსახურდიამ ყველას გასაგონად ჩაილაპარაკა:

– სწორს ამბობს ეს კაცი.

ეს ფრაზა საკმარისი გახდა, რომ თავმჯდომარეს პლენუმი ხვალისთვის გადაედო. ჩანს, შეეშინდა ამ „საჩოთირო“ საკითხზე მწერლებს შორის კამათი არ გამართულიყო.

ახლაც, ამ „აყვავებული დემოკრატიის“ ვითარებაში ბევრი ვერ ბედავს აჭარის სრულიად ზედმეტ და უსარგებლო „ავტონომიაზე“ ლაპარაკს და წარმოიდგინეთ, მაშინ რა იქნებოდა.

ფრიდონ ხალვაშმა თავისი გამოსვლით ფაქტობრივად ხელჰყო საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია.

დრომ ხომ დაამტკიცა და ახლაც ყოველ წუთს სამსალას გვასმევს პანანინა საქართველოს ტერიტორიაზე კომუნისტების მიერ გამოჭრილი მონოსახელმწიფოები.

წარმომიდგენია, რა დღეში ჩააგდებდნენ ფრიდონს.

აჭარას თავისი ავტონომიური თავმჯდომარეები, მინისტრები და მინისტრის მოადგილეები ჰყავს, როგორ, შენ ავტონომიის გაუქმება (ესე იგი ჩვენი პოსტების გაუქმება) მოინდომე?

მიკვირს, ცოცხალი როგორ გადარჩა.

მახსოვს, სამოცდაათიან წლებში პატარა ნოველა დავწერე იმის შესახებ, თუ როგორ გადახურეს სხალთის მონასტრები მახლობლად მცხოვრებმა მუსულმანმა ქართველებმა, იქნებ ეს წინაპართა სისხლის ყვილი იყო და სწორედ წინაპართა რელიგიისკენ მომხმობი ზარი-მეთქი ვწერდი და ნოველასაც „ყვილი“ ერქვა.

მახსოვს, ჯვარს მაცვეს ამ ნოველისთვის სრულიად ახალგაზრდა მწერალი.

გაზეთებში „აჭარასა“ და „კომუნისტში“ ჩემ წინააღმდეგ კოლექტიური წერილები დაიბეჭდა.

მე, დამწყები ლიტერატურული ჩიტი (რომელიც ბრდღვნად არ ვღირდი) ასე რომ დამიფრინეს, ფრიდონ ხალვაშს რას უზამდნენ, ავტონომიურ სავარძლებში თბილად მოკალათებული კომუნისტი კარიერისტები?

ამ პირველ გმირობას მალე ფრიდონ ხალვაშის მეორე გმირობა მოჰყვა; იგი სიონის ტაძარში ქრისტიანად მოინათლა და მისი ნათლია უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე გახლავთ.

მახსოვს ფრიდონ ხალვაშის მუხლჩაუხრელი რუდუნება სტიქიით დაზარალებული აჭარელი ქართველების მესხეთ-ჯავახეთში თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩასასახლებლად, მახსოვს ფრიდონ ხალვაშის მგზნებარე გამოსვლები 1978 წელს, როცა იმპერიამ საქართველოს ენის წართმევა დაუპირა. რომელი ერთი გავიხსენო, არ მინდა ფრიდონ ხალვაშზე როგორც საზოგადო მოღვაწეზე ფიქრმა „ამრიდან“ განზე გამიტყუოს.

თუმცა წიგნი და მისი ავტორი რამ გაჰყო?

ვკითხულობ და ფურცელ-ფურცელ სიამაყე მემატება, რომ ფრიდონის სახით ასე ძვირფასი მეგობარი მყავს და საქართველოს ასეთი გულმხურვალე პატრიოტი ტბელ აბუსერიძეთა და მემედ აბაშიძეთა პირდაპირი შთამომავალი, მათი სისხლი და ხორცი.

რა საინტერესოა, რა დრამატული ყოფილა ფრიდონ ხალვაშის ცხოვრება. ეს მარტო ფრიდონის „ომრში“ კი არ არის, საქარველოს ყოფაა და ქართველი მწერლის სვეა, ობიექტურად, შეულამაზებლად დანახული და უაღრესად შთამბეჭდავი, სისხლსავსედ დახატული.

ზემოთ ჩამოთვლილი მამულიშვილური ნაბიჯები ფრიდონ ხალ-

ვაშის ცხოვრების ოდენ ეპიზოდები არ გახლავთ, მისმა ბიოგრაფიამ რომ დაავიწროს, ფრიდონის არსებობა ამქვეყნად ერთნაირი მონოლითური ფენომენია, იგი აბჯარასხმული მეციხოვნეა თავისი საქართველოსი, ნიადაგ სდარაჯობს თავის ენას... მამულს... სარწმუნოებას.

დედა-საქართველოს ქრისტედ მოქცევას საქართველოს რომელიმე კუთხეში საფრთხე დაემუქრა? იქვეა ფრიდონ ხალვაში და კალამს მახვილივით იქნევს „ვიცი, ასობით ახალგაზრდა ჩვენებური ინათლება მართლმადიდებლურ-წინაპრულად, მაგრამ იმასაც ვხედავ, როგორ დასისინებენ აჭარის მთის სოფლებში ჩვენი მუსლიმანი მეზობლის ფულიანი ემისრები, გროშებად ყიდულობენ უქონელი, გაჭირვებული აქაურებისაგან სახლებს მედრუსეებად, უღარიბეს ოჯახიდან შერჩენილ ათობით ბიჭს სტამბულს, მუსლიმანურ სკოლებში აგზავნიან უფასოდ განათლების მისაღებად“ („ომრი“, გვ. 7).

ზემოთ მემატინანე ვუნოდე ფრიდონს, არც შევმცდარვარ. ყური დაუგდეთ, რა მტკიცე და შეუვალია მწერალი, როცა თანამედროვეობაზე მსჯელობს.

„მზად ვიყავი და კომუნისტები შემძულდნენ, მაგრამ სწორად გამიგეთ, ამ ჩვენმა ხოხოლა დრომ კინალამ ისინი მომანატრა.

დამოუკიდებლობას ვერ მოვუარეთ.

თვით რევოლუციის ხსენებაც კი საზიზღრობად იქცა.

ახალი წერებები, ახალი დაჭერები, ახალი შურისძიებანი, სისხლი, ცრემლი, შიმშილი, ყაჩაღობა, ადამიანებით ვაჭრობა, მოტაცება, სიკვდილი“... (ომრი“, გვ. 15).

კითხულობ „ომრს“ და გრძნობ, რომ ქვეყნის მაჯისცემაზე ყურმიპყრობილი ბრძენი გესაუბრება. იგი ყველა ქართველი მწერლის სათქმელს ამბობს. ამბობს მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, ვაჟკაცურად.

„ერთი რა აქ უნდა ვაღიარო მინდა. გული ვერა და ვერ ენდობა ახლანდელ ხელისუფალთ. გული ვერ ენდობა იმიტომ, რომ უგულოდ ეპყრობიან ქართულ საქმეს. ვიხსენებ და ვერ გამიხსენებია, ახალ პრეზიდენტს ერთხელ მაინც თუ ღერი სიტყვა ქართულ სოფელზე ან ქართულ მწერლობაზე შეუჩერებია.

მახსოვს, თავისი არჩევნების წინა დღეს, მიტინგისას, ტრიბუნასთან მუხრან მაჭავარიანი ედგა გვერდით, მიმას გამოსვლის შემდეგ მუხრანი მივიდა მიკროფონთან და თავისი ხოშორი ხმით ხალხს გადასძახა: – ვაი მას, ვინც სააკაშვილს ხმას არ მისცემსო.

იმის შემდეგ, დღემდე სააკაშვილს არც მუხრანი გახსენებია არსად. დღეს ქართული მწერლობა ქართულ ხელისუფლებას, უბრალოდ, ძალიან სძულს.



ეს უნდა ითქვას“ („ომრი“, გვ. 68).

განა მტკიცენული და გულის გამპობი არ არის ქართული მწერლობის სახელოვანი ვეტერანისთვის ეს მწარე სიმართლე, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას და მწერალიც ამბობს:

„მთავრობა ძალიან უსინდისოდ იქცევა. დუმილი მწერლობაზე ისეთია, გეგონება, მწერლობის თვითმკვლევლობას ამზადებენ, ყოველივე ამით ხელისუფლება ამბობს, კალმის ხალხი ჩვენთვის აღარ არსებობთო. სამინისტრო აფინანსებს იმ ახალ ჟურნალებს, რაც მისთვის მისაღებ მოკალმეთა ხელშია“. („ომრი“, გვ. 146).

„ომრის“ ღირსებაზე ლაპარაკი სრული არ იქნება, თუ ხაზი არ გავუსვით ნაწარმოების ფრიად ორიგინალურ ფორმას. ნაწარმოები ქრონოლოგიურ-მემუარული თხზულება როდია. იგი საუბარია საკუთარ ორეულთან-ემინთან, თანაც, „ომრის“ სულმოუთქმელად რომ წაგაკითხებს. ლირიკული გადახვევები – ჩანართები უფრო სრულყოფილს ხდის წიგნს და წარსულის შეპირისპირება თანამედროვეობის პრობლემებთან მეტ აქტუალობას სძენს.

ნახეთ რა გრაფიკულ-პოეტურია მწერლის სტილი.

„ჯენგ-ნამეს“ ფურცლებზე რომ ხაზებად კაცები ეხატნენ, ისეთ ხაზებად ჩანდნენ ჩალიღერებებში მიმავალი ქვანელები. ამ დროს, ერთი-ორჯერ დაიკაკანა რუსთა „მიტრიალოზმა“, რამდენიმე შავი ხაზი რუხ ნარმიდარში რომ ჩანდა, მიწაზე წაიქცა...“ („ომრი“, გვ. 11).

ვულოცავ ბატონ ფრიდონს „ომრს“. მისი ბრწყინვალე ნიჭის კიდევ ერთ კამკაშა გამონათებას.

## მოსაზონარი

### გულმა ვერ აიტანა

სოსო ბუხაიძემ თავისი ცხოვრების გზა ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკის მონაფე-მეუთოვისგან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორამდე ალალმართალი, დაუცხრომელი კაცის მუყაითობით წაღდა და რანდა.

არსთაგამრიგემ უკან მოხედვით, საკუთარ იერსახეზე დაკვირვების, განვლილ დღეთა მტევენების მოთვლის დრო არ მისცა, სიკვდილი წიგნზე თავდახრილს წამოეწია.

ზრდილი, გულისყურისანი იმერელი, მაღალი რანგის ქუთაისელი, გულლია, იუმორიანი, მიმტევებელი, მარად შერიგების მომხრე შუაკაცი – ასეთი იყო სოსო.

ცხოვრებისგან გამწარებულს, სასონარკვეთილს სოსო უნდა მოგეძებნა და დალაპარაკებოდი. მაღამოსავით კურნავდა გულს მისი, თითქოსდა სხვათა შორის, ნათქვამი: „კაი ახლა, ნუ შეიკლავ თავს. მაინც ველარაფერს შეცვლი, რამდენია შენზე უარეს დღეში ამ ქვეყანაზე“.

სწორედ მაშინ გამოჩნდებოდა, როცა საჭირო იყო. სწორედ მაშინ გეტყოდა გულის მოსაფხან სიტყვას, როცა ის ერთი სიტყვა ყველაფერზე მეტად გჭირდებოდა.

სოსოსთან ურთიერთობის დროს გავიწყდებოდა, რომ სადღაც იყო ჭირი, შური, ზურგში ხანჯლის ჩაცემა, გაუტანლობა...

თავის დარდს თავზე არ მოგახვევდა. ჩუმად და უდრტვინველად ებრძოდა თავის სნებას და მასწავლებლის ტკბილ-მწარე ლუკმას დღე-დღე, საათ-საათ იზოგავდა.

ქვეყანას თავი დაამახსოვრა, მეგობართა წრეს, უნივერსიტეტს, თუ გნებავთ ქართულ ხელოვნებასაც კი თავისი ელფერი მისცა. სამოც-სამოცდაათიანი წლების ქორეორაფიული ანსამბლების მშვენება იყო. მისი ფოლკლორული, სახასიათო ცეკვები კოლორიტულობით და სარკასტულობით გამოირჩეოდა.

საცეკვაო მოედანი წიგნმა შეცვალა. ტკბილმოუბარი, მაღალ-პროფესიონალი ლექტორი იყო. ლამის 50 წელი იდგა პროფესორის კათედრაზე და თითქმის ყველა სტუდენტი ახსოვდა; მისი დაფრთიანებული სპეციალისტი ქუჩაშიც რომ შეხვედროდა, მარტო სახელს კი არ მოიგონებდა მისას, იმასაც კი გაახსენებდა, რა თემაზე დაიცვა სადიპლომო ნაშრომი.

სტუდენტი მისთვის ოდენ მონაფე კი არა, კოლეგა და მეგობარი იყო, ექსკურსიაზე სოსოსთან ერთად ყოფნაც კი სტუდენტს მასთან მეგობრობის უფლებას აძლევდა. მამობრივ სითბოდ ეღვრებოდა გულში ყოფილ სტუდენტს სოსოს საყვედურიანი მოკითხვა: „რავა ხარ ბიჭო? ოჯახს არ მეეკიდე? ვის უნახავ თავს?“

პოლიტიკაში აქტიურად არ ერეოდა. მიტინგები და გულზე მჯილის ცემა არ უყვარდა. როგორც კი ზევით მოექცევიან, სანყალი კაცის გასაჭირი მაშინვე ავინყდებათო. წასასვლელი და მოსასვლელი ერთმანეთს ჰგავსო. კახელი იტყვის. რამდენი ვირიც ვიყიდე, იმნაირი გამომადგაო. სკამის მაძიებლებს ვერ იტანდა, მაგრამ როცა ქვეყნის ბედი იდო სასწორზე, მრისხანებას ვერ მალავდა და სტუდენტებს ქუჩაში უხმობდა.

გათენების მწუხარე ლოდინში, იმედის თითის ლოკვაში წლები შემოეხარჯა.

ბოლოს, როცა სამოცდაათს მიტანებულს თაობათა აღზრდის-

ვის, მუხლჩაუხრელი მეცნიერული საქმიანობისთვის შუბლზე კოცნა ეკუთვნოდა, სააკაშვილმა და მისმა დამქაშებმა უბოდიშოდ კარისკენ მიუთითეს. უნივერსიტეტზე შეყვარებული, დამამვრალი ლექტორი უნივერსიტეტიდან ასობით ეროვნულ პროფესორთან ერთად გამოაძევეს.

...და გულმა ვერ გაუძლო, უნივერსიტეტის მტრების – ხუბუალომაიას კისერზე იყოს სოსოს და ათეულობით მის ბედში მყოფთა ცოდვა. დღეს რომ ერთმანეთის მიყოლებით ტოვებენ ამ წუთისოფელს და უნივერსიტეტში პოლიციის შემომყვან რექტორ-პოლიციელს ხუბუას უტიფრობა ჰყოფნის მის მიერ გულგახეთქილ ლექტორთა პანაშვიდზე მივიდეს.

3 ივნისს სოსო ბუხაიძეს 75 შეუსრულდებოდა, ერთი წელია მისი მშფოთვარე სული ზეცას შეუერთდა, ხოლო ნეშთი მშობელ მინაში განისვენებს.

## ის ათი აპრილიც ჩამოვარცვლა

შენ უკვე ჭაღარა აღარა ხარ, თეთრია შენი ლომური ფაფარი... შეუმღვრევლად თეთრი, ფაფუკი და სპეტაკი.

იმ დღეს მეოთხე სართულზე ჩემი პატარა კაბინეტ-კაიუტის კარი რომ გაიღო და შენი ღიმილი შემოიფრქვა, გამეხარდა და შემრცხვა კიდეც. ღმერთო მომკალი, ამხელა კიბეზე როგორ ამოხვედი, ბატონო ვასო, რატომ არ მიხმე. მე თვითონ ჩამოვიდოდი, გამოგეგებებოდი-მეთქი.

ძველი ჯარისკაცი ვარ, რა მიჭირს, ჩემო რეზოვო, მითხარი და დაცვარულ შუბლზე მაჯა მოისვი. მერე ჩაიღიმე შენებური, ტკბილქართულ-იმერული, განუმეორებელი, ლამაზი ჩალიმებით.

რა კეთილშობილი კაცი ხარ, ჩემო ვასო. აკი სწორედ ამის გამო დაგაჯილდოვა ბუნებამ ყველაზე დიდი ჯილდოთი – ხანდაზმულობით.

ოთხმოცდაათი მოაწიე, შენი დიდებული ლექსით თაობები აღზარდე, რანდე და აჩუქურთმე შენი სათქმელი „მთელი სიცოცხლე მე ვემზადები ერთი სტრიქონის ამოსათქმელად“, ამ სამოცი წლის წინათ დანერე. ამის შემდეგ არაერთი ხვითო სტრიქონი ამოშაქრე და მშობლიური პოეზიის ფარდაგზე სამუდამოდ დააგვირისტე.

არ შეგეშინდეს! შენს თაობაში (და არა მარტო შენს თაობაში) თუ ვინმეა, შენცა ხარ.

უცრემლოდ ვერ წავიკითხე შენი ახალი ლექსები. ლექსის ჯავარი არ შეგკრთომა, კვლავ ძველებურად მოგდევს სიტყვა. ნუ წუნუნებ. ვერვინ გკადრებს წასვლა დაგიგვიანდაო... მართალს ბრძანებ, ასამდე ათი აპრილი დამრჩაო.

ის ათი აპრილიც უნდა ჩამომარცვლო შენი ჟამის კრიალოსანზე. დანარჩენებზე მერე ვილაპარაკოთ.

გილოცავ და გკოცნი, ჩემო ვასო.

შენი მონაფე რევაზ მიშველაძე

## ცხოვრების ლაბირინთში ბრძენკაცის ლამპრით

მურმან თავდიშვილი რომ ფრიად ნიჭიერი კრიტიკოსი და მეცნიერი, მკითხველს კარგად მოეხსენება.

როგორც კრიტიკოსმა, მან თანამედროვე მწერლობის არაერთ წარმომადგენელს ახლოით განმჩხრეკი, შემოქმედებით ლაბირინთებში ღრმად ჩამწვდომი წერილები მიუძღვნა და, თითქოსდა, ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრა მათი ადგილი ლიტერატურის ისტორიაში. როგორც მეცნიერმა, ჩვენმა მურმანმა, სხვა რომ არა ვთქვათ, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენას უბადლო სამსახური გაუწია. რუსთაველოლოგებთან დაუცხრომელ კამათში გამოჭედ-გამოაგვირისტა რუსთაველის პოემის ლამის საბოლოო ტექსტი, რითაც ძვირფასი საჩუქარი მიუძღვნა ქართველ ერს და მურმან თავდიშვილისეულ „ვეფხისტყაოსანს“, დარწმუნებული ვარ, მალე იხილავს მკითხველი.

ეს ორი წარმატებით აწეული ტვირთი ეყოფოდა ერთ ნიჭიერ კაცს სამუდამოდ დასამკვიდრებლად ერის ინტელექტუალურ ცხოვრებაში, მაგრამ ჩვენი გაოცების გზასავალზე მურმანმა უფრო შორს გაიწია; ამ ბოლო დროს მხატვრულ პროზას მიჰყო ხელი და სამ წელიწადში სამი რომანი შემოგვთავაზა.

ამ დილით დავამთავრე მურმან თავდიშვილის მესამე რომანი „რეპეტიტორი“ და ვჩქარობ აზრის გამოთქმას, რომ არავინ დამასწროს და უნებლიე გამეორებლის როლში არ აღმოვჩნდე.

პირველ ორ რომანში თუ ავტორი რეალისტური თხრობის მანერას იშველიებს, მოვლენებს თვითმხილველის ობიექტურობით,

შთამბეჭდავად, დიდებული ქართულით, ლამის შეულამაზებლად გადმოგვცემს, „რეპეტიტორში“ მურმანის შთაგონება ჟანრის ძიების მიმართულებით დაძრულა. მისი კვლევის სფერო ამჯერად ადამიანის სულიერ ლაბირინთში მედიტაციური ჩაღრმავება, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილთან, პიროვნების როლსა და დანიშნულებაზე გონივრული, ნოვატორული კამათია... ერთი სიტყვით „რეპეტიტორის“ ფსიქოლოგიური რომანია ამ ჟანრის ყველა ჩვენთვის ცნობილი ატრიბუტით.

რომანის გმირი გედალია ცირლიხი თავის საქმეში (ლექციები, მეცნიერება, აბიტურიენტების მომზადება) თავნაყოფილი კაცი – რაინდია. იგი მოძრავი, ცოცხალი, აქტიური ინდივიდია და ყველგან ასწრებს მისვლას – ხელოვანთა სასახლეშიც, გამომცემლობაშიც და ალექსანდროვის ბაღშიც, სადაც ხშირად მისტიკური ხილვების მოწმეც ხდება თავისი „ფანტასმაგორიელი დისფუნქციის“ გადამკიდე.

ცხოვრების აზრის წვდომის ზიგზაგებიან გზაზე გედალიას დაკვირვებანი ფრიად დამაფიქრებელი და ანგარიშგასანეევად ფილოსოფიურია. თუმცა მწერალი რომანის სათაურიდანვე საცნაურჰყოფს ჩვენთვის, რომ ზეცის ქვეშ ყველაფერი მეორდება და ჩვენ, ნიადაგ მოფუსფუსე აღუვსებელი სანყაულის მსგავსი ადამიანები, რგოლში მოტრიალე ციყვის ბედისთვის ვართ განწირულნი. რომანსაც „რეპეტიტორი“ ალბათ ამიტომ ჰქვია. მეო, – გვიმტკიცებს ავტორი, – ჩემი გმირის საამქვეყო ზრუნვა-ქიჩმაჩით სწორედ რომ იმის ხაზგასასმელად მოგვევლინეთ, ერთხელ კიდე გაისიგრძეგანოთ რეპეტიტორი ანუ განმმეორებელი ოდენ მე კი არა, თვით ცხოვრებაცაო.

ახლა ვნახოთ რა ღრმა და საგულისხმოა მურმან თავდიშვილის შეგონებანი, წიაღსვლები ასე მკვიდრად და თავის ადგილას რომ ზის რომანში.

„ადამიანთა დიდ უმრალესობას ჰგონია, რომ ის დაიბადა ბედნიერებისთვის, ხორციელი და სულიერი ტკობის მისაღებად. მაშასადამე, მისი მისია ბედნიერების მოპოვებაა. სინამდვილეში ამათ ცხოვრება სასტიკად სჯის. მოუვლენს ათასგვარ საცდურს, მანკს, ფიზიკურ და სულიერ საღმობათ. ეს კი იწვევს იმედის გაცრუებას, ცხოვრებით უკმაყოფილებას, ბედზე ჩივილს... ამიტომ არის ამქვეყნად ამდენი მოწუნუნე, ცხოვრებით უკმაყოფილო და უბედური. ადამიანთა ხუთ პროცენტს (და აქ მე შოპენჰაუერის შემდეგ მეორე გახლავართ!) მიაჩნია, რომ იგი გაჩნდა არა ბედნიერების, არამედ უბედურების საჭურჭლედ. ჭირისა და წვალების, ნაირგვარი კირთების, გასაჭირის, სხეულებრივი თუ სულიერი ტკივილების განსაცდე-

ლად. ამ რეალისტური რწმენით მაღლცხებულ პიროვნებებს ცხოვრება ველარ თუ ალარ ატყუებს. ისინი სწორედ იმის მოწმენი არიან რეალურ ცხოვრებაში, რასაც კიდეც მოელოდნენ... ეს კი ქმნის მათი ბედნიერების, უკეთ, ბედნიერი უბედურების თავწყაროს. მაშასადამე, ისინი, ფაქტობრივად, არა გულუბრყვილო ოპტიმისტები და საბოლოოდ ტანჯულ-გვემულნი არიან, არამედ ცხოვრებისეულ სიძნელეთა „მაღალმხედი“ ფილოსოფოსები და ფილოსოფიური სიღინჯით განსჭვრეტენ კიდევაც ყოველგვარ ბედნიერებასა და უბედობას. შეიძლება ითქვას, მათ ბედნიერებისა და უბედურების მიღმა გააბიჯეს. აი საფუძველი მათი (და ჩემიც) ბედნიერებისა (გვ. 145)“.

გედალია ცირლიხის ეს შეგონება, რომელსაც იგი აღმოჩენად კი არ აწვდის მსმენელს, არამედ ისე, სხვათა შორის, სიტყვას მოაყოლებს ხოლმე, ღრმა აზრის შემცველია და ვინ იცის, როგორ გაუადვილებს ცხოვრებას იმათ, ვინც უფრო მეტს მოელის ცხოვრებისაგან, რისი მიცემაც მისთვის ცხოვრებას სინამდვილეში შეუძლია.

სენტენციებით საუბარი ამ რომანის სტილია, რაც მწერალს რეპეტიტორის ორიგინალური ბუნების გამოსახატავად მოუმარჯვებია. ამ სტილს გედალია რომანის მთელი მოქმედების მანძილზე არ ღალატობს, ხოლო ცხოვრების აზრში ფილოსოფიურ ჩაღრმავებათა კვალდაკვალ ჩვენ ვეცნობით ცხოვრების ყოველდღიურობით დამძიმებული კაცის ცხოვრებას... იგი იბრძვის, კამათობს, ხშირად მოვლენების ცენტრშია, თავისი პოეზია აქვს, როგორც საზოგადოების წევრსა და მოქალაქეს და ეს პოეზია ეროვნული, დამოუკიდებელი საქართველოსთვის ბრძოლის მხარდაჭერაა და როცა დაღლილი თავისი სახლის კიბეზე ადის, შინ სამი მისთვის ძვირფასი მოვლენა ელოდება: ერთგული ცოლი, ჭკვიანი და დამჯერე მორისი და აბიტურიენტთა ჯგუფი. აი, სწორედ „თავის ხალხთან“ ურთიერთობა ანიჭებს გედალია ცირლიხს ჭეშმარიტ ბედნიერებას.

მერე ისე იწყება ფილოსოფიური წიაღსვლები, ოღონდ ისეთი ფილოსოფიური წიაღსვლები კი არა, თვითმიზნურობის ელფერი რომ დაჰკრავს, ჭეშმარიტებით გაჯერებული, დამაფიქრებელი და ისეთი, გულიდან და გონებიდან კარგა ხანს რომ არ ამოგივა, მაგალითად:

„ერთი აბიტურიენტის შეკითხვაზე – „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები ნამეტანი ბევრს ხომ არ ტირიანო? – ლექტორ-მოძღვარი გედალია პასუხობს:

„– თქვენ ჯერ ერთობ ახალგაზრდები ხართ, ეს რომ გაიგოთ, თქვენი ფლოტილია აფერადებულია წითელ-ყვითელი საზეიმო ბაბთებითა და ალმებით. აბა გახედე, თქვენს გემებს, თეთრად ფით-

ქინა იალქნები და ქარვისფრად მბზინავი ანძები ამშვენებს, ჭაბუკ მეზღვავურს კი თვალეში იმედისა და მდიდარი ოცნების კოცონები უტკციალებთ. ამიტომაც გეცვენებათ, რომ პოემაში ბევრი ცრემლი ინთხვეა, მაგრამ შეეჭიდებით ზღვას, შეეცდებით მის გადალახვას; გზად იქნება ფათერაკებიც, სიცივეც, ქარი ხორშაკიც, წყალი მავნებელიც, არაერთი შტორმიც და, როდესაც გაღმა ნაპირს შეტკლევით, დაიხრებოდა და კიჩობდა მსხვერველური ანძებით, დაწყვეტილი ბაგირით, დაძენილი აფრებით, გამოხუნებული ალმებითა და ბაბთებით, ნერწყვგამმრალი, უკბილო პირითა და ჭალარა ნვერით, გამქრალი ილუზიებით მიადგებით, ხოლო ძალაგამოლეული მუხლებით ძლივს ალასლასდებით ნაპირზე გადებულ ბოგირზე, მაშინლა მიხვდებით, თუ როგორია სინამდვილე, თუ საკუთარ თავს იმ დროს დაუსვამთ კითხვას – ბევრი ცრემლი იღვრება პოემაში თუ ცოტა, მიიღებთ ერთადერთ უცდომელ პასუხს – ერთობ ცოტა (გვ 159)“!

განა არ არის ეს მსჯელობა დამაჯერებელი და, თუ გნებავთ, საბუთიანი, ლოგიკური, პასუხიც იმაზე, თუ რატომ იღვრება „ვეფხისტყაოსანში“ ასე ბევრი ცრემლი.

მურმან თავდიშვილის ახალ რომანში უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს მოქმედების დინამიკა, მკითხველის ყურადღების დაქვეითება, შეუცნობილიდან შეცნობილისკენ ხასიათების თანდათანობით ოსტატური გამოკვლევათა და, რაც ჩემთვის უპირველესად ფასეულია, ოსტატის ხელით ქალაქზე დაგვირისტებული, ფერწერული პასაჟები.

მურმან თავდიშვილმა კარგად იცის ჭეშმარიტება, რომელიც ჩემი არაერთი კოლეგისათვის, რაც დრო გადის, ძნელი და ძნელი გასაგები ხდება: „როცა წინ ტკიცინა, სპეტაკ ქალაქს დავიდებ და რისიმე სანერად შევემზადები, პირველი ფიქრი, რაც თავში გამიელვებს ეგ არის – შევძლებ კი ამ თეთრად გადაფითქინებულ ძვირფას ქალაქზე ისეთი რამ დავწერო, რაც თვითონ ქალაქის ღირებულებაზე მეტი იქნება, თუ დიდი სირცხვილსა ვჭამ და ამოდ შევბლაღავ მის კეთილშობილ სინმინდესა და სისპეტაკესმეთქი“ (გვ. 137).

ზემოთ პასაჟების ფერწერულ სიცხადეზე მოგახსენებდით. აი, რამდენიმე მაგალითი:

„სასახლის ელეგანტურ ფანჯრებს ჭადრის ალისფრად ალანძული ფოთოლი ჩიტივით მიეხალა, შემდეგ ორ-სამჯერ ამოტრიალდა და ძირს ნარნარად დაშვება დაიწყო. ასე მოხდენილად ბოლოქანქალაც კი ვერ დააფრინდებოდა მინას (გვ. 25)“;

„ლოგინის თავით პირამიდასავით აკოკოლავებული ბალიშები ცოლს მიმოეშალა, შვილის ირგვლივ შემოეწყო და ნითლად მოლუდლუდე, ნორჩი სხეული ისე ჩანდა, როგორც თეთრ გვირილებში ამობრდღვიალებული ალისფერი ვარდი (გვ. 31)“;

„დალაქმა თხელ ქალაქში გამოხვეული ფითქინა ჩარსავი გაშალა, დაიქნია, ესე იგი „გგუთოვა“ და ყელზე ფაქიზად შემოახვიო. მეორე ბოლოთი მხრები დაუფარა და მაკრატელს კრაჭა-კრუჭი აუყენა. რეპეტიტორს სადალაქო მაკრატლის მარჯვენა კრაჭუნი ყოველთვის ადრე მოფრნილი მერცხლის კრაჭა-კრუჭა ჟღურტულს აგონებდა (გვ. 38)“.

მთელი პასუხისმგებლობით მოგახსენებთ, რომ ასეთი მაღალპროფესიონალურად გამოკვეთილი პასაჟები მურმან თავდიშვილის ახალ რომანში სანთლით საძებნელი არ არის. სულის შემძვრელია მორისის ამქვეყნად მოვლინებისა და მისი აზღრდის პირველ თვეებთან დაკავშირებული პასაჟები. მშობლის განსაცვიფრებლად ძლიერი გრძნობა უნდა ჰქონდეს მწერალს, რომ მორისის მოლონიერებისა და გედალიასად მოქცევის დღეები ასე შთამბეჭდავად და დამაჯერებლად დახატოს.

წუთისოფლის ეტლი ულმობელი სისწრაფით გარბის. ჯერ ცირლიხის მეუღლე მიდის ამქვეყნიდან, და ბოლოს რეპეტიტორიც კვდება.

თამაშდება წუთისოფლის უძლიერესი, წინასწარდაგეგმილი დრამა.

აქაც რეპეტიტორის ნება მართავს ყველაფერს.

აკი მან დაიბარა: კივილი და თავშიცემა არ დაიწყოთ, დამასაფლავეთ, ჩვეულებრივად, წყნარად და მშვიდადო.

გედალიას შეცნობილი აქვს წუთისოფლის ამოება და ამიტომაც ხვდება სიკვდილს, როგორც გარდაუვალ აუცილებლობას. ისეთს თეატრალურობასა და ჭარბემოციურობას რომ ვერ აიტანს.

მიდის გედალია ცირლიხი და რეპეტიტორად ანუ ცხოვრების მაცდური ბილიკების გამმეორებლად რჩება მისი ხატი, მის მიერ შექმნილ-დაკაცებული მორისი.

წაიკითხეთ მურმან თავდიშვილის ახალი რომანი. იგი ჭეშმარიტ ესთეტიკურ სიამოვნებას მოგანიჭებთ.

30.IV.2010

# რეპაზ მიშველაძის გამოსვლა 70 წლისთავის იუბილეზე, მარჯანიშვილის თეატრში, 2010 წლის 22 თებერვალს

ბატონებო!

მიკროფონთან მისვლის ასე არასოდეს შემშინებია.

ამ დღით სახლიდან რომ გამოვდიოდი, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს რაღაც დანაშაული ჩამედინოს და კინაღამ დავურეკე მაყვალას, უარს ვამბობ იუბილეზე-მეთქი.

ამიტომაც ჩემს სიტყვას ასე დავიწყებ: უღრმეს მადლობასთან ერთად ბოდიშსაც გიხდით, რომ ამ სიცივეში მოგიყვანეთ.

რა მეიუბილეებოდა.

ყველა ყველა და მე კარგად ვიცი, რომ საქართველო დაღვრემილია და ახლა ზეიმის დრო არ არის.

და მაინც ჩვენს დღევანდელ შეკრებას ნურავინ მიიჩნევს ტრადიციულ იუბილედ, დაფნისმადიებლობას რომ მოჰყვება ხოლმე.

არც ლიტერატურის მოყვარულთა ფორუმია ეს, ერთ კალმის კაცს პატივისცემა რომ დაუდასტურონ.

ეს გახლავთ ამ მშვენიერ თეატრში ერთი საერო ტრიბუნის დადგმა, რათა მიკროფონთან მისულმა ჩემმა მეგობრებმა და კოლეგებმა ქართველ ერს მწერლის საღვთო დანიშნულება მოაგონონ და მის ადგილზე მიუთითონ ერის ცხოვრებაში.

დღეს რატომღაც მწერლობა სხვა ხელობათა, ანუ პროფესიათა შორის ერთ-ერთ რიგით პროფესიადაა მიჩნეული.

არადა, ერის სულიერი ბელადი და წინამძღოლი საქართველოში, ქართულ ეკლესიასთან ერთად, ქართული მწერლობაც იყო.

დღესაც ასეა. და თუ ასე არ არის, ასე უნდა იყოს.

პირველ რიგში ჩვენი სიცოცხლისა და სიკვდილის უმთავრეს დვრიტას, ჩვენი ურვა-ნუხილის მიზეზთ-მიზეზს, საქართველოს მდგომარეობას ჩავუფიქრდეთ:

ვის დავუმალო, მძიმე დღეში ვართ.

ასე მტერმორეული იშვიათზე იშვიათად ვყოფილვართ ჩვენი ზიგზაგებიანი ისტორიის მანძილზე;

ბოლო ოცი წლის მანძილზე განსაკუთრებით ჩქარი ტემპებით ვკარგავთ ისტორიულ მინებს.

თითქოს ზღაპრული ფასკუნჯის ფრთაზე ვზივართ და წამ-

დაუნუმ ვიჭრით ხორცს, რათა დაუნდობელმა ფასკუნჯმა მთლიანად არ გადაგვკლაპოს.

ჭაბუამ ბრძანა, ჩვენ უნათესავო ერი ვართო და მართლაც უნათესავო აღმოვჩნდით; ჩვენთვის თავი არავინ გამოიღო. ერთი გაგვიღიმეს ღარიბი ნათესავივით და შეგვატოვეს ჩრდილოურ ვეშაპს.

ამ დროს, იმის მაგივრად, რომ მტრის მოსაგერიებლად ხმაღს ვლესავდეთ და მეცხვარის ძაღლებივით ერთმანეთს ზურგს ვუმაგრებდეთ, ჩვენ ერთმანეთს ვჭამთ.

ნერვები დანყვეტამდე გვაქვს დაჭიმული.

მთელი ერის ნევროზით დაავადება თუ შეიძლებოდა, ვერ წარმოვიდგენდი.

მიტინგებზე ლამაზი, მაგრამ ფუჭი ლაპარაკი ვისწავლეთ და არჩევნიდან არჩევნებამდე ვცხოვრობთ.

თითქოს და მთელი მსოფლიოა მონოდებული, რომ როგორმე არჩევნიდან არჩევნებამდე გავძლოთ.

იცოდეთ, შეიძლება როდისმე შინაშეული დამთავრდეს, პოლიტიკური ვნებები დაცხრეს, მაგრამ თუ ტერიტორია აღარ გვექნება, საქართველო, როგორც სახელმწიფო, აღარ იარსებებს.

ამიტომაც ჩვენი მინის ყოველ მტკაველს უნდა გავუფთხილდეთ.

დღეს რომ აქ თქვენს კეთილშობილურ სიტყვებს ვისმენდი ჩემს მოკრძალებულ შემოქმედებაზე, ასე მეგონა, სხვაზე ლაპარაკობდით. ასე მეგონა ერთი ტანჯული კაცის ცხოვრებაზე კინოფილმს ვუყურე, ახლა კინოთეატრიდან გამოვედი და ჩემი ნამდვილი ცხოვრება უნდა დავიწყო-მეთქი.

ჩემი პირველი სტრიქონებიდან ოპოზიციონერი ვიყავი და ჩემთვის თავზე ხელი არავის არასოდეს დაუსვამს.

დღესაც სიამოვნებით მოვანერ ხელს, რაც 50 წლის წინ დამინერია.

ოლონდ რადიკალიზმის მომხრე არასოდეს ვყოფილვარ. არასოდეს არცერთ რევოლუციაში მონაწილეობა არ მიმიღია. მწერლის ფუნქციად შუაკაცობა, შერიგებისაკენ მონოდება, მიტევება მიმაჩნდა ნიადაგ.

ისეთ სასტიკ ვითარებაშიც ვყოფილვარ, რომ მეგონა უკან სულ ვილაც მედგა და ჩემს ხელნაწერებში იხედებოდა, მაგრამ სასონარკვეთას არ შევუპყრივარ, კალამი არ გამიგდია და ხელები უმწეოდ არ ჩამომიყრია.

ყველაფერს ავიტან მწერლისა და ხელოვანისადმი საზოგადოების გულგრილი დამოკიდებულების გარდა.

დადის ახლა პლასმის ჯიბეში ხელჩაყოფილი და საყელონამონეუ-ლი უამრავი ჩემი კოლეგა გულგრილობით გულდაკოდილი.

საშინელი გრძობაა გაფიქრება იმისა, რომ შენ ჩამოგწერეს, საჭირო აღარ ხარ, არ გკითხულობენ, არ დაგეძებენ.

ამიტომაც ხელოვანის ცხოვრების ამ ფონზე როგორ არ დაფუ-სახო სხვას მაგალითად, რასაც ამ ბოლო დროს მუშის მსახურთა მიმართ აკეთებენ.

სწორედ ეს მაფიქრებინებს, რომ ჩვენი ერთ მუშტად შეკვრა კიდევ შეიძლება, თუმცა ბოლო წლებში უამრავი შეცდომა იქნა დაშვებული. აგერ ჩვენ თვალწინ ვინმე ლომიამ მორალურად გაა-ნადგურა ინტელიგენციის დიდი ნაწილი და პასუხი არავინ აგებინა.

უსაგნო ექსპერიმენტით ნამუდრეგაღს რაღა ეშველება, მაგრამ წინ უნდა გავიხედოთ და შეცდომათა გასწორებაზე ვიფიქროთ.

აგერ ა, ჩვენ თვალწინ გაირკვა, რომ თურმე საჭირო ყოფილა პატრიოტული აღზრდა, თურმე საჭირო ყოფილა მსოფლიო კულტუ-რის ელემენტარული ცოდნა.

და მერე ვინ ზრდის ადამიანებს პატრიოტულად? ვინ მოუწოდე-ბს ეროვნული ფენომენის დაცვისაკენ? ვინ მიაქცევინებს ყურადღე-ბას მსოფლიო კულტურისკენ? ისევ და ისევ მწერალი და ხელოვანი.

რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას და გალაკტიონის ლექსებზე რომ ყოფილყვნენ გაზრდილი ჩვენი ჯარისკაცები, ვინ იცის, იქნება არ გვეხილა სამარცხვინო სურათი ჩვენი ბიჭების დაჩოქებისა 2004 წელს ცხინვალის მოედანზე, ან არ განგვეცადა სიმწარე დღენახე-ვარში დამთავრებული ომისა.

ყველამ უნდა შევძლოთ კონკრეტული ისტორიული რეალობის გათვალისწინება. ვირტუალურ სამყაროში ცხოვრება ხეირს არ და-გვავყრის. უნდა ვიცოდეთ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის და ახლა უკრაინის არჩევნების შედეგად სხვა დრო, სხვა მსოფლიო მოვიდა.

ხშირად მეკითხებიან, რატომ ვთქვი უარი ე. წ. დავით აღმაშენე-ბლის პრემიაზე.

დიახ, უარი ვთქვი იმ რუსეთის პრემიაზე, რომელსაც აკაკი „გაი-ძვერა მოყვარეს“ ეძახდა, ხოლო ილიამ, მისებურად, წარბშეკვრა-ი-რონიით დასძინა: „რაც კარგი ექნას რუსისა ხიშტსა ღმერთმა იმ რუსსა უკანვე მისცეს.“

მე უარი ვთქვი იმ რუსის პრემიაზე, რომელმაც 1801 წელს სა-ხელმწიფოებრიობა გამიუქმა და ალავერდის თუ სვეტიცხოვლის ფრესკები კირით შემითხუპნა. მე უარი ვთქვი იმ რუსის პრემია-ზე, რომელმაც შარშანწინ 160 ქართული სოფელი წამართვა და საერთო ჯამში 1/3 საქართველო ოკუპირებული აქვს, მაგრამ იქვე

ისიც დავძინე, რომ არც საქართველოს გამალებული ამერიკანიზა-ციის მომხრე ვარ. ჩემი ქვეყნისთვის სულერთია მგელი შეჭამს თუ მგლისფერი ტურა.

თუმცა, აქვე ხაზს ვუსვამ, რომ დამდურების პოლიტიკას ნდო-ბით არ ვუცქერი. მეზობელ რუსულ სახელმწიფოსთან ურთიერთო-ბის მშვიდობიანად გარკვევა ხელისუფლების უახლოეს მიზნად მე-სახება.

რაც შეეხება ჩემს საქმიანობას, ვცდილობ ჩვენი დროის სურა-თები არ დაფუკარგო მომავალ თაობას.

ახლახანს დავამთავრე ჩემი პირველი რომანი. იგი თანამედრო-ვეობას შეეხება. „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“ ჰქვია და იმ ნერვულ ეპოქაზე გვიამბობს, კაცი რომ ჩურჩულს გადააჩვია. რომანის გა-მოცემით დაინტერესდა ერთი უანგარო გამომცემელი, მშვენიერი გამომცემლობის „საქართველოს მაცნეს“ ხელმძღვანელი ლევან ფო-ფხაძე და მისი შემწეობით ორ თვეში წარვუდგები მკითხველს.

მაპატიეთ, რომ ჩემს თავზე მოგახსენებთ.

მე ვინ ვარ, ერთი პატარა ნამცვრევი დიდებული ქართული მწერლობისა, მაგრამ ისეთი ნამცვრევი კი, რომელსაც სულმნათ წი-ნაპართა გაკვალული გზიდან არასოდეს გადაუხვევია.

რაც შეეხება ქართველ მწერალთა სახელოვან კავშირს, მას დღევანდელ ხელისუფლებასთან სამი სათხოვარი აქვს: ყოვლის ღონისძიებით შეუწყოს ხელი ეროვნული ფენომენის გაძლიერებას, დაუყოვნებლივ დაგვიბრუნოს მწერალთა სასახლე და შეძლების-დაგვარად დაანესოს ყოველთვიური სტიპენდია-დახმარება მწერ-ალთა კავშირის წევრებისათვის.

ზოგს ახლა, სიბერეში, გაახსენდა, რომ მწერალი ოპოზიციონერი უნდა იყოს. სწორედ მწერალმა უნდა მიუთითოს სახელმწიფოს, თუ მას ზნეობრივი დაცემის საფრთხე ემუქრება, იმის შესახებ, რომ „დანის სამეფოში რაღაც – დალპა“, სწორედ მწერალმა უნდა გა-დაჰკრას მათრახი ქონებასგამოდევნებულ მედროვეებს შეძახილით – „თქვენ ცუდად ცხოვრობთ, ბატონებო!“ და სწორედ მწერალმა უნდა დაიკვნესოს მეფე ღირის გულმდულარე დაკვნესებით:

„როგორ დაბნელდა, სული მეხუთება, შემიხსენი საკინძე, კორ-დელია!“

# ასარჩევნი

ენა და მწერალი.....	5
პოეზიის ეკლიან სარეცელზე.....	8
გრიგოლ რობაქიძის პოეზია.....	21
„ვეფხისტყაოსნის“ იუმორი.....	31
სატირა და იუმორი გალაკტიონის შემოქმედებაში.....	40
რომანი ადამიანის უძლეველობაზე.....	60
რომანი დაჩოქებულ საქართველოზე.....	77
მე-20 საუკუნის უკანასკნელი ათწლეული და ქართული მწერლობა.....	84
მივხედოთ მეგრულ ფოლკლორს!.....	91
მამ გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე!.....	92
ვისი გორისა ხარ.....	98
კრისტალივით სუფთა და შეუვალი.....	107
ვინ არის ჩვენ გვერდით?.....	111
მამულიშვილის მგზნებარებით.....	123
დიდი იმედის მატარებელი.....	126
მადლი პოეზიისა.....	130
„მოკვდა თუ არა, ყველამ აცხონა...“.....	135
მიმავალი ნაბიჯების ხმა.....	139
სტრიქონი, ცხოვრებას რომ გაამართლებს.....	144
„სპირალი“ – რომანი-გაფრთხილება.....	147
ნოდარ ადგიშვილის ლექსები.....	154
ნიგნი გურამ რჩეულიშვილზე.....	156
დაკარგულ სიზმართა ძიებაში.....	159
თათბირი საკუთარ გულთან.....	167
ჩვენ საქართველოსთან ვართ.....	171
ქართული სოფლის ეპოპეა.....	179
„იუპიტერო, შენ წყრები?..“.....	183
თემურ ჩალაბაშვილის პირველი ნიგნი.....	189
გაუმარჯოს, ვინც კაცია!.....	192
ძვიდი საღამო კორნელი სანაძესთან.....	193
ტანჯული.....	217
მწერალი და თანამედროვეობა.....	228
ნიკო ლორთქიფანიძის სტილი.....	243
როგორ შევაფასოთ აკაკი.....	249
არც ისე ძლიერი არიან დამპყრობელნი.....	256
წინათქმა ზაურ ბოლქვაძის 100 ლექსისა.....	263
ლაშა გახარია.....	265
დიდი ხელოვანის მონოლოგი.....	267
ზურაბ კიკნაძის უნიჭობა.....	276
ზაალ, შენ მწერალი არა ხარ!.....	281
რას სჩადიხართ?!.....	286
ჩემთვის ცოცხალი ხარ... ..	288
პოეზიის ამორძალი.....	290
სიკეთის მთესველი.....	291
უნმინდესო და უნეტარესო.....	295

ზოგი რამ „შემოქმედებით ლაბორატორიაზე“.....	295
მეამბოხეც და მშვიდიც.....	313
ხელს გვიძლიან.....	315
ბრძენი ბავშვები.....	320
პროზაული ფიქრები.....	321
სიმართლის ფარი იფარე.....	340
მსატყურელი ლიტერატურის პროპაგანდის სადღეისო პრობლემები.....	343
თავის კოხტაგორასთან.....	348
ექო.....	350
„მოგესაქართველოები“.....	351
ბატონი კოლაუ.....	352
ერთა ძმობის მაღალი შეგნებით.....	354
თანამედროვე ქართული ლექსი.....	361
მხოლოდ ჭემმარიტების ხათრით.....	366
ღია წერილი.....	368
ღია წერილი ვალენტინ რასპუტინს.....	375
მეთოდური მითითებანი უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის ახლებური სწავლების შესახებ.....	378
ღია წერილი ფაზილ ისკანდერს.....	381
აი, მიზეზი, სულო ჩემო.....	387
როგორ ვპატრონობთ მარგალიტს.....	391
ოლონდ საქმეს ეშველოს.....	397
„ვის შევჩივლო...“.....	405
წერილი რედაქციას.....	411
არ ენდოთ!.....	415
ნუ გავაზვიადებთ.....	420
გონს მოდით.....	422
დიდი რბევა.....	424
შევალევიდოთ ერი, მწერლებო!.....	426
გალაკტიონი ხატავდა.....	428
მაყვალა.....	432
ვულკანივით მშფოთვარე.....	433
პატრიარქს მიჰყევით, პატრიარქს!.....	434
მერებუსე ვაიმეცნიერი.....	439
დაუჯერებელია.....	447
კეისარს კეისრისა.....	449
„არ მომკვდარა...“.....	451
კვლავ ჭემმარიტების ძიებაში.....	453
ლიმილი?.....	457
როცა სიბრტყეები არეულია.....	460
ბატონ ნიკოლოზ კურტანიძეს.....	462
მამულიშვილის ომრი.....	463
გულმა ვერ აიტანა.....	466
ის ათი აპრილიც ჩამომარცვლე.....	468
ცხოვრების ლაბირინთში ბრძენკაცის ლამპრით.....	469
რევან მიშველადის გამოსვლა 70 წლისთავის იუბილეზე, მარჯანიშვილის თეატრში, 2010 წლის 22 თებერვალს.....	474

**РЕВАЗ МИШВЕЛАДЗЕ**  
**ИЗБРАННЫЕ ПРОИЗВЕДЕНИЯ**  
в 25 томах  
ТОМ XIX  
Издательство „Сакартвелოს Мацნე“  
Тбилиси 2013